

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის

ანთოლოგია

ტომი მეორე

XVI--XVIII საუკ.

[აღორძინების პერიოდი]

რედაქტორი ია ეკალაძე
გავიყვის ხელმძღვანელი ანდრო შილაძაძე

ტფილისი

1928

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.
შეკვეთის № 1374. ტირაჟი 6000 მთავლიტი № 1679.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	83-
1. ალ. ბარამიძე—ტექსტიკოსის	V—XV
11. შემჩნეულ შეცდომათა გასწორება	XVI
1. სერაპიონ სოგრატიძე საბავშვილო—ამბავი სიოაშისა	39
2. უცნობი ავტორი—ვეფხისტყაოსნის გაგრძელება	10-20
3. უცნობი ავტორი—იოსებ ზილიხანიანი	21-27
4. ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი—ომანიანი	28-33
5. თეიმურაზ პირველი—ა. წამება ქეთევან დედოფლისა; ბ. მაჯამა; ც. ჩივილი სოფლისადმი; დ. ლეილ-მაჯუნუნიანი	34-63
6. გარსევან ჩოლოყაშვილი—ხილთა ქება	64-66
7. ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილი—ბარამ-გურიანი	67-79
8. ბარამი ვაჩნაძე—სამიანი	80-82
9. უცნობი ავტორი—რუსუდანიანი	83-90
10. უცნობი ავტორი—მეფეთა სალარო	91-96
11. არჩილ მეფე—ა. გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა; ბ. გაბაასება კაცისა და სოფლისა; ც. ლექსი აქა-იქ ნათქვამი.	96-117
12. იაკობ შემოქმედელი—ქება არჩილისა	118
13. იოსებ ტფილელი—დიდმოურავიანი	119-122
14. სულხან-საბა ორბელიანი—ა. წიგნი სიბრძნე სიტყუისა; ბ. მოგზაურობა ევროპაში; ც. ქალი	123-135
15. ვახტანგ მეექვსე—ა. ვაი სიკვიდილო, მწარე სიკვიდილო, ბ. ვაი რა მწარედ იწოდა ნაწლები მარიამისა; ც. მაჯამა; დ. ქილილა და დამანა	136-158
16. პეტრე ჩხატარაიძე—ჩაბრუხაული	159-160
17. თეიმურაზ მეორე—ა. სარკე თქმულთა-ანუ დღისა და ღამის გაბაასება; ბ. კიდურ-წერილობა; ც. ანბანთ-ქება; დ. რუსთველთან გაბაასება თეიმურაზ მეორისა; ე. სასახლის ქება; ფ. თიმსარიანი	161-186
18. მამუკა ბარათაშვილი—ა. ქება ვახტანგ მეექვსისა; ბ. ქება მეფის ბაქარისა; ც. მრჩობლელი; დ. მოკლე შეწყობილი; ე. რუსული ხმები; f. ჩერნიკოს ხმაი; გ. ბაღდადთან გელნ ბეშ დურანის ხმა; h. პოლციის ხმაი; j. შეწყობილი; i. მდენარი; k. წუობილი მრავალ მუხლი	187-193
19. დავით გურამიშვილი—ა. სწავლა მოსწავლეთა; ბ. სწავლა თავის გაფთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა; ც. ქართლის ქირი; დ. მზეთა მზის ვედრება; ე. საწუთოს სოფლის სამდურავი; f. ანდერძი; გ. მხიარული ზაფხული	194-221
20. დ ი მ ი ტ რ ი ს ა ა კ ა ძ ე —ა. დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისადმი; ბ. მასეე; ც. ჩემს მწყალობელს ბატონს თავადს მამუკა გურამოვს; d-e. ბარათები	221-224

21. ვახტანგ ორბელიანი—პეტერპოლი	225-226
22. დიმიტრი ორბელიანი—ცოლთან მოწერილი ალერსი გაყრისათვის	227-229
23. ანტონ კათალიკოსი—ეპიტაფია დათა ჩემთა მეფის ასულთა ანასტასია და მარიამისად	230-231
24. ზაქარია გაბაშვილი—კატის ომი	232-237
25. ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) a. სეედის ბაღს; b. ტანო ტატანო; c. დედოფალს ანაზედ; d. ცრემლთა ისარნი; e. გამტყორცა სოფელმა; f. ვაი ესე დრონი; d. სეედის ლაშქარი	238-243
26. ხაიონოვა—ა. ზღვას სეთ ვააშრობს; b. მტკვარო ამღვრეულო; d. შე საწყალო ჩემო თავო; e. დამეხსენი	244-246
27. მზე-ჭაბუკ ორბელიანი—ძეობაში თქმული; ანახანუმ დედოფალთან გაკამათება	247-248
28. დიმიტრი ბაგრატიონი-- ელისაბედისანი	249-255
29. მამუკა გურამიშვილი—მზეთა მზე	256
30. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი—მიჯნურთ ბადე	257-266
31. დავით სარდალი—პირზედ გაქვს ხალი	267
32. მანანა—მანანასაგან ციების ბასი	268-269
33. მირიან ბატონიშვილი—ა. მოვედით მოყმენო; b. ხელქმნილ ვარ; c. ოდეს განხე	270-271
34. მარიამ ბატონიშვილი—ა. ჰოი დამწარდეს დროთა ტკბილობა; b. აჰა დამეცნეს რისხვით ცანია; c. მოვჰსთქუამ სულთქმითა	272-274
35. ქეთევან ბატონიშვილი—ჰოი ვითარ ვსთქუა	275-276
36. თეკლა ბატონიშვილი—პასუხად ქეთევან ბატონიშვილს	277
37. ფარნაოზ ბატონიშვილი—იგონეთ ყოველთა დრონი წინარე	278-279
38. დავით ბატონიშვილი—ა. რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი; b. გამიფრინდა სიხარულის ფრინველი	280-281
39. სოლომონ ლეონიძე—მოთქმით ტირილისაქართველოს მეფის, ლერკულეს ღირსისა	282-285
40. პეტრე ყარიზი (ლარაძე)—ა. ეჰა ვითარსა დროსა მწარესა; b. მზე ვნახე მკმუნვარედ	286-287
41. დავით რექტორი—ა. ჰე მოყვარეო; b. გრვეინვით ციურნო	288-289
42. ზაალ ბარათაშვილი—ბულბული მწუხარებს	290
43. ბარამ ბარათაშვილი—ნუ მწუავ მიჯნურო	291
44. გიორგი თუმანიშვილი—ბულბულს მხვდა გულსა ლხენანი	292
45. დიმიტრი თუმანიშვილი—ა. რად მოგშორდი; b. ბაიათი	293-294
46. ოთარ ქობულაშვილი—ა. მსურს დიანავ; b. ჰპრწყინავს მნათი	295-296
47. გორდეძი ფირალიშვილი—თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა	297-298
მოკლე ბიოგრაფიული ცნობები	299-304

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს ო

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის „ანთოლოგიის“ ეს ტომი ალორ-ძინების პერიოდს შეიცავს, სახელდობრ აქ წარმოდგენილია მე-XYI-XYIII საუკუნეთა მწერლობის ნიმუშები¹.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცალკე ცდები ამ ეპოქის დასაწყისი ლიტერატურული ძეგლების უფრო აღრინდელ დროში გადასატანად, მაგრამ ეს, ჯერჯერობით მაინც, ცდებდა არის დარჩენილი და, ამდენადვე, არ შეიძლებოდა, რომ მას ჩვენს კრებულში ადგილი მისცემოდა.

ალორძინების პერიოდა კიდევ „განახლების“, ან „ვერცხლის“ პერიოდად იწოდება; ასეთი სახელწოდება „ოქროს პერიოდის“ (მე-XII ს.) ანალოგიით არის მიღებული და გამართლებულია იმ იდეოლოგიით, რომ განახლებას მონღოლების შემოსევით გამოწვეული დაკნინების და დაავადების ხანგრძლივი პერიოდი (მე-XIII—XV) უსწრებს წინ. (მეცნიერებაში უკანასკნელს „დაცემის პერიოდს“ ეძახიან).

მე-XYI ს. დასაწყისში სპარსეთში სეფევიდების დინასტიის განმტკიცებით და პოლიტიკურა ცენტრის მახლობელ, აზერბაიჯანის პროვინციაში გადმოტანით, უშთაერესად კი ამ დინასტიის ძალა-უფლებას საქართველოზე გავრცელებით, შესაძლებელი გახდა სპარსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის კვლავინდებუად განახლება. და სწორედ ამ მოვლენას უკავშირებენ ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების ალორძინების დასაწყისს. ამიტომაც, ცხადია, პირველი ნაბიჯები უშუალოდ ამ წყაროდან უნდა წარმოვძინარებულყო და მთარგმნელობითი ხასიათი ჰქონოდა. მაგრამ მთარგმნელობასთან ერთად ჩვენი მწერლობა ორიგინალურ-ნაციონალურ გზებზე იკვლავს. ამის მიმოხილვას აქ ჩვენ არ შეუდგებით, დანატრეხებულ მკითხველს შეუძლია სათანადო ლიტერატურას მიჰმართოს, განსაკუთრებით, რასაკვირველია, ჩვენ დავასახელებდით პროფ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მე-II ტომს.

ალორძინების პერიოდის სალიტერატურო ნამუშების კრებული იმ სახით, როგორც ეს ამ ტომშია წარმოდგენილი, პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. დღემდის არსებობდა მხოლოდ პროფ. დავ. ჩუბინიშვილის თავის დროისთვის ფრიად საყურადღებო და აწ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქვეყნული „ქართული ქრისტიანობა“. ამ წიგნის მეორე გამოცემაში (სანქტ. პეტერ-

¹) როდესაც ჩვენ ქართული სიტყვა-კაზმულ მწერლობის „ანთოლოგიის“ გამოცემა განვიზრახეთ, ახრათა გვექონდა ქართველი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა რაც შეიძლება სრული და ვარგისი კრებული, ამიტომ როგორც ამ დარგში არა სპეციალისტა დავიხმარე უფრო მკოდნენი. ეს წერილი გვიჩვენებს, თუ როგორის თავგამოდებით შეუსრულებია პატრიცეუმულ აღექსანდრე ბარამიძეს ჩვენი დავალებანი.

ი ა ე კ ა ლ ა ძ ე .

²) მე-XYIII ს. მეორე ნახევრის მწერლების უმრავლესობის სალიტერატურო მოღვაწეობა მე-XIX საუკუნეშიც გადადის.

ბურსი, 1863 წ.) საკმაო ნიმუშებია წარმოდგენილი, მაგრამ, რასაკვირველია, ის-
დღეს დამაკმაყოფილებელი ოდნავადაც არ არის.

ს. გოგაძის „ჩვენი ძველი წყნარობა“ (არსებობს რამდენიმე გამოცე-
მა, უკანასკნელია 1927 წ.) საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდაა შედგენილი.
იქ აღვლილი ეხოლოდ რამდენიმე რჩეულ მწერალს აქვს დათმობილი და ისიც.
ნაწილობრივ.

ყოველივე ამის გამო ცხადი ხდება „ანთოლოგიის“ მიზნის და დანიშნულე-
ბის ღრულობა და სისწორე.

წინამდებარე ტომი, როგორც „ანთოლოგიის“ მთელი სერიის ერთი ნაკვე-
თი, ფართო მკითხველისათვის არის განკუთვნილი და, ამდენადვე, როგორც მას-
სალის შერჩევა, ისე ამ მასალის გამოქვეყნების ფორმა, განსაკუთრებულ პირო-
ბებში არის ჩაყენებული: მიუხედავად მისი პოპულარული ხასიათისა და დანიშ-
ნულებისა, ყოველი ღონე იქნა ხმარებული, რომ კრებული ერთგვარ სამეცნიერ-
ო ინტერესსაც არ ყოფილიყო მოკლებული; ყოველ შემთხვევაში აკადემიური-
ხასიათის დაცვას შემდგენელი უცილობლივ სცდილობდა.

მასალის შერჩევას ჩვენ იმ მოსაზრებიდან გამოვიდოდით, რომ მოგვეცა-
ალორძინების პერიოდის მთავარ წარმომადგენელთა მთავარი ლიტერატურული-
ნიმუშები (ნათარგმნი თუ ორიგინალური). რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო,
ეს-ცილობდით ნიმუშების მთლიანი სახით წარმოდგენას. როცა ვიძლევიტ ნაწ-
ყვეტებს, ამ უკანასკნელთა მთლიანობაც არის გათვალისწინებული.

თვით მასალის არჩევას მთავარი ყურადღება მხატვრულ მომენტს ეძლე-
ოდა, უპირატესობას კი ჯერ გამოუქვეყნებელ ძეგლებს ვუთმობდით, ამიტომაც.
ნიმუშების დიდი უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. გამოცემულ ტექსტებს დი-
დის სიფრთხილით და, მართალია რომ ვთქვათ, ცხადი უნდობლობით ვეპყრო-
ბოდით. ყოველ ცალკე შემთხვევაში იძულებული ვაგვხდით პირველ წყაროების-
თვის (ხელნაწერებისთვის) მივებმართა, მაგრამ, განოაკლისის სახით, რამდენიმე
ტექსტი წინანდელი გამოცემის მიხედვითაც დაიბეჭდა (თვითეული ქვემოთ ცალ-
კე აღნიშნული).

ცხადია, შეუძლებელი იყო ტექსტების ვარიანტული ჩვენებით გამოქვეყნე-
ბა, ამიტომაც ჩვენ ასე მოვიქცით: შევარჩიეთ ცნობილ ხელნაწერთა შორის
უძველესი და საუკეთესო ნიჩნეული ნუსხები და ტექსტი უცვლელად ვადმოვი-
დით, ოღონდ ვასწორებდით ცხად წეცდომებს დამხმარე-საკონტროლო ხელნაწე-
რების საშუალებით. როცა ტექსტის დანაკლისი ხელნაწერთა ჩვენების გარეშე
აღდგენილი, ის კვადრატულ ფრჩხილებში ვვაქვს ჩასწული.

ო. თოგრაფიის საკითხშიც ჩვენ ხელნაწერებს ვიმიეორებთ, ოღონდ არ ვი-
ცავთ ე. წ. ზედრეტ ასოებს (ღ, ა, ჯ, კ, ჭ). ამის უფლებას ვეაძლევიდა, ჯერ-ერ-
თი, „ანთოლოგიის“ საერთო ხასიათი და დანიშნულება; მეორეს მხრით, ის.
სრული ქაოსი და უსისტელობა, რაც ხელნაწერებით ამ ასოების ხმარებაში შე-
სამჩნევი ხდება.

საერთო პრინციპიდან ჩვენ ორს შემთხვევაში ვადაუხვიეთ: მე-XVIII ს. მე-
ორე ნახევრის ხელნაწერებში (კერძოდ დავით რექტორის ვადაწერილ კრე-
ბულში, წ. კ. კოლექციის № № 1511—1512 და გიორგი ავალიშვი-
ლი ის—იმავე კოლექციის № 303 ნუსხაში, რომლებითაც ჩვენ სარგებლობა ხში-
რად ვვიხედვოდ) სხვა მრავალ ორთოგრაფიულ ნეოლოგიზმებთან ერთად (რაც
ანტონ კათალიკოსის სკოლამ წარმოშობა) მეტად ვაძლიერებულია ჰ-ს
მნიშვნელობა, ის ყველგან უადვილოდ არის ჩაჩიხრებული. ჩვენ მიინც საპიროდ-
დავიჩაბეთ ის უცვლელად დავეცტოვებია ზმნის ფორმებში, ხოლო სახელებში.
(როგორც მაგ. ჰსკოლა, მსხვაგისი, ჰშუენიერი და სხვ.) კი ვამოვტოვეთ.

გიორგი ავალი შვილი ამას გარდა ყოველად უმართებულად ხმარობს კიდეც ასო ყ-ს, მაგ. „გმივეცი“, ამ შემთხვევაში ეს „ინები“ ჩვენ ყველგან მოესპეთ.

უმარცვლო ჟ, რასაკვირველია, ყველგან ამოვადვით, ხოლო როცა ის ტა-ეპში მარცვლის როლს ასრულებს ი-თ არის გაზოხატული.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ შემთხვევაში ჩვენ ვბეჭდავთ ანბანთ ქებას (იხ. გვ. 173—177) და მაშინ, ცხადია, ზედმეტი ასოებიც უნდა დაგვეცვა. ესევე ითქმის ამ ასოებზე, როცა ისინი ციფრების მაგივრად არიან გამოყენებული.

ამ საერთო შენიშვნების შემდეგ, ცალკე ტექსტებს შევიხებით.

1. ამბავი სიოაშისა (გვ. 3—9)—„როსტომიანის“ ანუ „შაჰ-ნამეს“ ნაწილია და ჯერ გამოუქვეყნებელ ტექსტიდან იბეჭდება. ძლითად ხელნაწერად გამოყენებულია უნდა. სიძველეთა მუზეუმის წ. კ. ფონდის № 406, დამხმარე-სა-კონსტროლორ კი ამავე ფონდის № 428 (უმთავრესად) და 1580.

2. ხვარაზმელთა ამბავი (10—20) „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ციკლიდან არის ამოღებული. თავის დროზე იგი დაბეჭდილიც იყო სარ. კაკაბაძის მიერ, როგორც შოთა რუსთველის პოემის ორგანიული ნაწილი¹, მაგრამ მასზე დამყარება არ შეიძლებოდა და ჩვენ იძულებული გავხდით უშუალოდ პირველ-წყაროსთვის მივვემართა. სახელდობრ ჩვენი ტექსტის საფუძვლად წ. კ. № 2829 ხელნაწერია აღებული. დამხმარე ხელნაწერებია ამავე ფონდის №№ 5006, 4499.

3. იოსებ-ზილიხანიანის ნაწყვეტები (21—77) ძველი, მე-XVI ს., უცნობი ავტორის რედაქციის მიხედვით მოგვყავს. ტექსტს ვებეჭდავთ გ. ჯაკობიას გამოცემის² მიხედვით, რომელიც ჩვენს პირობებში სანიმუშო გამოცემად უნდა ჩაითვალოს.

4. ომაინიანის ნაწყვეტი (28—33) პირველად ქვეყნდება. ტექსტის საფუძვლად წ. კ. № 4988 ხელნაწერია აღებული, დამხმარედ № 3163.

5. თეიმურაზ პირველის თხზულებათაგან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოცემული და ისიც უმსგავსოდ (გამონაკლისს ს. გორგაძის კრიტიკობაში დაბეჭდილი „ვარდ-ბულბულიანი“ შეადგენს). ჩვენ ვეცადეთ „ანთოლოგიაში“ უმთავრესად მისი ჯერ გამოუქვეყნებელი ნიმუშები შეგვტანა.

ა. წამება ქეთევან დედოფლისა (34—41) იბეჭდება პირველად. საფუძვლად აღებულია ორი ხელნაწერი წ. კ. № 342 და სიძველეთა № 1635. ორივე ნუსხა ერთ და იმავე პირის, ცნობილ ვადამწერის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის, მიერ არის შესრულებული და ერთ და იმავე რედაქციულ ტექსტს წარმოადგენს. ორთავე ამ ნუსხაზე უმჯობესი აღმოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დეფექტური წ. კ. № 403. ნაწილობრივ გამოყენებულია წ. კ. № 1511 ხელნაწერიც.

ბ. მაჯამა (42—51) თეიმურაზის ერთი საუკეთესო ნაწარმოები და ალრობინების პერიოდში ამ ჟანრის უმთავრესი ძეგლია³. იგი დაბეჭდილიც იყო ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში,⁴ ხელნაწერებში ტექსტი სხვადასხვა შედგენილობით არის დაცული. იმ სახით, როგორც ეს გამოცემაშია, მხოლოდ წ. კ. № 1512 ხელნაწერს შემოუნახავს. უკანასკნელი ყველაზე უსრულესი ნუსხაა, თუმცა ცალკე ხანებს გარდა ამას მთელი მე-V თავიც აკლია. ნაწილობრივ სრულია წ. კ. № 2442 და 1516. მაგრამ ტექსტის ხელნაწერებში შესწავლა ცხადს ჰყოფს, რომ ყველაფე-

¹) ვეფხისტყაოსანი ს. კაკაბაძის რედაქციით. ტფილისი, 1914.

²) იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები. I, ტფილისი 1927.

³) ამის ცხადი გავლენის ქვეშ არის დაწერილი ჩვენს კრებულშივე დაბეჭდილი არჩილის: ლექსი აქა-იქ ნათქვამი (გვ. 113—117) და ვახტანგის: მაჯამა (გვ. 137—142).

⁴) ლექსნი, თბუღნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან. თფილისი, 1886.

რი, რაც გამოცემშია, საკუთრივ მაჯამას კუთვნილებად არ შეიძლება რომ მიჩნეულ იქნას. აგრეთვე, როგორც ესთქვით, აქ ცხადი დანაკლისებიც გვაქვს. ჩვენი ტექსტი წ. კ. კოლექციის ყველა ხელნაწერების შესწავლაზეა დამყარებული. ეს ხელნაწერებია №№ 342, 1511, 1512, 3706, 1508, 1516, 2442. ამ შემთხვევაში არ შეგვეძლო ჩვენი საერთო პრინციპით გვეხელმძღვანელა და გამოცემის საფუძვლად ერთი რომელიმე ნუსხა მიგვეჩინა. სამწუხაროდ არც ერთი მე-XVII-ს ნუსხა არ გვაქვს და, რაც მთავარია, ყველგან ტექსტი წარყვნილია და დამახინჯებული. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა თვით მაჯამას ტიპის ლექსთ-წყობის სისტემაში უნდა ვეძიოთ. მთელი ინტერესი აქ სიტყვების და რითმების მოხერხებულ კომბინაციაშია ე. წ. ონონიმების დაპირისპირებაში. ამ ნიადაგზე შესაძლოა ბშირად ვირტუოზული შედეგის მიღწევა. მაგ. რომ ავიღოთ I₁:

მზე ცულ მაშვარალობს, ვენ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა,
სხვამ. შენგან კიდე, სამყარო ვინ გაისახლა, ისარა?
მელნისა ტამან გიშერი ტურად ვარ ივლო, ისარა,
მუნით მკრა გულსა, ტყვე ქმნილსა, ჭლახ, შავმან შეილდმან ისარა.

ესამ ხანაში „მაჯამა“ (ეს ტერმინი რომ პირობითად ვინმაროთ) ისარა. პირველი ტაეპის აზრი ცხადია და განმარტებას არ საჭიროებს. მეორე ტაეპის „ისარა“ იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც წინამორბედი სიტყვა გაისახლა და ნაწარმოებია სრა [სასახლე]-დან. მესამე ტაეპში გვაქვს სარი, მეტაფორაც რომ განემარტოთ მთელი ამ ტაეპის აზრი ასეთი იქნება: თვალმა (თვალს გუვამ) გარეშე შემოვივლო (შეპოილობა) სარებად გიშრის ფერი (შავი) წამწამის ტყე. მეოთხე ტაეპის „ისარა“ ისარს, შეილდ-ისარს გულისხმობს¹.

ამ მაჯამაში დამახასიათებელია ის გარემოება, რომ „ისარა“ სამს შემთხვევაში ერთგვარად იწერება და ერთგვარადვე გამოითქმის, ოღონდ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ეს უფრო სადა, მარტივი ფორმაა მაჯამასი. გვაქვს უფრო რთული ფორმებიც, როგორც VI₁:

დავლე საწუთრო შენებრაე—მო ის რა ვნახე, ა ის რა!
ეს მიკვირს: გული ქვა-ქმნილი, ვით ვგრე ერთ წამ აისრა!
მკითხვიდენ შენნი მნახველნი: „თუ არ მზეაო ა ის რა“?
მე უთხარ: „მისი სამყოფი მნათობთა გვერდით, აი სრა!“

აქ მაჯამა „აისრა“, რომელიც სამს შემთხვევაში სხვა და სხვა გვარად არის დატეხილი, დანაწილებული. შესაძლებელია პირველი ტაეპი ძლიერ წარყვნილი იყოს ხელნაწერებში, ან ჩვენ შესაფერისად არ გვექონდეს გაგებული. ყოველშემთხვევაში დანარჩენი ტაეპები არავითარ ეჭვს არ იწვევენ.

ებლა ხელნაწერებს, ან გამოცემას, რომ მიემართოთ—იქ „მაჯამა“ ყოველთვის ერთსახედ (აისრა) არის წარმოდგენილი და, ცხადია, ამით ტექსტი სრულიად გაუგებარი ხდება. სხვათა შორის ამაში ბრალი თვით ავტორებსაც მიუძღვით. როგორც ირკვევა მაჯამები მათ ხელიდანაც ასე ერთსახედ აწყობილი გამოდიოდა და მკითხველის უნარიანობაზე უნდა ყოფილაყო დამოკიდებული მასი ცნობიერებაში ანალიზი, დანაწილება. ამაში დაგვარწმუნა არჩილის და ვახტანგის მაჯამების შესწავლამ, რომელთაც ჩვენამდე ავტორების რედაქტირებულ ხელნაწერებში მოუღწევიათ ასე ერთფეროვანი და გაუგებარი სახით.

¹ რასაკვირველია მაჯამას მიზანი ყოველთვის მიღწეული არაა და ბშირად მხოლოდ ორი-სამი ონონიმი გვაქვს ხანაში.

უეცო გადაწყვეტილების ხელში ისედაც გაუქვებარი ტექსტი უურო მახინჯ-დებოდა. ამიტომაც მაჯამას დღევანდელი საზე ხელნაწერებში პირდაპირ ქაო-ტიურია, და ჩვენ ვეცადეთ ტექსტი ვარიანტული წაკითხვების ჩვენებით იმ სა-ხით დაგვედგინა, როგორც ეს გამოცემული ვაქვს. უნდა გულახდილად ვალიაროთ, რომ „მაჯამას“ გაგება მეტად ძნელდება. ხშირად პოეტი ონონი-მების ძებნის პროცესში უცხო, არქაულ ან კილოკავებში ცნობილ სიტყვებს მიმპართავს. ცხადია ბევრი რამ ჩვენთვის გაუქვებარი იყო. ჩვენ შეძლების-და-გვარად ვეცადეთ ტექსტი შეგვესწავლა და შედეგი მკითხველისათვის წარმო-გვედგინა¹. ეს პირველი ცდაა და ამდენადვე შეცდომები მოსალოდნელიცაა და, ვფიქრობთ, გასამართლებელიც.

„მაჯამას“ შედგენილობის საკითხში ჩვენ მოლიანად ვიზაარებთ პროფ. კ. ქეკელიძის მოსაზრებას². ეს თხზულება მართლაც სხვადასხვა ოდების ან ხოტბების კრებულაა. შესავლისა და ბოლოსიტყვაობის გარდა „მაჯამა“ რვა ოდისაგან შედგება. ოდების სათაურები ჩვენ გვეკუთვნის და ასეთები დასაწყისი ტაეპის პირველი სიტყვებიდან ვაქვს შედგენილი³.

ც. ჩივილი სოფლისადმი (52—54) გამოცემაში „მაჯამას“, წ. კ. № 342 ხელნაწერში „ვარდ ბულბულიანის“, ხოლო № 403⁴, შემოდგომის და გაზაფხულის დაბაასებას⁵—გაგრძელებად არის წარმოდგენილი. ჩვენ ეს ცალკე გამოკავით და შინაარსისდა მიხედვით შესაფერი სათაურიც მივეციოთ. ტექსტი წ. კ. №№ 403 და 342-ხელნაწერიდან იბეჭდება.

დ. ლელი-მაჯნუნიანს (53—63) შემოკლებით ვებეჭდათ. ტექსტი პირველად ქვეყნდება, საფუძვლად № 403 ხელნაწერი დაედო.

ე. ხილთა ქება (64—66) იბეჭდება პირველად. ტექსტი ამოღებულია წ. კ. ხელნაწერიდან № 1512.

ვ. ბარამ-გურანიანი (67—79) მოლიანად ვებეჭდეთ მე-VI⁶ ეპი-ზოდს. ტექსტი პირველად ქვეყნდება. საფუძვლად აღებულია სიძველეთა მუზეუ-მის ხელნ. № 664, დამმარედ—წ. კ. № 4529 და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგ. № 932.

გ. „სამაინის“ ნაწყვეტი (80—82) ი. აბულაძის გამოცემიდან⁴ იბეჭ-დება.

დ. რუსულანიანის მე-VI კარი (83—90) პირველად იბეჭდება. გამო-ცემის საფუძვლად წ. კ. ხელნ. № 3698 არის გამოყენებული, დამმარედ—წ. კ. № 2541.

ე. მეფეთა სალარო (91—95) ცნობილია ერთად-ერთი დევექტური ხელნაწერით, სიძველეთა № 617, საიდანაც არის ამოღებული ჩვენი ტექსტიც. არაკები შერჩევით არის გამოკრებილი. სათაურები ჩვენ გვეკუთვნის. ტექსტი პირველად ქვეყნდება.

ვ. არჩილის თხზულებანი ავტორის მეთვალყურეობის ქვეშ გადაწე-რილ ხელნაწერებიდან, სახელდობრ წ. კ. № 424⁵ და 2663, არის ამოღებული.

¹) სამშუხაროდ შეუძლებელი იყო ჩვენი გამოცემის კომენტარებით დატვირთვა, რაც ბევრ რამეს, ალბად, ნათელს მოჰფენდა.

²) შდრ. ქარ. ლიტ. ისტორია II, 395—398.

³) მე-V ოდის [დაბაასება ლეინისა და ბავისა] არსებობა პირველად პროფ. კ. ქეკელი-ძემ აღნიშნა და დაბეჭდა კიდევ თავის „ლიტ. ისტორიაში“, ოლონდ იქ არაა მე-4 ხანა, რო-მელიც წ. კ. № 342 ხელნაწერსაც აკლია. აქვე შევნიშნავთ, რომ ხელნაწერებში საუკეთესოდ №№ 342 და 3706 უნდა ჩათვალოს, ჩვენც ამ ნუსხებს მერ ანგარიშს უწევდით.

⁴) შპა-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტიფლისი, 1916.

⁵) ვქ. თ ა ვ ი ძ ე ლ ი ს ა ლწერილობაში ეა ხელნაწერი, ალბად კორექტურული შეც-დომით, № 426-დ არის აღნიშნული (Опублцие рукописей и др. пастр. гр. № 135 (II, 133).

ა. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა¹ს (96—106). მოზრდილი ნაწილი „სოფრება მეფის თეიმურაზ პირველისა“ პირველად პ. იოსელიანმა გამოსცა 1853 წელს. შემდეგ „არჩილიანის“ სახელით მთლიანად (თუმცა ზოგი რამ ამასაც აკლია) ლ. შაჩიტაძემ 1888 წ. ქუთაისში.

ბ. გაბაასება კაცისა და სოფლისა (107—112) და ც. ლექსი აქაიქ ნათქვამი (113—117) პირველად იბეჭდება (ბ—ამოკრეფით არის შედგენილი, ც—მთლიანად ქვეყნდება).

12. იაკობ შემოქმედელის „ქება არჩილისა“ (118) არჩილის თხზულებათა კრებულიდან (წ. კ. № 424) არის ამოღებული. პირველად ის გამოქვეყნებული ჰქონდა ე. თაყაიშვილს¹.

13. დიდ-მოურავიანის ნაწყვეტები (119—122) ამოღებულია წ. კ. ხელნაწილიდან № 15, რომლის გადაწერა ავტორის დროს დიდად არ უნდა იყოს დამორბეული. ძველი გამოცემები² უვარგისია. სხვათა შორის ჩვენს უძველესს ხელნაწერში პოემა თავებამთ დაყოფილი არაა და, მაშასადამე, ამ მხრითან. ფურცელადის მოსაზრება მართლდება³.

14. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებანი:

ა. წიგნი სიბრძნე-სიკრუვისა (123—131) რამდენჯერმე გამოცემული. სამწუხაროდ არც-ერთი ოდნავ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ჩვენი ტექსტი იბეჭდება სიმეველთა მუზეუმის ხელნაწერის № 858 და წ. კ. № 3011 მიხედვით. პირველი ნიქ. ჩაჩიკაშვილის კარგად ცნობილ კრებულს წარმოადგენს. აქ ტექსტი ნაკლებია, რაიც მეორეთი შევავსეთ. ეს უკანასკნელი (№ 3011) ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისევე შეილების კორნილიეს და თომას გადაწერილია და რედაქციულად მაშის ტექსტს იმეორებს მთლიანად, ამიტომ საფიქრებელია იქიდანანვე უნდა იყოს გადმონუსხული.

არაკების სათაურები ჩვენ გვეკუთვნის.

ბ. მოგზაურობა (132—134) კდ იენისამდე პირველად ქვეყნდება. ეს ნაწყვეტი ცნობილი ვახდა საისტ-საეთნ. საზ. ნუსხით № 93 და, ჩანს, უცნობი უნდა ყოფილიყო თვით „ციკერის“ რედაქციისთვის, რომელმაც ეს საყურადღებო ნაწარმოები გამოაქვეყნა 1852 წ. (№№ 1—4).

ტექსტი იბეჭდება შემოკლებით.

ც. ქალი (135) ქილია და დამანადან არის ამოღებული, უკანასკნელის შესახებ იხ. ქვემოდ ვახტანგ მე-VI-სთან.

15. ვახტანგ VI:

ა. ბ. წერილი ლექსები (136) მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი. დან“ ვეაქვს ამოღებული. უკანასკნელი ორჯერ დაიბეჭდა, პირველად ალ. ხახანაშვილის⁴ ხოლო მეორედ გ. ლეონიძის⁵ მიერ. ორივე უვარგისია⁶. ჩვენ ესარგებლობდით წ. კ. ხელ. №№ 1550 და 303. ამათგან პირველი მ. ბართათაშვილის ავტოგრაფს წარმოადგენს.

ც. მაჯამა (137—142). ამაზე შემდეგი მოსაზრების გამო შეეჩერდით: ჩვენ გამოვარკვეით, რომ ეს არაა ვახტანგის ცალკე ნაწარმოები, როგორც ეს ამდენხანს იყო მიღებული, არამედ გამოკრებილია მწერლის სხვადასხვა თხზულებათაგან და, მაშასადამე, ვახტანგის შემოქმედების საერთო სურათს იძლევა. სახელდობრ „მაჯამა“ შემდეგ ნაწარმოებთაგან არის გამოკრებილი:

¹) იქვე, 135, (II, 154).

²) პლ. იოსელიანის 1851 წ. ი. იმედაშვილის და ქეელიძის 1897 წ.

³) შტრ. ვიორჯი სააკაძე და შისი დრო. მეორე გამოცემა, 1911. გვ. 47, შენიშვნა.

⁴) მოაბე, 1900, XI.

⁵) ტფილისი, 1920.

⁶) ოლონდ. გ. ლეონიძის გამოცემას დართული აქვს „ქაშნიკის“ ავტორის საინტერესო ბიოგრაფია.

I. მეფე ვახტანგ სამეფოსაგან კიდევან ქმნალი სალბუნად გულის წყლუ-
ლებათათვის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ
ქირმანს¹.

II. მოცალბასა შინა მყოფსა, კმუნვა ნაელისა მაქარებელად იწერების
საქართველოს მეფის ვახტანგის მიერ დიდსა ქალაქსა მოსკოვსა შინა, წელსა
1730².

III. აქა შაირობანი ფრიად პატიოსანი უფლისა და ყოველთა წმინდათა
მიმართ, მისგანვე, მეფის ვახტანგისაგან, სულიერად ნათქვამი. არა ხამს სხვასა
რასამეზე.

აქა იწყებინან ტრფიალთაგან სატრფოსაგან შაირობა და მკითხველთა
უხამსთ გულისხმიერება, თუ ვისდამი ტრფიალებს. სახმარ არს ყური სმენად და
გული გამოკლებად³.

ჩამოთვლილ თხზულებათაგან საგანგებოდ გამოკრებილია „მაჯამები“, მაგ-
რამ აღსანიშნავია, რომ მთლიანად აღებული ეს არაა მექანიკურად შეკოწიწე-
ბული ხანების კომბინაცია.

გამოცემაში თხზულებას ნაკვეთებად ვყოფთ. (ანალოგიური ცდა პირველად
პროფ. კ. ქეკელიძე მ მოახდინა, ჩვენ ოდნავ დავშორდით მის დალაგებას⁴).
თვითოველი ნაკვეთი გარკვეული შინაარსის შემცველია.

„მაჯამა“ იმ სახით, როგორც ეს იბეჭდება, ცნობილია მხოლოდ წ. კ.
№ 1543 ხელნაწერში. უკანასკნელში ტექსტი საშინლად დამაბინჯებულია და
წარყენილი. ჩვენ ამიტომაც უშუალოდ იმ წყაროებს ვივმართეთ, საიდანაც ეს
თხზულებაა გამოკრებილი. სახელდობრ წ. კ. № 4500, რომელიც 1773 წ. 19
ივნისს დაუმთავრებია ვახტანგის მდივანს კ ა ვ კ ა ს ი ძ ე მ ე ლ ქ ი ს ა დ ე გ ა ბ ე-
ლ ი ს შ ვ ი ლ ს. ეს ხელნაწერი ნაწილობრივ ვახტანგის ავტოგრაფს წარმოად-
გენს, რადგანაც მას საკუთარი ხელით შეუსწორებია და გადაუყუთებია თითქ-
მის მთელი ნუსხა.

№ 4500 ხელნაწერის დეფექტური ადგილების შესავსებლად ვსარგებლობ-
დით წ. კ. № 526, რომელიც ბ ა ქ ა რ ი ს ძ ი ს ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ა ლ ე ქ ს ა ნ დ-
რ ე ს ე უ ლ ი ხელნაწერის პირია და რედაქციულად პირველს (№ 4500) მისდევს.
(„მაჯამა“ მთლიანად № 4500-ის რედაქციულ ტექსტს იმეორებს). ოღონდ აღ-
სანიშნავია, რომ უკანასკნელი (მე-IX) ნაკვეთი არც № 526⁵ ხელნაწერშია და
იძულებული გავხდით ის № 1543-დან დაგვებეჭდა. ისიც სათქმელია, რომ და-
სახელებული ნაკვეთი „მაჯამა“ არც არის და თუ კრებულში შემოვიტანეთ
მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ № 1543 ხელნაწერის მთლიანობა დაგვეცვა.

დასასრულ საქიროდ მიმანია შევნიშნო, რომ „მაჯამას“ წარმოდგენილი
სახით გამოკრება შესაძლოა გადამწერელსაც ეკუთვნოდეს და არა თვით ვ ა ხ-
ტ ა ნ გ ს, მაგრამ, რასაკვირველია, ტექსტისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა
არ აქვს.

d. ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა (143—158) იბეჭდება ი. კ უ რ ი ა ს გა-
მოცემის⁶ მიხედვით. საცილობელი ადგილები შემოწმებულია წ. კ. № 3183
ხელნაწერთან. არაკების სათაურები ჩვენ გვეკუთვნის.

1) წ. კ. ხელნ. № 4500, გვ. 245.

2) იქვე, გვ. 266.

3) წ. კ. № 526, გვ. 23.

4) შდრ. ქართ. ლიტ. ისტორია II, გვ. 428—430.

5) ექვ. თაყაიშვილის აღწერილობაში ეს ხელნაწერიც კორექტურული შეცდომით № 256
არის შეტანილი.

6) ტფილისი, 1886.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში საერთოდ მიღებული აზრით (რომელსაც პირადად ჩვენც საკუთებით ვიზიარებთ მთელი რიგი ურყევი მოსაზრებათა გამო) ქილილა და დამანას პროზის თარგმანი ვახტანგს უნდა ეკუთვნოდეს, ლექსები კი სულხან-საბა ორბელიანს. ამიტომაც ერთი ნაწყვეტი (ლექსად) ჩვენ სულხან ორბელიანის თხზულებებში მოვათავსეთ (135).

ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო გაზღუდილი ცდა ქილილა და დამანას გამოცემული რედაქცია მთლიანად ორბელიანის ნათარგმნად გამოცხადებულიყო¹. ჩანს ამისი ნებისითი, თუ უნებლიეთი გავლენის ქვეშ პატივცემულმა ს. გორგაძემ თავის ქრისტომატიკაში ამას სანქცია უყო და თავის მხრით შემდეგი ფორმულა მოგვცა: „სულხან ორბელიანმა უმჯობესად დაინახა მთელი წიგნი თავიდან გადმოეთარგმნა და ამგვარად ჩვენს მწერლობას შესძინა ინდოელთა სიბრძნის საუცხოო ნაწარმოები „ქილილა და დამანა“².

16. პეტრე ჩხატარაიძის ჩახრუხაული (159—160) პირველად ხდება ცნობილი. ტექსტი ამოღებულია წ. კ. ხელნაწერიდან № 355.

17. თეიმურაზ მეორე:

a. გაბაასება ღამისა და დღისა, ანუ სარკეთქმულთა-ს ქორწილის ამბავი (161—172) პირველად ქვეყნდება³. გამოცემას საფუძვლად დაედვა წ. კ. ხელნაწერი № 342, დამამარედ წ. კ. №№ 106 და 1103.

b. ც. დ. კიდურ წერილობა (172—173), ანბანთ ქება (173—177) და რუსთველთან გაბაასება (177—179) წარმოადგენს ერთ მთლიან, სამიჯნურო ხასიათის ნაწარმოებს, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა პროფ. კ. კეკელიძემ⁴. ტექსტი იბეჭდება წ. კ. № 1512 ხელნაწერის მიხედვით, სადაც შემდეგი სრული სათაურება გვაქვს:

I. კიდურ-წერილობა, თქმული საქართველოს მეფის მეორის თეიმურაზისგან პეტრებურს 1761 სა წელსა, სექტემბრის 12-სა დღესა (გვ. 1262).

II. ანბანთ ქება, ლექსად თქმული მეფის მეორის თეიმურაზისა, წელსა 1761, დეკემბრის 10-სა. ვისზედაც ზემო აკროსტიხი ლექსად ბრძანა, ესეც იმაზედ არის (გვ. 1265)

III. ყოველთა მელექს[ე]თა უმჯობესსა, დიდსა, ფილოსოფისა მკოდნესა, ბრძენსა რუსთაველსა ზედა ბაისი მეფის მეორისა თეიმურაზისაგან პეტრებურს (გვ. 1271).

III₂. მიგება ბრძნის რუსთველისაგან, მისვე მეფის მეორის თეიმურაზისადმი და მისგანვე პასუხად ნათქვამი (გვ. 1273)⁵.

e. სასახლის ქება (179—181) იბეჭდება № 1512-ის მიხედვით. სათაური პროფ. კ. კეკელიძეს ეკუთვნის⁶. ტექსტი პირველად ქვეყნდება.

f. თიმსარიანი (182—186) იბეჭდება ე. თაყაიშვილის გამოცემიდან⁷.

18. მამუკა ბარათაშვილის ლექსები a—h (187—192) პირველად ქვეყნდება. გამოცემა დამყარებულია წ. კ. ხელნაწერზე № 303. i—k (192—193) ამოღებულია „ქაშნიკი“-დან.

¹) საკითხის განხილვა აქ, რასაკვირველია, შეუძლებელია. ჩვენ განზრახული გვაქვს მას სხვა დროს და სხვა ადგილას ცალკე შევხვით; ჯერ-ჯერობით კი პროფ. კ. კეკელიძის საფუძვლიან ნარკვევს დავიმორწმებთ (II, 305—311).

²) ე. თაყაიშვილი, *Орнамент*, 44 (1.302—347).

³) ჩვენი ძველი მწერლობა, 1927, გვ. 265.

⁴) ამ თხზულების პირველი, სასულიერო ნაწილი გამოცემულია ქუთაისში გრ. ქორქაშვილის მიერ 1870 წ.

⁵) II, 441—443.

⁶) „რუსთველთან გაბაასება“ დაბეჭდილიც იყო „ივერია“-ში 1879 წ. № 7.

⁷) II, 439.

⁸) ტფილისი, 1903.

19. დავით გურაძის შვილის თხზულებანი (194—220) რამდენიმეჯერ არის გამოცემული. ყველაზედ საყურადღებოა პ. უმიკაშვილის გამოცემა¹. რედაქტორი გურამიშვილის ავტოგრაფით (წ. კ. № 1598) სარგებლობდა და, ბუნებრივად, კარგ პირობებში იყო ჩაყენებული. ჩვენ ხელახლად შეუდარეთ ტექსტი ხელნაწერს და გამოცემის შეცდომები გავასწორეთ. აღსანიშნავია, რომ რედაქტორს ზოგი რამ ცენტზორული მოსაზრებით უნდა გამოეშვა; ჩვენ ასეთები აღვადგინეთ და იშვიათი გამონაკლისის გარდა მთლიანად დავბეჭდეთ.

ტექსტი შერჩევით და შემოკლებით იბეჭდება.

20. დ ი მ ი ტ რ ი ს ა ა კ ა ძ ე (221—224) იბეჭდება პირველად. გამოცემა დამყარებულია წ. კ. ხელნაწერზე № 303.

21. ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „პეტერჰოფის“ ნაწყვეტი (225—226) ამოღებულია წ. კ. უნიკუმ ნუსხიდან № 2770. იბეჭდება პირველად.

22. დ ი მ ი ტ რ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (227—229)—წ. კ. 303². იბეჭდება პირველად.

23. ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს „ეპიტაფია“ (230—231) დაბეჭდილი იყო „წყობილ-სიტყვაობაში“³. ჩვენ ტექსტი შევასწორეთ წ. კ. ხელ. № 1-ის მიხედვით.

24. ზ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს „კატის ომი“ (232—237) პირველად დ. ჩუბინიშვილმა დაბეჭდა⁴. ამ გამოცემის საფუძვლად დასდებია ამ ჟამად წ. კ. კოლექციაში დაცული ხელნაწერი № 3704⁵; გამოცემაში ტექსტი ძალზე გადაშუშავებულია, გადაკეთებულია ცალკე სიტყვები და ფრაზებიც კი (ზოგი რამ ცენტზორული მოსაზრებითაც). გამოშვებულია სათაურები, ტაეპები და ერთი მთელი ხანაკი (52). ჩვენ ტექსტს მთლიანად ვბეჭდავთ დასახვლებული ხელნაწერის მიხედვით. ალაგ-ალაგ წარყვნილი ტექსტი წ. კ. № № 1511 და 395 ხელნაწერებით შევასწორეთ. აღსანიშნავია, რომ ეს ორი უკანასკნელი გამოცემიდან დიდთ განსხვავდება რედაქციულად. ამას გარდა თხზულება ის აკ მ ც ი რ ე ს მიწერება შემდეგი სრული სათაურით:

„ბრძოლა ძლიერთა კატისა თავუთა მიმართ და თავუთა სამთა სხუთა გუართა ცხოველთა თანა შეწევითა — კატისა მიმართ; რომელი იქმნა მეფობასა სპარსთა შორის ძლიერისა მეფეთ-მეფისა შაჰუნ-შაჰსსა, რომელსა ნადირ შაობითცა უხმობდენ კაცნი სპარსეთისანი.

თქმული შიარად (?) ი ს ა კ მ ც ი რ ი ს ა მიერ, რომელმან დალეკსა პირის-პირად მოთხრობანი ჰამბაეთა მისთანა“ (№ 1511, გვ. 519).

25. ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ლექსები (238—243) ს. გ ო რ გ ა ძ ი ს გამოცემის⁶ მიხედვით იბეჭდება. ამ საყურადღებო გამოცემას პოეტის ბიოგრაფია აქვს წამმღვარებული და ტექსტი საინტერესო კომენტარებით არის შემკული.

26. ს ა ი ა თ ნ ო ვ ა (244—246) ამოღებულია ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს საინტერესო მონოგრაფიიდან ამავე სათაურით („საიათნოვა“)⁷.

27. მ ზ ე ქ ა ბ უ კ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „ძეობაში თქმული“ (247—248) დ. ჩუბინიშვილის ქრისტომატიანაშია დაბეჭდილი (II, 87—88). ჩვენ ვაპო-

¹) ტფილისი, 1881.

²) კვემოდ ასე შემოკლებულად აღენიშნავთ.

³) გამოსცა პლ. იოსელიანმა 1853 წ.

⁴) ქრისტ. 1863, II, 22—27.

⁵) შდრ. Опис. 155₃₅ (II, 259, შენ. 2).

⁶) ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), ტფილისი, 1912.

⁷) ტფილისი, 1918.

ცემას საფუძვლად ხელნ. № 1512 დაედვა. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერებში ძეობის ობიექტი სხვა და სხვაა; № 1512-ით აქ გიორგი ირაკლის ძე იგულისხმება: „მხეპაბუკ მდივანბეგის ორბელიანისაგან თქმული, როდესაც აწნა დედოფალი დაწვა, მეფის ირაკლის მეუღლე, გიორგიზედ, მაშინ ეს „მზე-შინაო“ ითქუა ძეობაში“. დანარჩენებით კი (№ № 1543, 1516, 3723¹), თითქოს ბატონიშვილის ქეთევანის ძე... „თქმული ბატონიშვილის ქეთევანის ძეობაში, გიორგი რომ დაებადა“.

ამათში სწორია პირველი ცნობა.

ბ. ანახანუმ დედოფლის და ქაბუას გაკამათება (248) ამოღებულია
წ. კ. № 3686 ხელნაწერიდან.

28. დიმიტრი ბაგრატიონის „ელისაბედიანი“ (249—255) იბეჭდება ვრცლად, ოღონდ მე-IV თავი შევამოკლევო. ეს თხზულება ნაწყვეტებად დ. ჩუბინი შვილსაც აქვს გამოცემული (II, 73—82). ჩვენს გამოცემას საფუძვლად დაედო წ. კ. ხელნ. № 4921, სადაც თხზულების ვრცელი რედაქციაა წარმოდგენილი. დამხმარედ გამოყენებულია № 3723 (აქ მოკლე რედაქციაა).

29. მამუქა გურამიშვილი (256) იბეჭდება პირველად. — ხელნ. № 303.

30. ქაიხოსრო ან დრონიკაშვილის „მიჯნურობაღე“ (257—266) ნაწყვეტებად დ. ჩუბინი შვილის ქრისტომატიაში დაიბეჭდა (I¹, 10—21). ჩვენი ტექსტი ორიგინალთან შედარებით ოდნავ შეზოკლებულია. გამოცემის საფუძვლად გამოყენებულია წ. კ. ხელნ. № 1511, დამხმარედ — № № 118 და 2776.

31. დავით სარდლის ლექსი (267) ამოღებულია წ. კ. № 3686 ხელნაწერიდან და № 3723-სთან არის შეწამებული. თავის ქრისტომატიაში დ. ჩუბინი შვილმა ეს ბესიკის ნაწარმოებად დაბეჭდა (II, 106—107).

32. მანანას „გაბასება ცივებასთან“ (268—269) საინტერესო კრიტიკული ესკიზით დ. ასათიანმა გამოაქვეყნა 1927 წ.³ ჩვენი ტექსტი ხელნ. № 1511-ის მიხედვით იბეჭდება.

33. მირიან ბატონიშვილის ლექსები (270—271) გადმობეჭდილი გვაქვს ე. თაყაიშვილის გამოცემიდან⁴.

34. მარიამ ბატონიშვილის ლექსები (272—274) იბეჭდება პირველად. ტექსტი გამოცემულია წ. კ. ხელნ. № № 1512 და 3723-ის მიხედვით.

35. ქეთევან ბატონიშვილი (275—276) იბეჭდება № 1512 და 3723-ის მიხედვით. ეს ლექსი პირველად დ. ჩუბინი შვილმა გამოაქვეყნა (II, 111—113).

36. თეკლა ბატონიშვილიც (277) № 1512 და 3723-ის მიხედვით იბეჭდება. ნაკლულად გამოქვეყნებული აქვს ჩუბინი შვილს (II, 113).

37. ფარნაოზ ბატონიშვილის ლექსი (278—279) № 1512-დან არის ამოღებული და № 3723-სთან შედარებული.

38. დავით ბატონიშვილის მუხამბაზი (რა იქნება... გვ. 280—281) № 1521-დან არის ამოღებული. პირველად ეს მუხამბაზი „ივერიაში“ დაიბეჭდა⁵. „გამიფრინდა“... № 3686-დან იბეჭდება. ეს უკანასკნელი ჩუბინი შვილის ქრისტომატიაში შეტყობით პ. ლარაქის მიეწერება (II, 122).

¹) ოპიც. 150,³⁶ (II, 223).

²) შტრ. ოპიც. 141₂ (II, 174); 177₂₈ (II, 311); 182₁₁ (II, 329). ასევეა ჩუბინი შვილის გამოცემაშიც. № 1576 ბ და 2385-ს სათაური არ აქვს.

³) ქართული შწერლობა № 5, გვ. 94—105.

⁴) ოპიც. 182₃ (II, 343—348).

⁵) 1879 წ. № 7—8. გვ. 185. შტრ. ი. გრიშაშვილის ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ლექსიკონი. ჰარისას ქვეშ.

39. ს. ლეონიძის „მოთქმით ტირილი“... (282—285) იბეჭდება წ. კ. ხელნ. № 50-ის მიხედვით. დაახმარეთ გამოყენებულია წ. კ. ხელნ. № 1630დ. ტექსტი პირველად პ. იოსელიანმა გამოაქვეყნა (ვამოცემა შეცდომებითაა საესე) ¹.

40 პეტრელარაძის ლექსები (286—287) ამოღებულია წ. კ. ხელნ. № № 155 (ავტოგრაფია) და 387. ტექსტი პირველად ქვეყნდება.

41. დავით რექტორი (288—289) იბეჭდება წ. კ. ხელნ. № 105-ის მიხედვით (ავტოგრაფია). ტექსტი დაბეჭდილი იყო დ. ჩუბინიშვილის ქრისტომატიასშიც (II, 109—110).

42. ზაალ ბარათაშვილი (290) იბეჭდება № 1512-ის მიხედვით. ესეც ჩუბინიშვილს ჰქონდა დაბეჭდილი (II, 117).

43. ბარამ ბარათაშვილი (291) იბეჭდება პირველად.—ხელნ. № 1512

44. გიორგი თუმანიშვილი (292) „ „ „

45. დიმიტრი თუმანიშვილი (293—294) „ „ „

46. ოთარ ქობულაშვილი (295—296) „ „ „

47. გოდ. ფირალიშვილი (297—98) გადმობეჭდილია ავტორის გამოცემიდან ².

ამით მოვასრულებთ კრებულის ტექსტის მიმოხილვას. სათქმელად ის ლა დამჩინია, რომ მიუხედავად ყოველგვარ ღონისძიებათა კორექტურულ შეცდომათაგან თავის დაღწევა შეუძლებელი დარჩა (ხშირ შემთხვევაში ბეჭდვის პირობებისა გამო), ამიტომაც პატივცემულ მკითხველს დაბეჯითებით ეთხოვ წიგნის სარგებლობამდის ტექსტი შეასწოროს ქვემოთ დართულ კორექტურულ შეცდომათა ცხრილის მიხედვით.

დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აქ აღვნიშნო, რომ „ანთოლოგიის“ შედგენაში ჩემი მასწავლებლის, პროფ. კ. კეკელიძის, მუდამ თავაზიანი რჩევა-დარიგებით უხვად ვსარგებლობდი.

ალ. ბარამიძე.

ტფილისი, 8—IX—23.

¹) ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, 1895, გვ. 65—71.

²) საზოგადო მდივნობაი, ს. პეტერბურგს, წელსა ჩუკა. ლექსი შერჩენია მხოლოდ უნივ. ბიბლიოთეკის წ. კ. კოლექციის ერთად ერთ ეგზემპლარს ბ. 8⁰. 58. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი თავდაპირველად ხალხურ ნაწარმოებად იყო მიჩნეული, ს. გორგაძემ კი გამოარკვია, რომ ის გ. ფირალღეს შეუთხზავს (ქართული მწერლობა 1927, № 2, გვ. 84—86).

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება *)

გვერდი სტრიქ. (ან ხანა)	არია	უნდა იყოს
12	25 ₂	დანაცემული
44	სათაური	ტურფა ხმა შეენიერებით
49	13 ₂	სხვითა
75	87 ₃	აქიმა
78	124 ₃	მესმენს
90	19	დიდელმან
105	83 ₃	მათი
"	83 ₃	ცუმა
146	11	რაისმა
148	24	სიმარტივისა
150	14	გვეულმა
153	17	მეს
163	27 ₂	სახლულებსა
175	11 ₂	ცთომლს
185	3	მიაბანოვემ
"	4 ქვ.	მანა
186	5	ასასა
"	14	ჩარდში
"	15	გამოგზავნაო
"	22	მიიხედა
"	5 ქვ.	დავიდებინებთ
196	7 ₂	მან ანა
"	7 ₃	მანანა
"	7 ₄	მან ანა
197	26 ₃	საკარ-კაცე
199	1 ₂	გულზე
200	7 ₂	გარდმომებადა
203	6 ქვ.	ერთმანერთშია
205	20	დვრინავს
"	32	გაყუვა
212	4	ჩაიცოამ
289	1 ₃	დამცეის
299	20	Rodekünste
300	8	1646—76 წ.
"	24	რა
		დანა ცემული
		ტურფა ხარ შეენიერებით
		სხვითა
		აქიშია
		მესმენს
		დიდებულმან
		მათს
		ცემა
		რაისა
		სიმარტოვისა
		გველმა
		მე
		სახლულებსა
		ცთომილს
		მეაბანოვემ
		მანამ
		ასასსა
		ჩადრში
		გამომგზავნაო
		მიიხედა
		დავადებინებთ
		მანანა
		მან ანა
		მანანა
		სიკარ-კაცე
		გულზე
		გარდმომებადა
		ერთმანერთშია
		დვრინავს
		გაყუვა
		ჩაიცომ
		დამცეის
		Redekünste
		1646—47 წ.
		არ

*) სასვენი ნიშნები მხედველობაში მიღებული არაა.

აღმოსაზრების პერიოდი

მე-XVI-XVIII სს

ბეთაქსგებუა საუკუნა

სერაპიონ სოგრაბის ქე საბაშვილი

ამბავი სიაოშვისა

აქა ტუსისა და გოდერძისაგან დუღესის მინდორში სანადიროდ წასვლა და თურქის ქალის მოყუნა

- 1 დღესა ერთსა ტუსი, გივი ნადირობად გამოვიდეს, ქორ-ავაზით, შავარდნითა ორძოცს დღესა ინადირეს, დუღესისა მინდორშიგა კანჯრის ჯოგსა მედგრად სერიდეს, და წყლისა პირსა შამბი იყო, მას ცხენ მალედ მიმართვიდეს.
- 2 წინა ტუსი მიუძლოდა, უან ლაშქართ დაინახეს, შამბთა შიგა მზისა მსგავსი ტურთა ქალი დაინახეს, სხვა მისებრი ვის უნახავს, გაუკუირდათ, სულთქმით ახეს, და გივმან უთხრა: „აქ რასა იქ, ჩემთა თვალთა მთვარედ გსახეს.“
- 3 ქალმან თქვა თუ: „მამისაგან საქმე ასრე მამივიდა: ერთს ლამესა მამა ჩემი მთვრალი შინა შემოვიდა, მან ხანჯალი მოიწვალა, ჩემად მოკულად წამოვიდა.“ და გვარი ჰკითხეს: „ვისგან ხარო“—ფალაფანთა გაუკუირდა.
- 4 ქალმან თქუა: „ნათესავი ვარ მე თვითონ გარსევაზისი, მართლად მკითხავთ, წვრილად გეტყუი, მე გვარი ვარ ფრიდონისი“. „მარტო რამან მოგიყუნანა?“—ქუეთობა ჰკითხეს მისი, და მან თქუა: „სხვაცა ბევრი მქონდა, თავს მეხურა თავი ისი.“
- 5 ცხენი დამიდგა, ქუეთი აქ მოველ შეშინებული.“ მათ ფალაფანთა რა ესმა, გული აქუს გაკუირებული, ტუსიმ თქუა: „ხელმწიფეს შევსძლუნათ, წავიდეთ მალე რებული“, და გივმან თქუა: „მე ნადირსა ვსდევ არ ვიყო მოცდუნებული.“
- 6 ტუსი იტყუის: „ეს მთვარეა, მით არა ხამს მოკულა მისი.“ გივსა უთხრა: „წაიზიდე, ვქნა შემოსვლა შუა მისი, ჩვენ მივევაროთ ხელმწიფესა“,—დაუჯერა გივმან ისი და ვის უბოდოს ხელმწიფემან, პირმზე იყოს ესე მისი.
- 7 გივმან ზედა წაიზიდა, ქალსა მეტად შეეშინდეს. აღარ მოკლა, დაიპირეს, ხელმწიფისკენ წამოვიდეს. შინ შევიდა, ეთაყუნეს, პირ-მთვარესა ქალს მიგურიდეს, და რა ქექაოზ დაინახა, ქუა-ცნობანი წაუვიდეს.
- 8 „ომერთმან ჰირი მოგაშოროს“—მათ ხელმწიფე ულოცვიდა, ავაზისგან დაპირულსა ამისთანას ვინ ნახვიდა, უსაზომოდ მოეწონა, პირ მთვარესთან შეგზავნიდა და თქუა: „მოკვანამეთ ხელმწიფურად“.—ერთი წელი გამოვიდა,

- 9 ხელმწიფესა მოახსენეს: „კოკობი ვარდი გაივსო, თქუენის ტახტისა საფერი შვილი გამოვა, რომ ისო, ხორციელს არვის ენახოს, ქებით ქუეყანა აივსო.“
- და მეფემან ბრძანა: „სახელი მისი სიაოშ არისო.“
- 10 ესე საქმე როსტომს ესმა, ხანი რამე გამოვიდა, ნასვე წამსა შეიყარა, ხელმწიფეს წინ წამოვიდა, მოახსენა: „ხელმწიფეო, — რა სალამად შემოვიდა,“
- და „საკადრასად გაზრდა უნდა, აწ რომ ვაკი გამოვიდა.“
- 11 ლომის ლეკუისა გამზრდელი ჩემთანა არ იპოვების.“
- ხელმწიფეს ესე იამა, იგ როსტომს შეევედრების: „მამისა თვალის სინათლე შვილი თქუენ წაგეყუანების.“
- და სავარდე ჰქონდა სამყოფად, რა ზაულს მიიუუანების.
- 12 მან ისწავლა ცხენოსნობა, ისრის სროლა, საგდებლისა, სადავისა ხელთა ქონა, ნოხმარება ავჯანდისა, მეჯლიშობა, მოტყეება ქორისა და შავარდნისა.
- და გაიზარდა, არვინ იყო ქვეყანაზედ მსგავსი მისა.
- 13 სიაოშს ადვილ შეეძლო საგდებლით ლომი, დაქირვა, როსტომს უბრძანა: „წავიდეთ, ხელმწიფის ნახვა აქირვა, შენ გამზარდე, მან მნახოს, აწ მოგვხვდა თემთა დაქირვა,“
- და როსტომ თქუა: „ხალე წავიდეთ,“ — სიტყუითა არ შეაქირვა.
- 14 ოქრო-ვეცხლი, ოქროს ქედი, ტანს საცვამი ყოვლისთანა, ცხენები და ხრმალ-ქარქაში, სხვა არ იყო იმისთანა, ყოვლენიამე მოიტანეს, წაიყუანეს, წაჰყუა განა,
- და ის სიაოშს არ მოაწყენს, მხიარული მიზღვეს თანა.
- 15 რა დადვიან საშიშს ალაგს, მუშკ-ამბარსა იგ დასწვიდეს, მას უქვრეტდეს ერდო-კართა, ქალნი გარედ გამოვიდეს, ცხენსა შესხდეს, წამოვიდეს, ხელმწიფესა მომართვიდეს,
- და შარიარსა ქაოზს ესმა, სიანლესა რა მოვიდეს.
- 16 გივსა და ტუსის უბრძანა: „წადით თქუენითა გვარითა, თან ფალანგები იახლეთ, ბუქსა და ქოსსა ჰკარიითა.“
- მივიდეს, როსტომს თანა დვას, სიაოშ პილოს ტანითა ახალსა აღვის შტოსა ჰგავს, მტერთა დაღვედა ზარიითა.
- 17 სამას-სამასი ლომ-გული იყო ყოველსა ყურესა, ყოვლთა სულდგმულთა მოსწონდა, ლაშქართა შეიყუარესა, რამან მიწამან გამოსცა, იგ ღმერთსა ეთაყუანესა,
- და სრულ ვრანელნი ქექაოზს მას დღესა ეთაყუანესა.
- 18 ბალი, სახლი, სავარდენი მუნ აივსო კარგებითა, ივეს, შეექცნეს, ერთს კვირასა, არ ღვინისა ქარგებითა, მერვეს დღესა ხაზინათა კარი გახსნეს არ ვებითა,
- და სიაოშს მისცა ხრმალ-ჯავშანი და მოკაზმა ზარბაბითა.
- 19 ცხენი, ტახტი მოკაზმული შესათფერი უნაგრითა, ზუფთანნი და ბარგისტანი, იგ მოკაზმა საომრითა, სახელმწიფეო ოქრო-ვეცხლი, მარგალიტი არ დათვლითა.
- და საბატონო ყუელა მისცა, უგვირგვინო მართებს ვითა.

20 მას გვირგვინი მით არ მისცა, ჯერ ყმაწვილი ვაჟი იყო, მანამდე დაუმტკიცა, რაც ქაიანთ წესი იყო, გაეარსუნის თემი მისცა, შესაფერი მისი იყო, და სხვა მისთანა არ ყოფილა, სიხარული მისთვის იყო.

აქა ამბავი სიაოშისა სიკუდილისა და როსტომისა და ერანელთა და თურანელთ დიდი მტერობა.

21 ქაოზ დაყო ტახ ჭოსანმან ას სამოცდა-ათი წელი, მებჭეთე ძე ფრიდონისი, სრულ ერანის შარიერი, არს ხელმწიფისი ერაჯისა, იგ მორკმული სასურველი, და მაღალი და მოვლენილი, მისთა მტერთა მომსპოველი.

22 პატრონი ზალდასტანისა და როსტომ გმირთა გმირისა, სხვათ ფალაევანთა მრავალთა: ტუსის-ნოდარის შვილასა, გოდერძი ქიშვადიანთა, ნორჩი ალვისა ზრდილისა. და ქაოზს ძე ესევა, სიტურფით ცისკარი არის დილისა.

23 ლუთისა მოსავი, რჯულ-წმიდა, შემკული არსთა მკობითა, მარჯვნიტ მკლავს იყო ნიშანი ზოსროლისა ცნობითა, უშენგს, ტომერანს და ჯიმშედს იგი სჯობს სამართლობითა, და სისხოთ და სიბრტყით როსტომს ჰგავს, ალვასა—ნაზარდობითა.

24 ერაჯის, თურის და სალიმს სჯობს, ფრიდონსა დაადარესა. სახელად ერქუა სიაოშ, ძე ქაოზისა ბრძანესა. სევდაოზ - დედის ნაცვალი, გვანდა გაესილსა მთვარესა, და ბანოვანთ თავი, ლამაზი, ანათობს ხმელთა არესა.

25 სიაოშის სურვილითა სევდავ ხელსა დაემგავსენეს, წვევად საქმედ ბილწებისა გონებანი გაეზრახნეს. „მე ძე თქუენი შვილად მინდა, სულნი მისთვის გამეზარმნეს, და შემოვიდეს სადღედოფლოს, მე და თქუენი ქალნი გვნახნეს.“

26 ქექაოზს ჰკადრა სევდაოზ რა ესე მოციქულობა: „მე დედა ვარ და ეგე ძე, ჰფეროდდეს ჩემი შვილობა, ნახვითა გავიხარებდეთ, ვის ჰშენის ალვა ზრდილობა, და თუ არა მნახავს, კმუნვა მქირს ამისთვის, გულ-ნაკლულობა“,

27 ქექაოზ ესე სიაოშს წიგნად უბრძანა, არ ენით, შესთვალა: „სევდავს უხმინარ, წადით და შეიყარებით, ბანოვანთ თავი, ტან სარო ზოაოლსა დაედარებით, და თქუენი დანი და ჩემი მზე ნახვითა გავიხარებით.“

28 შვილად გეძებს, წადი, ნახე, იყავ მათთან შინაური“. ესე საქმე დაუმძიდა, სიაოშის დაქვინა გული, თუ ჯრჩ ვექმნა—ვა თუ გაწყურეს, არ მიუყურა ქაოზს ყური, და თუ წავიდე—ავად მოხდეს, საქმე იყოს ეშმაკური.

29 თქუა: „დედისაგან წვეული გული რად ლამის დაშლასა,“ თავსა გაებრქო, დაასკუნა, მერმე ლამოდა წააელასა. ეტლსა და ღმერთსა შიენდო: „თუ არ წავიდე ვიქ რასა? და აწ ჩემი ხმობა რა იყო, გული მიმხდარა სხუას რასა“.

30 ადგა და გამოემართა ტურფა, ტყავ-საყუროსანი, იაგუნდისა გვირგვინით, ოქროსა სარამუზოსანი, რა საღვთოთა შვიდა იგ იადონი მგოსანი, და მას დანი წინ მოეგებნეს, სევდავ ბროლ-ბალახშოსანი.

31 ოქროსა ტახტსა სიაოშ გვერდსა დაისვა ლხინითა, ბროლისა თეფში სევდაოზ მას წინ დაუდგა ხილითა, ლალისა თასი დალივეს ხოშ გოვართა ღვინითა, და სიაოშს უთხრა: „დედა ვარ, შენ შვილი ჩემგან ზრდილითა.“

32 არ გმართებს ჩემი სიშორე, ტანს გნუყეყე. აქა არებდეთ, დანი და მამისა ცოლნი ნახეთა გავიხარებდეთ, არავენ მოსწონს მკურეტელთა, სევდასა გავიქარებდეთ, და თუ ნახვა დაგვიძვირდება, ლახვარსა გულსა ვარებდეთ“.

33 შეატყო და მას სიაოშ არა ვასცა ყოლ პასუხი, საღამომდი ქამა იყო, სევდავ არის პურად უხვი, ადგა, შინა წამოვიდა ლომი ხმელთა მონაბუქი, და წმიდათა ეს თან ზიარი, სამოთხესა არ აუვი.

34 კულავ სევდავ კაცი გაგზავნა: „თავნი ქაოზთან არენით, აქ ოდენ იყო სიაოშ, გულ ტკბილად გავიყარენით, ფიცი დავდევით ჩვენ შუა, დედა-ძედ შევიყარენით, და კულავცა უბრძანე, ნახეთა მისიჲა გავიხარენით.“

35 დანი და დედა ასულნი კულავც გენახოს, შეექნათ პურობა, გამოვისვენოთ ნახეთა, არ გექონდეს გულ ნაკულლობა“. ქექაოზ ჰკითხა მას კაცსა: „რა იცი, სადაურობა?“ და თქუა გაგზავნილმან მასთანა სევდავის მოციქულობა.

36 ქაოზ ბრძანებს: „წადი, შვილო, პირი მზე და სარო ტანა“, თქუა სიაოშ: „მე და გივსა დავეცი ხვალე პაიმანი, მინდოჩს წავალთ სანადიროდ, გაგზავნენით კულევად სხვანი, და ხვალ, მიბრძანებ, სევდავ ვნახო ბანოვანნი ჩემნი დანი“.

37 მფეე ბრძანებს: „მხველისათვის კაცი დაშლის მხეცთა სრვასა, ახლა დედა გიშოვნია, ნუ ატკივნებ გულსა მასა, გივის საქმე ჩვენცა ვიციით, ნადირობა მასთან ხამსა, და სჯობს, რომ ხვალე უპაემრო, აწ ეწვიე სევდავ მზასა“.

38 ეწყინა და ველარა თქუა, გული მისი ენთებოდა, გაგზავნილსა თანა წაყუა, ტირის, თავსა ებრკობოდა. დანი წინა მოეგებნეს, ტახტსა დაჯდ, შეშვენოდა, და სამსა ღლესა ნადიმი ქნეს, თქმა ვითამცა ეგებოდა.

39 რა პურობა გაიყარა, ბრძანებს: „წადით ვინც არ გვინდი“. სევდავ იტყვის: „გონიერო, რადგან სკმუნავ, გაცალიმდი. შეხედვითაც შეგეტყობის: გიყვარვარ და შენთვის გინდი, და მისთვის დაუბადებვიარ, განგებასა შენთვის უნდი.“

40 საშოცი ქიქა ვასცვალოს, კაცსა ეტყობის ბერობა, მამასა შენსა მე დაგხნა, არა ექნა შუა მტერობა, სუაადი ეზესა ახალი მომხვდები ნებიერობა, და შენი იქნების გვირგვინი, ერანის შარ იერობა“.

- 41 პირი-ვარდი გაუყუთოლდა, რა სიაოშ ყურად ილო, თქუა: „რა არის ვაგებულო, სატანამან ვით წაგილო, შენგან წახდეს მამა ჩემი, მე ცოცხალმან ნათელ ვილო? და წყეულმც არის იგი მიწა, შენ ნაყოფად გამოგილო“.
- 42 ესე რა თქუა, ფიცხლად ადგა პილოტანი წამოსავლად, სევდაჲ კალთას მოეკიდა, ენთებოდა ცეცხლი გულად: „სიჩქარითა ნუ წახდები, საქმე გქონდეს სინანულად, და თავს მოვიკლავ შენს წინაშე, ან წაგახდენ ვიცი სრულად!“
- 43 არ დამორჩილდა სიაოშ, ჰქონდა გულისა ტკივილი, კალთა დაძრო სევდაოზ, შექნა ტირილი, კივილი. საყელო გარდაიხევა, ქექაოზს ესმა ტირილი, კაცი გაგზავნა საცნობლად, შექნა ამისთვის ჩივილი.
- 44 შესთვალა: „შვილად სიაოშ მუჟანდა გულითა ჩემითა, ჩემთანა წოლა გაჰპირა, ჩვენ იგი არა ვქენითა, თმითა მათრია, მუტელი მან გამიზილა ცემითა, და თუ არ გამივლენ, იცოდი თავსა მოვიკლავ ხელითა“.
- 45 ესმა ქექაოზს ამბავი, იქნა პირ-გაყუთოლგებული, თქუა: „საწუთროსა ვემდურევი მე მისგან გაიწარებუელი, სამსალა თერიაყთანა ესევი ერთად შეზავებული“.
- და სხვა არა გასცა პასუხი იგონებს შექირვებული.
- 46 სევდაჲ მოასხნა დიაცნი, ჯერ შობად არ მოწეული, ვაჟი მოსწყუიტა, შეასვა წამალი ანახლეული, თავი შესვარა სისხლითა, ტირის, იზახის წყეული, კაცი გაგზავნა საცნობლად, მეფე დგას ცნობა ბნეული.
- 47 მეფე ნახვად წამოვიდა, გააკუირნა მისნი მქერეტნი, სადედოფლოს შემოვიდა, არ გულს ადგა ნათლის სვეტი, სევდაჲ ვაჟი წინ მიუგდო, სხვის დიაცის მონაწყუეტი და თავი სისხლით შეღებული მას უჩვენა დანაწყუეტი.
- 48 არ დაიჯერა ქექაოზ ეს საქმე შეილისეული, იყო რჯულ-წმიდა სიაოშ, ღვთისა მოსავი, რჩეული. კაცი გაგზავნა სახმობლად, ტიროდა ცრემლ დათხეული. და ფიცხლად მოვიდა წინაშე წამებულთ თანა ქკუელი.
- 49 უთხრა: „შვილო გონიერო, არ მერიდე საწყინარსა, როგორ გავსძლო უშენობა, არ გიქვრეტდე წყალ-ჯავარსა, სხვა შენებრი არ უნახავს მიწის პირსა, ცასა მყარსა, და ანუ ცოლსა გავეყარო, შესამაროს მიწა მკულდარსა.“
- 50 თქუა: „როდეს მიხმეს, მაშინვე არ ვაპირებდი ხლებასა, ვიწყინე, საქმე ვიპირე, ვპირობდი დაალებასა, არ წავილოდი, ამისთვის ვხედვედი დაპირებასა, და მეწადა, მე ვერ ვიქმოდი ბრძანების შეცილებასა.“
- 51 აწ ფათერაკსა დაბმულ ვარ, რა უთქუამს—მე არ მიქნია, მოუგონია სევდაოზს, გულსა არა მიც ივ მია, მიღალი ეტლი მოწმად მყავს, რას მეუბნების ის დია, და მე თუ რა ბრალი შემკრევედეს, მალალი ღმერთი მიგმია“.

- 52 რა ესე თქუა, წამოვიდა, გაებრკობის ცნობა გულსა, როსტომს ჰკითხავს: „რით გავმართლდე ერანელსა სპასა სრულსა, გოდერძის და ტუსის, გივსა, ფალავანთა მათ ქებულსა, და თავი ცოცხლად აღარ მიხნდა, სახმალს გაველი აგზებულსა“.
- 53 ათი მხარი განი ჰქონდეს და სამასი სიგრძე ველსა, იქით-აქეთ შეშისასა ზღუდეს ვაგებ საშინელსა, მას ცეცხლისა სახმილად ვიქ, სანახავად საზარელსა, და მასშიგ გაველი ტან შიშველი, ღმერთი მიზამს არ უქნელსა.
- 54 მართლად დამწამა—დავიწვა, მიპოვით დაეალებული, სევდავ რაცა თქუა მიქნია, ვარ თურმე მოყინებულნი. ღმერთმან ქნას მოგზაზე მშვიდობით, ვიქნები გამართლებული. და ტუთილად არის ნათქუამი ეს ჩემთვის დაწამებულნი“.
- 55 ეწყინა და ფალავანთა დაშლით ვერა დაუგვარეს, სევდავ და ხელმწიფემან ეს სიმაართლედ დაუჯერეს. სამსა დღესა მვეირეთა საშინელი შეშა ყარეს, და ერთი მხარი გზა დააგდეს, შუა გავლა დაამყარეს.
- 56 პირ-დაბანილი ილოცავს ერთსა კუირასა ღუთისაგან, ცეცხლი მოუდვა სახმილსა, უმძლავრე გრგვინავს ზღვისაგან, იტყოდა: „მოსამართლეო, ვინ შემქმენ შე თიხისაგან, მართალი ვიყო—ნუ დამწვევ, წმიდა მყავ აუგისაგან“.
- 57 შეეკაზმა, ცხენსა შეჯდა სახმილისა გავლა შრეტად, ერანელნი შეიყარნეს უმრავლესნი ქუთის მეტად, გოდერძის და ტუსის, გივსა თვალთ ცრემლი სდის არ დაწყუტად, და სევდავ და თვით ხელმწიფე გამოვიდეს მისად კვრეტად.
- 58 ნახეს ყოვლთა გაუკუირდა სახმილი გაერთებული, თქუეს: „ნუ ყოს ღმერთმან შეშეება, ვიქნებით ვაგლახებული, აქ ანდამატი შევიდეს, ვიპოვით დაეალებული, და სხვა ვინ ცოცხალა დღესითგან ცეცხლითა გამართლებული“.
- 59 სიაოშ ცეცხლსა მიმართა, მამის საქმესა ჩიოდა: „თუ შემცოდე ვარ—დავიწვა“—ამას ხმა მალლა ყიოდა, შეუტოლარი მოგზარები, ზეგარდმო ცვარი სცვიოდა, და ტიროდეს მისთვის ყოველნი, თვალთ ცრემლი ჩამოსდიოდა.
- 60 ცეცხლი გავლო, არ უნახავს ცის კიდემდის თვალსა ჩუენსა, ერთი ბეწვი არ დასწოდა თვითან მას და მისსა ცხენსა, გარდამოხდა, შემოქმედსა პირ-დამხობით თაყუნს სცემსა: „მე დამიცვე შეუწველად, შენ მეტი ხარ ბრკეთა-ბრკესა“.
- 61 რა ქექაოზ შვილი ნახა ცეცხლისაგან შეუწველი, მან შესწირა შემოქმედსა მისთვის მადლი საშინელი, სევდავ ტახტით ჩამოაგდო, ქუსლი დასცა საცემელი, და სიაოშის თანა ზრდილთა თქუეს: „გაუშვათ რადგან მთელი“.
- 62 თვით ბარამ გოდერძის შვილი, სხვათ ფალავანთა შვილები, ლამოდეს მისსა სიკუდილსა, მახვილი ჰქონდათ წვდილები. იმათ სიაოშ გაუწყრა: „თქუენგან არ გავიწილები, და რადგან გავმართლდი, არ მიხნდა ხელმწიფე ანატირები“.

63 ქაოზ შვილსა აკოცებდა, მორჩომასა ულოცვიდა,
მერმე ყელსა მოეხვია, თვალისაგან ცრემლსა ღვრიდა,
დაუწველად ნახვისათვის ღმერთსა მადლსა შესწირვიდა,
და გულ ნათელად გაიყარნეს, მეფე სადგომს წამოვიდა.

64 სევდაოზ იტყუის: „სიაოშ მორჩა როსტომის გრძნებითა,
ზალდასტანისგან სწაელული საესეა ხელოვნებითა,
ბარამს არ მოაკულევიანა თვითან თვისისა ნებითა,
და მისთვის უნდოდი საცოლოდ პირი-მზე მოწონებითა“.

ვეფხისტყაოსნის გაბრძნობა

აქა ტარიელის დასწავლება და ხვარაზმშა მეფისაგან სისხლის ძე-
ბნად მოსულა ინდოეთს

- 1 საწუთროო უხანაო, სიმუხთლისა სენი გვირსა.
უწინ ცათა გაყუანილსა ჩააგდებო დიდსა ქირსა,
და გააყუთილებ ქარვის ფერად პირველ ლალსა განამკვირსა,
და კარგად ვერვინ ვერა ნახავს კაცსა შენგან დანაქირსა.
- 2 აწ, გონიერო, სიტყუანი მოსმენით შეიწყნარენით:
ძველი ნარჩომი ამბავი ლექსად ვთქუენ, გაიხარენით.
სარგისს დაურჩა უთქმელად, ჩვენ ესე დავაბრალენით:
და ლექსი მიქენით ამისთვის, ენანი მამახმარენით.
- 3 გრძლად ავად გახდა ტარიელ სენთაგან მორკმით მპყრობელი,
დიდი ინდოთა ხელმწიფე, მეფეთა ზედა მფლობელი,
და ოთხ წელ ზედა წვა ლოვინად, ძრავალთა სენთა მშობელი,
და ველარა ვნახეთ მხეცთა სრვით და ვერცა რაზმთა მწყობელი.
- 4 ესმა ხვარაზმშას ამბავი—ტარიელ მწოლი სენისა,
ვით გაეხარნეს, სმენამცა გაქუს ჩემგან მონახსენისა,
და ვაზირნი იხმო, რჩევად ზის, ბრძნად უბნობს, არ ავ ენისა,
და იტყუის: „გადინოთ ინდოეთს სისხლი რუდ ასავსენისა“.
- 5 მე მასმია, ინდოთ მეფე ტარიელ წევს ხანთა დიდთა,
აწ ჩვენ გუმართებს ძებნა სისხლთა, ნუ ვამოუვებთ დანამშვიდთა,
და ამოვსწყუიოთ, დავარბიოთ, ზედა ვსცუეთდეთ, ვითა ხიდთა,
ათასთა და ბევრ ათასთა შევიქმოდეთ მათთა შეილთა.
- 6 უტარიელოდ ინდონი ლაშქარი ნურა გგონია,
იციოთ თუ რამაზ რა უყო? არად არ სავარგონია,
და პირველ ბრძენთაგან სიჯაბნე მრავალჯერ ვამიგონია,
და აწ გუმართებს მისი მტერობა, ესე მით მამიგონია.
- 7 ვაზირთა ჰყადრეს: „მეფეო, ვართ დედის მუცლით მონანი,
მაგა საქმისა ვერ მქნელნი, ვართ აქამდისცა მონანი,
და ჩვენ მოგვეწონა თათბირი—ეგ თქუენი მონაგონანი,
და დმერთსა სწადს, ასრე სუბუქ ვქნათ, ვითა დრამისა წონანი.
- 8 თუ ბრძანოთ, აწვე გავგზავნოთ ყოლგნით ლაშქართა მხმობელი,
უხმოთ ხვარაზმთა ლაშქართა, მებრძოლთა დამამხობელი,
და ომისა მოწადინენა, ერთმანერთისა მსწრობელი,
და ჩაუქნი, აბჯარ ზნე-სრულნი, უჩაროთ დაუშრობელი“.

- 9 მეფემან ბრძანა: „გაგზავნეთ, ყოლგნით წასჷლა ხამს კაცისა, ნუ ვინ დადგების, მოვიდენ, რაზმი ვჰკრათ მართ მამაცისა, ნუვის დაეარჩინთ, ავსწყუიტნეთ ნაშობი მუნ დიაცისა, და ომ გარდახდილნი გაებრწყინდეთ, ვითამცა გუნდნია ცისა“.
- 10 წავიდეს ყოლგნით მხმობელნი ლაშქრისა ხვარაზმელისად, ინდოეთს ზედა აწვეედეს, გრძლად ხანსა დასაზმელისად, გულ მესისხლურად მებრძოლად, ყოლ არ მოწყალედ მხმელისად, და მოვიდეს იგ მოკაზმულნი ხშირად და სარაზმელისად.
- 11 ალღომი ნახა მეფემან ლაშქრისა მუნ მოსრულისა, ანგარიშ მიუხდომლისა, ინდოეთს გამართულისა, დროშისა ანგარიში ქნეს—ზრო გრძელად ამართულისა, და ოცი ათასი დაწერეს ალმისა წამართულისა.
- 12 ცხენ-კაცისა ანგარიში ველარაგის მოგვიგია, შუბი ოთხასი ათასი, ბასრის პირი დაუგია, გაემართნეს ინდოეთით, სისხლთა ძებნა დაუგია, და საქმე ყოვლი ზაბუნ-ქუში, ვამე, დიდი აუგია.
- 13 წავიდეს, მზღვარი დაადეს ხვარაზმთა სახელმწიფოსა, ინდოეთს მზღვარსა შეუხდეს, არბევენ, ვით სასწრაფოსა, ჰხოცენ კაცსა და დიაცსა, ტურფასა სანაყოფოსა, და ოხრად ვახდიან ქალაქსა, სამოთხედ დასამყოფოსა.
- 14 ესმა ინდოთა მეფესა სენთაგან დამძიმებულსა, ემატა სევდა სევდასა, აღარ ნეტარძი გებულსა, ბრძანა თუ: „მიყო სოცელმან მისგან არ გახარებულსა, აწ გნუქვე ომსა, ლაშქართა მათთვის არ დაზარებულსა.“
- 15 მამკალ, ვინცა ვინ ჩემს უფრო ამ სოფლისაგან ჩიოდეს, დამერთო სევდა სევდასა, გარდმიწყდეს ნეტარძი ოდეს! მაშინ რად არა შემკადრეს, როს ლაწუნი გაილალოდეს, და მას მივაგეს: ყუაილნი დაქკნეს, ფურცელნი ჩამოსცვიოდეს.
- 16 მგზავსად იზახდა ტარიელ, არ გვანდა გახარებულსა, კაცნი გაგზავნა ყოველგან. ბრძანება მისცა რებულსა; ფიცხლა უბრძანა ინდოთა: „უამს მოდით მოსწრაფებულსა, თქუენ გნუქვე იმათს შებმასა და არცა დაზარებულსა“.
- 17 წამს შეიყარნეს ინდონი ლაშქრითა უთვალავითა, ცხენ-კეთილ, აბჯარ-სრულობით, მინდორთა მოსარწყავითა, დროშითა მრავალ ფერითა მეფისა, წითელ-შავითა, და ხრმლებითა ინდოურითა, კარგითა მოსაკაზმვითა.
- 18 წინ მოგებნეს ხვარაზმშას ბუკ-ტაბლაკ დაბდაბებითა, მალთა ტაიქებითა, გულმედგრად სარაკებითა, სპილოთა მეთომრებითა, ჩარხ-ნავაქ ზანდუქებითა, და რაზმითა მეტად გრძელითა, ხევთაცა გავაკებითა.
- 19 მთა იყო მეტად მაღალი, შუა ინდოთა თემისა, იქით დგას მეფე ხვარაზმშა, მფლობი ლაშქართა მსხმელისა, მას აქათ დადგეს ინდონი, მგზავსი ფურტურისა რემისა, და ომსა ხვალისად ასკუნიდეს, გესმის სიტყუანი ჩემისა?!

- 20 ცისკრად ჰკრეს ქოსთა, დაბდაბთა, ორთა ქიშვართა მეფეთა,
 ხუარაზმელთა და ინდოთა, მედგრად სისხლისა მჩქეფეუა,
 შეუტევეს და შეიბნეს, წყლულთა სცნობ სიიფეთა,
 და მათ სპათა ვერა ნახვიდი სიცილით ვარდის მკრეფეთა.
- 21 მედგრად იბრძოდეს ინდონი, ლაშქარნი უხელმწიფონი,
 ომსა ნაწვართნი, ჩაუქნა, ტურფანი სანაყოფონი,
 დია დახოცეს ორთავე მუზარად, ჯაკუ-საქაფონი,
 და ბოლოდ ინდონი გაიქცენეს, ხანსა არ დასამყოფონი.
- 22 ხვარაზმშა ვითა შეიბა, არათ არ გაგეგონების,
 შუბითა, ხრმლითა, ლახტითა, ისრითა მოგეწონების,
 თუ ნახავ მისთა ნაკრავსა, იგ როსტომ მოგეგონების,
 და ასრე ხამს, ვისცა საომრად ხრმალ-შუბი დაიგონების.
- 23 ხვარაზმშას სპანი უკანა მისდევენ გამარჯვებულნი,
 ჩამოაპყრიდიან, ჰხოციდიან, ამაყნი, ალაღებულნი,
 გახდეს ინდოთა მინდორნი, სისხლითა გაწითლებულნი,
 და ცეცხლებრ მოედუნეს ინდოეთს იგ სპანი გამეხებულნი.
- 24 ტარიელს წინა მივიდეს ინდონი ხრმალ-დაღეწილინი,
 ტატიეულ, გაწბილებულნი, შიშითა შემოხვეწილინი,
 აბჯარ ახლილნი, დატრკვილინი, ტან სარო შემოფრეწილინი,
 და ცხენ დადგომილნი, საბრალოდ, დაღრეჯით პირდახოკილინი.
- 25 ტარიელ იწვა სენთაგან დავარდნით დანაცემული,
 აწ ასრე გაბდა მწუხარედ, ვით გულსა დანაცემული,
 რა ესმა ასრე ეწყინა, ვით გველისაგან ცემული,
 და ლხინი მოსძულდა, არ უნდა არც ჩანგ-ბარბითი ცემული.
- 26 მოვიდეს, გარე მოადგეს ყოვლგნით ციხეთა გარეთა,
 ებრძოდეს ციხე-ქალაქთა, მოაოხრებდეს არეთა,
 ხოცდეს, სწვიდეს და არბევდეს, ცრემლთა ადენდეს მწარეთა,
 და აჯა არ გამოუღიან, არას არ მემუღარეთა.
- 27 გარეთ ყოვლგან წაუხუნეს ციხეთა სიმაგრენია,
 ვით უხენაროდ მიეპყრნეს, მიკუირდეს სიმედგრენია,
 ერთ წლამდის იყუნეს, ვაკედ ქნეს ინდოეთს კლდე და ღრენია,
 და მერმე წავიდნეს საესენი, სიცილით მომღერენია.
- 28 ტარიელ ორთა სენთაგან კულა უფრო დაჰმუნებულმან,
 მტერთაგან ამოწყუეტილმან. უსახოდ შეჭირვებულმან,
 არაბეთს კაცი გაგზავნა მტირალმან, მიჭირვებულმან,
 და ავთანდილს წურიალად აცნობა, ულონოდ შეჭირვებულმან.
- 29 რაცა პირველ სენი სკირდა, ყუელა წურიალად მიუწერა,
 მერმე ვითა ხუარაზმელთა მათთვის ძაძა შეეყვრა,
 ვით ერბია, ვით ეოხრა, ვით ქალაქი მოემტვერა,
 და ვით სოფელი მუხთალია, ჟამი ასრე დამემტერა.
- 30 კულა ფრიდონისას გაგზავნა სხვა კაცი ერთი ნავითა,
 მასცა აცნობა სოფლისა სიცრუე საბრუნავითა:
 „სენთა და ხვარაზმელთაგან ვარ ოდენ საფშვინავითა,
 და მტირალი სისხლის ცრემლითა, ქუე ვწევარ საქრინავითა.

- 31 აწ, ვითა გმართებს, გმირთა და ჩემსა ფიცისა ძმობილთა, აგრე გაფიცხდით, სასწრაფოდ გაწვევ საშველად ხმობილთა, თქუენთა ლაშქართა იმედსა ვარ ქუასებრ დაუღმობილთა.
და ომსა ნაწევართთა, ჩაუქთა, მებრძოლთა რაზმად წყობილთა.
- 32 რა ეს ფრიდონ და აეთანდალს ესმა ესე საწყინარი, გულსა ასე ლახურად ეცა, დასობოდა აწვე ნარი.
თქუეს: „გავეხედით საწუთროსა არას კარგი მოუბარი, და აქამდისი მხიარულნი, ვტირთ აღარას მოცინარი“.
- 33 თვითო კაცი ერთმანერთსა გაუგზავნეს შემკირნეთა, ინდოთა და ტარიელის საქმისათვის მომკირნეთა, პაემანი შეუქუეთეს: „დროთა დღენი ვიმკირნოთა, და ერთმანერთის ნახვისა და შევლისათვის მოსწრაფეთა“.
- 34 ოცდა ათსა დღესა შიგან ორნიე სწორად გაემართნეს, არაბთა და თურქთ მეფესა პირი მხეებრ ეწაღმართნეს, მუნ დრომანი ვერ დაეთვალენ, რომე იმათ აემართნეს, ვით დავწეროთ, თუ ხვარაზმმას რა საქმენი დაემართნეს.
- 35 მათ ორთავე ხელმწიფეთა უთვალავი სპა იახლა, უმრავლესი დროშა იყო, რომ აღამი აენახლა, ამოსწყუტენ მბრძოლთა მათთა, არ ტკბილად ვინ დავმზახლა, და მათი მბრძოლნი ხვარაზმელნი ველარ სადღენ დანახლა.
- 36 რა გაემართნეს ინდოეთს ნავითა სამენათთა, გზა-გზა ჰკაზმიდეს აბჯართა, ხვარაზმმას საპრუნათთა, სწრაფით დაღევდეს შარათა სანაო, არ სანათთა, და ხვარაზმელთათვის დასთხრიდეს საფლავთა საპრუნათთა.
- 37 მათ ორთავე ხელმწიფეთა, სრულად მათთა სამეფოთა აქიმები დაარჩიეს, თემთა კარგთა სამყოფოთა, რაზმ წყობილი წამოვიდეს, გზათა ვლიდეს სასწრაფოთა, და მოიზახდეს ნნასა მალლად, საბუჯ-ტაბლაჯ-სადაფოთა.
- 38 გამოვლნეს ზღვანი, მოვიდეს ხმელეთსა ტარიელისსა, ნახეს სენთაგან დაცემით—ტარიელ მგზავსი ბერისა, ორთა სენთაგან ჩიოდა, მტირალი მოამბე რისა, და თქუა: „გახდა თემი ინდოთა სისხლთაგან მონატბერისა“.
- 39 ნესტან-დარეჯან ტან სარო აწ აღარ იყო ლალია, სისხლისა ცრემლით მტირალი, უბნობდა იგიც ლალია, ზურგ მოჭეხით აქუს მას სევდა, ლაწვი აღარ სქვირს ლალია, და თქუა: „იყო ჩვენთვის ხვარაზმმა, მწყერთათვის ვით ალალია“.
- 40 წინ მოეგება მტირალი, პირითა მიღეულითა, აღარ მთვარულად სავსითა, არ ნათლად დიღეულითა, მართ ვითა ძლივლა ცოცხალა, სახითა მისეულითა, და თაყუანის სცემდეს იგ გმირნი, წესითა დარჩეულითა.
- 41 თაყუანი სცეს, უსალამეს, მოიკითხეს ერთმანერთი, მერმე ჰკითხეს: „ვით არისო ლომი, გმირთა შენაერთი?“ მან პირმხემან წურილად ჰკადრა: „სენი სქირსო ყოლ არ ერთი, და მისის ასრე ყოფნისათვის შეგვარისხეს ზეკით ღმერთი“.

- 42 მოიტირეს მათ, ლომ კაცთა, ტარიელის სნეულობა,
მერმე უმძიმს ინდო სპათა ტარიელის ძლეულობა,
ტარიელის ნახვა სწრაფით უნდა, ვით აქუს ჩვეულობა,
და ნახეს მკლედ და ფერ მიხდილად, გულსა სკარდა დაწყულულობა.
- 43 ვით დაეწერო: ვით ეწყინა ეს ამბავი მათ მეფეთა,
მათ მეფეთა ტარიელის შველისათვის მოსწრაფეთა,
ცრმელით ფიცვენ: „ხვარაზმელთა ვადენთ სისხლთა მოჰჩქეფეთა,
და ხვარაზმს მივალთ, მოვიმალელებთ მკლავ მაგარნი სიხაფეთა.“
- 44 მოასხეს, ზედ დააყენეს აქამნი ხელოვნებულნი,
ჟადრე გქურნებთო—“ფიცვიდეს—„ამას ვართ იმედებულნი“.
მოვიდეს სპანი ინდონი, ხანსა არ დაუკოვებულნი,
და წაელენ ფრიდონ და ავთანდალ მტერხედა გამარჯვებულნი.
- 45 სამთა მეფეთა დროშანი მუნ სამგან ამართულია,
ხვარაზმს მიდიან სასწრაფოდ, არ წყნარად გამართულია,
სხვათა მრავალთა თაიადთა ნიშანი წარმართულია,
და მე ვერ დაეთვალე: ამბავი ჩემგან ძნელ შემართულია
- 46 გაემართნეს სამესისხლოდ, ხვარაზმს მივლენ გმირნი ესე,
მზღვართა მათთა რა შევიდეს, ლაზოდ იუყუნეს სისხლთა მთესე,
მივიდეს და აწ ამათ ქნეს პირველ მათგან დანაწყესე,
და ჰხოცენ, სწვენ და აოხრებენ, მიუბრუნვეს რისხვა ზესე.
- 47 ხვარაზმშას ესმა ამბავი მისულა ინდოთა რაზმისა,
კულა შველად ხლება ფრიდონის, ავთანდილ მძლედ ნაკაზმისა,
იგი აჩქარდა, ხმობა თქუა ლაშქრისა მის ხვარაზმისა,
და სწრაფით მოვიდეს, ვერა ვთქუი: ყოფა შინ ხანსა დაზმისა.
- 48 წინ მოეგება ხვარაზმშა რაზმითა მრავალ კეცითა,
იზახდა: „ხაფად მებრძოლნო თქუენ ჩემო, გაიქეცითა,
სუ ჩითხაფთ, გიჯობს, სით მოხვალთ, მუნითვე შეიქეცითა,
და თვარ გათქმეიხო თუ: „ჩემთვის რისხვით ცა დაიქეცითა.“
- 49 ამას იზახდა ხვარაზმშა, ორთავე რაზმი გასწორდა.
შეიქნა შემოტეეება, მუნლა მშვიდობა გაქორდა,
ჰკარ, მოკალ, შეკარ, შეიპყარ იგ ხმა მრავალგან გაორდა,
და ბოლოდ ხვარაზმშა გაიქცა, ლეთისა წყალობა გაშორდა.
- 50 უკან მისდევენ ხვარაზმშას იგი ორნივე მეფენი,
ძალ გულად მგზავსნი ლომთანი, კბილიმცა მესადაფენი,
ხვარაზმშას სპანი ძლეულნი მიდიან სწრაფა-სწრაფენი,
და აიესნეს მათი მძლეველნი აბჯრითა მელათენი.
- 51 დროშა ინდოთა მეფისა შუა დგას სათავადოსა,
მარჯუენით დგას მეფე არაბთა, ომისა მოსაწყადოსა,
მარცხენით გმირი ფრიდონი კარგის სახეამიადოსა,
და ომ გარდახდილნი შვენოდეს, ჩამოხდეს უდილადოსა.
- 52 გარეთ ყოველგნით ოხრად ქნეს—ციხე, ქალაქი, ვაკობა,
კულა შიგანთაცა არ დაცხრა ომი და ბუკ-ტაბლაკობა,
მუნ მოიწია უთქმელი სისხლისა საარაკობა,
და ერთ წლამდის მათაც ოხრად ქნეს ვაკეა, თუ ხანდაკობა.

53 ამა შიგან ტარიელცა მოსჯობდა და დარჩა სრულად,
აბჯროსანი ვით შვენოდა, ვიკადრებდენ ამას სრულად,
მისთა მბრძოლთა გაიციდინდი: ძვალ ნაქართა, სისხლ წასრულად,
და ერთობ აყად დახოცილთა, გაპარჯულ, გაბასრულად.

54 ჟბრძანა ხმობა ლაშქართა, ვინ შინა დანარჩომია,
შესთვალა: „ხვარაზმს წავიდეთ, აწ ჩვენცა გუმართებს ომია.“
ძოკრთა ინდოთა ლაშქარი სიკეთე მიუწოთჳია,
და ოცი ათასი ქაბუჯი ხვარაზმშასათვის მწყრომია.

55 ცისკრად ჰკრა ნობა-დამდაბსა, გაემართა ლომი-ლომთა,
ხვარაზმს მიეა სამესისხლოდ, უქადედდა დიდთა ომთა.
გაუფხავნა წინა კაცი მათ ქაბუჯთა, ომს უშრომთა,
და შესთვალა თუ: „დავრჩი, მოვალ, გარდავასხამ სისხლსა ხომთა“.

56 მივიდა მახარობელი წინაშე მისთა ძმობილთა,
მისთვის თავისა წამებთა, მისთვის საშველად ხმობილთა,
მისთვის ტირილით მოსრულთა და მისთვის ჩამოქცრობილთა,
და მათ გაეხარნეს, აჩენდეს მათ მარგალიტთა წყობილთა.

57 წინ მოეგებნეს ტარიელს ზეიმითა და ზარითა,
გმირნი, ნაომარ-მნათობნი, შვენოდენ სიმწყაზარითა,
ყოლ არ ვაქრულად მოსილნი, ჯორ-აქლემ საბაზარითა,
და არცა მტერთაგან დაცრცვილნი, სიშიშველით დანაზარითა.

58 მოეგებნეს, უსლამეს, სიხარულით გარდაჰყოცნეს,
დარჩომა და გამარჯუება ერთმანერთსა მიულოცნეს,
უმრავლესი მათი ომი ათად უჩნდა, არ იოცნეს,
და ამოდ ყოფნა ხვარაზმშასი სიხმრად უჩნდა, არ იოცნეს.

59 ტარიელ ნახა ქალაქი, თვით ზასცა ეკარგებოდა,
წაღებისა და ომისა ყოლ ღონე არ ეგებოდა,
შუა ციხე დგას, მისებრი სხვა არსით აიგებოდა,
და შიგანთა მცველთა სიმრავლე თვალვით არ შეიგებოდა.

60 ხვარაზმშას ესმა: ტარიელ მოსულა, მოჯობებულა,
აწ იგი შიგნით აჩქარდა, საომრად გაჯავრებულა,
ვაზირი იხმო, ვინ ყოვლთა ვაზირთა დაქარბებულა,
და აბჯარსა გასცემს, რჩევად ზის, ისწრათის, გახაფებულა.

61 ვაზირს უთხრა: „უომარი არ დავდგები არათ არა“,
ტარიელის ომსა თავად ემოწმების არა თარა.
ხვარაზმშა თქუა: „არ შეეება, უბასუხო ლაშქართა რა?“
და ვაზირმა თქუა: „გარეთ რაზმი მოვაგვაროთ, ღონით არა“.

62 ხვარაზმშა თქუა: „ჰე ვაზირო, რად დამიშლი ომსა თავად,
რასა იტყუო, სად გინახავ მუქარისა მყოფე აყად!
ჩემთა მბრძოლთა ჩემგან აჩნდის ასო მწვავედ, დანაშავად,
და შინ მისულითა შეცვალან ძოწეულნი ლარნი შავად.“

63 აწ ვაზირი თარა ჰკადრებს, საუბარსა წყნარსა ამოდ:
„ვიცი, რომე გიცნობდინ წინა მბრძოლნი სათამამოდ,
მაგრა აწ სჩან სიყმისაგან წასულა გამოსასალამოდ,
და სიბერეა მგზავსი მისი, რა დღე მოჰხდეს დასალამოდ.“

64 მე დია ვიცი, მინახავ მრავალთა მბრძოლთა მორევით, გედინოს სისხლთა ნაკადი და დაგეყენოს მორევით, გაგექციოს და გეყივნოს მალლისა ხპითა მორევით, და აწ სიბერისა ლახვარი გასვია გულსა მორევით

65 თქუნ წაგივლია წინასი სიყმისა შევნიერობა, მხცე შეგრეგია, ამისთვის განია დანაბერობა, ტარიელს პირსა აჩნია სიყმისა ვარდთა თერობა, და რაზმად შეეგზნეთ მეფეო. გუმართებს ამისი ჯერობა“.

66 რა ვათავდა ვაზირობა, ასრე ვითა აღსარება, მეფე ბრძანებს: ,დამიშალეთ რადგან ჩემი მუქარება, აწ ვქნათ კარგი გამორჩევა, გარეთ რაზმის მოგვარება, და ღმერთმან ქნას და ნახოთ მათი სიცოცხლისა გამწარება“.

67 ჰკადრა ვაზირმან: „მეფეო, ხარ ომთა კარგათ ჩვეული, რამცა ვიცოდე ნე თქუნგან უკეთე გამორჩეული, ნახე ტარიელს რაზომი ჰყავს ასაბიე წუეული: და ამისთვის იქმნა ხვარაზმშთა ლაშქარი მათგან ძლეული.

68 აწ რადგან აღარ დაიშლი კარს გარეთ ომსა რაზმითა, ლამით ვავიდეთ გაპარვით არ მაშხლით, არცა ბაზმითა, ცისკრისა ჟამსა დავესხნეთ გმირთა წესითა და ზმითა, და ღმერთმან ქნას ასრე დაეხოცოთ, არ იყუნენ ხანთა დაზმითა.

69 დაასკუნეს ესე თათბირი თარასგან ნავაზირები, ხვარაზმშა ბრძანა: „უთუოდ ვქნათ ესე დანაპირები, იანგარიშა მისი სპა, ომში მართ ვითა გმირები: და ასოთხმოცდათი ათასი მებრძოლთა ამატირები.

70 სხვა სპა მრავალი ქუეითი ციხეს დაყარეს ქურვილი, ზღუდეთა კარგნი მესროლნი ჩაბალახ ჩაპობურვილნი, ლამით ვავიდეს, თუ ომთა არა მართებდა სურვილი. და ცისკრისა ჟამსა დაძსხმელთა შექნეს სისხლისა წურვილი.

აქა ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა

71 რას ვაგრძელებდე, დაესხნეს ცისკრისა ჟამსა ომითა, შეიქნა შემოკავილი ქუხილის შენაზომითა, მათ მძინარეთა გარეთ ქნეს სისხლი რულ მინაწთომითა, და მალლად იზახდა ხვარაზმშა ტარიელისთვის წყრომითა.

72 ეტყუის: „მე ჩემი, ტარიელ, შენ მუხთლად მოჰკალ მძინარე, თუ მამაცი ხარ შემეტი მოდი, წამოდევ წინარე, მოდი, ვპკრათ ჩვენ ერთმანერთსა ხრმალი სისხლისა მდინარე, და ვექუ სამართალმან შენ შეგქნას მოსულისა მოსაწყინარე“.

73 რა ესე ესმა ზახილი მათ სამთა გმირთა მეფეთა, მართ წყნარად აღდგეს, ვითამცა გვანდეს ვარდისა მკრეფეთა, ტანსა იცევმდეს აბჯართა, მართ შუქთა მოიფეთა, და ხვარაზმშას სპათა მიუხდეს, ვით მეგლნი ძალლთა მყეფეთა.

- 74 კულა მათნი სპანი სამგნითვე შეიძრნეს ვარეთ მდგომელნი, ზელა დამსხმელთა მიუხდეს ამაყნი, ხაფად მწყრომელნი, ფიცხლად შეიბნეს, არ გვანდეს მათ ფრანგნი ვინმე რომელნი, და მათნი იაღნი ტიროდეს, ვით იცინიან რომელნი.
- 75 ერთვენ ფრიდონ და ავთანდილს მგრგულივ სპანი მოეხვივნეს, იგი ორნივე გაუხდეს, რა გკადრო, ვით გაეხარნეს, დახოცეს, გამოაქციეს, ქალაქის კართა შესჯარნეს, და უნდოდა, თუმცა შიგანთა ყოლ კარნი არ დაეყარნეს.
- 76 ტარიელ ნახა ხვარაზმშამ, გამაყდა გული ბერისა, შეიქნა ველი ორთავე სისხლისა მონატბერისა, გორად ძეს შუბთა ნალეწი და რიყე ხმალთა წვეგრისა. და კულა მიუბრუნდა ხვარაზმშას რისხვა ცით მონაბერისა.
- 77 შუბი შემოსცა ხვარაზმშამ, ტარიელს მკერდს შეალეწნა, ვერ გაუტეხა აბჯარი, ვერცა თუ საღმე დახეწნა, ვაქებ, ვინ გმირი ასეთი, ტანსარო, ალვა დახვეწნა. და ტარიელ ხრმალი ხვარაზმშას ცხენს უკრა, ყოლ არ აძეწნა.
- 78 ტარიელ ცხენი ხვარაზმშას მოუკლა, მუნვე დაეცა, უფაცხე იბრძვის ქუეითი, ხრმალი უნდოდა დაეცა. შმა აღარავინ იახლა, რომ აღრე ცხენი მოეცა, და იმისთვის მარტოდ იბრძოდა, აღარათ ღონით გაექცა.
- 79 დაშურა, მისქირდა მარტოსა, მრავალი ხრმალი იქნია, გატეხა ხრმალი და ლახტი, ხელთ აღარა აქუს რა დია, ამისთვის სპათა სიმრავლე მრგულივ ალყად გარე შექნია, და ხელთა შეიპყრეს, დაბნელდა მისთვის მნათობთა შუქნია.
- 80 ტარიელ ნახა ხვარაზმშა სსკლავად გამართებული, გაეხარნეს და შეიქნა იგ მხეებრ წალმართებული, თქუა: „ქმარის ჩვენთვის ღვთისაგან წყალობა დამართებული, და აწ აღარავინ მოვაკულევ, შეფეა წალმართებული“.
- 81 მივიდა, გააშეებინა დიდი ხვარაზმთა მფლობელი, ცხენი მოჰგვარა და წყნარად შესვა, მართ ვითა მშობელი. მოვიდნეს მისნი ძმობილნი მოლოცვად წარმოთხრობილნი, და უქეს ხვარაზმშას დარჩომა, ყოლა არ იყუნეს გმობილნი.
- 82 მობრუნდეს გამარჯვებულნი, ჩამოხდეს ჩრდილსა ხეთასა, ტურფათა რასმე ბალჩათა, ყოლ არ კატართა ხეთასა, მათ ნაომრობა შეენოდა, მჯობთა ყოველთა მხნეთასა, და თქუეს: „გაჯობინოთ ესე დღე მეტად ყოველთა დღეთასა“.
- 83 გამოისვენეს მაშურალთა აბჯრისა ტანსა ახლითა, პურობა, სმა სიმღერითა, სოფლისა ხელის ახლითა, მათი მებრძოლი მას დღესა მკუდრად ჩნდა ამრისა წახლითა, და ხვარაზმშა იჯდა ფერიტა მგზავსად ზეთისა ნახლითა.
- 84 დილას ფრიდონ და ავთანდილ, სხვანიცა სპათა თაენია ტარიელისას მივიდეს, დახუდეს ლაშქარნი შაენია, აწ მათგან სამოციქულოდ კაცი ჩანს შენაგზავნია, და შესთვალეს: „ღმერთმან პატივ გცა, ტყუედ გყუანან შენი მავნია.

- 85 ვინათგან ღმერთმან პატივი ეგზომი დაგდვა დიდებით, გმართებს, რომ იყო საღვთოსა საქმესა ზედ რიღებით, აწ შენ რადმცა ჰქენ ეგ საემე პირველ სისხლისა მიღებით, და პირი აიღე, ხვარაზმშა გაუშვი ამოდ, მშვიდობით.“
- 86 ტარიელ გასცა პასუხი მეტად წყნარი და მქევერები: „ღვთისაგან მე მქირს წყალობა, თქუენგან დიადი ბევრები, აწ სამჯერ ჩემთვის დადგმულა თქუენგან შუბისა ტვერები, და დარჩეს, გაუშვით ხვარაზმშა და მცხი სპანი ბევრები“.
- 87 შევიდეს, ნახეს ტარიელ და მადლსა გარდინიღიდესა, მერმე აღდგეს და ხვარაზმშა სად იყო, მუნ მივიდესა, ჰკადრეს ორთავე სალაში, თავის თავ დაამშვიდესა, და გვერცა დაუსხდეს, ნაკრავსა უქებდეს, გაიციდიდესა.
- 88 მერმე ჰკადრეს: „ჰე ხვარაზმშა, ხელმწიფეო ბედნიერო, მორბეულო და თვით მპყრობელო, ზნე უკლებო, მეცნიერო, გვიკუირს, რაცა თქუენ გიქნია პირველ, კაცო გონიერო, რად აშვილე თქუენი შვილი ინდოთ მეფეს შვენიერო?“
- 89 თუ გასმოდა ტარიელ ნახვითა, ანუ სმენითა, მემკუიდრე ვინმე არისო, რად არა ძოხსენითა? აწ თქუენ გაუშვით პირველი სისხლი, სიტყუითა ჩვენითა, და იქვე წადით და მეფობდით ბრძენთა გონება-ენითა.“
- 90 ხვარაზმშა წყნარნი სიტყუანი თქუა, ბრძენთა სწავლა რიგისა, პირველად ქება ავთანდილს და ნურადინს მიუგისა: „მე თქუენი ქება ვითა ვთქუა, ბუდე ვარ აწ აუგისა, და მკლავს სირცხვილისა ლახვარი ბასრისა, შუბ დაუგისა.“
- 91 ოდეს ძე ჩემი ეთხოვნა საძეოდ ინდოთ მეფესა, მე მაშინ ვერსით ვიცნობდი ტარიელს სისხლთა მჩქეფესა, უმკუიდროთ ყოფნა ეწერა მაშინ მათ წიგნსა სეფესა, და ამად ვერ მივხუდი, მიგმობდი ჰკუეისა დანაყეფესა.
- 92 მართებდა, თუმცა ტარიელს ჩემთვის ებრძანა კაცითა მართ ერთხელ ვითა აგრეცა, არ მრავლად კაცის-კაცითა: „მე ვარ მემკუიდრე, პირველად მე მმართებს ღვთითა და ცითა, და ნუ მოსცემ შვილსა, თვარ დაფხუდე რაზმითა მრავალ კეცითა“.
- 93 თუ მაშინ არ დამეშალა, თქუენ უმართლე ხართ მდღურვასა, თაყსაცა ჩემსა ვაბრალე მას საშინელსა ურვასა, მაგრამ უმეცრად ჩავიჭერ სისხლთა მორვეთა ცურვასა, და ამად ვერავინ დამიშლით გულსა სისხლითა წურვასა.
- 94 ეს ასრე იყო, რაც გკადრე, თქუენცა გესმოდეს, მგონია, თვარ გაიკითხე, ინდონი გკადრებენ უმტყუენონია, ავთანდილ უთხრა: „მეფეო, მე ესე მაგიგონია, და მაგისთანანი სიტყუანი აწ არა სავარგონია.“
- 95 თავმან თქუენმან, თუ მოგვისმენთ, ამას გკადრებთ დაუცდომლად: სჯობს წახვიდეთ სახლსა თქუენსა, იყო სისხლთა დამომობელად, არა გაკლდეს დიდებასა ხელი ცათა მიუწითომლად, და შენდობა ხამს, რადგან ამად აღარ დარჩა შეუნდობლად“.

- 96 ხვარაზმშა თქუა: „ვინათგან გწადს, აწ აგრე ექნათ, რაცა ბრძანეთ, მაგრამ ნახეთ რა ძნელია, ესე კარგად გაიგონეთ!
წინაში ვარ, გარდაუშვებ, რადგან ასრე მიძაბუნეთ,
და შემაკითხეთ სპათა ჩემთა, თარას გვერდით მიმიყუანეთ“.
- 97 ადგეს ფრიდონ და აეთანდილ, ტარიელს გამოეზრახნეს,
ხვარაზმშას სიტყუა ყულაი წყნარად თქუეს, არ დაიზახნეს,
თარა ვაზირსა უხმობთო, ვინ ბრძენთა გამოესახნეს.
და მიდგეს ფრიდონ და აეთანდილ შიგანთა არ უვაგლახნეს.
- 98 შიგნით შეჰყვილეს: „ისმინეთ ჩენა ხმა თქუენთვის ზავისა,
თარა ვაზირი გამოდგეს, სახასო ბრძენთა თავისა,
ხვარაზმშა ბრძანებს, ნახვა სწადს შენი არ კქუად ავისა,
და გამოლი, ჩვენ გამოგინდობთ, არ მიხლა გინდა თავისა“.
- 99 გამოვიდა თარა ბრძენი პლატონისა დიდად დარი,
ხვარაზმშასი მართ ნახვისა ლეთისა იყო მემუდარი.
რა ხელმწიფემ ისი ნახა, თვით გაცოცხლდა ახლად მკუდარი,
და თქუა თუ: „ღმერთო, კურთხეულმც ხარ, არა ვნახე მე ეს მკუდარი“.
- 100 თაყუანი სცა, მერმე ხელსა მოეხვია თარა ბრძენი,
მოახსენა: „ღმერთო, რა ვთქუა მადლთა თქუენთა მე სიგარძენი,
ამა ომსა მოარჩინე, არ უობლე წურილნი ძენი,
და რა მადლი ვთქუნე, რომ ეზომი წყალობანი მიბოძენი“.
- 101 დასხდეს მეფე და ვაზირი, არჩევდეს საევაზიროსა,
მეფე ბრძანებდა სიტყუასა, გულ მდულრად ასატიროსა:
„ვაზირო, გვანდა ძე ჩემი ბროლ-ლალსა განამქუიროსა,
და ვით მეტყუი, სისხლი გაუშვი, მას ძნელსა საარაკოსა!“
- 102 ვაზირი ჰკადრებს: „მეფეო, თქუნ უმართლე ხარ მას ღია,
მაგრა ჰყავ ტყუედ დარჩომილი, ვინცა მესისხლე ცხადია,
იგ არ გაგიშვებს ცოცხალსა, უფიცავს მოამადია,
და თუ გარდაუშვებ, გამართლებს, ვინ ლეთისა დანაბადია“.
- 103 მეფემან ბრძანა: „ადვილად ნუ მეუბნები, ვაზირო,
თუ დავიფიწყო ძე ჩემი, მმართვეს, რომ გულა ვატირო,
ანუ გავიჭრი მინდოართ და თავი გავინადირო,
და მიჯობს, რომ მოვკუდე და ჩემი დარჩომა არ დაევაირო“.
- 104 ვაზირი ჰკადრებს: „მეფეო, ისმინე სიტყუა ასები,
აქამდის ჩემი კადრება არ გაგგონია ნასები,
ტარიელს შენთა სისხლთაგან სწადს სავესე შესევას თასები,
და შენად საკლავად მოუსხანს უცხო სპა ბევრ ათასები“.
- 105 სისხლი გაუშვი მეფეო, ქენ მტკიცე მოზავებული,
შეჰფიცე ყოვლი სიმტკიცე წინასწარ მოსწავებული“.
კარგად ვაზირობს, არა ჩანს თარასგან დამავებული,
და ხვარაზმშა დადგა, ტარიელ წავიდა გამარჯვებული.
- 106 მოვა ტარიელ მოყუსითა ფრიდონ და აეთანდილითა,
გამარჯვებული ნადირობს საბინდურთა და დილითა.
ეტყუის: „გარდვიხდი მე ვალსა მართ ვერას ვერ წადილითა,
და თქუენ დამარჩინეთ, მკუდრად ვიდეი იმ ხვარაზმშელთა ჩრდილითა“.

- 107 წამოვიდეს ნხიარულნი ნადირობით, თამაშობით,
მათ მოეწყოს ხეარაზმელი, არ დაეგდო შამუშობით,
მტერთა ზედა მოჰქცეოდეს, მათგან იყო უშიშობით,
და ერთმანერთსა აქებდიან მხიარულნი, არ ქუშობით.
- 108 მოვიდეს მოქალაქენი, გამოეგებნეს ზარითა,
მუტრებთა ხმანი ისმოდეს ბარბითთა შენათხზარითა,
ნესტან-დარეჯან დაშეენდა ელვითა მით მწყაზარითა,
და მათ სიხარულსა ვერ დაესწერ ხელითა ვერ ჰაზარითა.
- 109 რას ვაგრძელებდე, მუნ დაყუეს მრავალი დღენი ამონი,
მერმე გაუშუნა საესენი ნათელნი დაუღამონი,
წავლენ ფრიდონ და აეთანდილ ტკბილად გამომსალამონი,
და ტარიელ დადგა, თუცა სდის ცრემლი ველთ დასალამონი.
- 110 ააესნა მისაცემლითა, ოქროვანითა შარდითა,
სტავრითა, საკარმანგიითა, მძიმითა სადუქარდითა,
წავლენ ფრიდონ და აეთანდილ პირითა მინა-ვარდითა,
და ვავლენ ზღვასა და მიდიან საროსა განაზარდითა.
- 111 მოვიდეს, მათნი ქუეყანა დახუდა ამოთ და ნებითა,
მოეგებნიან, სძლნობდიან, წესითა და რიგებითა,
თინათინს პირსა სინათლე ემატა დაშვენებითა,
და მულაზანზარი აივსო მეტითა აშენებითა.
- 112 ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგვი შესავლითა თმოგველთაგან დარჩა ობლად,
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
და მან მიბრძანა ლექსად თქუიო, მქვერ ქართული შესაწყობლად-

იოსებ ზილიხანიანი

აქა ბაზიყა რქმული ქალი იოსების გაგონებით მიჯნური

- 1 უყურეთ ეტლთა ბრუნვასა, რისა საქმისა მქნელია,
მიჯნურობისა ცეცხლშიგა ჩაეარდნა როგორ ძნელია!
ბაზიყას ვინმე უამბო გასარჯო საკვირველია:
და — „მისრეთსა ყული იყიდა ზილიხამ საკურველია“.
- 2 „არვის უნახავს მისთანა, ამბუდაც არა სმენია,
ტომობა ვისი ეკადვრის, სალოცვად ხატი სვენია,
ქებითა მოუგეარუა, ვერ იტყვის კაცთა ენია,
და მისის პირისა მნახავი ღმერთს უკვდვად გაუჩენია“.
- 3 რა ბაზიყამ მოისმინა ქება მისი ვერეული,
ფერი ქარვად შეიცვალა, ბროლ-ბალახჩად ნარეული,
მიჯნურობამ ხელი სტაცა, ვერვინ ატყოს ჭკვა-რეული,
და იმედოვნობს: — „მაყიდიან, ელჩი ვგზავნო გვარეული!“
- 4 მამა არ ჰყვანდა მას ქალსა, არცოდენ დედა, ძმებია,
სახელმწიფოში იგი ჯდა, ზდიდა მისივე ბებია,
რა უთხრეს მისი ქებანი, შეიქნა ხელთა მხლებია:
და — „მისრეთსა კაცი გავგზავნოთ, შეეთვალოთ საქმეებია“.

აქა ბაზიყასაგან მოციქული ზილიხასთან და იოსების თხოვნა

- 5 „მიწაცა თქვენი, ბაზიყა, წიგნსა ვსწერ ზილიხასთანა,
თქვენ რომე მოყმე ივაჭრეთ, მსმენია არ მაგისთანა,
მე მამცენ იგი უებრო, ხელმწიფედ დავსვა სხვასთანა,
და სევდის ხელითა ნუ მამკლავ, შემაშრევ ცრემლისა დენა“.
- 6 „მე მოვცე, როგორც გევაჭროს, უფროსი ორი ზომანი,
მამცენ, ნულარა მატირებ, დამიწყოს ცრემლმა შრომანი,
მას აქათ რომე მსმენია, თვალთა მდის ცრემლთა ფონანი,
და მიგკვირდა მიჯნურობითა, გვისმინე გასაგონანი.“
- 7 რა კაცნი მისრეთს მივიდეს, ზილიხას ჰკადრეს ესია,
ბრძანა, თუ: „რა მოუჩმახავს? მეც არ მისთვინა ვკენესია?
ყოვლის კაცისა მავნები არის სოფლისა წესია,
და ესე სხვათამცა ვის მივსცე, ჩემი სიცოცხლე ესია!“

აქა ზილიხასაგან ბაზიყას პასუხი ისმინეთ

- 8 ქალმა ზას ქალსა ჴესთვალლა სიტყვა სრმქვერით. ნსია:
„შენ ამისთვისა ნუ სქმუნავ, ნურცა გაცვია ფლასია,
სხვა ძე არა ჰყავს მეფესა სახელმწიფოდა ხასია,
და ჟამად ჩემიცა ხელთ ჰქონდა, შავს სოფელს სისხლით თასია.“
- 9 „ცუდად ნუ სქმუნავ, ხათუნო, ესე რა მოსანდომია.
უთიოდ შენის თავისა ცუდი გარჯანი გნდომია,
ამის იმელი იწყვიტე, ცუდია მოსანდომია,
და ვინცაღა გიქებს ამასა, შენი სიკვდილი სნდომია“.
- 10 „აწ, ღაო, ამას დაეშვი, გითელი მართალსა პირასა,
ცუდად ნუ სქმუნავ ამისთვინ, ნურცა ვარდები ქირასა,
სვედის ხელითა ნუ აქეობ, ვარდო, ვარდულსა პირასა,
და ესეც არ იყოს, შეირთავ შენსა საფერსა მირასა“.
- 11 დაწერა წიგნი და მისცა იქით მოსულსა მონასა,
უბრძანა: „წადი, მიართვი უწლელსა ვარდის კონასა,
მართ გარდაწყვეტით იცოდეს, ნუ ელის ამის შონასა“.
და მუენით წასულმა მიმართა თავის პატრონის ხონასა.
- 12 მისვლითა ჰკადრა ამბავი, დია, რომ საწყინარია.
რა ცნა, თუ ვერ უშოვნია, გახდა ვითამცა მკედარია,
გაშმაგდა იგი უებრო, ცნობა შეიქნა ჩქარია,
და ყველაი მოალებინა, რაც ჰქონდა სადებარია.
- 13 ბრძანა: „ან თავსა მოვიკლავ, ანუ შევირთავ იმასა,
უმისოდ რომ ცოცხალვიყო, რას ვაქნევ ჩემსა რჩომასა?
ასრე გამხადა სურვილმა, იქილამ მაჩნევს წყრომასა,
და გული, გონება წამართვა, აღარც სულს ვატყობ დგომასა“.
- 14 მოსტქვამს მწარესა გულითა, იძახდის დია მქახესა:
— „შავ ბედო, შენ უნახველად, რაშან გაგაბა მახესა?
დაიტყვევ, მისთა მქებულთა ის არერს დაასახესა,
და ვინ დგების ჩემსა ცოდვაში, არ მადღევს ალვისა ხესა?“.

აქა ბაზიყასაგან გამართვა მისრს თავის რჩომით ზილიხასთან

- 15 ბრძანა: „რაცა მყავს, მამისხით აქლემი და ცხენ-ჯორია“.
საქურკლენი გამოზინდეს, დადგეს ზედა-ზედ გორია,
მუნადები დააძახა: „მისრეთს მივალ, არ ქორია“.
და დიდებულნი იკითხევდენ: „ნეტარ ესე ნამორია?“
- 16 თან წაიყვანა მან ქალმა სამასი ცხენოსანია,
„მე ვარ, მე ვარ“ -ის მხსენები და დიდროვანი ხანნია,
მისრეთის გზაზე წავიდეს, იარეს დიდი ხანია,
და ქალაქსა მოეჯრებოდენ, დალივეს შორნი გზანია.
- 17 ქალაქსა არა შევიდა, დადგა სამის დღის საეალსა,
იქილამ კაცი გაგზავნა, მეფეს უგზავნის მრავალსა
იაგუნდსა და ფეროზსა, ლალ-მარგალიტსა მრავალსა:
და — „თხოვნა მაქვს საკურველისა, შორის გზით მე მომავალსა“.

- 18 მეფესა ჰკადრეს: „მოსულა, ბაზიყა ჰქვიან ქალსაო, ურიცხვსა გაძლევს ოქროსა, თვალ-მარვალიტსა, ლალსაო, თქვენ რომე ყული ივაქრეთ, მისი სურვილი ჰკლავსაო.“
და ბრძანა: „მე რომე ვითხოვე, რად არ ირთავდა ქმარსაო?“
- 19 ბრძანა: „თუ თეთრი მდომოდა, ყულსა ვიყიდდი არადო, სითაცა მობრძანებულა, იქივ წაბძანდეს წყნარადო, უთიოდ ამად მოსულა, გვეჩვენოს დაუმქნარადო,
და ჩვენს ჯარში თუ ვინმე უნდა, არა მშურს მისად ქმარადო“.
- 20 ადგა და საწოლს შევიდა, ზილიხას ეუბნებოდა:
„მე რომ ბაზიყა მეთხოვნა, მას თურე გაჰკვირვებოდა, «როგორა, მე უთხოვნიაარ!»—ჩემზედა თურე წყურებოდა, და აწე აწივე, შენც გნახოს, ისი რომ არა მყევბოდა.“
- 21 რა ცნა ზილიხამ, მოსულა ბაზიყა შორის გზითაო, მიშგებებელნი გაგზავნა ურიცხვის საქმელითაო, აბუჰაიათ და მანგი თავადთა ცოლებითაო:
და —„ქალაქად შემოიყვანეთ იგი მზე ციმციმითაო“.
- 22 აბუ-ჰაიათ, სხვანიცა თავადთა ჯალაბებია ბაზიყას წინ მიეგებნეს, ნახეს მზის მოვანებია, მიუძღვეს იქი სახდომლოდ სასტუმრო-სასახლებია,
და გარდახდენ იქი სასვენოდ ქალი და მისი ბებია.
- 23 ზილიხასთან შემობრუნდენ ქალის წინა-მამებელი, მოახსენეს: „ბაღს გარდახდა მზისა შუქთა ამგდებელი, რამცა ეკადროთ მისი ქება, ან სიხშირით საგდებელი, და სევდითა და მიჯნურობით დია არის თავ-მდებელი“.
- 24 ქალმა უთხრა: „მანგი, წადი, ალვას ჰკადრე ტანი აროს, უკაცრაოდ ნუ დაგრჩებით, ჩვენსა სახლსა მოიაროს, მზემა ქუქთა შესაყრელად ციმციმითა თავი აროს,
და ინლოთ ჯარი შესაბმელად მოჰყვეს, თუმცა არ აწყნაროს“.
- 25 რა მოისმინა ბაზიყამ, ზილიხას დაუძახნია, თქვა, თუ: „მას ვნახავ უცილოდ, ვისთვი მაქვს მე ვაგლახნია, უცილოდ მაძვემს აწ მასა, ვინ მაზედ გამოვსახნია,
და იგიცა ვნახო, აზიზსა როგორი შეუნახნია?“
- 26 გამოემართა ბაზიყა, ზილიხას სახლსა ეწვივა, იგი მზე ტახტსა ზედა ჯდა, ადგა და გარდაიწვივა, დარბაისელთა ჯალაბნი, ვინც იყო, ზემორო იწვივა,
და ნადიმი წინ გაიშალა, მემუთრიბენი აწვივა.
- 27 ტახტზედა მჯდომსა ზილიხას მდარი ვინ მისცა ხმელზეა! ბაზიყა მუხლთა ეხვევის: „მიჩვენე იგი პირშია!“
ბრძანა, თუ: „შემოიყვანეთ, ვის შუქი ადგა პირშია“.
და რა შემოვიდა ბაზიყა, ვერა ჯდა ერთსა ნირშია.
- 28 მან მზემა თავი შემოყო, ხელთა სურაპი ეჭირა, გაართულს რასმე ქუდზედა შალი ზე გარდაეჭირა, ორთა ქიშვართა მამული ბრძოლითა მას დაეჭირა,
და ასრე შეყრილთა ინლოთგან ვინ დარჩეს, არ დაეჭირა?

- 29 იგი ყმა თუცა ფერხზე ღდა, ზილიხასთანა ჯდებოდა, შეიღთა ქიშვართა მამულის მეფენი იხოცებოდა, იოსებც მასა ჰმსახურებს, არ მონაფარი ღგებოდა, და პატრონსა ვინმელა ჰგვანდა, თვარ ყმავე ედარებოდა!
- 30 მან ქალმა, შორით მოსულმა, რა ნახნა მის ყმის სახენი, თქვა, თუ: „შენთანა მენახოს, შენ მრისხვი, რანიც ვნახენი, ანუ სხვას ვისმე გიგვანდეს, ტურფაო, ალვისა ხენი. და დია, მწამს ვინცა გიქებდა, თუ გედგა ესე სახენი!“
- 31 ზილიხას მუხლთა ეხვევის:— „შენ ხარ ამპკრობი ხელისა, მენუდ წყალობად ჰქიდიამ ამ თვალთა ცრემლთა მღვრელისა, შენ მამულად სევდის ხელითა, წამალი მამცენ ხელისა, და საჭურჭლეს მოგცემ ულევსა, თხოვნა მაქვ საკვირველისა“.
- 32 „აწ მამცენ იგი უებრო, ვინ ტანად ალვა-ნორჩია, ნუ თუ არ მოვკვდე, შენითა წყალობით მეცა მოვრჩია. თქვენ გადიდებდე ნიადავ, არა ვქნა თქვენნი ურჩია, და ან მამკალ. ან დამარჩინე, ერთი ქენ ამა ორჩია!“.
- 33 ტურფათ ხელმწიფემ მიუგო ტურფასა სიტყვა რასები: „მამც კულად მამის ხელ[ითა] არ იტყვი: „რატომ, რას ები“? თუმც შენ ქებითა მამცდარხარ, მე სიხმრად მქონდა, ვახ-ვები, და სანამდი მეცა შემოსნეს სევდის ხელითა ფლასები?“
- 34 „არ იცი, მიჯნურობითა, დაო, რას კირში ჩავარდი, რომწეგან მეფის ასული მისრეთსა რადა მოვარდი, ანუ როგორა ვირჯები ბულბულისაგან მე ვარდი? და პატრონო, ცულად გარჯილხარ, შენ თუ ამისთვი მოვარდი!“
- 35 „მიმართე თქვენსა მამულსა, სითაც მოსულხარ, შეიქეც, შენ თუ სამეფო დაავდე, დია ავ გვარად მოიქეც, ქებითა რამე მოლორდი, ანუ ქარვადა რად იქეც? და მართ გარდაწყვიტით იცოდე, წადი, ჰკვიანად შეიქეც.“
- 36 „შენც მრისხეხარ, თუ გმართებდა თქვენ ამისი ჩუმად თხოვა, რად არ გიკვირს რომწეგნისგან, ქალი აზიზს მიათხოვა? შენგან ქმარად ნაწუნები, სახლსა შივა ჩემი ტყოვა? და მე მენახა ზიხმარშივა საწადლისა აქა ჰოვა“.
- 37 „თქვენც გსმენოდეს, თუ რაზომი მეფე იყო ჩემი მდომი! ჩემთვის სადიდ სად მოვიდენ ინდონი და აბაშ-რომი? მე ამ თემსა რად მოვარდი მამისაგან ვანწყრომი? და ნეტამცა, ვინ გაგავონა, სარჯელი ვქენ თუ რაზომი?“
- 38 „მაქებელს რად დაუჯერე, ხელმწიფე იყავ სვიანი? შენ გარჯა არა გმართებდა, თუმც ყოფილიყავ ჰკვიანი, ვის ამარს ავდე საჯდომი, მეფობა ვანგებიანი? და აწ, თავმა შენმა, შებრუნდი, არამცა გეცეს ზიანი“.
- 39 „ღმერთი მყავს მოწმად, მეწყალვი, მაგრა მეც მისთვინ ვხელდები, ვითა სანთელი ვიწეები, აროდეს არა ვნელდები, აწ გარდასწყვიტე იმედი, ამისთვინ ნულარ ბნელდები, და ამას ვერ მოგცემ, ჩემო დავ, ამითა გაგვიძირდები“.

40 „შენი არავინ შეიტყოს, თუ ამ ცეცხლითა იღები, სხვათ ხელმწიფეთა ესე ცნან, მოსულხარ ამად, მედები, ესე არა სჯობს, ხათუნო, ანთებულს ცეცხლსა მედები?“
და „შებრუნდი, ჩვენ დავითვისნეთ: მღობიხარ, მეცა ვედები!“

41 რა მოისმინა მან ქალმა, ადგა, გარიდა კარშია, თვისსა სადგომსა მივიდა ათრთოლიგს, ვერხს ვით ქარშია, რაც რამ ებადა, გაზიდა ყველი მან ბაზარშია,
და „უკვირდა, ვინცა ნახვიდა: „გალება მინდოოჲს რაშია?“

აქა ბაზიყასაგან გააბღლება, საბატონოს დაგდება, საქონლის გარ- დაგება

42 მეედანშიგა ყიოდა: „ბაზიყა მქეიან ამ ქალსა, იოსებს თავს შემოვავლებ ამ საქონელსა, ლარ-თვალსა, ვისცა ღმერთი გწამს, აიღეთ, გეტყვი მართალსა ყოველსა, ამას ყველასა სხვას მივსცემ, თავსა დავირქვამ აბდალსა.“

43 მუნადი ყივის ბაზარში: „უყურეთ ნებუქარსაო!“ მოედანშიგა ნაყარსა ყველა ხეცტლიან ლარსაო, თავის მხლებელთა უბრძანა: „მიმართეთ თქვენსა გეარსაო, და ჩემიც ყველასა უამბეთ დარბაისელთა ჯარსაო.“

44 „თუ ჩემსა რასმე იკითხვენ, თავი მოვიკალ ნებითა, სამეფო მივეც ფეშანგსა, ყველი მას ესევლითა, მორჩსა უშურვოდ მისცემდეთ და ურჩსა მოცაჰკლევდითა, და ობოლ-ქვრივს ბევრსა მისცემდეთ, ყველასა დაჰკაზმევდითა!“

45 ვერ გაძლებს ვერა მიჯნური სევდისა არ დაჩენასა, მოველი, ლექსთა მკითხველნო, თქვენგან ამისა სმენასა, შეაშთობს, კიდეც შეარცხვენს, არ უზამს თუცა ლხენასა, და რაზომ გაძლებას ეცადოს, გული არა იქს სმენასა.“

46 რა ბაზიყას დაემართა ესე საქმე არ ნანახი, თუ რამ ჰქონდა, გარდაავო პაპათ-მამათ შენანახი, ვინცა ნახა, ამას ჰძრახავს, საქმე ქნაო არ ნანახი, და რაზე შეცდა, რომ შემოსნა სტაფეებითა მონა-გლახი?

47 „ვინ გაუკეთა“—მოსთქვემდა—„მაგ პირსა შენაქნილობა? ვინ მისცა ტბასა გარეშე ინდოთა შემოყრილობა? ვინა ქნა მარგალიტთ წყობა, მაზედა ლალთა ცილობა? და ვინ მისცა შაქარს მაგდენი პირშია, ნეტარ, ტბილობა?“

48 „რომელს მხატვარსა უხატავს, თვალო, პირისა არენი? რომელს მებაღეს მოუცავს გიშრითა ჰაეაზთ გარენი? რომელს მარწყველსა მოურწყავს, ტურფაო, ალვის არენი? და რომელს უჩაგრავეს პირისა ციმციმით მზე და მთვარენი?“

49 „სად უსწავლია, ნეტარ მე, ასეთი რება საროსა? სად განაზღილა ეგრე რა, მზემ ვარდი არ ამჰქნაროსა? სად გაგონაო, ენამა შაქარი გაამწაროსა? და სად გახელმწიფდა ასრე ტბა, რომ არვინ არ აწყნაროსა?“

- 50 „შენმცა მრისხვი, თუ მენახოს შენისთანა სხვა ნაბადი, შენმცა მრისხვი, დავიძრახო შენთვის გაჭრა ანაბადი, შენმცა მრისხვი, თავს სარჯელი, ტანს უშურო ანაბადი, და შენმცა მრისხვი, არ ვეწყალო, ვინმცა მნახოს მე ნაბადი.“
- 51 „მამკალ, თუ ვისმე ენახოს ჩემებრი სხვა საწყალები, მამკალ, თუ ვისმე სდენოდეს ჩემს უფრო თვალთა წყალები, მამკალ, ცოცხალმა შევიშრო ვარდზედა სისხლ-რე წყალები, და მამკალ, რა ვილა გეწყალები ღვთისაგან შეუწყალები!“
- 52 „მაჯუნის მსგავსად დავიწყებ კარ-და-კარ დაყუდებდასა, ტარიელს დავესახებთ, ველსა ვიქ ხშირად ბნელასა, ავთანდილსავით ვარსკვლავთა უამბობ ჩემსა სევდასა, და ტანსა ცხვირის ტყავსა დავიკრავ, თავსა დავიკრებ დედასა!“
- 53 „ჯიმშითის მგზავსად გავიკერი, ნადირთა შევენახებთ, ხოსროსვით ხეიწნას დავიწყებ, შირინსა არ ვეწყალები, თავსა ამაზე წაეაგებ, არა ვბთქვა: „მამას რას ვები“, და სისხლსა წერაქვზე გარდვასხამ, ფარჰაღსა დავესახებთ.“
- 54 თავსა და ტანსა სამოსი ყველაი გარდევებია, სტერა-ნაქსოვის ალაგად ნაბადი შემოიხვია, ზურგზედა ტყავი დაიკრა, თავს არაფერი იხვია, და წელთა ქეშქული შეიბა, მაზედა თოკი იხვია.
- 55 „სევდა მწეავს, სევდა მამბრუნებს, სევდასა ასრე ჩავარდი, აწ რალას ვაქნევ სოფელსა, წაველ და ველად გავარდი, ვაი, სამოთხისა მომლოდნე, აწ ჯოჯოხეთსა ჩავარდი, და ლალი, ბროლი და აყიყი ქარვისა ფერად დავარდი!“
- 56 სოფელი ასრე მოსძულდა, საჭირო სახლი აიგო, ნავლისა კარი შეაბა, ქვეშ ნაცარ-მტვერი დაიგო, ხელმწიფობისა სანაცლოდ, უყურეთ, თუ რა მოიგო და გული-გონება წართმული, ვაჟ წახდა, სული წაიგო!
- 57 მას სახლსა მეტად ბნელსა კარიცა ამოუგლისა, დაჯდა მაშვიგა საბნელოდ, კარშიგაც არა ვლიდისა, კაცსაცა აღარ ეჩვენის, ჰქონდის ხალისი მალღისა, და ტირილითა და ყვირლით ვინც მიღგის, შეეწყალისა.
- 58 ზილიხამა გაუჩინა იოსების ხელით ჯირა, მიუტანის, დაანახვის სარკმლიდამა ვარდის პირა, მას საწყალსა მისის ნახვით მოემატის უფრო პირა, და გამოართვის, ვერა ჰამის, სევდას ასრე დაეპირა.
- 59 მის ქალისა გვერც მხლებელსა ზილიხავე ინახვიდა, ბებერასა ქალისასა წვევითაცა მრავლ ნახვიდა, მანგის ხშირ-ხშირ ქალთან გზაენის და მოსვლასა შეუთვლვიდა, და არც მოვიდის სანახავად, რა მივიდის, არც ნახვიდა.
- 60 მან ქალმა გაშმაგებულმა დაყენა ცოტანი ხანანი, ზაფრანის ფერად შეცვალა ვარდისა მგზავსნი გვანანი, ველარ გაუძლო სევდასა, შეიქნა პირთა ნანანი, და უყო არავის დამ-დობამ მისნივე შესაგვანანი!

აქა მუხთალის სოფლისაგან გაუხარებლის ბაზიყას სიკვდილი.

- 61 რა სარჯელს ველარ გაუძლო მან მზისა მეჭიშპარემა,
ამარტის ფერსა დასჯერდა, პირს გარდაიკრა მთვარემა,
უყურეთ სოფლის წყენასა, ტკბილსა აჯობა მწარემა,
და გარდახდა მისი სიცოცხლე, მიწასა მიაბარემა!
- 62 რა მეტის-მეტი მისჭირდა და სულიც ეთხოვებოდა,
ველარ გაუძლო სევდასა, წავიდა, წაცანდებოდა,
იოსებისა სანაცლოდ სამარე ემოყვრებოდა,
და წლამდი ამ ყოფით იცოცხლა და მერმე მოცაკვდებოდა.

ო მ ა ნ ი ა ნ ი

აქა ტარიელის ძის სარიდან ხელმწიფის შვილის ომანიის ამავეი

- 1 ტარიელის ძე უკადრი დაჯდა ხელმწიფე ბრძნობილი, მამის მამისა სახელი იყო სარიდან ხმობილი, პირველად ლალი, ამაყი და მერმე წყნარი, ლმობილი, და მის ქუეყანასა ვინც ნახის, რაც საქმე დასაგმობილი!
- 2 მას ედგა ცოლი მნათობი, ასული აეთანდილისა, მჯობი ყოველთა კეკლუცთა ნახვა მისისა ჩრდილისა, ღვთისა მოშიში, მოწყალე, სულთ-ჩამდგომ დაბნედილისა, და მისგან იქმოდის გამოხსნა სამედმოდ წაწყმედილისა.
- 3 მისსა მაქებსა ბრძენსაცა გული ზღვად დაენტქმეება, ვით მზისა სხივთა საქურეტლად თვალი არ შეედგამება, მისთა შორს მყოფთა სამისოღ დაუც თავისა წამება, და იტყუიან: დღე სიკვდილისა ოქროთ არ მოიქრთამება.
- 4 პირველად თავსა ვაბრალებ, ვინ ვიქ ამისა წერასა, მაგრამ ვერ მორჩეს შობილი თავის ბედსა და წერასა, კვლავ ვაჯობინე ამისი დაწერა დაუწერასა, და მით რომე გულსა ეღების ცეცხლი, ვით შავსა წერასა.
- 5 შეამკეს წესი სამეფო უმჯობედ პირვანდელისა, იყვის კარ-გახსნით ყოველთათვის შოება საწადელისა, არ გაითვალის მეფემან გაცემა გუშინდელისა, და ლხინი და ლართა ბოძება ვით ითქმის მაშინდელისა!
- 6 გადიდდა მეტად ხელმწიფე მორკმითა აღმატებული, სხვაც დაიჭირა სამეფო ინდოეთს მომატებული, მამისა მსგავსი ძალ-გულად, თვით მარტო განმარტებული, და არ ძალმიც სულთქმა, რაც მათთვის ქება მაქვს გამეტებული.
- 7 ათგან მოქაზმა მეფემან სახლი, სრა, დარბაზებია, შიგნით ხელწმინდათ ნახატი, გარ-ოქროს გუნბაზებია, თლილის ქვით ციხე-ქალაქი და კოშკი ზედა-ზებია, და მისსა მნახავსა დაუშრტის გულს ცეცხლი ანაგზებია.
- 8 ქვეშ საფენლად სტავრა იყო, ჩათმა ოქროთ მოქსოვილი, მის ქამისა სიკეთისა ვინცა ნახა მახსოვილი, მუტობითა და მომღერალთა ხმები ერთად გაქსოვილი, და მაშინ არსად არ გესმოდეს გლახაკთაგან მოთხოვილი.

- 9 სასახლეთ შუა ადგილი სამ-სამის დღისა საეალი, ყოვლთა თვით ჰქონდის საქურქლე, არსით უნდოდა საეალი, მხეცთა, ნადირთა, ფრინველთა ხმა იყო გარდასაეალი, და აღმოსაეალეთი ხელთ ჰქონდა მონებდა სრულ დასაეალი.
- 10 მართ ერთი თვე ერთად დაყუეს, შემსგავსებით ეამთა დროსა, ხელმწიფისა კარს ნახეფი მარგალიტსა დანაგროგსა, ცხენსა ჯოგად მოასხმიდეს, გასაცემად ხრო და ხროსა, და სხვას მისცემდეს, არ ჰკითხედეს: „ეგ იშოვნე ნეტარ როსა?“. და
- 11 ერთსა თვესა შეამკიან მოედანი კარებითა, ორს თარსანგსა მოხევიან ატლასისა თარდებითა, მეფე იყო გამცემელად არ ცუდისა ქადებითა, და ხორციელი ვით იქმოდა, თუ არ ლეთისა განგებითა.
- 12 ათგანეე სახლთა ათასნი პირ-მთვარე იმყოფებოდა, კვლავ მოასხიან მნათობნი, აროდეს იმყოფებოდა, ათასი მუდამ თან ახლდის, მათგან არ იმყოფებოდა, და მისთა მტერთა და ორგულთა ეამი არ იმყოფებოდა.
- 13 ბაღთა სიკეთე ვით გკადრო, ან სურნელების სულია, შუა ვარდთა და ნარგიზთა ალვის ხე ამოსულია, ზამთარ და ზაფხულ ნიადაგ ყუავილი გამოსულია, და ვინცა შევიდის ნებითა, არ იქნის წამოსულია.
- 14 წელიწდისა ერთსა თვესა ნადირობა მიხუდებოდა, ათსა თვესა სასახლესა ეამთა-ეამად იქნებოდა, ერთსა თვესა მოედანსა ტურფის კარვით იდგებოდა, და ესე ასრე ყოვლი საქმე ამ წესითა რიგდებოდა.
- 15 ესოდენსა სიხარულსა ერთი ჰქონდათ საჩივარი, ძე არ ჰყვანდა, ვაჟი იყო, გულსა სჭირდა სატკივარი, იტყოდეს თუ: „რა ვჰყოთ, ანუ რა ვქნათ საქმის საძივარი? და შევხევეწნეთ სახიერსა, ჩვენი მხსნელი იგივე არი.“
- 16 მოიღეს მათი დიდება, ღმერთსა შესწირეს პირითა: „მოსამართლეო, დაგვიხსენ უსაზომოსა კირითა, შენ იცი გულის-ნადები, ნუ ამოგვაგდებ ძირითა, და წყალობა შენი უხვია, არაოდეს ხარ ძვირითა.“
- 17 მას ღამესა ძილსა შიგან მეფემ ნახა მოჩვენება, მას ახარა ანგელოზმან, უთხრა: „იქნა შენი ნება, ალექმა დადევ ბოროტისა, გმართებს ჩემი გაგონება, და მან დაგიხსნა კირისაგან, ვისცა ძალუც განკურნება.“
- 18 შვილი მოგხუდების კეთილსა ეტლზედან დაბადებული, ყოველსა ზედან სამლოთოსა წესზედან გასწავლებული, თქვენ იყვენით მისის ნახვით ნიადაგ განარებული, და იგი შეიქნას ყოველთა მეფეთა აღმატებული“.
- 19 გაედვიძა, ცოლსა უთხრა, ორნივ ღმერთსა ადიდებდეს. იმ ეამითგან დაჯერებით იყენეს, იმედს დაიდებდეს, გასაცემლად სალარონი ყველგან კართა გაიღებდეს, და ვინ დასთულიდა საქონელსა, რომ გლახანი წაიღებდეს?

- 20 ჯამი იქნა, განგებითა დაორსულდა დედოფალი,
ზარი გაჰბდა, მოაწვიეს ყოვლინი სხვაგან ნამყოფალი,
მუნ მოვიდნენ, დაუტევეს თავთავისი სამყოფალი,
და ვეკუ არ დარჩა უშობებლად მუნ ხანისა დამყოფალი.
- 21 ვით ვთქვა ლაშქართ განხარება, დაიბადა რაჟამ ვაჟი,
სიხარულით დაღებოდა სიპი ქვა და სალი, კაჟი,
მეფე ბრძანებს: „ამოვკვეთით ასაღებლად ყველგან ბაჟი“.
და მთელსა ლალსა გასცემდინან, არვის უნდის დანაბაჟი.
- 22 ორმოც დღესა ლხინი იყო, საჩუქრისა არ მოწყენა,
შორს გზისანი გაისტუმრა, სხვანი იქივ დააყენა,
მერმე კიდევ საბოძვარი ზოგთ უკანაც გაუყენა,
და მაშინდელმან მათმან ლხინმან მტერსა თვალი დაუყენა.
- 23 ვაჟსა სახელი დაარქვეს ომინ გვარისეულად,
ვით იზრდებოდა რა გკადრო, ან რაგვარ ყოფაქციულად,
პირი მზისაებრ შეენებით, ტანი ალვისა ხეულად,
და ხუთის წლისასა ვერ მორჩის აბჯარი გაუხვევლად.
- 24 ესე ასრე მოიზარდა, მოუმატეს ლხინსა ლხინი,
მათსა გულსა გაივლიდა რამცა საქმე მოსაწყინი?
ერდგულ ქმნილთა მოუვიდა საქმე კეთილ-მოსავლინი,
და მათთა მტერთა დაემართა მეტის-მეტე შესაშინი.
- 25 გაიზარდა, არვინ ჰგვანდა შეენებითა, არცა ტანად,
მისთა შუქთა მზისა შუქი თან არ ჰქონდის მოსატანად,
გასაცემად მოლარენი იყვნეს კარგის მონატანად,
და ყოვლი მსმელი მას წინაჲ იქმნის ორთა გასატანად.
- 26 კვიანი და გონიერი, მართ მამაცად გმირთა-გმირი,
მისგან სიტყვა არვის ესმა არაოდეს გულ-საგმირი,
ვინცა ნახის მას წინაჲ რაც რამ ფერი დასაგმირი?
და მისსა ლახტსა სიმძიმითა სხვათა ხელი ვერ საგმირი.
- 27 ყოვლის კაცისა მოყვარე, სიწყნარე ჰქონდის ბრძენისა,
უცხოს კაცთაგან სიამე ჰქონდის ამბვისა სმენისა,
უხუ, უშურველი, უებრო, ტურფა, უებრო ენისა,
და მისსა მნახესა დავიწყდის ქირი ყოვლისა სენისა.
- 28 ყოვლის ფერით შემკობილი თვალ-ტანად და ძალად, გულად,
მესროლნი და მობურთაღნი მასთან არ ჩნდა სავარგულად,
ტანი მისი ემსგავსების სარო იყოს დახერგულად,
და შორით ნახვად წამოსული ზოგნი იქნის დაკარგულად..
- 29 მეფესა და დედოფალსა დიდი ჰქონდათ სიყვარული,
რა ნახიან, მოემატის გულსა მათსა სიხარული,
ბროლ-სადაფსა აშვენებდის გამჟვირალი ლალი სრული,
და მისსა მჟურეტსა არაოდეს მოუვიდის თვალთა რული.
- 30 დრო მოვიდა მოედანსა როს კარაენი დაიდგომოდის,
თავადთა და დიდებულთა ყომუმი და რაზმი მოდის,
ხატაურთა ოთალთაგან ბიჯი აღარ წაიდგომოდის,
და ცემა იყო ქოს-ტაბლაკთა და მუტრიბთა ხმა ისმოდის.

- 31 ხშირად იხმობდის თავადთა, მაგრამ უფროვე კარავთა,
ერთობით უსხდის ტახტზედა სულ ოქრო-გარდანაკრავთა,
და მეფე ბრძანებდა: „შეგმატო, ვინ ლხინსა მოიქცარავთა“.
- 32 შეილსა შეიდასნი თავადნი თვითოს მხარს დაუსხდებოდა,
თვით გარეთ მდგებთა ლაშქართა რიცხვი არ შეიგებოდა,
ოქროს სარტყლითა მონანი მრავალი წაპოღებოდა,
და ვერ მნახავთაგან სურვილით იგი დღე ინატრებოდა.
- 33 ომანი მივა წვეული, მანდატურნი დგეს გარესა,
თავადნი ტახტით ჩამოხდეს, რა მისულა იქმთარესა,
თაყვანი სცეს და უკუ დგეს კარვისა ერთსა მხარესა,
და თქვეს თუ: „ტარიელს ესე სჯობს“ — სხვის ვისმცა შეადარესა.
- 34 მუნვე დასხდომა უბრძანა პირითა მოცინარითა,
თვით მეფის მარჯუნით გარდახდა ქცევითა რათმე წყნარითა,
ვით მთვარე მზისა გავსილი მჭურეტელთა საღმინარითა,
და მამა ჰკითხევდა ამბავსა ტკბილითა საუბარითა.
- 35 მაშინ ქვეყანა შეწერდა, ვით ცანი ვარსკვლავისაგან,
ყოფილი ოქაინს უჭურეტდეს, უნათლე იყო მზისაგან.
გამოსულიყო ნაყოფი მის კეთილისა ხისაგან,
და სურნელის სულსა აღენდა ყვაილი სამოთხისაგან.
- 36 ჰამა შეიქნა, მოიღეს, ქება ვით ითქმის ენითა,
ლალ-იაგუნდის ჯამები ოქროსა დასადგენითა,
ბროლი და ჰიქა ღვინისა არ დასცხრა მოსადგენითა,
და მეფე ბრძანებდა: „თავადნო, ლხინს კარგა ეცადენითა“.
- 37 გათავისმსმელდა ომანი მჭურეტელთა სასურველია,
თან აიტანა სპათაგან თავადნი ინდოელია,
ხელმწიფეს წინა დაღევენ, დაფიცხდეს ჩანგთა მკვრელია,
და ხელ გასაცემლად საჭურჭლე მეს ქვეყნის მოსარწყველია.
- 38 იმ დღის მნახავსა საქებრად მეტობა უნდა ენისა,
მოდვიან გობი ოქროსა თვითოსთვის შესასმელისა,
მკვრელთაგან იყო საკრავი ხმა ტკბილად მოსასმენისა,
და ყოვლგნით შეიქნა სიმღერა მსხდომთა არ მოსაწყენისა.
- 39 კარავთა გარეთ გამოვა ომანი სასურნებელად,
ლაშქართა თვალი მოავლო მათ პირთა საკურნებელად,
მან კაცი ნახა მოწყენით გულისა ნამტკივნებელად,
და უბრძანა, მონა მოიხმო მის ყმისა საჩვენებელად.
- 40 შორით შეხედა, მან ნახა კაცი ვინმე ფერ-ნამკრთალი,
დაყრით დგა და ეტყობოდა ლაწუთა ცრემლის ნაწვეთალი,
ლაშქართაგან ვერა იცნა, აზრი ექნა მას მართალი,
და განგებითა იგი მოვა, რა არს ღვთისა სამართალი.
- 41 უბრძანა თუ: „წადი, ნახე და ადგილი ისწავლენი,
არ წესია, ამ ქვეყანას კაცსა სჭირდეს მოსაწყენი,
ხელ მოვიდეს, მან მიანბოს, მას გულს სჭირდეს რაცა სენი,
და ღმერთსა უნდეს, მოუღხინო მე მას აღრე მოსალხენი.“

- 42 კაცნი მობრუნდეს მეფისა ომანინისთვის მხმობელი, იგი მობრუნდა, შევიდა, ვითა მზე მანათობელი.
მისთა მხედღელთა ლხინი და ვერ მქურეტთა მანათობელი,
და ვინცა გამოჩნდეს იმისი ღვინითა დამათრობილი?
- 43 დილითგან სხეასა დილამდის მართ ერთად იყვნენ მსხდომია, ახალგაზდასა ომანის წინ ვერვინ დანამდგომია,
იგი ვერე ჯდა, თუ გვანდა ერთისა შენასომია,
და სხვანი მონათა გაიხუნეს, ფეხზედ ველარა მდგომია.
- 44 იგი აღგა, მუნ მყოფელთა თვალთა სქირდა მისი მზერა, წესი არის, დააჩრდილებს, მოეფაროს გარსა მზე რა.
აიყარნეს წამოსავლად, მეტსა სმასა შეეჯერა,
და ყოვლენით კერძო დაესრულეს სიმღერით და ჩანგთა მღერა.
- 45 შინა მოვიდა იგი მზებრ მართ აღდგომილი ლხინითა, წინ მოეგებნენ მონანი ხელ დაღებული ინითა,
ბროლისა ელვა ჰკრთებოდა ვარდთაგან მინაცინითა,
და კვლავ ლხინად დაჯდა შეენებით, არ მქურეტთა მოსაწყინითა.
- 46 მასვე მონასა უბრძანა, რომე პირველ დაებარა:
„წადი, იგი მოყმე ნახე, ვინ შუქთა ჰფენს მზეებრ არა, უთხარ, ვიცი შეგეტყობის გული ქირსა დაება რა,
და მოდი, მითხარ, ნუთუ გარგო ვნახოთ ღვთისა განგება რა?“
- 47 კვლავცა უთხარ: მოგიქარეებს სევდა, ანუ რაცა გქირსა, მას თვალთა აქვს ყოვლთა ზედა, მოხმარება დია სქირსა,
მან მონასა შემოხედა, გვანდა საქმე განაქირსა,
და წადი, ჰკადრე, ვერეინ მარგებს, უკეთ ვიცნობ ჩემსა ქირსა.“
- 48 „მე რას მაქნევს მეფე თქვენი, ან სიტყვასა რად მაცთუნებს, მკმუნვარისა კაცის ნახვა მხიარულსა დააქმუნებს,
რადღა ვარგა სანახავად ვისცა ქირი იძაბუნებს,
და უსიკვდილოდ არ წამოვალ, ცუდათ ნურცა მოგაბრუნებს.“
- 49 მოვიდა, ჰკადრა მონამან მის ყმისა ნაუბარია. ომინ გაწყრა მისისა არ მისულის შემტყობარია,
ბრძანა თუ: „კაცთა გაუსცე, ვით ვიყო დამთმობარია?
და მაგრამ პირველად სიჩქარე ბრძენთაგან ნაგმობარია.“
- 50 ბრძანა: „წავალ, თვით მე ვნახავ, რა გინდ რა ვინ დამიზრახოს, წესი არის, კითხვა უნდა უცხოს, არ თუ გაენახოს,
მან მიამბოს რაცა იცის, რა მივიღე, ახლოს მნახოს,
და ვით იქნების: მე ვკითხვედე და საუბრათ არ მიზრახოს!
- 51 იგი მივიდა, გარდახდა სახლსა უცხოთა ყმისასა, გამოეგება ღარიბი, მთვარე ჰგაეს შუქ-ნამტყვისასა,
ორთავე ერთად შეენება ნათელსა სჯობდა მზისასა,
და მათ ვერვინ ედარებოდა, ვით ბნელსა ჟამი ღლისასა.
- 52 გვერცა დაისვა, დაუწყო მას ამო საუბარია, უთხრა თუ: „ძმაო, ვინა ხარ, ან ვისთა ტომთა გვარია?
ვარდა აჩნია მზისაგან მოშორებებისა დარია,
და შენ, იაფუნდი რამ შეგქნა, აწ ასრე ფერ-გამხდარია?“

- 53 მოახსენა: „ხელმწიფეო, ხარ მეტადცა გონიერი, საქმე ჩემი გრძელი არის და თქმად არა ჟამიერი, ნუ მკითხავ და ვერცა ვიტყვი, დაგაფიცო სახიერი, და მომწონს თქვენი პატრონობა, ხელმწიფური საქციერი.“
- 54 უთხრა თუ: „ძმაო, არ მანწონს მაგ საუბართა თქმულობა, რად მოიხმარე ჩემზედა გულისა უცხოურობა? ჩვენი წესია, ხელთა გვაქეს, კარგთ კაცთა მოყვარულობა, და დღეთგან ძმა ხარ, შენია ეს ჩვენი სრულ მორკმულობა“,
- 55 ადგა, ყელსა მოეხვია, მათ აკოცეს ერთმანერთსა, ატირდა და აატირა, გული ჰგვანდა განაერთსა, ჰკადრა: „წურილად მოგახსენო, რადგან სწაღდა ესე ღმერთსა. და იგი ვაჟი შეუყვარდათ მათ ლაშქართა ხელი ერთსა.“
- 56 „აწ ვიკადრო ყველა წურილად ჩემი თავსა გარდასული, რადგან ღმერთმან სამსახურად მე ჩამიღდა თქვენად სული, ვინ გვარი ვარ, ან სით მოვალ, ანუ რად ვარ ფერ-წასული, და სიცოცხლესა მოვეშორე უიძისოდ წამოსული.“
- 57 ზღვათა მეფისა შვილი ვარ, უბედო, გამწარებული, წელი სამია—სამყოფსა და მეფის მოშორებული, მე დედმამანი დავჰყარე, მართ ჩემგან გაჯავრებული, და ასრე ობლად და ღარიბად ვარ ცუდათ სადმე რებული.“
- 58 აჰა, თუ გინდა ამბავი, მართ ჩემგან დანაყბედია, ყველაი წურილად ვიკადრო, მაღალი ღმერთი მხედია. მე სანადიროთ გამოველ ზღვის პირსა დიდი ქედია, და მას დღე დაბნელდა ნათელი, გაშავდა ჩემი ბედია.“
- 59 შორით ვნახე ზღვასა შიგან მამავალი ცოცა რამე გამოიკვირდა, უცხო იყო დავინახე იგი რა მე, მენავეთა მოსასხმელად კაცსა უთხარ გამოყრა მე: და წადით, ფიცხლავ შემიტყვეით, რა გზანი გიც და ნახ რამე?
- 60 მენავეთა უყურებდი, ნავი ფიცხლავ გააფრინეს, მიდიოდეს მოკირვებით, თუმცა არად შეირცხვინეს. კაცი იწვა ფიტარზედა, მისი პოვნა არ იწყინეს, და მოიყვანეს დაბნედილი, ჩემსა წინა მოაწვინეს.“
- 61 პური ვაჭამეთ, მობრუნდა, მორჩა, მოედგა სულობა, ამბავი ვკითხეთ, ყოფა თქვა თავისი მან მისრულობა, ჩრდილოეთისა ქალაქთა სავაქროდ წამოსულობა, და ნავი გაგვისქდა, დაგვეცა უფსკრულსა დაკარგულობა.“
- 62 მოვიყვანე ჩემსა წინა, უთხარ: „თქვეო რაცა იცი“, მითხრა: „ღია მოგახსენო, მაგრამ გკადრო პირველ ფიცი, რაცა მე ვთქვა მართალია სიტყუაჲ ჩემგან დანამტკიცი, და მისრეთისა შორს მყოფელმან, ხამს თუ გულსა დანა ვიცი.“
- 63 მე ვით გკადრო, თუ რა ამბო ხელმწიფისა სიკეთისა, სიდიდე და მორკმულობა, სხვას ვის ძალუც ეგეთისა: „უთხარით თუ, საპატრონო ჩუენ უფრო გვაქუს მისრეთისა,“ და არ უკვირდა საქმე ჩუენი მასთან რამცა ეკეთისა.“

გეგვიდგება საუკუნე

თეიმურაზ პირველი

ა. წამება ქეთევან დედოფლისა

- 1 ღმერთო ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო,
ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო,
ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელი, გარდამაქცეო,
და არამცა მიმცე სოფელსა, მტყუანია და მაქცეო.
- 2 ფათერაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად ჭირ ცილის წამება,
ფრფინვა ვისცა აქეს შვებითა, ბოლო მისთვისცა წამება.
და ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამაღ არ მექნას წამება.
- 3 თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი აღიღოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა,
უხვებით მისცეს გლახაკთა, საუნჯე შეიწყნაროსა,
და უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა.
- 4 ქეშმარიტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯული გაათასე,
ქრელად ენა შეურიე, იგი გაყვენ დასად — დასე,
ქვეიანი და გონიერი ერთმანეთსა გააბასე,
და ქმუნვით ქებას მით შეგასხამ, მეცნიერთა მწყობრთა დასე.
- 5 იესოვ, შენ გვევდრები, მარიამ, ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია ამაზედაო,
ფრიადნი სევდა-ნალღელი დამერთო ზედი-ზედაო,
და იმ შენი ღვთის გულისათვის მიშველე ამაზედაო!
- 6 ღმერთო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა,
შენ განაწესე ყოველი გული სიღრმითა თმენითა,
მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,
და ღირს მყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა.
- 7 ეს ანბავი მისი არის, ვის უხმობენ დედოფლობით,
თავი მისი ქებით წერეს, ოღეს იყო ხაქელთა ფლობით,
აწდა ბოლო შემოკლდების, გავერივე მეცა ფლობით
და ღმერთო ჩემო, გვევდრები, მაწერიხო ხელ-უფლობით.
- 8 ოღეს მიენდო შააბაზს კახეთის დედოფალია,
ვით მარგალიტი უსახო და უსასყიდლო თვლია,
ადრითგან ქებით შემკული, ნათქვამი ბრძოლ ფიქალია,
და მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია.

- 9 მან უძღვნა ძღვენი ტურფანი ალექსანდრე და ლევანი, კვლა ძენი თავადებისა, მზეს მათგან ატყდეს ლევანი, რომ შეეწყნარა კახეთი, არ ექნა მათზე ძღვევანი,
და არ გაუგონა, ეწადა მათი სისხლისა ლევანი.
- 10 იგი ყველაი წაუხვია, არ იყო მადლთა მძღველი, გაწყრომით იყო დიადად, მოტებობას აღარ მოველი. ბრძანა შესხდომა, აივსო ლაშქრით მინდორი, ტყე-ველი,
და გაუშვეს, ყოვლგნით დაფანტეს ნეალაფე და მრბეველი.
- 11 დაარბივეს, ამოსწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი, შირაზ-შირვან-ხეარასნელი შიგ ჩაუშვა მან ლაშქარი, სადაც ვინმე გარდებევწა, ან მოურჩა, მგონ აქ არი,
და სხვა დახოცა, დაატყვევა, წამოვიდა ვითა ქარი,
- 12 ხელ შეპყრობილი დაეგდო იგ განჯას პატიმარია, სადა ყვა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია, რომ მის მცველზედა ეხმარა თავისა საკეთარია,
და ბორკილიდალმე აეხსნა იგ ყოვლთა საქებარია.
- 13 კვიპაროზისგან უმაღლე თავს ხედავს ამა ყოფითა, უნიეთო ნიეთსა შეეხო ნიეთისა კიდე ყოფითა მან ცრემლთა მამტევებელი საქმე ქნა განაყოფითა,
და ვითა მეყვისსა შეყროდეს, არ ხანი დანაყოფითა.
- 14 არ დააჯერა ამასა მძღაგრმან უწყალომ მეფემან, ქრისტიანეთა მტანჯველმან. უბრალოს სისხლოა მჩქეფელმან, ეროდიას წილ მჯღომელმან, არ ლმობიერმან სეფემან,
და მან არ შესცვალა მცნებანი სურვილთა მოიფემან.
- 15 რალას ვაგრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა, ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისასა, თვალთა სინათლის სანაცლოდ, შვილებსა სქერეტდა მისასა,
და ეგვიპტეს ყოფა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა.
- 16 არა საქმე არა ქონდა, იგი ზარდა წელსა ხუთსა, მსახურებდის, ვით საწუთრო ხელმწიფესა დანახუთსა, მათის ქერეტით იბრუნევედის სულსა, ყელში დანახუთსა,
და სხვას წამალსა არ ეძებდის, არ ფარეხსა დანახუთსა.
- 17 ხელმწიფისაგან შეესმა ბრძანება უფრო წყრომითა: „აქა მომისხით ორნივე, მან არ იხაროს რომითა.“ ვარსკვლავნი უკუეყარნეს, მთეარე შეიქნა ცხრომითა,
და უნდოდა თუქცა ემოვნა გზა ქვესკნელს ჩანადრომითა.
- 18 მე ვითა ვთქვა უებრომა მონადენთა ცრემლთა ხრანი, პირსა ხოკით, დაწვთა გლეჯით, იქით-აქით ხელთა ხრანი, გულსა სევდა შემოაწვის, ამოკენესით ახზრანი,
და იტყვის: „ღმერთო, ეს რა მიყავ, მომივლინე აწ, ახ, რანი?!“
- 19 ორთა საფლაეთა დასძახდა, მიუჯდა ცრემლით ახავი: „არ გებრალები, ხვარამზე, გამდელი, ამ დღის მნახავი? მიწყვი ცრემლ შეუშრობელი, კირსა კირზედა მსახავი,
და ამ სოფლისაგან გარჯილი, ნიადაგ მისი მზრახავი.

20 ვა, თქვენ იყვენით აქამდის ჩემის გულისა მდებელნი, წახვედით, მარტო დაძაგდეთ, სულ ქვეყნის ცეცხლთა მდებელნი, თვალთა წამართვეს სინათლე, დაბნელდეს ცადა მდებელნი, და არ დარჩა სოფლის სასჯელი ჩემზედა მოუდებელნი.

21 ახ, წაეხე, ახ, დავიკარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა, ვაი ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა, სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ. სხვისასა, და ვა აღექსანდრეს ვაყრილსა, ვერ მკვრეტსა ლევანისასა.“

22 მათ უქანის აღარ უნდის მთვარისა და მზისა ნახვა, ხელთა ქონდის გაუწყვეტლად ტირილი და მუღამ ახვა, ილოცვიდა, იმარხვიდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა, და ღვაწლი გარე მოიზლუდა, ემზაკისა არ ყო ზრახვა.

23 რაჟამს შეიქნა უმანკო მუშაკი სათნოებისა, ნესტესა ეყნოსა ღუმლით საზომი სიწრფოებისა, სეინდლისი თვისი განსწმინდა, კდემა არ ეპოებისა, და აძად ამ წიგნსა სახელად ემპლასტროს ეწოდებისა.

24 დღე და ღამე გაასწორის, ლოცვა ქონდის, წიგნის კითხვა, ევედრების შემოქმედსა, უნდა მისგან განაკითხვა, არ შესცვალოს საჯული მისი, მოიგონის განაკითხ ვა, და შვილთ ანბავი ენატრების, არა უნდა მას სხვა კითხვა.

25 „სამას სამოც და ხუთი დღე რა ერთ დღედ შეიყაროსა, საყვირთა ისმას მაშინ ხმა, სამკვდრეთი აიყაროსა, სული ყოველთა იქ შეკრბეს, სოფელმან გაიყაროსა. და სულსა რას ვაქნევ, თუ შეილსა მაშინც ვერ შეიყაროსა.

26 ჰოჲ მე, რა ცუდათ დამაშრო ზრუნვამან ამ სოფლისამან, ჰოჲ მე, რაღა ექნა გარჯილმან, ნატრულმან სამოთხისამან, ჰოჲ ჯოჯობეთის მლოდნელმან, შიშმან და ზარმან მისამან, და ჰოჲ მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამომიხსნას ისამან?!”

27 კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა, კერპობა, ზაკვა, მრუშება, სიძვანი მისთანაც არ სა? კვლავ სარეცელსა აღტობდეს, მოზღლდეს მითა ნაცარსა, და კრულია შვიცელის მოყვარე, ვა რა იქს მისთა ნაცვალსა“.

28 მოთქმისა, ტირილისაგახ, მოაკლდეს თვალთა ნათელი, სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ქონდეს ნათელი, ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი, აწდა ისმინეთ, სხვაცა ვთქვა ხელმწიფის შემონათვლი.

29 რა შაბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ—ხანსა: „შენ ქეთევან დედოფელსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა, ვერ არ შევსევამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა, და წელსა ათად გავათავებ, მოვიგონებ ხანდის-ხანსა.

30 თუ მუსურმანი შეიქნეს ეგე ლალი და ჯანია, მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია, მე მურთუხალი მიფიცავს არ უყო ისკანჯანია, და არა გმოს ისეო ქრისტე—ჰიფიკით დიდი რჯანია“.

- 31 იმამყულიხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია?
ვიცი რომ არ გათათრდების, თუცა არა აქეს დრონია,
და თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“
- 32 შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტბილი, მონყალე, აქებენ სულად ქვენანი,
ლირსეულია ლეთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი,
და სამს თვის არა გაუცხადა, ამისი ქონდა ჩენანი.
- 33 ვით უამბო, ვით შეეკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,
მე მინდოდა საშსახური, არ უძახდი განაბარსა,
არ ვისმინო, რალა უყო ხელმწიფისგან დანაბარსა?
და მოციქული გაუგზავნა, არ უვლიდეს მთას და ბარსა.
- 34 უბრძანა თუ: „იახელით, მოახსენეთ მზისა პირსა,
არ იქნების, თუ არ გიზამთ ხელმწიფისა დანაპირსა,
ნუ გმულს რჯული მაჰმადისა, იგი მოგკემს ენა-პირსა
და მორევმიგან ჩანაქერი, გაგიყვანოს შენ ნაპირსა.“
- 35 რჯული ეს არის, გვიქირავს მაჰმადის დანაწესია,
შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყურება შენ აწ ესია,
და სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია“.
- 36 მაშინდა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდალსა მთვარესა,
ბრძანა თუ: „რჯული დავაგლო, რას მიმუქმებენ დარესა,
პატარას ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა,
და ან ვინმე ჩემსა სამკვიდროს მიმიშვებს, მიმაკარებსა?“
- 37 ილოცავს: „ღმერთო, შენ გიცნობ უცნაურ, უხილველსაო,
სასწაულებსა, ნიშებსა ვერ ვიტყვი საკვირველსაო,
ჰე ბრძანებითა შენითა შესძრავ კლდეთა და ველსაო,
და შეარყევ სრულად ხმელეთსა, არ შესძრავ საფუძველსაო.“
- 38 გვედრები სამეზასა, ერთ არსსა და თანა არსსა,
შენგან კიდე საესავი არა ვიცი სხვა რა არსა,
სული ჩემი შეივედრე, ხორცი უწყი სადა არსა,
და აწ გაბრიელ მომივლინე, სულთა მცველი, განა არსა!
- 39 ძლიერო, გილაღადებენ ორღანოთა და ებნითა,
ძნელითა ინდაურითა, სიტყვითა ბერძნულენბნითა,
ძლივით გაქებენ ქადაგნი, რომელ ებრაელებნითა,
და ძალგიც შენ ათას სახელსა, შენ რა გაგივა ქებითა!
- 40 უცხოდ რამ შეეშინებულვარ მძლავრთა ჰაერის მცველთაგან,
ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველთაგან,
ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ გამიშორებ ხელთაგან,
და წამებულნო და წმინდანო, გამამიხსენით ბნელთაგან.
- 41 ჰე მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,
ბრძენთა შემოაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით დგომასა,
ივანე ნათლის მცემელსა, ან მიმბარე თომასა,
და დედაო მიცხოვრისაო, მიმწიე ჩემსა ნღომასა.

- 42 ვარ ქვეშაბრტყელ მოსავი შენის უბიწოდ შობისა,
შობასაც პირველ ქალწულს, შემდგომად კვალად შობისა,
ანნასებრივი ხაყოფი ვერამ სულდგმულმან შობისა,
და აწ შემიწყალე მორწმუნე აღდგომისა და შობისა.
- 43 ხამს, ღმერთო, ყოვლმან სულდგმულმან ცოდვა შენ აღვიაროსა,
აღსარებითა გადიდებ, მართ დაგივიწყებ აროსა,
რაჟამს განახვენენ წერილნი, აღარა დაგეფაროსა,
და მაშინ მომხედე წყალობით, რა შიშით დაგეფაროსა.
- 44 ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლებს ენითა,
ჩქერითა არ შესწორდება მდინარე, არცა ღვინითა,
ჩემს მტეს მოსავსა ნუ უყოს, მე ვარ რითაცა წყენითა,
და ჩემი განკურნე წყალობით, უფალო, მიხსენ ლხენითა.
- 45 აქამდი სოფლის ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მეკარსა,
აწ ტვირთი შენი სუბუქ არს, სმენაცა შენი მეკარსა,
სარწმუნოებით ვეძიებ, პეტრევ, სამოთხის მე კარსა,
და რომე წყალობით შეინდო, ამისთვის ვირეკ მე კარსა.
- 46 რადგან მომკლა უწყალობან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული ზოაგლინე კრისტთანეს ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს გაუმარჯვე მტერსა ზედა,
და ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა“.
- 47 რა ესე თქვა, შეგებთვია, კრისტეს რჯულსა ეზიარა:
„მეუფეო, გაათატრება ჩემი იყო წესი არა,
გვედრები სული ჩემი ეწმაცს მისცე ესი არა.“
და პირსა ჯვარი დაისახა, გავიდა, თქვა მეტი არა.
- 48 მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია,
ყოლა არ უჩნდა სასჯელი, თუცა არს ღიღი კირია,
ბრძანა: „მოვიდენ მტარვალნი, მათაც ყონ ერთი პირია,
და რომ ჩემი სისხლი იძებნის, ღვთის წინა ამას ვტირია“.
- 49 მივიდეს მაშინ მტარვალნი დედოფლის დანაბარები,
მოიღეს ქალფათინები, შანფურები და ბარები,
ვა მაშინდელი სასჯელი, ვითა ვთქვა საუბარები,
და ხორცი ცნებლთ მისცა, სული აქვს ანგელოზთ შინაბარები.
- 50 პირველად ცეცხლი დააგზნეს, მაშვიგ ჩაყარეს რკინანი,
მაშინ რაცალა მოეხვენეს საწველნი სისხლთა მდინანი.
უთხრეს თუ: „რჯულზედ მოიქეც, დააგდე იგი წინანი,
და თვარე სასჯელი ეს არი, რა ნახო, შენცა ინანი“.
- 51 რა ეს ნახეს, აუტირდეს ხელი ერთად მოახლენი,
ყველა ფერხთა ეხვეოდა, პირსა ხელი მოახლენი:
„ნუ გასწირე თავი კარგი, ჯერ უებრო, მოახლენი,
და ნუ გავგყარე მზისა ზუქსა, ბნელს ნუ ჩავგვსი მოახლენი!“
- 52 მზემან მხლებელთა უბრძანა: „უამ ერთ აწ ეწამენითა,
კრისტეს იგოს ღვთის მადლსა, მოდიო, თქვენც ეწამენითა,
თუ არ ეწამოთ ნუ წახვალთ, აქა დამემოწმენითა“.
და ვა ქალღღისას მოთქმანი, ვითა ვთქვა აწ ამ ენითა.

- 53 მოსთქმინდა: „ნორჩო ალვაო, ტანად ზრო, განა თვალითა, ხელმწიფობითა გაზრდილო, ტურფაში განათვალითა, მარგალიტითა შემკულო, მოხდომით განათვალითა, და აქამდე შენმა მკვერეტელმან რა ვნახე განა თვალთა!“
- 54 ვა არსად ვახლავს ლაშქარნი, ჯალაბნი თავადებისა, თავს გადგენ, ნახონ პატიეი, სასარჯლოდ ცეცხლი გზებისა, ახ, ეინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა რა მოხდებისა, და ესოდენ რკინა მხურვალე ვის გულსა დაედებისა!
- 55 სულო, გაუშვი ალაგნი, თვალნო დააგდენ ბუდენი, გულო, საძირკელით აღმოხე, მოირღვენ გარე ზღუდენი, ტანო, ზე ნულარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი, და ქარო, სად მისწდენ, მიიღე ანბაენი არ სამრუდენი.
- 56 მუნ ვინმე ჯვარის მოსავე ერთი უცხოსა ყოფითა, ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა, ფარაოზისგან შეპყრილი სულოთა და ხორცთა ყოფითა, და მოსე ვით გამაგრებული მათი სარჯლისა ყოფითა“.
- 57 მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის წამსა, უბრძანა თუ: „აქ დამიხედით, აჰა ღმერთი ვისაც გწამსა“, მან შეჰკივლა, ხელი იკრა თავსა, პირსა, თვალ-წანწამსა, და რაზომ სხვანი გააკვირა, ვერ მოშალა: „იგი გვრწამსა“.
- 58 მხედართ, ხელი კრეს, გააგდეს კარიდალმ თავშიშველია, სხვა ღონე ვერ ქნა, მოიელო მან გარეშემო გველია, წინ გივი შემოეყარა, იქ თურმე მიმავალია, და წელთა მოიხსნა მოხვივა თავს შალი საფარველია.
- 59 შესტირა: „ვაი რა ვნახე, ეს რა დღე მოვიწახია“, შეიპყრეს ხელთა მნათობი იგი უებრო სახია, წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერვინ თქვა სიტყვა მკახია, და მე ასრე გარ გამომავდეს, შენ რომე დამინახია.
- 60 ასმათ თავ გაგლეჯილი, მკერდამდე სისხლთა მღვრელია, რაყამს გააგდეს თინათინ შემცდარი, ვითა ხელია, ნობათი მოხვდა, მონახეს მერმე გიორგი მღვდელია. და პოვეს, აჩვენეს ყოველი მას იგ რაც სატანჯველია.
- 61 მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები, ლახვარნი ანუ სამსკვალნი, ლურსმანი რაცა შიშები, შეკრთა, ათრდოლთა, დაეცა თავსა ზარი და შიშები, და გულსა ჩაეხმო, ვერა ქნა სასარჯლო ანგარიშები.
- 62 შეუზახა: „იმერელო, რად დაგერთო აგრე თრთოლა, აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა, განა არვის გარდახდია სასჯელი და ასრე წოლა? და ვინ დარჩება ქვეყანაზედ?—ბოლო გვიჯობს ასრე რბოლა.
- 63 იცი ხომ ქრისტეს რა უყვეს, მას სასწაულსა ღვთისასა, ლერწამი ფრჩხილსა დაავლეს დამასნელსა ადამისასა, ლურსმითა ძელსა მიაკრეს, ყოფენ ნებასა მისასა და რად არ იკიროვი ელირსო საქმესა წამებისას?“

64 რა სასჯელს ვერვინ შემართა, ვერცვინ ქნა მის ოდნობანი,
რა ხელი ყვიან, შეიქნის თავით ფერხამდინ დნობანი,
და რა ქრისტეს ზურგი აქციეს, ქნეს მაჰმადისა ნდობანი,
და რა ხელი კადრეს მას მზესა, ველარ დაატყვეს ნდობანი.

65 ახენდა, ერთი სიტყვანი მაშინლა ბრძანა ახითა:
„თქვენც იცით, ყოვლი დედანი ვართო ერთისა სახითა,
აუგი არის კაცთათვის, რაც ჩვენ გვეწოფების ნახითა,
და მაზედა რაცა ისაჯეთ, ქენით, არა ვარ ზრახითა.“

66 მერმე გაუბეს ხელ-ფერხი, გაძაბეს განა მაჯები,
ვაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდვეს, ყველა ქნეს მათი აჯები,
და აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა თქმითა აქ ვისაჯები.

67 ვამე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი,
ძკერდით ზურგამდინ გაავეს გახურვებულნი რკინანი,
მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
და მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი.

68 ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააპეს ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაყარეს ხორცთაგან ტყავი წინანი,
და მაგრა არ გაწყდა ტანჯვისა გულზედა დასაწვინანი.

69 მან წმინდამან, მას ჟამს იქით, არა ყოვნა წამსა ერთსა,
სული თვისი მიძაბარა მეუფესა, მისსა ღმერთსა,
სამოთხეში მიელიან ქალწულები შენაერთსა,
და ირინე და მარინეო იქმენ მათში განაერთსა.

70 ზეცით მოვიდა ნათელი, იბილეს სრულად ერმანო,
იესო ქრისტე აღიღეს, სრულ ყმაწვილმან და ბერმანო,
გვარჯასპისვილმან მსახურა, არ ხუცესმან და ბერმანო,
და მისმან მეკელმან ქნა მას აქეთ კარგი ვერც არა ვერმანო.

71 წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,
სული ამოხდა სურნილი, აღარსად იყო მკვდარია,
თქვეს: „ფრანჯნი მოიპარავდეს, თუ საღ დაეცათ დარია.“
და მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.

72 ამა წმინდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებოდა,
ჯვარის მოსაეთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა,
თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დითვლებოდა,
და არავის მისცა შააბაზ, ცოდვითა აივსებოდა.

73 მალვით მონახეს ნაწილი, საღ დაემალა ბარებსა,
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიმროზელთ მწიგნობარებსა,
ლუსკუმაშიგან ჩაიდვეს, უქმედეს მუშკ-ამბარებსა,
და იგი კურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუდღის კარებსა.

74 მათ აწამეს წმინდა ესე სეკდენბერსა ათორმეტსა,
შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა,
საქართველო აღებულა წელს ნაქამი ათერთმეტსა,
და მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი ნათლი სეეტსა.

- 75 ღვთისა მიერ მორჩილობა თურე იყო გულსა მათსა,
 ამაღ იყო უვნებელი. დაყოვნებით წყლსა ათსა,
 და მას სიკვდილი ვერ მოკლევდა, ღვთის ტრფიალსა მინა-სათსა,
 და ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა კიბისასა.
- 76 ვითაცა ყოვლი საჩინო ნებროთს გვირობით უხმობენ,
 საპისოდ ფილასოფოსთა და ბრძენთა ენა უხმობენ,
 რიტორნი მრავალ მეტყველნი რა მიეღვენ, ნახევენ, უხმობენ,
 და ვერ შაიგნებენ ქებასა, არიოპაგელს უხმობენ.
- 77 ვით ითქმის ქემა მეფისა ღვთიე დაცულ, დაფარულისა,
 აწ დაუძმკიდრა დოვლათი ეტლითგან არ ფარულისა,
 მას მიენიქა უფლება ამ საწუთროსა სრულისა,
 და მოშორება აქვს ვეშაპსა ჭლორებელთა მოარულისა.
- 78 წერს, იტყვის: „ვაი დავმარხე მე სიკვდილისა წინარე,
 ტყვე ქმნილი, შექირვებული, ვიგონებ თვალთა წინარე,
 ორისაგანვე გარჯილი გუბი მიდგს ცრემლთა წინ არე,
 და ტრედო, მიმიძელ სიონად, წამიძელ შენვე წინ არე.“
- 79 ესე დღე აღსასრულისა ჟამთა და წელთა ჩემისა,
 ვერ განვიწმინდე ცოდვიანი სულთა ნუგეშის ცემისა,
 ძვირის ვნებითა ვნებულნი, ვინ ება მისდა ცემისა,
 და სულთა და ხორცთა გაყრაში, რალა ვთქვა მის დაცემისა!
- 80 ოდესმე წავდგე შიშველი, ქედ დახრით დაყმუნებული,
 ოდიდგან ცოდვით მოსილი, არ მადლით განბრწყინებული,
 და ორგნითვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკნელ წარჩინებული,
 მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღტყინებული.
- 81 ჯერ, ღმერთო, არა ვარ ღირსი თვალთა მე ზეცად ახილვად,
 ჯეროვნად მზისა, მთვარისა, მალლისა ცისა დახილვად,
 რა ჟამს მოვიდეს გაბრიელ ცოდვათა ჩემთა დახილვად,
 და მას თვალნი ველარ შევადგენ, ვიყო კვლა დაღმა დახილვად.
- 82 აწ ესე მიკვირს, რამცა ვქმენ საქმენი გასაჩინელი,
 მე ვკადრე ხელის მიყოფა, იყო ბრძენთ გასაჩინელი,
 თუცა მსუროდა, სევდითა ვიყვენით ცრემლთა დენილი,
 და თვარე მას უხმდეს მეტყველნი, თვით იოვანე სინელი.
- 83 თქვენ, გონიერნი მკითხველნი, და ლექსთა შემამკობელნი,
 ძნელისა განმგონებელნი, სიტყვათა შემაწყობელნი,
 რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნი,
 და თქვენ შეათავეთ მის მადლსა, მართლისა გამთარგმებელნი.
- 84 ვინცა ლექსი მოუმატოს მე არა ვარ მომდურავი,
 თქმული ჩემი ვინც შესცვალოს, კარგი იყოს თუნდა ავი,
 და რჯულისაგანც შეიცვლების, რისხავს მისი საესავი,
 მე ოთბმოცი ლექსი მითქვამს, სულ ეს არი ბოლო თავი.

მ. მ ა ჯ ა მ ა

შესავალი

- 1 კვლავცა მითქვამს: სიტყვა უქმისა პატიუმან შემაშინაო, ყოველნი განვლით სოფელსა, არვინ დავრჩებით შინაო, სულის არ განმსვენებულო, მსგავსად პირუტყვთა ფშვინაო,
და კარი დაგვეხშვის სასძლოსა, გვესმის: „ნუ მოხვალთ შინაო.“
- 2 ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული, მომინდა წერა ამისთვის: არ იქმნას დავიწყებული, კაცი ბრძენი და გამგონი, ვინ იცის, შეხედეს სწრებული, ცუდად არ წახდეს ნაშრომი, დამევესოს ცეცხლი გზებუღი.
- 3 სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“—შეყრილად ითარგმანება, წიგნები გამოკრებული. იგ ერთად მოინმარება, იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება, გული მოყვარე სიბრძნისა, მასთანა დაევენება.

1. მზე ცულ მაშვრალობს

- 1 მზე ცულ მაშვრალობს, ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა, სხვამ, შენგან კიდე, სამყარო ვინ გაისახლა, ისარა? მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარ ივლო, ისარა,
და მუნით მკრა გულსა, ტყვე ქმნილსა, გლახ, შეგმან შეილდმან ისარა.
- 2 თქვენ მზესა სწუნობთ, მე მას ვევე ეტლსა სხვა ვინმე ისარებს, ეგ ცუდად ჰფანტავს სხივთა და უკეთ ანათებს ის არებს, მელნის ტბა ტევრად გიშერსა გარ შემოივლებს, ისარებს,
და ესერის მვერეტელთა გულებსა ეკალმუხისა ისარებს.
- 3 გული ქმნილა ნარგიზთათვის, გლახ, ლახვართა ასახებლად, ვერ ძალ ედვათ, თვით რად ხელ ყვეს, მაშ, მნათობთა ასახებლად? მით იძლიენეს, მოიკიცხეს, ედემს ნორჩნი ასახებლად,
და მსურის მისთვის გაკრა, ხელქმნა, ვიწყო სულთქმა ასახებლად.
- 4 ვერ გაქვს ბრძენთა კრებულმან, უტყვე იქმნეს, პირი დაეყო, ციერთ მიელო ნათელი სრულ შენგან, არ თუ და ეყო, გაუჩნდებოდა სიტურფე, ვარდს შენთან ხანი დაეყო,
და გლახ, ჩემთა ცრებლთა ნაკადი, ვფიცავ, სოფელსა დაეყო.

II. შენთვის ხელმან

- 1 შენთვის ხელმან, გლახ, უშენოდ მითხარ, მზეო, იამოს რა?
შენმან ეგრე სიტუარფემან ვარდი მოკლა, ია მოსრა,
წარბ-წამწამმან გული კრული პირველ მოწყულა, მერე მოსრა,
და არ ჰგებხარ ქვე ნამყოფთა, მზეო, იწყევ ბარე მოსგრა.
- 2 ერთი სული მაქეს, სიკედლო, მოყერისად შემიწირავსო,
სხვა შენთვის ველარ დავბადო, ვერ მოგცე—ნუ გიკვირავსო!
და იგ არს პატივთა მიზეზი, სად ვარდ ქვეშ ბროლი სქვირავსო,
სული მას მიჰყავს, არ ვიცი ჩემთვის რა გაუპირავსო.
- 3 ყაყაოს უთხრეს ყვავილთა: „რადგან შენ გეჯობხარ ფერადო,
სუნი არ გიღის სურნელი, ეგ საყვედურად გძე რადო?“
და თქვა ტორფად ვინმე გაწყრომით: „მიბრძანე, მეგებარ მე რადო?
სუნი წამართვა, დამავლო ლახვართა დასაძგერადო.“
- 4 თავმან შენმან, რისხვა უნდა კადრებისა დაუმალსა,
მაგრამ რა ვქნა სხივთა ცეცხლსა? სრულ დაუწევავს გული აღსა,
და დაუქრია აღმასისა, მისდგომია დანა ძეღსა,
თუ არ მიხსნი, შევდგომილვარ მაჯუნისა მე, გლახ, კვალსა.
- 5 შენებრ ნაყოფი უფალმან ხამს ედემს თვით რგოს, მან ასოს,
ყანდაარს ნირი შაქრისა, ვარდმან-ბაგემან დანასოს,
და მუნით ნაკადი სიტკბოთა უკვდავ ჰყოს, ვისცა მან ასოს,
ისწრაფის ყოვლი მიჯნური, ვინძი ახიოს მან ასოს.
- 6 გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა, თუ სიკედლისა, გლახ, სასმელი დამელია,
და მომადულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და—მელია,
აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია.

III. მზე უნათლე ჰქმენ

- 1 მზე უნათლე ჰქმენ, ეტლსა ჰზი. შუქნი კრთებიან სადარი,
ამად ესტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ეგზომი ცრემლი სად არი?
და ვარდსა მისტარე შეგინება, ბაღახშანს ლალი სად არი?
ბროლსა სტვენ ძოწნი ბაგენი, ფერად არღაენის სადარი.
- 2 ბრძენთა მოვასხამ საქებრად, დიონოსითურთ კრებულად,
მაგრამ ვით ხელჰყონ, მზე ნახეს, თვით შენგან ნათელ კლებულად,
და ბაკნი მოგძილენა მთვარემან, გნახა უმეტეს ესებულად,
გლახ, კმუნენით გახდა, პირს იცა—მუნით აჩნია ლებულად.
- 3 გული ნარგისთა ლახვარმან დაქრა, დახია, ასერა,
მუშკი ხარ, ზილფი, ამბარა, ნახეთ რა მიყო ასე, რა!
და წამწამმან ჰინდი ლაშქარი ჩემად კვლად, რისხვად ასერა,
მე მომკლა, მხეცნი, მფრინველნი სადილად ჩემზედ ასერა.
- 4 მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა,
და რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მიყოფა?
გული საესე მაქეს ლახვრითა, სხვა კიდევ—აღარ მეყოფა?

IV. ტურფა ხმა შვენიერებით

- 1 ტურფა ხარ შვენიერებით, ტანი მიგვიგაგის საროსა,
ვა, შენისთანა მიჯნურსა ვერვინ ელირსოს აროსა,
კაცი ხამს შენტვის გაიჭრას და ლხინი გაიმწაროსა,
და ტარიელს ქვაბსა ესტუმროს, მაჯუნთან დაემყაროსა.
- 2 მისგან გახდეს სულ ციერნი, არ იცნობის დანაცარად,
მან დამიჭრა გული წამწმით, მოიხმარა დანაც არად,
სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან, ლამის ვიქმენ დანაცარად,
და დამეგრინა ბედი მრუდად, არ ვეჭვ იქმნეს დანაცარად.
- 3 იაგუნდისა ბაგემან ყირმიზი-ლალი ღვინო სვა,
თუ ფერად ბაგემ აჯობოს, ამისთვის მართებს ღვინოს ვა,
მე ჩემსა სისხლსა ვამსგავსე, თურმე მინამან ღვინო სვა,
და კარგს კაცთან ბრძენთა სიტყვასა ვერა სჯობს, იგ სალხინო სვა.
- 4 ნადიმად მსხდომთა სალხინოდ, საქმე გავსინჯოთ სურისა,
თავის სისხლს გვასმევს სალხინოდ, ესოდენ ჩენთვის სურისა,
კაშკაშით გვეტყვის: „მამ თუ არ იგ ჩემი სისხლი, ჰსუ რისა?
და შემამკობელი ლხინისა და ძალი უსუსურისა.“
- 5 უწყის ღმერთმან, ვერა ვხედავ ქვეყნად შენსა დანამსგავსა,
დაუწვივარ იგ უწყალოდ ცეცხლსა, შენგან დანაგზევსა,
გულისათვის დასალაზვრად ჩემქენ წამწამ დანაგზევსა,
და ხამს მიემართო მაჯუნუნისა წანავალსა და ნაგზევსა.
- 6 მოიგონე სიყვარული შენტვის სულთა განაწირ, ვა,
კაცს აცხოვნებს სამართლის ქნა, უსამართლო განა წირვა?
გლახ, ლახვარი სიშორისა ათასი ძკრა, განაწირვა,
და სჯობს დააგზნა სიყვარული დავსებული, დანამწირ, ვა.
- 7 გულსა გულზედ მით არ მიცელი, ნინდა რომე მოგცე სართად,
სულთაც გიძღვნი, უმჯობესი რალა მოგცე ზედან წართვად?
არ დაგიქერ, ვჰფიცავ ღმერთსა, ცეცხლზედ მივსცე ზედან დართვად,
და უწყალოდ სვამ სისხლსა ჩემსა, ღვინის ნაცვლად ჰხიხარ წართვად.
- 8 მარგალიტისა სადაფსა იაგუნდი სცავს და ლალა,
მათ გული ჩემი მიჰყიდა ვინლაც, ვინ იყო დალალა,
მომკლეს, ტირილის სანაცვლოდ სისხლი აქვს ჩემზედ ალალა,
და ჩემის ლხინისა ყვაილი უმზეობამან დალალა.
- 9 ბროლ-მინაზედან გიშერი, ვარდმანცა თავი მუნ არა,
სრულ შვენებისა ყვაილი არ დარჩა, შეკრბა მუნ არა,
ვერსით შეუველ საკრეფლად, ეკალნი დამხვდეს მუქნ], ნარა,
და ზენათ ნათელთა მფლობელმან ამისთვის დაიმუნარა.
- 10 გულო, ცეცხლი სურვილსა არ დაავსე, შეუკეთე,
მე მუნ დამწვი, აწ ლახვარი, მგონი, მოგზედეს შენ უკვეთე,
გნახე ეგრე შენ უთმობლად, თავსა ხელქმნა შენ უკეთე,
და ყველა მით ჰქენ, ნახე ვინმე მნათობთაგან შენ უკეთე?

- 11 გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ, ნაცვალი მომე რა?
ველარა გპოვე საჩემოდ, გაყრისა სევედა მომერა,
უვარდოდ წალკოტისათვის თვალნი რასთვისლა მომერა?
და დამწვი და წყალი არ მასვი, დამწვარსა გულსა მომე რა?!
- 12 ბულბულთა შექნეს ძახილი, აგრე ჰგავს—ვარდმან იშალა,
გულსა გაქრა და ხელობა უშალე, არ დაიშალა,
ხამს, თუ მიჯნურმან ტანსაცმლად სტავრისა ნაცვლად იშალა,
და გლახ, შენმან შუქმან მნათობნი არავინ არ აიშალა.
- 13 ვარდი დაქენა, მზემან შუქი აღარ მისკენ მოაწურვა,
ცრემლთა ღვარი გაუწყვეტლად, ერთხელ არსად მოაწურვა,
არ ვეწვალვი მას გულ-ქვასა, სულნი პირსა მოაწურვა,
და მოეშორა რადგან ლხინი, სევედა, ზრუნევა, მო აწ ურვა.

V. გაბაასება ღვინისა და ბავისა

- 1 ღვინო ეტყოდა ბავესა: „სიტყვითა დაგებასო და,
ბადახშანისა ლალო და იაგუნდისა ფასო და,
ფერად შენ მჯობხარ, ამით მე ვის ჩემი თავი ვასო და,
და გულსა, სევდითა სავეცსა, ზედ ლხინი დავამტენასო და“.
- 2 ბაგემა უთხრა ღვინოსა: „სიმზიარულეს იქებო,
მე სრულად შევშლი მპერეტელთა, გულსა ეტყვიან: იქ ებო,
ქაცის გულებსა დაფფერავ, თქვენც დაგაშეენებ ქიქებო,
და ქძონსა, სადაფსა, აყიყსა, არღავანს გავაქიქიჯნო“.
- 3 აწ ღვინო ეტყვის ბავესა: „ტურთა ხარ მეტის მეტადო,
ვარდი გაყარეს ბულბულთა, შენზედა შეკრბეს ყიფადო,
მე ქაცს დავათობ, ვამღერებ, ტეინს გაუჯღებთ ეფადო,
და ვირემ არ უქუვეყრები, ვერ იგრძნან, სმიდენ რეტადო“.
- 4 ბაგემა უთხრა ღვინოსა: „ქაცის დ-თობა იქადე,
ქაცსა ვამღერებ“—ამისთვის მე დაქარბება მიქადე,
და მე ქაცს სრულ მოვჰკლავ, საწყალო, ვით ადრე გატყდეს ქიქა, დე,
ვერ გამოჩნდები ჩეთანა, სადაც მე ვიყო იქ ადე!“
- 5 ღვინომ¹ თქვა: „მგონი, ამ საქმეს არავინ დამიწუნებსა,
ვეცხლის თასზედა ყირმიზად გარდმოვსდიოდე სურებსა,
ესწყუროდე თუ არ ვსწყუროდე, ყველანი მოძიწყურებსა,
და მპერეტელთა თვალთა და გულთა არარა უფრო უნებსა“.
- 6 აწ ბაგე ეტყვის: „ეგ ქება უკეთ სთქვი, რალაც ღონია,²
მაგეთა ჩემი სწორება ტყუილად მოგივონია,
ვეცხლის თასზედა ყირმიზად ღვინო დგას, მოსახდომია,
და აწ მე გაამბო ჩემი ზნე, ეს უფრო მოსაწონია“.
- 7 თეთრს თასსა წითელი ღვინო დასტურად შეახამებსა,
ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რალას შეიღარებსა,
სანდომად რასმე, ღიმილით, რომ ვალღებდეს კარებსა,
და მისსა მპერეტელსა შეაცდენს, ხელსა ვით შეიგვანებსა!

VI. მხესა შესწრფა მისგან შუქი

- 1 მხესა შესწრფა მისგან შუქი, ხედავთ ველარ მონადარა!
მთვარე საესე დარბის, მაგრა, ვეკობ, მისთვის მონადარა,
წალკოტს ვარდი მის ლაწვთათვის გაზოლდგემის მონად არა,
და რად დავგროვდა ჩემთან ეშყი, მისთვის მაქვსო მონად არა.
- 2 ვერვინ ნახოს მისებრ, ვინც ვლოს ოთხივ ყურე მონაკიდე,
ოდეს გნახონ გაესებული, მთვარე გახდა მონაკიდე,
ვითარ დასწავეს სიშორისა გულსა ცეცხლი მონაკიდე!
და ვით, ვლახ, ვზიდო მძიმე ტვირთი, სურვილისა მონაკიდე.
- 3 შავმან მშვილდმან ისარი მკრა გულსა ლახვრად დანასობი,
ეგზომ დაპყო გულსა შინა, რომ მოჰკიდა დანას ობი,
ლაწვთა მისთა შეენებითა ენახე ვარდი დანასობი,
და ველარ ენახე მთვარე მისგან მონავანი და ნასობი.
- 4 დავლე საწუთრო, შენებრივ—მო ის რა ენახე, ა ის რა!
ეს მიკვირს: გული, ქვეაქნილი, ვით ეგრე ერთ წამ აისრა!
მკითხვიდენ 'ცენი მნახველნი: „თუ არ მხეაო ა ის რა?“
და მე უთხარ: „მისი სამყოფი მნათობთა გვერდით, აი სრა!“
- 5 ეტლი ნატრობს: „ნაცვლად მზისა ზურგზედამცა ის შემასვა,
ამად ვტირი, სხივნი ლახვრად გულზე დამცა, ისრად მასვა,
მიწყვივ მით მთრავს, ათასიმცა სურვილი და ეშყი მასვა,
და ვის ერჩიოს სოფელს ყოფა, არ გაიქრას მისთვის—მას ვა.
- 6 მთვარე ვერ დაგედარების, ვერცა მზე დაგედავისო,
მიწა და მტვერი შენს ფერხთა თავსა და პირსა დავისო,
შენი სხივი და ციმციმი გულზედა ლახვრად დავისო,
და ცუდად გაქებენ თინათინ, ნესტან დარეჯან დავისო.
- 7 რად ვერ ხედავთ ბულბულისა ხელქმნა, გაქრა, განავარდსა?
შეუშლია, ყუფს, იძახის, სხვას არასფერს—განა ვარდსა,
თავს ევლების, ზედ დაფრინავს, არ აძინებს, გან ავარდსა,
და ვირ არ დაქენის, თვით არ მოკედეს, არ იქმს ხელით განავარდსა:

VII. ეშურების ბაგე ვარდი

- 1 ეშურების ბაგე-ვარდი სისხლი ჩემი მალე სვასა,
გულსა დანა აღმასისა სქრის, არ ელის მალ ესვასა,
თვით თავსა ჰყოფს ძოწეულად, დამიმკვიდრებს მალე სვასა,
და ავრე შექმნა მზე და მთვარე, დაუწყებენ მალეს ვასა.
- 2 ბულბულს ხედავთ ვარდისათვის ნაეკლევსა და ნარევსა,
იგ, ხელთაებრ ყუფა-კენესით, აქა-იქი დანარევსა,
თავს დაჰყვივის მისსა მკვლელსა, გულსა შინა დანა რევსა,
და იძახის თუ: „რად ვერ მხედავთ, სურვილისად ანარევსა?“
- 3 აწ, ბულბულო, ყველა გხედავს ხელსა, სოფლით განაქერსა,
ჩაჯდომილხარ ეკალშია, სახლს არ ეძებ, განა ქერსა,
გვიჩვენებ და შემოგვიჩვი გულსა, ლახვრით განაქერსა,
და მოგიტან და გაგიკურნებ ვარდსა ხელით განაქერსა.

- 4 არ დაურჩა გულსა კრულსა, რომ ლახვარი მას არ ესვა,
 და ეგრე კმუნება, სევდა, ურვა შეუსვენლად მას არ ესვა,
 და წყლულთა მისთა საკურნებლად, გლახ, წამალი მას არ ესვა,
 და ეს მიკვირს თუ, რად არ მომკლავს იგ ეგზომი „მას არ ესვა“.
- 5 აწ გულსა კრულსა, ხელქმნილსა სევდა უპირებს მორევად,
 რადღო სულდგმულობს ლახვარი, ვითა მუდამა მორევად?
 და გლახ, ცრემლთა ჩემთა ნაკადთა, რაზღენი დადგა მორევად,
 და აწ, რადგან მაკლო ნიშატმან, მიმიშკით, მივჰყვე მორევად.
- 6 სოფელმან და ეამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,
 ათასი და უმეტესი კირი ჩემი განაქარვა?
 და რა ბრალია, მინა-ვარდი ოდეს იქნას განა ქარვა!
 და ამას ვგეოვარ, მით რომ ერთდღე აღარ მომხედეს განაქარ, ვა!
- 7 ანელებდი, ნუ უკეთებ, გულო, ცეცხლსა დანაგზევსა,
 თვარ წინა გიძს მიჯნურისა ხელქმნა, განვლა დანაგზევსა,
 და ვერ მორჩები დაულახვრად წამწამთაგან დანაგზევსა,
 იგი მითქვამს და მას ვიტყვი: ესე სჯობსო დანაგზევსა.
- 8 რად არ დამპრის გულსა კრულსა აღმასისა დანა ტარით?
 რად არ გიკვირს, არ გაეკრიღვარ სოფლის სიერცე დანატარით?
 და რად ვერ მივხვდი საწადელსა მე სიკვილსა დანატარით,
 და ბრუნავს ჭკუა ცნობით ჩემით, ვით დიაცთა დანატარით.
- 9 თვალთა კეკლუცთა, ტურფათა მე ყმად მიუვალ მა შენსა,
 და ეგ მაშინც გულსა უწყალოდ წამწამ-ლახვრითა მაშენსა,
 და „შენკენ არ მოვიხედლაო“—ამით მალონებს, მაშენსა,
 და თუ ფერხთ არ შემოიხევედე, აგრემც მამთხვია მაშენსა.
- 10 წამწამს მესეროს შავი მშვილდი, ისრად გულზედ დამალება,
 და ესე გვარმან მომისწრაფა სიკვილილისა დამალება,
 და იგი ნახოს მოვანებით – მთეარეს მართებს დამალება,
 და მისად ქებად ბრძენთა მართებს ენა ქებად და მალება.
- 11 ზედ გარდასდის ბაგე ვარდსა სისხლთა ჩემთა მონასობი,
 და მენჩინა შავი ისრად გულსა ზედან მონასობი,
 და ნახოთ, თქვენცა მოგწონდების მნათობთ გვერდით მონასობი,
 და სულ ციერნი დაიმონა, ვით ძალედვას მონასობი.
- 12 მე ვცსთვის ვკვდები ბროლ-ვარდი და ნისი მონა ვარდია,
 და თვალნი მელნისა ტბას უგავხ ზეცილგან მონავარდია,
 და იგი აშვენებს ხმელეთსა, მზე ცულად მონავარდია,
 და მაგრამ მკვლელია კაცისა, შეყრისა მონავარდია.
- 13 ბროლ ვარდსა, ტარად საროსა გიშრისა ბალი უშენდა,
 და წვთაგან ელვა კრთებოდა, მკვერეტელთა ლახვრად უშენდა,
 და წიგნი მივსწერე, ებრძანა: „ეს ვით მკადრეო, უ შენ და“,
 და გულს უთხარა: „თუ არ შეგიყრის, უ შენდა“.
- 14 ვიცი მომკლავს იგი პირმზე მისთა ხოტბა დანაზარსა,
 და ამად რომე ზარიფია იგი ტურფა და ნაზ არსა,
 და მეტი რა ვყო—თავსა უძღვნი, მოვანსენებ დანაზარსა,
 და მაშინ ეგრეთ შევეწყალვი, მიგონებდეს დანაზარსა.

- 15 მოუკლავარ ვისგან სხივნი მე შემქნია დანა ტანსა,
ბროლ-ბალახშთა მარგალიტი ვარდსა ქვეშე დანატანსა,
გული მისკენ მიუზიდავს ხელსა, სწრაფით დანატანსა,
და მისთა მკვრეტთა გაახელებს, სკრის ვითამცა დანა ტანსა.
- 16 ნეტამცა ვინმე სიკვდილსა მიმცა და არ დამაზარა!
ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა,
უყვავილომ და უყვარდომ ღვინომ რაც ქმნა, დამაზარა,
და აგრე რამ მოჩანს: სოფელი ბოლოდ მომცა და მაზარა.
- 17 ხოსროვის ცრეწლი ნადენი, კვლავ გაამრავლა მილები,
რა მოაგონდის მოყვარე და დღენი წახლომილები.
ვარდსა ასველებს, ინდოთა რაზმი ჩანს უნდომილები,
და იტყვის: „შენვე ხარ სიცოცხლე, გული რაზომცა მილები“.
- 18 ჰირნი მოვლენ ზუღამ ჩემთვის დაუკლებრად ამა სალა,
მოაქვს ცეცხლი მოსადებლად, მასთან მოაქვს ამას ალა,
აღმასისა გულსა ფარად ხამს და უნდა ამას ალა,
და ამისთვის სჯობს ეს მთვარესა. არ აჩნია ამას ალა.

VIII. ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა

- 1 რადგან არ ვცხრები ქებასა, ეგონივარ ამათ მისანი,
აწ ჩემთა გულთა ლახვარი სათნო მაქვს სათთა მისანი,
სიმელნე შავთა წამწამთა, სისხო, სიხშირე თმისანი,
და ვთქვა: მისი შუქი ნზეს მატობს წითლითა ათათ მისანი.
- 2 მეფეთა ქებას ვერ მივხვდი, არც ჩემგან მოიგონების,
ია და ვარდი უმლეული კვლავ მისთვის შეიკონების,
აღმასსაც სჯობსო იმდენსა, რაც ხმელეთს შეეწონების,
და მისსა მნახავსა უღრუბლო ნზეც აღარ მოეწონების.
- 3 დამვიწყდა სხვანი ნაქები, ქება ვთქვა მე აწ ამისი,
წამ მთვარე არის გაცხილი, მზე ნახო ფერად წამისი,
მცლნისა ტბისა წორევისა უშეინის მიჯრა წამისი,
და კრულმც არს მიჯნური, ვინ თავი ამისთვის არ აწინისი.
- 4 მე მოგახსენებ, ისმენდი ჩემთა ამბავთა სმენასა,
მისივე ლომის ქებასა ძლივ ვათქმევინებ ენასა,
მისგან ელიან წნათობნი სეფდისა ამოლხენასა,
და ვინ გვიან ელის შეყრასა დაიწყებს ცრეწლთა დენასა.
- 5 რა ვთქვა წამწამთა დარაზმა, მიჯრით მიწყობა წარბისა,
ვარდისა ღალსა ელვა კრთის, ზედან ციალი წარბისა,
მისთა ნაყნოსთა სურნელთა სული გავს განა წარბისა,
და მისთვის ბნდებიან მკვრეტელნი, ქეყრიან, ვერვინ წარბისა.
- 6 თმისა ტევრი, წარბთა სისქე მიჯრით ბალსა შენ იარა,
სურნელებთა სუნი შენ გდის, დაცასჩავრე შენ ია რა,
სხიენი შენნი გულსა ჩემსა მოეფინა შენ იარა,
და წულულსა ჩემსა ვინ ჰკურნებდა, მოსწრებოდა შენი არა?

- 7 მეღნისა ტბათა უჩრდილებს გიშრის წამწამთა შენება.
მისთა მკერეტელთა მიხედების ლეთისაგან ზე აშენება,
მთვარე მზეს ეტყვის: „მჯობია, მოწმობით დართე შენ ნება“,
და ხამს სამეფოსა ტახტზედა წამ გაუყრელად შენ ება.
- 8 მოგწონდების დამნახველთა თმა ჩელნისა და გიშრისა,
მიმძიმს მისსა მგონებელსა, თვალთა წყარო დაგიშრისა,
ჰე რიტორნო, თქვენც; აქებდით ენა თუ არ დაგიშრისა,
და მზე-მთვარეთა სინათლესა ვფიცავ, რომ ის დაგიშრისა.
- 9 ბადახშნის ლალის მჯობია ყირმიზად გააქვირვალისა,
პირშია თეთრი ელვა კრთის უბრწყინვალელი რვალისა,
აწ მეფეთ ქებას ვაძატოთ, ამისთვის გულმზურვალისა,
და გარდამხდომელი მკერეტელთა ის საწუთროსა ვალისა.
- 10 თქვენი ნახვა წყლულთა ჩემთა უფრო ცეცხლად მოეკიდა,
მოთმალა ბროლის სვეტი, მკერდსა ზედა გარდეკიდა,
აღმოფრინდა სული, სულსა ჩემი თქვენს გამოეკიდა,
და თუცა გინდა ცოცხალ ვიყო—კვლავცა მნახე, მოე კიდა.
- 11 კბილნი ობოლს მარგალიტსა, ლაწენი ვარდსა მას არია,
ვინ არ აქებს სამართლითა, თავს ეცემის მას ს[ი]არია,
სადაცა დგის სინათლითა აღუვსია მას არია,
და ვარდი, ბაღა მისისა, ვერ ედარვის მას არია.
- 12 ანდამატისა მკერდზედა ბროლისა სვეტი ენართა,
იმას უკერეტდა თვალხუკეტი, ხედვითა ვერ შეეძართა,
ნახვად მიბროდენ ტრფიალნი, სხვა ვალი არა ემართა,
და მზე მისგან გახდა უნათლოდ, საწყალსა ეს დაემართა.
- 13 ნეტარ ვით ვაქო სიტურფე საამო ტანადობისა,
მზემ მისთა სხვითა გარდაკრა, იწყო მოტანად ობისა,
იგ გატყდა—„მჯობსო“—ნებისა დართო მოტანა ღობისა,
და საყნოსელთაგან ამოქრის სუნი მო ტანადობისა.
- 14 მზეო, შენ შენთა მკერეტელთა ლახვრითა გული სარუა,
ჩასდის სისხლთა ტბა ნაკადსა, სადა სა რუა,
შენებრივ სუნი ყვავილსა ქვეყნად არას არ უა,
და ეგ შენი ტანი ზარიფი ტურფად აღზრდილი სარუა.
- 15 ალვა რგულა ედემს რწყეთა, მნახავთათვის სამოთ ხეა,
ენახენ, თვალნი დავიხუკენ, სიტყვა ძლივ ვთქვი სამ-მოთხეა,
გიშრის შუბთა წყლული დაძღვეს, სისხლი ველთასა მოთხეა,
და არას მოგავს სამყარონი, ედემი, ვერც სამოთხეა.
- 16 ლომთა შენთა შენ აწყლულებ, დაბნედილსა მას კვლავ ვისა,
ვინ გმირია, მხეტთა მსრველი, იმედი აქვს მას კლავისა,
წამწამ შენთა ლახვარ შენა ყელს გამოხვე, მას ჰკლავ, ვისა,
და დღისით მჯობი მთვარე მზეთა, ლამე ზუალ-მასკლავისა.
- 17 ალვისა ხისა ქება ვთქვა ედემში ამოსულისა,
ბროლ-ლალი, მინა, გიშერი—ფერად, შეხედო—სულისა,
მჯობია მზისა დღისა, მოწმენდით ამოსულისა,
და შენ ხარ წამალი სულისა, მის შენკენ წამოსულისა.

- 18 მეფე ბრძანებს: „მე ესე მზე ღმერთმან ჩემმან დაჰიბადა, მისთვის იყო შესაწირვად, რა ძიბოდა და მიბადა, გულსა კრულსა მახე უდგა, შეცაჰპურა, დამიბა და, და და სახევეელი სათხეველისა გარ მომიდგა და მიბადა.
- 19 ესე არის ზეციურთა, უნათლესი სამყაროსა, თმა ტყვრი და შუბლ ფიქალი, კლდისა ტინი სამყაროსა, ქება მემამა, სახლით ჩემით სწრაჟად ლამის აჰყაროსა, და არას მიკვირს მასნა: მჭერეტი იმან დაასამყაროსა.
- 20 ნეტარძი ვინ მისი მსგავსი საღ ვინ პოვოს და რანიცა, მისკან შეენის მთა და ბარი, დარი დაროზს დარანიცა, მისგან ნათლად არა აჩნდეს, არ იპოვოს და რანიცა, და მჯობი არის ყოვლთა სულთა და მანახავს დარანიცა.
- 21 აწჳა მე ვიწვი ამისთვის, ვან თავი ელვას უდარა, ქვეყნად არ არი მისთანა, ნურცავინ აქებთ ცულ არა, მზე აღმობრწყინდა უღრუბლოდ, სულ მორთულს ხმელეთს უდარა, და მისთვის ეძრწი—არ მოვიძულოს, თორ მომიადებას სულდარა.
- 22 მას, პირზხესა, შეუქნია ხველთა მნათი მისად უდრათ, შეკრებულა შექი მხასა, საქებაარად იმას უდრათ, შევერეფოთა გაიღამოს, არ გაგეხადოს ხმელი უდრათ, და მან არა ყოს მას ხელქმნილა სატარალი, შესაჟღერათ.
- 23 მინდოდა ქება ქებასა სხვანაცა ბევრი წამერთო, არ დაჰცალე სოჟულო, კრულო, მოკლეჲ და წამ ერთო, შენკან დაქება ვანება, ტებალი სიტყუება წამერთო, და მინდოდა ცრემლი ზღვათათვის ჩემი ნიადგა წამერთო.
- 24 დადნებოდა გულო კლდისა, თუცა თქვენკენ არ იარა, დაძილურია ცრემლი ველთა, არ დაუჩია არი არა, სევედა ეცა გონებასა, ძველ პერობალი არია რა, და ამად ვტირი, ხელი თქვენი ბალსა ჩემსა არ ია რა.
- 25 ვინ ნზეს ნახავს, მას დასახავს: იტყვიან თუ ალვის ხია, მუშკ-ამბრასა სუნი მას დის, მგონი ყველა ზედ ასხია, ეხაწეების ცია მნათნი: „შენნი შექნა გვაჯანაა“, და ვგრე ბრძანებს მას ხელქმნილი: „სისხლი მისთვის დაეასხია“.
- 26 ველარას მავხედი, თუ ქება ჩემგან ითქმების და რითა, მე ვიღვრებოდი ცრემლითა, აროდეს ვიყავ დარითა, იგი აკოთობდეს ელვათა მისსავე მზისა დარითა, და ნურკან ეცლებით, შევენება ვერავინ შეუდარითა.
- 27 რა მოჰაკონდის იგი მზე, მდინდიან ცრემლნი მწარენი, მისგან ძაინდა პასუხი ტკბილნი, არ საწყინბარენი, უწოდდ ვიყავ უმისოდ, რაც ხანი წავიარენი, და მან მანაზხასა, ვისი მძლევს მე სულთა არე მარენი.
- 28 თეთრსა ბროლისა ფიქალსა ინდოთა რაზმი უშენდა, მელნის ტბისაგან ლახვარსა მჭერეტულთა ისრ დ უშენდა, ქება ვერა თქვეს მეტყველთა, ენა რაზმიცა უშენდა, და გულო, სიტყვასა ამოკლებ, უწყვი განმრავლდა უ შენდა.

- 29 მზემ, თუარემ და ვარსკვლავებმა ქება წართქვეს სამქ[ქ]ა რისა?
მათ პირველთა ქება თქმულთა ხმა დაიგდეს სამარისა,
ნუმც გავხდები უიმედო, ღონევე, შენის ამაჩისა,
და გეაგები, არ მიჩვენო იწრო კარი სამარისა.
- 30 მასთვის ვკვდები, რომ ყოველგან სიკეთის ხმა მას უღისა,
ნთუ მასვას უკვდავების წყარო, სადმე მას უღისა,
მისგან მოდის სურნელება, მუშქ-ამბრისა მას უღისა,
და შეყრა მიღირს ყოვლს ქვეყანად მას უცხოსა, მას უღისა.
- 31 მისგან მეტი ბრწყინვალება ყველა წარეთქვა რაცა სკირდა,
მან შუქითა დაბნელა, უნათლობა მწვე მისკირდა,
სხვა, მთვარისა ნაეანისა, მას სინათლე არ დასკირდა,
და შეცაემკო ბროლის ბალი, თეთრი ელვა გამოქვირდა.

ბოლოსიტყვაობა

- 1 არ მომეწყინა ლაყაბი, ეს უსარგებლო სულისა,
სხვად არას მოსახპარისი, ოლონდ ჩანს სიბრძნე გულისა,
ლექსი ჩემი სჯობს გეარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
და მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იჰან გამაგულისა.
- 2 გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები,
სასწრაფოდ უბეს სადები, ან სარტყელს ჩასარქულები,
იახტანს თანა სარონი, გვერც თასი, ღვინო, კულები,
და ყოვლის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უულისწყულები.

ე. [ჩივილი სოფლისადმი]

- 1 რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდილე ყველა მე მქარ დასადაგე!
და მიმიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
და სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?
- 2 სულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოაწივე,
ვინცა შეგქმნა. მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მოგქიდე—მიწაც აღარ მიხდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
და მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მოაწივე.
- 3 მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიკვდილედ? შენ მალირსე არ დაჩენა,
არ გამართებდა, ეგზომ მეტად, მტერობისა გამოჩენა!
და თავიდალმე სრულ ბოლოდნი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა.
- 4 მე ვხედვედი ღვინსა ჩემსა სრულად ჰირად გარდაცვილთა,
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა,
მივემგზავსე მე ფრინველთა, იგ მხარ ბოლო დანაცვინთა,
და მტლებოდა ცეცხლი ცხელი, ვიწვიებოდი მგზავსად ცვინთა.
- 5 ბედი ანუ სვე-დოვლათი იგ ბოლო ეამ მამეშალა,
ვსთქვი, ვაგნიშვლდე სოფლისაგან, ტანსაცმელად მამე შალა,
ყველა აქა ვერ დაესწერე, რომლის საქმით დამეშალა,
და წამლად ვიწყე მართო სევდით, არამც კჳუა ამეშალა.
- 6 ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს—სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად,
რომ ხმელეთსა ანათობდეს, ბოლოდ იქმნას იგ აჩრდილად,
ნაკვლად ბროლოთა. მარგალიტთა მოგვეცემის ქარვა კბილად,
და გრაკლის ხესა დავემგზავსნეთ პირველ ნორჩი, ალვა ზრდილად.
- 7 ვა თუ მიწყინოთ ყოველთა სოფლისა სიყვარულითა,
იგ სოფლიონი ბრძენნი და ან ვინც უზნობდა სულითა,
ყველა სწუნობდა სოფელსა, არ გასაზრახოდ გულითა,
და არ ვიტყვი სრულად გაუშვით, ნუ გიყუარათ სულ წასულითა.
- 8 სიკრუე, ანუ სიკჳაფე სხვაცა ვსთქვა ერთი მისი და,
მუხთლოზა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და,
ზეცად გასულსა ქვე დასციმს, რომ ძმაცა იყოს, მისი და,
და ანახლად, მოულოდნელად ბნელად ქნას შენი დღისი და.

- 9 შოთამ თქვა სწორედ მიდგომა მხისაგან ვარდთა, ნეხვისა, მისგან ბოლომდი ვატანა თქვას, ვინცა დაიკვეხისა!
 ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,
 და მას დაუდუმდეს ბაგენი, ველარვის შეუქეხისა.
- 10 ტახტი ამას არ ღირსიყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი, იგ ანაზღად გარდმოაგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდალი, მისად ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი,
 და სკორემანცა დაიწუნოს ზედ საჯდომლად ამოზდილი.
- 11 აშდონად როგორ გვიყვარდეს, ჩვენთვის ამგვარად მტერები, ბოლოს გააგდებს ყველასა რაზომცა ზედ ეკერები, მარტო რას გვარგებს ხორცნი, და თუ სულსაც არ ეტერები,
 და იგი დაადგრეს უკვდავად, ჩვენ ვიქმნათ მონამტვერები.
- 12 ან აღრე დაგეხოს უდროოდ ახალსა მოუწევარსა, ვარდსა დაგვიქნობს უფრქენელსა, შეგვიქს ბედისა მწყევარსა, ვერ მოურჩებით მართ, ვითა კურდღელი მალსა მწვევარსა,
 და ვხედავთ და არ გაესტეხილვართ იგ მისგან მოსაწევარსა.
- 13 თუ გრძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზაზს საქმესა უარესებსა, რაც გვიყუარს — თვალს წინ დაგვიხოს სულთაგან უკეთესებსა, ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებსა,
 და ჩვენ დაგვიმკიდრებს კირთა და სულთქმა, ვაება, კენესებსა.
- 14 აზას გვიზამს და სხვაცა ვსთქვა მისგან ჩვენზდა ქმნულება, ისრეთ მოგვშლის და წაგვანდენს, არ გვინდა სულთა დგმულება, იგი უფრო, უსწორო, უშვერ ყოს ქმნულ კეთილობა,
 და იგ მისგან ერთიც არ მოჩჩეს გული უწყსულო, ულება.
- 15 ან სიკვდილს მივიცემს ანაზღად, ან სიბერესა ძნელებსა, პირსა მთვარულებრ გავსილსა არმურსა დაგვდებს ბნელებსა, ეგრე უფრო მათობსა, ვერ ექოს ბრძენთა ენებსა,
 და ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქს მოსაწყენებსა.
- 16 თვალსა დააკლებს ნათელსა სოფლისა მაშვენებელსა, წარბთა მშვილდურებრ მოხრილსა, მაჯნურთა მახელებელსა, შავთა წამწამთა ნარგისთა, მკერეტელთა გულსა მხებელსა,
 და გააყრეინებს, წაახდენს მნახველთა ცეცხლთა მდებელსა.
- 17 პარსა დაუქნობს მნათობსა, უთეთრეს ზამბახისასა, დაწვისა ფეროვნებასა ვარდულებრ გაშლილისასა, წახრის და მოსდრეკს ლერწამსა ტანსარო, ალვის ხისასა,
 და დაადუხბირებს ჯავარსა სანდომად უსულისასა.
- 18 ბაგეთა მოშლის ეგეთსა, უკვდავებასა ღიმობდეს, კბილთა წაახდენს — მასთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს, თმას ამბრის ფერთა კოჰამდი, რომ გიმრის ტევრად ხშირობდეს,
 და გაუსპეტაკებს თოვლურებრ, იგ ველარ ამბრად ძვირობდეს.
- 19 ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდნები, აწ ავაშიგან ვითმც იქმნას გული არ დასაკოდება? ერთ დღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალყამ ვიყოთ მგოდები,
 და ბოლოყამს ისევე სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები.

- 20 ჩვენთვის დაბადა სოფელი მან, ყოველთა არსთა მზადემან,
ესეც ჩვენ მოგვცა სიმართლით მუნცა კეთილია მზადენან,
სრულ ვერ გვიმოგნოს წარწყმედად ბოლოთა მოსაწადემან,
და ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადემან.
- 21 მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთიარები,
ესრეთ ვინმართ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები,
არა გვიდგს სული მოკედავი, პირუტყვებრ გასაქარები,
და ოდეს ეს ხელთა გაგგვარდეს, მუნ არ დაგვეხმას კარები.
- 22 ეგ ლმერთმან იცის, თქვენთვის ვსწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად,
არ ვიტყვი მი, რომ კარგი მქირს თავისა გასაზვიანად,
გვიბრძანე: „ჩენი სავაქრო დადევეთ სარგებლიანად“,
და არ ვიქმნე მონა მელგარი, განხდელი დასაწყვიანად.

დ. ლეილ-მაჯნუნიანი

- 1 ლეილ-მაჯნუნის ამბავსა შიხ შეიდს დაეცილები.
არაბეთს, ლაზა ქალაქად, იყენენ მცფეთა შეილები,
ერთ ლამეს იშენეს ორნივე, ჯერ ვარდი გაუშლილები,
და განათლდა იგი აღგილი, აღარსად იყო ჩრდილები.
- 2 პირ-მეტყველთა მარგალიტთა ლალის ფერნი აღმოშობდეს,
კრონოს, ზეესი, ოტარიდი სინათლეთა მათ უძნობდეს,
მუნა მყოფნი პირ-მთვარენი იმღერდეს და თამაშობდეს,
და „მზე და მთვარე დაჯუფთილან, მათგან არსო“—ამას ჰხმობდეს.
- 3 მათ ძეობა გარდინადეს, ორგან იყო სიხარული,
ორმოცს დღესა ლხინი ჰქონდათ, ვის მოუა თვალთა რული?
ამას გვანდა, მას ქალაქსა სევედა არის დაკარგული,
და არ იცოდენ, ბოლოს ჟამსა მათ დასწევედათ სიყვარული.
- 4 ვაჟი ჰგავს ლომის ნაკვეთსა, ქალმან ისწორა მზე არა,
აღვის ნაკვეთმან მნათობთა შეენება გაუზიარა.
მოუსხეს მიძა ორთავე, თქვეს: „არ.მც მო.მშია რა“.
და თუ თვალად ტურფა არ იყვის, ვაჟმან მოწოვის რძე არა.
- 5 გაჰკვირდეს ვაჟის საქმესა მოყვასნი დედ-მამიანად,
თქვეს თუ: „რად არჩევს ლამაზსა, რად არის ასრე ჰქვიანად?“
მესტროლაბენი აწვიენეს, მუნაჯიბ-მერამლიანად.
და ჰკითხეს: „გვითხარო, ვით იყოს ყმა ესე დოვლათ—სვიანად?“
- 6 ქვიშას არჩევენ, რამლსა ჰკერენ, ჰქონდათ ვარსკვლავთა თვლილობა,
იკითხვენ, სწერენ, არჩევენ, აქეთ დიდი გამოწვლილობა,
ეტლები რომელს ბურჯზე დვას, ქნიან ამისი ცილობა.
და ღმერთს შესტირიან მშობელნი, ყმას ჰქონდეს დღე-კეთილობა.
- 7 მუნაჯიბთა სცენეს ბოლო ჟამს საქმე მის ყმისა ყოფილი,
თქვეს თუ: „იქნების ჰაბუკი მისებრი არეინ შობილი,
სიტურფეს ხედაეთ ყოველნი, მზე შექმნა შექ-გაყოფილი,
და სურვილის ეტლზედ შობილა, ემუი აქეს გულს შეყოფილი.
- 8 ეს გამოიჯნორდეს ამგვარად, სხვა ყოფილიყოს აროსა,
სხვათა მიჯნურთა ხელობა მან თავსა არ აკმაროსა,
სრბით განეველტოდეს სამყოფთა, თავი მზეცთანა აროსა,
და მაშინ სცნან, ვინცა აწ ჩენი სიბრძენი გაიკმაროსა“.

- 9 ესე თქვეს, ადგეს ყოველნი, წამოსვლა რადლა გვიანდეს?
გახარებულნი მძობელნი დაჰქუნდეს, დანაღვლიანდეს.
და ეტყვის, ბალი ვარდისა ცრემლითა დანაშიანდეს,
და თქვეს თუ: „ეგების არ იქნას“ — თავნი ღმერთსავე მიანდეს.
- 10 ორთავე ზრდიდეს სათუთად, ვითა ღირდა და შეგნოდა,
მთვარესა ზედან შეწყობით ყორნას ფრთა-ბოლო შეგნოდა,
მუნ ათას ფურთა ყვაეილთა წალკოტი შოეშენოდა.
და მათა ვერ მქერეტსა, ლახვარი გ'ლსა უწყალოდ შენოდა.
- 11 ოქროს ტაშტშიგან ბანდიან ვარდის წყლით ერთგან ჩვილებსა,
რწყედიან გასაფურხნავდ ვარდ კოკობ გაუშლილებსა,
ათამაშებდენ ბალშიგან ორთა მეფეთა შეილებსა,
და მათ ძოწის ფერთა ლაწეზედან წაქწამი დაუწრდილებსა.
- 12 ვაჟი მონათლეს სეინათა, უყუეს რჯულისა წესითა,
სრულა შემოკრებს არაბნი სალხინოდ, არა კენესითა.
მის მეჯლისისა საქებრად სიტყვა მოვილო მე სითა?
და მათ დასაწევად სოველი ცეცხლსა უგზებდა კვესითა.
- 13 ვაჟსა დაარქვეს ყაისი, ქალსა ლეილი უწოდეს,
აწ ამას იქით ორთავე ცეცხლითა გული უწოდეს,
ნარგისთა შავი ლახვარი საქვდავად გამოუწოდეს.
და იტყოდეს: „წიგნა ვასწავლოთ“, სასწავლოს მალ მიუწოდეს.

აქა მაჯნუნისა და ლეილის სასწავლოში მიყუანა

- 14 შეიღისა წლისა შეიქნა, ალვის შტო ლამის ახვედეს,
მოლას მიგვარეს, შევედრეს, ტირილით, სულთქიით ახვედეს.
იკითხვენ ვითა ბულბული, ლამის თუ ვარდსა ნახვედეს,
და მელნის ტბა მათთვის საჩრდილოდ წამწყამსა გრე:დეს, მახვედეს.
- 15 მათ ნნათობთა ერთი იყო ნათესავი, თესლი, გვარი,
ახლო იყუნეს მეზობელნი, ძმათა შეილნი განაყარი.
ლეილიცა მოიზარდა, ალვა, აღმა ანაყარა,
და განგებთა იგი იქნა მას მოლასთან მინაგვარი.
- 16 ბერი იყო იგი მოლა, ბრძენი ერთობ მონახული,
ორნივე ნახა, მოუწონა იგი უცხოდ დასახული.
თქვა: „ვინ ნახა ამათებრი დედის მუცლით ჩასახული?
და აწ განათლდა სახლი ჩემი, დარბაზი და მერმე სული.“
- 17 მაჯნუნი ხელსა დაარქვეს, სახელი ყმისა ყაისო,
მაქთუბში ნახა მისი მზე, გულსა ლახვარი დაისო,
ეტლსა ეტყოდა: „ესე სჯობს ლეილი გულსა დაისო“,
და ფიცვედა: „არად სახმარ არს, ვარდსა ნუ გაშლი, მაისო!“

აქა მაჯნუნისაგან ლეილის გამიჯნურება

- 18 აკითხებდა იგი მოლა ორთავე თავ აუღებლად,
ვინცა მორჩის მათ ქალ-ყმათა მქერეტთა ცნობა წაუღებლად?
ბროლის ვეღზედ შავი მშვილდი თვით გიმრობდა გარდუღებლად,
და გაანათლეს მათ სასწავლო, არ მოღრუბლეს გარდუღებლად.

- 19 ვარდს გვერდითა ჰყევს ბულბულა, იგი არე აუყრია, ლეილისა სხივთა შუქსა, დარსა ნისლი აუყრია, თვალნი გინართ მოუზღუდავს, წარბა მალლა აუყრია, და მას ციერნი არა ჰკუირან, მნათობნიცა აუყრია.
- 20 ვინც ეშვს მიჰყუა, იგ უთუოდ ეშმაკათაგან გაიცადა. სრულ გაშმადა, რა მაჯუნუნან მისი მკვლელი გაიცადა, ნარგისთაგან სასიკვდინე გულს ლახვარი გაიცადა, და იტყოდა თუ: „ჩემმა მზექან სრა-სამყოფი გაიცადა.“
- 21 ერთ წიგნზედან იკითხევდეს ალიფსა და გინა ჯიმთა, ყმა სურვილსა გაესტერა, ვით პირველ თქვეს მუნჯიმთა. იგ უქვერედის ძელნის ტბათა, გარ ინდოთა რაზმ წყობილთა, და თეთრ-წითელი ელვა ჰკრთოდა მოციხართა ბაკე-კბილთა.
- [მოლამ გაიგო მაჯუნუნის და ლეილას სიყვარულს ამბავი, რის გამოც „ყმა გააგლო“ და „ქალი დედას მიაბარა“].

აქა ამბავი მაჯუნუნის ველად გაქრისა და მიჯნურობისა

22. სტირს, იძახის ვითა ხელი, კევა დაკარგა, სრულა ცნობა, ვინც აჩვენოს მისი მკვლელი. ან ამბავი ვინ აცნობა, ან შეეტყო მისი რამე, არა ჰქონდა მისი ფლობა, და მას სდიოდა თვალთა სისხლი, ცრემლთა ლამში მიეფლობა.
- 23 „დამეკეთა შენი ნახვა, აწ მე რა ვქნა, ჩემო მზევე, და, ცრემლით, სველი უბე-კალთა არაოდეს გამიმზევედა. სული მორბის სწრაფით მანდით, გული კრული შენი მზევედა, და რადგან თვალნი ვერა გვერეტენ, ხამს დაბნელდეს, რად ლა მზევედა!“
- 24 მას სიცოცხლე აღარ უნდა, მოიცალა სულთქმა კენესად, ქვად შექნოდა გული, ტალად თვით აბედი, ეშვი კევისად. ჰქიდავს ტვირთი სურვილისა სხვათ მიჯნურთა უმძიმესად, და იტყვის: „მომცა ბედმან ხელ მქნა, აწ გაეიქრა ნეტარ მე საღა?“
- 25 მიიბრუნდას სასწავლოსა, საღ ენახა მისი მთვარე, ტიროდას და თავს აწყვეტდის, მას სიცოცხლე ჰქონდა მწარე, იგ უებრო სიყმე, სიმხნე მისთვის იყო მოუზმარე, და შესტიროდეს დედ-მამანი: „ჩვენ დავგვხოცენ უწინ ბარე“.
- 26 მოვიდოდის მას აღდიოსა, საღ ორთავე ეთამაშა, იგ ჰკონილის იატაკსა, საღ მას ფეხი დაემაშა. იგლეჯოდენ დედ-მამანი, სხვა რა ექნათ, ნეტარ, მაშა? და არ უ-მენდის იგი ხელი, რომე სიტყვით დაემაშა.
- [მაჯუნუნის მშობლები ველად გაქრილ შვილისთვის ითხოვენ ლეილას ხელს. ლეილას მშობლებიც დასთანხმდებიან შეყვარებულ ქალ-ყმათა შეერთებაზე].

აქა ამბავი მაჯუნუნისა და ლეილის კორწილისა

- 27 მიიყვანეს ყაის სიძედ. მოყმე ტურფა, შეენიერი, „ხეასროს თვალად, ფარადს ძალად ესე სჯობს“-ო, ჰმობდეს ერი. თქვეს: „ასეთი ხორციელი არ ნახულა მიწიერი“. და ცული იყო ყუელა მისთვის, ბედი ჰქონდა შენამტერი.

- 28 სრულ არაბთა დედაწულნი საქორწილოდ მოწვეული.
ქალი ნახეს, თქვეს თუ: „უამად ვარდი გაშლად მოწვეული,
გალანამცა მისთვის ხელთა გული ცეცხლზე მოწვეული,
და ბურავს ლალი მარგალიტა, ზედან ტურფა ძოწვეული“.
- 29 მათ უქერტდენ ბანოანნი გაკვირვებით, განამკრთალად,
პირსა მზესა უებროსა შავი ინდი აჯდა ხალად,
ზედ თვალწარბი გარდაშლოდა, შავად რამე—არ თუ მქრქალად,
და ფიცვენ: „მზესა უნათლეა, მგონი კმარა რძლად და ქალად“.
- 30 გარ უტევდა ზანგთა რაზმი მელნის ტბებად, თვალნი მორვად,
ვინც მოურჩა მქერტთა გული დაუქრელი, დაუმორვად?
შვიდი არის მნათობთ რიცხვნი, აწ მით იქნას, მგონი, მორვად.
და ვსთქვით ციერთა მისი ჯობნი, არ თუ ვიყვნეთ დაუმორვად.
- 31 შინ მას აღტენს პირ-მთვარენი, გარ ყრილობა იყო ერთა,
უნდოდა თუ უებრონი, იგ ქალ-ყმანი, შეეერთა,
არ ინდომა შემოქმედმან, მას წყალობით არ უღმერთა.
და ბედი უნდა საქმის მოსვლას ყოვლთა კაცთა მიწიერთა!
- 32 სრულ მოაწივნეს არაბნი, თქვეს: „გავთხოვთ ქალიო“,
შარბათი სვეს და დაასკვნეს: ყმას მისცეს ბროლ-ფიქალიო.
ქებინის წიგნსა იკითხავს, მოლამ ახსენა აოიო,
და ყმას აღარა აქვს ჭკუა და რეტად მიმოაქვს ოვალიო!

აქა ამბავი მაჯნუნის ქორწილით გამოგდებისა

- 33 მეჯლისში სხენან, ლხინი აქვსთ, სამოთხეს მიუღარობდა,
ყმამ იცნა ქალის გოშია, ჰყოცნის, პირს პირზე არობდა,
გაჰკვირდეს, თქვეს: „აქვს ქორწილი, ძალს ჰყოცნის, რასა ჩქარობდა?“
და შვილი ვით მივსცეთ შემედარსა, კარში გააგდეს, გარობდა.
- 34 აიშალა ქორწილობა, სიხარული გაჰხდა ზრუნვად,
გამოაგდეს, გლახ, მაჯნუნი ლამის ცრემლში გასატურვად.
ლეილსაცა კაეშანი შეეყარა გულსა ურვად.
და ვინცა მორჩეს ბოლო ყამსა სოფლისაგან დაუმდურვად?
- 35 მაშინ გაიჭრა მაჯნუნი, ველად მირბოდა, შინ არა,
ვარდს ველარ მიხიდა საკრფლად, ხელთა ეკალი ინარა.
უკან მისდევდეს შშობელნი პირს სისხლი ჩამომდინარა,
და მისთვის დაბნელდა საწუთრო, მზემ შუქი გაუჩინარა.
- 36 მოკვდა მამა მაჯნუნისა, რა გაჭრილი ნაზა შვილი,
ლეილისა დედმამათა მარტო დარჩა იგ ადგალი.
მათი იყო იგ სამკვიდრო, სხვა ვინა ჰყავ შემაცილი?
და დარჩა დედა საცოდავად, ბედისაგან წახდომილი.
- 37 ლეილმან სხივთა სინათლე მაჯნუნის გულსა უდარა,
მანცა დამეტა მიჯნურთა, ხელობა ვერეინ უდარა,
ველად გაიჭრა, ფრინველნი თავზედან დაიბუდა რა,
და ნება უპოვრად სრულ იქმნა, გარე მოერტყა სუდარა.

აქა მაჯუნისაგან გლახად მიდგომა ლეილისა

- 38 მძოვრად გაქრილსა სიყმესა ყვაილნი ჩამოსცვივიან,
მზე მიეფარა სამისოდ, ვარდნი ზა:თარსა ჩივიან.
თქვა თუ: „მივიდე სოფელსა, მოყვანნი არეინ მივიან,
და ლეილი ვნახო, მასუკან სიკვდილი აღაო მტკივიან“.
- 39 გლახად მიღდა კარზედან, სხვა ეერა მოიგონა რა,
მაშინვე იცნა ლეილმან, ხმა მისი გაიგონა რა,
და დას რქვა: „მომეც სამადლო, მივსეცე ოქროსა წონა რა“,
გამოუღო და მირბოდა, მუნ მისელა არ იმცონარა.
- 40 ეტყოდა: „ჩემთვის ხელ ქმნილო, დღეს ვნახე აქ ზისულები,
რა გიმასპინძლო, რა გიძენა, გული მოგეცე თუ სულები?“
და ბაგი მიუპყრა შაქრისა უტკბილეს ააღესულები,
აქოცა, მაგრამ დაესვა ლახვარი გაღესულები.
- 41 დედამ შეუტყო, აზრი ქნა ოქროსა მალ მიცემითა,
ვით დაეარ ნესტან-დარეჯან, მან დააღუჯა ცემითა:
„შენს შეილობასა მერჩია ბერწობა არ მიცემითა.“
და გააგდებინა მაჯუნნი ქვის სროლითა და ცემითა.

აქა ლეილის საზაფხულოდ იალაღზე წასვლა და მაჯუნის ნახვა

- 42 ჟამი გარდაჰდა ზამთრისა, ზაფხულმან იწყო ცხელობა,
იტყოდეს: „აქმან ჰაერმან ქალსა არ უყოს წყენობა“.
და ახლო მთა იყო მალალი, სად მაჯუნს ჰქონდა ხელობა,
და ლამით მიჰყვანდათ კუბოთა, რა დღესა ექნა ბნელობა.
- 43 ქალის ქეჯაო დედისა აქლეჟს მოაბეს ძუასა,
თავი შესწყდა და გზას დასცდა, აქლემი გაჰყვა ძოასა,
და ხოჯები ძილსა შეეპყრა, განმორებოდა კეუასა.
და ქალსა სძანავს და აქლემი ბრუნავს მინდორთა შეუასა.
- 44 მუნ თურმე იყო მაჯუნნი ხელ ქმნილი, ცეცხლთა დებული
და თავსა წაადგა აქლემი ქალითურთ აკიდებული,
გვანდა ზეგარდმო განგებით სამისოდ მივლინებული,
და მაცენი ვარ შემოსწოლოდეს, ერთზე თავი აქეს დებული.
- 45 თვალნი აახვნა გულ წყულუმან, შუქი მიადგა მთვარისა.
და მხეცნი დაფრთხეს და მიმართეს, მუნ იყენეს მისვე არისა,
მაჯუნნი თუხზე წამოდგა, ყვილი ესმა ნარისა,
და თუ რასმე უმასპინძლებდა, ეს მისთვის სტუმრად კმარისა
- 46 ლეილმან იცნა მაჯუნნი, ხელმან ვერ იცნა ჰქვისაგან,
და მისი ეშყი და სურვილი უმძიმეს ედვა ქვისაგან,
ეტყოდა: „გინ ხარ? რა გინდა კაცისა გაქრილისაგან?“
და „შენ ვისთვის ჰკვდები აგი ვარ“—ესოდენ ესმა შვისაგან.
- 47 ქეჯაოდალმე გარდახდა, ეტლი დააგდო მზემან და,
და ეტყოდა: „მე ვარ ლეილი, აწ შენთვის მოველ მე მანდა“.
და რა ესმა, დაბნდა, დაეცა, ბედმა გაწირა სვემან და,
და სულნი გაექცნეს, გვამს ეტყვის: „მე წაველ, იღვე ქვე მანდა“.

48 თავი კალთაში დაიდვა, სახლით ცრემლსა სწმენდს ხოცებით, იტყორდა: „ადექ, წავიდეთ, ხადუმნი მოვლენ ოცებით, მე შენი ვარ და უდროოთ რასათვის დაეახოცებით?“
და მას არა დია შეესმის არ ცხადივ, არცა ოცებით.

49 ცნობად მოვიდა მაჯნუნი, სხივნი უშლიან მხერასა, ვეშაპისაგან ტყვე ქმნილი გამოუშვია მხე რასა?
თქვა: „არ ვეძღვრვი ამალან ჩემსა ბელსა და წერასა,
და მაგრამ დამშლიან კავშირნი, მაჯა ველარ იქს ძგერასა“.

50 ქალი ეტყორდა ტირილით: „კუდათ ნუ ჰკვდები ხელობით, სხივნიც ყოფილან მაჯნურნი, არ შენებრ მოუთმენობით, შენ ჩემი ხარ და საკურად მეკ თავი დამიკ შენობით,
და ვერმდის სცნობდენ ქოჩარნი, მე წამიყვანე შენობით“.

51 მაჯნუნი ეტყვის: „ვიმინე ჩეთვის სალხენი ბრძანება, რა დაიბადე სოფელსა, ციერთა ექმნა ღამება, ვირ ცოცხალ ვიყავ, არ ძომებდა. მხეო, შენთანა ამება,
და არა მიმაქეს რა სოფლისა ეოდენ შენთვის წაშება“.

52 ვერ გაუა თქმად მელექსე ჰირთა მათთა ნათალსა, დაეძებდენ იგ ხადუმნი მას მათოზსა პირმხე ქალსა, სირბილითა მოჰყებოდენ აქლემისა მონაკვალსა,
და ზედ მოადგეს ღაქე ბნელსა, მას შუქთაგან დაუშალსა.
(ხადუმებმა იპოვეს ერთად შეყრილი ქალ-ყმა.
ლეილა უკანვე წაიყვანეს).

აქა ტირილი და მოთქმა მაჯნუნისაგან ლეილის გაყრისათვის

53 რა მაჯნუნსა უნებლიედ იგ მნათობი გაეყარა, ზადრანახედ ხოვრიელად სისხლის ცრემლი დაეყარა, რა წაჰგვარეს სულთა მდგმელი, სულთ ამოსვლად წაეყარა,
და დაბნდა, იქმნა ვითა მკედარი, ხორცთა თრთოლა შეეყარა.

54 მობრუნდა, მოთქვა საბრალოდ მასი ბედ-უბედობანი, მიწისა ხორცმან ვით გასძლო საამილში გამოდნობანი!
თქვა: „უკურნებლად დამადგრა შავთა წამწაძთა სობანი,
და მხემან მიმრიდა ხელ ქმნილსა, მეწიენეს ვარდთა ზრობანი“.

55 იტყორდა: „ვეიცავ. ჩემი მხე მზისაგან უფრო დარეგდა, ქვე ამან მისცა სინათლე, იგი ზე კუდათ დარეგდა, ზროდ ალვა, ფერად ბროლ-მინა მასთანა სრულად დარეგდა,
და ნარგისი გულსა ტყუე ქმნილსა ეგრე, ვით უწყლად, დარეგდა“.

56 თქვა: „მიმეთარა ნათელი, ჩემთვის საწუთრო ბნელობდა, კოტა უკლია, ჩემთვის მხე სწრაფით ჩასვლასა წვერობდა, მე მიყო საქმე სოფელმან, რაც მის საქმესა ჰფერობდა“.
და მიწად მიწღები არა ჰყვა, არ თუ სიკვდილსა მნელობდა.

აქა სიკვდილი ლეილისა გაუხარებლად

57 ძილად იწვა ტახტსა ზედან ბროლის კოშკსა შიგან ბროლი, გლახ, მშობელინ გვერდთა უწვა ზედ დათრთოლი, დანამკრკოლი.
შეკრთა. ნახა მან სიზმარი, იქმნა მისგან დანამკრკოლი,
და აწ დაშრტებ-ს იგ სანთელი, სიკვდილისგან განაქროლი.

- 58 დედა ეტყუის: „შვილო, რა გპირს, რამ შეგაკრთო, რა გჩვენა?“
 ქალი დაბნდა, გარდაიქცა, მას დაესვა გულსა დანა.
 მას ასხემდენ ვარდის წყალსა, უნდათ სულად მოეყუნა,
 და ყაყაჩო და არღავანი, ძოწი—ქარვას დანეგვანა.
- 59 მობრუნდა, სულად მოვიდა, მაგრამ საბრალოდ კენცსოდა,
 ვინცა უქვრეტდა, ტიროდა, გულს ცეცხლი დაეკვესოდა.
 თქვა თუ: „მე წარვალ, ჩემებრი ვნახო ვინ დაეთესოდა,
 და მოდი, სიკვდილო, აწ ჩემთვის სიცოცხლის უქეთესო და“.
- 60 თქვა: „სიზმრად ვნახენ მაჯნუნი—იგ სულთ ამოსვლად მდებარე,
 მან სიტყუა მითხრა საბრალო, გულს ცეცხლი მოსადებარე:
 „შენცა წამოდი ჩემთანა, ნახე რომ მივალ შე ბარე,
 და აწ მეცა მივალ მიწასა, მომზადენ ჩემთვის მებარე“.
- 61 დაიწყო ლევა დღიე და ღამ, მთვარე გაესილი ცხრებოდა,
 მკურნალნი შეკრბეს, სწამლობდენ, მაგრამ მას არ ერგებოდა,
 შეიკირვებდენ არაბნი, ყველა ეუნ შემოკრფებოდა,
 და წაეთა მშობელთა თვალთაგან მთიები გაუქრებოდა.
- 62 აწ ამის იქით ამბავი თქმად ეძნელების ენასა,
 მოუცავს, ვითა წყვიდიდსა, გული ურვისა წენასა,
 შელონებულა ეგ ზომსა თვალნი ცრემლისა დენასა,
 და პირი შეკრულა სათქმელად, ყურნი გაექცენ სმენასა.
- 63 ვა, მოკვდა პირმზე ლეილი, სოფლისა შევნიერება,
 თვალნი დაბნელდეს მელნისა, ვინ გიშერს მიეთერება,
 შავნი წამწამნი მკ რეტელთა გულს ლახვრად დაეძგერება,
 და წარბისა ტვერი ბროლზედან ორიე, გლახ, მოემტვერება.
- 64 ელვა, სხინი და ციმციმნი შუქისა მოვანებანი,
 მისნი სანდომნი ჰაერნი, ლაწვისა ფეროვნებანი,
 ბაგისა ტურფა ლიმილი, შიგ მარგალიტთა კრებანი,
 და ხმა დაღუმდეგის ნარნარი, სიტყვა ტყბილ, ვითა ებანი.
- 65 რა ბრალია წასახდინლად თმა გიშერი, შავნი ხშირად!
 ამბარ-ზილფი დაფანჩული, მიკრეხილი მოგრეხილად,
 იგ უებრო დახატული, ცხვირი სოთი ბროლის სტვირად,
 და ფერად პირი ზამბახისა, წავი ხალი ზე დაყრილად.
- 66 ყელი—ვით სვეტი ბროლისა, გარ თმა მოხვევით გროება,
 ძუძუ და მკერდი ქალადი, ხორცი—ვით ფიფქი თოება,
 საწუთროს მანათობელი სოფელსა დაეთხოება,
 და ქვეყნად არ იყო მისთანა, იგ ზეცად თუ იწოება!
- 67 თითნი, ვით თეთრი სანთელი, გულზედან დაეკრიფოდა,
 დაქენა სამოთხის ყუაილი, ვერვისგან მოიკრიფოდა.
 წმინდად წავიდა, უმანკოდ, მოენად ვის ხელეწიფოდა?
 და თუ კი დასწვენდა მშობელთა, ნეტამც არ მოეწიფოდა!

აქა ლეილის დედისაგან მაჯუნის გამჟღავნება ლეილის სიკვდილისა

- 68 ჯერ დაბადებს უებროსა, ტურფად რასმე მონაშენსა,
მზასუ ვეღს ყველას მისთვის, მას უჩვენებს მონაშენსა,
იგ ანაზად გაუქუდებს, მით ჰყოფს ლახვარ მონაშენსა,
და არ გაარჩევს მცირე-დიდსა, უფალსა თუ მონა შენსა.
- 69 პირველ სიტყუაზედ მოვიდეთ, თუცა არ სმინად ამებდა,
აჯვის გაუშვებს სოჟელი, ბოლოდ არ დაუშხამებდა.
საფლავზე დადგენ მშობელნი, სანთელს უნთებენ, შამებ და,
და თქვეს: „მიგვეფარა ნათელი, ჩვენი დღე არ თუ დამებდა“.
- 70 მოაღებინა ქალისა პერანგი, თავსაბურავი,
ეკონებოდა საწყალი, სისხლის ცრემლშიგან მცურავი.
თქვა: ღმერთო, სიცოცხლისათვის ვარ ერთობ შენი მღუპავი,
და შეხთვის გინდოდა, წაპართვი იგი მზე შესაშურავი“.
- 71 მხარს გარდიკიდა, წაილო თავ-მოხდით ფეხ-შიშველამან,
თქვა: „წავალ, დაეწო მაჯუნნი ცეცხლითა დასაწველამან,
მისმან მიზეზმან მომიკლა, ესე მანც იცის ხელამაა,
და ეგების მხეტთა შექამონ, ლომ-ვეფხთა, ტურა, მელამან“.
- 72 რა მაჯუნმან დედოფალი ნახა მისკენ მიმავალი,
მას მხეველნი ხელს ეკიდნეს, ხადუმნი ჰკუაწინ მავალი,
გაუქვირდა, ეგრე ნახა, მოიგება განამკრთალი,
და ჰკითხვედა თუ: „რა მოხდა“-ო გოცუბით იგ საწყალი.
- 73 ეტყოდა: „ჩემი ლეილი მოკვდა, სამოთხეს წავიდა,
შენმან სევდამან მომიკლა, დღე მოუვიდა შავი და,
იგი ბრწყინვალე ეთერი ველარა ნათობს, ჩავიდა,
და ბერი საწყალი მშობელი დაძაგლო დასაწყავი და“.
- 74 რა მაჯუნმან ეს ამბავი მოისმინა დია ძნელად,
ვით მართებდა გულსა ცეცხლი მას მოედვა, არ თუ ნელად,
დაბნდა, იქმნა ვითა მკედარი, სული უნდა წასაგვრელად,
და თქვა: „წავიდი, მეც მუნ მოვჰკვდე, ვისთვის და ვარ ხელი ველად?“
- 75 გამოულო მას პერანგი, დაეკონა, სულთ ებრძოდა,
ვით ფურცელი ქარისაგან, თავბოლომდა თრთოდა, კრკოდა,
მე ვერა ვსაქვა ნათალი, თუ რა კირნი დაერთოდა,
და მიისწრაფა საფლავზედან, სული უნდა მიერთოდა.
- 76 მიაწიენეს სამარხოსა, ტირან, ყვირან, არ თუ მღერდეს,
მუნ ზემოკბეს სრულ არაბნი, ტიროდეს და ხელს უქვირდეს,
სისხლს ცრემლი ქვაზე წრთოვდეს, მათსა ქარსა დაუქვირდეს,
და კუბის-და-ესეოდა, თავს აწყუეტდა, ზედ უძგერდეს.
- 77 მოაქვა მაჯუნმან ლეილი, სალაპარაკოდ ავარდა,
ნას საბრალოსა სისაწყლე ენაჲ ვერა თქვა, დავარდა.
„მეო, ჩასულხარ მიწასა, არ გიკვირს მე სადა ვარ და,
და რასთვის დააგდე უშენოდ, ვინც შენთვის ველად გავარდა?“

- 78 გერყუი: ყოველთა სკოდგმულთა მეც მისთვის მეტად ვხელობდი, ტახტზიდან იჯდა შვენებით, მე მაშინც ცეცხლში ვჭყველობდი, მცეტთანა იიყავ გაქრ ლი, სისხლის ტრეშლითა ვსველობდი,
და რად არ შემქაშეს ლომ-ვეფხთა, თურმე ამ დღესა ველოდი!
- 79 ჩემსა ხელ.ქმნილსა, ყოველთა იცით, რომ მზე ვერ უდარდა, ოთხ ყურეს კიდით კიდემდის იგ უდარებდა. უდარდა, მისთვის გავიქერ, მფრინველნი თავიედან დამიბუდარდა
და მასუკან დავრჩი ცოცხალი, გლახ, იგი გამისუდარდა.
- 80 რად არ გამგზავნე სამოთხეს შენს უწინ მახარობელად? მეთქვა თუ: „მოვა ლეილი აქ თქვენად შენამკობელად, თქვენ დავაშვენოს, აქამდი იქ იყო მანათობელად“;
და ს. მახარობლო მეშოვნა ამა ამბისა მცნობელად“.
- 81 საფლავზედან მოეხვია, ამის მეტი არა თქო და, მასუკანით მას სიკოცხლე არ უნდოდა, არ ემბროდა. აქ გათავდა მისი საქმე, ნახეთ სული აღმოქპროდა,
და უკვირსთ, მკედარი ვერ გაჰყარეს, კუბოზედან შემოქპროდა.
- 82 თქვეს თუ. „ჩეს ამას გაეჰყაროთ, ცოდვა მოგეხვდების, ბრალეზი“. გვერდთ მოუწვინეს იგ მისგან დამწვარი, დანაჯალეზი. ვაი, რა ავს დროს შეჰყარეს იგ ტურთა ლიძე-რძალეზი!
და გამტვერდა მინა, ვარდი, ნარგისნი მოცინარეზი.

ხ ი ლ თ ა ქ ე ზ ა

- 1 უყურეთ ხილთა ქცევასა, რისა ამბისა მთქმელია, ფერ-შვენიერი, ძირ-წვრილი, ცოტაი ხანს მდგომელია, უხუცესი და პირუელი მარწყვი მიწას მდგომელია, სხუას ხილსა ასე მოუსწრობს, ვით რომ შუბ-განმწონველია.
- 2 მარწყვაჲ ჰსთქუა: „მოვალ პირუელად, მე ვერა მისწრობს ხილიცა, ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საკმელად ტკბილიცა, წინ რასა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილიცა, მისგან ჩივიან ყველანი, ვსქამეთ, მამკვეთა კბილიცა“.
- 3 ტყემალმა უთხრა: „შეგარცხვენს, მარწყვო, ეგ საუბარია, უარესი ხარ ყოველთა, არა ხარ ხილთა გვარია, თავსა მოგქამენ ქიანი, ძირი გაქუს მეტად მწარია, უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არცალა სანუკუარია.“
- 4 ბალმან უთხრა: „ამხანაგნო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა, ხესა ტურთად ავყუაებ, დავაშვენებ ჩემსა ძირსა, თავსა ბროლად გარდავაქცევ, ლალის ფერად შივნით ქვირსა, შაქრის მსგავსად გარდავიქცევ, რა ჩამიღებს კაცი პირსა.“
- 5 ყოლო იკადრებს ქებასა: „მეც ვიტყვი, რაცა მხედებისა, მოვლენ მრავალნი მფრინველნი, ჩემზედა შემოსხედებისა, კაცნი მრავალნი მტებენ, ადვილად ვერა მხუდებისა. სიყუარულითა ჩემითა მქამენ და ვერ განძღებისა“.
- 6 თხილმან ჰსთქუა: „გკადრო მართალი, ჩემი პასუხი გულისა, მოჰყევით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა, სალხინოდ შესატკევეარი მე ვარ ყოვლისა რჯულისა, ვარ მატკივნელი კბილისა, მერმე დამწველი გულისა“.
- 7 ქლიავმან უთხრა: „იკვებით, არა ხართ ჩემი დარია, ცოტასა ხანის სიცოცხლე რა თქვენნი საკვებარია? ყველა უგვარო შეყრილხართ, ცუდი გაქვსთ საუბარია, უფრო უყუარეარ ყოველთა, ვარ დიდი სანუკუარია“.
- 8 მაყუალმან უთხრა: „არა ვარ ხილი თქვენებრი ქებული, უარესი ვარ ყოველთა, არვისგან მოწონებული, ზედან მასხია ეკალი, მისთვის ვარ დაწუნებული, პიოველ გლახა ვარ, ყირმიზი, მერმე პირ-გაწვეებული“.

- 9 კიტრმან ჰსთქუა: „რალა ვიკადრო საქმე ჩემისა თავისა? ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მეძოყურებისა? გრილი ვარ, კაცსა გავებერავ, თავი მე არ მექებისა, ვინცა ჩემითა განძლება, ცივება შეეყრებისა“.
- 10 ნესემან ჰსთქუა: „ვჰჩივი ამისთუის, მიწასა მამაყრიანო, რა გავისდები, საქმელად ყველანი მინატრიანო, მოვლენ, მეძებენ, შპოებენ, ხორცსა დანითა მკრიანო, ციებას, მერმე ცხელებას, კირს ჩემგან შეიყრიანო“.
- 11 ატამმან უთხრა: „ვიკადრო საქმე ჩემისა თავისა, უტურფესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა, შეყრა უხარის ყოველთა ტურფისა სანახავისა, მე და ნესვი ვართ ნიადაგ ამწლეღი სენის თავისა“.
- 12 საზამთრო იტყვის: „ნუ უბნობთ, მე არვის დაგიცილებო, თაცსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველთა შეგარცხვინებო, ვეწუხებულსა სიცხითა კაცის გულს მოვაგრილებო, ვარ ჯანინოზი აქიმი, სნეულსაც მოვალხინებო“.
- 13 ვაშლმან უთხრა: „შეგნებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი, ვარ ყოველთა უტურფესი, ხილი ბრძენთა საქებარი, სალხინო და სანადიმო, სუფრაზედან საღებარი, გულის კირის უკუ-მყრღლი, ვისაცა ჰსწევას ცეცხლის ზარი“.
- 14 ნიგოზმან უთხრა: „ვიკადრო მართალი, სწორი გულითა, მე ხე ვარ კარგი სახმარი, სავსე ლხინითა სრულითა, მასპინძელი ვარ ნიადაგ გულითა მხიარულითა, საქმლისა შემამკობელი, მაცხოვრებელი სულითა“.
- 15 ნუშმან ჰსთქუა: „მე არ მახსენებთ, თქვენა ხართ თავთა მქებელი, სანატრელი ვარ მეფეთა, საქმლისა შემამკობელი, უტურფესი ვარ ყოველთა, აქიმი სახმარებელი, მკურნალი ყოვლის სენისა, ღვიძლისა მამგრილებელი“.
- 16 ბროწეულმან ჰსთქუა: „ვერ უბნობთ მართლითა სამართალითა, ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალთა, მე ჩემსა ხესა მოვჰკაზმავ, უცხოდ შევაქმობ ხალითა, სუფრას ავაესებ ნიადაგ იავუნდითა, ლალითა“.
- 17 შინდმან ჰსთქუა: „ტურფა ხილი ვარ, არ გავერევი ლალშია, რა დამინახვენ ქალები, მოვეწონები თვალშია, ტანის-სამოსის კალთასა მეტად ჩავაგდებ ძალშია, მამწყეტენ, უკუმიგდებენ, უკუმიყრიან გულშია“.
- 18 სხალი იკადრებს ქებასა: „ვერ ხართ საქები ენისა, ჩემებრივ ქვეყანაზედა ხილი ვერავინ ჰშეგნისა, უტურფესი ვარ ყოველთა, ნაქები ბრძენთა ბრძენისა, საყუარელი ვარ საქმელად, მერმე მკურნალი სენისა“.
- 19 კომშმან ჰსთქუა: „გკადრო მართალი ქება ჩემისა გუარისა, თქუნენ არა გმართებთ ყოველთა ცუდისა საუბარისა, თქუნენ ვითა დამედარებით, სუნი მაქუს მუშკ-ამბარისა, ჩემი შეენება თქვენად ღირს, ესე მეცა მეკარისა“.

- 20 ზეთის-ხილმან ჰსთქუა: „ყოველთა გვარად მე გჯობვარ ძირადო, კაცისთვის მარგებელი ვარ, ღვთისათვის შესაწირადო, ეს უცხოდ მიკვირს, ვერა ვარ ტურფა ტანად და პირადო, უცხოს ქვეყანის ხილი ვარ, მით ვიშოვები ძვირადო“.
- 21 თურინჯმან ჰსთქუა: „სიტურფითა ვერვინ არის ჩემი დარი, ვარ ყოველთა საყუარელი, ხილი ბრძენთა საქებათი, საჭურეტელად შევნიერი, უბეშიგან სადებარი, თავს სხვას არვის დავადარებ მსგავსი სულთა მუშქ-ამბარი“.
- 22 ლელი იკადრებს: „ვჰყოფილვარ მჯობი ყოვლისა ხისაო, წერილად ვიამბო მართალი, ამბავი სამოთხისაო, ეხკენისთიგსა მოგართუა ხილი ყოვლისა დღისაო, ძღვენი ვჰყოფილვარ ნიადაგ მეფეთა დარბაზისაო“.
- 23 ხურმა იკადრებს: „არა ვარ თქვენი მძრახავი ძვირისა, სხუა რალა ვითხრა მის მეტი ქება ჩემისა ჩირისა, უტურფესი ვარ ყოველთა, ტკბილი საკმელი პირისა, მე ბრძენთა საქებარი ვარ, საცნობელი ვარ ვირისა“.
- 24 წაბლმან ჰსთქუა: „ტურფა ხილი ვარ მეტად დიდისა მთისაო, სახლი მაქვს შიგან საჯღომი, სხუა არა მინდა სხვისაო, ტანსა მაცვია მრავალი, შიგნით არ ცივა, თბისაო, ნახუა ჰსწადიან ჩემი და ყოველთა ლამაზისაო“.

ბ ა რ ა მ გ უ რ ი ა ნ ი

[აქა ამბავი მამებელისა და მაწყინარისა]

- 1 იამანით ბაღდადს მგზავრნი ორნი კაცნი შეიყარნეს,
ესალამნეს ერთმანერთსა, ერთად შეყრა გაეზარნეს,
და ამად რომე გრძელნი გზანი მარტო სავლად შეეზარნეს,
და მუნ შეჰპირდეს ერთმანერთსა, რომე გზანი ერთად არნეს.
- 2 ერთს ერქუა მამებელი, კულა სხვასა მაწყინარია,
მუნ მაწყინარისა ურცხვი დაეღონეს მთა და ბარია,
ენახნეს ჭირნი სოფლისა მას კაცს ტკბილნი და მწარია,
და რაბანა იყო ბილწისა სჯული და მისი გვარია.
- 3 უსჯულო მკულელი კაცისა, სიტყუით და საქმით მგრძნებელი,
წესად აქუს კაცთა ტყუება, მუნ არს ეშმაკთა მხლებელი,
პირად უტკბოსი შაქრისა, გულს ჩხუბი დაუკლებელი,
და მეორე ღვთისა მოსავი, უებრო, მამებელი.
- 4 მუნ შეჰპირდეს ერთმანერთსა ხვალინდელსა დღესა სავლად,
თქუეს თუ: „მგზავრთა ამა გზისა უნდა ჰქონდეს საზრდო მრავლად“.
მათ ივაკრეს საზრდო, რაცა მოუნდების მგზავრთა საგზლად.
და ბაღდადისა გზასა ერთად ვლიდეს, გკადრო აწ რაღა გრძლად.
- 5 გამოიარნეს მათ გზანი შორნი და ერთობ ჩოლია,
არ წყალნი იყუნეს სასმელნი, არცალა მწვანე მოლია,
მათ გზახედ დახუდეს ურიცხვი ლომი და ვეფხვი მწოლია,
და გზას აუტყვედეს, შიშითა მათით ვლენ მონადრწოლია.
- 6 გზასა ვლიდეს სამსა დღესა, სხვა რალამცა მოგაგონდეს.
ჰკადრა ძმასა მაწყინარმან: „აწ ჩუენ საგზლად რაცა გუქონდეს,
ერთად და ვკამოთ მათგან ერთი, სად რომ ხანი დაგუიყოვნდეს,
და ერთი მათგან შევინახნეთ, სხვას დღეს კაცი არ დაღონდეს“.
- 7 კულა ჰკადრა: „შენ ხარ ყრმა ვინმე, საქმისა დაუტდელია,
ესე არს ჩოლი ჩუენებრთა, მრავალთა კაცთა მკულელია,
გამოვიზოგნეთ საზრდონი, თვარ გაველა ჩვენი ძნელია,
და მუნ რასაც ეტყუის ტყუებით, იგი ყმა მისი მქნელია.
- 8 კულა უთხრა: „ყრმა ხარ, ვერ ძალგიც ამა საგზლისა კიდება,
ეგე ვსვათ, ვკამოთ ჟამ პირველ, კულა მივსცეთ ღმერთსა დიდება,
სჯობს ასუბუქდე ტვირთთაგან, ნუთუ მით მოგხუდეს მშვიდება“.
და თქუა მაწყინარმან ესეთნი ურიცხვი მოღებ-მიღება.

- 9 სიტყუით რქბილად ეუბნების, გულა ამად მოელორა, სქამდეს, სძაუეს მისსა ეოთად, გესმნეს ოდენ ვიამბო რა, რა რომ ჰქონდა, არა შურდა მისთვის, სხვაფერად მას დაევმო რა- და დაელიენეს ყმას საგზალნი, კულა მან თავი არ უსწორა.
- 10 თურე იცის მაწყინარმან მას ჩოლისა სიგრძე, სიცხე, მით აღორებს ამხანავსა, საქმე ამად გაუქიცხე, ვლიდეს გზასა, დასცხეს, კულაცა მოემატნეს გულს სიჟიცხე. და გაუქირდეს გზანი სავლად, კულაცა დაშურნეს, დადგეს ვით ხე-
- 11 სწყურს წყალი მამებელსა, კულა სიცხე უპობს ენასა, მუნ მაწყინარსა წყალსა სთხოვს, თუცაღა ატყობს წყენასა: „მწვევის გულსა სიცხე, გლახ, გული შენგან მოელის ლხენასა, და მწვევის, მდაგავს ეზომ წყურვილი, ჩემგან ნუ ელი თმენასა,
- 12 ხშირად სემედის მაწყინარი, ყმასა არც ყოლ არ ასმიდა, არ მოსწონდა მისგან თქმული, კულა ჰქუასა მისსა გმიდა ხამდა სიტყუის დაჯერება, გკადრე ჩემგან რას ითქმიდა, და ყმა იაჯდა წყლის სმევასა, ვლიდეს, ხანსა არ დაზმიდა.
- 13 რაზომცა ვლიდეს მას გზასა, უფრორე მოსწყურდებოდა, ენა დაუპო წყურვილმან, გლახ, გული სიცხით ბნდებოდა, ყმას მაწყინარმან არ ასეა წყალი, რაზომცა კუდებოდა, და თქუმა ვერ ძალ ეღვა სიტყუისა, გულს ცეცხლი მოედებოდა-
- 14 ყმა მტირალი მაწყინარსა მუხლ მოხვევით იაჯების: „აწ მავაქრე წყალი ასად, რაც რომ ფასი დაედების, გულსა ცეცხლსა წყალი მარე, მოგცე, რამცა ვიამების, და თვარ მოეშორდი სიცოცხლესა, ცეცხლით მწველით გული კუდებიღ-
- 15 დედის ერთა ვარ, ყმაწვილი, მე ამად გებრალებოდე, კულა უცხო, უცხო თემისა, რომ ამხანავად გხლებოდე, აქ ჩოლსა გზასა ვლებული, თქუენთან უწყალოდ ვკუდებოდე. ეს არ არს შენი სახელი, თვარ რასაც დაგაკლდებოდე“.
- 16 ლალი ჰქონდა ტყუბი ყმასა, რას ნახევდა მისებრს თვალი? წინ დაუსხნა მაწყინარსა: „გიძლენი, ნაცულად მასვი წყალი, ნუ თუ ცეცხლებრ ანაგზები, მან დამიშრტოს გულსა ალი, და კულა მელირსოს შენი ხლება, გზისა სავლად მამცეს ძალი“-
- 17 ყმას მაწყინარი გაუწყრა, მიეპყრა ვითა მტერია: „ლალსა რას ხელს ვახდი, რას ვაქნევ, ანუ რა ჩემი ფერია? წყალი არ მქონდეს, შენებრივ სიკუდილი აქ მიწერია, და მოგკუდე, ვის დარჩეს თვალები, ჩემგან რა დასაჯერია?“
- 18 ყმამ თქუა: „პირველ თუმცა მეცან, შენი ხლება რად მამსურდა? ოდეს მქონდა მე შენებრი საზრდო, შენთვის არა მშურდა, ესკამდით, ესვემდით ჩემსა ერთად, დამელია, აწ მამწყურდა, და მართლად გმძობდი, არ მეგონნეს შენი ესრეთ ჰილა ხურდა“.
- 19 კულაცა ჰკადრა მაწყინარმან: „არ ლაყაფი შენი მინდა, ზურგს მკიღია მძიმე ტვირთი, ოფლთა ნაცულად სისხლი მდინდა, სიცოცხლისა მისთა ნაცულად თვალი ხმელი ვინ დაწინდა? და სჯობს სხვა ღონე მოიგონო, აწ სიცოცხლე თუცა გინდა“.

- 20 მას არ ემის მისად ლხენად რაზომ ხევენა გაადიდნა,
საკურნებლად მისთა ჭირთა ბილწმან არც ყოლ მიიზიდნა,
ყმას სწყერებოდა, ვითა ვეფხვი, მისთვის ვინმცა დააშვიდნა,
და მას არ ასეა წყალი ექთად, არც ძვირ ფასად ყმას მიჰყიდნა:
- 21 გული მისი ქუისა მსგავსი, არაოდეს არ გაცივლდა,
არ ეტკივნა მისთვის გული, ბილწი არც ყოლ უქუწვილდა.
ოდეს გახდა უიმედოთ, ლაწუთად ცრემლთებრ სისხლი მილდა.
და რაზომ ხევენა დაუბშირნა, იგი არც ყოლ დაუტკბილდა.
- 22 კულაცა ჰქადრა მაწყინარმან: „არ არს ღრონი ხან-დაზმისა,
მართლად გითბრობ, არას მარგებს აწლა ლალი ფასად წყლისა,
სეა მაშინლა წყალი, ოდეს თვალნი მამცე მქურეტი მზისა,
და სჯობს სიცოცხლე თვალსა მქურეტსა, მქუდარი ვერ სკამს, ვერცა სმისა“.
- 23 ესმა მისი საუბარი ყმასა, ერთობ გაუევირდა:
„მესმნეს სიტყუა საარაკე“, ცხელის ცრემლით აუტირდა:
„რას ხელსა ჰხდო თვალთა ჩემთა, ფასად წყლისად რად დაგვირდა?
და მოგებმარნეს თუცა რასმე, მოგკე თვალნი,“—მას დაჰპირდა.
- 24 მამებელსა ეგონნეს ლალობა, მისგან თქმულია:
„გასეო წყალი თვალთ ნაცუალად“,—მას მისცა ფასი სრულია.
„რაღ გინდეს ქენი, კულავ მასვი წყალი“,—ათიცა სჯულია.
და დასთხარნა ორნივე თვალეზი, არ ესათნოვა კრულია.
- 25 მას დღეს მის ყმისა პატიენი, მისგან ვითა თქუს ენამან?
უზინო შექმნა თვალთაგან, კულა ღმერთი არ ახსენა მან.
დავარდა, მიწად გახადნა, უსულოდ სისხლთა ღენამან.
და უუურე, რა ქნას წერილმან, კულა მისთვის ღვთისა წყენამან!
- 26 გაცარცვა, სრულად წაუხუნა, რაც ჰქონდა საქონელია,
წყალი არ ასეა, დააგდო მწყურვალი, თქუმადცა ძნელია.
რაზომ ნათობდა მზე ცისა, მისთვის, ვით ღამე, ბნელია.
და უღონოდ ქმნილთა ყოველთა კაცთათვის ღმერთი მხსნელია.
- 27 ხელ აუპყრობლად კაცთაგან, ვაჟი მტვერშიგან გორევედა,
თვალთ სისხლი მისდის უწყუეტლად, თვით მას სისხლშიგვე ცურევედა,
ცალკე სწავეს ცეცხლი წყურვილთა და ცალკე სისხლში ურევედა,
და თავი სიკუდილსა ანება, მივარდა, ბედს ემდურევედა.
- 28 მოლამდა და კულა მოაკლდა მას ყმისაებრ მხესა ძალი,
გლახ გულოს ოდნად მოეოხნეს, დაეშრიტნეს ცეცხლთა ალი.
ყმას მიწდორი შეეღებნეს მისით სისხლით, ვითა ლალი,
და ღმერთს სიკუდილსა ეაჯების ყმა, კაცთაგან შესაბრალი.
- 29 მას ალაგს ახლოს მდიდარი თურქმანი ვინმე დგებოდა,
ელი ჰყუა, დადგის მიწდორად, სად რომე იამებოდა,
პირუტყვთა მისთა საძოვრად მუნეე მიწდორი ხუდებოდა,
და კულა ახლოს წყარო დიოდა, მუნთაგან ხმა მისცუდებოდა.
- 30 მეცხედრე და ქალი ყმისა მუნ წყლისა სმად მივიდიან,
მით მოჰქარდის კაემანი, მუნ წყაროსა წყალი სვიან,
დაცალნეს გული სევდითა, ჟამ ერთ წყლისა პირს იხსდიან,
და რა რომ მათსა გულს ეწადნეს, იგი თქუიან, კულაცა ქნიან.

- 31 მას დღე იგი ბანოანი მიდიოდეს მისვე წესით,
მუნ მივიდეს, წყაროს პირსა დასხდეს, ლხინთა უამესით,
შორს ეჩვენეს შავად, გვანდეს კაცსა, რომე იწვეს კუნესით,
და ქუეყნად მყოფი კაცი ვიხმცა, ჩამოსრულა თურმე ზესით.
- 32 მიუგდეს ყურნი, მათ ესმნეს, კუნესით კულა საუბარია,
ბედსა სწყეეს, სიკუდილს ინატრის, აქვსლა სიციოცხლე მწარია:
„იხე აღარ ნათობს მისებრი, არცალა ჩემთვის მთვარია,
და თავსა რა უყავ უგბილმან, რა საქმე მოუგვარია?“
- 33 მუნ მივიდეს დედა წულნი, სად ყმა იყო კუნესით მწოლი.
ყმას მოერწყყო თვალთა სისხლით ლალის ფერად იგი ჩოლი,
ფერ-მიხილი სისხლთა დენით არს სადითმე მონაწროლი,
და მისწურვოდა სულთ ამოხდა, ყმა არა ჰყუა, არცა ტოლი.
- 34 შეებრალნეს სიყმე მისი, მათ აევსნეს ცრემლით თვალი,
ჰკითხეს: „ძმაო, ვინ ხარ, ანუ გკირს ეგ ხომი ვისგან ძალი?
ვინ წაგიხუნა თვალთ სინათლე, ხარ მტერთაგან შესაწყალი?“
და ჰკადრა: „ჩემთვის ღეთად გამოსჩნდით, ღმერთს შემადღეთ, მასვით წყალი-“
- 35 თუ სული შემრჩეს, კულავ გკადრო, რაც ოდენ წამკიდებია,
აწ თქუენის ხლებით დამეცო ცეცხლი, რაზომცა მდებია,
მწყურს წყალი, ესრეთ გასრულსა არ ჩემგან გასაძლებია,
და თუძე წყალი მასვათ, ვითამცა თვალთ ჩენა არ დამკლებია.
- 36 მას წყალი ასვეს, მიეცა ყმას საუბრისა ძალია.
მათ ჰკადრა მისი ამბავი, მსმენელთა შესაწყალია:
„ამხანავი მყუა, ძმად ფიცი, მას ჰქონდა სასმლად წყალია,
და მამწყურდა, წყალსა ვევაქრე, ფასად მას მივეც ლალია.
- 37 მან არ მიოხრა წყურვილსა, არცა მიირთვა ლალები,
მითხრა: „თუ გიჩნდეს სმა წყლისა, მამეც მხის მქურეტი თვალები!“
თუ როგორ გაეპხე, ვით გკადრო, ვეკუ, რომ თქუენც შეგებრალები,
და ვთქუი: „არ გამწირავს, ძმად ფიცი თვალთათვი შევეწყალები.
- 38 თვალთა ვარჩივე სოციოცხლე, თუც ოდენ გავიმწარეო,
ხელსა ჰხდი რასმე, თუ თვალთა ჩემთა აწ მოიხმარეო,
უჩინოდ გავებ თვალთაგან, კულაცა შენ მიამარეო.
და მოიღე წყალი, მომმადლე, დამწვარსა გულსა მარეო!“
- 39 ოდეს ესმა ჩემგან თქმული, არ თუ ძმურებ შევეწყალი,
ხელთ აიხუნა მან ლახუარი, კულა დამთხარა ფიცხლა თვალი.
აღიორულა მან წადინი, ფასად მასვა არცა წყალი,
და მან წამიხუნა, რაცა მქონდა, მცირე ლარი, ტურფა ლალი.
- 40 უწყალოდ მამკლა, არცალა დამისხა ცეცხლზედ წყალია,
წყურვილი მკლევდა, გულს მწვევდა, სახმილთა მსგავსად, ალია.
მხედავთ აწ ასრე გასრულსა, უჩინოდ მექმნეს თვალია,
და ყოვლგნით ხელ აუპყრობელი, მტერთაგანც შესაწყალია“.
- 41 მან გარდასრული თავისა წურილად უამბო ენითა,
მუნ დედა-წულნი ტიროდეს ამა ამბისა სმენითა.
მათ შეეწყალნეს იგი ყმა, შეიქნეს გულით წყენითა.
და მან ჰკადრა: „სული ჩამედგა მკუდარსა ხლებითა თქუენითა“.

- 42 მას ხელდიდეს შესაწყალსა, წუხდეს მისთვის გულთ ალვით,
 ჰქონდა მისი სიბრალული, ყმას აწვევდეს სადგომს კრძალვით.
 და თან წაიხუნეს თვალნი მისნი, შინ მიუძღვეს ღამე, მალვით,
 სწამლობდეს და მოუვლიდეს, კულა სწყალობდეს მას უფალ ვით.
- 43 წარსულიყო სხვაგან სადმე მუნ თურქმანი, სახლთა ქუელი,
 მას საეპქროდ საუნჯისა გაეყიდნეს განძი ძველი.
 მან მოულო მეცხედრესა მისსა, უნდეს მას რომელი,
 და ჰკადრეს ყმასა ყუელა წურილად მათ ამბავი გულთა მწველი.
- 44 ოდეს ესმა მუნ თურქმანსა ყუელა მათგან, რაც ენახნეს,
 მას აევსნეს თვალნი ცრემლით, გულ-ამოსკუნით, ოხრით ახნეს,
 თავთა მისთა გარდასრული ჰკითხა ყმასა, ოდეს ნახნეს,
 და საკურნებლად სენთა მისთა ყმამან ქანგი მოიმახუნეს.
- 45 ხე იყო ახლოს მის ყმისა, მკურნალი ყოვლთა სენისა,
 ფურცელი ხისა ბრმათათვის წამალი თვალთა ჩენისა,
 ხელისა, ველთა მრბოლისა, კულა მარგე გულ-ნაებენისა,
 და იცოდა იგი თურქმანმან, საქები ბრძენთა ენისა.
- 46 ფიცხლად მიმართა მას ხესა, გლახ, საკურნებლად თვალისა
 ეხმარვის ძმისებრ მას ყმასა, სწადსცა დადებდა ვალისა,
 და აქეს გულსა მისსა იმედი მის ხისა, სენთ-ნამკურთალისა,
 აწ მართალთათვის ისმინეთ განგება ღვთისა ძალისა!
- 47 კაცს არ ასცილდეს თვინიერ განგებით ღვთისა წადილი,
 კაცი ყოველი სწორად სჩანს ღმერთს, მისგან დანაბადილი,
 მართალთა მისად ძედ იხმოვს, ამად აქუს მრავლად ხადილი,
 და სასუფეველი სამკუიდროდ არს მისგან დანაქადილი.
- 48 მოკრიფნა ფიცხლად ფურცელი მის ხისა განმკურნალისა,
 მიიღო ყმისა წინაშე მკურნალი წყლულთა თვალისა,
 და მას ჩაუფარნა დათხრილნი თვალნი მუნ მთვარე მეცხრალისა,
 თურქმანსა ჰქონდა იმედი ხისა, კულა ღვთისა ძალისა.
- 49 მას ზედ დასდვა ხის ფურცელი, შეუხვიენა მკიშნედ თვალი,
 კულა შეუწყო ყმასა ხელი, მას არ ასვა სამ დღე წყალი,
 და ვაჟი იწვა იმედოვნად, ვითა მთვარე, ფერ-განქრქალი,
 მისთვის ღვთობდა გამკურნალი, მან დაუესო ცეცხლთა ალი.
- 50 შვილდა დღესა იყო მწოლი მუნ მიგდებით, ვითა მთორალი,
 კაცსა არც ყოლ არ ეუბნის, წვა უბარი, ვითა მწყრალი,
 და ყოლ არ შეძრის ოდნად თავი, თვალთ დაძურისა იყო მკრძალი,
 მერვეს დღესა ღვთისა ძალით აეხილნეს ბრმისა თვალნი.
- 51 მნახთ შეექნეს განკუირეება, აეხილნეს თვალნი ოდეს,
 ვისცა ესმნეს თვალთ-ახილვა, მისი ნახვად შორიოდეს,
 და მკურეტი მისნი განცვიფრებით, არ იცოდეს, რას იქმოდეს,
 ყმა მკურნალსა მუხლ-მოხვევით მადლს ჰკადრებდა, რაც ეთქმოდეს.
- 52 ეხგვოდა თურქმანს ფერხთა, მეცხედრესა, მისა ქალსა:
 „აწლა მუქფად რა გამახურნე, შევადარნე აწ რა თვალსა?
 ვერაოდეს ვერ გარდვიხდი დადებულსა თქუენგნით ვალსა,
 და ცოცხალ ვიყო, თქუენ გესევედ ჩემად ღვთად და ცად უფალსა“.

- 53 ჰკუა შესცვალნა სიხარულმან, იყო დიდხან განცვიფრებით,
მათ აამის, მსახურებდის, მანც იამის მათის ხლებით.
და მწყსიდიის მათსა, ყმა, პირუტყუსა, მათთან იყუს გულ-დადებით,
და შეაყუარან თაგი ყრამამან, რამც არ ექნა მათის ნებით.
- 54 მათ მოექცა ყმა თავმდაბლად, ფერხთა მათთა მტურად და სილად,
ყმას ხელთ მისცეს მათი სახლი, მუნ ჩიანდა ძმად და შვილად,
მას ყმას მისცეს ქალი ჯუფთად, მუნ შეჰყარნეს ერთად ტკბილად,
და მათ გაკრძალვით მსახურებდის, რაც რო ერგის ყმასა წილად.
- 55 მათ მსახურებდის, აამის გაკრძალვით მაამებელი,
სამ წლამდის მწყსიდიის პირუტყუთა, ყმა იყო მათი მხლებელი,
შემატებისა მომჭირნე, კულა მათთვის არ ძაენებელი,
და შეიქნეს მორკმა-დადებით, ყოვლითურთ დაუკლებელი.
- 56 ესრეთ მათად სამსახურად მათთან დაყო სამი წელი,
რაც უბრძანა მას თურქმანმან, იგი იყო მისი მქნელი,
მათ აამის, რაც იამის, მისთვის იყუნეს კარგის მთქმელი,
და მისცეს სახლი საპატრონოდ, მან საამოდ დასდვა ხელი.
- 57 დღე ერთ თურქმანს ყმამან ტკბილი სიტყუა ჰკადრა, არ თუ მწარე:
„ნახუა მწადრო ბაღდადისა, ამაღ გახლავ მემუდარე,
წამყე, კულაცა გვერც მიახლე, თქუენთან მყოფი ბაღდადს მარე,
და ნუ თუ ვირგო სასარგებლო, ნახვით მისით გავინარე“.
- 58 თურქმანს რა ესმეს კულა მისგან სიტყუანი საამებელი,
ჰკადრა: „რაც ბრძანე, ეგეთნი ჩემი არს დაუკლებელი,
კულა საუნჯითა მრავლითა ვიყომცა თქუენი მხლებელი“.
და მუნ სიხარულსა მიეცა, მადლს იხდის მაამებელი.
- 59 კულა თურქმანი მისებრ ტკბილსა სიტყუას ჰკადრებს მუნა ყმასა:
„რა ვალი გძეს ჩემგან, კულაცა უამესსა დადებ სხვასა,
ხამს მამაცმან აღოსრულნეს, ვისთვის ენით რაცა თქუასა,
და წასულა სჯობსო წამავალთა, მე ვით გაკადრებ ხან დახმასა“.
- 60 ნუხლი აჰკიდეს ცხენ-ჯორსა, მსგავსი მათისა ძალისა,
თან წაიტანნეს ფურცელნი მის ხისა განჰკურნალისა,
დინარნი მრავლად ვერცხლისა, ოქრო—სასყიდლად თვალისა,
და თურქმანს ეწადნეს მის ყმისა აწცა დადება ვალისა.
- 61 გაემართნეს ბაღდადისა გზასა ორნი ერთად ვლიდეს,
მათ ეწადნეს მსწრაფლად მისულა, მიმავალნი დღესა სთულიდეს,
მათ არ დაყუეს ხანი არსად, სიარულსა არ იშლიდეს,
და ლხინობდეს და თამაშობდეს, გულით სეუდას დაიცილიდეს.
- 62 ერთად ვლიდეს ესრეთ ლხინით მისულად გზასა გაემურნეს,
დინახეს მათ ქალაქნი, ოდეს ახლო მიეწურნეს,
მათ ჩაიციეს ტანთ ატლასი, თავს თავყი დაიხურნეს,
და ესრეთ შეჰხდეს მას ქალაქსა, რომე მჭურეტთა შეეჭურნეს.
- 63 თურქმანს ჰყუნდა მას ქალაქსა კაცი ვინმე მეგობარი,
მდიდარი და მქონებელი, ხელმწიფეთა შესადარი,
მუნ ჩამოხდეს მეგობრისა სახლსა, ოდეს დაუღეს შარი,
და მას იამა მათი ხლება, არ თუ დახშო მათთვის კარი.

- 64 დასხედეს ტკბილად მოუბარნი წინ ნადიმთა დასადებლად,
სამ დღე მასთან ლხინი ნახნეს მათ სუფრისა აულღებლად,
და მათ აჩვენა ყმამან ლხინი მუნ სმა-ქამა დაუკლებლად.
- 65 მას ჟამსა იჯდა ხელმწიფედ ხალიფა ბაღდადელია,
მას ყმობდეს ყოვლი ქუეყანა, მისის ბრძანების მქნელია,
ხელის ამპყრობი გლახაკთა, კულა დიდებულთა ქუელია
და მუნ ერთად სძოვდეს მას ჟამსა სამართლით თხა და მგელია.
- 66 ძე არ ესვა მას მეფესა, ოდენ ესვა ერთი ქალი,
მზე არა სჩნდა მისად დარად, არცა მთუარე ფერ-გამქრქალი,
მიეფარნეს ცის კიდესა, მისი იყუნეს შეჰამწყრალი,
და ახლდეს გვერდსა სამსახურად მას მნათობი, ვით მრავალი.
- 67 მას მზისა მჯობსა არვისგან წუნი არ დაედებოდა,
მაგრა მას ჭალსა უკადრი სენი ემიზეზებოდა,
ხელობა სჭირდის, ვერ იცნის, ვინ რომე მასთან ხლებოდა,
და უქონოზდ იყუის, უბნობდის, რას კაცი ვერ მიხულებოდა.
- 68 შეკრიბნეს ყოვლის ქუეყნისა მუნაჯიმი და რამალი,
ნახეს მკურნალთა ყოველთა, ჰაქიმათა ტურფა სამალი,
მისი ვერა ცნეს მკურნალთა მუნ სამკურნალო წამალი,
და მას ვერა არგეს, მოისრნეს, ესე არ იყო ნამალი.
- 69 ბრძანება იყო მეფისა: მკურნალი, ვინც რომ ნახევდეს,
მუნ მიხუდეს, სენსა კურხებად მისად ჰნგს მოიმახვევდეს,
თუცა განკურნოს, მას მიაუდეს სიაჰე, რადმცა ახევდეს,
და მას მიხუდეს ქალი საჯუფეთედ, მისად მზედ გამოსახევდეს.
- 70 ვინ ვერა არგოს, მოისრნეს ფიცხლად მკურნალი სენისა.
კულა რიგი მიხუდეს ჰაქიმთა, სხვათებრი სისხლთა დენისა,
თავი კომჭედან ეკიდნის მკურნალთა თვალთ საჩენისა,
და ვერვის ძალედვა წამლობა რგებისა, ვერცა წყენისა.
- 71 სამ წელს იყო ისრე შმაგად, რომე კაცსა ვერ იცნობდა,
მუნ ტანისა შესამოსსა გლეჯდის, სხვაფრად არ უბნობდა,
მისი გამზრდილ-განაზარდნი მას გვერც ახლდა, ვინც რომ ჰყმობდა,
და კულა მკურნალთა სენთა მისთა კაცსა ვერვინ ვერ იხმობდა.
- 72 ქალს კოშკი ჰქონდა მაღალი მარმა[რი]ლოსა თლილისა,
მას შიგან იყო იგი მზე, გზა იყო ერთის მილისა,
მას ზედ ეკიდნეს მკურნალთა თავი, დიდთა და წურილისა,
და განშორებულნი სოფლისა და სიცოცხლისა ტკბილისა.
- 73 შმაგი იყო ისრე ქალი, მოგმატნეს კულაცა სენი,
მას ვერაარა შესამინეს, დაშორნეს მისნი მოაჯენი,
მას გვერც უსხდეს მისებრ შმაგნი, კულაცა მისგან მონაწყენი,
და მუნ მეტისა ცრემლთა დენით, მათ წაეხუნეს თვალთა ჩენი.
- 74 რაზომ ქალსა უწამლებდეს, მათ ვერა ცნეს მისი რგება,
მის ქალისა სიბრალულით მეფეს ჰქონდა შეკირვება,
არა ნახის მისთვის ლხინი, არ იამის ჯართა ხლება,
და ქალს იგონებს ისრე შმაგსა, გლოვა ვითმცა დაეშლება?

- 75 გვადრე, ვახსოვს, თურქმანმან და ყმაბან დაეღნეს ოდეს შარი? მუნ კოშკისა ძირსა მიდგეს, საღ რომ იღვა მზისა დარი, რომ ეკიდნეს კოშკედ თავი, მისთვის იყუნეს მოუბარი, და ყმაბან ჰკითხა მას თურქმანსა: „საქმე არსო ეს რა გვარი?“
- 76 თურქმანმან ჰკადრა: „ესე არს კოშკი ხელმწიფის ქალისა, მჯობი ყოველთა მნათობთა, მჭურეტთა მამდები აღისა, არვის ასმია კაცთაგან მისებრ ხახული თვალისა, და შმაგი არს, კაცთა სისხლთა ღურა წესად აქუს მსგავსად მთურალისა.“
- 77 ბრძანება არს ხელმწიფისა, მას აქიმნი ვინ რომ ჰყობენ, არს თუ ვინმე შორს ან ახლოს, მეფის კარსა მოიხმობენ, ხელმწიფისა ბრძანებასა და მზის სენსა უამბობენ, და სენთ კურნება არ ეგების, უნახავად ბრძენნი ბრძნობენ.
- 78 ვინ რომე არგოს, მისი არს ქალი წუნ-დაუღებელი, მას მივსციე მისად საჯუფთედ, მისი იყოსმცა მხლებელი, მას ახლდეს, კულაცა მე ვჰყუნად მისთვის გულ-დასადებელი, და მას ლხინი მიხუდეს სამუღმო, საუნჯე დაუკლებელი.
- 79 ვინ ვერა არგოს მას მზესა, მოვჰკუთნე ფიცხლად თავია, წინ დაუც მათთვის ორნივე გზანი, კარგი და ავია. ნახავს, თუ ვინმე ჯერ არგებს, დიდი არს დანაშავია, და მას მესისხლურად ეკითხვის, არ თურე მისთვის ზავია“.
- 80 მამებელი ჩაიჭრა მის მზისა საგონებელსა. „განეკურნო, ვახლდე მას მზესა, გულს სევდა გამძებელსა, არ თურე თავი მეწყალვის საჯუფთედ მასთან მხლებელსა, და მეფობა მამხუდეს ქუეყნისა, ეჯდე ლხინსა დაუკლებელსა“.
- 81 მის მზისა კარსა იგი ყმა მივიდის, წადგის წინარე, ნახის მის მზისა მხლებელნი, თვალად ცრემლისა მდინარე, მათ ტკბილად ჰკითხის: „რა გქირსთო გულისა მოსაწყინარე? და ანუ რას იგლოვთ, რამცა გწევს გულს ცეცხლი მოუთმინარე?“
- 82 მათცა ის ჰკადრეს პასუხი, რა რომე პირველ სმენოდეს, რაცა მათ ქირნი ენახნეს, კულა თვალთა ცრემლი სდენოდეს: „მის მზისა ისრე მჭურეტელთა ჰხამს თუმცა ჩვენ მოგუწყენოდეს, და არა გუქირს ქირნი ეგეთნი, რომ ჩვენგან მოითმინოდეს“.
- 83 ყმას ყუელა ჰკადრეს, რა რომე ქალს სენი წაჰკიდებოდა, მას აქეთ მათთა მხლებელთა პატიენი არ დაჰკლებოდა, მათნი ქირნი და ვება სხვას ვისმცა გაეძღებოდა! და „—მისებრ ყოველნი შმაგი ვართ, ვინც რომე მასთან ხლებოდა“.
- 84 წავიდის, ყუელა უამბის თურქმანსა მამებელმან: „ვჰკითხეო სენი მის მზისა, შმაგობა მითხრეს მხლებელმან, წაუხუნა ჰკუა, გონება მზეს სენმან გაუძღებელმან, და ნუ თუ გვალისნეს კურნება ჩვენ მზისა დამზადებელმან?“
- 85 კულა ჰკადრა ყმაბან თურქმანსა სააჯო საუბარია, ტკბილად, ვაკრძალვით ეუბნის, არ სიტყუა მქისად, მწარია: „ვეთუ განიკურნოს ხელითა ჩვენით მზე, ხმა ნარანარია, და ნუ თუ ვაგვიხუნას უფალმან მისის წყალობის კარია!“

- 86 გვაქუს მის სენისა წამალი, ფურცელი ხისა მწვანისა,
 ცდა გუმართებს, კულაცა კურნებად მის მზისა ლურწამ-ტანისა,
 ვეპუ ხელმწიფესა სისრულე ჰქონდეს მუნ პაემანისა,
 და უთუოდ მოგუხდეს სიამე ჩვენთა ეამთა და ხანისა“.
- 87 თურქმანმან თქუა: „ჩემთვის ეგე საამო არს, არ თუ ვატირიი“.
 ხკალ მისულა თქუეს მეფის კარსა, მათ დაასკუნეს ესე პირი:
 „შენსა, ვჰკადრებ, აქიმა, ჰკურნებს ჰქუენად რაც არს კირი,
 და მუნ მოსრულა იამანიოთ, მკურნალი არს მისებრ ძვირი.“
- 88 კულა მიუდგეს მეფეს კარსა მუნ, გათენდა დილა ოდეს,
 ენა მორთეს შისთვის კებად, მათთა ენით რაც ითქმოდეს,
 თურქმან ვეი წააყენა, რაც დაესკუნა, მას იტყოდეს,
 და ჰკადრა: „არსო განმკურნალი სენთა ძნელთა, რომე კმოდეს.“
- 89 მას სმენია ქუეყნიერთა ხელმწიფისა შეკირვება,
 იამანიოთ წამოსრულსა, აწ ელირსა თქუენი ხლება,
 მას სიამე უნდა თქუენი, სამსახურთა არ დაკლება,
 და თუცა შესწევს ძალი ღვთისა, ვეპუ რომ იქნას თქუენი ნება“.
- 90 „ხამს ლი შენგან წყლულთ კურნება, ყმას ხელმწიფე ეტყუის ტკბილად,
 შმაგს ვიგონებ ჩენსა მზესა, მიმანია მე სიკუდილად,
 თუ ვინ ნახავს მზეს ურგებლად, სხვათებრ სისხლი სდინდეს მილად,
 და განიკურნოს თუცა ქალი, მივსცე ვინცა ძმად და შვილად.“
- 91 ყმამან ჰკადრა შარიერსა მხიარულად, არ მოწყენით:
 „მესმნეს თქუენი შკვირვება, გამოკრილვარ უცხოს თემით,
 განგებითა ღვთითა ხამს მზე განიკურნოს ხელით ჩემით,
 და ვარგო თუშცა ვიამარო, მეცა ვირგო ბედით თქუენით.“
- 92 მეფემ უბრძანა: „თუ არგო, მე აღგისრულე პირობა,
 მზე მოგცე შენად საჯუფთედ, კულა მოგხუდეს ლხინთა ხშირობა,
 მოგეცეს ჩემგან სიმდიდრე, ჯართა და ლაშქართ მირობა,
 და შენ პატრონად სჩნდე თავადთა, არ თურე მოგხუდეს მცირობა.“
- 93 ესე მეფისა ბრძანება მსმენელთა ეკუირვებოდა,
 ფიცხლად მოიხმო ხადუმი, რომე მას მზესა ხლებოდა,
 მას წაატანა იგი ყმა, გული მით დაედებოდა,
 და წინ მიუძღოდა ხადუმი, იგი ყმა მას მიჰყუებოდა.
- 94 კოშკსა შეჰხდეს ორნი ერთად, სად მზე იწვა მოვანებით,
 ქალი ნახეს ხელ-ფერხ დაბმით, უცნობად ჯდა, არ თუ შევებით,
 ფერ-მიხილით განცვიფრებით, მუნ არვისი არ სათნებით,
 და იწვის ცეცხლით მისი მჭურეტი, მუნ არვისგან დასავსებით.
- 95 ოდეს ნახეს ისრე მყოფი, ხის ფურცელი ასი ღრამი
 გალესეს და უნებლიეთ ქალს შეასვეს ერთი ჯამი.
 მათ ფურცლითა მუნვე ხისა შეუმოსნეს კულაცა გვამი,
 და მას დაუწყო ოფლმან დენა, დაეძინეს ერთი წამი.
- 96 დაეძინეს ოდეს ქალსა, მოემატნეს ოფლთა დენა,
 სამ დღე-ღამე ოფლი სდინდა, ერგო, ამად მოისვენა.
 გვანდა ქალი მამაკუდაგისა, მჭურეტთა შექნეს ამად წყენა,
 და მათ ეგონეს მიცულა მზისა, ყმის საგმობლად მორთეს ენა.

- 97 მეოთხეს დღესა მოიხმო მნათობმან მისინი მზღებელნი,
უბრძანა: „მკადრეთ, რა მჭირდა მე ჰირნი გაუძლებელნი?
რად სტირთ, რად იგლოვთ, რა გიმიძმს, გწვავეს ცეცხლი დაუესებელნი?“
და ვაება შექნეს, ტიროდეს, არს მათთვის დაუკლებელნი.
- 98 მათ ჰკადრეს: „მზეო, ვით ითქუმის, რა ჰირნი გარდაგზდომია,
ტირს ჰირთა თქუენთა მსმენელნი ყოველი კაცთა ტომია,
სული ამოგუხნდა სნეულთებრ, ვინ როჲე გვერთსა გჯდომია,
და ვნატრობთ ყოველნი სიკუდილსა, სიცოცხლე არა გუნდომია.
- 99 რომ არ გქონდა კაცთა ცნობა“—ჰკადრეს—„არსო სამი წელი,
არ გიამის კაცთა ხლება, საუბრითა იყავ ხელი,
შენთა მჭურეტთა შენის სეედით ყოფა გუქონდის ერთობ ძნელი,
და აწ მოსჯობდი, სწევ საოფლედ, გაგითავდა კვირა მთელი“.
- 100 შეიდ დღე-ღამე გაუწყუეტლად, მსგავსად წყლისა, ოფლი სდინდა,
მოინდომა სმა და ქაბა, ქალი ესრეთ მოჯობინდა,
ახარებდეს ხელმწიფესა: „ღმერთმან მოგუტა, რაც რომ გვინდა,
და ხამს აწ შეუქით განგუინათლენს, გული ჩემი ვინ დაბინდა“.
- 101 თუც ამბავსა არა ჯერა, მას სუროდა ნახვა მზისა,
მეფე მირბის ფერხ-შიშველი, შემოკლება სწადდა გზისა,
მუნ მიევიდა, კოშკსა შეჰხდა, ნახა ქალი მორცხვად ზისა,
და არ ევიარა მასთან მთვარე, მზე მაჩნდა დარად ბზისა.
- 102 მოხვივენს ერთმანერთსა, დაბნდეს, სულსა გაეყარნეს,
მათ შოაჰედეს ხელნი ყელსა, ვითა მკუდარნი დაეყარნეს,
მათ მეტისა სიამითა მსწრაფლ სიცოცხლე გაემჭარნეს,
და დიდხანს იყუნეს დაბნედილნი, მჭურეტთა მკუდარსა დაადარეს.
- 103 მზღებელთ ასხურნეს მათ ორთა სურნელი საყნოსელია,
მოჯობდეს, სული ჩაეგნეს, განათლდეს მათთვის ბნელია,
ალარა წუხდეს, დადუმდეს, აღიდეს მათი მხსნელია,
და მსწრაფლ ჰირნი ღზინზედ შესცვალნა, სოფელი ესრეთ მქნელია.
- 104 აქანამდის მას ქუეყნისა კაცთა ჰქონდა შეჰირება,
ესმნეს მზისა განკურნება, მათ შეექნა სმა და შეება,
მუნ მიეცნეს სიხარულსა, იყო ღზინთა არ დაკლება,
და მას დღე რაც რომ მეფემ გასცა ჩვენგან ვითამც დაითულება?
- 105 მისად ძედ იხმო, ვით ხამდა, მეფემან მაამებელი,
მას უძღუნა განძი ურიცხვი, საუნჯე დაუკლებელი,
მოწყობით სრანი, სამეფო, მისნი გამზრდელი, მზღებელი,
და ასული მისი მზედ მხმობი, სინათლე აქუს უღვენელი.
- 106 ქუეყანა მისი მას უძღუნა და მისთა ჯართა ქუელობა,
სამეფო ტახტი, გუირგუინი, მუნვე ქუეყნისა მცველობა,
მას ყმას ანება ყოველი სამეფო, მისი ხელობა,
და შვეროდეს ჯართა თაობა, ხამს ჰქონდეს დღეთა გრძელობა.
- 107 ყმას ეწერნეს რადგან ზენით, მით აუპყრნა ღმერთმან ხელნი,
მსახურებდეს თავ-დადებით, ვით პატრონსა, ბლდადელნი,
სპათა მისად სამსახურად მით შეირტყეს მჭიშნედ წელი,
და რაც უბრძანის ყმამან ჯართა, მისი იყუნეს ყუელა მქნელნი.

108 მეფობდის და მათ მოსწონდის სამართალნი მისეულნი,
ვის გულს ასხდის დაღა მძლავრთა, გაუმრთელის ყმაჲან წყულნი,
განიკურნის მისის ხელით, იყუნეს ვინმე თუ სნეულნი,
და ვის რა ჰქონდის შინ თუ გარე, ყუელა მისგან მიცემულნი.

109 რაც მისგან ხამდის, აამის ხელმწიფეს მამებელმან,
ახლდის, მსახურის, აამის, ვით ერთმან მისმან მხლებელმან,
მით მოიმაღლნა ხელმწიფე ყმაჲან წუნ-დაუდებელმან,
და მას მისცა ღმერთმან სიმდიდრე, წყალობა დაუკლებელმან.

110 არს ბაღდაღისა ქალაქი ტურთა, ბრძენთაგან ქებულო,
მას ქალაქს კაცი მდიდარი არს მრავლად სახელ დებულო,
მართლ-მსაჯული ჯდა ხელმწიფე, იყო არვისგან ვნებულო,
და იყო მტერთაგან უშიშრად, მორჩა-დიდებით შვებულო.

111 მის ქალაქისა ზამთარი მსგავსი არს გაზაფხულისა,
აქუს ბალსა ზამთარ შვენება ხე ედემს დანერგულისა,
მუნ არს ყუავილთა სიმრავლე, მნახთ უკუმყარელი გულისა,
და ბაჰარი, ვარდი, ნარგისი, ია საყნოსლად სულისა.

112 ბულბულნი და იაღონნი ვარდსა ზედან ტკბილად ჰმობენ,
გულსა ემყი მისეული აქუს, ხმა-მალად მუსიკობენ,
სუმბული და იასამანი, ზამბალ, ლალა მათვე ჰყმობენ,
და სხვა სურნელნი მრავალ-გვარნი არს, მნახველნი არ დაგმობენ.

113 ესეთნი ბაღნი ტურთანი იყუნენ წუნ-დაუდებელი,
დღე ერთ თითოსა ბაღჩასა ღვინობდის მამებელი,
მისსავე წესით ეწადნეს ბაღს ღვინი დაუკლებელი,
და ყმა მივა ბაღსა საღვინოდ, გვერც ახლავს მისი მხლებელი.

114 ყმას წინ მიუძღვის თურქმანი, მისი დამდები ვალისა,
მათ მაწყინარი იხილნეს, დამთხრელი მისის თვალისა,
მკულელი მის ყმისა ჯანისა, წამხველი ტყუბთა ლალისა,
და მუხლ-მოყრით ყმისა წინაშე 'ხის, ჩივის, არ ეკრძაღვისა.

115 ენას აუბნებს სატყუერად მგრძნებელი, მქნელა ავისა,
უწყით, მსმენელნი, ბრგვილია ენა მის დამნაშავისა,
რასაცა უბნობს შეფრქუევით საკადრსა მისის თავისა,
და ოდიდგან ყმა არს შემსწრობი პატიყთა უამრავისა.

116 ყმა ახლოს მიდგა, გაიცნა ძმაფიცი მაწყინარია,
უბრძანა: „ვიცნ ხარ, ბედითო, პირ მქინი, სიტყუა მცდარია?“
კულა თურქმანსა ჰრქუა: „მგრძნებელი ემშაკსა დაადარია,
და მქიშნელ შეუქარ მხარნი და შეკრული ჩემს წინ არია“.

117 ფიცხლა შეიპყრა თურქმანმა იგ ბილწი მაწყინარია,
მას არა ჰკიოხა სახელი, არცაღა მისი გვარია.
ყმა სავარდესა გარდახდა მოვანე, ვითა მთვარია,
და მუნ სამეფოსა ტახტსა ჯდა, მას ახლდეს მისი ჯარია.

118 სავარდესა შიგან შვენის ია სურნელ, ზოგან ვარდი,
ნარინჯი და ლიმო, ხურმა, ალვა—ედემს განაზარდი,
დგეს ოთაღნი სახელმწიფო, ქუეშ ეფინნეს სტავრა, შარდი,
და ყმა მზებრ ნათობს, მზესა ჰკადრეს მას წინაშე მონაევარდი.

- 119 შეკრიბნა მისნი მზღებელნი, მდიდარნი ანუ მცირია,
 ბრძანა ბილწისა მიყუანა, აცნობა თავი გმირია,
 მათ ჰკადრა მისი ამბავი, რაც მისგან სქირდა ქირია,
 და მას მაწყინარსა შეექნა ძრწოლა, ულხენი ხშირია.
- 120 „მე და ესე ყმა იამანს სამგზავროდ შევიყარენით,
 შევაძხანავდით, შევჰპირდით, ვიფიცეთ, ითქმის არ ენით,
 ზურგსა გვეკიდნეს საგზალი, თავნი აქეთკენ ვარენით,
 და ხან დაუხმელად გზას ვლიდით, საგზალსა ვიამარენით.
- 121 მიეხუდით რასმე ჩოლსა გრძელსა, ულეგსა და უგემურსა,
 სთქუი, თუ სწვიმდა ზეცით ცეცხლსა, პირს გვაფრქუევდა ალი მურსა,
 ვსკამდით, ვსუემდით, რაცა გუქონდა, ჩვენ საზრდოსა შინაურსა,
 და რახომსაცა ხშირად ვსუემდით წყალსა, სიციხით უფრო გუწყურსა.
- 122 თუ როგორ გავჰხე, ვით გკადრო, გულსა მწვავს ცეცხლთა ალია,
 მამწყურდეს წყალი, არა მაქუს კულა გზისა სავლად ძალია,
 მუნამდის მქონდა, ერთად ვსევით საგზლად ნაქონი წყალია,
 და ვიაჯე სმევედ წყალისა, მას უძღვენ ტყუბნი ლალია.
- 123 იგ არ ინდომა წყეულმა, გულით ქუისაებრ სალია,
 „რას მარაგებს, ხელსა ეჭხდი რასა, რად მოვიხმარნი ლალია?
 თუ წყალი გინდეს სასმელად, მამცენ მზის მზერნი თვალისა.“
 და დამთხარნა თვალნი უძლურსა, არცალა მასუნეს წყალია.
- 124 წამიხუნა ჩემნი ქონება, არ გული ჩემთვის სტკიოდა,
 ორთავე თვალთად ნაკადი სამს დღემდის სისხლი მდიოდა,
 კაცისა ფერხთა ხმა მესმენს, მათ მაღლა გავეხმიო და.
 და ამა თურქისა მეცხედრე, ქალი მთვარე და მზეო და.
- 125 იგი ჩემთვის ღეთად გამოჩნდა, დად და დედად შემეყარნეს,
 თან წაიხუნეს თვალნი წყლულნი, მათებრ მათსა სახლსა მარნეს,
 მათ მამბანნეს თვალთად სისხლი, კულაცა თვალნი ჩამიყარნეს,
 და შემიხვიენეს მქიშნიდ თვალნი, მათ წამალი დამაყარნეს.
- 126 ამიხილნეს თვალნი ღეთულებრ, გამიმთელნეს თვალთა წყლულნი.“
 თქუა: „ამ ყმისა ხილით მკუდარსა მათ წყალობა მიყუეს ღეთულნი,
 სიცოცხლე და კულა სიმდიდრე არს ყუელაი მისეულნი.“
 და ჰკადრა ყუელა ჯართა წურილად, მათ ისმინეს მისგან თქმულნი.
- 127 ხრმალი ჰკრა ფიცხლად თურქმანმან მაწყინარს, მოსჭრა თავია,
 თქუა: „ნიდაგმცა უთაო არს თქუენზედ დამნაშავია,
 ღმერთიცა რისხვით მიხედავს, ვინ რომე თქუენთვის ავია,
 და არცხვინნეს თქუენთა ორგულთა და მტერთა ნუმც აქუს ზავია.“
- 128 მას ბილწსა მკლავსა შეება მის ყმისა ტყუბი ლალები,
 ხელ ჰყო თურქმანმან, აგლიჯნა მკლავით მუნ ტურფა თვალეები,
 აწყო მის ყმისა წინაშე, ამართონა მისნი თქმულეები,
 და მაღლი უბრძანა თურქმანსა, სიტყუანი შესაწყალეები.
- 129 მას დღე-ღამე სავარდესა სევს, წართეს და ლხინი ნახეს,
 ყმას შეასხეს ხობტა-ქება, დიდებულთა არ უძრახეს,
 მათზედ გასცა საბოძვარი, კულა არვისგან არ ენაწნეს,
 და მუნ მდიდართა სიყუარული მისი გულსა ჩაესახნეს.

- 130 რას ვაგრძელებ? ბაღდადისა მეფე სოფლით მიიცივალა,
საყმო მისი სახელმწიფო ყმასა ხელშიგ ჩაუთვალა,
საუნჯე და სპა და ჯარი ყმას დაუგდო მისი ყულა,
და თან არ წაჰყუა ნაქირეები მისი, ქუეყნით გაჰხდა გვალა.
- 131 ყმას დანებდა მას ქუეყნისა სპა და ჯართა თავადობა,
მას შეენოდეს ხელმწიფობა, კულაჲ მისსა მზესა მზობა,
მან დაიპყრა სრულ სამყარო, კულა დააკლო არ საქმობა,
და თურქმანს მისცა მის ქუეყნისა ამირ-სპაჲ-სალარობა.
- 132 ვაზირს ჰყუა ქალი პირ-მოვარე, უჩინოდ ჰქონდა თვალები,
ვაზირი მისთვის გულ-მწუხრად ტირს კაცთა შესაწყალები,
წინაშე ყმისა მუხლ მოყრით ჰზის, ჰკადრებს: „დამდეგ ვალები,
და ქალი მყავს მპირ-მზე სნეული, მისი მწეავს გულსა ალები.
- 133 არგე რა მზესა. კულა გულსა დამწვარსა გულსა მამარე,
დამხსენ ტყუე ქმნილი სახმილსა მისსა, კულა ლხინსა მამარე,
გლახ მახატე, ვითა ტყუე, მე თავთა თქუენთა მამარე,
და მილხინე სენი ულხენი, უხსნელსა ქირსა მამარე.“
- 144 თურქმანს უბრძანა მეფემან წამლება მუნვე ქალისა,
მან სააქიმოდ შეირტყა წელი ახილვად თვალისა,
სადგომსა მისსა მივიდა, სად კოშკი ედგა სალისა,
და ნახა იგი მზე უჩინოდ ზის მნახთა შესაწყალისა.
- 135 უწამლა ქალსა წამალი მან თვალთა ასახელია,
თვალთა მიეცა სინათლე, ესრეთ თქუი, ვითა მთელია,
თურქი ილოცავს, ადიდებს ღმერთსა, აღუპყრნა ხელია:
და „თავი ვით ვიქო უღირსმან, თვით შენ ხარ კარგთა მქნელია.“
- 136 ბაღდადისა ქუეყანასა კაცთ მით შექნეს განკვირვება,
მისცეს ქალი მას თურქმანსა, მას ფერობდა მისი ხლები,
თვე ერთ იყო ქორწინობა, მას ქალაქსა სპა და შევება,
და იყო ლხინთა დიადება, სიხარულთა არ დაკლება.
- 137 მუნ ყმა მეფედ ჯდა, თურქმანი მის ყმისა იყო მხლებელი,
მას ვალთა მუქჲად რაც ხამდა, სწყალობდა მამამებელი,
მას მისცა ბასრა ქალაქი ყოველთურთ დაუტლებელი,
და სიამე მიხუდა სოფლისა და ყოფა გასაძლებელი.
- 138 ამ სოფლისა მეფედ მჯდომმან ხანი დაყო ერთობ გრძელი,
სამართლით და ხლმით და კკუით მან დაიპყრა ზღვა და ხმელი,
მანც იხონა, ვითა სხვამან, მუხთლად ქცევა სოფლის კრელი,
და მას მოუდგა შესაპყრობლად ბადე, მისგან დანაქსელი.
- 139 მათ აწო სხვათებრ სოფელმან კულაჲ მისსავე წესითა,
მუნ ნაქირეებთა სოფლისა ამოჰხდეს სულნი კუნესითა,
გარდმოხდა, მსგავსად წერილთა, სულთა მპარავი წე სითა,
და სასუფეველსა დამკვიდრდეს ყოველთა უამესითა.

ს ა ა მ ი ა ნ ი

აქა დიდი ომი ერანელთა და თურანელთა

- 1 გათენდა. ლაქვარდის ფერმან ცამან სინათლე გაიცა.
მასკულაფთა შექნეს წუხილი, ელვარებაცა გაიცა.
მზემან უკუნი განაგდო,—წაფიდა, პირსა მიიცა.
და თვითან გუმბადსა მიმართა, მალლა ავიდა, მიიცა.
- 2 შესხდა ორგნითვე ლაშქარი, შეიქნა დიდი დგრიალი.
ქოს-ნალარათა, ნათურთა იყო ყუიროლი, ტკრციალი,
ერანელთ რაზმსა აწყობდა,—ქიშვადსა ჰქონდა ზრიალი.
და მას დღესა დარჩა მრავალი მათი სამყოფი ტიალი.
- 3 სპილოზედ შეჯდა მანუჩარ ტახტოსან-გვირგვინოსანი,
მარჯუენით ყარან და ქიშვად, დგეს დროშა-ნიანგოსანი,
მარცხენით ყუბად და მილად—მალლად ყუიროდა ხმოსანი,
და რაზმს წინა დგა საამისურ შუბოსან-საგდებლოსანი.
- 4 კაცი ოც-დ-ათი ათასი ზაულისტანშიგ რჩეული,
გვირცა იახლა მას თანა დაზრდილი ომსა ჩვეული.
სამანდსა იჯდა, ბრდღვინვიდა ძალისა იმედეული.
და ჰგავს თუ: „მთა იჯდა მთაზედა,—ლახტი აქუს ჰაპისეული!“
- 5 შესხდა ექუსასი ათასი სალიმ და ზადაჩამისა.
გამოდგეს, რაზმი დააწყუეს. ყუელი ომსა ლამისა.
სალიმ ზის თეთრსა სპილოსა, გულსა აქუს შიში სამისა.
და სცემდეს ბუქსა და ტაბლაქსა,—არს შემოკლება ჟამისა.
- 6 მარცხნით დადგა ქაიაშარ, და მარჯუენით—ფირან ლომი.
რაზმსა წინა ზადაჩამ დგას,—მეომრობის დიდად მდომი.
ერანელთგან გამოვიდა აშაქ, მოინდომა ომი.
და აწ ნახეთ თუ: „ვინ ამაღლდეს, ვის დაამხოზს ცისა ხომი?!“
- 7 აშაქ მიუხდა თურანელთ, მუქარას ითხოებოდა.
მას ბუმბერაზი გამოჰყუა, ივიცა კარგად დგებოდა.
აშაქ შუბი ჰკრა ლლიასა, ბუმბერაზს სულთა ხდებოდა.
და კულავ სხვა მოვიდა მებრძოლი, ეს უფრო გაშმაგდებოდა.
- 8 აშაქ მოკლა მეორეც, და მესამე წამოუვიდა.
ამ წესითა ოთხ-მეოცი ჩამოაგდო,—სისხლსა ღვრიდა.
ზადაჩამ თქუა: „იმა კაცმა დაგვაყენა!“ ჯავრი სწვიდა.
და თავსა შუბი შემოივლო, შეუტივა, მისკენ ვლიდა.

9 ანაქს უთხრა: „ვერ მამრჩები, შენ, ბედითა უკუღმართო!
ჩემსა ქანგსა სად წაუხვალ: კაი საქმე არ დაგმართო!
მიუხდა და ხმალი დაჰკრა, არა მისთვის საწალმართო,
და გაჰკუეთა და ჩამოაგდო, ფიცხლავ სული ამოართო.

აქა საამისა და ზადაჩამის ომი

10 რა ლომ-გულმან საამისურ აშაქ მკუდარი დაინახა,
ეწყინა და გულსა ზედა მჯიღვი იკრა, ბრძანა: „ახაი“
თქუა თუ: „ზურგი შემინახეთ,—მისთა სპათა შეუზახა.
და „სიმრავლისა ნურა გაგვათ!“—საომარად მოემახა.

11 ბრძანა: „იქით მანახეველით, სადაც იდგას ბეური მძორი“
მერამ დიდი დაიზახა, სრულად შეძრა მთა და გორი.
ყველას თავსა ბრუ დაეხსა, ახლოს იყო ვინცა, შორი,
და შინით დასქდეს,—ვით კოკობსა, ზედ მიუხდა თეთრი ქორი.

12 შეუტივა ზადაჩამსა, ისიც კარგად შემოვარდა,
ერთმანერთსა შუბი შესცეს, არცა ერთი ჩამოვარდა.
ზადაჩამ ცხენს გარდებარა, მუზარადი თავს მოვარდა,
და საამს შუბი გაუკუეთა, ხლმითავ ზედა წამოვარდა.

13 საამს დაჰკრა მარცხნივ მხარსა, ვირე ხმალსა მოიწუდიდა.
ჯაქვე-ჯავშანი გაუკუეთა, ზედ კამარად სისხლი სდინდა.
საამ ხმალი ამოიღო, უთხრა: „შენცა ასრე გინდა!“
და თავსა დაჰკრა, სრულ გააპო, დღე ნათელი დაუბინდა.

14 ცხენი და კაცი გაჰკუეთა, ხმალი მიწასა დაასო.
დაეცა, მოკუდა ზადაჩამ, სრულ მოეშალა და ასო,
სისხლითა მიწა შეღება, ყუაფთა, ყორანთა და ასო.
და ატირა მისი მშობელი, ცრემლი აღინა და ასო.

15 მერამ რაზმსა შეუტივა, ერთის ხელით დაუშინა,
სამანდს დეზი მოუქნივა, გააფიცა, ააქშინა.
ვისცა დაჰკრის, ჩამოაგდის, ველარ მივა მთელი შინა.
და ხმა შეიქნა საშინელი, მისი მტერი შეაშინა.

16 შეიქნა ცემა, ძახილი, ყურილი მოსაწყუარო.
გავს თუ ცა დასცეს ქუეყანად, მიწაზედ დაუტუარო,
ისარი გვანდა ფურტარსა, ისროდეს დაულეუარო.
და რიყედა ჰყრია თავადი, შუბისა დანახეუარო.

17 შუბისა, ხლმისა ნალეწი არეთადალმან ცვიოდა,
თავადნი გვანდეს რკინასა,—სისხლი და ოფლი სდიოდა.
ზოგი ძეს ჩამოგდებული, კუნესის,—ნაკრავი სტკიოდა,
და მკუდრისაგან გზანი შეიკრა, ცოცხალი ზედა დიოდა.

18 საამს დღესა ომი იყო, მკუდარი ჰყრია, ვითა ლილა.
ჯიმშედ დღუნი ამოსწყუიტნა,—მისა აქათ ეს არ ქნილა!
სისხლი ჯეონს დაემგზავსა, მკუდარი მიაქუს, ვითა სილა.
და თურანელთა გაუმწარდა საღამო და ღამე, დილა.

19 ერთკენ შერჩა საამისურ, თან იახლნეს ზაულელნი.
საომარი დალეოდა, დაელებნეს სისხლით ხელნი,
ცხენს ბარკალი ამოაძვრის, მით დალეწა მტერთა წველნი,
და ამოსწყუიტნა თურანელნი, ზედ აწვივნა ტურა-მგელნი.

აქა სალიმისა და საამის ომი

20 ქავის დროშა დაინახა. ზედ მიუხდა ლომთა-ლომი.
ხელი სტაცა მედროშესა, აიყუანა ცხენსა მჯდომი.
ზედ შემოჰკრა დროშის ტარსა, სხვა არ უნდა მახედ ომი,
და დროშა მისცა მისთა სპათა, არად უჩანს კაცთა ტომი.

21 სპილო ნახა სალიმისა, ზედ მიუხდა თხასა მგელი,
მკუდრისგან ახლო ვერ მიუდგა, მოუმარჯვა საგდებელი,
შემორსტყორცა, დაატოუნა, გარდამოხდა სალიმ მთელი,
და ცხენსა შესევს, გარდიხვეწა, გაიპარა, ვითა მელი.

აქა საამ ფალავნისაგან თურანელთა ზედა გამარჯვება

22 სპილოს თავსა საგდებელი გარდააცვა, გამოსწივა,
ტახტიანად ორჯელ თავსა შემოივლო, მოიქნივა,
მიწაზედა დაახეთქა, ვით კაქაჭი, დაამსხვრივა.
და გარდიხვეწნეს. თურანელზედ რისხვა მღვთისა მოიწივა!

23 სამს ღღემდის ზდივეს, მკუდართაგან ხეგნი აივსნეს, ღელენი:
მცირენი ვინმე მოურჩეს მიწისა სისხლთა მზელენი.
თურანი დარჩა უკაცოდ, ქალაქნი მოსამტვერელნი.
და ატირდეს მათნი ღედანი, მოსთქმიდეს ცრემლთა მდენელნი.

24 ვისცა მათის ხელისაგან მოკდომოდა ძმა და მამა,
ერთისათვის ასი მოკლეს, იპატია იგი რამა?
ყუაუ-ყორანთა, ტურა-მგელთა მოემანი უყუეს, ქამა.
და ჯიმმედს აქათ ეს არ ქნილა,—სისხლი ზოვად ქნა ხლმითა ქრამა.

რ უ ს უ ლ ა ნ ი ა ნ ი

ქარი მემკვსე

აქა ამბავი ხელმწიფისა იბრაიმისა

ადრევე გამგზავნა პატრონმა-მამამა ჩემმა საქმისავე რისთვისნე ლეისა ქვეყანასა. ვისაქმე, როგორაცა მინდოდა, კარგ გვარად და მესმოდა ქება იბრაიმ მეფისა მის ქვეყნისა. ვთქვი: „წავიდე, ვნახო, იბრაიმის ქებას რომ იტყვიან, მართალია თუ არა მეთქი“. განა სხვა იქიურნი მეფენი არ მენახა?—მაგრამ ეს ახალი მეფე იყო და კვლავინდელთა მეფეთა მისთანა არც ქება გამეგონა და არც მისი მგზავსი სიკეთე მენახა და მისთვის გამიკვირდა. შევკარ ძღვენი მათი საკადრისი და წავიელ. მიცნობდენ მის ქვეყნისა დიდებულნი, იამათ ჩემი ნახეა, მომეგებნენ და მიალერესეს. წამიძღვენენ, ძღვენი მიმირთვეს, ხელმწიფისა სალაში მიმაცემინეს. ჩემი ამბავი მოახსენეს, ვინ ვიყავი, ანუ ვისი შვილი, ანუ რა სამსახური დაედვა მამასა ჩემსა მათ მეპატრონეთათვის, ანუ მაგათგან რა პატივი და წყალობა სჭირებოდა, ყველა კარგად გაასინჯეს. მან დიად დაიმადლა ძღვენი და პატივი მცა, არ გამიშვა სამსა თვისა. ვნახე მისგან მრავალი სამართალი და მოწყალება, რომელიცა ხელმწიფეთა წესა იყო; დიდათაც მატდა სიკეთე მისი, რაცმე გამეგონა, ასე, რომ ვთქვი: „ამბავს კაცი სჯობს მეთქი, თვარამ მისსა სიდიდებულესა და ჯარ-მრავლობასა, სიუხვე და ულევნობასა და ლხინ-ნადიმ-მოუშლელობასა ანგარიში არ ქონდა, არც მოითვლებს, ამისთვის, რომ ენა დაშვრების, გონება განცვიფრდება, მსმენელნი დაშტერდებიან.

დღე ყოველ მიბძანებდა მისვლასა და, როსცა ვიახლებოდი, ახლო დამისევდა, პატივით შემყრობოდა, ქვეყანათა ამბავს მკითხებდა, მრავალს მიბძანებდა, ეგრე გამომიშვებდა.

დღესა ერთსა მოვიდა ვინმე დიდ-ვაჟარი, მრავალი ყაფილა მოყვა. მოართვეს ხელმწიფისა მრავალი ტურფა ძღვენი, რომ უფროსი და უკეთესი კაცის თვალსა არ უნახავს. დაუმაღლა ხელმწიფემა, დაუცალეს ქარვასლები, დააყენეს კარგსა ალაგსა, ახლო ხელმწიფესთან.

პატა ხანი გამოვიდა, მეცხვარე მოვიდა და კაი ბატენები მოართვა ხელმწიფისა, ასეთი, რომ სიკეთე მათზე გარდასწყდებოდა. დაუმაღლა მასცა ხელმწიფემან, მაგრამ რალაც იმ მეცხვარისა უბედურობა იყო და ხელმწიფისაცა ღმთისაგან წყალობა, ორი ასეთი ყმარწვილები მოყვა, რომ კაცის თვალით მისთანა არა ინახოდა რა. ხელმწიფეს თვალთ მათზე დარჩა და უბძანა მეცხოვრესა: „ეს ყმარწვილები შენიაო თუ სხვისიაო?“ მან მოახსენა: „ჩემი შვილები არ არიო, განა წვირილები ჩემგან შვილულზე გაზდილიაო.“ ჩაუარდა თურმე მას ხელმწიფისა გულში და კიდევ თურმე ამგზავსა, მაშინ არა ბძანა რა. ის დიდ-ვაჟარიც იქ იყო და ერთის უცხო ქვეყნის სტუმარი; მეც ვიყავ. თავის დიდებულთა ანგარიში არ ქონდა. უბძანა მას მეცხოვრესა დაყენება, ჯერ ნუ წავაო. ნახა მას დღესა ლხინი. მას დიდ-ვაჟარსაც შეუვიდა მის ყმარწვილისა ნდობა და, ოდეს ხელმწი-

ფემ სუფრა აიღო, წავედით ყველანი თავთავისთყინ. დიდ-ვაჰარიც მივიდა სა-
დგომსა. თურმე ის მეცხოვარეც იმის ახლო ქუჩაში იღვა და ის ყმარწვილები
კარზე თამაშობდნენ. თქვა იმ დიდ-ვაჰარმან: „ასეთი ჩემს თავს არა მოვა რაო,
რომ ესენი არ ვიყიდოო.“ მოაყვანიდა ის მეცხოვრე და უთხრა: „ძმაო, ამ ყმარ-
წვილებს არ გაყიდო?“—მან უთხრა: „მგლისათვის კბილში გამომიგლეჯიაო და
ძლიერ სული შემირჩენიაო, ეს ორი წელიწადია ჩემი სიცოცხლე მაგათზე წამიგიაო,
ასეთს ვინ რას მოპატემაო, რომ ამ ჩემის ქირახხულის ფასი იყოსო, თეარა მაგათი-
ფასი ხელმწიფესაც, ვეკობ, გაუქარდესო“.

რა ამისთანა პასუხი გაიგონა იმ დიდ ვაჰარმა, შეატყო, რომ გასყიდვა ეწა-
და და ასე უთხრა: „ვიცი, ესენი სამეცხოვრო კაცნი არ არიანო და არც შენთან-
დადგებიანო; გაყიდე, ამისი ფასი უკეთ გამოგადგებაო, ასეთ ვერას შამომიკვე-
თო, რომ არ მოკცეო“. იმ მეცხოვრემ ასე უთხრა: „ჩემგან ამით ფასი არ დაე-
დებოა, რაც შენ სულსა და ღმერთს ქვეშ გიღირდეს, ის მომეც“ ო. რა იმან
ამისთანა ქართული უთხრა, აღვა და ათასი თუმანი დაუთვალა და მისცა და ის
ყმარწვილები გამოართვა.

რა დილა გათენდა, კიდევ ხელმწიფისა კარზე შევიყარენით. მან, დიდ-ვა-
ჰარმან, კვლავ უსახო დიდი ძღვენი მოართვა და მადლი მოახსენა: „თქვენმა
დოვლათმა აქ მომიყვანაო, ამისთანა კაი ყულები მაშოვნინაო.“

ეს ამბავი იმ ვაჰარმა გვიამბო, თავისი და მის მეცხოვრის ვაჰრობაზე.
შერიგება.

ჩაუარდა კიდევ გულში ხელმწიფესა მის ყმარწვილების სევდა, პირად არა
ბძანა რა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეჯავრებოდა რაჰე. ადრე სუფრა აიღო, წა-
ვედით თავ-თავისად.

რა დილა გათენდა, აღარცა ვის მაწვევარი კაცი მოუვიდა. კარი შეჰკრეს,
აღარცა ვინ პირ-მღღმა შეუშვეს მის დიდ-ვაჰარის მეტი და მეცხოვრის მეტი. ჩვენ
ასე ვთქვიით: „სადაჰრო რამ უცხო გამოაჩვენაო მან კაცმან და მისთვის ქნეს ყო-
რულიო, არავის აჩვენებნო. მაგრამ მეცხოვრე რაღას გააკეთებსო? აქაქი არ არი,
რომ თვალი გათალოს და ბძენი და მეცხიერი, რომ უცხო და ძვირფასი
იქნას რამ, და რას აქნევსო.“—ამის სარჩევლშიდ რომ ვიყავით, ორნივე გამოა-
სხეს ხელ-დაკრულნი. დიდ-ვაჰარი ხეზედ ჩამოაკიდეს და მეცხოვრეს თავი გააგდე-
ბინეს. შეიქნა საკვირველი ზრუნვა მას ქალაქში და ჩივილი: „ეესე რა დაგვემარ-
თაო! გვიხაროდა, რომ მოსამართლე და მოწყალე ხელმწიფე დაგვიჯდაო და
ამანც ასე უზრალოდ კაცებს ხოცა დაუწყეო, რომ არცა ვის რას შეატყობინებსო
და არც არას ვისგან რას მოიხსენებსო, რომ გაიკითხოსო. ამას უკან რაღას კას
ველოდეთო, რომ ის არავინ ინახვინა და ვერც ვეზარმან და ვერამ კაცმან ახლო
ვერ გაუარაო.“

მეთოხეს დღეს გამოვიდა ხნობა, ბძან[ება] ყველასი. მითხრეს: „შენ უცხოს
ქვეყნისა ხარო და დიდად უყვარხარო და გაპატივებსო. კითხე, ეს რა ხელმწი-
ფის საქნელი იყო, რაც იმან ქნაო.“

მივედით. ხელმწიფე ისევ მხიარულად დაგვიხვდა და თავ-თავისი ალაგი
უჩვენა ყველასა. მე მიბძანა: „ახლო დაჯე“—ო. მე მოვახსენე: „ველარას გენდობი“
მეთქი.—მიბძანა: „რასთვი?“—ო.—მე მოვახსენე: „უცხოს კაცის ვასტუმრება ავად
გცოდნია მეთქი და მეძღვის მიმპყრობა მეთქი. თავმან შენმან დღესამდისი რაც-
მე შენგან სამართალი და მოწყალება მინახავს, არას ხელმწიფისაგან ამისი უფ-
როსი ამბადაც არ გამიგონია და ეს თქვენი დიდებულნი ასრე იტყვიან: ეს რა
არისო, შენ ნათალი არ გინახაო მაგისი საქმეო. აწ ამდენი სიკეთის პატრონმა ეს
უწყალობა როგორ ქენი, რომ მისთანა საბატიო კაცი უანგარიშოსა და უფა-
სოს ღარ-საქურტლით მოგვიდა და დღე ყოველ მისთანა უცხო თვალ-გორი-
მოგართვის და დაიქვრე და ძღუზედ მთარჩობინე. თუ საქონელი გინდოდა მისი,
ისრე არ მოგეკლევინებია და ტკბილი სიტყვით დაგვეყენებინაო, ყოველდღე მის-

თანა ძღვენი მოეტანა, ვეკობ სალაროს დაიდებდი, თვარა მის სიკვდილს ამის მეტს ვერას გამოირჩები, რომ ხმა დაგივარდება და არას უტხოს ქვეყნის კაცი არ მოგხედობა მეთქი. მეცხოვრეს ხომ არა ქონდა რა, საბარალოს; ორი ბატკანი ათასი ცოდვილობით ეშოვნა, ის ხომ შენ მოვისხა, დაიჭირო და თავი გააგდებინე. ღმერთმან კვლავ ამისთანა ნულარა მაჩვენოს რა და ნურც აქლა დამაყენოს. იმას, იმდენის კაის განძისა და საქურქლოს მომღებსა რალაც მიზეზი უპოვე, გაკითხვა არ აღირსე, მე რითლა გამიკითხავ, თუ გუნებაზე რამ შემოგივარდება მეთქი?" გაიცინა და ეგერ მიბძანა: „მისთვი ჩივიო, ჩემი კი არ იციო. მინდოდა ჩემი აუტი ჩემის პირით არ მეთქვა და რადგან აგერ უწყალობასა და სიხარბეში მიგდებთო ყოველი კაცი, აწ ჩემც ცაიგონეთო. თუ რასმეს ესტყუოდ, რაც მე მათ უყავ, თქვენ მე მიყავითო. მე არც ვარ ამ ქვეყნისაო და არც ხელმწიფეთა ნათესავი. მე შამელი ვარ, ხელმწიფე სახელად არ ძერქვაო, თორემ ღმთისაგან არა მაკლდა რა. სახელად ისმაელ ჩელუბი მერქვაო. ასეთი დიდებული კაცი ვიყავ, რომ ვინც ჩემი ყოფა ნახის, ასე თქვის: „ხელმწიფემ რალა მეტი იკისო“—და ვიყავ ამისთანა ყოფითა სამოცი წელი. მომველინა რამე ეშმაკის მაგიერი ცდუნება და მისთვის ისაო ღმერთმან ჩემზედ წყალობის ხელი. თუ ეს უწყეთესმა სწადდა ჩემთვის, ამაღ გამომცადა. მე არ ვიცი, თვის იმანვე უწყის. დაიწყო მოკლება ყოველმან ჩემმან საცხოვრებელმან. თუ სადმე ვაპარნი წავიდიან, ანუ ზღვაშიდ წაუხდის ნავი და საქონელი, და თუ ხმელზედ, დაესხიან მეკობრენი და წაილიან. იმითი ვედარსით ისაქმა ჩემმან კაცმან და საქონელმან. გავლარიბდი დიად, მერმე უარესი ეს დამემართა, რომ არც ყმა შემოჩა, არც ყული და ყარავაში: ზოგი დამეხოცა და ზოგი დამეფანტა. ასე ვთქვი: „ამ ჩემს სახლ-ქარს რომ ყოველი კაცი იცნობს, ვინც ჩემი მეცნიერი მოვიდის და ასე მნახოს, რალას იტყვიან მეთქი.“ —ალარა მქონდა რა, ალარცა რა მებადა. ერთი ცოლი შემოჩა და ორი წერილი ყმარწვილი. დავიწვე სიარული, ხან ერთს ქალაქში მიველ და ხან მეორეში, ვერსად დავდექ, სადაც მიცნობდენ; დავავდე ჩემი მეცნიერი ქვეყანაო და ერთს უტხო ქვეყანას გადავვარდი, რომ არც მისი სახელი ვიციოდი და ქალაქის ბოლოს ერთი ნასახლარი იყო; იქ მიველ, ის სამნი დედა-შვილი იქ დაესხი. წავეღო, ერთი ცული ვეცხლის ბეჭედი ვიპოვე. ის ბაზარში ჩავიტანე; ერთი ცული საბელი ვიყიდე, რაც მისი ფასი იქნებოდა, და ცოტა პური ვიყიდე. მიებრუნდი, პური მათ მიუტანე, მე ტყეში წავეღე, მოგქერ ხე, ბაზარში წავათრიე, გავყიდე. რაც მისი ფასი იქნებოდა და ანუ ჩენი ღარიბობის შესაფერი, ვახშამი ვიყიდე. წაველ მიუტანე, ვქამეთ და მივაყარენით. ვიყავით ამ ცხოვრებით ორი კვირა. დილას წავედი, ხე მოვიტანე, გავყიდე და მით ვარჩენდი.

დღესა ერთსა წავეღე, ხე მოგქერ. რომ ბაზარში ჩავიტანე, საწყინარმა მითხრა; ისრე საბლითვე იქ დავავდე, ცოლიც იქვე დამჩა, წაველ. რომ მიველ, ნასახლარში ყმარწვილები მარტონი ტიროდენ, დედა ალარსად ყვანდათ. ვაკითხე, ასე მითხრეს: „ერთი კაცი მოვიდა, ბერიო ჯარი მოყვაო, აქლემისა და ჯორის ყათარი მოყვაო, დედა ჩემი იმან წაიყვანაო, ჩენ აქ დაგვეყარაო“. ვიტრიე და ვეც თავსა. ასე ვთქვი: აქ დავყარო ეს ყმარწვილები და წაუდგე მეთქი—არამც. ანუ რა მექნა, მეტი ღონე არა მქონდა, ერთი ზურგიით ავიკიდე, ერთი ხელით ავიყვანე, ასე ვთქვი: „დიდება ღმერთსა, არც ღირსი ვიყავ და არც მომცა ღმერთმან მეთქი. ისე გამოუდექ იმ ქარავნისა კვალსა. ვიარე, მაგრამ სად მივეწეოდი ქვეითი?—ორი სული მეკიდა. ვიარე დღივ და ღამ, ასე რომ სული ყელში მოვიდა. ალარ შემეძლო, თუთმბეტი დღე და ღამ მეველო.

ერთი წყლის პირს მიველ, კვალი იქ მივიტანე, თავად დიად დალალული ვიყავ და მერმე ცოტა ხიდი იყო. ორი ვერ ვინდიე, ერთი იქი დაესვი და ერთი ავიყვანე. რომ იქ გავიყვანე და დავსვი, ამ მეორესთვინ მოვბრუნდი, მინდოდა გამომეყვანა. შამოვხედე, ის გაღმით რომ დავავდე,

იმას მგელი მოარბენინებდა. იარაღი არა მქონდა რა, რომ მესროლა. მე ველარ მიეწეოდი. კიდევ ვიტყვი და ვიეც თავსა. აქეთ ამ ჩემს ტირილსა და ყვირილში ველარ ზევიტყვე რა. ის მგორეცა მომტაცა სხვამ მგელრა. ერთი ღმა კი გავიგონე, მოვიხედე, ყარაწვილი აღარასად იყო, მიღმა მგელი მიაარბენინებდა.

გამოვეკიდე, რაც შემიძლო ტირილითა და ყვირილითა; თვარამ სხვას რას დავაკლბდი, ხელთ არა მიქრა რა, წელთ არა მერტყა რა. ასე ვთქვი: „დიდებმა შენს ხელმწიფებასა, რომელიც შენი ბრძანებაა, ის იქნას. ამის მეტს რაღას მაჩვენებ ჩემის ცოდვის მგზავსა“.

მიმქირდა ტირილი და თავს ცემა და მივეარდი, ძილი მომივიდა. წნახე სიზმარში, „ეს სამძღვარი ლეის არიო. მანამდი იარე, სანამდი ხელმწიფის სასახლეში მიხვიდე და იქ გაწივებებს შენის სიმწუხარის საყვირველიო“.

აედღე, ღმერთს მადლი მივეც. რაღას ვიქმოდი, დავიწყე სიარული; მე ხომ გზა არ ვიკლდი, მაგრამ ბძანება ლეთისა იყო თურმე. მრავალდღე ვიარე. მოველ ამ ქალაქში, ვიკითხე ხელმწიფის სასახლე. ამ მოქალაქეთა თურმე ავდებით მითხრეს: „იარე, ხელმწიფე გლახაზე საქონელსა და ტანისამოსსა ყოფსო, შენც მოაკცემსო“. მე მართალი მეგონა, დაუძაღლე და წავეყვ. რა სასახლე გამოჩნდა, მითხრეს: „ეგ არი, მიდიო, ჩვენ კი ვერ მოვალთო, ყაღლა გლახის მეტს არავის მიუშვებენო“. წაველ; მადენისა ბოლოს ჩაღდახი იყო, ხელმწიფე იმაში იჯდა და დაბლა სიარული ტალახი იყო. მრავალი სული იდგა იმ ტალახში და ზელდენ. რა დამინახეს, მომკრეს ხელი და მეც იქ შემავადე — „ეს ხილიო“. დამიწყეს სიცილი: „ამისთვი მეშურებოდით?“ დამალონეს. თავად სიარულისაგან დაწყვედილი ვიყავ. იმ ტალახის ზელითა სულის ამოსვლაზე მივიყარე. თავის სიცილითა აღარა მომისვენეს რა, აღარა ღონე მქონდა. ერთი ვთქვი: „ღმერთი ასეთი ხელმწიფეა, რომ ტალახიდან ამოიყვანს კაცსა და ტახტზედ დასვაძს მეთქი“. ხელმწიფე ზემოდამ ტანმზედა თურმე. ეს ჩემი ქართული ვიგონა; ჩამოვიდა გაჯავრებული, ჩემს ტახტზედ ჯდომას იკვებო, შემიკრეს ხელი და წამიყვანეს, მოლურსმნულს კოდში ჩამსვეს. მე რა მისი საბარონო შეჯავრებოდა; საგლახათათვის მიველ, მაგრამ არ გამიკითხეს. ვეგდე იქ მწარითა ყოფითა, მაგრამ რაღას ვიქმოდი? ვაქებდი და ვადიდებდი ღმერთსა. მოვიდის ყოველთა ღლეთა თვითან ხელმწიფე: „ტალახიდან ამოიყვანს და ტახტზე დაგსვამსო. ახლა რატუმ არ ამოიყვანსო და ტახტზე დაგსვამსო“. მე რას ვიტყვოდა? შეგსტიროდი ღმერთსა, რომელმან დამადიდებელისა კვალად აღამალოს, კვალად მოველოდი მისგან კეთილ-მხედველობას, თვარა სხვა არავინ მყვანდა მეშველი.

გავათიე ერთი წელი მას კოდში; მოვიდა ბძანება ღმერთისა, მოკვდა თურმე ხელმწიფე. მე რას შევიტყობდი? მოვიდენ, ამომიყვანეს. მავათ რა ექვი ქონდა, თუ ბძანებამან ღმერთისამან [ესრეთ ჰყო] ანახლათ ასეთი ჯარი შემომეხეცა, რომ გავეჭირდი, რას მიპირობენ; თვარა მე ვინ და ესენი, რომ ასე შამომეხვიენ მეთქი. ზოგი ხელს მკოცნიდა, ზოგი ფერხსა, ზოგი მუხლს მეხვეოდა. მომიყვანეს დიდებითა დიდითა, აბანოში შემიყვანეს, თავი მომპარკეს, მაბანეს, ხელმწიფურისა წესითა შემომოსეს, დამარქვეს იბრაიმ ხელმწიფე, დამადგეს თავსა გვირგვინი, მომიყვანეს და ტახტზე დამსვეს. მომილოცეს ყოველმან ქვეყანამან. ქონდათ ამათ ასეთი ჩემი სიყვარული, რომე დღე და ღამე შამომეფრთხიენდენ და თავს მეგვებოდენ. მე რას ვემართლებოდი, რომ პატრით არ მოვემპყრობოდი? რაღაც ვიკლდი, ან ვენახა ხელმწიფეთა ქცევა და ანუ მსმენოდა, ვეცადე მისსა ქნასა. აქამდისი არავიზე რა უწყესო საქმე მიქნია, არცა მდიდართათვის და არცა გლახათათვის, თვარამ ამათ კითხეო. აწ ის დიდ-ვაჭარი, რომ მოვიდა და შევხედე, ამ ჩემს თვალში მესისხლედ დავინახე. გული ცეცხლებრივ მენტებოდა; რომ დავინახედი, ხორცთა თრთოლემა მომიკიდებოდა. ვიტყვოდი გულსა შინა: „ამ კაცს ჩემთვის არა უწყენია რა და არას ვემართლები“ — მეთქი.

პატივი დავდე, როგორც ხედედი. მერმე ის მიცხოვრე რომ მოვიდა, ყმარწვი-
ლები მოიყვანა; ამ ჩემს თვალში, როგორც ჩემნი იყვნენ, ისე ჩემად მიჩვენენ,
მაგრამ შეძრცხვენდა ჩემთა ჯართაგან და ვერა ვთქვი რა. მაგრამ გულმა თრა-
ლა დამიწყო ამაზნდ. გული მისწრაფოდა, როდის რასმე შევიტყობო ამისას მე-
თქი. განა ლხინი ველარ მოეშალე. მას ლამესა ღვინომ აღარ მაცალა.

რა დილა ვათენდა და ის ვაქარი მოვიდა, ამ ჩემს თვალში ასე დავინახე,
რომ მინდოდა წავფერეოდი. მერმე იმ ყმარწვილების სყიდვა რომ თქვა, უფრო
გული და ღვიძლი ამებნო მისთვის და ველარცა რა ვქამე და ველარცა რა ვსა-
მაგრამ კიდე ამდენი გული მოვიმორჩილე, რომ სანამდღე არ შევიტყუე მართალი,
არა ვთქვი რა. დაღამებამდი ისრე ვიციოდვილე, რომ შმაგი ვითა, ვერც ვიჯე
და ვერც ვიდეგ. რა დაღამდა, ერთის მონის ტანსაცმელი ჩავიცვი, ერთი სსვა
მონა გავიტანეო.— გვაჩვენა თვალითა, მოწამე ეს არაო, ცალკე წაიყვანეთ და კით-
ხეთ, თუ მე რამ ტყუილი ვთქვაო.

მიველ იმ ვაქარის კარზე, ღავიარე ის გარეშემო. ერთს ოთალში ის ყმარ-
წვილები იყვნენ და სხვა ყმარწვილები; მეორეს ოთალში, ლამაზათ მორთულს
და მოფენილში, ერთი მზის უბრწყინვალესი ქალი იჯდა, რომ მისი შეე-
ნება არ გაიცდებოდა. ვიჯან ისიცა, რომ ჩემი გულის წამლები იყო.
გამოებრუნდი, ის ყმარწვილები ვნახე, ჩემი იყო, მაგრამ ასე ვთქვი: „კიდე
რომ კაცი კაცს გავს მეთქი და დედაკაცი დედაკაცს მეთქი, ჯერ კიდე
შევიტყობ რასმე მეთქი“. მიუგდე ყური. ვახშიმი მიბართვის მას ქალსა. ყმარწ-
ვილებბაც ითხოვეს ვახშიმი. მართ ამასობაში შულლი გამოერიათ: „ჯერ რაზე
თამაშობთო, თქვენს ჟამში რომ უსმელ-უქმელი იმსახუროთო, მაშინც ვერ
გადიხდითო, არამთუ გუშინ თქვენთვი ათასი თუმანი დავგინხარჯაესო. დღეს
თქვენვე გვაყვედრებთო?“—ერთმა ყულმა სცა იმ ყმარწვილებსა. იმათ ტირილი
დაიწყეს; „ახლა რომ მეცხოვრისაგან გეყიდითო? გგონია ჩვენ შენგან საცემნი
ვიყვებთო? მაშას ჩვენსა ათასის შენის ბატონისათანა მეძალე ყავდაო“.

იმ ყმარწვილების ხმა რომ გაიგონა იმ ქალმა, ხმა იცნა, წამოხტა, ჩადრში
წახეხია, გამოვიდა; ნახა, რომ თავის შვილები იყო. კითხა: „ვინ მოგასხათ, როგორ
იყო თქვენი საქმეო?“. — მათ ყოველი ჩვენს თავს ვადასრული უთხრეს, როგორც
ბგელებს დაეტაცა და მეცხოვრეს გავედებინა. მან ქალმა თავისი საქმე ანიშნა.
„გახსოვთო, მე რომ ვაქარმა წამომიყვანა?“ — იცნეს, ერთმანერთს მოეხეივნენ და
კოცნეს ერთმანერთი. ეს არ გიკვირს, რომ ასე გავქეკავდი? ისინი იქ დავყარე,
მე წამოველ შავის ყოფითა. რომ მტერს ვენახე, ვეკობ, ჩემთვინ მასაც გული
დაეწოდა. და მე რომ ის ლამე შემცდარივით სიარულით ეს ქალაქი შემომივილია,
დამდეგდა ეს ერთი მონა გაშტერებული; პირით ვერას მეტყოდა, გულშიდ რას
ამბობდა, არ ვიციოდ.

როდესაც შემობრალა ღმერთმან და ვათენდა, ჯერ მეცხოვრე მოვაყვა-
ნინე და ვეითხე მათ ყმარწვილთა საქმე — „სად იშოვნე“ მეთქი. მახ მითხრა ნი-
შობრივ სადაც დავკარგე, რომ მას წყლის პირს ცხვარი მყვანდაო, იმას
უდექო. შევხედე მგელი მორბისო, ყმარწვილი პირში ჩრიაო დაბნედილიო, შეუ-
ძახეო და ძალღებიც მიუტეო. იყო ბძახება ღვთისაო, ყმარწვილი გავადლო მგე-
ლმარო. ძალღებმა არც ახლო გაუარაო, იმ მგელს გაუდგენო. იმათ ის მგელი მოკ-
ლესო. მე ყმარწვილი შემებრალაო. მიველ და ავიყვანე. სადგომზე მივიყვანე; რი-
საც ღონე იყო, მოვასულიერე. სადაც კბილი აწნდა, წამალი დავსდევე. რომ წა-
მოვასხი პირდალმა ცხვარიო, მეჯოგებნი დამხედნო, გაღმიდამ მოდიოდნო. მე
ყმარწვილი მექირა ხელთაო, შემინებულიყო და უყვავებდიო, მინდოდა დამემ-
შვილებინა. მეჯოგებ მიკითხა: „გ რა არიო?“ — უამბე, ეს ასე იყო მეთქი. მან
მითხრა: „ერთი მაგისთანა მეც დავაგადებინეო, მაგრამ მე კი ვერას თავს გაუა-
ლო და, თუ ვინდა, იმასაც შენ მოგცემო.“ — მიამა და აჯერ უთხარ: „მომეც“ და
ცხვარს მოგცემ მეთქი. მითხრა: „ან დარჩება და ან არაო, მისი ფასი როგორ

გამოგართვია? მე ასე უთხარ: „ნუ გაგვა, მოკვდება თუ დარჩება, ჩემი ბედია, ხუთს ცხვარს მოგცემ და მომეც მეთქი“. მანც მომცა. ხუთი ცხვარი მივეც. რა ერთად შეიყარნენ, ერთმანერთის სიყვარულითა უფრო მოსულიერდნენო. მყვანდა აქამომდო.

მე რომ ცხვარს ვზღვედი, ისინი მომეცლებოდნენ, ხის მშვილდს გააკეთებდნენ და ისარსა, ხან ცხვარს მომიკვებდნენ და ხან ბატყანს; ხან თავისთენ ჩრდილსა და მინდორში თამაშობდნენ. თუ არ მაჯაგრებდნენ, არას მაამებდნენ. ასე ვთქვი: „ესენი არას მარგებს მეთქი, წავიყვან ხელმწიფის კარზედ, ეგება იყიდოს ვინმეო. აწ იმ დიდ-ვაჭარმა მოინდომა და მივიღეო.“

მერმე ის ვაჭარი მოვაყვანინე და ვკითხე: „ის ქალი რომ შენ გაყავს, შენი რა არი მეთქი?“ მან მითხრა: „ჩემი და არიო“. მე უთხარ: „როგორ შენი და არი, შენის ღელისა და მამის შვილიაო, თუ ისრე რამ დიდი გიშოვნია მეთქი?“—მან მითხრა: „დათ კი არ მინდოდაო. ერთს ნახობარს სახლში იჯდაო. გამოვიარე და დაეინახე. ასე ვთქვი: „თუ ამას გავეყრები, უსაცილოდ მოვკვდები.“ ავდექე, ერთი აქლემის ცალი ჩამოვხადე, ზანდუკი დაუცალეო, სხვებში გარდავიღეო, მიველ და ხელი მიუღდეო, მინდოდა წამეყვანაო და ჩემი გულის ცეცხლი დაძვინდებინაო. მან მითხრა: „ძმაო, რას მაქნევ მე და შენაო? შენ შენი საფერი უნდა ეძებო; ერთი საბარალო ღარიბი საღ-ძმა ვეღოს, რას ეძებო? თუ გასაყიდლად გინდივარ, რად გავალო? სხვად შენ-ძმა ხარ და მე შენი დაო.“ რა ის გავიგონე, ასე უთხარო: „როგორცა შენ დამავდე დამწვარიო და დაკლებულიო შენგან უიმედოდ, ისე მე წაგიყვანო; რომ გინდოდეს, ველარსად იპოვო ეგ შენი შვილიო.“ ჯაგრით ის წვრილი ყმარწვილები იქ დაეყარო და ის ზანდუქში ჩავსვი. წამოვიყვანეო. აწ მასუკან ძყავსო. რადგან ღმერთმან და-ძმობა ჩამოავდო იმას და ჩემს შუაო, ველარ გავყიდეო და სხვად ხომ არას მარგებდაო. აწ ამაზედ მყავს, რომ სხვან არც ის დადევდოდა უცხოს ალაგს. კაცს ხომ არა ნახავს, გზაზედ ზანდუქშიდ მიზის; მე აეკიდებ და ჩამოვხდი, სადაც დავდეგები, ხანდისხან შეეხედავ, თვალის სინათლე მომემატებოა.

ვკითხე მას მეცხოვრესა: „ის ყმარწვილები რასთენ მე არ მომიყიდეო? მან მითხრა: „რა ვენა, ძენ ხელმწიფე ხარო, რას ვაჭრობას გავაწყობდიო? მან ათასი თუმანი მომცაო“. ეს იმ კაცთა თვის პირით მითხრს, თვარა სრულ ჩემნი შინაყმანი გაიკითხეთო; ამა ამისი სამართალი თქვენ მიყავითო, თუ იმ კაცისთვის უსამართლობა რამ მიქნიაო. მისი არა მემართა რა და ვერც ვიცნობდი. ცოლი რაზედ მომტაცა? და თუ ის წამოიყვანა, რა უწყალოება იყო, რომ უგუხური ყმარწვილები დაყარა უკაცურად და ის კი წამოიყვანაო? მეცხოვრეს დასტური ბევრი ჰირი უნახავსო ჩემს შვილზედაო, რომ მეცხოვრეს დაეტაცაო და გაეზარდა; მაგრამ არც არა უსამართლო მისთვის მიქნია, ამისთვის, რომ მწარედ შექორევეულმან ვკითხე და იმას ყვანდა და არ მითხრა. აწ იმისთანა ნაპოვნი კაცი, და თუ პირუტყვი, გინა რაც საქონელი სახელმწიფო თუ ისრე მომისხა, რად არ მომიყიდა? მერმე პირად სიხარბე მიძრახა და ჩემი შვილი ჩემთა მტერთა მიყიდაო, ის ამისთვის მოკვალო. და რაც იმას ჩემთა შვილთა ზედა ჰირი უნახავს, ასწილად მე მის ცოლსა და შვილზედ გარდავიხდიო. დიად ნამეტნავი ჯავრი ამის უფრო არ გამეძლებოდაო. რასან ღმერთმან ჩემი დაკარგული ცოლშვილი მაპოვინაო, მათი სხვას კაცის ხელშიდ ყოფის გაძლება უფრო ალარ გამეწყობოდაო. აწ მე ეს მითხარით, რა დამიშავებიაო. მაგ ვეზირთა და დიდებულთა კითხეო, რად მოიგონეს ჩემი ხელმწიფობაო? მეცნიერი და კეთილის მყოფელი მყვანდა ვინმეო და იმათ გამოარჩიესო, თუ მე დამეყო მაგათთან ხანი და ჩემი კარგ-კაცობა ახსოვდათ და მისთვის გამახელმწიფესო.“

ზე დადგენ ყოველნი გაკვირებულნი, დალოცეს ხელმწიფე და ეგრე მოახსენეს: „დაუსრულებელიმცა არის მეფობა თქვენიო. გალანამცა ისინი მოსაკლან-

ენი არა და ცეცხლში დასაწვავნიც ყოვილანო. აწ თქვენც მოგახსენებთ, რა მიზეზით გაგაბატონეთო.

ჩვენს ხელმწიფესა ერთი ასეთი ძმა ყვანდაო, რომ არას კაცსა მისი მგზავსი კაცი არ ენახა. თვალად მზესა გვანდაო და ტანად გმირსა, ძალად ლომსა და სიფიციბითა ვეფხსა. მისი ქება კაცთაგან არ მოიგონების. ასრე უტლები იყო ყოვლის ზნითა და მამაცობითა. უყვარდა ჩვენსა ხელმწიფესაცა დეოთიარცა ჩვენის ხელმწიფის საყვარელი ძმა იყო და მისთანა სასახელო, ახალმოწიფული, ყოველთათვის ტკივილად მხედველი, ყოვლის სიკეთით სრული. სახელად იბრაიმ ერქვა. ჩვენც ასრე გვიყვარდა, რომ მისთვი სადალად დაგვედგა თავი. ვახლდით და ვლხინობდით მასთან. ეს თურე უჯავრა ჩვენმა ხელმწიფემა, რომ დღესევე გახელმწიფდაო; ჩემი ჯარი მას ეხვევაო და იმასთან ლხინობენო, შეექვევიანო, მე რალა ხელმწიფე მრქვიანო. ლამით მოიპარა, მოკლა, დაატყვევა, რალაც უყო, ვედარა შევიტყვეთ რა, ასე უცნაურად კი დაგვეყარა მისთანა სასახელო ხელმწიფის შვილი. იმან არა თავს შვილდა, დიდების მოყვარე იყო და გაიპარა სადმეო, დაეხსენით, თუ რასა იქსო. ჩვენ ვითამ რალას გააწყობდით? გვიძიდა დიდად და გული გეტეოდა, მაგრამ ვერ გამოვიჩინდით, ოლონც ქვეშქვეშ ვიყავით ძებნასა და კითხვაშიდ, მაგრამ ვერა გავიგეთ რა. აწ თქვენსა დატყვევებასა უკან რომ მოვიდის ნიდაგ და გნახის, ჩვენ ასე გვეგონა, ის მოაგონდა და ნახავს ხელმეო. ჩოლისაც ღმერთს მოვსტულდით და ხელმწიფე მოგვიკვდა, შვილი არ დარჩა და ძმა, დავლონდით და ვიფიქრეთ ეს, რომ ჩვენი ხელმწიფე უბრალოს ტყვეს ხომ არ ნახებდა ყოველ დილა-სალამოს; უსაცილოდ ის სასახელო და ყოველთათვის სატრფიალო დაატყვევა და ველარ გაძლო ამდენს ხანს მისი უნახაობა და იმას ნახევად ხოლმეო. ხალისით მოგნახეთ და ამოვიყვანეთ, დაღვით ტახტზედ, თვარა, თუ ის გვეგონებოდით, მართლის თქმა უნდა, ჩვენის ნებით უბრის ტყვეს არ გააბატონებდით. მაგრამ, თურმე, ომერთს სახელმწიფოდ ნდომიხარო და ყოვლის განსაცდელით გამოუტყდინხარ. შენში გმობა და ზაკვა ვერა უპოვია რაო და შენი საყვარელიცა შენვე მოგისხა კარსაო და ზოგი დიდება და ხელმწიფება მის განსაცდელთა მოთმენისა მუჟაჟად მოგცაო. დიდება და მადლობა იმას, რომელმან ჩვენთვის მოკავლინაო, თვარა ჩვენ შენისთანა ხელმწიფესა, ქვეყანა დაგველო, მამის როგორ ვიშოვნიდითო? მერმე გამოასხნივენი შვილები, ლაქსაზად დაკაზმული ხელმწიფურისა წესითა. ოდეს შეგხედეთ, ყოველსა კაცსა თვალი მახედ დაგერჩა, რომ ადამის ნათესავი მათ უკეთესი არავის ენახა. მერმე მძანა ხელმწიფეძან: „შვილონო და ძმანო ჩემნო, წელანაც მოგახსენეთ, ჩემი ნებით არ მოვსულვარო და ჩემის ძალით არ გაგაბატონებულვარო, ბრძანება ღმთისა იყო ჩემს თავსაც და თქვენსაცაო. თუ არ გამქიარებოდა და ჩემი აუღი ჩემის პირით არ მეთქვაო, კარგი იყო. აწ რახანც ყოველმან სულმან ჩემი საქმე შეიტყვეთო, სახელმწიფოდ აღარა და აღარც კაცის სანახავად ვარგვარო. თუ თქვენი ნება არიო, ეს ჩემი უფროსი შვილი გაიბატონეთ და მე და ის ჩემი დაკარგული ტყვე წავალთო ასეთს-ასეთს უდაბნოსა ალაგას, რომ ღმერთს ვევედრებით და სხვა არა ამ სოფლისათვის ვიზრუნოთო და არცა კაცი ვნახოთო.“

წამოდგენ სულ ერთობლინი ვეზირნი და დიდებულნი, ასე მოახსენეს: „შენი შვილი არა და ერთი ცუდი მონაც დაგვისეთ—არა პასუხი გვაქო, რომ არ ვიპატრონოთო, მაგრამ რასთვი გაუშვებ ამისთანა დიდს ქვეყანასა და ტახტ-გვირგინსაო და ჩაადებ ერთის უსუსურის ხელთაო? ჯერ მაგას ამდენი ქვეყნის და საბატონოს წინ გაძლომა და თავის დაქერა არ შეუძლიაო. თუ ჩვენ რამ დაგვიშავებიაო, უნდა გარდაგვახდევინოთო და ჩვენის დანაშაულისათვის თქვენი ტახტი არ დაადლოთ, თვარა ვინც მაგას არას ანებეს, ის არც არას ძეს არავებსო. თუ ღმთის მადლობისათვის იქ, არას დაგიმადლებსო, ამისთვის რომ, უმჯობესი იმან იცის. თუ არ სწადებოდა შენი ხელმწიფობა, არ მოგცემდაო. თუ სწყრები, არა

ავი უქნია შენზე ღმერთსაო. ცოტა რამ განსაცდელი გინახავს, ამდენი დიდება მოგნიჭებიაო. თუ ეს გეთაკილება, დედოფალს ვაჰარი ხლებია, რა სათაკილოაო. მისთვის დია მკირე განსაცდელი ყოფილა შვილთა გაყრისათვის, თორემ ყოველთავე ხელმწიფეთა ყრმანი მსახურებენ. ავი ხომ არა კადრებია რა და არც ღმერთი მაზედ ავის თვალთ და გულთ მგონებელს ვისმე მოუშვებდა. თუ შვილთა მეცხერეთა თანა ყოფა გეთაკილება, ფრიდონ მეფე არ ცხოვარში გაზრდილა, რომ ყოველი ქვეყანა მას დაუმონებია? რა მიზეზი გაქვს სახელმწიფოს დაგდებისა და სოფლისაგან განშეშვლებისა?—არ მოეშენენ და არც მაგისი ნება დაართეს.

მე მოგახსენე: „ღმერთს რადგან ამდენი განსაცდელი უჩვენებია და ბოლო ჟამ ამდენი დიდება მოუცემია, ამასაც გიხამს, რომ ამ შენთა შვილთა დაზრდა და დაწვრთა მოგაცდევინოს მეოქი. იყავ, სანამ ეს შენნი შვილნი ხელმწიფურსა წესსა და რიგში ჩაყარნე, შენნი ზენი ამათ ასწავლენ. როდესაც მაგ დროს იყოს. რომ შეიძლოს შენი საბატონოს დაჭირვა და ანუ შენთა მოწყალებათა და მოსამართლეობათა ქნა, მაშინლა ევ ტახტზე დასვი და შენ, რომელიცა ღმერთისათვის აღვეთქვას, ანუ გონებითა, მისი სამსახური გწადდეს, ის ქენი მეოქი.“

დაიმაძლა ხელმწიფემან და ყოველმან ერმან, დაადგენ ამ ჩემს ჩჩევაზე. ვიყავ ორსა დღესა კიდევ. ანადირებდენ, აბურთებდენ მათ ხელმწიფეთა შვილთა, ასწავლიდენ სახელმწიფოთა ზნეთა.

გამოეთხოვე საშინაოდ. იწყინა მეფემან და ყოველმან მის ქვეყნისა დიდე-აულმან. ვერ დამიჭირეს. მიზოდა ხელმწიფემან უანგარიშო ყოვლისთანა საქონელი. ყოველმან დიდებულმან თავი-თავისად მაწვეის, ასეთითა საქონლითა გამოიმისტუმრეს, რომე ხელმწიფისათვის კმაროდა.

მოველ შინა შშვიდობით. განა ამათ არა უკითხავთ რა და მე არავისთვის რა მიაშობია. აწ შენთვი მომიხსენებია. გასინჯე გონიერად. თუ იმან იმდენს მწარესა და მოუგონებელს განსაცდელსა გაუძლო და დაუთმო უფალსა და მსვე მადლობდა, შენ მკირესა განსაცდელსა რად ვერა დაუთმობ და ან თავსა რად მოიკლავ და ან მშობელსა და ძმათა რად დახოცო? რად დაგვიწყებიათ ღმერთი, დღივ და ღამ მას არ მადლობ და მიგიცემია თავი ეშმაკის ნებისა და ყოფისათვის, დასნეულებულხარ საეშმაკოთა? თვარა, თუმცა განსაცდელი კაცსა დაასნეულებდა, რად არ დასნეულდა იბრაიმ ჩელები იმ განსაცდელისა მხედველი? ხუთ წელსა თავ-შიშველი და ფეხ-შიშველი, შამით ლეის ხელმწიფის ტახტამდი ქვეითი მიმვლელი, უსმელ-უქმელი, ლუქმის მთხოველი, წამის შესვენებაც უღირსებელი, რა ავი უყო იმას მადლობამა ღმერთსამან? სიმდიდრეში, შამის ბატონობაში, ისმილ ჩელები ეთქვა და ღარობობითა, ჭირ-მწუხარობითა, ღმთის მადლის მიცემამან, იბრაიმ ხელმწიფედ უწოდა.

ეს არის ღმთის-მოყვარეთათვის ღმთისაგან პატივისცემა. რაც მას დაემართა, უკეთუ აკადრო უფალსა, შენცა მას მოელოდე. და თუ არა, მაგისთანათა საქმითა და ღმთის დაეიწყებთა, ვერცა რას შენ იშოვებ და ვერცა რას სხვაო.

მ ე ზ ე თ ა ს ა ლ ა რ ო

არაბი და წვიმის წყალი

მამულ ბაღდადის ხალიფას დროს ერთი ჩოღმა გაზრდილი არაბი იყო, რომე თავის ჟამში ძლავს წყლის მეტი სხვა წყალი არ ენახა და არც ესეა. ერთს წელიწადს იმათს ალაგში შიმშილობა შეიქნა, ულონობისათვის ცოტაოდენი ფასი წამოიღო და საზრდოს სასყიდლად სხვას ქვეყანას წარვიდა.

იმა ჩოღმადაღმე გავიდა და ერთი ალაგი გაიარა. ყანა იდგა და ყანის სი-ახლოვეს ერთი ნათხარი ნახა, რომე შიგ წვიმის წყალი ჩამდგარიყო და სარკე-სავით დაწმედილიყო. ვითაც არაბს იმის მეტი მისთანა წყალი სხვა არ ენახა, იამა ნახვა იმ წყლისა. ამაღ რომე მდინარე წყალი არსად ენახა, გაუკვირდა და ცოტაოდენი დალია, პირში ეტკბო და თავის თავს უთხრა: მე გამიგონია, რომე ღმერთს სამოთხეშიცა წყალი გაუჩენია ტკბილი და სურნელი. თურმე ჩემის სიგლახაკისათვის შემაბრალა ღმერთმან და წელს შიმშილის მაგიერად და ჩემის ულონობისათვის სამოთხედაღმე გამოგზავნა ქუეყანასა ზედა. ამას ვარჩევ, რომე ამ წყლისაგან ცოტაოდენი წავიღო და ხალიფას მივართვა. ვეჭობ, რომ ამ სამ-სახურის მაგიერი იმანც მრავალი წყალობა მიეოს და მე და ჩემის სახლის კა-ცით შიმშილობიდაღმე დაგვიხსნას.

ერთი ტივი თან იახლა, წყლით აავსო და ბაღდადის გზა იკითხა. და წარვიდა ხალიფასაკენ. არაბი იგი ჯერ ბაღდადის ქუეყანას არ მისულიყო, რომე ხელმწიფე სანადიროთ მივიდოდა. არაბმა შეიტყო, რომე ხალიფა არის. წადგა და ხელმწიფე დალოცა. ხალიფამ შეიტყო, რომე ამ არაბსა საქმე აქუჟო, უბრძანა ხელმწიფემან: „ეჰა კაცო, სადაური ხარო?“—მან მოახსენა: „ხელმწიფეო, მე იმა ალაგისა ვარ, რომე წლევანდელს წელიწადს შიმშილობა ამოწყუტეს ყლამის“. უბრძანა [ხელმწიფემან]: „სად მიხვალო?“ მოახსენა: „შენს წინაშე მოვალო, მაგრამ ხელცარიელი არც მე მოსულვარო. ხელმწიფეს წინაშე ასეთი რამ მომაქუს, რომე ქუეყანაზედ არცა ვის უნახავს თვალითა და არცა ვინ ღირსა მის ნახვისა“. ხალიფას გაუკვირდა და უბრძანა: „მოიტანე რაცაღა გაქუსო“. არაბმა ხელმწიფეს წყალი მიართვა გუდითა და მოახსენა: „ხელმწიფეო, ეს არის სამოთხის წყალი“. უბრძანა [ხელმწიფემან] მერიქიფეთა და ოქროს ჯამში გამოასხეს. ნახა ხელმწიფემა და დილაღ ავი და უგემური წყალი იყო. შეიტყო ხელმწიფემან, რომე იმ არაბს იმის მეტი ტკბილი წყალი არ ენახა და უკუირდა მისი სიტკბო და ეს არ იცოდა, რომე ამისგან უტკბოსი წყალი სხვაც იქნებო. სიკეთისათვის არმაღანად ჩემს წინაშე მოუტანიაო.

ხელმწიფემან არაბსა მრავალი მადლი უბრძანა და ჰკითხა: „ამისად სამუქათოდ რა გინდა მითხარა და მოგცემო.“ მოახსენა არაბმა: „ხელმწიფეო, წელს ჩვენს ქუეყანას შიმშილობა არის და ჯალაბნი დახოცას მილამიან. რასაც ხალიფა მიბოძებს, მისი წყალობა ყულა კარგი არისო“. უბრძანა მოლარესა და, რაც წალემა შეეძლო, თეთრი მისცა იქვე ცხენზედა და ასრე უთხრა: „დაბრუნდი, მაღე მიეშველე შენს ჯალაბთაო“.

ცდა ბედის მენახევრეაო

ერთსა უძღურსა და უგუნურსა ჭიანჭველსა ერთი დიდი გორა შემოედვა წინა და სთხრიდა რასაც ოდენ ერეოდა და სხვაგნით ჰყრიდა. მივიდა მუნ მურინ-ველი რომელიმე და უთხრა უძღურსა მას: „ჰოი უძღურო და საწყალო ჭიანჭველო, რად შესჰიღებინარ ასეთს საქმესა, რომ ვერ ძალგიც გათავება მისი?“ უთხრა მას ჭიანჭველმან ვითა: „ერთსა ჩემსა მეზობელსა ქალი ვთხოვეო და ეს მაში-ღვეს, თუ შენ ამ გორას მოსთხრიო და გარდაჰყრიო, მე ამას მოვცემო. რადგან იმათ ეს შემომიკუთვითეს, მე ცდას არ დავაკლებ და, თუ შევიძლე, მივხვდები ჩემის გულის საწადლსა, და თუ არა, და მე მაშინც ცდა არ დამიკლია. ამისთვის არას ავს მემართლებიან.“

რადგან ერთმან უძღურმან ჭიანჭველმაც იცის, რომე საქმე უცდელად და ძალ მიუტეებლად არ გაკეთდების, მაშ კაცმან რად არ უნდა იცოდეს?“

ყველაზედ უქკუო კაცი

სულთან მაჰმუდ ყაზნევი ყოველგან კაცი გაგზავნა, რომე ნახეთო ანეთი კაცი, რომ მეტად უქკუო იყოსო. წავიდნენ და ერთი კაცი ნახეს, რომე დიდსა და მალას ხეზედ ასულიყო და ზედადამა ძირს უჭრიდა იმ ხესა. ის იპოვეს ყოვლის კაცისაგან უფრო უქკუო. მოიყუანეს ხელმწიფეს წინაშე და მისი საქმე გაასინჯვეს. ბრძანა ხელმწიფემან ვითა: „ამისგან უფრო უქკუო ის ხელმწიფე არის, რომე უსამართლოს საქმითა თავისი ქუეყანა ააოხროს და თვითანც ამ საქმით თავი გაიღარიბოს და წაიხდინოს. ხელმწიფე ხის მსგავსი არის და თემის კაცი მსგავსი ფესვისა. ხის სიმაგრე ფესვი არის. როდესცა ხეს ფესვი დაუსუსტდების, ხე ხელიერთარ წაიქცევის. რომელმანცა ხელმწიფემან თემს უსამართლო უყო, თავისი ფესვი დაისუსტა და თვითცა წაიქცევის.“

ახირებული მრჩეველი

ერთის ხელმწიფის მუსაიფს კაცს ხელმწიფისათვის რაგინდა რა შეეცოდებინა და ხელმწიფეს ხელშეპყრობით ჰყუანდა. დღესა ერთსა ხელმწიფემან ერთს თავის უფროს ყმას ჰკითხა: „იმ შემცოდეს კაცს რა უნდა უყო?“ — მან მოახსენა: „თუ ხელმწიფის ალაგს ვიყო, იმას მოვკლევდიო“. ხელმწიფემან უბრძანა: „რადგან ჩემს ალაგს არა ხარო და მე შენი ამხანაგი არა ვარო, ისრეც შენი საქციელი არას მარგებსო და არც უზამ შენის გულისასა იმ კაცსაო“. — შეუნდო შენაცოდები მისი და გაუშვა.

რით უფრო დაიბმის კაცი

ხოსროვ ფარეზ ერქუა ერთს ხელმწიფესა და ერთი სპასალარი ჰყუანდა. მრავალჯერ მტერზედ გამარჯვებული და სახელგანთი კაცი იყო. ჭკუითა და სიბრძნით ქუეყანაზედ განთქმული და ხელმწიფისაც მუსაიბი იყო, და სრულად მისი ქუეყანა მას ებარა. და ხელმწიფე მის უკითხავს არას იქმოდა.

დღესა ერთსა მისმან მტერებმან ხელმწიფეს მოახსენეს ვითა: „სპასალარი დალატს გიპირებსო და უკუდგომასაო. სანამდის საქმეს გაგუიძნელებდეს, ჩვენ ჩვენი თადარიჰი ვქნათ, და დავასწრათ, და რაც იმას ჩვენთვის უნდოდეს — იმას უყოთო.“ ხელმწიფე გულნაღვლიანად შეიქნა და ბრძანა ვითა: „თუ ის უკუ მიდგებისო, ჩემნი ლაშქარნი უფროსნი იმისკენ იქმონენ პირსა და საქმე გავვიძნელებდისო“. ვახირთა და დიდებულთა ჰკითხა ვითა: „რა უნდა უყოთო

სპასალარისა?—ყოფილმან მოახსენა, რომე დაევაბათო. მოეწონა ხოსროს მათი ვა-
ზირობა და მეორეს დღეს მოაწვიენა ხელმწიფეთ შვილნი და ყოველნი თაყვანნი
და დიდებულნი. და ხელმწიფური მეჯლიში ქნა და ლხინი ნახა. სპასალარიც
აწვია ხელმწიფემან და წინ მიეგება, და ზემოთავს გარდაიწვია, მრავალი ქება
შეასხა. მოლარეს უბრძანა და მრავალი ნაღდი და ჯინსი მოუტანეს და მას მი-
ართვეს. და მრავალი ბელადური ცხენი და ჯორი და აქლემის ყათარი მიართვეს.
და უბრძანა ცოცხალი და უბრძანა, რომე: „ჩემი მამული აქამდისცა შენ გბარე-
ბიათო და ახლაც რა გვარადაც გინდოდეს ისრე უყავო“. სპასალარმან ხელმწი-
ფეს მუხლს აკოცა და წავიდა. რა ხალვათა შეიქნა, ვაზირთ რომ მისი დაქერა
გამოერჩიათ, მოახსენეს ხელმწიფესა ვითა: „რაც რომ გამოვარჩიეთ, რასთვის
აღარა ქნა ხელმწიფემან?—ხოსრო გაიცინა და უბრძანა: „რაც გამომირჩიეთ
ყოფელა გავათავებო. თქუენ ასრე გამომირჩიეთო, რომ დევებათო. მე ასრე მინ-
დოდა, რომე ასეთის საბმურით დამეება, რომ მის დღემე ვეღარ აშეგებულიყო. და
წყალობის საბმურის უფრო მაგარო ვერა ვიპოვე რა და მით დავეაბი. საბმური,
რომ ერთს ასოხედ დამედლა ქლიბი, გაჰკეთდა. და მე გულზედ დავადევე წყა-
ლობის საბმური ჯინჯილი, ამაღ რომე გული არის ყოველის ასოს ხელმწიფე.
როდისცა კაცს გული დაებმის, ყოველი ასო დაბმული ექნების. წყალობის ჯინ-
ჯილი არასფერით არ გაიკუთუბის. ბრძენთაგან ნათქვამი არის, რომე გარეუ-
ლი მფარინველი ბადით დაიკირვისო და კაცი წყალობით ინადირებნისო. მტერთა
და ავის მდომელთა კაცთა წყალობა და მიცემა გაიერთგულეებს და ავის მტქმელს
კარგს ათქმევიენებს.“

მოხუცი მებაღე და ახალგაზრდა უფლისწული

დღესა ერთსა ბალხეთის ხელმწიფის შვილი სეირნობდა და ერთს დაბალს
კედელს გაუარა, გარდახედა და დაინახა, რომე ერთი ბერი კაცი მორღევილა
და ბალს აკეთებს და ხესა ჰყრის. ჰკითხა ხელმწიფის შვილმან: „ბერო კაცო, რა-
სა იქო? მოახსენა: „ბაღსა ვჰყრიო“. უბრძანა: „როდეს მოგესწორობისო?“ მოახ-
სენა ბერმან კაცმან ვითარ: „მამამან ჩვენმან დარგო და ჩვენ ვჰამეთ, და აწ ჩვენ
დავარგათ—ჩვენი შვილი ჰამს და ეგების მეცა ვჰამო ამისი ხილი.“ ბალხის ხელმ-
წიფის შვილმან უბრძანა: „ცოლიმც დამიგდიათო, თუ შენ მაგ ბალის ხილი სჰამო.“

გამოვიდა მრავალი ხელიწადი და ბალხის ხელმწიფე მოკუდი და შვილი
გაბატონდა. დღესა ერთსა ხელმწიფე სასეირნოდ გავიდა და ერთი პატიოსანი
ბალი ნახა. მოეწონა ხელმწიფესა და ჩამოხდა. ბერმა კაცმა ერთი ტაბაკი კარგი
ხილი მოუტანა. ჰამა ხელმწიფემან და ცოტაოდენი ბერს კაცს მიართვა. ბერმა
კაცმან ხელმწიფე ვერ იცნა და არა ჰამა. ხელმწიფემ უბრძანა: „რასთვის არა
სჰამეო?“—მოახსენა ბერმა კაცმა ვითარ: „დღესა ერთსა ბალხის ხელმწიფის შვი-
ლი გარდმოაღდა ამ ბალის კედელსა, ახლად ვაშენებდი ამ ბალსა. მიბრძანა:
„ბერო კაცო, რას ირჯებთო?“ მე მოვახსენე: ბალს ვაშენებ მეთქი. და მან მიბრ-
ძანა: „შენნი დღენი დაგილევიან და სიკუდილი მოგახლოვებია, როდეს მოგეს-
წორობათო?“ მე მოვახსენე, ვითარ მამათა და პაპათა ჩვენთა დარგეს და ჩვენ ვჰა-
მეთ და აწ ჩვენ დავარგათ და ჩვენმან შვილმან ჰამოს. ხელმწიფის შვილმან ასრე
მიბრძანა: „ცოლიმც დამიგდიათო, თუ შენ მაგისი ხილი სჰამო“. აწ ეს ხილი ამ
ბალისა არის და ამისთვის არა ვჰამ და დიად დიდი ფიცი არის და არამც ხელ-
მწიფეს ფიცი გაუტყდეს“. მას ეამსა დიდი ფიცი იყო ცოლის ვაშეების ფიცი.
რა ბალხეთის ხელმწიფემან ბერის კაცისაგან ეს სიტყუა გაიგონა, უბრძანა ვი-
თარ: „ბერო კაცო, მე ვარ იგი ხელმწიფის შვილი, რომე დავიფიცე. რადგან
ფიცი არ გამიტყებ და დღეს აქამდი არა სჰამე ამ ბალის ხილი, სამუქტო ჩე-
მი ვაზირობა შენთვის მომიცემია“.

აკოცა ფეხსა ბერმა კაცმან და გავაზირდა იმდენის ამანათითა.

პირობის გამტეხელი

ერთი დიდი ვაჭარი იყო და მას ერთი ღვთის მლოცავი ნასყიდი ყმა ჰყუანდა. დღესა ერთსა აყად გახდა დიდვაჭარი იგი და შეუთქუა ღმერთსა და დაჰპირდა, რომე უკეთუ მიხსნას ღმერთმან ამა ავადმყოფობისაგან, ამ ნასყიდს ყმას ვააზატებო. მაშინ ღმერთმან მოარჩინა იგი ავადყოფასა. და რა გამთელდა აღარ უყო აზატი მას ნასყიდს ყმასა და გაუტეხა პირობა მეუფესა.

კულა გახდა აყად დიდვაჭარი და უბრძანა ნასყიდსა მას ყმასა ვითარ: „წადი, აქიმი შოიყუანეო“. გავიდა კარში იგი ყმა და ისრეე მალე შეძოვიდა. ჰკითხა ვაჭარმან: „რა იქნა აქიმიო?“—მოახსენა ნასყიდმა ყმამა ვითარ: „აქიმიმა თქუაო დიდვაჭარი დაჰპირდა რასმეო და პირობა არ გამითავაო, მე იმას აღარ უწაძლებო.“ დიდვაჭარმა შეიტყო, რომე პირველად ღმერთს რომ დაჰპირდა ნასყიდის ყმის აზატობას და აღარ გაუთავა პირობა, ამისთვის გამხდარიყო მეოროდე აყად. ფიცხლა ქალაღი და საწერელი მოატანინა და დაუწერა აზატობის წიგნი. და ააზატა იგი ნასყიდი ყმა და დიდვაჭარი მისვე წამსა გამრთელდა.

სიმათლის მთქმელი

ერთს ხელმწიფეს ჰაჯაჯე ერქუა და დღესა ერთსა ორი დამნაშავე კაცი მიგვარეს და ორისაჯე უბრძანა: „მოკალითო“. მაშინ ერთმან მათგანმან მოახსენა ვითარ: „მე შენგან მოსაკლავი არა ვარო, ამაღ რომ ნამსახური კაცი ვარ შენიო“. ხელმწიფემან უბრძანა: „რა მამსახური გიქნია ჩემზედაო?“ უთხრა: ერთი შენი მტერი გაგინებდაო და მე დავტუქსეო და შენი ავი შენს მტერს აღარ ვათქმევინეო. ხელმწიფემან უბრძანა: „მაგ საქმეზედ ვინ დაგემოწმებაო.“ იმ სხუას ამბანაგისა უთხრა: „ეიეც იქ იყოო“. დაემოწმა, რომე: „მართლად ამბობსო, მე დაგხვდნო, რომე შენთვის ავის მთქმელი დატუქსა“. ხელმწიფემან უბრძანა ვითარ: „შენც თუ იქ იყავიო, რასთვია არ უშეველე ამ კაცსაო და ორთავ ერთად არ უშუღღეთ ჩემს მტერსაო?“ მოახსენა მან ვითარ: „ეიეც შენი მტერი ვიყავიო, რა მრჯიდა, რომ მეშველაო“.—მაშინ უბრძანა ხელმწიფემან და ორივე გაუშვეს: ერთი ნამსახურობისათვის და ერთი სიმათლისათვის. და ყოველსა ქუეყანასა გაითქუა მისი სახელი.

ყადი და მისი გასათხოვარი ქალი

ერთი ყადი იყო და ერთი ქალი ჰყუანდა დილაღ ტურფა და შვენიერი. და ყოველი იმ ქალაქის კაცი სთხოვდენ და ყადი დაღონებულიყო და ვერავისთვის მიეცა. მის სიახლოვეს ერთი ურჯულო კაცი ესახლა. და ყადმა კაცი გაუგზავნა. და მოაყუანინა და უთხრა: „ერთი ქალი მყავსო და მრავალი კაცი მთხოვს ამ ქალაქშიგა და გამომირჩივი, რომელს კაცს მივსცეო“. უთხრა ყადსა ვითარ: „მე ერთი ურჯულო კაცი ვარო, თქუენი საქმე მე რა მეცოდინებისო“. უბრძანა ყადმან: „მე შენს გამორჩეულს ვჯერვარო“.—მოახსენა მან ვითარ: „თუ თქუენ ჩემი გამორჩევა გეპრიანებო, მოგახსენებ; ქუეყანაზედ სამ რიგი კაცი არის: ერთი რიგი ღვთის მოსავე და რჯულის მიმდევგი, მეორე—გვარიანი და სახელის მძებნელი და მესამე—საქონლიანი. აწ გამოარჩიე გულში და, რომელიც ამ სამში გიჯობდეს, იმას მიეც შენი ქალი“. მაშინ მოუწონა ყადმან გამორჩეული მისი და შინათ ერთი ნასყიდი ყმა ჰყუანდა, დილაღ მლოცავი იყო და თქუა ყადმა გულსა შინა ვითა: „ამისგან უფრო რჯულის მიმდევგი არავინ არისო.“ მას ყმას ბუმბარაჟა ერქუა, თავისი ქალი იმას მისცა. მერმე ღმერთმან შევილი მისცა ბუმბარაჟს და იმას აბღულაჰი მოჰმად დაარქუეს და როდისცა გაიზარდა სიბრძნით პლატონს გარდაემატა.

ბაპრამ-გური და მებაღე

ერთსა ხელმწიფეს ბაპრამი-გურ ერქუა და დღესა ერთსა ნადირობად ბრძანდებოდა. და ოდეს შემობრუნდა გზაზედ ერთი ბალი ნახა. და იმ ბალის მცველი ერთი ბერი კაცი კარხედ იდგა, უბრძანა ხელმწიფემან ბერს კაცსა: „თუ ამ ბალში ბროწეული ესხას, ცოტაოდენი გამოჰხადე მისი წვენი და მომიტანე დაეღვიო“. ფიქლად წარვიდა ბერი კაცი და ერთი დიდი ჯამი ააესო და მორათვა. ვითაც მალე მოვიდა მებაღე, ჰკითხა: „მზასა გქონდაო თუ ასრე ბევრი რამდენის ბროწეულისა არის ეს წვენიო?“—მოახსენა: „ერთის ბროწეულისა არისო“. —და უბრძანა: „ხელმწიფის ბეგარას მისცემთ თუ არაო?“ მოახსენა მებაღემან ვითა: „ხელმწიფე ბალის ბეგარას არ აიღებსო“. ხელმწიფემან გულში თქუა: ერთს ბროწეულს თუ ამდენი წვენი გამოვა, სრულად ამ ბალსა ვინ იცის რა გამოვა. დიდი ბეგარა უნდა გამოიღონ, მრავალი ბალი არის ჩემს ქუეყანასა და ბევრი შემოემატებინ საღაროსა და ამათ არა დააკლდების რაო. უბრძანა ხელმწიფემან ბალის პატრონსა ვითა: „ცოტაოდენი კიდევ გამოწურე ბროწეულის წვენი და მომიტანეო.“ წავიდა ბერი კაცი, და დიდი ხანი გამოვიდა. და ოცი ბროწეული გამოწურა და ერთთან რომ ააესო, იმისი ნახევარი აღარ გამოიწურა ოცმან. და მორათვა ხელმწიფესა. უბრძანა მას ვითა: „დაიგვიანე და რასთვის ასრე ცოტა მოიტანეო?“ ბერმან კაცმან ხელმწიფე ვერ იცნა და მოახსენა: „ხელმწიფემან გულშიგ უსამართლო რამ გაივლო და მისთვის წაუვიდა ბარაქა, თვარა წელანდელი ერთისა იყო და მისთვის მალე მოეელო, და ახლა ოცის ბროწეულისა იყო და იმდენი ვერ გამოვიდა“. ხელმწიფეს დიდაც გაუკუირდა, შეუთქვა ღმერთსა, რომე მის ჟამშიგა უსამართლო არა გაივლოს რა გუნებაშიგან და არცა ქნას. უბრძანა მებაღესა: „წადიო, ერთი ეს ჯამი კიდევ მოიტანეო“. წარვიდა ბერი კაცი, მოსწყუიტა ერთი ბროწეული და გამოსწურა. ის ჯამი პირთამდის ააესო, მორათვა და მოახსენა: „ეჰა ვაჟო კაცო, შენი საქმე მიკუირსო, რომე კიდევ ხელმწიფემან უსამართლო საქმე გუნებიდალმან გარდიგდო, ამად, რომე ერთის ბროწეულის წვენმან ეს ჯამი პირთამდის ააესო, კიდევ ბარაქა მიეცა ქუეყანასა.“ ბაპრამ ხელმწიფემან თავისი საქმე ყუელა ბერს კაცს გაასინჯვა, გულში უსამართლოს გაროინება და მერმე გარდასხვაფერება სრულად უამბო. და მას უკან დარჩა ეს ამბავი ქუეყანაზედ.

ჰუშანგის ანდერძი

ერთსა ხელმწიფესა ჰუშანგ ერქუა და თავის შვილს ანდერძი დაუდგო: რომე უსამართლოს საქმისაგან და გლახაკთ მღულარეს ცრემლისაგან გემწინოდეს. რომე რასაც ქურდივსა და ობოლის წყველა გაჰკუეთს, ათასი მოლესილი მისრული ხრმალი და ხანჯარი ვერ გაჰკუეთს.

და ზულუში წამახდენელი არის მდიდართა და ქუეყანის ბარაქის წამართმეველი. და ნუცა საქონლისათვის [ილუწი], რომე ყოველის კაცის მომბატყებელი არის. თემის კაცს შეაწუხებ თუ არა, ზატონობა ხელიდალმან წავივა, ამად რომე, რომელმანცა ხელმწიფემან გლეხი შეაწუხოს, მან თავისი საძირკველი მოთხაროს ქემშარიტად.

ა. გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა

[შესავალი]

- 1 ბაასი შოთა რუსთველისა მეფისგან თემურაზისა,
მათა ენათა სიტყბონი ესცან მამშვიდებლად ბრაზისა,
არ მოკლე სასაბრძნობელი, უგრძეა ბევრ მარაზისა,
და მათებრ მეფე და ან მონა ბრძანეთ, თუ სადლა რა ზისა?
- 2 მე მოვახსენებ მეფეს და რუსთველს, წინაშე მჯდომარსა:
ვცდილვართ და სრულ ვერ მიმხვდარვართ თქვენ სიბრძნით მოსაგონარსა,
ღარიბთა ლექსთა შეწყობას, ბრძენთაგან მოსაწონარსა,
და ვინ სიბრძნეს ვეძებთ, გადარებთ, დაეჰგომობთ უღებს და მცონარსა.
- 3 ბევრი რამ გითქვამს, სამზღვარი თქვენს შუა რამდენი რამ ძეს,
ვინ ერთი ერთსა მოგიდგეს, დაემდურება მამა ძეს,
დიდი იქმნება ცილება, ზოგ-ზოგი კარააც განაძეს,
და ვიჯ: თქვენ გარდაიწყვიტოთ, მე სათხოვარი მიბოძეს.
- 4 თვით შეექნათ მათ ცილება, სხვათ მელექსეთ არ ირევენ,
სიტყვას ღრმასა, ბრძნად სასმენსა, შეაწყობენ, არ ირევენ,
სწორსა ასხმენ მარგალიტსა. ართუ მრუდსა გაურევენ,
და მათსა პირსა ტკბილი წყარო წმინდათ მოსდის, არ ამღვრევენ.
- 5 ნახეთ რუსთველი მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს,
ესათნობა, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს,
არა ჰყრის თაგსა სამონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს,
და ასრე სწადს: მუდამ გვერც ახლდეს, არც წამ არ გაეყრებოდეს.

პასუხი პირველი მეფის

- 6 რუსთველო, ყური მამიპყარ, გეადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: „შოთამ გ-ჯობა შენაო“.
ხან კიდევ გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო,
და საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო.

პასუხი პირველი რუსთველის

- 7 მე რას ღირსვარ თქვენს ღარებას, ამხანაგი შემადარონ,
ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი მოიარონ,
გრძნებაც რამ ქნან, ცა ღრუბლითა შეჰყრობილი მოადარონ,
და სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღდელი არონ.

პასუხი მეორე მეფის

- 8 სრულ მღელქსეთ უფროსობა რასთვის ბძანე? არ გმართებდა, არ მეც მათთან დამატანე, ეგ მე ჯაერით ამანთებდა, ვით ჩამოგყვე, ვითაემდაბლო, ჩემ კერძ მყოფთა ვერ ვავებ და, და სხვას ვის გინდ რომ ეუფროსო, ბოლოს მოსულს არ ეძებდა.
- 9 არ მეც მათთან ჩაგიგდივარ, ლექს[ს]ვინ ამბობს, შაირებსა, ზოგნი რასმე ამსგავსებენ, ზოგნი სადმე ცუდად რებსა, მოცილეს გავს მოსატყუერად, ვინ არ ხედავს მართლა მზღერებსა, და მე, რომ მართლა ცა შევეამკო, შენ მრევ, ვინცა მოავდრებსა.
- 10 არც მე მწაღდა აწ ბაასი, ვთქვი: აქებდეთ თქვენ რუსთველსა, ენა ხარბად მოუბარსა, ვითა ტკბილი მოსდის სთველსა, მაგრამ აესებს თეატრონსა ასპარეზსა, კულაცა ველსა, და ბაასობენ, შეგვადრიან, ზოგჯერ ვხედავ თვალით სველსა.

პასუხი რუსთველისა

- 11 თქვენ ნუ აპყეები, იუზნან, ვინც უნდა თქუას რა გინდა რა, ზოგთ თქუენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგვიბინდა რა, და თუ კიდე ბაას[ს] მიბძანებთ, გინდ ცოცხალ ვიყო, გინდ არა, ჩენსა დამეხსენ მეფეო და თქვენი არა მინდა რა.
- 12 ცუდად ლაყბობენ შენმა მზემ, ვინ შეადარა ბატონს ყმა? თქვენ ყურს ნუ უგდებთ რა ზომცა იძახის ტბაში ბაყყმა. და სიტყვა მცდარმან და უცებმან, ცუდი თქვას სიტყვა აძაყმა; მათ, რომ იუზნან, ჩვენ რა გვრჯის ვინცა დაათროს არაყმა;

პასუხი მეფისა მესამე

- 13 რალას უშეგლოს, ამბობენ სიტყუასა ამისთანასა, ზოგი ხმა მალლა ბაასობს და ზოგი იტყვის ბანასა, ზოგთ ჯავრი ამოატირებს, ლაწეთა შეიქმენ ბანასა, და აწ შენი მქები უფროა, ბოლოს დროს ჰყოფენ ნანასა.

პასუხი რუსთველისა

- 14 სანამდის გავსდლებ პასუხის შენახვა-უთქმელობასა, ვიდრე დარეკდეს სიფიცხე გულსა მიდამო ლმობასა, მანამდი პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს სალმობასა, და მერე მეც ვიტყვი პასუხსა, შევსწირავ ღმერთს მადლობასა.

პასუხი მეფისა მეოთხე

- 15 რუსთველო, სხვათ მღელქსეთა თუცა შენ გაგითავესა, მე არც გისწორებ, არ იცი კარგა მჭირს ან თუ ავ ესა, მე ჩემი ჯობნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდევესა, და ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა.

- 16 ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდეbs, რაცა სთქვი იძულებითა, თამარ მეფემა გიბძანა, ძალი იყო თუ ნებითა, მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვით ვისით მეთქვა თნებითა?
და შენ არ გასტყდები მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა.

პასუხი რუსთველისა

- 17 ჯობნა, მგონი, არვინა თქუას თქვენ, რომ თქვენით თავს იმკობდე, ჩემი გმართებს სათნობა, სხვით მელექსეთ ამაყოზდე, მაშინც ისრევე მე მაქებენ, რაზომ გინდა მუსიკობდე,
და თავსა არათ არ დაგიდებ გასწყრე გულით, ან სჯავრობდე.
- 18 მეფევე, სიმართლით ბძანებდე ხარ რაზომ შეუპოვარი, მეც რამ ცოდნა მაქუს თქვენც იცი, არ პირუტყვი ვარ მძოვარი, ვპოქვი ჩემგან უწინ არ თქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი,
და თქვენ რა იშოვენე თქვენის თქმით, ბევრი ვპქენ მე საშოვარი.

პასუხი მეფისა მეხუთე

- 19 ვერ გედარო რით იქნება, როგორ იტყვი ჰაი ამას? ერთის ამბის გარდალექსა არ მოჰხდება სჯობდეს ამას. სჯობს გამიტყდე. ჩამომეხსნა, თვარემ მოგვრი თვალთა ნამას,
და არ თუ მჯობდე, ვერც შედრები, დავიფიცავ ჩემსა შამას,
- 20 ერთი კაცი ძალის საქმით კარგს იქმოდეს ანუ ავსა, მას იმდენად ვინ ჩაუგაფებს, ვინ მისცემდეს ნებთ თავსა, რა გასინჯავ ჩემს საქმესა, ვედარ ითხოვ ავრე დავსა,
და რა შარვანდი მზისა მოვა, სხვათ მნათობთა იქმნას დავსა.
- 21 ასრე არ გარდავიწყდება რაზომ გაგრძელდეს ბაასი, შინაგან მგელ-მტაცებელო, ვარ ცხვრის გმონია დაბასი, ნაძლევი დავდვათ, გაჯობო: მომცემი იყო დაბასი,
და ვერ გაგიტებო, ტვირთითა ფლური გიბოძო აბასი.

პასუხი რუსთველისა

- 22 მეფევე მოწყალევე, თქვენს წიგნში, მგონ, ჩემი ქება სწერია, ხელმწიფევე სიბრძნით სავსეო, მეც რამ ვპოქვა მოსაფერია, თქვენ ბატონობა შეგშენის, მე ყმა ვარ შესაფერია,
და არ დაიმაძლებ ამ სიტყვას, მაშ, ძალი გამოერია.
- 23 საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქოხს, ვის ღბინი აქეს—მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუხს, მხიარულად წაიკითხვენ, მასხედ თვალნი არვის უწუხს,
და ნუ გასწყრები ხელმწიფეო, მოგახსენებ კიდევ პასუხს.
- 24 მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს, ამასხედან რასთვის სწუხხარ, პარად მხეო, იკრავ შენ ობს,
და ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს?
და ნუ ექვ მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბ შენ ობს.

პასუხი მეფისა მეექვსე

- 25 ჩახრუხადემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
და რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა,
ვექვე მას დარჩეს პირველობა, დაიხიოს შენი მასა,
თორემ ვკითხვით ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ბასა.

პასუხი მეფისა მეთექვსმე

- 26 შენ ასეთი სად რად გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად?
ომი მისთვის არ გაელექსე, მე თვით ვეჭვენ მტერთა კენესად,
და უცხოდ გიჩნდა, შენ მისთვის სთქვი მოუქალი დანათესად,
ჩემთვის კეხნად არ ჩაგვედო, მაჯობებდი მაგით მე სად?
- 27 გამისინჯე სად მართებდა გუნებისა შემოკრება,
თუცა მინდა გასაძებლად, მაგრამ სიბრძნე არ მეყრება,
და მამაგონდეს ჩემი საქმე, ბერჯელ გულსა შემეყრება,
არც სულ ჯაერსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შეიდი კრება.

პასუხი რუსთველისა

- 28 ველარ გავსძლებ მუქარასა, არ ვიყურებ ამბობ ტო რას,
მარჯანი ვარ, მამიტო და მადევნო ჩიტსა ტორას,
და სხვაგნით სითმე გარდგივარდე, ველარ დამკრავ თავესა ტორას
ყმანი ყველა გავეცლებით, გაგიჩნდების იქ მარტო რას.
- 29 რაც არ გონია ის იქნას, ძვირ იქნას მოგონებულდი,
სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსპენსა გაგონებულდი,
და პარტონის ყმისა ურჩობა უკეთეს დამონებულდი,
მაშა სოფელმა დამაგდო მოწყლული, საარებულდი.

პასუხი მეფისა მეთერთმეტე

- 30 ლაზოდა სთქვი, შემოილე ჯავახური ენა მძიმე,
ქისიყურად პასუხს მოგცემ. ამიხვიდე შენ ვინძი მე,
და ძოლან დილ მამაწყინე, მზიარულსა დამიმძიმე,
სიტყვის უქმსა რადგან ცული სიტყუა წაგცდა, ნეტარძი მე.
- 31 უყურე ბრიყუსა მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა,
რალას გელაყბო ჯავახსა ლარიბსა, შეუპოვარსა,
და ტურას—მძორისა მქამელსა, ზროხას—ბალახის მძოვარსა,
ყბედსა, გულდიდსა, მტერობა—აქლემისებრი მხსოვარსა.

პასუხი რუსთველისა

- 32 რასთვის ჩამოგყვე ბაასში, რად შევცდი, რა დამეფეთა,
ხმალიც მოგეკრა საკვდავად, გლახ ხორცი ჩემი გეფეთა,
და სხვა მონა ვინ შეეღარა ტყვიანი თვისთა მეფეთა,
ყვავმა-ყორანმა დამძახა, მო ძალღნო, თქვენც დამეყფეთა.

- 33 მეფეო, გიხამს დიდება, მუდამ ქვეშ ფენა ნახლისა,
თქვენმა მტერმან და ორგულმან თავი მიწასა ახლისა,
სალ[ვ]თოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გიხახლისა,
და თვით უწყი სადა სწერია ძველი უმჯობეს ახლისა.

პასუხი მეფისა მეთაორმეტე

- 34 მართალია შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,
ახლა ჩემ[ქ]ა დააქარბა, ამაღ კრემელი ჩამოგდისა,
მთვარე ლამის გაანათლებს, მერმე ჰფარავს შუქი მზისა,
და ჩემ[ქ]ა წიგნმა დააქარბა, შენს წიგნს ვინც სწერს ცუდათ ზისა.
- 35 ჰე რუსთველო, მოიცადე, დადრე, სიტყვა შეინახე,
საღვთო სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე,
მაღალ საროს ვერ შესწვდები, გლახ, დაბალი მოინახე,
და ჰრისტე არის მართლმსაჯული, მოციქულნი მოინახე.

პასუხი რუსთვლისა

- 36 მეფევი, არ იყო სათქმელი წიგნის წახდენა თქვენგანა,
ჯაფრითა ბძანებ მაგ სიტყუას, თვარა არ იცი შენ განა!
შე ეს მერჩივა მაგ სიტყუას, თავს გარდმოგეკრა დაგანა,
და თქვენგან არ იყო სათქმელი. არ მივირის უქკოთაგანა.

[არჩილის დასკვნა]

- 37 ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს,
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს,
თუნც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
და ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყვევით თუ ვინ დასცემს.

პასუხი მეფისა მეთათხუთმეტე

[ცხოვრება თეიმურაზისა]

კარი გაზაფხულის ნადირობისა და შექცევა-მხიარულობისა

- 38 იცია იარობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება,
მაშინდელს ნადირობასა სულ წვრილად ვინლა მოჰყვება,
ზოგი რამე ვთქვა, უჭუროსი დაჰჩიება, გარდამეშვება,
და თუცა არ მინდა სათქმელად, მელექსე არ მომეშვება.
- 39 ქოჩობის სიხარულითა ყველამ ბოძლები მოღესა,
მშვილდსა უგდებდენ ფიცხელსა და ცხენი მოიმაღესა,
ქვეყანას გახარებულსა ვსქვრეტლით, ახალსა მოღესა,
და ბერნიცა გაქაბუკლიან, არ თავი მოემოღესა.
- 40 ალონს ვიწყით ნადირობა და ქვემოთრე ჩავჰყებოდით,
უკეთ სროლის ბაასითა ერთმანერთსა ავჰყებოდით,
მუნ ნადირი ვინც ვერ დავსციტ, შორს აღარვინ გავჰყებოდით,
და მოვიდით და ლხინად დავსხდით, ვინ ვის რასმე ვლაყებოდით.

- 41 რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით,
მუნ განსვენება სად იყო, იმუშაკებდა ნადირით,
და ტყეებსა ვრეკდით ყოველდღე შამურით, ბედიყრის თირით,
გახაფხულისა აერი შვენოდ კარგა მუნ ნირით.
- 42 მცირეს ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოდ, სათამაშოთა,
ჩვენის ბაასის ჯობნაზედ ნუ ჰგონებთ მალ დამაშოთა,
და სად მამეცალა სალექსოდ, მიბრძანე ბრძენო ფაშოთა,
კიდევ ბევრს რასზე უამბობ, ხელიდამ არსად უშოთა.
- 43 მაისი დადგის---ტურუა თვე, ვარდი აყეავდის ბაღებსა,
ველნი ყვავილით შეიმკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა,
და ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭურვტლით სულ დანაღებსა,
მე ვინ მნახევდის იმ დროსა, ულხინოდ სუფრა ნაღებსა!
- 44 იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი კაცები,
მოკრძალვით, გულს ხელს მოქდობით, მშიშრად, ვით ცხვართა ვაცები,
და ფეშქაშსა მოცახილვიდეს ვერ რბევით რას მომტაცები,
აწე ნახე სოფლის სიმუხთლე ჩემზედა კულა და კულაცები.
- 45 მინდორს ბალახი მომალოდის, ხბოს დამალევდის, ნადირთა,
იმ წამს მიმართის ირემმა შამბს, მალვით მუნ დანაპირთა,
და ჩვენც თანა გავჰყვით სამრავლით, გაწყობით, არ მებოძირთა,
ალაზანს გავხვით ნავითა სასროლად ზედ მინაშურთა.
- 46 ერთი თამაშა არ სჯობდა ჩვენს მაშინ ნავით გასვლასა,
ბაზრიდამ აყრას, დიდებით სამინდოროსა წასვლასა,
და კაცი ვერ იტყვის ენითა, ვერცა იქს თავის ასვლასა,
დილით მწუხრამდის ნხეცს სვრიდეს, ვინ ელის მზისა დასვლასა.
- 47 ოთხმოცს ყათარსა აქლემსა, ცხენსა, ჯორს, აზავერს გარდა,
კარგებს მის მოფენილობით ჰკიდებენ, იღვის მუნ გორ და,
და ტყუილი ნურვის გონია, მართალი არის, არ ქორ და,
ნუხლიც მრავალი ვიახლით, მინდერები სოფლებს გაშორდა.
- 48 შვიდს-რვას დღეს თუ ნავს გავიდით, რაზომ მალე ვისწრაფდითა!..
გამოღმართსა ჯერგას გარეთ, ოდენ ისრეე ვალმა მხრითა,
და აქეთურიც ნავზედ დამხედის, ნაპირელნი კვერნაქითა,
გვიან ვერვინ მოვიდოდა, მისთვის რომე დაგბაქითა.
- 49 ჯარის სიმრავლე რა გკადრო, დიდებულთა თუ მცირეთა,
ახალ ვაჟკაცთა სიმრავლე ვარსკულავთა გვანდა ციერთა,
და ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა,
ვთა რაზომი სხვა კარგი სოფელმან გაწამიერთა!
- 50 მუნ იყვის ბელაურთ ცხენთა შეკაზმა, გამოჩენობა,
შესამოსელთა კეკლუტთა შემოსა, ტურფად ჩვენობა,
და ქარქაშის გაწყობილობა, ისარს ორბის ფრთით შევრობა,
ვაჟკაცების ხუმრობა, მუნ ჩვენს ხელთ იყო ჩვენობა.
- 51 ასე დადგინა კარგები, კაცი თვალს ვერ გარდაწყვიდნდა,
იყენიან შეეძით, მშვიდობით, ვერვინ ვერავის აწყენდა,
და მესისხლე ჰყუნდა ვინ ვისმე, მუნ სისხლსა ვით დაადენდა,
ღეთის წყრომით მოჰხდა, თვარემ და მათ ეგრე რა წაახდენდა!

- 52 თორმეტი არის მინდორი სხეებისგან უკეთესების,
ირმის, ჯერნისა, დათვისა, ლორის, ტურის და მგელების,
და ბევრს ჯარს, რომ მოინდომებდა, მათ სახელები ეს ების.
- 53 წინა მინდორი, შირაქი და ორივე ტარბანაები,
ორი ელიდრის მინდორი, ჯერან ჩულურში დაები,
და ყაჯირლუხ, ბაიდიგოლი, სამგორი, ჩადივარები,
ყარაიაზე დაშერიან მესროლნი, კარგ სადავები.
- 54 მივიდით, მინდვრებს მივადგით, დაუწყით ჯერგას რიგება,
შულამისგან უწინვე ნადირთ ვერ ექნა შეგება,
და ასე შეკრიან სამგნითვე, მხეცნი მათ ვერ გარდევება,
დაიწყის მოსვლა კარზედა, პირს ვერეინ ვერ შეეგება.
- 55 დილა გათენდის, შეიქნის დაწერიოთ დაკარებანი,
ვინ არ ვიახლი ჩემთანა, ვერა ქმნის მოკარებანი,
და შეიქმნის სროლა უცდური, დანაცდნთ ძვირად ძებანი,
კარგ სადავენი მომხრედ, ვჰუვი ავისა შორს გაძებანი.
- 56 ასრე უნდა შეილდოსანი, არა ჰკრევედეს ყოვლსა ასოს,
მართალს მხარსა შუასა ჰკრას, წინ გადაძხტალს თეთრს დაასოს,
და მხეცი სადგომს წამოილოს, მწყურვალს მინდორს სისხლი ასოს,
ერთს გაზაფხულს თიბათვემდის ოთხმოცისგან უფრო ასოს.
- 57 ნადირზე ასე მივიდეს, ეგონოს შეეძგერაო,
მერმე სადავეს გამოჰკრას, რას ჰქვიან გულის ძგერაო,
და ხარსა და ვაცსა მოჰკლევდეს, ცუდია მელა, ძერაო,
და მოუწონებდენ სიფიცხეს, ინატრონ მისი მზერაო.
- 58 რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეყრებოლით,
მუნ მოყვარულნი ქალ-ყმანი ერთმანერთს შევეყრებოლით,
და ვარდი დაგვიხედის გაშლილი, ვჰკრეფდით და შიგ ვეყრებოლით,
და ასე გვიამის იქ მისვლა, მალ აღარ გავეყრებოლით.
- 59 გრემსა იყო ბევრის ქვეყნის უცხოები იქ მოსული,
ბაღებშიგან კვიპაროზი ალვის ხითა ამოსული,
და ფშოდა სული სულნელისა ყვაველთაგან ამო სული,
და მისის ნახვით გაყმდებოდა სიქაბუკის ძალ წასული.
- 60 ერთი ბალი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიფისა,
და ყოვლი ყვაველი, ხეხილი, გარმოკულიყო სეფისა,
და განცვიბრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება

- 61 ჟამი გარდახდა შეგებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,
და ლხინმა მიმრიდა, შექმენა გულს ურვა, თვალთა წუხილი,
და ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,
და ნადიმი აღკრბა, სერობა, ოდენ მაკამეს წუხილი.

- 62 მოვსთქვემდი: „მზეო, დამაგდე, ცეცხლი მომიდე, წამ ალი, მე, გლახ, უშენოდ ოხერმან შენი ვერ ვპოვე წამალი, ბროლი და ლალი შეთხზულნი, მიწათა შიგან წა მალი, და სუფევა პოვე უკუდავი, წმინდათა თანა წამალი.“
- 63 წამწამთა რაზმ?ან დაფარა თვალნი გიშრისა, დალულა, შვილდი შავისა კემუხტით, შემოსით ვით მოწეულა, თმა აბბრის ფერი შეწმანსით, მიწამდის ჩაბოწეულა, და ვითარ ვპოქვა საქმე საზარო, ჩემხედა რა მოწეულა!
- 64 ბაგეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყვითლებულად, მას შიგნით თეთრსა კბილე სასადაფ-მარგალიტებულად, ენასა შაქრის უტბოსსა ვხედავ უძრავად დებულად, და ჰაი ვაიმე, რაღა ვქმნა, აგა ვზი ცეცხლმოდებულად.
- 65 ცხვირს ზომიერად ჩამოწვდილს, სული ფშვის სურნელებისა, პირი ერთპირად შექმნილი, უჯლოდ განთვარებისა, რომელმან ენამ აღმოთქვას სინაზე მკლავ-ხელებისა, და ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნაღებისა.
- 66 ვაიმე, წაუხდა, ვის ჰქონდა, ყელი ბროლისა სურათა, ვერ გამოხატოს მხატვარმან-ჩინელმან მისი სურათა, მქვერტელთა სატრფიალოა, უნახთა მოსასურათა. და ვაი, რად გამხადე უბრალო სისხლის ცრემლ გასაცურათა.
- 67 ვა, რად მიეც შეგს მიწასა პირი-ვარდი, ბროლ-ფიქალი, ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ეთერი ფერგამქრქალი, შენს საქციელს ვერ აიღებს ბეგრის ცლითა სხვადა ქალი, და შენ გამხადე დასაწვავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი.
- 68 რად დააგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივით? სახელმწიფო, ქმარი, შვილნი რად გაჰხადე ოხრად ვითი? სამუდამო ლოცვა-წირვა, ფსალმუნება ან დავითი, და პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგრე ადრე რათ წაირთვი?
- 69 მე გამწირე საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად? აღექსანდრე ნებიერი, ვით დამიგდე მე ეს ოზლად? შენ უბრალოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქ საბრალობლად, და მე გამხადე მტერთ გულისად ბედისა და სოფლის მგნობლად.
- 70 გვირგვინთ ნაცვლად ჩაჩა მზურავ, სკიპტრად მაძლე შენსა ჯოხსა, პორფირად მაძმე ძაძასა, ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა, გამაბედითე, დამაგდე, ვჰკვირვარ მე გუშინ დამნახსა, და უდროოდ აქ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა.
- 71 ვით წესია გარდვიხადე გლოვა დიდი, სულთ წესები, სულთქმა, ახი სამუდამო და ტკივილი საქუნესები, ვიჯექ ბნელსა ცეცხლ ნაღები, ნათელ შრეტით დანავსები, და ნავლელს ვსვემდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.
- 72 ორმოცამდისი ბნელს ვიჯე, სინათლეს ძელი სად ვნახევდი, თავსა ვიცემდი, ვსტიროდი, ცრემლითა ლაწვთა ვიხევდი, შენც შემდბრალე არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი, და ნუგეშინის მეც სიტყვითა, ღონეს რას მომინახევდი.

მარაბდის ომი

- 73 მაგრამ კიდევ ჩვენ შააბაზ არ დაგვიშვრა მტერობითა,
ამ ყოფაზედ ყორჩიბაში ჩვენ მოგვიხდა მოსწრობითა,
სრულ ერანი შეეყარა სოფლებიან მას ობითა,
და გაუჩნდების აწ შუბებსა თუ არ გატყდეს დასობითა.
- 74 ის მოვიდა ალგეთზედა, ჩვენ ამევიდით ტაბახმელას,
მე ვიამბობ, თუ მომისმენთ, ომის საქმეს საქებელას,
მოდო, დაჯექ, გაიგონე, ახლო გიდგამ მალოა სელას,
.
- 75 დავასკუნეთ ომი ალგეთზედ, მივმართეთ გულით მაგართა,
კაცთა სამების უცნობთა, მაჰმადიანთა, აგართა,
ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა იორც-სისხლსა, მისთა ამართა,
და რისხევით მოგვხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა.
- 76 ავიყარენით რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა,
დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა,
მხიარულად და თამამად, რას ჰქვიან დანასულობა,
და აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ-გულობა.
- 77 დღისით ჩავლიეთ ავი გზა, ღამე ჩავედით ვაკესა,
ცოკას ხანს შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამკესა,
კახნი ამბობდეს: «ვიართ, მიუხდეთ ფურებს მაკესა,»
და რაზმი დავაწყვეთ, ვიარეთ, მეთოფემ ტალი დაკვესა.
- 78 რა ღამეს ბნელსა ნათელმან მომართა, ამან დარიდა,
მზე რა უღრუბლოდ აღმოჰხდა ქვეყნად მოჰყინა დარი და,
ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ხნით ვინ შეეადარი და,
და არ სხვას ზნეობის დრო არის, ჟამი არს საომარი და.
- 79 გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიღამ,
დავაწყვეით ორთავ რაზმი, ჩვენ აქათ და მათ იქიღამ,
მათი იდგა თვალ უწლომი, სიმრავლე სჭირთ მათ გვარიღამ,
და მაგრამ ვერც სულ დავავლონა სიბევრისა ჩვენ არიღამ.
- 80 მან თურე ასრე გააწყო მეთოფე თოფხანიანად,
ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად,
მას ქვეშ მუხლმჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დვიანად,
და მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად.
- 81 მივახლოვდით, კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა,
ჰვეანდა თუცა ჩამოეარდა ცა ქვეყანად, ან დაიქცა,
მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენს წინ ღამედ გარდაიქცა,
და ვირემ კუამლი არ განქარდა. მათკე ვერვინ ვერ გაიქცა.
- 82 რა განქარდა თოფის კუამლი, შეუტყვეთ ერთპირობით,
აულ-სრულად და ჯაფრიანად ვინ ვის წინა წაუსწრობდით,
ვხოცდით, ვლევდით, ჩამოვეყრიდით, არ ცოცხალთა შევიპყრობდით,
და არ მოსწროდა შაბადახან სულ გაწყვეტას უპირობდით.

- 83 გავაქცივეთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ, მათი ურდოსა გავაცილვეთ, მოსვლა ერთხან შევანანეთ, უკან ჩვენს რაზმს თავრიზელთა უწყეს ცუმა, დიდად მავნეთ, და გავგიქციეს უკან ჯარი, დაიზახნეს: „გაათავნეთ“.
- 84 ამასზედა თეიმურაზ, ვინ მუხრანსა პატრონობდა, „მოკლეს“ — თურე დაიზახნეს, ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა, გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა, და გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბდა-ნობდა.
- 85 ორისავე პაატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად, ასრე ჯარსა წინ მიგვიძღვენენ, დაიჯერე უსაცილად, გაათავეს თვისი თქული, სადგომსვე თქვეს დაქადილად, და ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ სიკუდილად.
- 86 ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვიროდეს, მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს, დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითვე მოისროდეს, და სიცვისაგან ძალ წართმეულნი ისარს ველარ მოისროდეს.
- 87 კულავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრი, აღათანგის სახლის კაცი შვიდა მოკულდა, კარგი ევრი, სხვა ბაადურ ციცისშვილი, კახი დავით, გულად სევრი, და კიდევ ბევრი კარგი მოყმე დამიკაფენეს, ვითა ტევრი.
- 88 ჩოლოყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია, სულ ვინ სთვლის აზნაურშვილთა, რაც მოკლეს საქებელია, სხვა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მობაბეს ყელს საბელია, და ძლივ მორჩა ალავერდელი, გარდადღეს ხარჭაშენელია.
- 89 ათაბაგი ამირ-გუნ-ხანს იმ დღეს შეხვდა ერევნისას, შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ხლმისას, სამი, თურე, ზედის ზედა შემოჰკრის და შესძახისას: და „ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვფიცავ ყანისას.“
- 90 მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა, თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა? თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ მიდგა, არ დამიშვრეს ხელა ცულად, სანამ პირში სული მიდგა.“
- 91 ზურაბ ადრე დაგვიკოდეს, თურე სისხლმან შეაწუხეს, იმისმა ძმამ დათუნამა და ავთანდილ დაიქუხეს, რაზმი განეღეს, უკან სდივეს მუნამდისი, სად დგა ჰუხეს, და ფრეწოდეს მათსა საჭურველსა, ყოფილიყუნეს, ვითამ უხეს.
- 92 თუ ჩემიც რამ მოგახსენო, გგონ, არ ვიყავ უსუარი, საკვებურად თუ ჩამიგდოთ, ამად თქმისა მაქვს უარი, არა ვთქუა და ისრე დარჩეს, აღარ იყოს მახსუარი, და რა უქნია თეიმურაზს, თქვან: „რად არ თქვა, ვით სავ არი?“
- 93 ამის მეტსა ვერას გეტყვი, რაცა მქონდა საომარი, თუ ყველა არ დამემტვიროს, ვიქნებიმცა მეომარი? შუბი, ხმალი, ლახტი გატყდა, მოვიხმარე კულა ხანჯარი, და სომეხადმცა ჩავიგდვიარ, მათებრ ვიყო მეომარი!

- 94 მას დღეს მოკუდა ყიზილბაში ათოთხმეტი ათასიო,
ცხრა ათასი საქართველოს, ზურაბის ყმა ცხრაასიო,
მაშინდელთა დახოცილთა კაცთ ვითა ვთქვა საფასიო?
და ამოგვეწყვიტეს, მაგრამ კიდევ მინდა ვინმე მიუსიო.
- 95 რას ვაგრძელებ, დაგვიმარცხდა და ლეთის რისხვა მოგვევლინა,
არ დაბრუნდეს ლეთის ბრძანება ერთხელ თუ გამოავლინა,
მადლი მასვე, აღრეხანად კიდევ მათზედ გაგვევლინა,
და აწ უყურე ქსანზედ მოსულთ, თუცა რაზომ გარდავლინა.

ბ. გაბაასემა კაცისა და სოფლისა

ეს ერთი პირველი ლექსი დავით მამუკაშვილს, ჯაფარიძეს, ეთქუა სოფელზედ აშთარხანს და ამას ქუეითი სოფლისა და კაცის გაბაასემა ამ ერთმან ლექსმან მოახდინა. ასრე არის ყოველისფერის კარგისა თუ ავის საქმისა ორისაჲ მიზეზი, პირველ ასრე ცოტათ იწყების და შემდგომად ასრე განმრავლდების.

- 1 თქუეს: ჩარხი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის მბრუნავი, ლხინს მოგეცემს, ჭირი გვიერთს ახლავს, ხან შეება, ხან საქმუნავი, ნურვინ სდევე, ვერვინ მისწვდები, ცხენი გყავს ანუ თუ ნავი, და თქმულა, რომ არვინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი.

აქა იწყების შესავალი

- 2 და ვით უძრახეს სოფელსა სხვათ ბრძენთა, შენც აგიტანეს, მე არ ვემდურავი, მაგრამე მგონია მეც დამიტანეს, ვის ავი უყუო, ან კარგი არც ერთმან არ გაიტანეს, და ამად ჰკიცხვენ და ჰბასრობენ, სად უნდათ ვერ მიიტანეს.
- 3 სოფელს ჰმდურავ სიმუხთლესა, როს არ მოგყუეს ჰკიცხავ, ზრახავ, თუ გაამებს—გაუციენებ, გაწყენინოს—სულთქვამ, ახავ, მისებრ შენც თუ არ მუხთალხარ, მაშ, ნუ გინდა, ნულარ ნახავ! და თორე სიტყუით ორნიე სწორად, მსგავსი მსგავსსა განიზრახავ.
- 4 სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთლესა, ერთად ზაკვენ, თუ შენც ირყვი, არ ამბობენ სიტყუას მთელსა, ორნიე სწორად მოინდომებს ხან ბნელსა და ხან ნათელსა, და აწ მე ვიტყუი მათ საქმესა, თქუენ შეატყობთ უმართლესა.
- 5 მათი საქმე მათ იუბნან, ნუ უდგავართ ჩვენ ნურც ერთსა, სოფელმან და კაცმან სიტყუა თვით მიუგონ ერთმანერთსა, გაუსინჯოთ რას იტყუიან ერთი ერთზედ, თუ რა ერთსა, და მერმე გაებქოთ სამართლითა, მადლი მიეცეთ უფალს ღმერთსა.

აქათგან იწყების ბაასი სოფლისა და კაცისა

- 6 სიტყუა პირველი კაცისა: სოფლის სიმუხთლე ტრელობა, ვაი სოფლისა დაწყებით ბოლომდის მრუდად მგლელობა, არას ბრძნისაგან იცნობა მისი ეზომი ჭრელობა, და რა მწვე სიტყუის აფრავა, სიმუხთლის პელეგონობა.

პასუხი სოფლისა

- 7 პასუხი სოფლის: კაცო, შენ ლეთის მსგავსად რადმე შექმნილო, ჩემად და ჩემთ ნივთთაზე უფლად და მთავრად განზრდილო. ვა შენ, რომ მცნებას გარდაჰხე, ბოლო კარგახან დაქნილო, და განშიშვლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყუად ქმნილო.

სიტყუა ადამისა იბ

- 8 მაცთუნე, დავსცდი დიდ საქმეს, ჰოი ჯავრი შენი მაცთურო, აწ რად არ სცხრები სიცრუვის ორლანოვ, ტუბილო სამთურო, უფროსლა მტერობთ ჩემთ შეალთა, წამს ბარული ხარ, წამს თურო, და ორს ბევრს გარდაჰკარ ლახვარი, სხვათ უმარავთა სამთურო.
- 9 ბოლოს არვის გაუთავებ, ვინც დაიპყრობს დიდებასა, ვინ ლარბობს, არ აღირსებ მოსვენებით თავს დებასა, ზოგს გლოვით არ გამოიყუან, არ დაუესებ ცეცხლთ დებასა, და რად არ იცი გათავება უნდა დიდსა მტერობასა?
- 10 ნუ იკბინები სასტიკად ასპიტო, გველო ველისა, ნულარ მწარდები სამსალავ, ბოროტ უფროს ნაველელისა, ნუ მუხანათობ, ნუ კრელობ, მგზავსად შენისა ძალისა, და თორ მოვინდება გარდახდა როსცაა ჩემის ვალისა.

პასუხი სოფლისა

- 11 მე თუ ვსკრელობ—შენ რას მბაძავ? შენ ხარ თავის ნების მქნელი. შემოქმედმან რაც რამ შექმნა ცხელი რამ, თუ ანუ ნელი, ცა, ქუეყანა, ზღვა, უფსკრული, ნათელი და გინა ბნელი, და შენგან კიდე არვინ არის თავისისა თნების მზმელი.
- 12 ცა, ქუეყანა ასრე არის ერთმანერთის იძულებით, ცით თუ ცვარი არ მომეცეს, მხედავ ეხმები დარგულებით, ჩემით აღწოვს ჰაერივე, თორ არ მისცეს მას ბუნებით, და დიდს ზღვას ქარი ააღეღეებს, არ აყენებს თავის ნებით.
- 13 მნათობთ ეტლი არ უტევებს წამსა ერთსა განსვენებად, მზე მომახლდეს—გამაახლებს, განმეშოროს—შემიქს ვნებად, წვლიწადში ოთხჯნით შემცვლის, ხან სიცხეთ და ხან ყინვებად, და ჩვენ არვის გვაქუს ხელმწიფობა, ოდენ შენ ხარ თავის ნებად.

სიტყუა კაცისა ივ

- 14 რა პირით გვიშლი სოფელო მის საქმის უქმნელობასა? გესწავლი და მერმე მიიღებ სიტყუისა მწვე ძნელობასა, გინდა და, მაგრამ ვერა სთმობ ტყუილის უთქმელობასა, და გვიკუირს, პატრონი ვით გითმობს მაგდენს უსამართლობასა.

- 15 მამა ჩენმა შენით პოვა ეგზომ დიდი შეჩვენება,
შენვე გვეყვდარი, შენვე გვეკიცხავ, შენვე გვძალაგრობ ვით ეგება,
ხე ხილისგან, ხილი ხისგან, ნათქვამია, იცნობება,
და შეხეთ მატურს, უაუგოს, კიდევ რასმე გვეუბნება!
- 16 სხვა ნივთი ვით გამოილოს ნათესმა, ძირის ვარდამო?
არა გასმია ვინ არის კაცთა ძე, თავი აღადმო?
შენი სიმწარის საწლდევი მაგისგან უფრო არდ ამო?
და მაგრამ ნაცვალი პატივი მიილე ზეცით გარდამო.

პასუხი სოფლისა

- 17 კაცნო, ძენო აღამისნო, გაიგონეთ კიდევ რა ვთქვა,
სულ მართალი, არ ცრუული პასუხიცა ველარა სთქვა,
მოგამშვიდო გულფიცხელი, რაზომცა ხარ გულადა ქვა,
და რა გასინჯოთ ჩემი სიტყუა, მერმე მართალი დამარქვა.
- 18 ქრისტეს მოსვლამდიც თუ ჰქონდათ აღვილი მაგა სიტყუისა,
თორე აწ რა გაქუსთ პასუხი, მიბძანეთ ვინ რას იტყუისა?
მან ტვირთი თქუენი იტვირთა, სიმძიმე, რომე იტყუისა,
და ღმერთი კაც იქმნა, დაგისხნათ, ვინ ნებსით თავი იტყუისა.
- 19 იტყუით: აღამის ცთომისა წილი გვიც, მითა ვცთებითო,
მიბძანეთ ერნო, მითხარით, თქუენით იტყუით. თუ კრებითო?
არას მიჯერებთ, მაგრამე აგრეც ვერ გავიყრებითო,
და მაგით ვერ მორჩეთ წარწყმედას, ნუ ბოროტო, ცუდათ შურებითო!
- 20 აწ ვითხრათ თქუენი ქუა-სიბრძნე, რა ძნელი მოგონებანი,
ფიქრით და რასმე განზრახვით, შორს საქმის მიახლებანი,
ხელოვნებითა კარგითა ძველისა გაახლებანი,
და რასათვის მაგდებთ ერთგულსა, თვით მინდა თქუენი ხლებანი.
- 21 მოიხვამთ ტბილის ხილისას, ტყავს სხვაზე შთამოაცომ და,
ჯერკუალსა, ძირით მწარესა, გარ რასმე შემოაცომ და,
მის პირველისა სიხნეშეს დაატკობ, გამოამობ და,
და ამით საქმითა, სხვა სხვითა, ბუნებით შემამცვალობ და.
- 22 კულავ მოიტან სამფერს ხილსა, სხვას ნივთისა ხესა დამენი,
სამსავე სხვაფერ განახარებ ხილითა და ზოგს აქუს სამენი,
მის პირველისა ბუნებასა შესცვლით, არ ხართ, ვით ბაყყენი,
და სხვას ცხოველს რას ემსავესებით, ვინ არ იყოთ ცრუ ამყენი?
- 23 მწარეს ნუშს, მთავე ბროწეულს, ამასაც ასე გამოსცვლით,
ორსავე ძირში მკუარს გაუყრით, სიტკობობად ამით შესცვლით,
რა ნაყოფსა გამოიღებ, ავისაგან კარგსა მოსთვლით,
და მე სრულ რასთვინ მათქმევინებთ, თქუენს საქმესა თქვენც ვერ მოსთვლით!
- 24 არ თქუენს უფრო შემოქმედმან იხელიწიფოს ნივთი გაწმენდა?
ქნას რამ უსასწაულისი, მოგახსენო აწ თქუენ მე და,
დაიმდაბლოს თავი თვისი, გარდამოხდეს თქუენდა მწედა,
და ეშმაკს აღარ დაგანებოსთ, არ ინებოთ თუ წარწყმედა.

25 გამოირჩია უფალმან ნაშობთაგანი ევასა,
ქალწული, წმინდა მარიამ, დახსნის მის გამოწვევასა,
განხორციელდა მის საშოთ, გარდინდის თქუნენა ზღვევასა,
და ეს უხმდა თქუნის სიცრუით ეგზომსა ტყუენვა, რბევასა.

სიტყუა კაცისა იზ

26 სოფელო, ეგ ჯეროვანი თქვი, როდესცა ქრისტე მოვა,
შეტოშილინი მომიძია, მხეტა პირში ღრღენად მპოვა,
უჩინარის ადგილიდამ მისი მანვე მომიშოვა,
და შენგან მკუდარი—ჯოჯოხეთით აღმადგინა, აღმამსოვა.

27 რად კიდე აღარ მეხსნები, მაცთუნებ, შემაცოდება?
რამდენ რიკითა საქმითა გინდა ცეცხლისა მოდება!
დილას გვახარებ, სალამოს მოვა ტირილი, გოდება,
და არ გაგძღება, ასეთი იცი საქმისა მოდება.

28 თუ განგვამდიდრებ, ზეაობას ჩაგვიგდებ გულსა საწყენსა,
ღეთის ნებაზედან იცი, რომ აღარ მიმიშეგებს, მაყენსა,
როს დამამდაბლებ, საგმობარს სიტყუას მათქმევ და მაწყენსა,
და ლოცვაზედ წასვლა გვინდოდეს, ქუე ჩაგვსვამ ზეზე ამყენსა.

29 ზღვით და ხმელით ორითავე შემაწუხო ამას ცდილობ,
დილას ერთით და მეორით აღშაშფოთო, ხან სადილობ,
ნათქმევინო ღეთის წინაშე საგმობილი, ვით გპობილობ,
და მერმე მითხარ: სიტყუას დასცდი, უგუნურო, აჟად ზრდილობ.

30 განგვახარებ, სულიერსა საქმეს ყუელას დაგვაფიწყებ
რა მოაქაწყენ მწუხარებით, მცონარებს ამოვიწყებ,
რა ევნა შენი გარდამკიდე, მუდამ ვტირ და ხშირად ვიტყებ
და ზოგს განსწავლი ყოვლის კარგით და მე ასრე გამაბრიყვებ.

პასუხი სოფლისა

31 კაცო, იცი ორიე კარგად, რომელია უარესი,
რაზომ დიდის საქმითა სჯობს ძვირ' კაცს უიფიფესი,
მაშ, რა გინდა ეგე რამე, უმჯობესის უდარესი?
და უგუნურო, რასათვის ხარ ავზედ უშუმსწრაფესი?

32 კულად გასწავო რა იყავ, რა ხარ, და რა იქნები,
მიწა ხარ, მტვერი, რომელსა სთურგვენ სრულ პირუტყუებია,
პატიე გცა ღმერთმან მსგავსებით თვისითა, არ გეთნები,
და მოგცა უფლება ყოველთა, ხედავ რომ დაგმონები.

33 არ მარტო ნიეთ უფალი ხარ, უნიეთონიც გპორჩილობენ,
წმინდათ კაცთა ანგელოზნი ემსახურნეს, არ ურჩობენ,
ენმაკიცა ბევრმა ტყუე ჰყო, თავზედ ფერხს გარდაცმულობენ,
და ვინ ხატება დაიმარხოთ, ვერა რამე ვერ უგრჩობენ.

34 სასუფეველი მოგეცათ სამკუიდროდ და მამეულად,
თქუნენ არის დღეის წალმა, ნულარ უქვრეტ მასეულად,
ვინც იესო შეიმოსოთ, ვერვინ გმძღაერობსთ მოსეულად,
და ცოტას ხანს თუ ხორც გატკენდესთ, ვერა გაენოსთ სულსა სულად.

- 35 რად მოყუარე ხართ, უკუდავნი, მოკუდავის ცრუ დიდებისა? იმ პატივსა პატრონსა, ესე ვით მოგინდებისა?
და თუ შეირაცხო ღვთისაგან, ის აღარ წაგინდებისა, თორე მიწა ხარ უქლური, ღირსა სკორისა დებისა.

სიტყუა კაცისა იც

- 36 მინდა ყოველი სიკეთით ყოფნა, სიმდიდრით, სოფელო, სახელით განვლა შენ მიერ, ცრუ ხანის წამ საყოფელო, ზეცის ქალაქსა მკუთიდრ ყოფა, მის წილად არ საყოფელო, არამედ შენვე მაცთუნებ, ტკბილადრე შემოაყუფელო.
- 37 თუ მდიდარ მყოფ — კიდევ უფროს დიდებასა მომანდომებ, როს შემომყრი დიდს ლაშქარსა, თავსა დიად მომაწონებ, მერმე ერთს სხვას წამოშვილებ, მომოვე, იმას დამაშინებ, გგონია, რომ შენს სიმუხთლეს ვერ ვხედივით, ამას ჰგონებ.
- 38 უფროსი ვიპყრა ქუეყანა, სხვათ დარჩეს უმცირესია, ვერ წაშვილებდე სულ მძრახავ, იტყუი თუ: „მათც არ ესია,“ მასცა არ იპყრობს სახელი, არ უნდა უქეთესია,
და მაგრამ ეგ შენი ნარჩევი ვიცით, რომ უარესია.
- 39 უთვალავი ოქრო-ვერცხლი, მქონდეს თვალნი თლილნი ხშირად, არ გამაძლებ, სიხარბესა შემყრი, შემაქ დილად ჭირად, ჩემი მყუახდეს შევნიერნი და სხვას ესვას რამ დუხჭირად,
და ფუ, წყულო, მომანდომებ შოენადც, შემიქ გასაჭირად.
- 40 მეღვას ცხენი ბედაურნი, ფიცხნი, კარგნი, მუხლად მალად, ოდეს ვნახო ერთი სხვისა თოხარიკი, ლალად მეღვად, ან ხებითა გამოვართმევ, თუ არ მომცემს — მერმე ძალად, ასრე გამხდი უსამართლოდ, არ მყოფ მისად შესაბრალად.
- 41 სხვა რაც ნავითა შენი რამ სადები, კაცთა სახმარი, არასფრით არათ გამაძლებ, ვარ, ვით შიმშილით მოჰყმარი, მიძახდენ, არვის არ მიესცემ, ძახილით ხვანი დამადარი,
და სად ხმება, სად რა დალპეა, იქავ ძე ცუდავ წაჰხდარი.
- 42 უქორწილოთა ქორწილი ჰსურის და ეოცნებიან, ქორწინებულთა ნიადავ სახმარი ეზრუნევიან.
უშვილოთა სწევას წუხილი, მუდამ ერუდუნებიან,
და შვილ ბევრიც ქწილა მრავალჯერ შენის ჯავრითა დნებიან.

პასუხი სოფლისა

- 43 ვინათვან, კაცნო, სიმდიდრის მოცემაზედაც მყუედრია, კეთილი გიყო, მაშ, რალა, ან შენ რას შემომჩერდია? თუ გარაობდე, მასუკან მოცემას შემომვედრია,
და აწ მართალს გეტყუი: მაცალე, მე ცრუს კაცს არ შევედრია.
- 44 მითქუამს ყოვლი ჩემეული მოკლეა და განხრწნადია, მინდა მოცე საუძლებოდ, რალაც რაკი მახადია, შენ რასთვის იქ, გონება გაქუს კარგის ქმნის დანახადია,
და ყმაწვილურად მისთვის ლაყობ, გვერც არ გიზის რომ ვადია.

- 45 თუ გყუანდეს სპათა სიმრავლე, ურიცხვი ლარი დაგედვას,
ყოველს ქუეყანას შენისა შიშისა ზარი აღედვას,
კეთილს უყოფდე ყოველთა, მით ავი აღარ მოგედვას,
და ნუ მოიწყინებ გუნებით მდაბალთ წყალობით მოხედვას.
- 46 რად გინდა შენი ქონება დასაღპობლად, მლილთ საქმელად?
რად არ ირცხენი მშიერთაგან, საზრდო გედვას ძველის ძველად?
რად არ იცი ღმერთს აფასებებ, რა გამოსჩნდებ გლახაკთ მწრდულად?
და როს დაგპირდეს ბევრ წილ მოგცეს და მოვიდეს შენდა შევლად.
- 47 თუ ეს არა ჰქმნა, თავს იდგა ტანჯვა მის მდიდრის ლაზარეს,
მოკუდე—აქ დაგრჩეს სალარო, გიკრეფდენ მრავალს მოზარეს,
რა გარგოს, მუნ რა მიხვიდე, ცეცხლსა შთაგავდონ საზარეს,
და მას შენატრიდე. საბრალოვ, ვინ გთხოვდეს აქ სამაზარეს.
- 48 აბრამის წიალს იხილო შენი მთხოვარი პურისა,
ის ფუფუნებდეს, იშვებდეს, შენ აღში წყალი გწყურისა,
სველის თითისა დაწება გამხმარს ენაზედ გსურისა,
და რაზომცა ცრემლით ითხოვდე, აღარ გუქუს მომდგე ყურისა.

სიტყუა კაცისა ით

- 49 სოფელო, ჩემობ სიმართლეს, ეს რა სიმართლის მგვანია?
ნუ ამბობ, ცრუ ხარ, მართალი შენი არ შესავგანია,
უსამართლო ხარ, უწყალო, ვით შულახელი სევანია,
და ვნახე, სახლს მდიდარს შეუხედ, ნაცართა უწყე გვანია.
- 50 დიდებულ მყოფ ყოვლის საქმით, მნახ მსმენელთა სანატრელად,
დაგჯერდები, აღარ ვიტყუი: სოფელია ჩემზედ ქრელად,
ხრიეს გარდამკრავ, ზურგზედ დამცემ, შემიქ მტერთა საყვედრელად,
და ბოლოს მაშინც მუხანათი ხარ, არ იყო პირველ ტრელად.

პასუხი სოფლისა

- 51 კაცო, მაგას ამად გიზამ, მიმადლიდე მე და ბედსა,
ანგარებ და უსამართლობ, გაირისხებ შემოქმედსა,
მაშინ ცეცხლსა მოგიკიდებ ტალკუეს შუა, ვით აბედსა,
და ბოლოს როგორ გაგითავებ სიკეთისა ავ მოქმედსა?

სიტყუა კაცისა კზ

- 52 სოფელო, კიდევ გიზრახავ, არც გაგვეძლება უშენოთ,
არას ვარგვივართ შენ არ გყუე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ,
შეურჩომელი მამულიც ცუდია, რად მოვაშენოთ,
და თუცა გვადორებ, პასუხად ჩვენ ძრახვა მოგუაქე საშენოთ.

პასუხი სოფლისა

- 53 მართალს გეტყუი: კარგი ვარ და დიად ძნელად დასათმობი,
პირველ ტყბილი საამოენო, მერმე ანჩლი, დაუთმობი,
ძნელი არის სულ მიტყოდეს, ვინ ჩემია ამბვის მბობი,
და არვინ მინდა მოგარჩინო ბოლოს ჩემი დაუგმობი.

ე. ლექსი აქა-იქ ნათქვამი

- 1 სამიჯნურო ლექსებიც სამ აგერ ქვემო ჩამიგდია,
ზოგთ მიჯნურთა საქმე კარგი მამწონს, ზოგი ამიგდია,
და ცოტა რამ ვთქვა, სრულ უთქმელი ვითომ არც ეს დამიგდია,
ჰე მიჯნურნო, სამიჯნურო ყური ამას მოუგდია.
- 2 სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვიტხრობს მაჯამა,
ენახე მიჯნური თარული, შემატყობინა მაჯამა,
და მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომძან მათმან გარჯამა,
შეწყალება და გვერთ ხლება ვერ პოვა ჩემმა აჯამა.
- 3 მკითხველ მთარგმნელნო, მაჯამას წილ მეც ეს მამირთმეგია,
ჩემი და ჩემაგვირად არვისთვის წამირთმეგია,
და მითქვამს ქართულის ენითა, სხუა ენა არ ურევია,
ვიცა შეიტყობთ უცდურად, თუ სიტყვა ამირევია.
- 4 მას მიჯნური ნუ ედრება, ვინ სოფლისგან წმინდად გადგეს,
ველად რბოდეს მართო სამე, ტახტიდამე მალე ადგეს,
და ნივთ შექცევით მოიცალოს, ხელ ნოქდომით მის წინ წადგეს,
ვერ გაავდოს ვერამ კაცმან, ვის ეს საქმე ზედ მიადგეს.
- 5 მიჯნურობა საქებარი მუსიკთა და რიტორთაგან,
არ ჯარით და ძალის საქმით საქებარი მართოთაგან,
და რბოდეს ველად გულ მოწყლული, მშვილდ ტყორცილი ვითასაგან,
ზოგნი ნადირს დაამოყუსა, მანდ რომე ზის შეხე მაგან.
- 6 ველარ გასძლო უიმისოთ მიჯნურობა ვინ ისაგროს,
ცნობა მასთან გარდებხეწოს, ველართი დაიმაგროს,
და სატრფიალომ არ მიუშვას ვირე სრულად არ დასჩაგროს,
თუ არ მანვე, სხვამ წაძალმან მაზედ ვერამ ვერ ივარგოს.
- 7 ერთმან ვინმე თქვა: „რას ჰქვიან მიჯნურობა და სურვილი,
გაქრა, ხელობა მინდორად, სხვათათვის გულის ტკივილი,
და თუ არ მინდომებს, რად მინდა მქონდეს სრულ მისი ჩვილი?
მაშ რას იქს ტურფა წალკოტს ჯდეს. ბულბულსა ჰქონდეს ყივილი?“
- 8 სხვამან იქი გაიღიმა: „ჯერ ვაყო არ გსტუმრებია,
თუ გეწიოს, ვერ დაითხოვ, მალე აემარებია,
და გარბენინოს დღე და ღამე გარეშემო არებია,
ვინც გნახევდეს, არ გკითხევდეს, რაზედ დაიარებია.“

- 9 ვის უნდა მიჯნურობისა სურვილის ბადით შეპყრობა?
მაგრამ ანაზღაოთ შეიპყრობს, ძნელია ხელის აპყრობა,
აქებს ყოველი რიტორი, ავად არავინ ეპყრობა,
და ნეტაი იმას, ვის ქონდეს ეს სიძე, სძლობა, მაყრობა.
- 10 მიჯნურსა თვისი აშაყი ეგონებოდეს წამ-წამის,
შვე-ს მშვილდისგან ტყორცილი ისარი ესვას წამწამის,
მისნი ტრუთიალნი მან, მზემან, არ ერთხელ, ბევრჯელ აწამის,
და ამად მეწყალის თვისი გამო, ქორად მეც ვინმე შემწამის.
- 11 ეშაშან იპყრას გული ასე, ველარ სადით გარდებეწოს,
თვალთა ცრემლი მუდამ სჩქედდეს, მკერდი ცეპით დაილეწოს,
ვისკან სიტყუა ვერ იშოვნოს, უნდა კიდევ მას ეხვეწოს,
და იქნება, რომ მხნე-ძლიერი ერთს ნაზს ვისმე დაეხვეწოს.
- 12 ენახე ედემს ალვა რგული, რომე მზეებერ შუქსა შუქდა,
აძვირებდა სხივსა მისსა, არ იეფად არვის სჩუქდა,
არ მიმიშვა ახლოს შეყრად, გული ამად ამიჩუქდა,
და წამოველ და ყოველი ღონე იქავ დამრჩა, ჩამიქუქდა.
- 13 დილის ნიავემა მახარა ამოსელა მუნ მთიებისა,
უთხარ მუხლ დაყრიოთ: „მიჩვენე, სად ნათობს, სად ენთებისა“?
მან ზითხრა: „ეაჲო, ძნელია ნახეა მის სათუთებისა,
და სხვანი მნათობი მონად ჰყავს, მას ჰყომბენ, მას ენთებისა.
- 14 თუ ნახავ ვიცი უცილოდ გული მსწრაფლ დაგიდნებისა,
შენსა საწაღსა ვერ შოებ სიკვდილა მოგინდებისა,
გასწყურების, გამოგაძებენ, არ ხელში დაგიდნებისა,
და არ დამიჯერებ, მეჯნურებერ საქმე სამ გაგიხდებისა.
- 15 წარბ მონაზევი წაწამი მიჯნურსა გულსა ესობა,
სულა კეკლუცთა შვენება, მას დარჩა უკეთესობა,
უხამს მთვარესა უნდოდეს იმისი უეტესობა,
და მხე ღრუბლით აღარ გამოჩნდა, მას აქესო ზესთა-ზესობა.
- 16 ზილფს ფანჩავს წამწმის ნიავე, წამ-წამად წამონაქროლი,
ლაწეს იქით-აქათ პრწყინვალეს ხან მინა სქვირობს, ხან ბროლი,
კეკლუცაო, შვიბრაღენით თქვენნი მქვერეტელნი შემწრწოლი,
და აღმართეთ, მზემან ვით მდელიო, თოვლისგან წამონაწოლი!
- 17 მთვარე იჯდა ბაკსა შუა, პირი ბადრი მოევანა,
ქვეყნიერსა სიტურფესა სულა მასთან დაევანა,
წარბ შენასკვით გამწყრალიყო, წყეულმც არის ვინცა აენა,
და ჰპატიჟობდეს შინ შესვლასა, მაგრამ ვერვის შეეყვანა.
- 18 მოახსენეს: „მზეო, შუქი მზიარულმან მოაფინე,
ვინ გაწყინა, წამწამთაგან სტყორცე, გულსა დააჩინე,
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი ერთის განით გაგვიჩინე!
და ერთხელ აქათ მოიხედე, სულ მობრძავე მოგვარჩინე“.
- 19 ლხინად ვიჯე, სევდა რამე შემოვარდა გულსა მურად,
ენახე ალვა მორაული უცხოოდ რამ, არ შინაურად,
თქვეს თუ: „არის ზეციერი, ნუ გგონია მანდაურად“
და ამიყოლა ველად გაქრად, ვით გიამბო აბა თუ რად?

- 20 მოეკეკლუცა პირი და ტანი, ლერწამ-სარო ვით,
მზეო, გჯობს, ვფიცავ შენს მზესა, მთვარეო; დაედაო ვით?
და ვინ სანდომია ყოვლთათვის, უქუდაეებისა წყარო ვით.
- 21 მე მარტო ამად არ ვაქებ, ამბობს ყუელანი: „მზეო,
თუ შენ არ გქვრეტდე, წამსაცა თვალნიმცა დამდგომიო,
უშენოდ ჩემს სიცოცხლესა ნუ ეკობ, ნუ გგონიო,
და რად არ გეწყალვი, კუირობენ, ვის ესე გავგონიო?“
- 22 ლომი შამბნარსა სურვილით შენითა გამელდებისა,
მე შენის ტრფიალიბითა სახმილი მომედებისა,
თვალთა ქვირობა მთიების შენებრ სად მოუნდებისა?
და უმართლვ არის მიჯნურნი, ხელობენ, ვინ გიბნდებისა.
- 23 თეთრის ცრემლისა ნამითა სასროლად წამწამ იწება,
ესერის მიჯნურთა უცდურად, გულსა ჰკრავს, არ იმიწება,
გულმან ვის უთხრას ბოროტმან იმასთან სიძვა-ლირწება,
და ვერ-ვინ ეწევა ნებასა, ცუდი დარჩება ბილწება.
- 24 კაცი თუ ეშხან შეიპყრას, მიმოწმეთ: არის წამება,
მას დააჯერებს გუნებას, არ ცრუობს, არ იწამება,
სურის რამ პოოს ნიშანი, მაგრამ მზე არ იწამება,
და მისი ეშხისა თოკებსა შავს ვხედავ, არ ი წამება?
- 25 ბაღს საშუალს კვიპაროზი ლალად იღვა, ამყობდა,
წყარილიყო სხვაგან წასვლად, ბაგე-ვარდი უბტუკობდა,
ხედ ბულბული დასძახოდეს, თვითან უკეთ მუსიკობდა,
და მოშორებით ბრძენნი იხხდეს, ყულა ვინმე მას ამკობდა.
- 26 დევანოსიმ თქუა ენოსით: დავევერი მისის ქებითა,
ვერ შესატყვისად შევამკეთ, მისთვინ გვლევს სხივ-შუქებითა,
ჩვენ კი დაგვალა ქებაშა, სხვაც ბევრი დაუშვრებითა,
და ვერ ვიტყუით სრულად, უკლებად, რა ცუდად არ ვეხსენებთა.
- 27 ვერ მიუღლ სასაუბროდ, ზღუდედ სხივი მოემეგრა,
მას მთიები განთიადას დაენასა, დაეჩაგრა,
სრულ მნათობნი მტრად შეჰქნოდეს, ამად რომე არ ესაგრა,
და შეწყალება არ მალირსა, მისივე ვარ მაშინც მაგრა.
- 28 დილის მთიებსა უღრუბლოდ პირსა ნათელი მოესო,
განცქვიფრდეს მისნი მქვრეტელნი, თქუეს: „ვიცნათ ვინ ამო ესო“
მის სწორს ვარსკულაგსა ეძებდეს ცად, მაგრა ვერ უპოესო,
და მთვარესა ლები აჩნია, მისგან მის შეუპოესო.
- 29 ვარსკულავთა ჯართა შუაზედ სხვა ზევი ამოსულიყო,
მისებრი ნაკეთი, ზრო-ტანი ედემში არსად რგულიყო,
ხენეშსა არას ნდომობდა, ტურფები მისად სულ იყო,
და მიჯნურმან შავი ლახვარი საკულდავად გულს-სულ იყო.
- 30 მარგალიტთა მეპატრონეს კარად ლალი დაეყარა,
მიველ, მინდა მოეყიდა, მიწყინა, არ შემიყარა,
გამოვბრუნდი ნალვლიანი, თითქმის სული გამეყარა,
და გულს დამაკლდა, მინატრია: ნეტამც ჯავრი ამამყარა!

- 31 გალიმდა და გამოუჩნდა, უსასყიდლო უფასობდა,
კბილთ ჯავარი გასქვირობდა, ელვარება უსაობდა,
კულაე სტეორციიდა სხვისა მისსა, ვისაც ჰკრევდა დაასობდა,
და მზემან შუქი მას მიართო, მთეარე ზაკსა მას შესძღნობდა.
- 32 რაზომ ნაზობს იასამან, ვარდს მაგით რა დააკლებდა?
რასაც ყუაგილს გვერდს მოურგავ, საყვდური დაედება,
რა აკოკბდეს, გაიშალოს, წასთან სხვა რა გამოსჩნდება?
და მართალს გეტყვით, მის აშიყსა სხვა არავინ მოუნდება.
- 33 ბაგემან ვარდსა აჯობა, თვალმან ნარგისსა მცინარ სა,
წარბი ესროდა წამწახსა მიჯნურთა გულ საგრგინალსა,
ხმა ისმა საფირონისა, წყაროს თავსა ჯდა მდინარსა,
და განკრთეს, განცქვიფრდეს მქერცტელნი, ამბობენ: „ნეტარ ვინ არსა?“
- 34 ვალიმდა, პირი გაიპო ძოწმა, გამოჩნდეს კბილები,
მარგალიტსა და სადაფსა უქჯობეს, არ ნაკლულები,
მაგას ნუ ექობ ხმა ჰქონდეს ჭულბულსა უფრო ტკბილები,
და საღ უსწავლია, არ ვიცი, ეგზომი მას უსულეები.
- 35 მობუტკო ბაგე ვარდისა, ვით ნამით დაცვარულია,
ბროლ მინა ერთად შეთხზული საჩინო, არ ფარულია,
თვალთქა] უშეგენის ციმციმი, ხანდისხან სამე რულია,
და ნეტოი ვნახო ზე მდგომი, მიჩვენა სიარულია.
- 36 ზილფად ია ჩამოშლოდეს, კულაე სუმბულსა ატანებდეს,
იკრძალოდეს იგი ლალად, ხ,ლს არვისგან იტანებდეს,
ერხეოდეს სანდომადრე, ნაკუთად საროს ატანებდეს,
და სიარულსა შვენეირსა ფერხნი უსულს აატანებდეს.
- 37 ვნახე წალკოტი ყუაგილით სავსე და ფშოდეს სულითა,
ხეზღ მსხმო ანუ ბალახზედ გარ მოკულიყო სულითა,
ერთი ჩნდა მათში ჩვენებით უმჯობეს სხვათ უსულითა,
და იგ შემეყუარდა თვალთა, ცნობითა გულ წასულითა.
- 38 თავს უებროდ დახატულსა თმანი გრძელნი ჩამოშლოდეს,
გავს, რომ ამას შეიყაროს, სხვათ სიტურფე მათ მოშლოდეს,
არას მიკვირს თუ მიჯნური გაეხელოს, ან შემლოდეს,
და მაშ რა ექმნათ საბრალოთა, ვერ შეყრისა მათ მოშლოდეს?
- 39 მკლავს უტხოვრე ჩამოსხმულსა თითნი ბროლი ზედ მოესხა,
მკლავს მე ნაკუთის კუიპაროზი, ზედ ყარყუმე წამოესხა,
სრულ მიჯნურნი გახელებით, სრბით წინაშე მას მოესხა,
და მზე და მთეარე დაჩაგრული იქით-აქეთ გვერდს მოესხა.
- 40 ბროლის ფიქალს მარგალიტნი ორნი ასხდეს ობლად ზედა,
თავზედ ძოწი ჩამოსცმოდა, მარგალიტებს ღრჩეს ქვედა,
არ აჩენდა, დაემალა, პერანგს ხანგსა არა მხედა,
და ძალ წასულნი ეყარინ მოყვე, გმირნი, ან ვინ მხენ და.
- 41 ყელსა მთიებსა ყურითურთ უტურფე რამცალა იყოს?
ერთპირად პირის შევენება შეყრია, არ თუ გაიყოს,
აქ ამას ვერვინ ეღრება, ნუ ცდილობს მხემანცა იყოს,
და თუმცა ბევრი ჰყავს მიჯნური, ხელი არვისი წაიყოს.

- 42 ეკლ-მუხის შავი მშვილდი ბროლას ველზედ მოეხარა,
კულავ გოზები უკუშლოდა. ნახვა მისი გამეხარა,
მელნის ტბასა გარემემო გიშრის სარება გაეხარა,
და ეტლი ამას დაუპყრა, შენ რითა სრპი ვინ მზე ხარა?
- 43 ერთს სანახავად კარგია, ღვინო დგეს თეთრსა მინებსა,
ბაგები უჩნდეს თეთრ ყირძიზ, ნეტარ მას ვინ არ ინებსა! .
რა თასზედ გარდმოესხმოდეს, კაშკაშით გაიციინებსა,
და ვიდრემ ცნობა აქეს შემსმელთა, არავინ დაიძინებსა.
- 44 რა დანაკლულდეს, გამოჩნდეს ვარდისა მსგავსი ბაგები,
შუქი დადგეს და დაშვენდეს, ქვეშ მისი რამე საგები,
სხვაგან ჯდეს ლალი განკუძალვით მაჯნურთა ლახვარ საგები,
და ვინ მიხვალ მისაყურებლად, უცილოდ დაიჯაგები.
- 45 ისმინეთ ჩემი ლექსები ტკბილ, ადრე ნუ დამპაქეთა,
ბრძენთ მომიწონეთ ნათქვამი, უგბილთა განპიქიქეთა,
ჩემ წინ წასრულთა შენდობა იქით თქვით, ჩემი აქეთა,
და ეს არ ვარგეყოს, მანდ სამე, აბა, რუსთველი აქეთა.
- 46 სასაქმო და სასაპართლო სადღა მაქვს, თორ ვინ მიწყინა?
ველარ ვბურთობ, ვერ ვნადირობ, ველარ ვლხინობ, ვით უწინა,
ამის მეტი სხვა ზნეობა ჯერხან ყველა გამიყინა,
და ამად მივჰკავე შაირს ხელი, აშთარხანმან მომაწყინა.

ქება არჩილისა

მხნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარლესულ ძლიერისა,
ხმელ-სამყაროს ეთერთ ბურჯის, ბრძენ სთაადის, შარვანდისა,
ირლიკოს, ლრამმატიკოს, რიტორ, ვარსკულავთ მრიცხველისა,
და თქმული მომწონს მისგან ზრდილსა, არჩილ ცნობა უფსკრულისა.

დიდ-მოურავიანი.

[წასულა მოურავისაგან ხუანთქართან]

- 1 თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წულულო, საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო, მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერდგულო, და აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ, სტამბოლს დაკარგულო.
- 2 ვაი დაგადებ სახლ-სამყოფო. სად კარგო და სად ავებო, შორ გვარ დაერჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ სადავებო, ავჯანდათა სიმაგრენო, მე სად გძრევედი სადავებო? და რამდენს მოგრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სა დავებო!
- 3 ვინ იცის თუ შენ რამდენჯერ მტერი შენი განაბია, რომელიც რომ იწადინი, აღარ მოჰკლი, გან აბია, ლხინობდი და იხარებდი, ხელთ გეჭირის განა ბია, და თუ გავარდი სამყოფთაგან, ქვეყნის სიგრძეს განაბია.
- 4 თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა, რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა, მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა სამარებსა? და სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა.
- 5 ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა აროს, ვინც იყუნათ, ძნელი საქმე მაშინ უყავ, იცითა როს? აწ შეფეთა გაწყრომილმან თაემან ჩემან სითქენ აროს? და მე წავიდე, დავიკარგო, მტერმან ამით გაიხაროს.
- 6 ვინ მამბეზლებს ენა ყბედი, მოაგონდა იმას ის რით, რა მე მეფეს მომაშორებებს, მას დაამცრობს იმა სისრით? ჩემნო მტერნო! თქუენი გადის, რაც რომ გინდათ იმას ისრით, და თუ ჩემიც რამ გავიდოდეს, სცნობთ: რას უზამ იმას ისრით.
- 7 ქართლს მოვავლე გალაგანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა, ჩემად ნაცულად, ჩემს სამკვიდროს, ვინ დაიდგამს ბუდეებსა, ვერ მიფერებს ვერას საქმის, თავსა გაიცუდავებსა, და მეფეს ტყუილს მოახსენებს, უმგზავსოს და მრუდავებსა.
- 8 აქ სხვა სიტყვა შემოვილო, ნუ გამკიცხავთ, მიგდეთ ყური, კაცობასა მოვდგომოდი, გულში მქონდა არვის შური, თუ ქორი ზედ აღარა ზის, კაცს რას არგებს მარტო თური, და ვერ დავსწყვიტე ცრემლთა მილი, თვალთა ჩემთა მონაწური.

- 9 რაც დავსწერე მოზიგონდეთ, განა თუ ვსთქვი საკვებულად, რად მოვკლა ცუდათ თავი, ანუ სიამლი იქცეს ველად, რაღას მარგებს ძოყვარეთა ღაწვი შექნან ცრემლით სველად, და რა ღალატით სიკვდილს ვესწრა, ვინ ჩქმნების ჩემად მშველად.
- 10 სულთან მურად და შაბაზ ერთ ჟამად იყვნეს მჯდომია, ორთავ ვეახელ. გარდაიხდა მათთან ლხინი და ომია, მაპარტივებდეს. მაძლეედეს, რისაც რომ ვიყავ მდომია, და რიტვის ვინ იქს, რაც, რომ ომშია, მე კაცი შემომკვდომია?
- 11 მათი დავსთმე სიტკობება, შენთვის დავსდე თავი სულა, შეილო-პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა, ბედმან მყო რაღა გკადრო, აწ თქმის ჟამი გარდასულა, და სადაური სად მოვკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა!
- 12 რა უქულმა ჩარხი გადრკა, წალმა აღარ დაბრუნდების, რა დავლათი კაცს მიადგა, აღარსაით გაბრუნდების, მე რომ მე მის, თქუენი გული ჩემზე აღარ მობრუნდების, და გზა კანად მაქუს, ჩემი ფეხი დაღმა ველარ ჩაბრუნდების.
- 13 უჩემობით მებრალეები, ვაიმე ქართლო, სუსტობისთვის, გაღავენი დაგეცევა, გადგებიან ზოგნი თუისთვის, ეგ ზომ ჩემი ქირნახული აწ დავაგდო, როგორ სხვისთვის? და ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონდეთ ამა თქმისთვის.
- 14 ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი, შუბი, ლახტი, ხმალი მკვეთი, მით მიყვარდი, ბევრჯელ შევქქენ მტერი შუა განაკვეთი, ამბანავს და მიღმა მბძოლსა ბევრჯელ სადმე მე ვეკეთი, და გავემდიდრე სულა ქართლი, უღონო ვქქენ განაკეთი.
- 15 სად მიუხდი, სად ვებრძოდი, რას მთებს ვიქმნი გარდასული, გცომა და ლხინთა ნახეა, აწ რა იქმნა გარდასული, არ მინდოდა წასახდენად ხორცსა კიდევ გარდა სული, და სისხლს დავღერიდი, ანგელოზნი რომ მომრტყმოდა გარდ ასული.
- 16 თავს ვეტყოდი: ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა წამება, ვინ რჯულს რყინიდინ, გვისუსტებდენ, მათვის მშვილდი აწ ამება, მათგან ბერი დავასუსტე, ავხსნი, ზოგი აწ ამება, და ბოლოს ნახეთ ჩემი ბედი, თუ რა მამხვდა ა წამება.
- 17 მე არ მაკლდა ორღანონი, ბობღანი და წინწილები, ახლა მამბავს ეს სოფელი, უწინ დაჰდვა წინ წილები, კაცობის და სახელისა კარგა მამხვდა წინ წილები, და აწ აეშვით ჩემო მტერნო, ვინ რომ ჩემგან წინ წილ ები.
- 18 რაც რომ მყოლი ვსთქვა სიტყვანი გამკიცხეთ, ნურეინ მაქეფსა, მწაღდა წამება, სისხლთა ღერა, არ თაყვანება მაქეფსა, ბატონს რა ვკადრო, თვარ მტერთა ადრე მოუშლი მაქეფსა, და გამოვსკდი მათსა ძალ-გულსა და თავსა, კარგათ საქეფსა.
- 19 ვის რას ვაბრალებ, ეს ყუელა ჩემი წერა და ბეღია, უღეთით არავ ს არ ძალუც გაწყუიტოს სუსტი მკედია, დავსკადო, კიდევ გამაგრდეს ჩემი ავჯანდის ღვედია, და პატრონზე ხმალი არ გაკვეთს, ამით ვარ უიმედია.

- 20 გული ჩემი სევდით საესე, შტკირებებას გავს ებასა,
მთვარე ბაღრად აღარა ზის, აღარც ელის გავსებასა,
და ქართლის ბალი მოიკრიფა, აღარ ვეჭვებ გავსებასა.
- 21 აჰანამდი სად მკვიდრობდი, თაო, აწ სად ილალები?
გახსოვს თავზედ ჯილა გქონდის, აღმასი და ი ლალები,
შენ და შენნი აზხანაგნი, ზოგ-ზოგები ილ ალები,
და დაიჩაგვრი დანასული, დაილვეი, ილალები.
- 22 სულწქართველთა კარგათ იცით ქვეყნისათვის რა მიქნია,
ოთხგნით მტერი შევაშინე, ზოგი ფუხით გამიქნია,
დუშმანთ გული გაუტეხე, ხლმის ქნვევითა ამიქნია,
და ვერ დაუდევ მეფის წყრომას, რადგან თავი დამიქნია.
- 23 აქამდის მტერთა ვერ მჯაბნეს, იგინი ჩემგან სულ ება,
ზოგთ გაქცეულთა ძივსდევი, ზოგთ აშოვა ზოგი სულება,
მტერს როდეს რიხით შევსძახი, მ.ნ მე ვერ მითხრის სულ ება,
და პატრონსა ვსკვრეტდი ერდგულად, მაზედა მქონდის სულება.
- 24 გული არ მაძლევს უთქმელად, თვარ მწადას დუმილი ბაგისა,
მუდმად სახმილი მედების, ალი მეხვევის დავისა,
მას უხარინან, რი.მელმაც ჩემი დაკარგვა ავისა,
და წაეალ, მივმართო სადგურად, სად თემი ათაბაგისა.
- 25 მას უნდა დიდად გარდაჰხდეს, ვინ ჩემი თავი წაგვარა,
არ მოაგონეს გარჯანი, მე შემსახურა რაგვარა,
ვეჭობ დავაკლდე ბოლოვამ ვინ მე ჯარადამ გამგვარა,
და რადგან მათ დამთქეს, მოყვასნო, თქუნ ჩემი ნურა გაგვა რა.
- 26 მშვიდობით თვისნო მოყვრებო, გამოგესალმო სალამით,
მეგობარნო და შემცნენო, ცრემლი დაქსთხიოთ სა ლამით,
თქუნენ ნუ დაიჩნევთ გაყრასა, გული შემქნია სალ ამით,
და ვინ გაირჯების სიძხნითა, მან შეიღაროს სალა მით.
- 27 ყველას რამ გარგე, თქუნენც იცით. ვირ ვიყავ თქუნენი მკვერტრა,
კარკაცობა და ნაშუსი ვისაც გიქნიათ მეტია,
იგი შემ გზღავს, ვინ მოსეს უძღვანა ნათლის სვეტია,
და გული მწვე ღონობს გაყრასა და თვალნი განარეტია.
- 28 თქუნენსა ვერ ვიტყვი მოყვასნო ძვირსა და ძახვას ამ ვნით,
რადგან მე დავრჩი შორ გვარად, თქუნენ ხელმწიფესა ამენით,
თუ ჩემთვის კარგი ვინმე თქუას, თქუნენცა იყენით ამენით,
და ლხინსა ნახევდით, ღვინოსა თქუნენ მიიღებდით ამენით.
- 29 გაგინდებისთ ქვეყანისა გაწყობა და არიგება,
თქუნენცა იცით ჩემის გარჯის ანგარიში არ იგება,
რაცა დამრჩა უშენონი ჩემგან ახლა არ იგება,
და თუ კაცი კაცს აღარა სკვრეტს, მტრისგან იში არ იგება,
- 30 რად, სოფელო, საუღდამოთ ჩემზედა იქ ას ავსავით,
არ დააცხრო ცთომის გეღმან, კიდევ ენა ასავსავით,
ქირნი ქირსა დამისართა, კვლავ ამიწყო ასავსავით,
და დამიშრიტა ბრწყინვალეობა და ნათელი ასავსავით.

- 31 ჩემს ჰირანხულსა ქართლზედა, მიკვირს, ვერაფერს ხედავსა,
 რაც საქმე შეესძელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუბღდავსა?
 ქართველნი დავხსენ მოსპოლვას, მით მიზმენ ზედი-ზედ ავსა,
 და რა გინდ, რომ თავი ვაწამო, მეტყვიან: „კიდევ ბედავსა!“
- 32 გული მქონდა მტერთ უშიში, გეგონა თუ მიდგა ისო,
 სამსალასა საწდეველსა პირი ჩემი მიდ გაისო,
 გულმან ხელმან, სივლიანმან აწ ლახვარი მიდგა ისო,
 და თქუენ უჩემოთ რასაც შესძლებთ, მეცა ვნახავ, მიდ გაისო
- 33 ლ ხინი, ზმა, სიტყუის გაგონა, მქონდა მუღამად პურობა,
 ამხანავთ კარგ მეგობრობა, მიცემა, დაუშურობა,
 კარგთ კაცთა წყობა, ალერსი, მდიდართა მე უშურობა,
 და ვეპე ზოგს თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა.
- 34 რა ცისკრის ლოცვა გარდასწყდის, ვნახი მფრინველი ცხენია,
 შევჯლი მფრინველთ და ძალლითა, შევექცი ვირ სიცხენია,
 მოვიდი, წირვა ვისმინი, ან ლოცვით ცრემლთა მრცხენია,
 და დავჯლი და ლხინსა ვემოყვის, არ მქონდა სიმარცხენია.
- 35 როს მოვიცალი მტერთავან, მიყვარდა ნადირობანი,
 ვის სამართალს ქვეშ დაუჯდი, მქირს უთვალღებო ბქობანი,
 ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგის კაცსა ცნობანი,
 და დაბალს კაცს ბევრი შეგმატი, არ უყვი დიად მცრობანი.
- 36 სტუმართა სუფრა წინ ედვის მის-მის დროს აულღებელი,
 ვინ დამეთხოვის, წავიდის, არ დარჩის წაულღებელი,
 მომღერალთ ლხინი, თამაში იყუის სულ დაულღებელი,
 და აწ რასთვის ვჰკედები, ამისი მე ვარ კვალ გაულღებელი.
- 37 ქართლში უფროსნი ვინც იყუნეს, ითქმევდეს თავადობასა,
 ყველა მოყვარად მყუეს, ბძანებდეს ჩემს მეგობრობა, ცნობასა,
 მეცა მივდედდი, მომდედდეს, ვიქმოდი კარგსა ძმობასა,
 და ბელსა ვემღურვი და მერმე... ვაი ჩემის დის შობასა.
- 38 ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხლმითა დახსნილია,
 თვარ შეიტყობთ, ამას უკან მტერი ისევ ახსნილია,
 ჩემის ხლმისას ნაშოვრისას გულის პირი წახსნილია,
 და ქვეყნის გზას ხომ ვერ შემიკრავთ, ჩემთვის მაშინც გახსნილია.
- 39 სად წავიდე, სად დავლაზო აწ ქვეყნისა კიდის კიდე?
 დედა წულნი, საუნჯენი წავილო და... რას ავჰკიდე?
 მეფის მტერსა მე რამდენჯერ გულ მესისხლედ წავიკიდე,
 და ვადა რყეულს ხმალს ნუ ავღებ, თაო, ხელი კიდევ ჰკიდე.
- 40 სად მეგონა დამკვიდრება, აწ სადით ვარ განაქერით,
 მეფეს ტკბილად ველარ ვნახავ, თვარ არ ვრიდობ განა ქერით,
 ვის მომწივენ, შეიქნების გააკეთილ და განაქერით,
 და ბილო კრულო, უკულმართო, თავი ჩემი განაქე რით?

ა. წიგნი სიბრძნე სიცრუვისა

გლახაკის სიზმარი

გლახაკი ვინმე იყო უპოვარი ყოვლისაგან ნიეთისა. ეზმანა მას: სამოცი ცხოვარი ყვა და ენება გასყიდვა. მოვიდა კაცი ერთი და მოსცა თვითოსათვის ხუთ-ხუთი აბაზი. ცხოვარისა პატრონმან ექვს-ექვსი აბაზი სახოვა. შეცილებასა ზედა გაელვიდა კაცსა მას და სინანული იწყო. თვალი ეგრეთვე დაიხუჭნა და ხელი მიუღო ვაქარსა: „ორ-ოლი აბაზი მომეცო და მოგცემო“. ან ვინლა მისცემდა ვერცხლსა, ანუ ვისლა მიყიდლა?—ესრეთ არს ყოველივე ზმანება.

ბრმა მეფე და მხატვარი

მეფე ლავდიკისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვარისასა. უბრძანა: „მინდა მსგზავსი ჩემი ხატი დამიხატო“. თქვა გულსა შინა მხატვარმან: „აჰა მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო; თუ ბრმა დაფხატო მომკლეს, ვითა მკადრეო და თუმცა ორთვალი, მომკლავს, როდის არს მსგზავსი ჩემიო“. მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, მას ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმესა მიზეზი ვერ უპოვა და მორჩა მხატვარი იგი.

მამალი და ძალლი სოფელს აშენებენ

ერთი ძალლი და ერთი მამალი დამშობილდენ: სოფელი ავაშენოთო. ძალლმან უთხრა: „როგორ ავაშენოთო?“—მამალმან უთხრა: „შენ იყეფე, მე ვიყვილეფ და აშენდებო“. წავიდნენ ტყეში. ძალლმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ზეზე შეჯდა, ყვილი დაიწყო. მელას ხმა ესმა, მოვიდა, მამალსა კითხა: „მანდ რასა იქო?“ მამალმან უთხრა: „სოფელს ავაშენებოთო“.—მელმან უთხრა: „ჩამოდი, სახლის ალაგი მამიზომეო“. მამალმან უთხრა: „მამასახლისი მანდა წევსო, გააღვიძე, ეგ მოგიზომსო“. მელი მანლის ნდომითსცთა და ველარა გაიგო რა, ძალლთან მივიდა და მამასახლისობით უხმო: „ადე, სახლის ალაგი მინდაო“. წამოდგა ძალლი, მელს გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. წავიდა გაგლეჯილი, ნათრევი. გორაზედ წამოდგა, დაუძახა: „მე ხომ ჩემი კულისა დამემართაო და თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყოთო“.

პატივმოყვარე დათვი

ერთი კაცი და ერთი დათვი დამშობილდენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა და მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცინა. და თავისათვის, მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: „პირ მყრალს სტუმარს ვერ ეეწყობიო“. წავიდა დათვი და მერმე ეს კა-

ცი ეწვია და თან ცული წაიღო, მით შესას დავეკოდ და წამოვიღებო. მოვიდა დათვი და, რაც მათ ეფერებოდა, იმ გვარად იალერსეს. მერვე დათვმან დაუქინა: „თავზედ ერთი ცული დამკარ და დამკოდო“. მან კაცმან უარა თქვა. დათვი არ მოეშვა, დაკარა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წაივინდა და კაცი შინ წამოვიდა. მეროვს თვეს შეიყარანენ, დათვს თავი გამთელბიძო. დათვმან უთხრა: „ძმარ, შენის ცულით დაკოდელი თავი გამიმთელდაო და შენის ცოლის ენით დაკოდელი გული არაო“.

ქოსა და ყადი

ერთი ქოსა იყო ერთსა სოფელსა შინა დიად გლახაკი და ერთი უსხი ყვა მსუქანი და უთხრა ცოლსა: „უსხსა ამას გავეყიდი, ეგების შენთვის და ჩემთვის სამოსელი ვიყიდო“. წაიყვანა უსხი ქალაქად, სხვა ქოსა შემოეყარა, ევაქრა და სამი მარჩილი აძლივა. ამან ოთხად დაუყვანა. ვერ შერიგდენ. წავიდა იგი მოქალაქე ქოსა, ბაზრები დაირბინა, ყველა ყასაბს უთხრა: „ერთს ქოსას უსხი ქამებული მოყავს გასყიდვად და ყველამ უთხარით: „თხა არის და თხის ფასად ვიყიდითო“. მივიდა ყადიც გაანდო და ტყავი ყადს უქადა. რა ეს ზროხის პატრონი ქოსა მავაელი ნახეს, ყოველმან ყასაბმან ნახევარ მარჩილი აძლიეს: „ეგ თხა მომყიდო“. იწყინა ქოსამ და უთხრა: „აქლემის ოდენს უსხს თხის ფასად ვაქრობთო“. მათ თქვეს: „თხა არის“. შეცილებაზედ წავიდნენ ყადთან კითხვად. ყადმანც თხოვა ბრძანა, მასცა საქალამნე რეგობდა. და ქოსას ვინლა რას აუბნებდა? ნახევარი მარჩილი მისცეს და უსხა წაართვეს და დაკუსეს. გულ მტკივნეულმან ქოსამ თქვა: „თხის პატრონს ალარც თხის კულიო. მაგისი კული აგრემც მამიკითო“. კული გამართო და წავიდა. გამოხდა ცოტა ხანი, ყადს ცოლი მოუქია. ესმა ქოსას, გაჰოართვა ცოლს ლეჩაჰი და ტანსაცმელი, დედაბრივ მოუკახმა და ზროხის კული მოქნილი შიგნით შემოირტყა და მოვიდა ყადის კარზედ. გამოვიდა ყადი, დიაცი ნახა, მოჩივარი ეგონა. მან ეგრე მოახსენა: „მე არა მოჩივარი ვარ, ქერივი უპატრონო დავრჩი და ვინც შემინახავს—ემსახურებო. ყადს დიდად იამა დედაკაცი ალარ ყვანდა. შეიყვანა, მონათ უთხრა: ამას ღამ წადით, თავ-თავისად მოისვენეთო. მისთან დაწოლა ენება. დიაცმან რა თავი დაიხელთა ყადს ეგრე უთხრა: „თუცა სრულად არ გაშიშვლდები, ჩემთან ვერ დაგაწვენო, ეგრე ჩვეულ ვარო“. მოტყუვდა ყადი, გაშიშვლდა. მან ზროხის კული მოიხსნა, უთხრა ყადს. „ეს რის კული არისო?“—ყადმან უთხრა: „ზროხისა არისო“. ქოსამ უთხრა: „მამ თხათ რათ გამასყიდვინეო?“ დასცა ქვე ტიტველი ყადი, ეგოდენი სცა კულით, მკედარსა დაამსგავსა. მსახურნი შორს იყვნეს. და მეშველი დაუძვირდა, ქოსამ კარი გამოიარა და წავიდა. მსახურთ იდროეს, გათენდა და მოვიდნენ. ყადი არ გამოვიდა. შევიდნენ, ნახეს: ყადი გასიებული იღვა, დიაცი ალარ ახლდა. ყადი ძლივ სულობას მოაბრუნეს, ყოველი ყოფილი შეიტყვეს.

რა მოკეთდა აბანოში შესვლა მოინება და ზეთები სამკურნალოთ, ნაცემთა დაზღელა. შეიტყო ქოსამ, მეაბანოესთან მივიდა და უთხრა: „დიად ხელმარჯვე და მკურნალი დალაქი ვარ და აქ მიმსახურეო“. იამა მეაბანოეს და ეგრე უთხრა: „თურე ბედნიერი ხარ, დღეს ყადიც აქ მობრძანდებო“. არდაგს შიგნით ზროხის კული შემოირტყა, მუნ დადგა. ყადი მივიდა, დია კარგა სამსახური დაუწყა. იამა ყადსა და დაზღელა უბრძანა. დალაქმან ქოსამ მსახურთ ეგრე უთხრა: „ზელას დაუწყებ, ტან მტკივანია, კენესას და ზახილს იწყებს და ნურავინ შემოხვალთ, თუ უნებს რაჟი, მე გამოვალ და გეტყვი“. მონანი გაიტყუა, წაქცა კარი და ქოსამ კული გამოიძრო. ყადს კითხა: „რისა არისო?“—ეხვეწებოდა ყადი და ეფიცებოდა მრავალს მიცემასა, მაგრამ ქოსა არ მოეშვა. ამდონი სცა, სიკვდილზედ მიყენა. გამოვიდა, მონათ უთხრა: „დამიზელია, ახლა კი სძინავს, ნუ

შეხვალთ, ძილი არ გაუტყროთ, მე კიდევ წამლის მოსატანათ მივალო“. ჩაიკვა ტანსა და წავიდა ქოსა თავის გზას. რა მონათა იღროეს და შევიდნენ, ნახეს ყალი ავით დახელილი და დანაყილი და გასივებული დახელის ნაცვლად. აიღეს, ხირაულით შინ წაიღეს და მუნ დააწვინეს; სულობას მოვიდა, თქვა: „მე ამ ქოსას აქ ვეღარ დაუდგები, ფათურაკს კიდევ გამაბანს. აქლემები იქირავეთ, ქაბას წავალო“. რა აქლემების თხოვნა დაიწყეს, ქოსამ მეაქლემეს ფასი მისცა საძის ღღის პირ ბით. აქლემები ყადის კარს ჩაატარა, იკითხეს აქლემები და მან უთხრა: „ვინც იქირავეს, კაცს ვეძებო“. იამა ყადს მოასხეს, იქირავეს. ყადი კუბოში ჩასვეს. აქლემს აკიდა და წამოვიდნენ თავისი ქონებით, ყველა თან წაიღო. მეაქლემე ქოსა გზა-გზა კარგს ზოპარებს ეტყოდა და ყადს ღიდად იამებოდა. მოხათ უბრძანა ყადმან: „წინ წადით, სოფლად სადგომი, ქერი, ბზე და ნუზლი მოამზადეთ და მე და მეაქლემე ნელიად წამოვალთო“. რა ივინი გაშორდნენ, ქოსა ზოპარად მოყვა, რაც მას და ყადს გარდახედოდათ. ყადმან უთხრა: „მე ბევრჯელ მასმია, სხვა მიანბეო და სხვა სთქვიო“. ქოსამ თქვა: „მე ეს მწვეკე გოულა, ამას ვიტყვიო, სხვა რას ჰეიანო!“ ჩამოავლო აქლემიდამ, ამდონი სცა ძროხის კულით, რომ სული ამოხადა. გამოზრუნდა, აქლემები პატრონს მოუსხა და ურდავი ქონება თავისთვის წაიღო. ცოლმან კითხა: „ვინ მოგცაო?—და ქოსამ უთხრა: „ჩემი უხხის ფასიაო“.

ძალა ერთობაშია

მეფე ვინმე იყო ღიდებული. ოცდა ათი ვაჟი ყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისი, მოუწოდა ძეთა თავისთა, მოაღებინა ოცდა ათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოხიდა რათა გატეხოს. და ვ. რ გატეხა. მეზე თითო-თითო მოხიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შეილთა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ვერ ვერ გაგტეხსთ, ვათ მე წელან შეკრული ისარი ვერ გაგტეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითო დაგლეწოსთ მტერმან, თავიც მოსთხაროთ და მოყვარეცაო“.

მგელი და ვირი

ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეკმას ლამოდა. ვირმან უთხრა: „ვიცი შემქმამ და ეს ანდერძი აღმისრული, ქაჩაში ლურსმნის ხატები დამრჩა და იგი აღმოიღეო“. მგელმან პირი მიყო, უნდა ამოეღო. ვირმან წიხლი კრა, კბილები დაამტვრია მგელსა. ვირი ველარ შექამა მგელმან, თქვა: „მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო!“

მტარვალე გზირი

ლარჯეთისა თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მისი. შეაწუხა იგი სოფელი და სრულად ააოხრა. და შოიგონის მიზეხი, უთხრის თათართა და მრავალი ვერცხლი წაართმევინის. მოვიდა ღლე გზირის სიკვდილისა, მოიხმო სოფლის კაცნი და ვერე უთხრა: „მე თქვენთვის ბევრი შემიკოდებია, რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა. გაფიცებთ ღმერთსა, რომ მოკვდე თოკი ყელს მოსაბით, გაძათირეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ“. რა მოკვდა სტენი კაცნი იგი და რაც უთხრა ყველა ყვეს. ნახა ვინმე თათარმან გზირი ხეზედ კიდებული, წავიდა ყადს უთხრა: „ჩვენი გზირი დაუჩვიათო“, გამოუსიევს კაცი სოფელსა მას, ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა: ცოცხალმან მოგვთხარა და მკედარმან აღგვაოხრათ.

ბაღდადელი მეხილე და მწყემსი

ბაღდადის ქალაქსა წესი იყო, რა მეხილესთან კაცი მივიდის და ორი ფული მისცის, რაც ენების ეგოდენი ხურმა შექამის. თურმე ერთი მწყემსი მივიდა, ორი ფული მისცა, დაჯდა და ქამა დაუწყაო. მეხილემ უთხრა: „ძმაო, ბევრს ნუ შვამ გულს დაგვავასო“. მწყემსმან უთხრა: „შენ ნუ იურვი, ვისცა გული დაეწვის შე ვიცოო“.

მკალავი და ვირი

ერთი მკალავი იყო, ვირს საფეკავი აკიდა, წისქვილში წავიდა, დაფეკვა, გამობრუნდა. გზაზედ ვირი დაუდგა. რა ველარ დაძრა, დალონდა. ჯიბეში ნიშადური ედვა, ქვაზედ დანაყა და ვირს ტრაკზედ მოსცხო, ეგება დასწვას, დააჩქაროს. რა ნიშადური მოსცხო, ვირი ესეთი გაიქცა, მკალავი ველარ მოეწია. დალონდა: ვირი არსად გარდამეჭრას და არ დაეკარგოო. ცოტა ნიშადური თითონც ამოისევა ტრაქსა, ეგების ვირს მივეწიოო. ასე გაშმაგდა მკალავი, ვარსაც გაუწყრო, სოფელი და თვისი სახლიც გაირბინა, ცოლს მისძახა: „ჩემი ნიშადური ცხარი იყო, მე ველარ დავმდგარეარო და ვირს ეპატრონეო“.

ორი ამხანაგი და დათვი

ორნი ამხანაგნი ნადირობდენ. ხევი იყო და ხევის გაღმა-გამოღმა რონინებდეს. ერთს ამხანაგს დათვი შეეკიდა, ქვეშ ჩაიდვა. მეორემ ამხანაგმან უყვილა: „გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიციანო“. მან დაუძახა: „დათვი არ მიშეგბს, თეაო მე წელანვე გაუშვებლიო“.

ძველთაგან მტერი

იყვნენ ორნი მომტერენი. არ იქნა, ვერა დააკლორა მან კაცმან მას მტერსა. გამოხდა ხანი, დამოყვრდენ და ღიდად გაეწყვენენ. წავიდნენ გზასა და ოთხნი ამხანაგნი სხვა გაიტანეს. მივიდნენ ერთის კაცის სახლში და დადგნენ. ეს სტუმრები გამოღმართ დაწვენენ და სახლის პატრონი მისის ცოლით ვაღმართ დაწვა. რა ცეცხლი დაწელდა, აიპარა ეს კაცი და მას დიაცთან განსკენება მოინება. დიაცმან დაიძახა, ქმარი წამოაყენა. კაცი იგი გაიპარა და მუწევე თავის ლოგინში ჩაწვა. ადგა სახლის პატრონი, მივიდა, ეს სტუმრები დაჩხრიკა, გულში ყველას ხელი ჩაუყო; ბნელა იყო, სხვით ვერათი იცნა და შემცოდეს გული უძგერდა. ზედ ქული ნიშნათ დაადვა, ცეცხლს დაეანოებ და ამ კაცს ეცნობო. იგი კაცი ვირემ ცეცხლს აანთებდა, მანამ კაცმან ქული თავისაგან აიღო და მას, ძველთაგან მტერს და ახალს მოყვარეს, დაადვა. მას გულით ეძინა, ვერა შეიგნა რა. ცეცხლი აანთო, ნახა ამ საბრალო უბრალო კაცს ქული აძიგეს. მან მისი უბრალობა რა იცოდა? შემცოდე იგი ეგონა, დაკრა თავში ცული და მოკლა უბრალო, დაუნაშავებელი კაცი.

ნატვრა და სინამდვილე

ერთი გლახაკი კაცი თავის სახლში იჯდა და ინატრა: „ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცო და თუ ან ერთი აკლია არ ვინდომებო“. ერთი მდიდარი კაცი იყო და იქის ბანზე იარებოდა, მან გაიგონა და თქვა: „მივიტანო და გა-

მოვსცადო კაცო ესე თუ რას იქსოა. წავიდა, ხუთასი მარჩილი წაიღო და ათი მარჩილი დააკლო, დაბეჭდა და ბანილამ ჩაუვლო. დათვალა კაცმან მან და ათი მარჩილი აკლდა, თქვა: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ ერთი მარჩილიც გებოძა იმასაც დავიმადლებდი, არამც თუ ეს დაგამწყრალო“. ჩამოვიდა იგი მდიდარი კაცი და უთხრა: „ჩემია, გამოვცადე, მომეც წავილო“. მან შორს დაუქირა: „შენთვის არ მითხოვნია, ღმერთსა ვთხოვე და მომცაო“. შეიცილნენ და ყაღთან საჩივლელად წავიდნენ. მან გლახამ უთხრა: „მე არა მაკვია რა და შენ კარგათ მორთული ხარ, ეგ შენი ტყავ-კაბა მათხოვე და წამოვალო“. მან კაცმან იმთენს სიკეთეზე ისიც დამატა, ათხოვა. ჩაიცვა და წავიდნენ, ყაღთან იჩიულეს. მერმე მან გლახაკმან თქვა: „ეგ ასეთი მაცილებელი კაცია, თუ ამ ტყავ-კაბასაც არ შემამეცილებს, ნახავო“. მან კაცმან უთხრა: „ახლა არ გათხოვეო?“—ამაზედ ყადი გაწყრა, მრავალი ჯოხი კრეს. მდიდარი კაცი გააძეს. ასრე კარგის პასუხი უყო; კიდეც გატარცვა და კიდეც ათრეინა. კარგისათვის კარგი ვის უქნია?

მწვეარნი და მელა

ორნი მწვეარნი ნადირობას დადიოდნენ; ერთს მინდორში ნახეს მელს თაგვი შეუპყრია და ხან გაუშვებს და ხან დაიჭერს და ხან ჰაერში შეაგდებს, ათამაშებს. მოვიდნენ და მელი შეიპყრეს მიპარვით. უთხრა მელმან მწვეარებს: „ჩემნი დღენი ხომ მოვიდა, ღმერთმან ჩემი თავი თქვენ მოგკათ, სადღა წავივალთ? ამ მინდორს ხედავთ, ამდონი შემიხვეწით, თქვენც იცით როგორ ჩემი გვარი თავის მტერია. გამიშვით, ერთი თავგი დავიქირო, ვათამაშო და მერე რაც გინდა მიყავითო“. დატყუდნენ მწვეარები. გაუშვეს მელი. მელამ თავგი დაიქირა, ათამაშა, შეაგდო და დაიქირა. ხან აქათ ათამაშა, ხან იქით. თურმე ახლოს სორო ჰონდა და თავგი სოროსკენ გარდაიგდო, ირბინა და შიგსოროში შევარდა. მოუსხდნენ მწვეარები და უთხრეს: „მელო, გამოდი, ერთი თავგი კიდეც ათამაშე, ის ხომ დიდად გიყვარსო და მერმე შედიო“. მელამ უთხრა: „მარმან რაც ვითამაშე ისიც მიმძის, არამც თუ ახლა გამოვიდე და ვითამაშო“.

გონიერი ვირი და უგუნური მეპატრონე

ერთი გლახაკი კაცი იყო, ერთი მკლე ვირი ყვანდა. გაიპარა ვირი, წავიდა მთაში გასასტუმრად. გასუქებული მუნვე პატრონთან მოვიდა, იამა პატრონს დიდად და ცოლს უთხრა: „საფქვაგი გააკეთე, ავკილოთ, წაილე წისქვილში, დაფქვიო“. ცოლმან უთხრა: „თუ ჩვენს ვირს ამდონი ტყუა და გონება ქონდა, მთაში მკლე წავიდა, გასუქდა და მოვიდა, მავას როგორ ვერ იქს, უკაცოდ დაფქვას და მოიტანოსო“. დაუჯგრა ცოლს, ვირს ჯოხი დაქრა და ვირი გააძო. და წავიდა ვირი, ვინცალა კაცმან წაიყვანა, ვინ იცის? გამოხდა ერთი კვირა, ვირი აღარ მოვიდა. წავიდა ვირის პატრონი, მივიდა, მეწისქვილეს კითხა: „ვირი გამოვგზავნე შენთან საფქვაგითა და რა იქნაო?“—მან კითხა: „ვინ გამოატანეო?“—ვირის პატრონმან უთხრა: „ჩემი ვირი ასე უკვიანი იყო, კაცი არ უნდოდაო“. იგი მეწისქვილე ხრიკიანი რამ იყო, მის კაცის სიბრიყვე შეიგნა. მის ზემო ერთი ქოსა მეწისქვილე იყო, დია ეშმაკი, მისთან მისაწავლა: „აქ ჯევი არ ერგო და მასთან გაეგზავნეო“. იცოდა, რომ ის ისეთს ტყუილს ეტყუოდა. მივიდა მას ქოსა მეწისქვილესთან, ყველა უანზო. მან ქოსამ ასე უთხრა: „აქ მოვიდა დაფქვა, მე ისე უკვიანი და გონიერი ვირი არ მინახავს; ერთი შავი ჯოროსანი, ოქროთ აკაზმული, კაცი მოვიდოდა, მისი ჯორი თქვილით იყიდა შენმან ვირმან, ზედ შეგდა, ზანგანს ჩავიდა, მუნებურ ყადი მომკვდარიყო და ყაღად შენი ვირი დასვეს, იქ მონახე“. მან ქოსამ იცოდა, მუნებური ყადი შავს, ოქროთ აკა-

ზღულს, ჯორს ზის. წაშრიკალთავა ვირ ის პატრონმა და ზანგანს წავიდა: ნახა ყადი შავი ჯორს ზის, ოქროთ აჯაზმულს. მის ქოსას მეწისქვილის სიტყვა ენიშნა, შავი ჯორი იყო. მივიდა, უთხრა ყადს: „მე ვერ მიცნობო?“ — ყადი რას იცნობდა? პასუხი არ გასცა. მერხე უთხრა: „ჩემი ვ რი ხარ, რად აგრე მალე გამპარტავენეულ ხარო?“ რა ეს ისმინა, მრავალი აცემინა, თავი გაუტეხს და გააძეს. რა ყადი ტარულასთან მივიდა, მოვიდა იგი კაცი და იხიელა: „ეგ ჩემი ვირია, საფქველი მაგ ჯორში თიუცია, გამამეპარა და აქ ყადათ დამჯდარა“. ყადმა თქვა „ვერაგინ მიცნობთ? დამა-პაპანი ჩემნი აქ დაბეგრებულან, რათ არ გააძებთ მაგ კაცსაო?“ — მან კაცმან ასე თქვა: „როსამართლენო, ეგ ყადი ნახეთ, ჩემს ვირს შიგნით ბარკლებზე ორგნითვე დალი აზის, თუ ეს ნიშანი ქონდეს ჩემი ვირია, მე მამეციოთ, თუ არა და ვტუთვიო“. ყადს თურმე ქარი სჭირდა და ორსვე ბარკალზე შიგნით დღუტეხი დაეცხა. რა ნიფხავი ჩახადეს, ნიშანი ნახეს, გამბრუყვდა ყადი, სამართლით მისი ვირი შეიქნა, მისცეს მას კაცსა. მან კაცთან უთხრა: „შენ ის ვირი არა ხარ ეთაში გამეპარე, გასუკელი და მოხველ, და ახლა აქ მოსულხარ და ყადათ ზიხარ? როდის დაგეკარგედიო!“ მერმე მან, ყადმან უთხრა: ხეყნით „შენც იცი რასაც რეგვიზობით არ მელაყები, ჩემთან შენ ხელი არა გაქვს, მაგრამ რა ვენა? ამ ჯორს თავისის აჯაზმულობით მოგცემ, შენს ვირს ხომ ესე სჯობს და ნულარ მარცხენი“. იისცა ქრთამათ ჯორი ოქროს აკახ: ულონით. და მან კაცმან კიდევ დავება დაუწყო: „ეს ჯორი ჩემის ფქვილით გვიღობა, შენ ჩემი ვირი ხარო“. დალონდა: „რას გარდავიკიდე მე ამ კაცსაო?“ — და სხვა ღონე ველარა ქნა რა და ასი ფლურიც თავის თავში მისცა. და შეჯდა ჯორსა ოქროთ აჯაზმულსა და წამოვიდა კაცი იგი.

დალღეტილი ვირი და კაქკაქი

ერთი კაცი იყო, ერთი დალღეტილი ვირი ყვანდა. წაიყვანა ვირი და საძოვარუხედ დაბაბ, თვითვე მღრმა დაჯდა და ყურება დაუწყო. მოვიდა კაქკაქი, შეაჯდა, დამპალს ხორცს გლეჯა დაუწყო. ვირი დაბეული იყო, ვერ აეშა და ტლინკვა დაიწყო. რამდენჯერ ვირი ტლინკს შეყრიდა, კაცი, მისი პატრონი, სიცილით ბნდებოდა. ტყიდამ ერთი შგელი უყურებდა და თქვა: „მე თუ მას ვირთან მნახვენ, ამ სოფლის კაცი და ძალი სრულობით მე გამომეკიდებიან და აგერ ვირი კაქკაქებმა ლამის შექამონ და პატრონი ხარობსო“.

მამის ანდერძის დამრღვეველი

იყო მეფე ერთი და. რა მოიწია დღე სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძესა თვისსა და უთხრა: „სხვა ანდერძს არას გეტყვი, ოღონ ეს ათაო: ქოსა კაცი შენს საბრძანებელში ნუ გინდაო“. მოკვდა მეფე და გამეფდა მისი ძე. ასრე სძულდა ქოსა კაცი, მის სახელს ვერაგინ ახსენებდა. დღესა ერთსა ერთმან ქოსამ ყვაილი მოუძღვნა, იწყინა, მიუშვა ხელარგოსანი კაცი, ევოღენი კრეს, შ. ზღდა. შეეცოდა მტფესა და თქვა: „ნუ ეოჯღათ, ბრალია, ერთს სანღში შეიყვანეთ, ეგება არ მოკვდეს და გააძეთო“. მზარეულთ უხუცესმა წაიყვანა. ქოსა ეძმაკობით იქმონდა, მორჩა, ასეთი საკმლის კეთება დაიწყო, მეფე მის მეტს აღარას სქამდა. შეუყვარდა მზარეულთ უხუცესს და აპატივა. დაიწყო ამხანაგეაში ქადრაკის მღერა და ასეთი არაგინ განოჩნდა, მისთვის იჯობა. ესმა ვეზირს, დია უყვარდა ქადრაკის მღერა და კარგაც იყოდა, მიიყვანა ვეზირმან, მღერა დაუწყო, მასცა აჯობა. მის ქოსისა ქება მედემდინ მიაწია, მიაყვინა მეფემან, ვეზირსა და აას ანღერა, აჯობა ვეზირსა და დიდად შეუვიდა მეფესა. გამობდა ხანი, მას ვეზირსა ვეზირობა წაართო და ქოსას მისცა. ესეთი ყმა შეიქნა ქოსა.

მის გარდაუებას ვერას იქმნოდა მეფე. მოუხდა მტერი, ველარ გაუმავარდა. რაც ეზიდებოდა ორს ცხენს, თვალ-მარგალიტი აკიდა. ერთზე თვით შეჯდა, ერთზე ქოსა ვეზირი შესვა და გარდაიხვეწნენ. მივიდნენ სხვას სამეფოსა, ვეზირმან-ქოსამ ურჩია: „შენ ყრმა კაცი ხარ და მე ხანდაზნული ვარ, აქ რომ შენ პატრონობა სთქვა და მე ყმობა, არამც სირცხვილი იყოსო და პატივი არ დაგვედვანო; თუ დაიჯერებ, შენ ჩემი ყმობა თქვი და მე შენს პატრონობას ვიტყვიო“. მეფემ უთხრა: „გეგეც აგრე იყოს; რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარე-სიმც დაებართებო“.

ყასაბი და ნისიათ მოვაჭრე

ერთი კაცი მივიდა ყასაბიან, უთხრა: „ძმაო ფასი მზას არა მაქვს, ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასსა მოგცემო“. ყასაბმან უთხრა: „შენ არ გეკადრება სისხლიანი ხორცი გეპყრას და მახვილოდუ, სადგომს მიდი, ერთის მონის ხელით შენის თმის ბეწვი გამოგიგზავნე, ვინიშნებ და გამოგიგზავნიო“.

წავიდა კაცი იგი და ერთის მონის ხელით თმის ბეწვი გამოუგზავნა ნიშნად: „[აჰა] ბეწვი და ხორცი გთხოვიაო“. ყასაბმან უთხრა: „ვაეო, თვით აქ იყო, წვერიც და ულვაშიც ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცობნი არ ვაქამე, ახლა ერთის ბალნით ბევრი რათ გაუგზავნიო“.

მძოვრი და ძაღლები

ერთი მძორი იღვა ალაგსა ერთსა და შვიდი-რვა ძაღლი ეხეივნენ, სქამდეს მძოვრსა და იღრინებოდნენ და შულლობდნენ და კბენდნენ ერთმანერთსა. ნახეს მგელი მომავალი. მათი შულლი, ღრენა და კბენა გაუშვეს და ყოველთა ერთად შეუტყეს და მგელი გააძეს. მოიქცნენ და მასვე მძორზე შულლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ნახევდნენ, მას ერთპირ გაუხდიან და მერძე აგრევე შულლობდიან.

ორი კურდღლის მამებარი ვერც ერთს დაიჭერსო

ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ქამა ენება. იხვი ეგრევე უნებელი, ცოცხალი ეპყრა. ზევიდამ მონადირისაგან შეშინებულმან ერთმან კაკაბმან ჩამოურა, ქორი წაუტანა, ამასაც დაეიჭერო, იგი იხვიც ქანგიდამ დაეხსნა და წაუვიდა, ველარც კაკაბს მოეწია და მეორეც დაეიჭრა და წავიდა.

სამკვიდროს ჯიუტი მოყვარული

ერთს მთაში მონცროს წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო, მივიდა ერთი იხვი და ჩაჯდა და იყოფებოდა. ერთი მყვარი დაემოხილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუშატა, წყალმა კლება შექნა. იხვმან უთხრა მყვარსა: „მოდი, ადგილი ვიცვალათო“. მყვარმა უთხრა: „შენ აქა-იქ თრევას ჩეველხარ, მე სამკვიდროს ვერ დაუტყებო“. იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო იქ მივიდა. მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა. ცოტა ხანს უკან იხვმან თქვა: „წავალ, ჩემს ძმობილს ენახავ რასა იქსო“. მივიდა, ნახა: გუბე გამზარაიყო, მყვარი მომკვდარაიყო. უთხრა: „ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემულად სიარული სჯობნებიაო“.

ბაღდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო და კაის ცხენს ძვირფასათ იყიდა. დევიარდა ამისი ხმა. ერთმან არაბმან ერთი ცხენი მოიყვანა, ორი ათას მარჩილად დაათვასა, ხალიფამ მაშინვე მოუტანინა. მან არაბმან უთხრა: „ერთს ძაძაშიჩამიყარეთო, თვარე რით წავილო?“ — ჩაუყარეს და მისცეს. უცნაურად ხელი მოკრა არაბმან ვერცხლს, გარდაიკიდა, ცხენს შეჯდა, გააქენა. ცხენით გამოუღდგენ სულ ხალიფას ჯარი კაის ცხენებითა, გზა და კვალი ველარა ვაიგეს რა, მობრუნდნენ დაღონებულნი.

მესამეს დღეს არაბი მოვიდა, ცხენი მოიყვანა; კითხეს: „რატომ ქენიო?“ — მან მოახსენა: „შორს ვიდევ, საკიდარი არა მყვანდა რა; ვეცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი, წავილე და ახლა ცხენი მომიყვანია“. მერმე უთხრა: „ვინლა მოგდევდა და გიცნობდაო, ცხენი რადლა მოგყვანდაო?“ მან გაიციინა და უპირობა უხრაბა: „კარგის პასუხად ეგ მექნა, ღმერთი რას კაის მიზემდაო?“.

მოხერხებული ქაბუკი და მეკობრენი

ერთი კაცი, კარგი ქაბუკი, მოვიდოდა და ხმალიც კარგი ერტყა, ყოველი საჭურველი კარგი ქონდა. ცოლი თან მოყვანდა, დია ლამაზი და კარგი ქალი. ვაიარა გზა და მიხვდა ადგილსა სამეკობროსა. ხუთნი ამხანაგნი იდგნენ და ბეგერს კაცს აზიანებდნენ. იგი კაცი ქაბუკი უცნაური იყო და უფიქროთ მივიდოდა. ვირემდინ ხელი არ სტაცეს, ვერა შეიღყო რა. გაძარცვეს, ხელი შეუქრეს და წაიყვანეს. ერთს მათგანს, ამხანაგს, მისი ხმალი თურე მოეწონა. მალვით უთხრა: „ამ შენს საქრველს და სხვა ქონებას შენ გაგაყოფინებ, შენი ხმალი წილად მე მოზახვედრე და შენა ცოლს მოგცემ და გაგიშვებო“. მან კაცმან ფიცი მისცა: „თუ მე ვამაყოფინებ, ჩემს ხმალს შენ მოგახვედრეფო“. წაიყვანეს. ერთს სამზირალს ალაგას ციხე იდგა, მუნ დაესადგურათ. ათი კაცი სხვა მხარე შეკრული იდგა და ნაძარცვი აუარებელი. მან ვანდობილმან ამხანაგმან თქვა: „ეს დღევანდელი კაცი სულის კაცსა გავს და მოდი ამას გაგაყოფინოთო“. ნება დართვეს სხვათაცა და ხელი გაუხსნეს. დაუწყო ყოფა მან კაცმან და ერთ წილად ერთი ფარდაგი დადგა და ზედ შიშველი თვისი ხმალი. ანაზად დაავლო ხელი, უწინ რომელსაც ხმალი უქადა სცა მას და მოკლა, ერთი სხვა მოკლა, სამნი გაიქნენ. მუნ ხელ დაკრულნი კაცნი დახსნა, ხმლეული მისცა, გამოუღდგნენ და ის სამნიც დახოცეს. მან კაცმან თავისი ცოლი წაიყვანა და თავისი საჭურველი სხვა მათ მისცა: „მე ეს მეყოფათ“.

გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზელა და ერთი ქილა ერბო ჰოვა. აილო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზედ შეიდევა. და იწყო გზა-გზა სლვა და გულთა ამას უბნობდა: „აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი, ჩავლა ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი. მით თორმეტს ქათამს სამამლეს წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დაეზდი, დავეყვარავ, დავასუქებ და თვითო-თვითო აბაზათ ვავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, გავასუქებ და დავაეკრატებ, და ორ-ოლ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხარებს ვიყიდი, დაეზდი, მოეხნავ, მოეთესავ და აშენებული შევიქნები“. აწ ამავ გულისთქმავი ხარებს შეშა აუღდა და ქალაქს გასასყიდლად წამოილო. ერთი ხიდი დახვდა, თქვა მან კაცმან: „აქ ხარი არ ვაიარს, — ხმა გასცა, შესძახა — არიო!“ — დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანს გატყდა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთვე წაუხდა.

თხა და მელა

ერთი თხა და ერთი მელა დამძობილდნენ და საზიაროჲ ყანა დათესეს. რა მოსაყალი მოუვიდათ, დია კარგი ყანა იყო, მოჰქეს, გალუწეს და გაანიჲვეს. ხე-
ვი ცალკერძ დააგროვეს და ბზე ცალკერძ. მელამ უთხრა თხასა: „ხეავი მე და
ბზე შენაო“. თხამ უთხრა: „არა, სამ. რთალი ასეა, ორივე შუა გავიყოთ“. მელ-
მან უთხრა: „მაშე მე წავალ, ბიძა ჩემს მოვიყვან და მან გავვიყოსო“. ვირემდინ
მელი ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა, ცხვრიდამ ორი დიდი ქოფაკი მოაყვანა და
ბზეში დამალა. მოვიდა მელი, ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, თხას თვალთ და-
უბნელდა. უთხრა მგელმან თხასა: „ჩემს დისწულს რატომ აჩივლებო?“ -- თხამ უთხრა:
„რადგან მოწმად მოყოლობარ, მეც მამა-ბიძა აქ მისაფლავია, მის საულაზედ შედეგ,
დაისულე და მართალი მოწამე იქნებიო“. მგელმან თხის შექმის ნდობით ველარა
გაიგო რა, ბზეზედ რომ შედგა, წამოუცვივდნ ძაღლები, მელი და მისი მოწამე
ასე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლებულა ეშოვა.

მოხერხებული მებაღე

იყო მეფე ერთი და ქონდა წალკოტი, ვითა შეენიერი. და ვითა შეენოდა!
მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფესა; „ვარდსა შიგან ბულბულს ბუდე დაუცან“.
მეფემ უბრძანა: „არ შერჩეს ბულბულს მაგისი ქნა“. გამოხდა ხანი, მოვიდა მე-
ბაღე, მოახსენა მეფესა: „ბულბულმან ბარტყი დაჩიკა, მოვიდა გველი ბულბუ-
ლიც შექამა და ბარტყებიცა“. უბრძანა მეფემან: „არც გველს შერჩეს მაგისი
ქმნა“. კიდევ მოვიდა მებაღე და მოახსენა: „შამბსა ვთიბდი და გველი შემო-
მაკვდა, მანგლით დავშეკრ“. უბრძანა მეფემან: „არც შენ შერჩეს“.
i. - ერთს დღეს მეფემ კაცნი დაითხოვა და ჯალაბებიით ია მხეველ: ბით წალ-
კოტში ლხინი მოინება. მებაღე ერთს ხეზედ გავიდა და დაიმალა. სცნეს ხადუმთ,
პოვეს და მეფეს მოგვარეს. მეფემ სიკვდილი ბრძანა. მებაღემ მოახსენა: „ვითა
ჩვენ არ შეგვრჩა, ბრძანებისამებრ შენისა, აღარც შენ შერჩეს სიკვდილი ჩემო“.
გაეცინა მეფესა და აღარ მოკლა.

კატა და ლომი

ერთი კატა დაიარებოდა, ნახა ერთი ძე ლომი მომქედარა და ერთი ლეკ-
ვი დარჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაიზარდა და დიდი შეიქნა, და-
იწყო ნადირობა და ნადირის ქამა. დღესა ერთსა ნადირი ველარ იშოვა, თავი-
სი გამზრდელი კატაც შესაქმელად მოინდომა კატამ რა შეიტყო, გაექა და
ხეზედ ავიდა, ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: „ჩემო დედის უსაყვარლესო და
ჩემო გაზრდელი და ჩემო დამარჩინელი, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე,
ვც ხეზედ გასულა რად აღარ მასწავლეო?“ — კატამ უპასუხა: „ეს ჩემთვის შევიწა-
ხე, რა ასე გამჭირვებოდა, მომგნმარა“.

B. მოზაშრობა მშრომებში

... წამოვედით და ჯენევიას თემში შემოვედით. იმ ქალაქზე ზედ მობმით იყო კაი ხეობაები, მაგრამ ღამე იყო, ვერა ვნახეთ რა. გათენდა და სენერემ ქალაქს ჩამოვიარეთ, ჯენოვიასი იყო. ოცდაათხი მილი გვევლო. კაი ქალაქი [იყო] და დიდი, მაგარი. დიდი ციხეები და დიდრონი მონასტრები, დიდროვანის კაცის სასახლეები მოჩნდა. ცოტა ხანს ნაესაყუდლით უმზირათ, ვსინჯეთ.

რა ჯენოვიას თემში შევედით, კლდე იყო, ტყემ იმატა. ზეთის ხე, ნარინჯი მეტად განმრავლდა, უფრო გაშლილობაც ეთქმოდა. ამას ქვევით ერთს სოფელში სადილი ესქამეთ: თორმეტიოდ კვერცხი, ცოტა ახალი ლობიო, მოგვიტანეს ერთი კიბორჩხალი. ექვს ფლურს თხოვა დაგვიწყეს, ძლივს ხუთს მარხილს დაგვეკრდნენ. ესეები ამისთვიან დაესწერე, შეიტყოთ (ფრანციცის მეფის ხარჯი იყო) თუ ჩემზე რას გაისარჯა, ან როგორ დამიხვდა.

ვლეთ იქიდან, მრავალი მაგარი ციხე და სოფლები ჩამოვიარეთ, მაგრამ დიდს ადგილს ვენახოვანი სულ წამხდარიყო. კედლები აეშენათ, გვერდზე მოესწორებინათ, ზედ ვენახები აეშენათ, მაგრამ სრულობით გაორკებულიყო. ვიკითხე: რატომ წამხდარა მეთქი. ესე მითხრეს: „მიწა არ ვარკებულაო“. მაგრამ თუ მიწა არ ვარკიყო, იმდენი აუარებელი ვენახი რად ააშენეს?

მუგუთის მსგავსი ადგილები იყო. იქიდან ვლეთ ცხრა მილი. ამოვედით ქალაქსა ფიორტუორის. ზღვის პირსა მალალი გორა იყო, ზედ ქალაქი აშენებული კაი დიდი და შეენიერი. სანახავად კაცს იამებოდა. მრავალი დიდი მონასტერი [და] კაი წალკოტები ჩნდა. ცოტა ამაზედ დაცილებით ნახევარი ეჯი, თუ მეტი, იყო ვაკე ადგილი. ზედ ერთი დიდი ქალაქი იყო, ონელი ერკვა, საბიას ბატონისა იყო.

აქედამ ექვისი მილი ვლეთ. მოვედით ქალაქსა დინას. კაი ქალაქი და კაი შენებულობა! სხვის ადგილებსაკან უფრო გაშლილი იყო. იმ ღამეს იქ ვიყავით. ჯენოვიასი იყო და ფრანციცის კონკოლი იჯდა. მოვიდა და თავისს სახლებში დაგვაყენა. კარგა გარიგებული იყო.

იქ იენისს ათი მილი ვლეთ. ჩამოვლეთ ქალაქი არასიო, დიდი ქალაქი. იქ შამოგვეყარა ლეის მეფის ცოლი, ფრანციაური ქალი იყო. დაქვრივებულიყო, შვილი პრომს დაეგდო. წმიდა პაპას თავისის კატარღებით გამოეგზავნა, ფრანციას მივიდოდნა. სამი მილი სხვა ვლეთ. ჩამოვლეთ ქალაქი არბენყო. ზღვის პირს დიდი გაშლილი ტყიანი ქალაქი იყო. ზღვაზე დაცილებით ტყეში იყო მომცრო ქალაქი, მაგრამ მონასტრები მრავალი. გარშემო მრავალი სოფლები ჩნდა, დიდრონი შენობაები, დიდროვანი ხეობაები. მას ქვევით ქალაქი ქალაქზე ზღვის პირად. ციხე ციხეზე, სოფლები მრავალი. მის შენებულობის სიზმირეს კაცი გაოცდებოდა, ვლეთ და მოვედით ვიანა ქალაქსა. მუნითაც ვლეთ. ორივე ადგილის სავალი ოცდა თერთმეტი მილი იყო. მოვედით ფინს ქალაქსა, რომელსა საომარს ქალაქს ეძახიან: მეტად მაგარი და დიდრონი ციხეები, ხუთი ექვისი გამაგრებული. ორი ხეობა ქალაქის თავს შეიყრებოდა—მაგარი, კლდიანი; ორი—ქალაქის ბოლოს. მრავალი კაი მონასტერი. რაც ქალაქები ჩამოგვევლო, ყველაზე უმაგრესი და უკეთესი იყო და უფრო მჭიდროც იყო.

ვლეთ და ჩამოვლეთ ორი მომცრო ქალაქი. იყო მრავალი მონასტერი. და

მცირედ მას ქვეით ლიმონილა ქალაქი და მას ქვეით დიდი ქალაქი სიონა, სად აკეთებენ უმჯობეს ფარფულსა და ჩინურებს. დიდსა, გაშლილს ადგილზედ დიდი ქალაქი ჩნდა და ზედ მობმით ქალაქი და ციხეები ახლო-ახლო. კაცისაგან დაუჯერებელი იყო და ნახვითაც საკვირველი. რამდენიაც მილი იყო შემეშალა, მაგრამ მარჩილიდამ ჯენგვიამდინ, თუ სწორედ ივლი, სამასი მილია. ჩვენ პატარას კატარლით ნაპირ-ნაპირ მივიდოდით და ეგრე მოხდა — ჯენგვიას ველარ შევაწით, ლამემ გვისწრა. ჯენგვიას ზეილამ ერთი სოფელი იყო, იქ დადევით. ით ივნისს დილაზე ჯენგვიასში შემოვედით. ჯენგვიას ზღვის პირია, გამლქლი მოგვედობა. ქალაქი კარგად ჰსჩანს. დილ მაგარი ადგილია და ნამეტნავად გამაგრებული თავი ქალაქი. ზღუდე ექვსი ეჯია, მაგრამ სხვა დიდი ზღუდე შორს მოუხვევს. მისთანა შორ მოვლებული ზღუდე კოსტანტინეპოლიც ექვსი ეჯია, მაგრამ ჯენგვიასთანა შენებულობა და მისის სახლებისთანა შენეიერი გარედამ არსად გვინახამს, რაც ენახეთ მეფის სახლებს გარდა. დილ შენეიერა ქალაქია. ფრანკისის მხარეს დიდი ლიმენა აქვს და სამს ადგილს ზღვაში გილაგანი გაუვლიათ ლიმენის უღელვაობისათვისცა და სულ ზარბაზნები აწყვითა სიმეგრისათვის, და ფარნები უცხოოდ მოყვანილი.

მის დუქას ორს წლამდინ დასმენ, მერმე გამოსცვლიან. პაპლიკი ეწოდება ამ გამოცვლისათვის. დიდრონი თავადები სახლობენ, ხან ერთს დასმენ, ხან მეორეს.

დიდი თემი დაშენებული და მდინარეს სკერია, მის ბატონსა. მრავალი კაი ქალაქია, მაგრამ ეს ქალაქი სხვა ქალაქია. კოსტანტინეპოლია, მაგრამ ამის შენებულობა და სიმდიდრე, სამართალი და სიმშვიდე იქ არც ერთაა, არც სიმეგრე.

ჯენგვიას ეკლესიისა და მონასტრების საქმემ გამაცვიფრა. გარედამ ფრანკისის შენებულობა სჯობდა, მაგრამ შიგნიდამ იმისი. შენებულობა და ქვები ან სიმდიდრე, კანდელი თუ სასანთლები, თუ ტრაპეზები ვასაკვირვალნი იყო. ენახე შავი მარმარილოს ფარდები გაეთალათ. და თეთრი მარმარილოს თოკი და შავი მარმარილო ვითომ ფარდასავით უკუუქცილი, და თეთრს მარმარილოში წვერები გაყრილი იყო, ფოჩები ჩამოეშვა. თუ კაცი არ დაპკვირდის, შავი ატლასის ფარდა ეგონა. ენახე თეთრს კედელზე დაეხატათ. სანამდი თვითვანარ მითხრეს, მარმარილოს გათლორი, მთელი ხატები შეგონა. სხვა რაწდენი უანგარიშო უცხოები! რამდენი უცხო კანდელი (ზოგი ყალიონის სახე, ზოგი არწივისა, ზოგი ანგელოზისა), ან სასანთლე. მათის ვეცხლის სიმძიმესა და სიმრავლესა გავკვირდი.

საეპისკოპოსო ეკლესიაში ტრაპეზში სამი წმიდა მარხია და ერთს სამწირველოში იოანე ნათლისმცემლის ნაცარი, იკლიანე განდგომილმა რომ დაწვა ის. მათის ბატონის ბეჭედი აჯდა, ნაწილი იყო. ვერ ენახე, ვერც შევიტყე რა იყო, მაგრამ ის სამწირველო დიდად ბატონსნად იყო შემეკობალი. მე ასე გგონია, ასი ლიტრა ვეცხლი ნამეტნავი იყო მარტო კანდლები და სასანთლები იმ სამწირველოში სხვას გარდაის.

ერთს თიატანის მონასტერში მივედით. მრავალი უცხო ნაწილები და სიმდიდრეები ენახეთ, მაგრამ ერთის წმინდის ზიარების შარავანდელი ენახე, ოქროზედ მინაქრად ვაზი და ყურძენი გამოეყვანათ — ერთს სანახავად კმარიყო. ერთს სხვა მონასტერში ოთხის წმინდის საფლავი იყო და სხვა ნაწილი მრავალად, უანგარიშო. დიდრონი და კაი ქსენონები, მრავალი ჭინახულემა შიგ. დიდრონი მონასტრები საკვირველად ნაშენები. ერთი დიდი თავადი მოვიდა ჩემს სანახავად. დილ მოყვარეს გვანდა, ჰბეჭედი კაცი იყო. ორჯერ მოვიდა, იმან მითხრა: „თუ გაირჯებიო. ერთს ლეთის საკვირველობასა გაჩვენებო“. ის ქსენონი ამის ხელთ იყო და ეს საკვირველი საქმეცა, ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემის თვალთ მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით. წამიყუანა, შავი ფარდა რომ

დავსწერე, ჯერ წირვა ნამახმენინა, ნერე ტრაპეზთან ერთი დაფერილი ფანჯა, რა იყო. ის გააღეს. ერთს ბროლის კუბოში (კარგა ოქროთ გაკეთებული იყო) შიგ ერთი ენკრატისი ესვენა ქალწული, სასნეულოს მოსამსახურე ყოფილიყო-კატერინა რქმეოდა. ანის წლისა მიცვალებული იყო, თერთმეტი წელიწადი იყო ნეტარი შექმნილიყო, ჯერ წმინდა არ დაერქმევიანათ, მრავლის სასწაულთმოქმედი იყო. ისევ ცოცხალს ჰგვანდა, ახალს მიცვალებულს. ცოტა ცხვირის წვერი დაეწივა კარგა შემკული პატიოსნად. მერმე შემოიყვანეს, სნეულები დამა. ტარეს. ერთი მაზმანური ჩოხა ეცვა, თავსაც ისევ მაზმანური თხისური ეხურა-ქალი საქმელს უზიდავდა სნეულებს. სამჯერ, მე ვნახე თვით, სავსე ხონჩა გამოიტანა სამზარეულოდამ, სნეულებს ღიართვა. გამომამბრუნეს, ერთს სახლში დამსვენეს, ის ქალი ჩემთან შემოიყვანეს; დაჯდა, მომიკითხა, მიაღერსა. ოცდა ორის წლისა იყო, ქალწული.

ოც და სამს ივნისს ალიკორნას მივედი. ჯენუადამ ალიკორნა ასოცი მილია.

ალიკორნა დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ კაი ქალაქია. ორმოცი ათასი სულია. რა ალიკორნის საზღვარში შევედი, დავაკება შეიქნა. ოდიშის მსგავსი ადგილია, ტყიანი, ბრტყელი. შორს მაღალი მთები მოჩნდა. იქით, ტყეს დაცილებით, დიდი მინდორი მოჩნდა. ტყე სულ ზეთის ხე იყო. შენობა უფრო არა ჩნდა, ტყეში იყო თუ არა—არ ვიცი. ალიკორნა კრანდუკასია, ბერი კაცი. ერთი ვაჟი ჰყავს—ისიც უშვილო. ალიკორნას ქალაქში ურია მრავალია. ძალიც აქვსთ, ამისთვის, რომ კრანდუკას მრავალს აძლევენ. ლიმენა თავით თვისით პრარის კაცთაგან გაკეთებულია. სამ-სამ პირად ზარბაზანი ძეს, ორი ფანარი მაღალი ნავსაყუდლის კარს, აქათ იქით ქალაქის კარზე მარმარილოსი. კრანდუკას სხვა და ოთხი ოსმალი ტყვისა ხელშეკრული, ჯაჭვებით დაბმული, ფეხის ქვეშე ურია დაბოროტებული. ოთხიოდ ქართველი მოქალაქე იყვნეს, ერთი ტერტერა, სამნი სხვანი. ერთი სომხის საყდარი მიქეს, ვერა ვნახე.

ქდ ივნისს ალიკორნიდამ წამოველ სხვა ქალაქებში. და გარეშემო შენობანი ჰქონდა, ალიკორნას არა ჰქონდა. ზღვის პირი, გვერდობი—ტყიანი, აქა იქ კოშკები იდგა. სხვა შენობა არსად ჩნდა დიდს ადგილს. მერმე ისევ დაეკადა ზღვის პირი და ტყიანი შეიქნა, და მიღმა მოდაბლო გვერდობა და გვერდობაზე, სადაც გორა და მაგარი ადგილი იყო, სოფლები იყო. გვანდა ზღვის პირი მეკობრეთაგან საშიში იყო და ვერეინ დასახლებულიყო. სიმაგრე არა ჰქონდა და სამხრის მხარეს დიდრონი კუნძულები იყო მრავალი. და ალიკორნის მხარეს ზღვის პირზე ახლო-ახლო, ზედიზედ კოშკები და ზარბაზნები, რომ მეკობრეთ შიშით ნაგმა იქ თუ მიაწიოს, მეკობრე ვცლარა სდევს.

ორმოცი მილი გლეთ, ერთს კოშკში გავედით, მას ლამეს იქ ვიყავით.

c. ქალი

(ქილილა და დამანადან)

- 1 კარგს ქალს ვინ ღირსა, მოაჩენს კირსა,
ზრუნვას მოილხენს, ვინ უკერეტს პირსა,
ნუმცა შეხედები ანჩხლსა და ძვირსა,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია.
- 2 აევულნი ქალნი, სახმილის აღნი,
რა გინდ შევნოდეს, როგორცა ლალნი,
მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია.
- 3 ურცხვია დიდად, ქმარს გახდის ფლიდად,
ზედ სვლას დაიწყებს, გაიდებს ხიდად,
არად შეირცხვენს შეილის გასყიდვად,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია.
- 4 თვისსა ნაქმარსა აბრალებს ქმარსა,
დღე ყოველ თვალში აწურებს ძმარსა,
მალ-მალ ავინებს: „ვა შენს ამარსა“
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია.
- 5 ქმარს ზედა სხედან, დეზითა სჩველან,
ხელთ ტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,
ზედ დაჰყვედრიან: „რად ესრე ჰქმენან?“
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია.

მანბანზ მე-VI-ე

ა. ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო

რა დავიპადე, სოფლით ვიბადე, ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო,
 მეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი...
 მოჰყუევ სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი...
 განვცხერ, ვიშვებდი, ვერ კავიშვებდი, ვაი...
 ნატკბო, მაგემა არად სარგემა ვაი...
 შენ ვერ გიცნობდი, თუცა მიხმობდი, ვაი...
 მოხველ ანასდად, მტრად და არ ჩემ დად, ვაი...
 მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც ლაფლად, ვაი...
 მოვშორჯი ცოლსა, შვილსთანა მყოფლსა, ვაი...
 მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი...
 მეგობარს, სულთა, საყვარელს ტკბილთა, ვაი...
 მომკალ, მომკვეთე სოფლის მოკეთე. ვაი...
 სხვაგან გამგზავნე, დამხედენ მე მანე, ვაი...
 მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწინიხეს, ვაი...
 რად ენდევ სოფელს, ანასდის მყოფელს, ვაი...
 თუმცა იქ ის რე, აქ კი იკისრე, ვაი...
 დამხედნენ მტარეალნი, მწარედ მტანჯველნი, ვაი...
 ულხენი მიმევა, მითხრეს ეს სიტყვა, ვაი...

ბ. ვაი რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა

შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
 სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიციენ ჟამისა,
 უსჯულო მისი მოწათე მიცემას ჰპირაეს ამისა,
 და ვაი რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

მტილში მიუძღვა კრებულთა, საწუხი ყოვლის გვამისა,
 მღვდელთ-მოძღვრის [პალატს] მივიდენ გასატანჯველად, ვა, მისა,
 ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდენ წამ და წამისა,
 და ვაი რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

ც. მ ა ჯ ა მ ა

შესავალი

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კელავ ლექსმა მიყო მაჯამა.

ცრემლთა ნაკადმა აავსო, ნახეთ გაცნობით მაჯამა.

დამწვა სოფლისა საცთურმან, ველარა სცეჟოს მაჯამა,

და უკეთ არ მწამდეს იმისგან, მკითხოს მეჩიტმა, მაჯამა.

I

- 1 კეკლუტ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უდებ მალ ამით,
მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიბო მალა მით,
სხეას ვისმცა ეძლოს კურნება, ცუდად შერებთან მალამით,
და მიჯნურნო, მოდით, მიტირეთ, ცრემლი მავასხეთ, მალამით.
- 2 გიშრისა მშვილდმა, მელნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,
ბროლმა და ლალმა გარევეთ ლამის დღეთ სიგრძე მიწამა,
ცრემლი მდის მაწყვი თვალთაგან, ვეჟუ გულმა შენმცა მიწამა,
და რად არ გეწყალვის მიჯნური, შესქამოს უდროდ მიწამა.
- 3 ცეცხლს უგავს ლაწვი, ცუცხლისგან უფრო მწვეავს, უფრო მედება,
რა ვნახე მიწყვი საკიროდ ფეხი მახესა მედება,
მამტაცა სული, დღეს იქით რას მარგებს გულის მე დება,
და მიტირონ ძმათა საწყალი, ან ლა თუ ვინმე მედება.
- 4 რა მოვილო, ეს არ ვიცი, შენთვის მსგავსი იგავები,
გავიძვია დილ მიღმარ სიგონჯე ლა იგ ავები,
ტრფიალთ შენთა სალალობოდ იწმინდები, იგავები,
და კირსა ძნელსა, გაუხსნელსა ამ საქმითა იგ ავები.
- 5 ლექსსა მიყვევ სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი, განახელი,
დამიწუხა თელნი სხივმან, ველარა ვქენ განახელი,
გიშრის თხზულმა ტოილომა გული შეკრა, განა ხელი,
და შეყრასა ჰგავს მზის და მთვარის, თუცა თავი გან ახელი.
- 6 სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამელოს,
ან მაგალითი პლატონის, ან პითაგოროს და მელოს,
ვჯდე გულის მძრახად სამუდამოდ, თავი ქვე სადმე დამელოს,
და საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი სულიც დამელოს.
- 7 თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ზანგუბრელს სულთა და,
შენმა ბავისა ციმციმმა ფერი ყაყაჩოს სულთა და,
აღმასის პირსა სადარით ზამს მზისა სხივი სულთა და,
და საბრალოს შენთა ტრფიალთა სიცოცხლე გულის, სულთა და.

- 8 გენახათ მისი სიტურფე, გული სხვა რიგად ქცეოდა,
 ეტყუოდა თავსა: „არ ვიცი, აწ რა ნუგეში ქცეო და,“
 ხამს ამ ჭირისთვის თუ გეძლოს, შეგიაყრათ სვეო, ქცეო და,
 და მართ მისწუროდათ მათ სული, გაცლოდა, გაცაჰქცეოდა.
- 9 თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახოს სული და გული,
 ყვავილისებრივ გაშლოს მისგანვე გული დაგული,
 გაალოს კარი ლხინისა, ჭირისა კარი დაგული,
 და გაშლოს ვარდი კუკური, ჩემშია მისი დარგული.

II

- 1 რა სჯობს მისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,
 მწვანედ ღელადეს გარემო, ცის ცვარი მისზე ესხასა,
 თუ არ უმმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა,
 და მე ასე მითქვამს: უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა.
- 2 ზარს ჩასაგდებსა ქორებსა აშურებდიან სატევად,
 მოვიდენ, შექნან ნადიმი, სახლსა ზარობდენ სატევად,
 რა ბრალი არის, ეს ჟამი კაცსა შეჰქნოდეს სატევად,
 და სისხლისა ცრემლსა გაეწნას გუჟა, საბრალოდ სატევად.
- 3 რა იენისში წყლებმა შტონი გაამრავლოს გარდადენით,
 მის წყუეტისა შექცევისთვის მოარობდენ გარდადენით,
 ბელტსა ჰყრიდენ, იძახოდენ: „ძელი ძელსა გარდადენით!“
 და თევზისა ჰყრიდენ ნაპირზედა არ ეტყვის [თუ]: „გარ დადენით.“
- 4 წყალსა ნაწყუეტსა მწვანეზე მქვრეტელნი მხერდენ ა სერიო,
 იქ კრდენ მაშიგ კალმასა, იძახდენ: „დაქურ, ასერიო.“
 კულავ მოდიოდეს მინდორად: არჩვი, ირემი ას ერიო,
 და მისმან მნახავმან ეს მითხრას: ეს ისე ვაქო ასე რით?
- 5 ჯერგის მფრთხალსა მონარბოლსა ხარსა შამბი ედებოდეს,
 დამაშურალსა წყაროთათვის გულსა ცეცხლი ედებოდეს,
 ჩამოვიდენ, კარკად დასხდენ, წინა რქანი ედებოდეს.
 და უგზავნიდენ დანიშნულთა თვისთა, გინდა ედებოდეს.
- 6 როკოს ლაპი მომავალთა შექნან ბეური საგალია,
 გნოლი წითლის დეუნებითა ქუე მიწაზე საგალია,
 კალმახისა გასაწყუეტლად დაუნაყონ საგალია,
 და ვა, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად სა გალია!

III

- 1 რას ვარგა კარგი საქმელი მარილზე მოუწუნია,
 ვისამცა მძივი აღმასად ყირათით მოუწონია!
 აწ ვხედავ კარგსა ნასეტყუად, ავია, მოუწონია,
 და შალგსაც ყუავილი დაარქუეს, მას თავი მოუწონია.
- 2 ვიყავ მოყუსისა სიმაღლე, მტერთა დამცემი, მხარავი,
 ყმათ პატივისა მდებელი, მიმცემი, მიწყვი მხარავი,
 სამლოცო ვიცოდი, საიროც. მექმენ აწ ზურგი მხარ ავი,
 და დაუნაშავლად შემექნენ უწყალოდ ძვლისა მხარავი.

- 3 არ ვიშიშვი, რადგან რომე თაყუანსა ესცემ ლუთისა კრავსა, უსამართლოდ მტერთა ჩემთა საკვრელითა ისი კრავსა, კიდევ ერთუის წმიდას მერკუირს, ივლიანებრ მასცა კრავსა,
და აყარუქებებს ტყავსა ჩემსა, აწ ბოხონხსა რომე კრავსა.
- 4 მტილი ყუავილით აღვისილი მე ნებით ჩემით ვინარე, კირნი ეგზომნი ურიცხვი ჩემკენ, არ ვიცი, ვინ არე, სულ გამიმტერდენ მოყუასნი, აწ მითხართ: კარგი ვინ არ ე?
და ძნელსა დავები, თუ შენვე არ მიხსნი, შექენ ვინ არე.
- 5 ცრუმან სოფელმან სიმუხთლით, მწვე მიკუირს, ჩემთვის აგო რა. მან კავშანი უხსნელი შეყრით შეპყარა, აგორა, ვერ მომიძურია, არ ვიცი გულსა ასეთი აგო რა?
და დღე ჩემი წინათ წარსრული, ყრმათ ჩიკორისებრ აგორა.
- 6 საწუთროსა ცხენსა ვიჯექ, ლურსმანი ექენ მონაწევი, მრავლად იდგა ბალსა მისსა ხილი მწიფე, მონაწევი, რაცა მწაღდა მას ვიხმეული, ხელით მქონდა მონაწევი,
და ახლა ექნილვარ მტერთ სახრალად, იქით-აქეთ მონაწევი.
- 7 აღმემართა კავშანი, ეს არ ვიცი როს იხაროს, ვინცა ლუთისა მიუნდობლად რამც იკეთოს, რამც იხაროს, ესე გვარმან თავი თვისი იპირუტყოს, ხამს იხაროს,
და კაცი ცრუ და უგუნური მომერიდე, ნუ ი ხარ ოს.
- 8 გამიფრინდა სვისა ქორი, არ თუ არი განახადად, ბედი, სვე და სპა-და-ჯარი ყუელა მექნა განახადად, ცრემლი მიმდის უფრო მისგან, რა სელი ქნან განახადად,
და მწვე მიჯობდა სხვაგან მეულო, განა დეალად განახადად.
- 9 ჰე თაო, პირველ შევებულო, აწ უცხოს კირსა ვარდია, საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოღრმოსა ვარდია, მკუიღრი უმკუიღროდ შევიქენ, საყოფთგან გარე ვარდია,
და დაწვი შემქმნია ზაფრანად, ვის ვერა მღრიდა ვარდია.
- 10 ვერ მივეც რაცა მემართა, ხარკი სოფლისა მეცადა, მოვიდა კარი ხორშაკი, ანახად სამე მეცა და, ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხვებთანა მეცა და,
და რა მწვე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვა რიგად მეცადა.
- 11 ის მოსავალი პირველი დასეტყუა, ასე მეხარა, ზე აღმართული სვე-ბედი ანაზღად ვნახე, მეხარა, სამსალის უფრო გამწარდა, რაც ამას წინათ მეხარა,
და არ გიკუირსთ სოფლის სიმუხთლე, დემად შემქმნია მე ხარა.
- 12 მაღლად მყოფო, სოფლისაგან ბოლოდ მიწად დაწყუეტლო, სოფლის ნასთთა მსხვილად სთულთა, უცხოდ რათმე დაწყუეტლო, რუო, ხარბად მომდინარო, მლა მისებრივ დაწყუეტლო,
და სახელოვანთ ბიძა-ძმათა, მამით უწყლად დაწყუეტლო.

IV

- 1 კაცს ვისმე სახლი სამყოფი, ზოუდე უყარდეს ამბარით, იგ ტყვიას როდის იქონებს, ამას უსუნებს ამბარით, ეზარდო ფერადი ყუავილი, მოვილო მთით და ამ ბარით,
და მას ვინ გაუშვებს, გამკილვენ, ამან მისთანა ამ ბარით.

- 2 კაცს შეეხვები ბრძენსა, ეს წიგნი მაზედაც უგემებია.
ვარქვი: „ამ ზღვაში ჩავარდნილს რა ხილი უგემებია?“
„რადგან გწადს სიტყბო—მან მიიხრა—ჯერ ნახე უგემებია“.
- და ქვენარის თაფლი უეკლოდ არავის უგემებია.
- 3 ყმაწვილს ატყუებ უცებსა, ყმას ამაყობით დარევდა,
შუაკაცს დაუცდელიობით ხელსა სიჯაბნით დარევდა,
მაგრამ ბერკაცსა რაღა რჯის, ისიც იმათვე დარევდა,
- და შენ გასცდდე—ჩვენ კი ქვე დაერჩეთ, იქ თუმცა ჩვენთვის დარევდა.
- 4 სიბრძნით ალაგო ყოველი, საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეამკო საზომი განასრულითა,
უსხეულონი მსახურად ზოგნი ჰყო, განა სრულითა,
- და არვინ დააგდო წყალობით კართა განასრულითა.

V

- 1 ევომ ტურფა სასძლოსთანა მანდა რომე ვიხარებდე.
საქორწინე არ მაცვია, რომ შემიშეან ვიხარებდე,
ასე მიჯობს დავგლახაკდე, სოფლის საქმით ვიხარებდე,
და ნუთუ მაშინ ღირსად ვიქმნი, ღიას კარსა ვიხარებდე.
- 2 სატრფოს მეტრფე თუცა სძებნი, პირველ გიხამს მო ნათელსა.
ბნელმან ვიცი დააბნელოს, ქირით ბაძე მონათელსა,
შეყრას უნდა ნწვე გამოცდა, მაშინ ჰპოვებ მონათელსა,
- და დაუცდელად, ეს იცოდე, ეშმაკისგან მო ნათელსა.
- 3 კვლუტია ტურფა რამე, უკაზმავე მოი ბალით,
ვარდსა, ახალ გაფურქუნისა, სჯობს რა ნახოთ მოიბალით,
გულმან ჩემმან სიყუარული მისი უცხო მოიბალით,
და სიძულილი შენგან ჩემი მოიგლიჯე, მოიბალით.
- 4 მამწონს მისი სანდომობა ქებისათვის დალაღულად,
თვალნი სხიგმან დაიხუჭა, კინილა მექენა დაღ-აღულად,
ასრე გაეხე ჩემი მნახი, შეტყვის: „ხარო დალაღულად“,
- და არ მიწამლებ, გამხდომია გული ჩემი დაღ აღულად.
- 5 ამით უთხრა წამწამითა შესამსგავსი შესხმანია,
ამით ფერთი წამწამითა ესვის გულში შესხმანია,
ამით შექნა წამწამითა თვალ-მარგალიტთ შესხმანია,
და ამით მოვრჩეთ, წამწამითა მადლი წყლულებრ შესხმანია.
- 6 მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კართა,
სიყუარულითა მისითა გული-გონება კართა,
მისისა მიახლებითა ეშყსა სურვილი კართა,
და ეგება რომე გელირსოს შესულა სამოთხის კართა.
- 7 გულსა მისცემს უცხოდ შეებას, ოდეს ვისმე შეეყრების,
თვალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების,
ვერ მიმხდომთა წინ სამუდმოთ თვალთა ცრემლი შეეყრების,
და უჯობს კაცსა სოფლით გასულა, თვარ ლახვარი შეეყრების.
- 8 სურვილის ზღვით უფსკრულშია მან მამიღვა მასე მასე,
სებ მიყავ: შემომზოლდე, გარეშემო მასე მასე,
ნაბრხეებით მისგან ჩემზე, რომ გაეხეთქო, მასე, მასე,
და შაქრისაგან უფრო ტკბილი მისი ეშყი მასე მასე.

- 9 როს მეტრფისა ტრფიალება გულსა ჩქმსა დამაჯერა,
მშლელი მიშლის უცხო რიგად, ლამის კიდევც დამაჯერა,
მეუბნების: „ყმაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა,“
და მაგრამ მისმა სიყუარულმა ისევ მასვე დამაჯერა.
- 10 მის დარად, მსგავსად მაგ ქეებსა ცუდათ აწითლებ იამან,
ხანი გამოვა მანამდის იმას უღაროს იამან,
ზილფი ხუჭუქად ნაგრუზი, რით ნახოს ურცხვად ია მან,
და მისად შეყრამდი თუ დარჩე მოიწყენ, თუცა იამან.

VI

- 1 დავრჩი ასე, აღარ მშვენის, არცაღა მაქუს მოსაგონი,
რათ ვიხმარო, აღარ ვიცი, მქონდეს კიდევც მოსაგონი,
გამიკუდღა ცოდვის ნაცვლად, ყოვლი რამე მოსაგონი,
და მტერსა დარჩა, აღარა მაქუს ჩემი სრულად მოსაგონი.
- 2 გული სევდისა სალხენად განსავერა აქარხალითა,
მზევე, გული ჩემი, ტყუე ქმნილი, მისწიე, აქერ ხელითა,
გაველურდე და გავიტრე, დავრჩე ვით ა ქარ ხელითა,
და საზრდოდ ვიკმიო სიცოცხლე, ვატარო ა ქარხალითა.
- 3 ვერვის ვხედვე სოფლისაგან ჩემებ/ რასმე წამონარცხით,
გარდამავდო მართ. ვითამცა საწუთრომან წამონარცხით,
ჩემი მთვარე ავი რამე, არ თუ კაცოა წამონარცხით,
და ის დიდება პირველ ჩემი აღარა მაქუს, წამო ნარცხით.
- 4 მიკუირს სოფლის გულისათვის კაცი ასე რად იკირვის!
ანუ ვინმცა მისის ნდომით, ვფიქრობ, ვცვიფრობ, ვით იკირვის,
უხამთ მისცემს სიმდიდრეს, ზოგნი ხამსი მწვე იკირვის,
და საუქუნოდ ცოდვის გვარლით გარდახეანჯვით დაიკირვის.

VII

- 1 ტოლსა შინა გამოჩენით არა სადა დამედარა,
მტერთა ზედა რას მარგებდა, თუცა სადმე დამედარა,
თუ დამაკლეს, რა დამაკლეს, საქმეშია დამედარა?
და მაგრამ ბოლოს ყულა ვინმე, რა გავსინჯე, დამედარა.
- 2 ტურფად, კეკლუცად ნაქმარო, მისო სანდომო არევე და,
მიჯნურთა გულის მორევი უცხოდ რამ რიგად არევედა,
მისი ნარანარად მიხედვა მისთანა მჯდომთა არევედა,
და ტანს კვიპაროზის მემშურნეს იქით და აქათ არევედა.
- 3 დამრგველმა მისმა მოიმეოს დარგულთა მისთა ნაყოფი,
არცა წაუხდეს იმისგან, არც ექნას მისგან ნაყოფი,
კარგი ზეცამდე ამალდეს, ავმა სახლში ქნას ნაყოფი,
და რაც რბილად გონოს – უმაგრდეს, ვით ბასრი წყალსა ნაყოფი.
- 4 ყუთვილთა ტურფა ბიბინი, სანდომი არე-მარენი,
მწადს გაზაფხული, ტოლთ უთხრა: აღვიძრნეთ არე მარენი,
ვინც გაიკმარებს რა არი, ვეც იყოს არე მარენი,
და ჩემი ნახული თუ ნახო, გაკვირვოს არე-მარენი.

- 5 ენახე ბერი ყრძათა უყრმე და ყმაწველი ბერთ უბერე,
ბერი ცუდათ მწვე აჩქარდა, ყრმა დაწუნარდა, რაც უბერე,
უხუცესი არას ნალოობს, უმცირე სწუხს: ვარ უბერე,
და ის უფროსი იბერება, ეს უმცროსი არს უბერე.

VIII

- 1 რა მოვა საქმე საზეო, ნახეთ, მის გამო ელისა,
ბევრსა ეცადა, აპირვა, ვინც ქართლში გამოელ ისა,
რალა ვიუბნო სოფლისა, ქალაქით გამო ელი სა,
და თუ კარგი თვითონ არ არის, სხვისგან რას გამოელისა?
2 ცუდად ვიყავ სოფლისაგან, ესე რამე გავაუბნენ,
ვერა ვირგე ნალველთაგან, სევდა უფრო გავაუბნენ,
დამცა ცოდვამ საკურველად, როს ხელთ ვიგდე გავაუბნენ,
და ბრძენთა თქმულსა არ მივხედე, ზურგი მივეც, გავაუბნენ.

IX

- 1 შენი ტრფიალნი შენს ნახვას სიზმარსა შინა სჯერანო,
ვერა მწერალმა ვერ აქოს, საფერად დაგსვას ჯერანო,
მელნის ტბა ტუროფად შვენოდეს, ვერ ედარების ჯერანო,
და მისი შუქისა სადარი ვინ შეიქმნება, ჯერანო.
2 მიკირს თავი, ტანი, ფეხი ესრეთ ვითა ელამაზნეს,
ზორ ტანისა უსულითა ესაროვნეს, არ ევაზნეს,
ქარვის გარე გიშრის ბანდნი პირ ნაქუფრად დაებანდნეს,
და საუბრისა საკრძალავად ლალის კარნი დაეზარნეს.
3 უსუფეობ შენ ლამაზი, მზე მგონიხარ, დგახარ რაზი,
ვინათგან ხარ ეგრე ნაზი, მნათობები იქით გაზი,
ხარ ფილთაფელთ დანახაზი. არვისგან ხარ მონაკმაზი,
და რად დავიხზავს ლალთა რაზი, მარგარიტთა ბუდე აზი.
4 ამართა ბროლისა სვეტნი, რა მზემან ნახა იამა.
უფრჭკენელი ვარდი, კოკორი მიზიდვით მიიზიამა,
სამთავე ერთად იდინეს: ბროლმან, ლალმან და იამა,
და იტვირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმან ლიამა.
5 ორნივე ერთად ვთამაშობდით: შენ ქურციკი, მე ავაზი,
მე ულვაში სუმბულითა, შენთან თმითა მუშკ ავაზი,
შენ ვარდი და მე ბულბული, შენ კაკაბი მე გავაზი,
და შეგვეყრები—პირს გაკოცებ, მომეყწყინა მე თავაზი.

ქილილა და ღამანა

ორი კატა

იყო დედაბერი ერთი, მეტად საბრალო და უღონისძიებით რჩებოდა. ერთი ჩოდოლო ედგა ყრმათა გულთაგან უვიწროვისი, ძუხწთა კაცთა საფლავთაგან უბნელესი, და ერთი კატა ჰყვა, რომელსა პურისა სახე სარკითაც არ გაეცადა, წვენთა სახელი მახსოვართაგან არ ასმოდა, და ამა ყოფასა დაჯერებულ იყო. მისად საზრდოდ თავისა სოროდამ სუნთა მიღენასა, ანუ თავეთა გავლის კვალთა სუნთა ყნოსათა კმა იყოფდა, და თუცა ბედისა შეწვენითა ერთი თავეი სამ დაეჭირა:

ლ ე კ ს ი

ვით გლახაკმან მაჯნა განძი იპოოს და დახაროდეს,
რას არგებდა, რას აქნევდა, იტყოდა თუ: რამცა სჯობდეს!

სიხარულით ჰირი გაუწითლდის, გარდასრული ჰირი დაავიწყდის, და ერთს დღეს ხანს რასმე მით გარდაიარის და იტყოდის

ლ ე კ ს ს ა

ჰე, ბედო! ამას რომ ვხედავ, ცხადი არის თუ ზმანება?
ესოდენს ჰირთა შემდგომად რა სვემან მომცა მანება!

რომ მე, ესოდენთა შეჭირვებათა შინა მყოფმან, ესეთი უსწორო საქმელი ვიგემეო! და ესრეთ მის ბებრის სახლთა შინა, რომელსა წელის ნაწყვეტიც ვერ ეძლო შოვნად, ეგრე მქლე და მჩხავანი იყო, შრომითა და მოგონებით რჩებოდა. ერთსა დღესა ნამეტნავის უღონობისაგან ათასის ჰირით ერდოზედ ავიდა და ნახა კატა ერთი, მეზობლისა სახლის კედელთა ზედა სილალით იარებოდა და ლომსაებრ ფერხთა აღრიცხვით გარდასდგმიდა, მეტის სიმსუქნითა თათთა ნელიად აიღებდა. რა ბებრის კატამა თავისი ნათესავი ეგრე გააოხებულნი ნახა, საგონებელთა ჩავარდა და ხმა უყო.

უთხრა ტაეპი

ეგრე დიდრობა მრავალი, მითხარ, სითა ხარ მავალი?

შენ ეგრე გასუფთავებული სადაური ხარ? ესრეთ მეჩვენები, მგონია, ხატაეთის მეფის მასპინძლობით გამოსრულ იყო! მითხარ, სალით მოხვალ და ეგ შენი სიმსუქნე რისაგან არის, და შენი ძლიერება და შეენიერება რით მოხდაო?

მეზობლის კატამ უთხრა: მეფის ნასუფრალთა ვქამ, ამაღ რომე დღე-ყოველ ხელმწიფის კართა მივალ, როსცა ნადიმთა დასხდებიან, ჩემს სიკისკასეს ვიხმა.

რებ და მსუქანთა ხორცთა მოვიტაცებ და მეორეს დღემდე ნოყიერად ვიქმნებო.

დღედაბრის ციკამ ჰკითხა: მსუქანი ხორცი რაიყო, და მაძღრობის პური რასა ჰქვიანო? ჩემს ცხოვრებაში ბებრის ფუშრუკისა და თავვის ხორცის მეტი გემო არასი ვიციო!

მეზობლის ციკას გაეცინა და ეგრე უთხრა: მაშა, ეგ ყოფილა, შენ და ბებერი არაში გაირჩევითო. ჩვენს გვარს ესეთი სასირცხო და საკდემელი საქმე რომ სჭირდეს, დიდი აუგიაო. ეგ სახე და სიმჟლეს ახლიდამ გარ გამოგიტანია! ესეთი აუგია, ბოლომდე საგმობელად დარჩებისო.

უთხრა ლექსი

კული და ყური მიგიგავს მართ ოდენ მარტო კატასა,
ტანი ობობას სადარო, ქსლისა მქსოვლისა პატასა.

თუცა შენ მეფის კარი ნახო და მის გემოანთ საქმელთ სუნი ისუნო, მგონია, ფარდაგთა შინა დამალული სული რომ გაქვს გამოგიჩნდეს და ახალი სული მოგედგასო.

უთხრა ლექსი

საყვარლის სულმან რა მოყვრის საფლავზედ გაიაროსა,
რად მიკვირს მკედარი გაცოცხლდეს, ძვალნი დანაცრდეს აროსა.

დღედაბრის კატამ შესტირა: ჰე, ძმაო, შენი მეზობელი და ნათესავი ვარ ოა იქმნების, ან მეზობლობითა და ანუ ნათესაობით მოწყვლებისა და ძმობის მცნება აღასრულო და, როცაა შენ წახვიდე, მეც თან წამიტანო? ნუ თუ შენის ძლით მტირედი საქმელი მერგოს, რომე შენის სიმხნითა და ცდითა ერთს ადგილს მივაწიო.

უთხრა ლექსი

თავს ნუ გაიღებ ლხინთაგან, ვიდოდე კაის კაცისად,
ხელს ნუ აიღებ ღირსთაგან, აგრევე უფლისა და ცისად.

მეზობლის ციკას მისის საჩივრის ტირილითა გული დაეწვა და უთხრა: დღეის წალმა მე პირობა დამიც ამას იქით უშენოდ მას ადგილს აღარ წავიდეო. დღედაბრის ციკა მისის იმედგულობით სულობას მოვიდა და ერდოდამ ჩამოვიდა და ეს ამბავი ბებერს აუწყა.

ბებერმა სწავლა დაუწყო და ეტყოდა: ჩემო გაუყარო ამხანაგო, მსოფლიოთა ცრუთა, ტყუილთა სიტყვათა ნუ მიჰყვები. მტირეთა დაჯერებისა კმაყოფასა ნუ გაუშვებ, რომე უზომოსა ნდომისა ქურქელსა საფლავთა მიწის მეტი ვერა აავესებს რა და ნდომისა და სიხარბისა თვალთა სიკვდილისა ძაფის მეტი ვერა შეჰკერავს რა.

ჩახსრუხაული

იკმავე ცოტა, მართ ვით იოტა—სიმდიდრე კაცთა, ეს არს ქკვიანად, ჰრქვი გზად მავალსა, შოენა მრავალსა, თემზედა დარბის უგზოდ გზიანად. ვინც თვისა ბედსა და ღეთის იმედსა მდღეევის არ სჯერა, რაც აქვს მზიანად, და, ვერც იცნობს ღმერთსა, მცნებათა ერთსა არ აღასრულეს, ექმნას ზიანად,

ბებრის კატასა მის ხელმწიფისა ნასუფრალისა ნდომა ასე ტვინში შესვლოდა, რომე წვრთა და სწავლემა მას ველარას არგებდა.

შ ა ი რ ი

უგბილთ სწაელება ცუდია, ბრძენნი აშრობდენ ენასა,
ვით ქარი გალიაშია დააპყრა, მიჰქრის ზენასა,
ტრფილასა სატრფოს უშლიდუ, მისკენვე იწყებს რბენასა,
და ცხრილსა წყაროთი ავსებდუ, მალე იქმს ქვე გადენასა!

რა მეორე დღე გათენდა, ის მეზობლის კატა მხნედ და ბებრის ციკა ღონ-
ლილით ხელმწიფისა კართა ძლივ მიაწივეს. საწადლის ძღმან მისვლის უწინა-
რესვე შეაედუნა, და სიმქ-ის ბედმა მის უმის ვაქრობის ციკხლსა სი. ედილის
წყალი დაასხა, ამა მიზიზისათვის რომე: წინა დღეს ხელმწიფის ტაბლაზედ კატე-
ბი შესრულიყენენ, საკრძალავი მსახურება გაეშვათ და ჩხავილით და კნავილით
მასპინძელთა და სტუმართა გული შეეკირვებინათ. მაშინ ხელ წიფეს ებრძანა-
მარჯვეთა მშვილდოსანათვის დროება და, რომ ღმანცა კატამა უსირცხვილო-
ბის ფარი პირთა არ დაიფაროს და კადნიერების ასპარეზთა მოვიდეს, ვიდრე
ლუკმათა აიღებდეს, ღვიძლის მკერავის ისრით განასვენეთო. ბენის კატა, ამ
ამბისა შეუგებელი, საქმელთ სუნის ცემაზედ ურიდ დ, შეავარდენსავეთ, პირი
სუფრისა მისაფრენელად ქმნა, ჯერეთ გუნებას სასწორის უღლით მძიმე და
სუბუქი ნაკვეთი ვერ აეწონა, მასვე წამსა გულის გამგერემელი ისარი შიგა გა-
ვარდა.

შ ა ი რ ი

ძვალ დაკოდილი მირბოდა, სისხლითა რწყევდა არესა,
მშვილდოსანსა ჰგმობდა, ისწრაფდა მეშ ელის მოსახმარესა.
იტყოდა: „რად არ დ ვსჯერდი, მცირესა მისახედარესა,
და ვით ღირს თაფლისა გემება ფუტკრის ცემასა მწარესა!“

კუ და ღრიანკალი

ერთი კუ და ერთი ღრიანკალი გამყოლნი იყენეს და ნიადგ ერთმანეთს
არ მოშორდებოდენ. ასრე მოყვარულნი იყენეს, კული-კულსა გარდაბმული ჰქონ-
დათ და წამსაცა, არ გაიყრებოდეს.

ლ ე ქ ს ი

დილით მწუხრამდე ალერსი მათ ჰქონდათ გაუწყვიტელად,
სიღამით გათენებამდე ჯდომით თვალ-დაზბლელად.

ესეთი დრო შემოუარდათ, რომე მუნ ყოფით სხვაგან წასვლის საქმე მოუხ-
დათ. რა გაემართნენ, სელასა შინა ერთსა მდინარესა მიაღვინენ. ღრიანკალსა
მას შიგა ვასვლა არ შეეძლო, დია დალონდა და მოეწინა. კუმ უთხრა:

— ჰე, საყვარელო ძმაო რა გეუფლა, რომე სულთა საყლონი საგონებე-
ლის ხელთა მიგიკმინეს, და გულისა სიმიხარულისა და ლხინის კალთაზე ალ-
გიკეციეს?—ღრიანკალმა უთხრა:

— მე ამა მდინარესა ვასვლა არ ძალ-მიცს. და ამის ზრუნვისა მორვეთა
შთავარდნილვარ, არცა ვალმა ვასვლა შემძლია და ვერცა ვაყრისა და მოშორ
ვების ნაღველი დამითმენიაო.

თქვა ლექსი

შენ წახვალ, მე აქ დავრჩები საბრალო, უმეყვისანი,
უშენოდ სწრაფად დამიდხეს გულიცა მქონდეს ქვისანი.

კუმ უთხრა: „ნურას იურვი, მე ამას მდინარესა გაურჯელად და მშვიდობით გაგიყვან. ჩენსა ზურგსა შენთვის გაეხომოდლებ და ჩემთა მუცელთა შინისა კირისა ფარად შევიქმ, ამისთვის, როვე ერთაა ძოვერისა ძნელია ათასის ცდითა ხელთა ჩაგდება და მერმე ადვილად გაშვება“.

თქვა ლექსი

სჯობს რაცა გქონდეს გაჰვიდო, იყიდო მოყვარენია,
არ გქონდეს მოყვრის სასკიდლად სულიცა საადრენია.

მაშინ კუმ ღრანკალი ზურგთა აღისკა, მკერდი წყალთა დააპყრა და ცურვა დაიწყო. ცურვათა შინა კუს ხმა რამე ესმა და ღრანკალის გარდაქრისაგან შეშინდა, ხმა უყო:

— რანსმა ხმა არს რომე მესმისო. ღრანკალმა უპასუხა:

— ჩემსა შაშართა წვეერთა შენთა ტან-საცემთა ჯავშანთა ზედა გამოვსკიდლი და ვსინჯედიო. კუს ესე დიად ეწყენა და უთხრა:

— შენ ძუბთალო, ჩემი სული შეთვის საკვდავად მორევთა ჩავაგდე და ზურგი ნავად შევიხნადე და აჰა მდინარეთა შინა უხრუნველად მიმყავხარ; და ამასაც არად შემარაცხ და პირველთაცა შეებათა დაიფიწყებ, მაგა შამართა ჩხვლეტას რალას შემართობიო? ესეცა ხომ იცი, შენი საწერტული მე ვერარას მავნებს და შენი ნაწრობი შაშარი ჩემსა ზურგსა ვერა განჰკვეთსო?

უთხრა ლექსი

ვინცა გამწყრალმან მჯილითა კლდესა სცეს გარისხებულმა,—
ხელს იტყენს, მას ვერას ავნებს, არ იცას ვაგლახებულმა?

ღრანკალმა უთხრა: ნუ ექვ, მე ესე შენთვის სააოდ არ მიქმნია და არცა ეგეთსა საქმესა გულთა ჩემთა გაუვლია, მაგრამე ჩემთა გვართა შაშართა ხმარება მოსდგამათ. მოყვარეთა ზურგი არს ანუ მტერთა მკერდი—უნდა ვახმარო.

შ ა ი რ ი

თუ ვისზე მოდგმა ბოროტი აქვს ოდენ მისის გვართა,
რომ არ უნდოდეს ავის ქმნა, არ წასცდეს იქმნას არითა.

ვითა ქვას ვერას დააკლებს გასახერტელად სარითა,
და მაგრამ კვლა უკემს კუღითა გესლიანითა, მწარითა.

კუმ გულთა შინა თვისთა ესრე თქვა: ბრძენთა კეთილად უთქვამსთ

შ ა ი რ ი

ვინ ჩვენთვის არად ვარგია, ჩვენ კეთილს რადლა გველოდა?

მეტყვის: გამზარდე, მაქამე, ღვინითა სავესე გველოდა,

ქეთისა გზათა შემცხართა, სჯობს ჩვენი თავი გველოდა,

და ამას ჰგავას უხმოდ მოწვევად, უბით გაგზარდი გველო და
ავ-გუნება და უგვაროს კაცს გაწვრთნა და გაწყობა თავისის პირის წყალთა გაშვება არის და თვისისა საქმიანობისა საბელთა წვერთა დაკარგვა.

უთხრა ჩახრუხაული

ოქრო და ვერცხლთა მიწათ ჩაზნევა ბრძენთა ეგოდენ ვერა გიძრახონ,
მაგრამე ავთა კაცთა უზავთა წყალობას ზედა იახონ, ახონ.

კემ უხრა: თუცა შენი მოღვა შაშრით ჩხელეთა, ჩემი ყურქემელი არი-
სო. ჩაიუწნთა წყალთა, წყალს წააღებინა.

დათვი და გლეხი

ერთი მებალე იყო, მისსა ცხოვრებათა შინა ნერგეასა და თესვასა ზედა
შერებოდა. თვისსა საწადელსა ცხოვრებასა მას ბაღა-ბაღთა შინა აღამებდა.
ასეთი წალკოტა ჰქონდა, მისი კორღი სახოთხეს გუნდა, ხე-ხეობათა გამართებით
გაწკობილობასა ნაღლისა მტკერი ერმის ბალისათვის თვალთა ჩაებნივა; მასის
სიტურუის სახასა შურის დაღი აფროდიტისა ბოსტინისა გულთა დაესვა; სხვა
და სხვა ფერსა ხილანასი ფარმამაგიეთ კარავი გაედგა; მრავალი ფერა ყვავი-
ლი ქექაოზის გვარგვანსავით მაზედ ელვიდა; მისი იატაკი კეკელა და
ტანითა და პირითა განშენებულა, ჰაერი მისი მანათობელა, და მიაი ნიავი
ათრისა დუქნისაებრ აშართა გამაყიდველი, კეთალ სუნწელებათა მახუ-
ნიერებელი; ხენი ხილ მსხმონი, ბერსავით წელ მოზრილნი; მასნა მილნი სიტკო-
თა ქაჯთაგან უხურვალსის სიციხითა დამწიფებულა, ფერად-ფერადნი; ხაღნი
საზაფხულთა და საშობოღოთა, მებად წყლიანი და გემრავლა; მისი ვაშლი—
უქიროდ მომატყუებელის სპეტაკის ვეცხლის ბურთი გულისა. გაჩვეულთაებე-
ლა, შვენიერი და ფეროვანი, მოსვენებისა მომძაბებელი და ქვეყანათა აღმაშე-
ნებელი!

შ ა ი რ ი

ტურფანი სიკეკლუტითა ბროლ-ლაღად, დაწვნი მივაშლით,
წალკოტსა პირა მიაპყრა მის შვენებინა ძივაშლით.
ხეზე ვარაკელავნი მიჰქერაან, გულთა მივაშენა ძივა შლით,
და დღისით ლამპრობის მნახველნი, თვალთა ჩენასა მივაშლით.

ქება ვითა ვთქვა, არ ძალ-მიცს, თუცა ვამკობდე რა სხალის-
მებალე მაზე იხარება, შწევრთის, აღზარდის რა სხალის;
შაქრულად დაკიდებული, ძნაზევლთა მისცეს რას ხალისს,
და წალკოტთა მაშვენებელი, ვით კეკლუკთ პირა რას ხალას.

კომში მოღვაწის მსგავსად, მატყლისა სამოსლათა, ლამით ამდგარსა, პირ-
გაყვითლესულსა, ფურცლისა სარკმლითა თავი გამოეყო პირისა მტკერთაგან შე-
წუნებულის ტრუვილის გულსათვის მთვარული ნიში დაესვა.

შ ა ი რ ი

ფერ-მიხდით ხილთა უმჯობე უდგანან კომში, უბია,
მაზე აყვითლებს ყვითელი, გლახ გული ტრუვიალს უბია,
მას საყვარლისგან ყვითელსა კალთა სავესე აქვს, უბია,
და ცრემლ-შეშრობილსა წინა უდგს ცრემლითა სავესე გუბია.

ნარინჯი, მონახუელი ბურთი, ხავსის ფერს ფოთელთა-თანა, ვითა მზე მა-
ღალთა ცათა, ბრწყინვედა; თურინჯი, ოქროსა წყლითა მოფერილია, მოწყენი-
ლის გულის გამხარებელი, სუნითა და გემოთა გვამა სულთა გაუახლებდა, და
წალკოტთა შინა კრთომით ელვარებდა.

რ ვ უ ლ ი

პირ აშკმული იცინოდა,
ქარვა შიგან ჩაწყობილი,
ქანდაქარად შეწყობილი,
და წითელ-მწვანედ აშვენებდა.

ქებად თუცა მოუცალე,
წითელ, ყვითელ. თეთრი, მწვანე,
დაიგემო ცვარ ნაწვეთი,
და საკრეფელად რტო ხე ლთა აქეს,

საყვარლულად ბროწეული,
იაგუნდი ძოწეული,
არ აშლილი, მროწეული,
ბალსა კოწლებ კოწეული.

ატამი ჰყაის მოწვეული,
ნოტიობა მოწეული,
ბაგე-ბაგეს მოწეული,
აჰა, მისად მოწეული

ცალგნით ლეღვი, რომელი მალლისა ხელსა მისი ხახე და სიკეთე სამოთხის ლეღვისათვის მამისგავსებინა, რომელსა შაქრისა ტკბილი პუნგია ხაშხაშის თესლითა შექმზადა; ერთ კერძო მოელვარე ყურძენი, რომელი სიბრძნისაკალმსა მისი მრავალ-ფერად შევიწერებით შემკობა წმიდის წიგნის პირთა დაეხატა. ცუაროვანს ყვავილივით, ფურცელთ საშუალ ჩნდა; კორდთა ზედა მიწყობათ ეყარა ზარნიშანი ნესენი, ბურთ-ბურთად, მწვანედ ლებული, ვითა მთვარე ქიქის მსგავს სინათლეში, გამოჩენით გორვიდა.

შ ა ი რ ი

მდღელთა ნესვი ნათესი მუნ მრავალ ფერად შევენოდა,
იდემთა ხილთა ცილებით სადაროდ გამოჩენოდა,
მწვანე შრე-და შრე წითელზედ საოცრად გასაჩემოდა,
და ამბართა სუნთა ყნოსანი მიღმობით წარმოსჩენოდა.

მას მებალესა ყოველთა ზედა ხეთა ესოდენი ნამყენი მოემყნა, რომე შეილისათვის ზრუნვით ს.მეზაკო აღარა დაეტევებინა რა. მისსა ჟამთ სიგრძეთა მას წალკოტსა შინა მარტოობით იმყოფებოდა და სიმარტივისა შიში აკირვებდა. უამბანავობისაგან მოწყენა შესვლოდა,

და იტყოდა ჩახრუხაულსა

ვარდი-იანი, ჰყვავის მზიანი, მასთან უმწეოდ რამცა ვიხარო?
ჩემნი ბაგენი, შაქრად ვაგენი; მზე თუ არ მივის, ვისზედ ვიხარო?

ამისთვის, გულნაღვლიანი ველთა სარებლად გამოვიდა, ერთისა კლდისაძირთა მივიდა; რომელ სულ-მოკლისა კაცისა გულისა სიეწროვესა ჰგვანდა. მის გარემო სულა არად სასარგებლო იყო, და გონებისა გართვითა მუნ იარებოდა. თურმე, ერთი საზარელი, ბილწი, უშეფრი დათვიცა, სიმარტოვისა გაძღება დატევებული, მის მალლის კლდისაგან ჩამოვიდა. რა ერთმანერთი ნახეს, ორთავე ერთისა სიყვარულისა ცეცხლი აღეგზნათ და მათი გული გასაწყობელად შეერთდათ.

რ ვ უ ლ ი

ციერთა, ან მიწიერთა,
ვით ქარვა ბზესა მიიკრავს,
ეთერი ცეცხლსა მიზიდავს
და ნათლისაგანი—ნათელსა,

თვითო გვარობა სტანობენ,
მის სატრფოსთანა გვამობენ
და თანა მიითანობენ,
ბნელნი ბნელეთში ბანობენ.

წმიდასა უყვარს სიწმიდე,
თხლი თხლესა შესვამს, ცუდი-ცუდს,
ბრძენი ქეთასა შეატკობს,
და მელვინე ძღვინისაგან.

აენი აეთანა განობენ,
სიკუდით შეიგვანობენ,
ან „ესე სჯობსო“ ანობენ,
მიბრუქვით მოცინარობენ.

დათემა რა მისი გლახობა შეიტყო, მისსა აღერსსა და გაერთებასა უპატა და მებალეს ეგოდენი ანიშნა, თან გამოჰყვა. რა მას ედემის მსკავსსა წალკოტსა შინა შევიდნენ, და რა იგი ხილ-მრავლობა ნახეს, მათში მოყვრობა აღმატებით გამრავლდა და სიყვარულის ნერგი ერთმანერთში აღუოჩინდათ.

ტ ა ე პ ი

ბალში იშვებდენ ხანებსა, ერთი მეორის ხანებსა.

როდესაც მებალე დამაშვრალი ჩრდილსა ქვეშე თავსა განსვენების სასათუ-მალთა დასდებდა, დათვი, ხელ-მოქდობილი სასამაახუროდ, თავით მოუჯდებო-დის, ხან ბუზთა უწერობდა.

თქვეს ტაეპი

თავით ამისთვის უზია, ტუჩთ არ დააჯდეს ბუზია!

ერთსა დღესა ამავე წესითა მებალეს ეძინა და პირთა მრავალნი ბუზნი ებ-მეოდეს. დათვი ბუზთა მომწერობასა ცდილობდა და რომეოს-ც მხარეს მოუ-ვწერის, (ისინი) მეორეს მხარეს დაახდინა და ვერა იღონა რა. შეწუხებულმან ბუზთა ზედა მრისხანება დაიწყო, დიდი ლოდი აიღო, ეკონა ამით ბუზთა ყო-ველთავე მოვსრავო. ბუზთა ნატყორცი დასცა საწყალს მებალესა და ტუჩნი მი-წათა გარიგა. ამისთვის უთქვამსთ: „მცოდინარი მტერი უკოდინარს მოყვარეს გიჯობსო“.

ლ ე ქ ს ი

რაზომცა ბრძენი მოავე გაენებდეს მტრისა წესითა,
უკებს მოყვარეს იგივე სჯობს უკეთეს უარესითა.

მგზავრი და გველი

კაცი ერთი აქლემსა ჯდა და მგზავრი იარებოდა. ერთსა ადგილსა შავიდა, მუნ მგზავრთა ცეცხლი აენთოთ და მათს წასვლას უკან ქარს გაეზნევა და კაქაქთა მოჰკიდებოდა და ლამპრობასავით ხანძარი გაძლიერებუ-ლიყო. გარმოდებულს ცეცხლსა შინა ერთი ასპიტი გველი დამწყვდეოდა და ვერ საით ვერ გასულიყო და არას მხრით მორჩენს იმედი არ ეპოვებოდა და, ვით თევზი ტაფასა შინა, მოხრაკეასა და მწვადსავით ცეცხლზედ შეწვასა მიახლე-ბულ იყო, გესლისა ცვარი თვალთაგან სისხლის ცრემლად სდიოდა. რა იგი აქ-ლემოსანი კაცი ნახა, ხმა უყო და თქვა:

ლ ე ქ ს ი

რა იქმნება მომეხმარო, მოწყალეობით შემევიდრო,
ამა ქირსა მომარჩინო, გამიკეთო, ამივედრო?

აქლემოსანი კაცი ღეთის მოშიში და გულ-მოწყალე კაცი იყო. რა გველი შექირვებასა მყოფი ნახა, შექირვებული და ულონო, თავის გუნებათა შანა იტ-ყოდა: თუცა გველია, ადამიანთა მტერი, აწ რადგან ესრე შექირვებული და

შეზარებულა, ამის უკეთესს რასა ვიქ, რომე მასზედა მოწყალებისა და შებრა-
ლების თესლი დაესტოსო? ვიცი სააქაოს ბედნიერობისა და საიქიოს მოწყალების
კიდე სარგებელსა არა-რას მოგვეცემსო და არცა მიწათა შიგა თქვეა გვარგაიო...
ესე თქუა და ერთი მანდიკი ჰქონდა, ოროლისა წვერთა გამოაბა და გველ-
სა მიუჭკრა. გველმა რა ღონის ძიების გზა ჰპოვა, მას ძანდიკთა ჩაძვლა და აქ-
ლემოსანმა ამა ხერხითა ცეცხლით გამოიყვანა და ვეფელს უთხრა:

— აწ სადა ვინდა, წადიო. რადგან ესეთსა თუთერაქსა მოგარჩინე და ესე-
თისა ჰქრისაგან გიხსენ, ერთის მხრისაკენ იარე და კაცთა ნულარ ავნებ, რომე
კაცთა შემაწუხებელსა ამ სოფელს სახელი წაუხდებდა და მას საუკუნოს მტერთ-
გულსა გახდებდისო.

უთხრა ლექსი

ზეციტ ღვთისა გეშინოდეს, კაცთა ყოლე ნუ აჭირვებ,
მრავალს ჰქრისა მორჩომიხარ, თუცა იცხრე, თუცა ირვებ.

გვეულმა უთხრა: ჰოი, კაცო! ეგე უმსგავსო სიტყუა დაუტევე; ვირემ შენ და-
შენს აქლ: მა არ უცემ. არა სადა წავალო. აქლემოსანმა უთხრა:

— მე შენზედ კეთილი საქმე ვეავ და ცეცხლით გამოიყვანე, აწ მუქათად-
მაგას მომაგებო?

უთხრა ლექსი

მე რაცა მხამდა იგი ვქმენ—სიკეთე, კაცთა საქმნელი,
გვლარძინილი დრკუსა ზოუმედებს, ვით ღვედი გამოსაქმნელი.

გველმან უთხრა: შენ კეთილი მიყავ, მაგრამე იგი სიკეთე ხამდა სხვისათვის.
გექმნა და სხუა შტორცებისაგან მოგერჩინა და შტორცებისა, — ესე საქმნელი
იყო. არა უწყია, ჩემის მტრის შხამი ვარ? ადამიანი ჩემგან ერთსაცა სარგე-
ზელს არ ჰქულოხს. მაშ, ჩენსა მორჩენასა რად ეცადე? ვისთანაც სიავე საქმ-
ნელია, მასთან სიკეთისა ქნასა რას აწიცილი? აწ ერთი ვეება ხამს, რომე შენ
გიძღვნა. სიკეთე რომე ავსა კაცსა ზედა ჰქმნა, მას შიგდარება, თუცა ზოროტი
კეთელსა კაცსა შეამთხვიო, — რა რეგადაც ქვეათა მყოფელსა უთქვამსო.

უთხრა შაირი

ბრძენთ უთქვამთ: ქვეათა რჩევითა გამოგვიცდია სახენი.
ხანს კეთორსა მოქმედსა სიკეთე მალ შეახენი,
ზოროტის მქნელსა მოუდგა ადრე შიშთვილის მახენი,
და ვინ ხელსა სიბრძნით ეტყოდეს, ბრძენთ უთხრას მოსაჩმახენი!

ესე გვართათანა სიკეთისა ქმნა არა ხამს და ჰურიათა სჯულსა შინაცა-
სწერია ჩენი და თქვენი სჯულთაზმდე მტერობა ჩვენგან თქვენი კბინა და
თქვენგან ჩვენს თავის გატყინვა; ჩენი თქვენგან ღტოლვა და თქვენგან ჩენი
სიკედელი. ბრძანებულა, რომე ცოცხელი არ დაგვიშვათ. აწ შენ ბრძანებულსა
გარდახედ და დიდი ცოდვა იტვირთე. მე მცნებას არ შეურაცხვეყოფ და ანის-
თვისცა გიკბენ სხუათა დასანახავად. აქლემოსანმა უთხრა:

— გველო, მოწყალება მოიგი!.. სჯულში არას ადგილს სიკეთის ნაცვლად
სიაფე არა ჰქნს, საბეჭდის ნაცვლად — ზიანი და ნოსმარების ნაცვლად — წყენა...
ესეთსა საკმენსა კეთილი ზოლო არა აქვსო. გველმა უთხრა:

— თქვენ, ადამის ტომთა წესი ეს არის: კეთილისა წილ ბოროტსა უზამთ. აწ მეცა თქვენს ნაქმარსა წესსა გიყოფ. რომელსაც მუქაფას თქვენ ბაზართა ჰკიდით, მეცა თქვენ მოგყიდით.

უთხრა ტაეპი

შენს წლამდი განასყიდარსა წამზედ მოგყიდი მდიდარსა.

კაცისა მრავალსა ვედრებასა გველი არ უსმენდა და აღრე გარდაწყვეტასა ცდილობდა და ეტყუოდა: პირველად შენ გიცე, თუკა შენს აქლემსაო? კაცი ეტყუოდა: მრუდსა საგონისსა განეშორე, სიკეთის ნაცვლად სიავე უბადრო საქმეაო. გველმა უთხრა:

— ამა მუქაფასა მე თქვენისა წესითა შემოგზლავო. მან კაცმან ივარძმა და უთხრა:

— თუკა მოწმით დამატეხ, რომე ეგე საქმე ადამიანთაგან ქმნილიყოს, მაშინლა შენგან კბენასა სულითაც მოვიყიდი, ჩემს სიკვდილსა თავს ვიდებო. გველმა მიიღმა მინდორთა ერთი კამბეჩი მძოვარი დაინახა, და უთხრა:

— მივიდეთ მისთანა, და ამა საქმისა სახე მართლობით მას გამოვიყიებოთო. კაცი იგი და გველი კამბეჩთან მივიდნენ და ენოვანმა გველმა ჰკითხა კამბეჩისა:

— სიკეთის მუქაფა რა არისო? კამბეჩმა უპასუხა:

— თუკა ადამიანთა წესითა მკითხე, სიკეთისა ნაცვლად სიავე იცინაო. ესრე რომე ხანსა რასამე წელიწადთა შინა ერთსა ლოლოსა ვუშობდი და სახლი მისი სძითა და ერბოთი ავუფსე, ღისის მორკმის საფუძველი და საძირკველი ჩემის მიზეზით იყო. რა დავებრდი და მოვებრწდი, ჩემი ნაკეთვარი დაივიწყა, ბოსლით ველად გამაგდო; და რა ხანი ერთი ძოვნითა და მოსიგენებითა ჩემდა ნეების: დ ვეტარებოდი, ცოტა რამ სიმუშქნე მომეცა. გუმინ ჩემმა პატრონმა აქათ გამოკლო და მისსა თვალსა პოხილად ვეჩენე. ერთი კასაბი მოიყვანა და მას მიმყიდა და დღეს მას მივეყვარ დასაკლავადო. ესე არს ჩემისა ესოდენისა ნაკეთვარისა მუქაფაო?

უთხრა ტაეპი

ჩემი აშბავი ეს არი, სადლა ვთქვა დასაკენესარი?

გველმა უთხრა: გესმა კაცო? აჰა ჩემად საკებლად გაენზადეო. კაცმა უთხრა:

— სამართალში ერთის ნოწნით საქმე არ დამტკიცდებაო. სხვაცა ვინმე იმოწმე და საწადელი აღისრულეო. გველმა მიხედა, ცროი ხე რამე დაინახა და თქვა:

— წავიდეთ, მას ხეს ვკეთხოთო!.. რა მეს ხელთან მივიდნენ, გველმა ჰკითხა:

— კაცობრს რიგით სიკეთის მუქაფა რა არისო? ხემ უთხრა:

— ადამიანთა წესითა სიკეთის ნაცვლად—სიავე, და სარგებლის ნაცვლად—დასაკლისო. ანით სკან, რადგან მე ერთი ხე ვარ, ამა უადგლოთა ადგელს მავლთა კაცთა ზოსანსახურე. ნიადაგ ერთსა ფერტთა ზედა ედგეცარ, რომე კაცი ვინმე ამა უდაბურთა მაშგრალი და სისხლ-შეშრობილი მოვიდეს, და გაუსვენო, და ჩემს ჩრდილს ქვეშე შეეგბა მიეცეს. რა თვალთ აღახმენ ჩემთა რტოთა, რომელი ცულთათვის ტარად, სხვა ბარისათვის, სხვა ფიცრად და კარებად მი-

ნატრიანი!.. თუცა ცული ახლავსთ, რომელიცა რტო მოუნდებათ—მოკვეთენ, და თუცა არა - ესეთსა სიტყვასა იტყვიან... და ჩემის სიკეთისა პასუხად ესრეთ ჩემთვის მოინდომებენ!

უთხრა ლექსი

მე თათა მათა ვაჩრდილებ, მალ ვაფუსენებ შრომასა,
ივინი ძირით მოთხრასა ცდალობენ არ დაცხრომასა!

გველმან უთხრა: ესე მეორე მოწამე, რომელმან დაამტკიცა. აწ კბენისათვის სიტყვა აღარ გქვს რაო. კაცმა უთხრა:

— სული ტბილია და ძნელად გასაცემი და სოფლით გასელა საზარელი! თუცა ერთსა სხვასაც იმოწმებ, უცილოდ საკვდავად თავსა მოგცემო. საკვირველად ერთი მელი დანახეს, ახლორე დგა და მათსა ცილებასა ისმენდა და მათსა სარჩელსა გულის სიღრმითა ჩხრეკდა. გველმა უთხრა:

— აჰა, მელი, და ამასაცა ვკითხოთო, იგი რაღასა გვეტყვისო. მან კაცმა კითხვა დაასწრო. მელმა შე ჩუქსა და უთხრა:

— არა იცია, სიკეთისა მუქაფა ავი არისო? შენ მაგა გველისათვის რომელი სიკეთე გიქმნია, რომე ნაცვლად ტანჯვასა შემთხვევიხარო! მან კაცმა თვისი ამბავი ყოველივე უთხრა. მელმა უთხრა:

— კვიანსა ვისმე ჰგაფხარ და ეგეთი. ტყუილი ვით იკადრეო?

უთხრა ლექსი

ბრძენთაგან მრული სათქმელი თქვი, თუ რა სავარგონია,
კაცურსა კაცსა ტყუილი არ შეენის. გამიგონია.

გველმან უთხრა: მართალსა იტყვის! აჰა მანდიკითა, რომელი პაონთა ჰკიდავა ცეცხლისაგან გამოპიყვანაო. მელმა შერისხნა:

— მე ვით დავიჯეოო, ესრე დიდი გველი ამა მცირეთა მანდიკთა როგორ ჩაეტყვიო? გველმა უთხრა:

— თუცა არა სჯერებარ, აწ ჩაეძკრები და თვალით ნახეო. მელმა უთხრა:

— როდესაც თვალით ვნახე, მაშინდა დავაჯერებო, და თქვენს სწორსა სამართალს მაშინდა ვიქე, რომელსა შანა მიდგომა და შემწეობა და სიჭიშპისა საქმე არ ერიოსო. კაცმა მანდიკსა პარი აულა და გველი, მელისა ქართთა აღაღებული, მანდიკსა ჩაძვრა. მელმა მას კაცსა უხმო:

— ეჰა, რა შენი მტერი გაბმული ნახო, ხანთა ნულარ აყოვნებო!

უთხრა ლექსი

რა მტერი ხელთა დაიპყრა, მოკრევით შეიწრებული,
ბრძენთ უთქვამსთ: ხანთა ნუ დაზაჰ, აღარ შეიქმნას რებული!

კაცმან მან მანდიკსა პირს მოჰყრა, და მიწასა ზედა ესოდენი აწყვიტა, გველი სწულიად გაგალა, და მასის გესლისაგან მოჩა, და ერნი მისის შიში-საგან დამშვიდდენ.

ვირის გული და ყური

ერთსა ლომსა მღერი დავმართა და ცხრო და ხურება დააწყებინა.
ქველმა დია შეაღონა, ფხანითა და ქექითა გული შეუწუხდა; ესრე ლომე მოე-

ლო, მოძრაობა აღარ შეეძლო, ნადირობისა და მიმოვლისაგან დაეარდა. მისთა მსახურთაგანი ერთი ტურა იყო, რომელი მისისა ნახორშალითა გამოიზრდებოდა, ძომეშარობისა სისუსტესა მისის ნარჩომითა გააძლიერებდა, რა ლომმა ნადირობა ველარ შეიძლო, ტურამ ჩქარად ღონის ძიება დაიწყო. ერთსა დღესა, მოწყმარა და შიშლით შექუხებულმა, ლომს რჩევა და წვრთნა დაუწყყო და უთხრა

— ეჰა, ნადართ ხელმწიფო! შენსა ესეთსა სნეულებასა ამა გარეშემოს მხეცი ალუჰვოთებია; შენისა ესრე უსუსურობის გამო მსახურნი და გლეხნი უხეიშნოდ შეზარებულან.

მოახსენა ლექსი

შენს უძლურებას ყოველნი მოუცავეს შიშის ზარითა,
სრულიად ძრწიან შიშითა სწრაფითა, არ სიწყნარითა.

ამა სენსა რასათვის ერთსა წამალსა არა მოუძიებ, და ღონესა რასმე არას დაუდებ და ამა ძვლამდე ქაეღლის კარსა არას მოუღებნო?

ლომი ატირდა და თქვა ლექსი

მასვია ერთი ეკალი, ვერ ამოვიღებ ნემსითა,
გული ამქსია სისხლითა, რით დაკიცალო მეს სითა?

ჰე, ტურაე! მე რომ ამ კირას გამო ძნელი შეკარება მაქვს, დღე-ყოველ სრულად სისხლსა ვკამ; ამ ქავილით დლითი დღე ვდნები, სიმპლით თმასავით გაწვირილებულვარ, ერთისა ბეწვისა სისხო ტანი აღარა მაქვს, ამ კარის ღონე ვერა დაძიდებია რა, რომლითაცა წამლითა სე ტკივლითა შევასუჯუქო. ერთმა სახელოვანმა მკურნალმა, რომელი დიდად სარწმუნო იყო, ეს მასწავლა; ვირის გული და ყურები ჰამე, მის მეტი ამა სენისა ღონის ძიება არ არისო! მასუქან მის საგონებელსა შინა ვარ და ვერა მომიხეზებია რა, რომლისა საქმითა ხელად ვიგდოო. ტურამ მოახსენა:

— თუცა ხელმწიფე მიბრძანებს მე, მის მდაბალს ზონასა, საცადლის სარტყელსა შევირტყამ და ფერხსა საძებრად გავდგამ და, ხელმწიფის ბედნიერობის გამო, იმედი მაქვს საწადლს მივხვდეო. ლომმა უთხრა:

— რომლის გზით მოამღერებ და რა ხრიკისა და საცდურისა მატინესა წაუკითხავო? ტურამ მოახსენა:

— თქვენი ტყადამ გამოსულა ხომ არ მოხდება, თავად არ შევიძლია და მერმე ტანთა ბეწვი გაგკვირნია და სახის შეკნეირება მოგშლია და ვგრე, რომ მტერთა და მოყარეთ ეჩვენო, ხელმწიფობის უკადრისია. მაშ, რჩევა აპისი ეს არის: მე ესოდენსა ვეკადო, ჩვენი საწადელი აქა, ამა ტვერთა შინა მოგყავნო და ნადირთ ხელმწიფემ დაკლას, და გულას ნდომითა რომელიც ენებოს, იგი იამოს. ლომმა უბრძანა:

— მას ვითა მოიყვანებო? ტურამ მოახსენა:

— ამა ტვერისა სიახლოვესა ერთი წყაროა, რომ წყლის სიმრავლითა უკინანეს ზღვათა მაჰკავს, სიტკბოთ და კამყაპებთა უკვდავებისა წყაროსა ეღარებისო.

უთხრა ტაეპი

მწყაზრისა ულამაზესი, სიტკბოთ სულისა სადარი.

მუნ რეკად ერთი მაურკნელი იარების და ტანისამოსსა ჰრცხის, მას ვირი ჰყავს, სასარცხლოს მას აჰკიდებს ვირი იგი დღე-ყოველ მუნ სძოვს ნუ თუ იგი მოვაცდუნო და ამა ტყეთა შემოვიტყუეო. მაგრამე ხელმწიფემა ალ-

ქმა დადვას: რა მისი ყურნი და გული შექამოს, დანარჩომი მხეცთა სამადლოდ მისჯესო. ლომმა აღოქმა ქმნა და პირობა დაუდვა და ფოცი მისცა. ტურამ მას-პინძლობის მოსამზადებლად წყაროს მიმართა. რა შორით ვირი ნახა, საქციელიანი სამსახური მოაჩვენა და საპატიური გზები დაანახვა.

თქვა ლექსი

ტკბილი ენა ყველას იქმს გზიანად საადვილოთა,
ბეწვით აზიდავს, არ გაწყდეს, მძიმესა დიდსა პილოთა!

მერმე ჰკითხა, რასათვის ესრედ მქლედ და უპატიურად მოსჩანხარო? ვირ-მა უთხრა:

— მმურკნელი ნიადგ მაშრომებს და განსვენებას არას ცდილობს, და მე ბალახისა ნდომისაგან გავილიეგო, და მას ჩემი ერთის ქრთილისა მარცვლისა ზრუნვა არა აქესო, და ამით ჩემის სიცოცხლის კალოსა წარტაცების ქარი მოახლებიაო, და ჩემსა პატრონსა მე ხის ფურცლის უცუდესად მიუჩანვარო.

უთხრა შერეული

მის ხელში არსად მინახავს საჩემოდ საურავია,
ქერი და თივა არა მაქვს, არც ჩული საძაგრავია,

ყოვლ დღე საპალნე მკიდია სისხლის მქამელი გულისა!
ღამე მიწისა მლოშნელი კბილითა მოსახრავია,
რად გიციირს ჩემი აღზობა ნიადგ აბარგულისა,
და გოხის მლოკველი სისხლსა ვსწოვ, მომაკლდა სრულ საძრავია!

ტურამ უთხრა: ევა, მშვიდობაე! გჯლი ხომ ხელთა გაქვს და სწავლა შეგიძლია? მაწე, რა მიზნე გაქვს, ესეთსა ქირსა მოითმენ და მაგისთანას ძალასა თავს იღებო?! ვირმა უთხრა:

— მტვირთველობისა ზმა გავეფენია და, სადაც წავალთ, ტვირთი ზურგით არ მოგვეხსნებინო. მარტო არა მე ვარ ესრე ქირსა შინა: ყოველი ჩემი გვარი ერთობილ უარესსა ყოფასა არიან და ტვირთისა ქვეშე მტირალნი არიანო.

უთხრა ლექსი

ნიადგ ქირთა ვაბივართ ყოველნი თვისის წესითა,
არავინ არის აზატი, სად მოვრჩებოდი მე სითა.

მისთვის მცა დიდი პირობა დამიც: რადგან ყოველთა შრომისა ზრუნვისა სასწლითა სმენ და ქირისა სამოსლითა შემოსილნი არიან, ამისთვის მცა ერთსა საქლსა შინა ყოფა მირჩენია, რომე აქა-იქ ტარებითა არ გავსუბუქდყო. შენ იცი, კარ-და-კარ მორაულობა არად ვარგიაო. ტურამ უთხრა: ეგ სიბრაცვე არისო!

უთხრა ლექსი

რომელსა კაცსა მოოკლავს თავი ხელითა თვისითა,
თქვას: ცუდად აქა მოგკლდები, უდლეოდ დასაწყისითა?!

ხმელთა ვცლნი ფართო არიან, გაკირების დროს გარდახეწა გაურიგებიათ-და წესად დაუდებიათო.

უთხრა შაირი

სადა დადგომა არ ვარგა, გაცლა სჯობს გარიღებითა:
იქითგან წასვლა არ უთქვამთ სასირცხოოდ მიმოდებითა.
თუ ვერ დასდგები, რასა იქმ უღებებისა ღებითა?

და ქვეყანა ყოველგნით ფართოა, წადი ღეთის იმედებითა!

ვირმა უთხრა: ბრძენო მოყვასო! სადა გინდ ვინმე წავიდეს მღლევის მე-
ტი რაღცა იშოვნოს? და ერთისა ტვირთისა ზიდვისათვის თავსა აქა-იქ ჰუარევე-
დეს, რაღა კეთის მახლობელიაო!

უთხრა შაირი

იგივე საზრდო იშოვა, ვინ საზრდოს გამოეკიდა,
შრომისა შოუთმინარსა ტვირთი უძიმედ ეკიდა.

საცა კაცია, ღმერთი ზრდის, სხვა თუ შენ ნუ მოეკიდა,
და ყოველსა თვისი არაშივი კილითა გამოეკიდა!

ტურამ უთხრა: გე გულ-დაჯერებისა რიგია, და ყველაქასა მაგისი ქმნა არ
შეუძლიაო. ღეთის ბრძანება ესრე არის: ყველაქას სხვის მოხმარებითა და შეწყე-
ვნით მღლევარი არ დააკლდები, და ყოველთა მისთა მოქენეთა ერთისა მიზეზი-
თა სხვა-და-სხვა რიგად საზრდო მოცემის, და მე თუცა ნომყებები, ერთსა ესეთ-
სა სათიბთა შიგა მიგიყვან, სპეკალთა მსყიდველისა დუქანთაგან უმრავალ-ფერე-
სად შეწყული იყოს და მისი ჰაერი ათარისა კოლოფისაებრ ნიავსა მუშე-ამბრის
სუნნელება მოჰქონდეს!

უთხრა ჩახრუხაული

ჰაერ-კეთილი, არ ტყე კეთილი, მადნარი დიდი, გრძელი, დებული,
ხენი ახალნი, ვით კეკლუტო ხალნი, შტო-შტოსა ზედა გარდადებული,
სუნნელი ვარდი, არ განვაზრდი, ღელე გვრიტისა გარ ნოდებული,
და ვით მოყვარენი, მოსაჯარენი, კაცს თან რომ ახლდენ, ძმურად ღებული!

ამას წინ:დაც ერთს სხვას კარაჯულს ვასწავლე იგი გულის გამღებელი ად-
გილი, მუნ მივიდა და დღესაც იქ მშვიდობით სძოეს და მიმოიარების და თა-
ვისუფლად, ცოცხლებით სამოთხის გზათა ვლნისო. ესეთებითა სიტყვებითა ტუ-
რამ ზერხიანის ბერვითა მაცდურებისა პურის ხრიკის თორნესა გაშოაცხო
და ვირსა, მას ადგილის სიხარბითა, შავის ნაღვლის კოჭობი აღდუღდა და უთხრა:

— შე თქვენს ნოყვარულს ბრძანებასა თავსა არ მიფრიდებო, რადგან ვერ
გულ-კეთილად და თვალ-მხიარულად წირჩევ, რომ არ დაგიჯერო კეთილად არ
მოჰსდებაო.

უთხრა ტაეპი

თქვენს ბრძანებასა ვათავებ გულისა უზაკეღლითა.

ტურა წაჰრღვა და ღომთან მიიყვანა. ღომი მცრისა ნდომითა სწრაფად
მიტრევა, ერთსა ადგილსა დაკოდა და სისულტით ვღარ შეიმაგრა და ვირი გაე-
ქცა. ტურას ღომისა ესრე ძელისა მიღება გაუჯერდა, და შეტუქსა და უთხრა

— ერთსა პირუტყვისა ესრე გაფრთხობა რაი სასარგებლო იყო! ერთს
ლტინის ჟამი რომ არ მოწივნულ იყოს, მაშინ საქმეს არ უნდა აუჩქარდესო. აჟ

ამას ვამჯობინებ, თავი არ გაისუბუქო და ნდომით არ ასჩქარდეთ, გული ამ საქმეს დააჯეროთ, მძიმედ ყოფისა სადავე ხელთ იპყართ, რომე ბოლოდ საქმე სასინანულოდ არ შეგექმნასო!

უთხრა ტაეპი

დინანო რას ეწევი, თუცა საქმე დააცდინო.

ესეთი სატყეები ლომს ეძძიმებოდა და თვისა გონებათა იტყოდა: თუცა ესე მოვითმინე—მოვიყენები, თუცა გავსწყყრე და საქმე მოვიძიო—ავ-გულად დამდებენ, და თუცა თავსა არ შევიღვა—სიმძლე და სისუსტე გამიძლიერდების და სასირცხო იქმნებოსო, ქვეყანასა იგი არც ერთი უჯობსო! ესეთი რამ უნდა ექმნა, ესენი დაიფაროს. ესე სჯობს, ტურისა სიტყვათაი გავაცუდო და ესეთისა საქმისათვის შეეტუქსო. მერმე უთხრა:

-- რასაცა ხელმწიფენი იქმონენ, გლენთაგან მისი დაშლა და საქმის გა-მოკვლევა, სივირის კიდე არა არის რაო.

უთხრა შაირი

სამეფო სიტყვა არ იცი, ან მისი მოხსენებანი?

სად ჰპოვო მისი გონება, ანუ რა აქვან ნებანი!

ვითა მიხედების მსახური, სცნას გულთა მისთა ღებანი,

და სამისო მართებს იურვოს, გაუმრავლდების ქებანი.

ყოველთა გონება ხელმწიფეთა საქმესა სწორედ ვერ მიხედების. რომელიც ხელმწიფე გამოსარჩევსა მოინებებს, გლენთა ბუნება მას ვერ დაიტყვსო.

უთხრა ტაეპი

კირკიტას ოდეს მიხედება, მითხარ, ორბისა ძალანი?!

მაგა ცუდისა საუბრისაგან ხელი აიღე და სხვა რამე ხერხი მოიგონე, რომ ვირი იგი აქავე შემოაქციო, და ესე მარაბული საძსახური ჩქმსა წინაშე ნათელ-საფით გამოაბრწყინეო, და მე შენ, შენს გეაზსა და ნათესაესა შინა, წყალობით გამოაჩინო! ტურა იგი აგრევე ვირთან მივიდა და საცდურისა ბაღე გაუშალა და კურთხევით მიესალმა. მან ვირმან პირი მიჰრიდა

და უთხრა ლექსი

ბრალთა, ვინცა შენებრსა მოყვარეს ემოყვრებისა:

უპიროვ, სიკდილს შეასწრებ, რომელიც შეგეყრებისა!

ჰე, მაცდურო და ბოროტის მოქმედო! თავისუფლების პაემანი დამიღვე და ბოლოდ მძვინვარისა ლომისა ჭანგთა შემაგდეო?!

უთხრა ტაეპი

სხვას კაცსა ნუმცა უქმნია ესეთი სიაუგენი!

ტურამ უთხრა: ეჰა, მშვიდობავე! ესე საგონებელთა რა მოგილია და გულ-თა ნალველი ჩაგიშვია? ერთისა ტრლისმისა ნახვითა საუნჯის პოვნისაგან ხელ-აღებული შექმნილხარ, ჯერეთ ეკლისა საწერტელი არა გენახა, ვარდისა ზროსა მღერასა მოზორადი დაიჯერე, შენი ნახული ტრლისმა იყო, რომელი მის ტყი-

სა დათვისათვის ბრძენთა შეჯგუფებით, რომე მუნ მხუცნი ვერა დადგნენ, ამისთვის იგ დაუტო. მაგისტვის იგი შეენიერი, წალკოტის მსგავსი სათიბი, საგემოვნოდ შემზადებული, სხვა-და-სხვა რიგი საძოვარი რად გაუშვიო? თუცა იგი ტილისმა იქ არა იყოს, სადაც ხელეთხედ მხეცია, მუნ შიძოკრებებიან და მას ტყესა შიგა დაისადგურებენ და საქმე გაძნელდებოდა. და აწ მის ტილისმისა შიშისაგან მხეცნი მუნ ველარ მივლენ და, თუცა როპელი მოვა, მას საშიშარსა ნახვენ, რომელიცა შენ ხახე და შეგეშინა, და ამაღ მას სათიბსა შინა ველარავინ შევაო. და შას ტყეთა შიგა ვინცა ვინ მკოდრობენ, ვანსვენებით არიანო, და რომელნიც ჩვენ გვიყვარან, ამას ტილისმისა ხეაშიდობასა მასთან გაეამხელო. დაიჯერე, მოჩენებისა კიდე იგი არა არის რა, მას ამისთვის გამოუტყუადებთ, რომე უშიშრად მას აურაცხელს კეთილსა ეწიოსო.

უთხრა მრჩობლელი

ტურამ თქვა: იგი ტილისმა ჯადგეთა გამოუსახავს, რომელი ლომად გეჩვენა, ამით ჯადანი უსახავს. მე შენსა ტანად უძკრო ვარ, თვით ხედაეს თვალი შენია, დღისით და ღამით იქი ვარ, მე მისგან არ შეძმენია. თუ ის საშიში არ იყოს, ტილისმა შემზადებული, საძოვარნი და მკამელნი მუნ იქნნებიან დებულნი..

უწინ მინდოდა მე შენთვის მეტქვა: თუცა ესეთი რამე დაინახო, არ შეშინდე მეტქი. მაგრამე რადგან შენი სამსახური მეტის მეტად მინდოდა, მან საგონებელით მიმტაცა და დამაფიწყდა. აწ დაიჯერე, იგი სახე რამ არის და მისგან ნურა გეშინის. შემოიქეც, ჩემისა წყალობისა ბოლო სიკეთეა!

ესე გეარსა სიტყვასა ლიქნდა და საბრალოსა ვირსა უყვავებდა, რომე ხრიკისა ბადესა გავბა და პირი ტყისაიენ აქმნევიან. ტურა დასწინაურდა და ლომსა ამხარისგა და შეეხევეწ—ადგილით არამც დაძრულხარო, სინძიმის ფერხთა წრეთაგან გარ ნუ გასდგამო; რაგინდ ახლორე გაგიაროს, ნუ შეხედავ, ვირემ დროიანი ჟამი არ მოგხედესო! ლომმა ტურისა სწავლება დაიჯერა და უსულოს ტილისმა!ავით ერთსა ადგილსა გაეკრა. ტურამ ვირს უთხრა: მოდი, აწ ამა ტილისმის სიმართლე შეიტყვევო, რომე სრულიად უძრავიაო!—ვირმა ფერხწყნარად მიდგომა გაბედა... რა ხანსაც ლომისა მიდამოსა სძოვდ, მისგან მოძრაობა ვერ აგრძნა და ძოვასა და მიმოვლას გული გააწყო და ლომის სიახლოვეს დაისადგურა. ჩვილის ბალახითა ერთ-ხანად შიმშილისა და სარჯლის კირნახულობა—კეთილი ტაბლა დაიფინა და სამასპინძლო ჯამ-ქურქელი გაიმრავლა. მეტის საკმლისაგან ნაყროვნებით დაცოპილი შეიქმნა და დასაძინებლად მას ტილისმასა-თანა დაწვა. ლომი მძინარსა მიჰფრინდა და ანაზად მუცელი გაუხეთქა. მერმე ტურას უბრძანა: გაფრთხილდი, ვიდრე წყალთა ზედა პირის ბანად ჩავიდგო და აგრევე ადრე მოვალო, გოლსა და ყურსა შევქამო! ლომი რა წყაროსაკენ წავიდა, ტურამ ვირის გული და ყურები შექამა. რა ლომმა პირის ბანისაგან მოიცალა, მობრუნდა და მოვიდა. ვირის გულსა და ყურთა ძებნა დაუწყო და ველარ იპოვა. ტურას უთხრა: ეს ორი ასო, რომელიცა ჩემისი სნეულობის წამალი იყო, რა ქმნილაო? ტურამ მოახსენა:

— ხელმწიფე ცოცხლებით იყოს! ამ ვირსა არცა გოლი ჰქონდა და არცა ყურიო, აისთვის თუცა გული ჰქონდა, რომელი ჰქვის შესაკრებელია, მაცდურობით რად მოტყუებდებოდაო? და თუცა ყურნი ესხნეს, რომე სასმენელია, ესე საფათერაკო ადგილი ნახა, რასათვის ჩემი ტყეილი და მართალი არ გასინჯა და თვისის ფერხით სამარის კარს მოვიდაო?

მკურნალი და პაციენტი

ერთი კაცი, მუცლის ტკივილსაგან შედონებულა, მკურნალთან მივიდა. ესრე მწარედ სტკიოდა, მიწახედ ჰგოვიდა და ტყეველას ძეტნოხითა მწარედ სტაროდა, იწამალსა სთხოვდა

და ეტყოდა მტაეპსა

ეჭა, მკურნალო! მარგე რა, სულთა საყვდელი მაჩერა!

პირველად მკურნალნი მათის რიკითა და კანონითა რა სნეულსა იხალკენ, კიბხეასა აუბსნიან სნეულობისა ცნობისათვის, და მერველა მარგებულსა ღოის ძიებისა მიზეზთა შეუდგებიან და ეგრე ხელ ჰყოფენ წამლობად. ესეთისა წყაითა გამოჰკითხა ტკივინეულსა:

— დღეს რაი ქამადი გოგემებაო? მან კაცმა უთხრა:

— ერთი ნაკვეთი დაწკარო პური ეჭაჲ და მას უკან მცარიათა ხეხითა ბუნების თორანე გაეხურკო. — მკურნალმა ერთსა ყრმანა თვალს სანათლის მომზადებელისა თუთიის მოღება უბოძანა, მის კაცასა თვალსა გამოოლკა, და მან თქვა

ლ მ ე ქ ს ი

რას მეხუმრების, მკურნალო, რა ლალობისა დრონია, სული ყიათა მომსკლია, სიკედილი საადრონია!..

— მკურნალო, ლიზლობა დაუტევე, მუკელი მაჭარვებს და შენ თუთა სპეკალსა თვალთა მაყრია, თვალთა წამალი მუკელს რას აგებსო! მკურნალმა უთხრა:

— მე ესე მწადს, თვალთა ნათელი გემატოს, რათა შავი და თეთრი გაჰრჩიო, რომ კვლავ დამწვარი პური აღარა სჭამო.

ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი

- 1 ცხებულთა შორის, ანგელოზთ სწორის, მეფეთა ვიტყვი ბაგრატიონთა, მკირეთა ვსწაჳებ, რიცხვთა ვაამებ, ალაბასტრისა სურნელთ-მირონთა, მარიან ვისთავის და დაეთათასთვის აღწაშენებულთ, ვითა ტარონთა, და ღმერთსა მსახურნეს, წვალება აღფხვრნეს, უთაოთ ბილწთა და აბირონთი.
- 2 ძველითგან ახლით, შობილნი სახლით მართლმორწმუნენი, ღმთის მოყვარენი, ვეშაღ იონად, შექმნნეს მონად, მას შიხის ძეთა მისცნეს არენი, იქედნე გესლით, შობილნი გველით, მას უღპრთოსა წყთინ გესლნი მწარენი და ის გულმანკიერ, არად სახიერ, ჟამ-ჟამ ცბიერნი მოუპარენი.
- 3 თეიმურაზ მეფე, ქირთ მოიეფე და არჩილ ოდეს მიეცნენ ხელთა, ჟამ-ჟამ წყინებით, დიდ მოთმინებით, ყვენს ესჯოდენ ასპიტთა, გველთა, დაღ მანქანებით, ტკბილ სატყუა ნებით, სძლო უსამართლოდ დიდ უძღვ-
[ველთა,
და მრწამს მე მესია, არად წესია ხელთა შთავრდომა სულისა მკვლელთა.
- 4 ლიხთა-იმერთ, წილ ხედა იმ ერთ, ოდეს გიორგიმ გურიელმანო, ბაგრატ ქუთათით, კრებულთ მათათ, ხელთა დააპყრო მკლავ ძლიერმანო მიიქცა სახთ, მძინვარე ფახით, არ თუ გამოვლო ერთმან წელმანო, და ბაგრატ ემამა, გაითამამა, ვითარცა ძემან სასურველმანო.
- 5 არა ჰყვა ძე სხვა, ტახტზედან დასევა, ვითარცა მეფე გვირგვინოსანი, სრულად იმერნი, ყმანი და ბერნი ყმად შეეთავსა, იყო ხრმლოსანი, იპყრა სვიანად, ოდიშიანად, ვითარცა იყო კარგ მშვილდოსანი, და რასთვი არა სცნი, ყოველნი კაცნი, მას მონებდიან მის ჟმის დროსანი.
- 6 ჰყვა ძე სამია, უბრძნე მამია, მჯობნი ყოველთა მეფისა შვილთა, უხვი, მალალი, სიტყვა მდაბალი, შემმატებელი მამისა ქმნილთა, სადა მიმართა, საქქე გამართა, გაუქირები ძნელთა ადვილთა, და მეფესა სძლია, ხრმლითა მალია, შვეების ჟამს მოსწყეტა ქვეყნის ნაზილთა.
- 7 მას ქმნილკეთილი, ჰყვა ღვთისგან შვილი, პაპისა სეხნა, კაცად კმარისა ვით ტკბილი სული, არს განსწავლული ღედისა მიერ ღმთის მოყვარის: პატროსანი, ტანად ზროსანი, გახხმელი არი ედემ კარისა, და არს ენა მქვერით, ტურთა ჰაერით, თვისთა ერთგულთა მფენი დაარისა.
- 8 რომელ ენების ღმთისა ძალითა აღმასრულებად ვაქო ის ტანად, ვა ქოისტანად მთვარებ ხარისხთი გარდასრულებად, მას გიორგი ძედ, ტარიელ სივრძედ, ენაცვალების მისნი სულელებად, და ხუთნი ვარსკვლავნი, მათ წინ ვთქვა კუალით, შეირაცხების უფლის წყლფ-
[ლებად.

- 9 რა ზოიწითა, გაიხელმწიფთა, მამა დედისგან ე გურია სად,
 გიორგის ცენა, თედორეს ესხნა, აბიბოსთანა ეგურიასად,
 ვნება უფლისა. გულად უფლისა, მოძულე ბილწთა ეგ ურიასად,
 და სჯულთა ღმთისასა, განეხენა სასა, მძლე ახოვანი ე გური ასად.
- 10 ვით წესად გვართა არი ხონთქართა, გურიელთ უხმობს ერდგულად თვისად,
 მას შავსა ზღვასა, ჩრდილოთა ზღვარსა შემწედ და მარგედ რმის ქამისად,
 მან ათაბაგი, მმა ძველი ო მარგი, წარმოაგლინა სახითა ჩძლისად,
 და მეფე გარდ გდო ოვსეთის გზადო, ეს დასეა მეფედ რმერეთისად.
- 11 ვინ შემოქმედი, არს ყოველთ მხედი, გარე შემცველად ახლავს დღე ყოველ,
 მმა საყვარელად, ცოდვილთა მცველად, ჰყავს [მას] ნიკოლოზ, ვითა იოველ,
 მეფობს იმერით, განგებ იმ ერთით, თვითმპყრობელია, თვითმწუპოველ,
 და პორფირ მმოსავი, ჯვარის მმოსავი, სუფევედეს ქაშად ღმთის მიერ ცხოველ-
- 12 ჰე გურიელო! მეფეთ მძლეველო, შენ სასოგელო, ზეფეთ-მეფეო,
 სვე სახიერო, ტან შევნიერო, ტკბილ მეცნიერო, მეიფეო,
 ღვთისა მიერო, მზეო ციერო, რომელსაც გიყვარს აზან სეფეო,
 და დედო მძლევეანო, სახელოვანო, შენ ლიხთ იმერი გაიტერეფეო.
- 13 იყოს მცველ ზისა, იესო ისა, ამ სოფელსა და მერმის დღისაო,
 აქებენ ტოხნი, თვით ცისა ხომნი, და იოვანე ხმა სიტყვისაო,
 არს დიდ უძლეველ, ყოველთ მტერთ მძლეველ, ქერივთა-ობოლთა, მხსნელი
 [ტყვისაო,
 და ძე დედიანად, სეგბედიანად ჰქმენ ტკბილო ძეო ქალწულისაო.
- 14 რაცდენტა ბრძენთა, რიტორთა ძენთა, სრულნი სიბრძენნი ზღაპრობად
 [ცვაღნეს!
 ზოგთა ზოგნი თქვეს, ამად დაინთქეს, უმეცრებითა გარდაიშალნეს,
 უკდავ სულ ისა, წმინდის სჯლისა სწავლათ ნიქება ეშმაკო უაღნეს,
 და ქრისტე აქ არი, მისი ქანქარი სატანას ბეჭდით დაფლნეს, დამალნეს.
- 15 არ იყენენ უქმად, არც დაშთეს უთქმად წმიდად მოციქულთ და მღვდელთ-
 [მოდღვართა,
 საწარმართონი, ცრუ, ვრცელ-ფართონი, ცულ არს ზღაპრობა ღმთისა მგმო-
 [ბართა,
 მწადოდა ვამე. საღმთო თქმა რამე, სმენა პლატონის თქვენ მეგობართა,
 და ვერავინ დასთესს ამის უკეთესს, მე ალექსანდრე წილ მხელა, მომმართა.

a. სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბანა

აქა მეჯლიში. ანბავი. დღისაგან თქმა

- 1 დღისით იქნების განცხრომა ლხინი და ნადირობანი, გაღმა-გამოღმა თქარ-თქარი, ლიზლობა, კაი ხმობანი, გალობის, სიპლერის თქარაზედ მეფეთგან გამცემობანი, და გულუხვად დარბაისლებზედ იყოს მრავალი ძნობანი.
- 2 ამ ოუშეებდენ შადრეევანს, ბევრს რიგს ასხემდეს აუზით, ვინც სკამს დიდ თასებს, ეტყვიან; „მალ დაღვეს, ხელი აუზით“, ნეტაუვი მას ღღეს, ვინცა ვინ ხელმწიფის ახლოსა უზით, და თქვენი აივსებით საბოძრკით, ფლურით, აბაზით, აუზით.
- 3 ისხდენ მრავალი მკერელები ერთმანერთს ტკბილად აბანოს, ზედ სთქვენ ლიქსები მოჯნურთა, მით ცრემლითი ღაწვი აბანოს, თამაშად ზედ წარმოადგენენ ქალკმანი მალლა აბანოს, და მუშაითს მისცენ ხალათი, ზედ წარმოასხმენ აბანოს.
- 4 რამდენი რიგი კიდება იქნება ფალავნებითა, ძალით ვერ დასცენ ერთ-ერთი, მკედლია ბევრ ფანდებითა, სხვის მოთამაშის მრავალთა მომსხმელი ჯამბაზებითა, და საბელზედ გავლენ კისკისად, სიფიცხით, ფეხ მალებითა.
- 5 ბალშიგან წაველენ დღისითა, როს მოვა გაზაფხულით, შიგ დასხდებიან სალხინოდ, აყნოსებსთ ვარდის სულით, მრავალს ფერს უცხოს ყვავილოთა ხედვენ, ეხაროსთ გულით, და ბუჩქში იძახდეს ბულბული ტკბილად, ვარდისგან წყლულით.
- 6 მოკრეფენ ყვავილს ხელითა, ვარდისას შეკრევენ კონებსა, ვისაც სკირს ვისიც სურვილი, ცრემლს დაღვრის, შეიქმს ფონებსა, ვარდს გაუგზავნის მალვითა, ბროლს გულზედ დასაკონებსა, და აწ შენ რას მომცემ პასუხსა, ამ გვარსა, დასაღონებსა?

აქა ღამისაგან თქმა

- 7 მეც მომიგდევ, დღეო, ყური, იყავ ჩემზე დაცალგებით, ლხინსა კვებ და სიხარულსა, შენ ხარ დია თავის ქებით, უზემთაეს რამდენს მოეთვლი, მეჯლიშს, ღამეს დაწესებით, და ბევრს რიგს დიდსა განცხრომასა, ღეთისგან იყოს მოსწავებით.

- 8 მეშვიდე საიდუმლონი, მოცემით ლეთისა ნებანი,
 ლამით აღსრულდეს კურთხევით ყმა-ქალის ქორწინებანი,
 რა მზადება არს წინათვე, ან მამათ-დედათ შვებანი,
 და ყოვლს სულს უხარის მას დღესა, არა აქვსთ შევიკრებანი.
- 9 ქალს მოუტანენ წინათვე მისატანს შეძლებითაო,
 ნიშნად მარგალიტს სინზედა დასდებს, წინ მირთმევითაო,
 მამრთმევი ქალს ზედ შეაბამს ლოყახედ წამოკერითაო,
 და შაქრის იარაღს მრავალსა წინ დასდგმენ ხონჩებითაო.

აქა ერთაქამის ანბავი, ლამისაგან თქმა

- 10 დაპატიებენ სიძესა ჯერ უქორწილოდ, წვევათა,
 რა მოვა, ქალს რთვის დაუწყვენ სიძისა დასაწვევათა,
 ვინც იცის უკეთ კეთება პირისა დასაშვენათა,
 და თვალ-მარგალიტი მოიღონ, ჯიღები დასარკმელათა.
- 11 სამკაულითა მოკაზმულს ქალს დასმენ, დასხდენ სხვანიცა,
 თუ სილამაზის იმედი აქვს, თავი მოსაწონიცა,
 უსულიანსა ტანზედა ეშალოს ხშირად თმანიცა,
 და შემოიყვანონ მათ სიძე, იგ მისი შესაგვანიცა.
- 12 ჯერ დასმენ ყმასა პირის-პირ პაშტა ხანს კერეტად ქალისა,
 თვით ქალიც ცდილობს შესვლაში ქრმისათვის შეკვრად თვალისა,
 წუხს გულში ყმისა საჯდომლად, გვერდს მდომი, ახლოდ, ძალინა,
 და მორათმენ სუფრას, მოღებით ქურქლისა ახალ-ახლისა.
- 13 რა შეიქნება ლხინი და თასითა გარდალევანი,
 ყმა ადგეს სერანს მიზეზით, ასე არს ზნე და ქცევანი,
 კარში მიივლის-მოივლის, უნდა მზის გარდახვევანი,
 და შინ შევა, ქალთან გვერდს მჯდომი ფეხს ადგეს, იქნას წვევანი.
- 14 გარდაიყვანენ ქალისკენ, ყმა არს მადლის გარდამხდელი,
 მზესა გვერდით მთვარეს დასმენ, იქნას მათი საწადელი,
 ჯერ წყნარად ჯდეს ცოტას ხანსა, ქალის კერეტად შემხედველი,
 და მასუქანით დაწყნარებით გამოართვას ხელით ხელი.
- 15 თითზედ შეაცვან ბეჭედი, გამორჩეული თვალია,
 მუხლს უღვას ვაშლი მურასა, ნატიფად განათალია,
 ხელსა კრავს ქალი, გარდაგდებს კდემა მოსილი, მკრთალია,
 და კვლავ აწვევს ახლოს დებასა, დაატკობს კუშტად მწყურალია.
- 16 რა შეიქნება ლხინი და ღვინისა მომატებანი,
 მუშაითათაგან კრვანი და ხმა-ტკბილად ამღერებანი,
 თქვან მუნასიბი ლექსები, ყმისა და ქალის ქებანი,
 და სიძეს დაუწყუნ ხუმრობა, მართ მისი გასაბედანი.
- 17 ეტყვიან: „ქალსა თუ სწუნობ, ჩენა არა გაქვს თვალშია,
 თუ მორცხობთ იქ, აწ ჩვენთანა სად გმართებს მოყრობაშია,
 დასტური გინდა, მოგეციო, მადლისვე გარდახდაშია,
 და გაბედავს სიძეც მოხევენას, აკოცებს, გახდეს მტლაშია.

18 ამაზე ბევრს იწყებენ თქარ-თქართ სიკვლევასო,
თვით მოითხოვენ სასმელად დადროვანს სასმლებსაო,
და ყმა საესე თასში ჩაიყრის ქალისა გიშრის თმებსაო,
და მით დალევს ღვინაჲ, თქან გრქელა ბელსაჲოკთა სჷქენღსაო.

19 რამდენს იტყვიან ამაში გალობას, სიმღერებება,
ყმა ხევიანთ ველარ გაძღება, კოცნასა გააბერებსა,
და გათენებისა მოჯრამდინ ლხინსა რას ნახევენ, რაებსა,
და ყმა ქალს ხელსახოცს შეუტკლის, ეკეროს მოქარგებება.

20 ქალსა აკოცებს, ადგება, წავა სახლს მოსასვენათო,
და გათენდეს, ხალათს უგზავნის სიდდარი ჩასაცუკლათო,
და ჩაიცვამს, ფიცხლად მიბრუნდეს მადლისა გარდამხდელათო,
და დაეთხოვება შინასკენ, ცხენს შეგდღეს წასასვლელათო.

21 შინ მივა, მზადებას შეიქმნს, შევა ქორწილის ფრქობსა,
და ყმას კითხავს დედა რძლის ანბავს, იგი უზომოდ უქტბსა,
და ეტყვის; „მალ მიყავ ქორწილი, ნახავთ მის პირას შეუქება,“
და უკეთესი ვთქვა აწ ლხინი, დღეო, ვექ შეგაწუხებას.

22 რალას ვაგრძელებ ქორწილსა, ლხინსა და სიხარულებსო,
და ყმა ემზადება სასწრაფოდ, თვალსა არ მისცემა რულებსო,
და სახლის პატივად მიართმევს თეთრსა და ბერსა ფლურებსო,
და მოატანინებს ვაქართა ფაჩებსა, ზარდახშნულებსო.

23 დაუძახებენ მოყვრებსა ქორწილის წინა დღათა და,
და შემოიტანენ ფარჩებსა თერად-ფერადსა თვლითა და,
და შაქრის იარალს დაუდგმენ სტუმრებსა ხონჩებითა და,
და დასკრიან ჯვარის საწერსა თეთრს კაბებს მაყრულითა და.

24 სამჯერ იტყვიან მაყრულსა, სანამ დასკრიდენ კაბებსა,
და მკერვალს ჩააცმენ ხალათსა, მას დღესეი არ უქადებასა,
და არიან სიხარულშია თვის ტომთა. როგორც მართებასა,
და როს მოახლოვდეს ქორწილი, სიძეს ის დაამზადებას.

25 ქალს შეიყვანენ აბანოს, დაბანენ თავსა, ტანებსა,
და ვარდის წყალს ზედან გარდასხმენ და აპყობენ თავებსა,
და გამოიყვანენ მას ტურფას, დედოფლად მოსართავენსა,
და წესია: მოამზადებენ, წარმებს ულებენ შავებსა.

26 მას დამეს ხელის საღებად დაულობონ ინა საღები,
და ქალსა მოსტაცონ, ხელშია მუჭითა წესად საღები,
და აქ ყმას სამეფოს უღვაშსა ულებენ თავისა ღები,
და ეტყვიან ძმასა: „დღეს იქით დაგვევსო ცეცხლი საღები.“

აქა ქორწილი, შვება და სიხარული ღამისგან თქმა

27 გათენდეს, ქალის დედმამა მოაწვევს ბევრსა სულებსა,
და თავადთა, იარბაისელთა, სულ მათსა სახლულებსა,
და პირსა დაბანენ დედოფალს. ფერსა წაუსმენ, სულებასა,
და მოაწყონ სამკაულითა, შვენოდეს ყელსა, გულებასა.

- 28 რაც იარაღი ქალისა წესია მოსართავადო,
სრულად შეასმენ დედოფელს გოლით ყელამდი, თავადო,
ოთხის ჯიღებით იალქანს აწყობენ სახურავადო,
და მორთვენ და მოამზადებენ გვირგვინის საკურთხევადო.
- 29 ტანთა შვირსენ სულ თეთრსა, ბრწყინვიდეს სამოსელია,
ტახტი შერეონ უცხოთა, საუ ტურფა დასასმელია,
სხვახიცი ბრწყინვიდენ ქალები, სკურეტდეს მათ მათი ხელია,
და ვარსკვლავსა გვანდენ შებენებით, მზე ახლად ამოხსულელია.
- 30 ვერ ვიტყვი მის დღის საწყსა, ენა მაქვს დასალოლები,
როს ცუდებიან მორთვასა ტურფა კეკლუცი ქალები,
იგ უებრონი ენათობნი ჩნდეს მზესთან მისათალები,
და ფითაცა ედარებოდენ ვარსკვლავნი, მათგან ჩნდეს მთეარე ნალები.
- 31 მორთულნი ქალნი, ვით მზენი, წვეულნი ქალის სახლებსა,
მივლენ, დედოფალს უმობენ, მას დღეს რაც ფერობს ქალებსა,
ზოგნი უწყობენ იარაღს, მუშეს ცხებენ, სულ ანბარებსა,
და ქალი ზის წინარად უსულით, თავს ტურფად მოიხმარებსა.
- 32 პირბადეს ჩამოფარებით დედოფალს დასმენ ტახტსაო,
ვით წესად არის დადებით, გვერდით დაუშემენ მდადსაო,
ტახტს ქვევით დასმენ მხლებელთა, საზითოდ გასატანსაო,
და შეერთაქამს ქალებსა, დასმენ დედოფლის მხარსაო.
- 33 აწ მოვიდეთ მეფესთანა, დროცა იყო აქამდისცა,
თავის მოყვრის მოხელეთა ყველას მისცენ ხალათიცა,
შემოყრილი მეფესთანა ეჯიბი და მაყრებიცა,
და გაგზავნიან მახარობელს, ჩქარად წავა, ვით ქარიცა.
- 34 რაკი ახარებს მოსვლასა, ღვინოს მიართმენ თასითო,
თასსაც ჩაუდგმენ უბეში, ნასყიდსა დიდის ფასითო,
ხალათს მსცემენ ძძიმესა, მხარს აუხვევენ ფარჩითო,
და წამოვა სიხარულითა, იტყვის: „ვიმოვე გარჯითო“.
- 35 მეფის წასვლის დროს ასტებონ ხმა მაღლად თვით მაყრულები.
თქვან მუნასიბი ლექსები, ბრძენის რუსთელისგან თქმულები,
ცხენს შეჯდეს, წინა წაუძღვეს მარქათა დაკანზმულები,
და გვერდსა ახლია მაყრები, მიდიან მხიარულები.
- 36 რა მიიწიოს თვით მეფე სამყოფელს დედოფლისასა,
ღმერთს შეეხვეწონ თვის ტომმან, რომ მისცეს სიგრძე დღისასა,
ქალთა შეექნას ჩოჩქოლი, ესმას ხმა მაყრულისასა,
და შებრძანდეს მეფე მაყრითურთ, დაჯდეს გვერდითა მზისასა.
- 37 ცოტა ხანს გამოშვებითა აღასრულებენ წესსაო,
ქალს ყავს ან მამა, ანუ ძმა, ის ზე აღდგების ფერხსაო,
წინ დაუჩოქებს ცოლს მუხლზედ, ორს გამოართმევს ხელსაო,
და ყმას ქალის ხელსა ხელშია მისცემს და აბარებსაო.
- 38 ხელსა ჩაუთვლის მეფესა, გარდახდელია მადლისა,
ალარ დაჯდების, არიან მაყრულთა მთქმელი მადლისა,
აღგების ჰლადი, შეხვეწნით ძლიე ამყენები ქალისა,
და ტყავის სახელსა მოკიდებს ხელს მეფე, წესად არისა.

- 39 წინ გაუძღვების დედოფალს, მივლენ რა საყდრის კარსაო,
დაგულვენ კარსა, ამისი:ვის ელიან მიცემასაო,
მიცემით გააღებინებს საყდრისა შესაველსაო,
და შევლენ საყდარში, ხუცესი ორთ მისცემს კელეპტარსაო.
- 40 გაშლიან ხალიჩა-ფუჩსა, მასზედა ფარჩას მძიმესა,
მეფე და დედოფალიცა უნდა მას ზედა იდგესა,
ეტყვიან ყოვლს სულს: „საყდარში მიუღდით არეინ მიდგესა,“
და უკურთხავე მღვდელი გვირგვინსა, ჯვარის საწერი მისცესა.
- 41 თვით გამოსთხოვენ დადგმის დროს გვირგვინის მოღარესაო,
ცოტა თუ მისცენ—უწუნებს, სიტყვას მათ ეტყვის მთელსაო,
უშულღებსთ გაანჩხლებული, ვით ფერობს მოახლესაო,
და ვერ გამოართმენ გვირგვინსა, სანამ არ მისცემს ბევრსაო.
- 42 გათავების დროს ღირს იქმნენ სიწმინდის მიახლებასა,
მღვდელი ორთავე კრძალვითა მათ მისცემს ზიარებასა,
აღასრულებენ აწ წესსა, ვით უტკეპამს მამათ კრებასა,
და დასდგმენ გვირგვინსა, წესად არს საშს ლამეს უნდა ედგასა.
- 43 აწ საყდრიდამე გამოვლენ ისევე მაყრულის თქმაზედა,
ხმალს ამოიღებს ეჯიბი, მიაბჯენს საყდრის კარზედა,
შიგ გაატა-ებს ორთავე ქვემ ამოღებულს ხმაღზედა,
და გამოემართნენ სრისაკენ, წყნარად მავალი გზაზედა.
- 44 რა მივიდნენ, ალაყაფის კარს დაუქერს ყაფიჩები,
მეფეს სთხოვენ სათხოვარსა: „წესად არის, ამით ვრჩები,“
მათ უბოძებს საბოძვარსა, .თეთრი მისცენ, არ ფარჩები,
და მათ განულონ კარი, შევლენ არ მაყრულის ნაყუჩები.
- 45 შევლენ სახლშია დედოფლის დედა ტახტზედა მდგომია,
რა ნახავს სიძეს და ქალსა, მათ წინა წამომდგომია,
ორთავე ჩაუდებს პირს შაქარს, კიდევ მოხვეენის მდომია,
და აკოცებს ორთავე, სიძეცა მადლისა გარდამხდელია.
- 46 მივლენ ტახტს წინა, ტახტისა მჭირავი იდგეს ძალითო,
დაუქერს ასვლას, ეჯიბმან უქერიტოს ავის თვალითო,
მოხვლეები ჩივიან: „მეფე აივსო ვალითო,“
და მისცემენ, მეფეს ტახტს დასმენ, დედოფალს მდაღით კრძალვითო.
- 47 პირის მეღვინე მას დღესა მეფის-დედოფლის ვინ არი,
მილოციის დროცა მოვიდეს, ორნივე ვნახეთ, წინ არი,
მიიღონ თასი მათ უწინ, ძვირფასად გასასყიდარი,
და სინი დაუდგან, აწ მოვლენ ქალნი შვენებით მდიდარი.
- 48 მიულოცევდენ პირველად დარბაისელთა ცოლები,
ორ-ოღნი მივლენ, გარდაგდონ ერთ-ერთის ღირსად ტოლები,
უსულიანის ტანითა პირ სპეტაკ, ვითა ბროლები,
და რა გაათაონ ის, დასხდენ რიგზედა ჩასაყოლები.
- 49 შემოვლენ ჯერედ მაყრები კაცისა, გინა ქალისა,
ცალს მუხლზე დაიჩოქებენ გარდამდებელი თასისა,
მას უკან მოვლენ თავადნი ორ ორი ღიდის გვარისა,
და მისალოცავი ყველამან გარდაგდონ ბევრის ფასისა.

- 50 როს გათავადების მილოცვა, თასების გარდაღებანი, აკრეფენ პირის მწდებები, ორთავ აქვსთ მისი რგებანი, საერთაქამოდ დამზადდენ ქალთა და კაცთა კრებანი, და ვითა ვთქვა ლხინი მის დღისა, განცხრომა ანუ შვებანი.
- 41 მეფეს გვერდს უჯდეს ეჯიბი, მაყრები წამოსხმულეები, დასხდენ ჯალაბთა პირის პირ თავადნი დაკაზმულეები, პირდაპირ მსხ ღობი ცოლ-ქმარი იყენენ მკერდ გამოსმულეები, და საყურ-ჯინჯილო ვერ შეძრან ქალთა ყურხედა სხმულენი.
- 52 რას ჩირახოვანს იქმონენ მას ლამეს ქორწილშიაო, თამაშას ნახვენ ყოველნი მუშკისა სროლაშიაო, დიდი ანგამა იქნების კაცთა და ქალებშიაო და მასწინძელიცა ფეხს იდგეს სუფრისა მოსლვაშიაო.
- 53 მიართმევს სუფრას, რაც არის მას ლამეს შეფერვბული, მრავალი უცხო საქმელი, ბევრ რიგად გაკეთებული, თავით ბოლომდინ მიართვან სუფრა აქვსთ ნოვაგემული, და სანთლებითა და ლამპრებით სახლი არს განათლებული.
- 54 ვაარიგებენ სუფრასა, მუნ სახლსა დიდსა სეფესა, მერიქიფენი მორათმენ თასებსა ღვინით საფესა, ჯერ დაილოცონ, პირველად დიდებით ღმერთი აქვსა, და მას უქან „გაუმარჯოსო“—ეტყვიან ეჯიბს, მეფესა.
- 55 ასეა წესად ქორწილში, ამ გვარი ვარიგებაო, მიართვან ღვინო მეფესა, ხელში არ ეჭირებაო, ეჯიბი ეტყვის მუნ მყოფთა: „მეფე თვით ილოცებაო“, და საღეთოთა კაცთა დალოცონ, ერმა თქვას: „გამარჯვებაო“..
- 56 თვითო-ოროლის დაღევით გამოვა პაშტა ხანია, მეფეს რქვან: „თავის მსმელობის დრო არის, პაემანია“, თასი მიართვან მეფესა, ვინც უზის ახლო ყმანია, და ორს ბოქაულთა ეტყვიან: „გააგეთ დაღევანია“.
- 57 ეჯიბის პირით დაულევს მეფე, ვინც ახლოს ზისაო, ხელ ჯოხიანი აქეთ დგას, ერთია იქით მხრისაო, ეს ეტყვის, ულევს სახელით, ხმა მაღლად იძახისაო: და „ამასა დაულიოსო“-ის მთქმელი სახელისაო.
- 58 ერთს რიგზედა გარდალევა, ასე ჩაეა ბოლომდიცა, გვარიანი ხუმრობა და შეიქნება თქარ-თქარიცა, იტყვიან თუ: „ვინცა იცით დრო არს, ბრძანეთ თქვენ ზმანიცა“, და ერთმანერთსა გაეზრახნენ, მათ დაუწყონ აწ თქმანიცა.

აქა დედოფლის პირის ახლა ლამით

- 59 მღვიანი მოდგეს ეჯიბთან, ორნივე ერთად წადგესო, ნუსხით მიართვან სოფლები, რაცა მათ გულსა სწადდესო, წაუქითხევდა მღვიანი: „მეფემ მოგართვა აწ ესო“, და მათ აღასრულონ იმ რიგად, როგორც აღრითვან დაწესო.

60 წინ დაუჩოქებს ეჯიბი ორის შიშველის ხლმებითა,
პირსბადეს ხლმითა ორჯერა აუწევს, ჯერ დაშვებთა,
მესამედ ასწევს ბადესა, პარს ახდის გამოჩინითა,
და მდადი ადგების, დედოფალს უკეთებს დაწყნარებითა.

61 თავს გაუკეთებს დედოფალს, როგორც მათს გულსა უნდესო,
პირის ახდითა ქალს ლაწვი ვარდივით გამოუჩინდესო,
მისი შვენება მეფესა დიდად შეფრთხინით უჩინდესო,
და გამხიარულდეს აწ უფრო, გვერდა ჯდომა კვლაცა სურდესო.

აქა ზითვის წიგნის წაკითხვა, ლამისაგან თქმა

62 აწ სხვა დაეიწყოთ, დრო არის წაკითხვა ზითვის წიგნისა,
წარმოდგეს, წიგნი ხელთ ეპყრას, გამოჩინდეს ცოდნა მდივნისა,
მან წაკითხოს კარგ გვარათ, წერილი ღრმისა სიტყვისა,
და სულ ქალის მზითვეს რაც არის წიგნში, წაკითხვით იტყვისა.

63 რა გაათავებს წაკითხვას, დალევინ თასებს საესესო,
ვის არ უნდოდეს დალევა, მეღვინეთ ძალათ ასხესო,
მუდამ თასების რიგზედა იტყვიან ხმასა სამესო,
და ჯდომით სმენ, მოუჩიგებენ ორსა, თუ განა სამესო.

64 მასუკან მოინდომებენ ადგომას ფეხზე საყენსო,
საქართველოში ვით არის წესად, დალევინ საყენსო,
დალევინ თასებს საესესა, არ გრძლად ხელშიგან საყენსო,
და იტყვიან ტბილსა სიმღერას, მის ღლისა გამოსაყენსო.

65 რაკი დალევინ, თავ-თავის მსმელს აკოცებენ პირზედა,
რაც არი მსმელი, ყველანი ასე დალევინ რიგზედა,
ფეხზედ გათავდეს დალევა, მოუმატებენ ლხინზედა,
და ვისაც აქვს ცოდნა გამოჩინდეს, ლხინს ნახავს მუნასიბზედა.

66 შუას ლხინს უკან თვით მეფე ადგების, გავა კარშია,
მარტო ეჯიბი იახლოს, სხვა იყვნენ შექცევაშია,
თან გაყვეს მასპინძელიცა სიძესა საერანშია,
და მალე შეიქცენ ისევე, ზივიდნენ, დასხდენ სახლშია.

67 კიდევ დალევინ თასებსა ყოველნი სამსა რიგსაო,
მას უკან ადგეს ორ-ორი. ვინც იქით აქეთ ზისაო,
თასებსა დასდგენ ტახტს ახლოს, სემდენ წინ დაჩოქილსაო,
და უწინ მაყრებმა დალიონ, მერმე სხვათ დრო აქვსთ სმისაო.

68 წინა დაჩოქილს ყველანი დალევინ მეფის გარდა და,
თვის ალაგს დასხდენ ზარხოში, მათ ღვინის ძალი ადგა და,
ურიგონ კიდევ სამჯერად, მეღვინემ საესე ასხა და,
და ღვინის სმა ყოთ, მეფისა წასვლის დრო მოახლოვდა და.

აქა მეფის ადგომა, საწოლს წასვლა. ლამისაგან თქმა

69 შემაყრულეთა თქვან რუსთვლის მუნასიბები ქებისა,
ადგეს ეჯიბი მაყრითურთ, გვერდთა მზღებელი მეფისა,
წავიდეს მეფე საწოლსა, მაყრული გადიდებისა,
და მასპინძელი და სტუმრები, სხვა არ დაძგდები სეფისა.

- 70 ქვეშ დაგებული მზად არის, ფეხზედ დგას მედოშაქედა,
რა მოელენ საწოლს, სათხოვრად ქალქან მეფესა შეხედდა,
არ დაზარდების სიძვირით მოხელე მოცემაზედა,
და ფალარათსა იქს აწ მეფე, ისწრაფის დაწოლაზედა.
- 71 ახალუხზედა ქურთუქსა ჩაიცვამს იაქლასაო,
დაჯდება, სანამ მოუვა, მოუკდის დედოფალსაო,
შეელენ მაყრები, იქავე კიდევ დალევენ თასსაო,
და მეფეს უკანა იქ მსხდომნი სძენ ლხინით პაშტა ხანსაო,
- 72 ადგენ იქ მსხდომი კაცები, სუფრა დაუგდონ ქალეგსა,
დედოფალს ხეწნით ცოტა რამ აქაშონ, სხვანიც კამეგსა,
მათ სუფრა მალე აიღონ, არ ისხდენ ბევრსა ხანებსა.
და მემყრულეთ თქვან მაყრული, აწყობენ კარგად ბანქსა.

აქა დედოფლის საწოლს წასვლა, ღამისაგან თქმა

- 73 წაიყვანენ დედოფალსა, თან მიდევნენ ქალთა ჯარი,
მიიყვანენ, საწოლია არ დაგულოს მეფემ კარი,
ქალნი შეყვენენ თამაშისთვია ერთმანეთზე შენაჯარი,
და თამაში და სიხარული ქალეგსა ამ დღეა არი.
- 74 ქვეშაგების ბოლოს დასმენ დედოფალსა, მეფის პირსა,
ვითა ფერობს ქალსა წყება, შეიფეროს, ცრემლით ტირისა,
თავს მოხდიან იალქანსა გაწყობილსა, ძვირად ღირსა,
და აწ დახურავს თვისი დედა სხვას ლეჩქსა, საღამურსა.

აქა მეფისაგან დედოფლის ტანს გახდა, ღამისაგან თქმა

- 75 მეფეს ეტყვიან: „მოზრძანდი, დრო არის ტანის გახდისო“,
მოვიდეს დედოფლის წინა, ცალს მუხლით დააჩოქისო,
ორსავე ხელისა მაჯების ხრიკასა სრულად დახსნისო,
და ზორტებს გაუხსნის კაბისას, მარჯვენას სახელს წაყრისო.
- 76 ქალთა გახადონ აწ კაბა, წყნარად მოკიდონ ხელია,
მეფე ხდის ორს ფეხს ჯორაბსა, ზედ მზარზედ გადამყრელია,
მორჩების ამას, სიდედრთან მადლისა გარდამხდელია,
და აიყვანს, მარჯვნივ დაიწვენს, მას მოხედეს საწადელია.
- 77 რა ქალნი ადგნენ, საწოლით გამოვლენ, იქნას ჯრანი და,
ყმამ ქალსა მისცეს საწოლად თვისი მარჯვენა მკლავი და,
ვეედრებოდეს საუბარს, სუროდეს სიტყვის თქმანი და,
და ქალი ნაზობდეს, რცხვენოდეს, არ აღძრას თვისი ხმანი და.
- 78 რაც ქალნი იყვნენ ყველანი, მასპინძელი თუ სტუმრები,
საწოლს გარს შემოგებენენ, თვალთა არ მისცენ რულეები,
უყურონ გათენებამდის, საკა არს მისაყურები,
და არ მოისვენონ მას ღამეს, მით გაიხარონ გულეები.
- 79 გათენდეს, კარში ზავიდეს სიძე ტანს ჩასაცმელათა,
დაემზადნენ და კაზმიდენ ცხენებს შინ წასასვლელათა,
ქალს მორთვენ საცხენოსნოთა, ტყავ კაბის წამომსხმელათა,
და ტიროდენ ქალის გაყრისთვის, ცრემლი სდოდეს ყველათა.

აქა ქალის წაყვანა

- 80 მეფე შვეა დედოფალთან, ცხენს მოასხმენ კარზედ სრულად,
მყარო ცხენი ათაჰაშონ ჩუქებისთვის მზიარულად,
მეფე ადგეს, დედოფალი ააყენონ კარგ მორთულად,
და გამოსალმად ქალს ცხვიენენ, დედს ქონდეს გული წყლულად.
- 81 ესალმოდინა ტირილით, ეტყოდაან იმდს ქალსა:
„ნუ სწუხარო, მალ მოგიყვანო არ გაგეშვებთ დიდსა ხანსა“.
წესია თან გაატანენ აწ ქალს მაყრად ერთსა ძმასა,
და ხელს მოკიდებს, წყნარად შესევამს, მეფე ცხენზე აიყვანსა.
- 82 შემოსძახებენ მაყრულსა, მალალს, ამოსა ხმასაო:
„წასელა სჯობს წარმავალისა, ეს მუნსიბად არსაო“;
წაუღენ თქრიალით შინასკენ, არ მოეშალნენ თქმასაო,
და ცხენსა არბეედენ ვაჟკაცნი, უყურონ თამაშასაო.
- 83 დედოფალს გაყენენ მაყრები მეფეზე ერთი მეტია,
რა დაახლოედენ სამყოფსა, კაცი გაგზავნონ ერთია,
მხარობლათა დედოფლის, წაეა მართ, ვითა შეთია,
და მაცა, ახარებს, მეფისა დედამ აღდოს ლმერთია.
- 84 ხალათს მისცემენ მძიმესა, ფარჩით უხვიევენ მხარსაო,
ღვიწის ასპევენ სავესსა, უბეს ჩაუდგებენ თასსაო,
წაეა, მათ მიეგებება, მეფესთან იხდოს მადლსაო,
და დედოფლის მოსასვენებლად ჩამოხდენ ცოტას ხანსაო.

აქა ვაჟის სახლში მისვლა და იქ ქორწილი, ღამისაგან

- 85 ქალი მათ მორთონ ხელახლა იალქნით, ჯიღებიანი,
მას იარალი შეასხან მარგალიტისა თვლიანი,
გვირგვინს დახურვენ თავზედა, ისევ არს პირბადიანი,
და ცხენს შესევამს მეფე დედოფალს, შინ მიყავსთ მაყრულიანი.
- 86 მოაგონდეს რუსთვლის ლექსი, შემოსძახონ წამ ისია,
მოიყვანეს იგი პირზე და შემდგომი ამისია,
მთქმელი არის მადრიელი მომძახლისა, ბანისია,
და ჩირახოვანს დაანთებენ დრო დაეცეს ღამისია.
- 87 წინ მიუძღვეს ორთავ თითო ჯვარის მტვირთვლად ბერებია,
ხელთ უჰყრიათ დიდი ჯვარი, ამა დღისა წესებია,
მივლენ სამყოფს. გალაენისა ღია დახედეს კარებია,
და მეფე ცხენით გარდმოუხდეს და ჩამოხდენ მაყრებია.
- 88 არ ჩამოხდების ჯერ ქალი, ისევ იჯდეს ზედა ცხენსა,
მათ არ მართვან სანამდის, იგ ელის საავჯანდესა,
მღაჟანი დახედეს მას მხათა, ნუსხები ეჭიროს ხელსა,
და წაუკითხავს და მიართმევს სოფელსა ჩამოსახდენსა.
- 89 მეფემან ჩამოახდინოს ქალი პირმთვარე სავესები,
რა შევლენ კარის პირზედა დახედების ფეიშმაზენი,
კარიდან მოკიდებულნი ტახტამდინ შლია ფარჩები,
და ზედ გაივლიან წყნარადა, უკან მასდევდეს ამლები.

- 90 ქალისა შათირობანი ვისაც აქვს მიცემულია,
ისი აიღებს ფეინდაზს, ტახტადინ ერგოს სრულია,
რაც შლია ფარჩა ტახტს მძიმე, ნაქსოვი, მოფარდულია,
და ფარეშთ-ხუცესსა ერგება, ფარეშთაცა აქვს წილია.
- 91 რა მივლენ სეფას, მეფისა დედა დგას საჯდომს ტახტსაო,
ერთს მხლებელს თასით შაქარი ხელთა უქირავეს მზასაო,
მოეგებება მათ წინა შვილსა და თავის სძალსაო,
და შეაქმვეს შაქარს ორთავე, აკოცებს პირსა, თვალსაო.
- 92 მეფისა დები წამოდგნენ, ესალმნენ ძმასა, რძალსა და,
აჲა ტახტს მეფე, დაჯდების, მოისვამს დედოფალსა და,
მლადი დაჯდეს და მხლებილნი, როგორც სხდენ ქალის სახლსადა,
და ვერ სჯობს მზე მას დღე შვენებით მეერთაქამეს ქალსა და.
- 93 შეიქნების მილოცვანი, ვით ქალისა სახლში იყო,
გათავებობის, მერიკიფემ ასაღებლად ხელი მიყო,
თვით ეტყვიან ერთმანერთსა: „თეთრი თასი სწორედ მიყო“,
და „ჩვენ გვერგების ბარაქიან, ეს წყალობა ღმერთმან გვიყო“.
- 94 აწ მოიღებენ სუფრასა, საკმელი აქვსთ მათ მზანია,
ის გაარიგებს, მეფესა თუ ყავს სახლშიგან ძმანია,
ფეხზედ დგას გარიგებამდი ძმა და მოხელე ყმანია,
და მასუკან დასვას ისიცა, უნდა ძმას ძმისა თქმანია.
- 95 შეიქნას სმა და პურობა, ლხინი და უკუ ყრანია,
მოყენენ ლხინს წყნარად, რიგზედა, პირველად ითქვას ზმანია,
მეორის დაღვეის დროსა იწონ შაირის თქმანია,
და მესამეს რიგსა თასზედა იქნების გალობანია.
- 96 რაც იქნა ქალის სამშობლოს ლხინისა წეს შექცევანი,
აქ უფრო რიგი მეჯლიშის, გარდაღვე-გარდმოღვეანი,
მუდამ თასისა ქერაში იყოს დასდებლის თქმევანი,
და მას ღამეს ნახონ ლხინი და არ აქვს სიხარულს ლევანი.
- 97 დრო მოვა წამოჩოქისა, სვემდენ ღვინოსა სავსესა,
დაღვევენ ჩარიგებითა, ჩამოართმევენ თასებსა,
ქალსა ახდიან აქაცა წესითა პირის ბადესა,
და ორსა ყულუხჩსა მიაართმენ ისევ იმ თავის სოფლებსა.
- 98 ვინც ზითვის წიგნის წაკითხვად დედოფალს მოყვა თანაო,
წამოაყენონ მეფის წინ, წიგნი კვლა მოიტანაო,
ქვეშ გაუშლიან ფარჩასა, ნასყიდსა ვაჭართანაო,
და ის წაიკითხავს გვარიან, მოსწონს ე ულასთანაო.
- 99 დროც მოვა საყეენოსი, ყველა ადგება ფეხზედა,
ასე ასმენდენ ზე მდგომთა, თასს არიგებენ მსმელზედა,
გაათაიგებენ, თვისს მსმელსა პირს აკოცებენ ზიზედა,
და წინ დაჩოქილსაც ცოტა ხანს უკან დაღვევენ წესზედა.
- 100 რაც იმ სახლს ლხინი ინახა, ამ სახლში უკეთესია,
ქალისა გაყრა დედისთვის ბევრ რიგად დასაკენესია,
ვაჟის დედისთვის ქორწილი ამიტომ უამესია,
და ქალიც შეუვა ოჯახში, იგ ამით უმეტესია.

- 101 რაღას ვაგრძობ. მათ სევან, ვადრე ქათმისა ხმობამდი,
მეფე წაბრძანდეს მაყრულით, მისდევენ დასაწოლამდი,
ხოვთა სევან კიდევ თასითა, აესებით იყოს თრობამდი,
და ადგნენ ბარბაცით, სიმთვრალე არ ეტყობოდათ ჯდომამდი.
- 102 კაცები კარში გავიდნენ, ქალები ვახშამს სქამენო,
მალე აიღონ მათ სუფრა, ბეერს ხანს არ გაიყვანენო,
დაუძახებენ მთქმელებსა, სეფას კარს მოიყვანენო,
და იტყვიან მაყრულს გაწყობით, დედოფალს წაიყვანენო.
- 103 თან მიყვეს დედამთილი და მულები ვახარებული,
სხვანი ეხვიენენ გარშემო დედოფალს ქალთა კრებული,
მოვლენ მაყრულით, მზად დახედეს საწოლისკარი ღებული,
და შიგ შეიყვანეს, ქალს დასმენ, სად არის ქვეშ დაგებული.
- 104 როგორც რომ ქალის სახლშიგან, ისე აქ გახდის ტანსაო,
დაავლებს ხელსა აწ მეფე, თავის ცოლს აიყვანსაო,
მიიყვანს ქვეშაგებშია, დაიწვენს მარჯენით მხარსაო,
და ქალებმან ნახონ მას ლამეს, თამაშად მათთვის კმარსაო.
- 105 რაკი დაიწვენს დედოფალს, ქალნი გამოვლენ გარედა,
გარს შემოერთყენენ საწოლსა, მოეცვას მისი არე და,
უურებაში რქვან ერთმანერთს: „მეც ვნახო ქალო მარე და,“
და ქალთათვის არის ის ლამე დიადი გასახარედა.
- 106 მას ლამეს მეფე ქალთანა იწვეს არ საქმის მქნელათო,
გათენდეს, კარში გაეღდეს სხვა სახლს ტანს ჩასაცმელათო,
ქალიც ადგების, დროთ შევლენ მხლებელნი მოსართეველათო,
და მარგალიტს ქულსა დახურვენ დილაზე დასაშენათო.
- 107 სადილსა სქამენ ცალკალკე, სუფრას მალ აიღებდესო,
ცოტა ხანს მოისვენებენ, საძილოდ დაწებოდესო,
სალამოს დროსა დედოფალს მორთევენ, მოამზადესო,
და იალქანს ხურვენ გვირგვინით, არ აფარებენ ბადესო.
- 10 შემოსძახონ მაყრულები, რა შეიქნას დღეცა ბინდად,
შემოვიდეს საწოლს ქალთან, არ გასწყუდება ხმაცა ტკბილად,
და შუქი ადგეს დედოფალსა მზესავითა მოფენილად,
მეფე ადგეს, სხვას სახლს გავლენ, სადაც არის დაფენილად.
- 109 იტყვიან მაყრულს. წამოდგეს, თვით ვაჟი მოვა სეფესო,
დედოფალს დარჩენენ ქალები, კაცა სულ ახლდეს მეფესო,
და ცალკე სხდეს ქალნი და კაცნი მას მესამესა ლამესო,
და კაცთ ნახონ ლხინი ძლიერი, სევამდენ დოსტაქანს სავსესო.
- 110 ბეერს დაღვეენ მას ლამესაც, ღვინო კვითა გაიყვანსა,
ადგარს მეფე, მიმაყრულე თქმით სახლამდი მიიყვანსა,
მოვლენ ქალთან და ეტყვიან საწოლამდის მოსაყვანსა.
და მას მოგვირან, გვერდს დაიწვენს აღარ ხელით ასაყვანსა.

აქა ქალთან დაწოლა, ლამისაგან თქმა

- 111 აწ დრო არის მათი შეყრა – მიდგომილებისა თქმანი,
ცოლსა ქმარი გვერდს დაუწვეს აღასრულოს გოლის თქმანი,
წესი არის მას ლამესა ქალმან ვასციეს ქმარსა ხმანი,
და კაცი ადგეს, გამოვიდეს, ფარჩა ქონდეს შესაგზავნი.

- 112 შევლენ მხლებელნი საშველად ქალთანა მეტიჩრობათა,
ქალს წაუზუოავს საბანი: „აგზდით“—რქვან —„დაიჩრობითა“,
ფარჩას წაბურვენ მძიმესა, ქრმის მართმეულსა ძღვნობითა,
და გამდელს ერგება ის ფარჩა წესით და რიგით, ცოდნითა.
- 113 სამს დღეს იწევბა თვით ქალი განბრწნილი თავის ქმრისაგან,
მესამე დღესა ადგების, თავს დახრის სირცხვილისაგან,
ქალის მაყრების გაშეება, დრო არის აქა ყმისაგან,
და მათ გაისტუმრებს თავ-თავად, აავსებს საჩუქრისაგან.

В. ქიღურ-წერილობა

- 1 მისი ვსთქვა ქება თქვენც ნახეთ, ვისცა გქირთ ცეცხლთა დებანი,
იფიქრეთ, კარგა გასინჯეთ, ვისცა გაქეთ უფრო მცნებ.ნი,
თქვენ მომეხმარეთ, მირჩივით, მე რით მომეცეს შვებანი,
აწ შეიტყევით მოყვასნო, ვისთვინაც ვიწყო ქებანი.
- 2 ფარვა არ ძალმიძს შენისა სიყვარულისკენ, მზეო და,
მსრეთ ჰოგიძღვნობ მონურად, ადვილად ჩემს თავს, მზეო და,
როს აღმომქვირდალს გხედვიდე, მექენების ვაი დღეო და,
მრს მნათობთ შესადარისო, კეკლუცო, ბრწყინქალეო და.
- 3 ბროლისა მსგავსა პირსზედა ტურფად გიხდება ხალია,
სიმშვენიერით მაგ შენით ვარ თუმცა ეშყით მთვრალია,
სიტყვის თქმით მიზეზოვან მყავ, შევიქმნე შესაბრალია,
ისევ მაღირსე მხედვიდე სეთალად თქვენი თვალთა.
- 4 ქეთილ არს დღენი, როდესა უსულთი მოერხეოდი,
მსრეთ ვნატრობდი მას დროსა, უკან რომ მოგეწეოდი,
თვალთ გიხილე, სურვილის ბადეში გავეხვეოდი,
მსრეთ ვერ გაქადრე უცილოდ, ძმურადყე მოგეხვეოდი.
- 5 სწვეთს გოლი ბაგეთა შენთა, ღიმილით ჩენა კბილისა,
აქვს სიტყვას ბროლ-ბალახშობა, მის მიჯრით მოწყობილისა,
შენ გშვენის სიტყვის თქმანი და... წყლიანისა და ტბილისა,
მეროპიისა საქებსა ვარდი გაშლილხარ დილისა.
- 6 ნათელ ცრკროვნად გხედვიდი, პირი გიმსგავსე მთვარესა,
სხივთა შენთანი შვენება ანათლებს არე-მარესა,
ახლოს სიახლე მეღირსოს შეიდ მნათობთ შესადარესა,
მსრეთ მამყოფეთ იმედით მე თქვენსა შესაბრალებსა.
- 7 ზარდენილი არ შევიქმნა მე შენის წყალობისაგან,
როს მებრძანოდეს სიტყვანი ხმის შენის ნარნარისაგან,
მგრეთ ესმოდა სასმენელს, უტკბოსად, ვით შაქრისაგან,
თქვენ ჩემთვის წყალობელ იქმნათ, უსაყვარელესხარ დისაგან.
- 8 საყნოსელთ სულნელებითა თავი ვარდთ შიგან გარია,
ამისთვისა განცვიფრდები, მას ეხეოდა ვარ ია,
ქვეყანაზედან ვერ ვნახე მე მისი შესადარია,
მსრეთ მამყოფოს იმედით, არ დავრჩე მის შუქს გარია.

- 9 ბრძენთან გასაკირებო, რიტორთან საქებარო და, ლღე: თვან მიუხედ მელხარ სხივითა მზისა დარო და, ლალურად ლაწენი წითელნი გქონან შენ გ მკვირვალოდა. ხელში რომ გეპყრას ყვევილი, ჩემთვის არს გასახაროდა.
- 10 ამისთვის მშობელნი შენნი კურთხეულ იყოს ღვთისაგან! რომელთაგან: ა ხარ ნაშობი, კეთილის დედ მამისაგან, ღიდად ხარ მ თათის, უმჯობეს სხვა მათის შიკლიბისაგან, მხარონ შენი ნახვითა მრავალწულ სიცოცხლისაგან.
- 11 ღიდადა სანატრელ იყენ, ვისიცა ხარ ასულია, ამას იგონებ, საკრეფელად შენ ვარდი ხარ, ან სულ ია, მითქოს ეშუის ფეთებითა. დამელიოს მე სულია, მსეც ვიცი არ დამ: გდებ, არ შემაჯლო აწ გულია.
- 12 შვიკივარ შენს სილამაზისა, ტურთა ხარ, ღია ნაზია, როს შეგნი თვალნი წა: წმითურთ ჩემზე ისარი დაზია, ორის ან ს. მის განკითხვით, თუ, მიახარ ესე რაზია? პირველად ვიტყვი სიყვარულს, არს ბოროტს, ჩენსა დაზია.
- 13 იტრფივალების ჩემნი: ა შუქთ ჩემთა მოგანებანი, ასეთი წყ ლობა მიყავ, თუმცა: ლა მამეც შევებანი. ხურვილით სიყვარულისა არ განმმირავლდეს ენებანი, აწ, წავლის დროსა, ვით გავძლო მე შენი მოშორებანი?
- 14 დამეჩნებულსა პირსზედა გიხდების შეგნი თვალნია, აწ შენსა მოშორებასა ვინც მოელიან, ბრალნია, ხასურველსა და სა ვარცეს მოგშორდვ, დამეწავეს აღნია, არ არის შენიცა სწორი ევროპიაში ქალნია.
- 15 შინეღდის დეჰყო ხანი და შენ გევედრები ამასა, ისევე წყალობით თუმცა ხარ, გაფუცებ კაის მამასა, მთვალითა დამენახოდე — მე როს ველიროსო მავასა? სულსა ზიანსა არ მისცემ, მადლსა იქმ ამისთანასა.
- 16 არს ღიად ძნელად სათქმელად, როს წავალ — დაქსდგე გზაზედა, შოვლთვის ფიქრითა ვიყოვნებ საყნოსელს გუნებაზედა, შიფიქრებ ბევრჯერ სურვილთ, ვირ ვცოცხლებ ქვეყანაზედა, ახლა რას ჰტხოვრებს, რასა იქს, გგონებდვ სიტყვას თქმაზეთა.
- 17 როსცა რომ მოგეშორები ტურფასა, სასახელოსა, მგრეცა ვგონებ, გაყრამა მე თქვენმა გამახელოსა, ლამაზთ თვალთ მოვეშორები, როს წავალ საქართველოსა, ოდეს ვსხდეთ სტოლზედ სალხინოდ, დაქსდვ შენს სადღეგრძელოსა.
- 18 ჩვენ რას ვაგრძელებთ, დაჩემდეთ, ლექსთ ჰსჩანს ვერ ვაძლევთ სიტკბოსა, მგრეთვე გამორჩეული, წამალი რამე მიყოსა, მისგან ლამის, რომ მახვილმან სიცოცხლე გამიყინოსა, ოდეს ვასინჯოთ თქვენც ნახოთ, თქმულსა ჩემს აკროსტიხოსა.

ც. ანბანთ ქება

აღივსო გულიცა ჩემი, საკვირველებით ვისაგან, აწ მეცა გავცოცხლებულვარ ერთს რასმე მიზნისაგან, აღმძრა თავისა საქებლად უმშვენიერემ მზისაგან, არ ძალმიძს, კიდევ მეშინის შეუფერებლის თქმისაგან.

ბრძენთა, რიტორთა ვერ უძღონ მის შესამსგავსი ქებანი, ბევრეულთ თილოსოფოსთა თუმცა არა ჰქმნს ს კრებანი. ბრძენო ათინელთ, ვერ ძალგისთ თქვენ მასზედ მეტყველებანი, ბოლოდ არ დაერჩე პირშეკრვით, არ მქონდეს სიტყვის კლებანი.

მულისხმა ჰყავით, ჩემგნითა შესხმა რით გაიბედოდა? გასინჯეთ, ამით შევემართე: მეგობარ მექნა, მელო და. გადებდე ამ გზით შემკობა, კრდეც თავს დამედებოდა, გამამხნო მისმან წყალობამ, მე შემქნა მოიბედოდა.

დაწყნარებითა ქებასა მოვეყე, არ აჩქარებითო, დავიძახებდე ხმა მალლად, არ ვიყო დაჩუქებითო, დავდარო ჯერ ქალწულსა, ბარბარეს შემსგავსებითო, დაუცხრომელი მლოცავი, საესე ღეთის მოწყალებითო.

მსრეთ მშვიდი და მდაბალი, ვით მართებს ქრისტიანესა, ელტვის და ბაძავს ქალწულთა: რიფსიმეს, გაიანესა, ესეც შეუდგეს მათ ყვალთა, მშობელთ არ დაინანესა, ევროპიაში ვინ უზამს, თუ სიტყვა გაიყვანესა?

ვინ გაუშეებს უქორწინოთ, გამოჩნდების კაცი ღირსი, ვგონებ დიდად ვერ იპოვნონ შესაფერი, შესატყვისი, ვანდლებ მე, არეინ იყოს საქრძოდ მისი საკადრისი, ვაღონებცა თავსა ჩემსა, ვით შევიძლო ქება მისი?

ზედა-ზედ ვიტყვი ამასა: საღმრთოდ, საეროთ სრულია, ზნე, ქცევა, მისი საქციელ ღეთისაგან მოცემულია, ზოგჯერ მენახოს სპეტაკით სამოსლით მოკაზმულია, ზრუნვა გამქარდის შეხედვით, ვსთქვი თუ: „მხე ამოსულია“

სსრეთ მისმა ბრწყინვალეობამ მკერეტელთ გულნი აახელის, სე როდესაც შორს ვნახევიდი, ვსთქვი: „არ მსგავსი ხორციელის, საღვსებული ღეთის მადლითა, ვით ბარბარე მოსახელის, საქეს ნეტარება მას სრული, სამეუღლოდ ვინც მოვლის“.

თავს, შიშველს თმაზე, როს ჰქონდეს აღმასით მოკედილობა, თუ ვინც გასინჯავს. აკვირვებს მისი ქცევა და ზდილობა, თეთრს ბროლსა პირსა შემევენის შავს თვალს წარბთ გაწყობილობა, თქმაცა არ ძალმძის, მას რომე უხდების პირს ღიმილობა.

იუნოსებთ ყვავილის სუნთა, როს მოვა გაზაფხულიო, ია თუ ვარდი, სუმბული, ერთმანერთს არეულიო, იმათ ზამთრისა სიცივით მალ განუქარდესთ სულიო, ისინი თავეთს ფერთა აღარ იქმნების სრულიო.

ძარგად მისმინეთ: მას დროსა, როდს დიდად ჰყინავს ცივი ან, კაცთ მოიძულონ ყვავილნი, ფურცელნი ოდეს ცვივიან, კეთილის ხშითა ბულბულნი მათზედან ველარ ყვივიან, კონას ვერ შეკვრენ ვარდისას, ტირიან, ამას ჩივიან,

ლაპარაკით თავს შეგაწყენ, მე სიტყვას გეტყვი გზიანსა, ლამის მოიძულდნენ ყვავილნი, ვარდსა არ დაესდევ, იასა, ლამპარს აღვანთებ, მოვძებნი, დავივლი ევროპიასა, ლამაზსა, გამორჩეულსა, ყვავილს ვიპოვნი მზიანსა.

მიპოვნიათ ყველი უცხო და საკვირველიო,
მკითხონ: „ზამთარი რას უზამს, არ იყოს დასაქრულიო?“
მიუკვებ: „არცა დაძრების, არცა გაახობს ველიო,
მაინც ვერ ჰპოვებთ ამ გყარსა, ჰსხრიკოთ მთანი და ველიო“.

ნატრული ესე ყველი აღმოჩნდა აწ რუქითშია,
ნუღინ იფიქრებთ, ამგვარი იპოვით საფრანგეთშია,
ნაძლესა დაესდებ, თუ წახვალთ, დაივლით სულ ხმელეთშია,
ნანვას დაიწყებთ, ვერ ჰპოვებთ, შერცხვებთ ქვეყანაშია.

მდესცა მკითხვენ: „მაგ ყველის რა აქესო ხასიათები?“
ორჯელ და სამჯერ ვერ მიხვდნენ, თუ არ ვსთქვი სიტყვა ასები,
ოქროზედ სწონდათ მისხლობით, არ იყოს მისი ფასება,
ოც წილად ვარდი-სუმბული მასთან დარჩების ნასუი.

ბირველად გეტყვი მის ნორჩის უცხოთა ფერადებდასა,
პლატონცა თაკის სიბრძნითა ვერ დასწერს საფერს ქებასა,
პირისპირ კერვით განვნათლდეთ, მივეცეთ დიდსა შვებასა,
პატივეცემული იქნების, ვინც ღირსა ახლოს ქებ-სა.

შეინით, ხმოვანებითა მაქვს სიტყვა მოსახსენები,
ვედღეს კაცს ცივებისაგან, მაგრად შეჰკრ-ღეს ენები,
ელვლედენ, წამალსა ასმევენ, არ იყოს მოსარჩენები,
ქამზედ ვინც ნახავს იმ ყველის, სულ გაეყრება სენები.

რასაც დროს მიახლოვდებით, აღვაესოთ სურნელზეამან,
რომელს მიხედოს წყალობით, გაუმოს სნეულებაჲან,
როდის არ ჰქურნოს მდებარეს მის სიხარულს ნ, შევებაჲან?
რაოდენიც ვსთქვით ეს არის, ვაცოცხლოსთ მისჲან ხლებამან.

ხულთქმით ჰსწერს ყველის რუსთველი, ნახვით არ გასახარესა,
სუფევას აძლევს ავთანდილს, ტარიას მოსახარესა,
სამიჯნუროსა სიტყვასა, ნუ ჰგონებთ აქეთ მხარესა,
სრულიად არა ჰგავს ყველითა, ვერც ჰპოვებთ შესადარესა.

ტყუილს არ გეტყვის ეს ნორჩი, ედემით გამოსულია,
ტურფა და ნახად ნაზარდი, მი გან ყრჩის უცხო სულია,
ტრფილებითა ვახსენებ, ვისგანაც დანერგულია,
ტანად ლომი და პირად მზე, სპასპეტად ხსენებელია.

შმანკო სიტყვიერი და არა სხვებრ დამძრალიო,
უკვდავებისა წყაროსგან მორწყული ყველიო,
უხარის მისთა მშობელითა, ვისიცა ასულიო,
უთხრათ შვიდ ცთომილთ ვარსკვლავთა: „მერვე ეს ვარსკვლავიო.“

შერით სპეტაკი თოვლივით, ანუ თუ მსგავსი რისანი,
ფიცი არ უნდა ამაზედ, მოწინა აქვს ვით ლალისანი,
ფილილ დაწვნი, ვითარცა ფშვიან ნელ საცხებლისანი,
ფილასოფოსებრ ვერ მთქმელი, ქებად მის შვენებასანი.

ძალი კეკლუცი რუსისა მკერვტელთ თავს მოაწონებსა,
ქონან მას შუქი, ვის მიჰფენს შვიდ ცთომლს მოაგონებსა,
ქვეყნისა მანათობელსა მზეს, თვარეს, დააბნელესა,
ქებას იმისას მწერალი აზიას გააგონებსა.

ღირსი არა ვარ მის შესხვის, მარამ არ დავდევ თქმისაგან,
ლეთის ბრძნებითა ვარს, ვლავნი არ გამოჩნდების დღისაგან,
ღმისგან დაიყენების შეუქის მოფენა მზისაგან,
ღრმათ ვიტყვი, ამისი სხივი არ დადგეს სიბნელისაგან.

ჭური მამიგდე, მზის დისკო ღამით ვერ გამოჩნდებისა,
ყრმათ გეტყვი, მთვარესა შეუქი დაჭირვით წაუხდებისა,
ყულას მნათობთა სინათლე ნიადაგ არ ექნებისა,
ყოვლთვის მნათობს და ნათელი ამას არ მოაკლდებისა.

შაბაში შაბაში ტურფასა, ვიცა არა ჰყავს დარია,
შევენებამ, ბაწყინულებ მან მისგან მნათობთა დარია,
შექს მასს ღრუბელიც ვერ ჰმთვარავს, ბრწყინავს, ყოველთვის. დარია.

ჩემი ნათქვამი მართალი, აწ სწორედ გამოჩნდებისო,
ჩანსცა ვითარცა ბაზმაკი, როდეს ეამს დაზნელდებისო,
ჩეულებათა ღმრისა, სანთელი ეჭირებისო,
ჩენა ვიცა აქვს თვალისა, იმას არ დაშორდებისო.

თან-თ და გულისხმა ჰყავით, რაც სჭირდეს კეთილობანი,
ცოტად, არ დიდად, ქნარითა შე მკოთ კელულობანი,
ცულად არ ვმტრები, დავსწერო იმისი ქება—მკობანი,
ცრემლითა ვსთხოვედ უკალსა, რომ მისცეს დღეგრძელობანი.

ძენო კაცთანო, არ გაკვირსთ იმისი მშვენიერება!
ძნად ვსთქვა ის რამ რხევითა, უსულთ დაიარება,
ძნეით შეუქსა ჰმენს მზისაებრ, ჩავა, არც მოფთვარება,
ძნელად არს ჩემგან საქებრად, თუ ბრძენი არ მემბარება.

ფერილად არ ძალმიძს მოთხრობა, მას რომ აქვს სიბრძნე სრულები,
წმიდად, რომელსაც უკითხავსთ ფილოსოფოსთა თქმულები,
წარმატებულად იქები მან იცის ფრანციკულები,
წერილი იტალიანთა, ფრანკული, ნემეხცურები.

მზუნვა განქარდეს ყველასა, როს დაინახონ თვალითა,
შაბუკა მოკაზნულებით, იაგუნდითა, ლალითა,
ქურვილი აღმასკბითა, შვენიოდეს ბროლის ყელითა,
ქირადაც კმარა მოშორდეთ, კარგსა ნულარას ელითა.

ხილვად რა ახლოს მიხედეთ, პირი მიუგავს სარკესა,
ხერხით არ გეტყვით, ვის გინდათ გასიხჯავთ თქვენსა სახესა,
ხარებულ იქმნას, ვინც რომე ღირსებით დაინახებესა,
ხან თქვან თუ: „მზეა უცილოდ“,—ხან თქვან თუ: „მჯობი აწ ესა“.

კორციელი მისი მსგავსი, დიახ, ძნელად იპოვების,
კმით ნარნარით ლაპარაკში იადონსა ემსგავსების,
კსენებითაც კაცის გული სიხარულით აღივსების,
კამს და კიდევ ვიტყვი სახელს, ბოლოს ლექსში გამოჩნდების.

ჯობს მისი მამა ვახსენოთ: სახელოვანი, ქებული,
ჯვარის თაყვანისმცემელი, ქრისტესთვის თავდადებული,
ჯერ გითხრათ, ხელმწიფისაგან სპასალრად დადგინებულ,
ჯომარდი, ქველი, სრულებით ქვეყნისგან პატივცემული.

ჰედარებოდეს ომშია ვერ ჰპოვებთ მისსა დარებასა,
ჰემსგავსებისა სპილოსა, პრუსსა კჳუაზედ არეგსა,
ჰაესებს ლაშქრითა მის მამულს, ხელსა ძალიან დარეგსა,
ჰაღძრავს პრუსისა კოროლსა, რუსთ ჯარს მისს სისხლში გარეგსა.

ზ და გაიმბობ ანბაესა წუხილით შესაზარესა,
გხრვა მით მმართებს, ვაყრები თვით მნათობთ შესაღარესა,
გი რა ძნელის ფიქრებით სიტყვას ვამბობდღე მწარესა,
გდეს მოვშორდღე ბარბარეს, ასულსა ალექსანდრესსა.

ძ. რუსთველთან გაბაასება თეიმურაზ მეორისა

- 1 მე უსწავლელსა ვით მეძლოს ვისზედ ვსთქვი ანბანთ-ქებანი,
ბრძენს უნდა ექო იმისი ციმციმი, ბრწყინვალებანი,
მინდა რუსთველსა შეეჰკადრო, სიტყვითა ბაასებანი,
ვჰკითხოთ, რაზედ თქვა ლექსები ტკბილი, ღრმად მეტყველებანი.
- 2 უთხრათ: რად დაშერი ტყუილზედ, რაც ჰსთქვი არ იყო წესიო,
ამას მოწმობენ ქართველნი, იმერელი და მესხიო,
არქვით მას თქვენი ნათქვამი, ნერავი მე მასესხიო,
დიდათაც გამომადგება რუსეთსა მისი ლექსიო.
- 3 ნესტან-დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დაუცხრომელად,
ტყუილის ტარიელისთვის ჰსტირს ცრემლის შეუშრობელად,
როს ღრმა ლექსებით შეამკობს, მათ ენა დაუშრომელად,
წყნარათა ვჰკითხოთ, არ გაწყრეს, არ დაეზრეთ შეუღობელად.
- 4 აწ მოგახსენებ, რუსთველო, რაც ჩემი სიტყვა არი სად,
ნესტანჯარ ესრეთ გიქია, არც თუ სხვის შესაღარისად,
„თინათინ მხესა ჰსწუნობსო“ — თქვენ ბრძანეთ ქებად კმარისად,
ცუღმადს მიჯნურსა ახელებთ ერთმანერთს გასახალისად.
- 5 არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა,
არცა ტარიელ კაცს ერქვას, გიწოდებია ძალადა,
არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქალადა,
ვერც ჰპოვებთ ავთანდილსაცა მისს ეშყით დანამთვრალადა.
- 6 არა ყოფილა ფარსადან ექვს სამეფოზედ მჯდომელად,
არცა განთქმული ინდოეთს, რომ ყოფილიყოს მფლობელად,
გამოჩნდით მათთვის, ღირს ქმენით რას ლექსის შესამკობელად,
ტარიელ, ნესტან-დარეჯან ჰსთქვი ერთმანეთის მღობელად.
- 7 ეს შეიღნი სახელმწიფონი ღიღნი, ვარგნი და არ ავნი,
არც მჯდარა მეშვიდედ მეფედ სარიდან მტერთა მზარავი,
არც კაცი, არცა ჰქონია სახლი, სამყოფი, კარავი,
გაკეთებული სიბრძნითა არ არის დასაფარავი.
- 8 არ თქმულა მეფედ არაბეთს როსტევან სახელდებულად,
არც მისს ასულად თინათინ, რომ სხვას ვის ეთქვას ქებულად,
ვერც ავთანდილზედ შემოწმნენ იმისთვის თავდადებულად,
დაგისახავსა ტყუილად, მიჯნურებ ცეცხლ მოღებულად.

- 9 თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია, თუმცა მართალზედ თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია! ვეფხის-ტყაოსნის ლექსები სხვას ლექსთა გამეციხველია, საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.
- 10 შენი ნათქვამი საღმრთოდ, თუ საეროდ მოიხმარების, ჰსჯობდა მასზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეეღარების, ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების, ვინც რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალების.

პასუსი რუსთველისა

- 11 ძმანო, არ ძალშიძს პასუხი არ მწარედ, არცა ტკბილადა, ეს ვერ შევიტყვე, მოდავედ ჩემზედ ვინ ატეხილა და, ექვსასის წლის მკადრის ბაასი არ ოდეს გაგონილა და, მელექსე მელექისაგან არას ღროს დანდობილა და.
- 12 ვინ არის ჩემზე მეტყველი, შეტყობა დია მსურისა, თუ ვინმე დიდი კაცია, მივღება უნდა ყურისა, არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, ჭიანურასა, ზედან ემღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას ცრუისა.
- 13 დიდის გვარისა თუ იყოს, ან კარგად ხსენებულო, ან მეფე საქართველოსი, ანუ თუ უფლისწულო, რასაცა გეტყვით, უამბეთ ეს ჩემი სიტყვა სრულო, მკვდრის ლაპარაკსა რას აქნევს, კაცსა არ ედგას სულო.
- 14 როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა, მაშინ მას ჟამსა მე ვიყავ შინა-ყმა თამარ მეფისა, კურთხეულმც არის ხსენება, მკყობელი დიდის ქვეყნისა, იმისგან პატივცემული ვახლდი მდივანი სეფისა.
- 15 ფილოსოფია მესწავლა, წიგნი მეკითხა ბევრიო, მოსწონდა ჩემი მდივნობა, ვის მორჩილებდა ერიო, მიბრძანა: „რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები გამოსთქვენიო“, გინახავს ყველას, მოგწონსცა სულ ჩემნი დანაწერნიო.
- 16 რადგან მიბრძანა, არ მქონდა მე საქმე დასალონები, ვჰპოე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეჭვ იყოს მოსაწონები, საღმრთოდ, საეროდ სრული, და რა ტკბილად გასაგონები, კაცთათვის საკითხავადა სურვილით მოსინდომები.
- 17 უთქვამს თუ, ცუდი შაირი მე ცუდად ვისზედ მეთქოსა, ტარიელ, ნესტან-დარეჯან ტყუილად სიტყვით მექოსა, ავთანდილ თინათინითურთ ზრახოს, არ ესახელოსა, რათ უნდა ცილსა მწამებდეს, ჯავრითა გამახელოსა?
- 18 როს ქვეყანაზე ვსცხოვრებდი, ვიყავცა გალადებული, ხელმწიფე მყვანდა მაღალი, დიდადაც ვადიდებული, მას ღროს ქართველნი არ იყენენ მტრისაგან შეწუხებული, მხიარულნი და შვებულნი ღზინობდენ გახარებული.

- 19 პაპას შენს, შენგან უკეთესი ჰქონდა მას საზრწვე გულისა, მასაცა უთქვამს შაირო მაჯნურთა დადაგულისა, ვინც წააკათაანს ჩემს ჩათქვაპს, მაგდება უნდა ყურასა, ჩემმან ლექსებმან ერთს ეამსა პაპაცა გაგიგულასა.
- 20 რაც საზრწნათ ლექსები მეთქვას, დაგიგდებ ქართულებსაო, მიჯნურობასა საქმესა სიტყვას დაესწერდა მთელსაო, ევროპიაში ვის აქებს, რომ არ შეუდრას მხესაო? თუმცა აგრეა, ჩემს მეტი ვერ იტყვის შესაფერასაო?
- 21 თუ მე მაგდრასა მეცოცხლა, გავიჯგობდა მე დაა, ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგს ლექსებს გამოქსთქველდაა, რა სიტყვით შევამობდი. და შენ კარში გაგადგულებდა, რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედია.

e. სსსახლის ქება

- 1 ჰქმნა ღმერთმან ცანი, ქვეყანა, შეამყო ზეით, ქვეითა, ცანი აღავსნა ვარსკულავით, სფეროში შემოკრებითა, შვიდნა ცთომილნი დაბადნა შუქ ფნით, ბურჯებს რეზითა, ექვსს ღღესა მხად ჰქმნა ყოველა, სიტყვა სთქუა შემოკრებითა.
- 2 დაბადნა ანგელოსთ დასნი, ქერაბან-სერაბინები, კაცისა დასაბადებლად მიწისგან დაჰსლუა ბინები, ჰქმნა ადამ მონად თაეისად, ეტყვის: „ხარ დასაძინები“, გვერდით უშენა მას ცოლი, ადამის გასაკვირვები.
- 3 უკუდავად ქმნილი ადამ ჰსცდა, დაეცა ეშმაკისაგან, ჩვენ დაცემულნი ჯოჯოხეთს ტანჯულ ვართ გვენიისაგან, ძე ღვთისა გასჰზორციელდა, ნახეთ სიმდაბლე ღვთისაგან, ჯვარსცივით, დაფლვით და აღღგომით დაგვისნა ტყეეობისაგან.
- 4 ღვთის წყალობასა ვინ მოსთელის, კაცზედ რამდენი მივა და, მოკლედ ვსთქუა ჩემნი საქმენი, რაც ხანი გამივლია და, ცოდვისგან განსაცდელეები მე ბევრი მამულენია და, ქრისტესა გამოუხსნივარ, კირები მამლხენია და.
- 5 რაც ამ სოფელსა ღვთისაგან მოხეცა წყალობანი, არ ძალმიცს მისსა სანაცვლოდ შევჰსწირო მადლობანი, ვითარცა ღირს მყო, კარის-კარ დავიწყო წარმოითქმენია, ორმოცდა ოთხის წლისასა მერწმუნა მეფობანია.
- 6 ღმერთმან მომცა ეს სიმალლე ნადირ-შაჰსა მიზეზობით, ჯერ კახეთისა მეფედ გამხდის, მერმე ქართლში მექვიდრობით, კახეთშია ჩემს შვილს დავჰსეამ, ერეკლესა მეფედ ჰხმოზით, ოცდა ოთხის წლასა იყო, პატრიეს ჰსდებდეს ბატონობით.
- 7 ჩემს დისწულს, მეფისა ძესა ანტონის, კაცსა ღვთისასა, ვარწმუნე პატრიარხოზა ოცდა ოთხისა წლისასა, ბრალთა სიმრავლით უღირსსა მადლს მოფენს კურთხევისასა, მცხეთას მოალო კურთხევა, ზეთს მჰცხებდა მეფობისასა.

- 8 ვიყავ ქართლშიგან, მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავჰსდგებოდი, იქით და აქათ მუდამად ვლაშქრობდი, ვიარებოდი, ავისა დროს და ჟამისგან ჯაერშიგან ვიარებოდი, სევდისა მოსაქარებლად სასახლეს მე მოვჰყვებოდი.
- 9 რასა დაყრუდენ მგოსანნი, ტკბილად დაეწყეთ თქმანია? მას ხმაზე ამღერდებოდნენ ბულბული, იადონია, ის ლხინი, სიხარულები უცხო რამ გასაგონია, მეც ბევრი ვნახე იმ სრამი ლხინი და უკუ ყრანია.
- 10 ამ ცრუმ სოფელმან არ იცის ბოლოსა გატანებო, მეფენიცა და სრებიცა სულ ყველა გათავდებო, ავის დროს და ჟამისაგან სამინივე მოიშლებო, იმათ აჩრდილათ ეს ჩემი სასახლე აშენდებო.
- 11 იმ სრებსა რის გზით შევადრი ამ ჩემსა აგებულსაო, მართალი თქმა ჰსჯობს ტყუილსა, ვერ დაუძძიმებ სულსაო, სახლებთან ბოლიშს მოვითხოვ, ნუ დააკლდებათ გულსაო, იმათი ერთი კედელი ჰსჯობს აქა სულ დადგმულსაო.
- 12 „მეფე რად გეწუნებ სრებსა, სხეას აქებ, ჰბრძანებ რაებსა? სიტყვით აგვიშლი დავებსა, მოჰყვები თქვენ იგავებსა, სხვაზედ გვიდახი ავებსა, მაგით ვერ ჩაგვეყრი ვაებსა, ჩვენ მოვიწონებთ თავებსა, უსტა ხელს დავგითავებსა.
- 13 სიტყუა მოგიგოთ ასებით, გკადროთ თქვენ, გებაასებით, არა ვართ სრებზე ნასებით, ავშენდით დიდ ნაფასებით, როს მეფე დაჯდეს დასებით, ლენოსა ჰსმიდეს თასებით, გული გაქვს ამით საესებით, ასუოდელოსა მსგავსებით.
- 14 ვისაც აქ მოსვლა სურისა, კარი არ დაეგულისა, ვით ირემს წყარო ჰსწყურისა, მე მათი ნახვა მსურისა, მოყვარული ვარ სტუმრისა, ჩემ შიგან შემოსულისა, ჩემთვის უტკბოსი სულისა, სასიხარულო გულისა.
- 15 ვერა მჯობს ერთი სახლია, ჰკითხეთ ვინც გვერდსა გახლია, ახლო მაქვს უცხო ბაღია, მჰვერტელთა დასაქაღია, მიბრძანეთ, კარი აღია, ნახეთ კოკობი ვარდია, საღათ აავსე თასია, უკუიყარონ დარდია.
- 16 ჩემებრი არვინ მგონია, არ არის საზარონია, როს ზაფხულისა დრონია, ყვავილნი დაუზრონია, იშტვენენ ტკბილად ხმაზედა ბულბული, იადონია, ვინცა ლხინისა მდომია, ის რისა გასაგონია“.
- 17 ვაშენებდი სასახლესა, საწოლსა აივანებით, შევამკვე ზეით-ქვეითი ლამაზად, ბალახანებით, შუაზედ აინა-ხანა დახატვით, მიჰყერიტანებით, ეს შევასრულე სალხინოდ, შიგ ვსვემდი დოსტაქანებით.
- 18 უწინ, სიყრმის დროს, მენახა ნაშენი უცხოებითა, სამი მორთული სახლები ვარაყით, სარკეებითა, მეფეებისგან ნაგები კვებნით და დაქადებითა, თითოსა თითო აეგო, დიდ ხარჯით და ფასებითა.

- 19 როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი, ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი, თვით როსტომ ფალევენი და დეენი ეხატნენ რქიანი, შეემკო დიდად, დაედო სახელად როსტომიანი.
- 20 ერთი სრა მეფის მამისა, ერეკლეს გაკეთებული, ხელმწიფეთ საკადრისი და ქვეყნისგან მოწონებული, სარკები ოქროს ვარაყით, შემთხუევით განათლებული, მეფეთ და დარბაისელთთვის საღვინოდ დამხადებული.
- 21 ერთი სრა მეფის ვახტანგის, უცხოულებით ნაგები, საკვირველი და საქები, მას უხდებოდა სარკები, შუაზედ შანიშინი და აუზით შადრევანები, ფერად-ფერადის ჯამებით, შეხამებული ფანჯრები.
- 22 ავზს უხდებოდა შუაზედ ბროლის ხომლისა კიდება, როს მეფე-სპანი ჰლხინობდენ, დღეს რომ შექმნოდა ლხინება, შეხამდის ხოლმე გაწყობილს, კელაპტარს მოეკიდება, შიგ მსხდომნი კედელს მიხედის, ეგონოს: გარს ეკიდება.
- 23 ერთიცა სახლი უზესთე ერანშიც არ ნახულა და, ამა სრის ქება-სიკეთე ქვეყანას ხმა განთქმულა და, როგორც მას შეეფერების შესხმა, არ ძალმიძს სრულადა, სხვებს სრასა ყველას ისი ჰსჯობს, მისებრი არ დადგმულა და.
- 24 სრას უხდებოდა ხელმწიფე თაჯითურთ ჯიღებიანი, თვით მეფე ვახტანგ შიგ მჯდომი, ძმებითურთ, შვილებიანი, გვერდს ახლდენ დარბაისელნი, მორთულნი ბიღებიანი, უკეთეს რაღას ნახედა თვალთა კაცი ქკვიანი.

თიგსარინი

მოხერხებული დედაკაცი

ერთსა ქალაქსა შიგან იყო ერთი დიდი ვაჭარი და ჰყვანდა ერთი ლამაზი ცოლი, კეკლუცი და მწყაზარი. და მას ქალაქსა შინა იყო ძის მეფისა ერთი კარგი მიჩნეული კაცი, და ცოლი არა ჰყვანდა, და მის მოქალაქისა ცოლსა ვაეწყო. დღესა ერთსა წაეიდა კაცი იგი სხვაგან სავაჭროდ, და რა მის ვაჭრის ცოლის კურომან სცნა, რომ მისი მოყვრის ქმარი სხვაგან წასულიყო, ვაუგზავნა ყული ერთი მას დიაცსა და ესრეთ შეუთვალა: „თვალთა ჩემთა ორთა სინათლეო და გულისა ჩემისა სინაურულოო, ქმარი შენი ხომ სხვაგან წაეიდაო და შოდო აქა, ხალეათათ ვარო, სახლი, ბალი და ბაღა მზათ მაქესო, სუფრისა შესამკობელი ყირმიზი ღვინო, ხილი, ყველა დამიმზადებიაო, მოდი გავიხარნეთ ერთად ყოფნითა და ღვინითა ვინაროთო, მე მანდ მოვდიოდო, მაგრამ ბევრი სახლის ჯალაბი და ახლო მეზობლები გყვანანო“.

მივიდა ყული იგი და კარი დაურაკუნა, დიაცი გამოვიდა და მან ყრმამან უამბო ყოველივე შეთვლილობა პატრონისა თვისისა. დიაცმან რა ყრმა იგი ნახა, უსაზომოდ მოეწონა და გაინხარა, და მოუნდა დიაცსა მასა იგი ყული და ასე თქვა: „ბოზობა და ავი დედაკაცობა ხომ ერთი არისო, მოდი ჯერა მასთან განვიგვენებო და მასუკან იმისა აღერსა ც დავესწრობიო“. შეიყვანა შინა, დაუწყო ლალობა და აციუნა ყრმა იგი, და ამა საქმეზედ დაუგვიანდა, გაგულისდა იგი მოყვარე მის დიაცისა და ასე თქვა, რა დაეძმართა აქამდინ იმ ყრმასაო. აღვა ხმალი შემოირტყა, ლახტი წელში ჩაირკო, მის დიაცის ქმარი შინ არ ეგულებოდა, მივიდა და კარი დაკეტილი დახვდა, დაუძახა, კარი გამიღეო! მან ყულმან თავისი პატრონის ხმა იცნა და მას დიაცსა ასე უთხრა: „ხომ არ დამეხსენ და ჩემს ცოდვაში ჩასდექო, აბა რაევენა, მეც ხომ მომკლავს და შენცაო“. მან დიაცმან ეგრე უთხრა: „ნუ გეშინიან, აღექე შეხტი და ქვეშაეგებო ჩაწექო, და მე მასუკან მშვიდობით ვაგზავნიო“. ყული იქ დამალა და თვით მხიარულისა პირითა წინ მიეგება, და კარი გაულო, მან უთხრა: „რამდენი ხანია ყული გამოგიგზავნე, დაეპატიეყო, არცა ყული მომივიდა და არცარა შენი ამბავიო, ეს რატომ ასე მიყავიო?“ მან დიაცმაც ეგრე უპასუხა: „ეგრეთი ტყუილი რატომ მიაშბეო, შენი დამაპატიეებელი კაცი მომსლოდა, როგორ დავიგვიანებდიო, არც შენი კაცი მინახავს და არცარა ამბავი მომსელიაო, თორემ შენის შეყრის უკეთესი რა დამემართებო“. დიაცმან მოატყუა, შინ შეიყვანა და დასხდენ სახლსა შინა, და რაცა სწადდა კაცსა მას, გულისა თვისისა ნება აღასრულა.

ამასობაში ქმარი მოესწრო მას დიაცსა, რალაც რამ საქმე დარჩომოდა, კარი დაურაკუნა და იძახოდა, კარი გამიღევითო, საქმე მაქესო. დედაკაცსა უთხრა მან კაცმან: „მე აწე რას მიზამო, იმისი არ მეშინიან, მაგრამ ჩემის ხელმწიფისა მრცხვენინანო, და თუ მეტყვი, აქ რომ ბარგი აწყვი, იქ დავიმალებო“. დიაცსა ყული რომ იქ ეგულებოდა, ასე უთხრა: „შენ მაგას როდისა გაკდრებო, რომ მაგ გვარად დამბალოო, შენ ხმალი გამოიწოდეო, მუქარით გადი და ასე თქვი, ყველას დაგხოცეო, ერთი ხმლის ყუა ჩემ ქმარსაც გადამკარ, შენ წადი და მერე პასუხი ჩემზედ მოაგდეო“.

იმ კაცმა დიაცის ნათქვამი ყველა დაიჯერა, კარი გაიარა. ქმარი წინ შე-
მოეყარა, ერთი ხმლის ყუა იმას ჩაართყა და მუქარით გაიარა. კაცი შეშინე-
ბული შინ შევიდა, დიაცს ჰკითხა: „იგი კაცი ვინ იყო და აქ რა ესაქმებოდაო,
რომ კინალამ მეც მომკლათ და მუქარით გავიდაო“. დედაკაცმან ეგრე უთხრა:
„ღღეს რაც მე სამადლო საქმე ექნენო, ერთს სხვას არავის უქნიაო“. ქმარმან
ჰკითხა, რა ჰქენო? მან დიაცმან ეგრე უთხრა: „იგი კაცი ერთს უსუარს ყმა-
წყილს სასიკვდილოდ მოსდევდაო და შემომეხვეწა, შენის ღმრთის გულისთვის
მიშველე რამეო, შემებრალა, ავიყვანე და ქვეშაგებში დაემაღლეო და უწყალოდ
სიკვდილს მოვარჩინეო, რა შინ შემოვარდა იგი კაციო, მიიხედ-მოიხედა, რომ
ველარსად იპოვა, გაგულისებულ კარში გამოვარდაო და მუქარით იმიტომ მი-
ვიდოდაო“. ქმარმან ეგრე უთხრა: „კარგი საქმე გიქნიაო, რომ ერთი სული სი-
კვდილისაგან დაგინსნაო, ადგე და გარდმოიყვანეო იგი ყრმაო“. დიაცი ადგა და
გარდმოიყვანა. უთხრა მან კაცმან ყრმასა მას: „იგი კაცი სასიკვდილოდ რას საქმე-
ზედ გდევდაო?“ ცოლმან ეგრე უთხრა, ეგ შეშინებული არისო და მე ვიამბობო-
იგი ყრმა კარსა გამოისტუმრა და ქმარსა აყე უთხრა: „საავკაცოდ მოენ-
ლომებინაო და მაგას არ ექნაო, და ამისათვის ჰკლავდაო“.

ბაყალთან მოვაპირე დედაკაცი

ერთსა ქალაქსა შიგან ერთი კაცი იყო და ერთი ეშმაკი და ბოზი ცოლი
ჰყვანდა, და ქმარმან კი არა იცოდა რა. ღღესა ერთსა კაცი აყად ვახდა, დედა-
კაცს უთხრა: „დედაკაცო, თეთრი წაილეო, ბაზარში წადი, ბრინჯი და მისი მასა-
ლა მიყიდეო, მ.გრამ პირს კი ნურავის უჩვენებო, მალე მომიტანე, საფარეზო
საქმელი მინდა გავიკეთო და ეკამოო“.

დედაკაცმან ჩაღრი წამოსხა და ბაზარში წავიდა, ერთს ბაყალთან მივიდა,
პირი ჩაშობინა, ლიზლობით და ნაზობით ვაქრობა დაუწყეო, ბაყალი გუნებაზედ
შედგა და ასე უთხრა: „თუ ერთსა შაქრის სიტკობსა მაკოცინებო, ბრინჯსაც
მუქათათ მოგართმეო და შაქარსაც ზედ დაგიდებო“. მან ბაყალმა ბრინჯი და შა-
ქარი მისცა, დიაცმან ბრინჯი, შაქარი და ფული ჩარჩაში გამოჰკრა და იქ და-
დო, ბაყალმან დიაცსა ხელი მოჰკიდა და ერთს ხალვათსა სახლსა შეიყვანა, და
თავიანთი ნება სრულ ყვეს.

ქმარი ამას აბარებდა, პირს ნურავის აჩვენებო და მან უფრო დასამალავი
ადგილი უჩვენა კაცთა. მანამ დიაცი გამოვიდოდა, ბაყალს ერთი ეშმაკი შავირდი
ჰყვანდა, იმან ის ბრინჯი, თეთრი და შაქარი გამოხსნა და მათ წილ მიწითა
აავსო და იქვე დადო, დიაცი ჩქარა გამოვიდა, მას გამოკრულსა ჩარჩამს ხელი
მოავლო და საჩქაროდ წავიდა.

შინ მივიდა და ქმარს მიუტანა. ქმარმა უთხრა, აბა შედი შინ, ქვაბი, წყა-
ლი, მარილი და ქაფქირი მომიტანეო! დიაცი შინ შევიდა. მანამ მან ვახსნა იგი
ჩარჩამი და ნახა, მიწა ეყარა, დაუძახა: დედაკაცო, მიწა რათ გიყიდინაო? ქვაბს
და ქაფქირს რალს აქნეეო? დიაცმა წამსვე ეს ქართული მოასწრა, ქვაბი რო-
დის მომაქე(ს)ო, ცხრილს დაავლო ხელი და გამოიტანა, განა არ ვიციო,
რომ მიწა არისო.

ქმარს ასე უთხრა: „რაც მე განსაცდელს მოვრჩიო, თუ ჩემი რამ შეგქირ-
დების, უნდა საღმთო გადაიხადო და საგლახაო გასცეო, როს აქედამ წაველო
და ბაზარს მიუახლოვიდო, თურ-მე ნარ აქლემებს აქიდავებდენ, ერთმა ნარმა
აქლემმა გაჯავრებულმა აწყვიტაო, მომიხდა და მკლავზე პირი დამცაო, თეთრი
იქ დავაბნივეო და მეც ძლივ საკვდილს მოვრჩიეო, და სამადლოდ გამაგდები-
ნესო, მე შენი დავედრული ბძანება ვერ გავტეხეო და პირის დანახვას ვერი-
დებოდიო, და თეთრის დაკარგვაც არ მინდოდაო, იმ ადგილის მიწა ავკრიფე

და წამოვიღე, ამ ცხრილში გავავლებ, ეგების თეთრი ვიპოვნო“. ქმარმან აგრე უთხრა: „რადგან შენ მაგისტანა ფათეჩაკს მორჩომილხარ, თეთრს ნუ ნაღვლობო, შენის ქირის სანაცვლო იყოსო.“

ერთგული კატა

ერთი კარგი დოვლათიანი კაცი იყო და ერთი სწორ უპოვარი და ღვთის შოყვარე ცოლი ჰყვანდა, დაორსულდა იგი ტურფა ქალი და ვაჟი ეყოლა მისი საკადრისი, და მის მშობიარობაზედ მოკვდა იგი ქალი. რა კაცმან ცოლი მკვდარი ნახა, ცა და ქვეყანა თავსა დაექცა, და ეგზომი ავი უყო თავსა თვისსა, რომ სხვასა არავის ექნა; დაუწყო მას ყმაწვილს ზრდა და ამ სოფლისა არა ინაღვლა რა; ნამეტნავისა სიყვარულითა ძიძა არ მოგვარა და თავისის ხელით რძესა აკმევდა, აკვნასაც თითონ არწებდა და მისი სიცოცხლე სულ იგი ყმაწვილი იყო.

ერთსა ჟამსა კარში გავიდა და ყმაწვილი რძით მძღარი დაავდო მან კაცმან. იგი ჟამი ზაფხული იყო და მიწილამ გველი ამოძვრა, აკვნას მატანა და ყმაწვილს შექმას უპირებდა. მას კაცსა ერთი ხატაური კატა ჰყვანდა, რა გველი დაინახა, შეეფრინდა და გველი შუა გაწყვიტა, ყმაწვილს მიეშველა და სიკვდილს მოარჩინა, ამაზედ კაციც მოვიდა და იგი კატა წინ მიეგება პირ სისხლიანი თავისსა პატრონსა და სამსახურზე და ვალდებულებაზე თავი მოსწონდა.

კაცი შინ შევიდა, ყმაწვილის ხმა არ ესმა და კატა პირ სისხლიანი დახვდა. ასე ეგონა, ამ კატას მოუკლავსო, და მისთვის გაშუოთებულმან კატას წიხლი დასცა და მოჰკლა. მივიდა ყმაწვილის სიახლოვეს, გველი გაწყვეტილი ეგდო და ყმაწვილსა არა სჭირდა რა. შეიტყო, რომ ყმაწვილი იმას მოერჩინა და გველის სისხლი ეცხო. შემოიძჳრა თავსა და დაიწყო ტირილი, მაგრამ კატას რა ეშველებოდა.

ხელმწიფის შვილი და მებაბანოვე

ერთი დიდი მორქმული ხელმწიფე იყო და ერთი მოსწრებული სასახლო შვილი ჰყვანდა, კარგი და ხელაწიფეთა შესაფერი, და ერთი დიდი ხელმწიფის ქალი უთხოვა (და) დაუნინა. ხელმწიფის სასახლის სიახლოვესა ერთი კარგი მარმალოლოს აბანო იყო, რომ მის უკეთესი არ იქნებოდა, ხელმწიფე და მისი შვილი ებანებოდნენ; და ერთი მებაბანოვე იყო და მას ახლო ესახლა, და დალაქობაც კარგად იცოდა.

დღესა ერთსა ხელმწიფის შვილი აბანოში შევიდა, მებაბანოვე იახლა, აბანა და ქისა წაუსო; ფათეჩაკად ხელმწიფის შვილს ფუტა მოეხსნა, და მებაბანოვემ ნახა ხელმწიფის შვილის სასირცხვეო, ასო სულ აღარსად ეტყობოდა, სიმსუქნით იყო თუ აგებულებით, გარეთ სულ არ უჩნდა, რა მებაბანოვემ ნახა, მწვეთ ეწყინა და ტირილი იწყო. ხელმწიფის შვილმან ჰკითხა, რა გატირებს, რა დაგემაართაო? მებაბანოვემ მოახსენა: „ნეტამც მომკვდარეიყო და მე ეს არ მენახაო, შენ მაგისტანა კაცი ხარო, დღეს სახელმწიფო შენს ნაყოფს მოელისო, ხელმწიფე მამა შენი ქორწილს გიპირებსო, ერთი დიდი ხელმწიფის შვილი მოჰყავს შენთვისაო, და აწ შენ არა კაცობა გეტყობისო, რას იტყვი, როდესაც ამომავალს მზეს ჩამოგიწვენენო, შენ ერთი ბეწვის ასოს ღეტი არა გეტყობისო. ბრალი არ არის რომ შენ აწლა შეგრცხვისო, და შენი ნაყოფი არა გამოვიდეს რაო, რატომ ახლავ არას შეიტყობო და შენს თავსა არასა სცდიო? ხელმწიფის შვილმან ასე უთხრა: „რავქნა, დედისა და მამი ჩემისათვის სირცხვილით ვერა მითქვამს რაო, აწ რადგან შემატყე და ერთგულობის საქმით მეუბნებიო, აბა ას

ფლურსა მოგცემ, წაიღე და ერთი კარგი ქალი მომგეარეო, და ამავე აბანოში შევიტყო, თუ ჩემს თავს არ არისო“.

მიაბანოვემ ფლურება გამოართო და მწრაფლად წავიდა, ის ფლურები მოუნდა სხვაგან გასაკემათ ვერ გამოიმეტა, გულში თქვა, ამ ფრლურებს მე დავიკერ და ჩემს ცოლს მივეგერიო, ის ხომ ვერას უზამსო და ეს მუქათათ დამრჩებაო. მივიდა შინ, ცოლს უთხრა: „ადეგ, ხელმწიფის შვილთან წაგიყვან საცდელათაო, მე რომ იმისი იარაღი ვნახეო, სულ ვერას გიზამსო და ეს ასი ფლური ჩვენ მოვიხმაროთო“. დიაცმან ასე თქვა: „რა მენაღვლებო, თვითონ ქმარს მივეყვარო, და რომელიც უნდა, ისი ქნასო“. ქალი კაუა მოეკაზმა და წავიდა, მიიყვანა მებაბანოემ. შეგვარა და თვით კარზე გამოეცალა.

ქალი კარგა ნაზობით და უსულათ მოიქცა. რა ხელმწიფის შვილმა ნახა, მწვედ მოეწონა და მოუნდა. თორემ არა სჭირდარა მას ყმაწვილსა მის მეტი, (რომ) ის დაფარული ასო შიგნით ჰქონდა და, როცა გულის თქმა მოუვიდის, მაშინ ჩამოუშვის. იგი ყმაწვილი მოეხვია, აკოცა და კარგად დაუწევა. მებაბანოე გარედამ უქვერტდა და თავში იცმდა, ეს რა ვქენიო? რა ალერსი გაათავეს, მებაბანოე ქალს ძახილი დაუწყო, გამოდიო.

დიაცმან დაიგვიანა, მებაბანოე აჩქარდა, ძახლს ძალი მისცა გულ დამწვარმან, ადეგ გამოდიო! დედაკაცი ხელმწიფის შვილს მოეხვია და აღარ გაეყარა, ქმარს ასე დაუძახა: „რა გაჩქარებსო, ეგ ფლურები ხომ მანდა გაქვსო, რისთვის მომიყვანეო, თუ აგრე მალე წამიყვანდიო, ეგების ხელმწიფის შვილს ჩემთან კიდევ უნდოდეს ალერსიო“. მებაბანოეს ცეცხლი მოედდა და ასე თქვა: „ეს რა ვქენო! და ან ჩემს თავს რა უყაო! არც ცოლთან მაქვს სიტყვაო და ხელმწიფის შვილსა ჩემგან რა ეკადრებისო, მე რა მენაღვლებოდა, ხელმწიფის შვილს თუნდა დიდი ჰქონოდა და თუნდა პატარაო“.

დიდ-ვაჭარი და მისი ცოლი

ერთსა ქალაქსა შინა ერთი დიდი ვაჭარი იყო და ცოლი ერთობ ტურფა ჰყვანდა, თვითან კარგი და ვარგისი კაცი იყო და საქონელიც მრავალი ჰქონდა. წავიდა იგი კაცი სააქროდ და ცოლსა სახელი უთხრა მას ქვეყნისა, იქ მივალ და სამი თვე დამავგიანდებისო, ამ სამ თვეს იქ მინდა ვივაქროო.

წავიდა იგი კაცი და მივიდა მას ქალაქში, გაერთო საეაქროსა და სარგებელი ბევრი მოიგო. დიან ბოზი კაცი იყო და საცა მივიდის, საქონელის ძალით, რომელიც თვალად ტურფა ქალი იყო, მიიყვანის და მასთან ლხინობდის.

ამასობაში გარდახდა ხუთი-ექვსი თვე, რომ შინ აღარ მოვიდა. ცოლმან იცოდა მის კაცის გული და ზნეობა, გაეულისდა და ასე თქვა: „რისათვის ვზივარ მე ასე მარტო სამარაოდ გაუხარელი, ჩემი ქმარი ხომ იმ საქმეში არისო და ათასი უფრო ჩემს ალაგს შეუყვარებიაო, ამ ჩემს კარგსა დედაკაცობას ვინ მადრეილიაო, ამ ჩემის ფარშამანგის მზგავსსა სიყმესა ცუდად რისთვის დავბერებო; არღანისა მზგავსსა ლაწესა, მანამ ქარვად გამიხდებოდესო, მანამ ამოთა კოცნითა რად არა გავეხარებო, ლალის მზგავსსა ბავსსა და მარგალიტსა კბილსა რად მოვშლიო, თეთრის ბროლის კუტალსა და სტანბოისა ძოძუებსა რად არ მოვაწყო და აწ ხელუყრელად რად დავალეშებო, უებროსა მანათობსა ვარდის ფერსა ბროლი ნარევისა პირსა რად არ ავაყვავებო? რადღან ჩემს ქმარს ათასი ჩემს ალაგსა ჰყავსო, მეც რატომ ჩემს შესაფერს მოყვარეს არ მოვძებნიო; სანამ ესე უწყალო და უხანო სოფელი სიკვდილს მწარესა ჩემის ლეიძლისაგან სავსესა სისხლის თასსა შემასმევედესო, მანა მე რატომ ტყბილსა შაქარსა არა ვსვამო?“ ესე თქვა და საავკაცოდ გაემართა.

მისი მტერი ეშმაკიც ამავე საქმეს უდასტურებდა. მოჰყვა და დაიწყო ავტყევა. წლამდინ ქმარიც ამ საქმეში იყო და ცოლიც უარეს შერებოდა. ამასო-

ბაში კაცი იგი მოყვნიანდა და გაძლა ავ-კაცობით, ვაქრობაც გაათავა და შინ წამოვიდა; მოვიდა და მის ქალაქის სიახლოვეს ერთი ქარვასლა იყო, იმაში ჩამოხდა და იმ ღამეს თავის ამხანაგებთან ეწადა ლხინი და შინ აღარ შევიდა. საღამოსა დროს მოუვიდა მისივე ჩვეულება, აივსო ორივე მუჭა თეთრითა და ერთსა ასახა მისცა და უთხრა: „აბა, შედი ქალაქად და ერთი კარგი ქალი მომგვარეო!“

ასასი წავიდა და ბაზარში სიარული დაიწყო; ნახა რომ იმვე ვაქრის ცოლი აბანოში ყოფილა, ათას ფერად მოკაზმულა და შინითვე მივა; ასასმა ნახა და მოიწონა, უცხო ფერად ბედაური ქცევა და მორთულობა შეატყო და გულში ასე თქვა: „თუ ამ დიაცს მოვატყუებ და მას კაცს მივევრიო, უთუოდ სამსახურში ჩამიგდებს და პირთამდინ აძავებსო... აჰყვა მას დიაცსა და დაუწყო მუსაიბობა, სამაქანკლო სიტყვები, და ასე უთხვა: „ბრალი არ არის, შენ ამას ღამე შენი შესათერი მიჯნური არ შეგეყაროსო და უჯუფთოდ დასწვეო!“ მიიტანა ის ორი მუჭა თეთრი და ჩარდში ჩაუყარა და ასე უთხრა: „ერთი დიდი ვაჭარი მოვიდა უცხო ვინმე, ამალამ არიფისათვის განოგზავნაო, ღმერთმან უწყის იმის უფრო მშეენიერი კაცისა თვალსა არა უნახავს რაიო, მორქმული, უხვი და ლამაზიო; ესე ფული ვეზთა და შრომისათვის მომირთმევიო და, თუ ამალამ შენი შეყრა აღირსეო, მგონია, თავისი საბადებულობა სრულობით შენს ერთს კოცნას ანაცვალოსო.“

ქალი იგი ამ რივი ქართულით მოატყუა და წაიყვანა და, საცა იგი ვაჭარი სმად იჯდა, იქ შეგვარა. მოხადის ჩადრი და ტურფა უებრო მნათობი ნახეს და დიდათ განკვირდნენ. რა ქალმან მიეხედა და თავისი ქმარი იცნა, უყურე თუ რა ხერხი მოიგონა, და წამსავე შეხტა, ქმარსა საყულო შესტაცა და ტირილის ხმა აღმოუტევა, და მათ კრებულთ ესე უთხრა: „ეს ჩემი ქმარია, ერთი წელიწადი არის დამავდო და ბოზობას გაჰყვაო, ღმერთის მადლსა აბა შემოხედეთ, ამისგან სამშულგარო და გასაგდები რა მპირსო, აწე თქვენ ღმერთს ქვეშ შეგაგდებო, თქვენ უნდა ჰქნათ მე და ამისი სამართალიო, მე ცოცხალს ამის ქრძობა აღარ მინდაო, აწ ჩემი ქებინი მოაცემინეთო, საქონელი აქ უძეგსო, მე ჩემსა სამშობლოსა წავალ და ასეთსა ქმარსა შევირთავ, მაგის ბატონობასაც ღირს იყოსო“.

უყურეთ ამისთანა ავს საქმეზე ეს გვარი ტყუილი მოიგონა, რომ ვერა კაცმან ხმა ველარ მისცა, ქმარიც ასე უკუ-აწბილა, თავის მალლა აღებისაგან რცხვენოდა. ყოველმა იქ მსხდომთა იგი ქალი ამართლეს და ასე თქვეს: „ღმერთმან იცის, უსამართლე არის ეს ტურფა ქალიო, ერთი კაცისათვის ღირსიაო.“

ადგნენ ყოველთა, პატივით დაიწვიეს მუხლსა და ხელთა აკოცეს, და უთხრეს ესრეთ: „ჩვენი დედავ, დაო და შვილო, ამ შენის ქმრის ავკაცობა, შენაცოცლარი და შენზედ დანაშაული ჩვენ გვაპატივეო და ჩვენ ასეთსა პირობას დავიდებინებთ ამ შენსა ქმარსა, რომ თავის დღეში არა შეგცოდოს რაო, ახლა ჩვენი ამხანაგი არის და ჩვენი გულისათვის აპატივე, შერიგდი და ნელარ გაიყრებითო“. ხელი გამოუღეს, ერთმანეთს მისცეს და პირს აკოცინენეს და ისე შეარიგეს ძლივ.

ა. ჭიბა ვახტანგ მემკმისა

(იაშბიკო)

- 1 ჩემი ხელმწიფე, ჩემ საქებ არი,
არის ის ჩემთვის ვალ ნადებარი,
ვითა ბნელთათვის ლამპარ მნთებარი,
მიწყვი მნათებად არ დამესებარი,
ჩემ მოცემულთა კმუნეა მხებებარი.
- 2 მისი სახელი მიდიდებია,
ვინ ღმერთსა მამად უწოდებია,
რტო მისი ჩენთვის უქადებია,
მეექვსე ვახტანგ უბადებია,
თვით ქართლის მპყრობად უმზადებია.
- 3 მე მონა მისი მაქები მნახეთ,
თვით გმირი ტანად, შვენიერ სახეთ,
იტყვიან ვახტანგ, მებრძოლთა მახეთ,
არის დამძლევი ლახვართა მახეთ,
ქართლისა მპყრობად, მიწათა და ხეთ.
- 4 ვით ჩემი ჰნახოთ, სხვაცა ენანი,
მაქებნი მიწყვი, მკობად მქმნენანი,
არიან მისთვის ძალთა მჩენანი,
მე ვაიჯ გული მისთვის მდენანი,
წყალობისა ჰყავ, მაქვან ქენანი.

ბ. ჭიბა მფის ბაქარისა

- 1 სიბრძნის ზღვა არსად, მისებრ სხვა არსად დაჰბადნა ღმერთმან მისნი სახენი,
ტანი ვით სარო, შვენიერს არო, თერხნი ვით ლოდი, მძიმედ სახენი,
ალვისა მკლავი, ბექ—მთა, მძლე მკლავი, მებრძოლთა ცული სიტყვა მკუახენი,
ვეფხვისებრ მალის, მებრძოლმან მალის თავი უჩინოდ, სად კლდე და ხენი.
- 2 მშვილდი თიცხელი, უყრელ თიცხელი სხვისათვის მისი მოსაწვევლად,
ხრშალი ბასრისა, შვებას რისა. მქნე გოლიათთა მოსაწვევლად,
მტერთა მრისხველი, სწორ გამკითხული, გარნა ღმერთ სხვათა შეუწვევლად,
ძლიერი დასცის, შეიწვეს დასცის, მსთქვან ღმრთისა ძალთა დაცამტვევლად.

- 3 ხრისტეს მოსახესა, შიშველთ მმოსახესა, სწორისა თხრობად, არა აქვს ცილი, მსაჯულსა მართალს, ვით ცეცხლი მართ ალს ადენს—მტყუვართა მიხედება წილი, პირ უფერავსა შეიქმნს ფერ ავსა, ვისცა შერისხდა, დაჰსდნა ვით ცვილი, მეფეს ბაქარსა, სიტკბოთ შაქარსა, აქეზს მამუჟა ბართაშვილი.
- 4 სიმგვრულე პირთ სახე, მკვრეტთ ციაგთ სახე, ვითა ლახვართა ზედა საჩენად, სიმალლედ ზრდილი, მდაბალ და ტკილი, მარჯვედ მთქმელ, კეთილ, სრულ, გულ მხიარული, ზნე-კეთილ სრული, უხვი ზღვისაებრ განმცამდენად, ურჩთა მრისხველი, სწორ გამკითხველი, დავრდომილთ ბნელთა მზისაებრ [რიტორ ენად, მთენად.
- 5 რა ცხენთა მჯდომი, ღრუბელთა მწდომი, ოროლი მხვევად კლდისა მსალისა, ავჯანდა გრძელი, სიმძიმით მზდელი, ღვედთა მძლე ლახტი ხელთა ცალისა, სხვათათვის ტვირთად, შემმატე კირთად, მხნე მეომარი სულთა ჰსცალისა, ვინცა შეჰმართის, ვერ იწაღმართის, რისხვითა მგზებდი სახმილთ აღისა.
- 6 არა მაქვს ცილი, გოლიათთ წილი მიილო ღმერთმან მასზე მხედველად, მტვირთველად ქედი, ქართველთა ბედი არის ძირმოდგმით ამითთვის ძველად, ძლიერნი წელნი, მრავალნი წელნი, ჰასაკ სისრულე არს საძირკველად, მაჯისა ძალი, ჩემგან მართალი, იქმნება ვინმე თუ გამკითხველად.
- 7 მეფევე ძლიერო, მტერთა მოხიერო; შემამწიერო, ძალთა მციერო, თანა ზიერო დასთა ციერო, ლომებრ მშიერო, ჰსჩან სახიერო, ლამე მთიერო, წყობად მზიერო, მაენე მტკიერო, სხვათთვით სვიერო, საზომიერო, ჰასაკიერო, კარგ სიტყვიერო, მაშუქიერო.
- 8 ხუთნი ერთ ძმობით, ვართ ერთის ყმობით, არავეინ შემწევეს მარტო მთხრობე-
[ლად, ვართ უხვი ძლევედ, ბჳე ხსნილ უღევედ, საენეს ვანობ შეუპყრობელად, თვით თანა დეტი, ჰყავს ვითა სუეტი, განმცდის კიდონტი მისანდოაველად, ვინ სენას იგ ავად, რა ვჰსთქუა იგავად, ხელმწიფე ჰსწამებს სწორ საცნობელად.
- 9 შეკრბეს ქართუელნი, თულა ცრემლით სუელნი, განკვირვებულან შენსა წოლასა, გიხმობენ საწყალად, თავთ ზედან დაკლვად, არა ჩვეულნი შეჰხდნენ ძრწოლასა, დირილუა თემი, სამკვიდრო ჩემი, ვერავეინ იძლებს ყმათა ყოლასა, ვისკენ მივმართოთ, რა დავიმართოთ, ვერ განგვიმართავს დასაქოლავსა.

c. მ რ ჩ მ ბ ლ ე დ ი

- 1 ვინ ჩემი ჰბრძანოთ ცულ ყოფა, ლაყაფთა უსარგებლოსა, მაშვარალა, მიკვირს, სულთ წყენად, ზე ხორცთა წარსამგებლოსა.
- 2 ვით განვიმართლო, უცადმან რა იცის ჩემთვის ჰირებად? ნუმცა ვის მოგზედეს ჩემებრივ გული მკუნეს აღმომტირებად.
- 3 მწირობა სხუათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი, მუნთგან იცნათ ძლიერი ჩემი სახმილთა დებანი.
- 4 შეგეწყალოდესთ ყოველთა მწირი, მწირობდეს რებულად, ძნელია, ვჰსცადე, არ იციო: ვინა ხართ თავის ნებულად.

- 5 შაქარი მისთვის სამსალა, თაფლი არს კოლოზანია,
გული აქვს დაუდგრომელად, ვით რა ჰსწადს ვერას თქმანია.
- 6 ვითა ყრმა წამად შეებული, წამ ურვა მოპოვნებული,
გულს უყვავებდეთ, აღხენდეთ, რა გერგოსთ იგი ვნებული

d. მოკლე შეწყობილი

- 1 წყევა მაქვს საკურველისა,
მუხანათისა, კრელისა,
საწუთოს წამთა მქნელისა,
დიდების დამცემელისა.
- 2 ჩემგან საწუთოს ჩივილი,
ჰსცანიოთ თუ მრუდად ყივილი,
მაქვან მრავალი ტკივილი,
გულკენესით აღმონთხივილი.
- 3 ბევრი ჰყავს ჩემებრ მღურავი,
ჰხამს ზღვათა მჯდომი მცურავი!
ვის მისგან დასაბურავი,
უნდა ჰსთმოს, მიჰსცეს თურ ავი.
- 4 ვინ მისი მიმნდობარია,
წამ ერთის მეგობარია,
მიჰსცეს ლახვართა მწვდარია,
ბოროტ გრძელ, შეება მდარია.
- 5 „წყეულ ხარ“ — ბევრი ჰსჩივისა,
მაქებრად ირვინ გივისა,
ჰნათობ, ვით ცეცხლი თივისა,
ცხელ და წამ, მაგრამ ცივისა.

e. რუსული ხმები

- 1 შენი შეენება, ბნელთა თენება, არის მზისაგან ციაგებულად,¹
ციმციმებს ბაგე, მსურს თვალი ვაგე, ტანი წერწყეტი ზე აგებულად.
გამკო ქებით, თავთა ვნებით,
შენგამო, შენგამო ცრემლ დინებულმან.*)
- 2 წამილო გული, მყავს დაკარგული, ვისგან ვიძიო არავინ იცის,
თუალთა ჩინება, თვისთვის ინება, დამსუა უნათლო, სიბნელე იცის.
ვინმცა ჰსაჯა რაცა მტანჯა,
თვით ნება აქვს და ნებიერია!
- 3 მახარებს ნახვა, მამშორდეს ახვა, რა მეღირსება თუალთა კიდება,
მინათებს გულსა, ჰყოფს დაკარგულსა, სევდათა მომცის კიდით კიდება. † |
მკერდთა ტყება, ცრემლთა წდება,
რადლა მექნება სამევებელია!

*) ეს შემდგომნი ორ-ორნი ტაქანი ორ-ორჯერ უნდა ითქუას (შენ. ავტორისა).

- 4 შეენის მზიანად, ვამკო გზიანად, არ ძალმიძს მსგავსთა შესწორებანი,
ვინცა ესწოროს მნათობთა შორის, მასთან ვერა ჰქმნან ცათა რებანი.
შუქი მზისა ბინდად ზისა,
ვინ არის, ვინ არის მისი დარია?
- 5 მნათობთა აკლეს, სვე განაახლეს, მისი ჰსთქვეს მათზე დამეტებანი,
დაჰხშეს ნათელი, ვითა სანთელი, მკერეტელთ მიეცა ცეცხლთა დებანი.
შუქი მზისა ბინდად ზისა,
ვინ არის, ვინ არის მისი დარია?
- 6 უდარო ვარდი, ჰქმნეს განავარდი, ყუავილთ რა ნახეს მისი ბაგენი,
შეიტკბეს თვისად, გარემო მისად, მოფშვიან ლხინად გაყრით მდაგენი.
რას ვადარო, მზე სადარო,
უცილოდ მგობი არს მისი ხილვა.
- 7 მიჯრილნი კბილნი, ნარ-ნარად ტკბილნი, სიტყუანი ისმის მახლეებელად,
ვერ დაჰსთმის სმენა, ცნობთა თმენა, ჩემსაცა მიხუდა მაყენებელად.
ვამე რა ვჰყო, სული გავჰყო,
გვამთავან, გვამთავან აბეზარია.
- 8 გიშრისა თვალნი, მაქვს დაუთვალნა წამწამი მისგან გულ დასობილი,
სისხლისა წყარო მდის გასამყარო, გული ტყვე ქმნილი, ვაი საღმობილი.
ეს ადვილად, ჩემთვის წილად,
ნურავის გიჩანსთ სათმენელია.
- 9 გული ისტუმრე, გამოისტუმრე, ნუ არის მიწყვი შეპყრობილია,
დაება ბადეს, შენგან ნამზადეს, სასმელი შესევა შეტკობილია.
ვამე რა ვჰყო, სული გავჰყო?
თუ გული მივჰსცე, ვის ჰჰონებია?
- 10 ჰსაჯეთ მართალნი, არ სათნოდ მკრთალნი, რა ვჰყო, შემქმნა უბედურება
ვისთანა გული — მასთანვე სული, ჩენა, ყნოსეა და ყურთა ყურება.
არ ეწყალვის, ტანად ალვის
რომელი მიჩანს, ნებიარია!
- 11 ვჰყავ ნების თხოვა, არ დამითხოვა, არც ნება მომცა, არც შემიწყალა,
ბრძენი მაშმაგა, ცეცხლითა მდაგა, სიტყვა საწვავად თქმით გამიძალა.
ვამე რა ვჰყო, სული გავჰყო?
გვამთავან, გვამთავან აბეზარია!
- 12 ლაწუთა ინდისა, მსგავსად ბინდისა სათი მისმული ბროლის კალოსა,
შექმნება მცნება: აქვს სათნობა, მონა საკულდავად შეეწყალოსა.
ვერა ვჰპოვე, რაცა ვჰსთხოვე,
ნუთუ შემდგომად რა მელირსება?
- 13 წყალობას ველი, ვჰსტირ ლაწვთა სუელი, რათა მოუღბეს ამაყი გული,
ჰსთქვას: „შეწყალება მაქვს, მებრალება ჩემი უბადო სვე დაკარგული“.
არა მგამა ვინცა მწამა,
მე მისთვის ვიყო წამებულია.
- 14 ვიწყო კადრებით, თუ შედარებით ძალმიძს რა ვაქო ქართველთა ქალი,
ბრძენთა ისმინეთ, ვინ დაითმინეთ მართ გავონებით სადებად ალი.
ვინ იხილის, არ იფრთხილის,
სულთავან იქმნა ცარიელია.

- 15 შუქით, ვითა მზე, ჰნათინ ვითამ ზე, ტანად ალვა და პირად მთუარენი, სხივთა მდენელნი, შუქთა მფენელნი. მზე მადრეკილთა მოცამდარენი.
ვინცა ნახის, ვერ დასახის,
აჩრდილი მათი სხვათა მკვლელია.
- 16 მშვიდად მსხდომელნი, ლხინთა მდომელნი, სლვა საყვარელად მოსახდომე-
ტკბილად მხმობელნი, გულ გამობელნი, მსმენელთ არიან ლახვართ მწდო-
მელნი.
ვერვინ დაჰსთმის, შავთა მათ თმის
ყურება ჰკლავს და ყურება ალხენს.
- 17 თუალნი მელანი, ლაწვთა ელვანი ციალებნ, ისკრინ შავთა ისართა,
დაასვინ გულთა მხნედ, ალვა რგულთა, არსად იხილვის მათგან ისართა.
ვის ახიან, წამახიან,
მათგანვე ელიან მკურნალობასა.
- 18 კბილ მარგარიტი, ვითა მაგნიტი, ბაგენი ჰზიდვენ კაცთა გულებსა,
დაასხინ ნარდი, ვით მრავალ ვარდი, მხნეთ ძალსა ჰხახავთ დაკარგულებსა.
გულთა ყრასა, მიწა ყრასა,
ზოგი მიეცა სამარის-კარსა.
- 19 მრავალგზის ჰხმობენ, შებობით ძნობენ, წინწილად ითქმის ან უ თუ ჰნარად,
არავინ იცის, წამსავე იცის. მსმენელმა გულმან საყვდავად ჰქმნა რად?
ერთის ბაგით, ცეცხლებრ მდაგით,
მასმია სიტყვა გულთა ოროლად.
- 20 ჰხამს დაჯერება, ვის გწადს ჰე რება მათყენ, ძნელია მათი ტყვეობა,
დაჰგმით ცხოვრება, ცეცხლთა სწორება, სრბა და ხელობა, უნდა მხნეობა!
წამ ამება, გრძლად წამება,
უმჯობესია მამაციანთვის.

f. ჩერნიჩოს სმაი

- 1 შენი ნახვა გულსა ჩემსა ახარებს და ლხინსა სცემს,
თვალთა მიჰსცემს სინათლესა. მზისა სხივთა უნათლესს.
ტრფილო ლამაზო, მეტრფილო ბაია შენი.
- 2 ვგონებ და არსად არი ესე ლხინთა არ სადარი,
გული იქმნა მოცამკუდარი, ლახვართათვის მიცამწვდარი.
ტრფილო ლამაზო, მეტრფილო ბაია შენი.
- 3 თვალთა ცრემლსა, ვითა მილსა ადენ და ჰსწვავ, ვითა ცვილსა,
არა ჰკურნე დაკოდლია, სიყვარულსა შენგან ზრდილსა.
ტრფილო ლამაზო...
- 4 შენ ხარ კეკლუტთ სინათლეო, რადა გშორავს სიმართლეო?
ვით დამაგდე, ჩემო მზეო, განმინათლე სიბნელეო.
ტრფილო ლამაზო...
- 5 რა ვიხილე, მასეე წამსა კავშანი გარე წავსა,
სასმენელთაგან უხამსა, ბჰედ დახშულთა განუხვამსა.
ტრფილო ლამაზო...

გ. გაღდაღდან გელნ გეშ ღურანის ხმა

- 1 ვიხილვე შენი შეენება, სახესა ვეტრფიალები... სულო, ალვა აღზრდილი ლელწამი. წულის ტანსა ვეტრფიალები.
2. შეენი, მშვილდურად მოხრილნი, წარბებსა ვეტრფიალები... სულო, მკერგერო გულსა დამასობელსა წანწამთა ვეტრფიალები.
- 3 შეენი ზღვა მაყურებელთა ჰნთქავს, თვალთა ვეტრფიალები... სულო, სულისა ნავისაყუდელსა კილოსა ვეტრფიალები.
 - 4) ბროლის კალონი მტკიცენი, ღაწვებსა ვეტრფიალები... სულო, ჩემის გულისა კუბოსა, შეენ ხალსა ვეტრფიალები.
- 5 მუშეთა სამყოფი სოთურად, საყნოსელს ვეტრფიალები... სულო, კოკობნი ვარდნი შეთხულნი, ბაგეთა ვეტრფიალები.
- 6 მარგარიტნი არნ მიჯრილნი, თეთრ კბილთა ვეტრფიალები... სულო, მათეს ჰკლავს ამოდ მოსმენა, ენა ტკბილს ვეტრფიალები.

ხ. კოლცკის ხმაი

გულმან რა ჰქმნას საბრალომან, ტყვედ მიეცა საწყალია, ისარს ისგრიზ წამწამთაგან, ხელთ უჭირავს სამალია, ულონო და ღერ მიხდილი, გზა არსით აქეს სავალია. წარბხდა ღონე კურნებისა, არსით უჩანს წამალია; დაემონა, არვინ ემწო, ღადარი სწვავს და ალია, ეს ღამპარი უშრეტელი არ ძველი არს, ახალია. ჰსაჯეთ, კაცთა, გონიერთა მოთმენა აქეს მრავალია, ეპატრონეთ ულონო ქმნილს, ღმერთსა თქვენსა ავალია, დარჩა საყო წარჰკვეთილი, ვერა ჰპოვა წამალია, თუალთა მღუღარს წყაროთაგან ღაწენი დანასოვალია, სინხარული ჩემგან მისთვის სატანჯველი ყოველია. საყყარლისა გონებამან დამადრუმა, დამასულა, ნახეა მკლავს და ნახეა მალხენს, ვის ვიგონებ ამას სულა. მოშორება სიკუდილს მიმცემს, ნახვით სიბრძნე დაკარგულა-თუალი, წარბი, ღაწვი, ბაგე შეენიერად დასახულა. სიკუდილი მაქეს სინხარულად, გულმან მტკიცედ განიგულა; იგ ამაცი გულთა მკვლელი ჩემთვის ტანჯვად დანახულა, თუ ვეწივე საწადელსა, რა ჩემგამო განძრახულა, არა მგამა განშორება, სულთა ხორცთა ანაკესულა. გული კუბოს დაკოდილი, რომელ სისხლით გაბანსრულა, შევებულ იქმნა საუკუნოდ, დასამარხად მიწა ყრულა, სურვილითა მოცამკუღარი, სახელოენად დამარხულა.

ი. უეფეო ბილი

ამეო, ამეო, საყყარელსა რამეო,
ასე. ვითა ენებოს, თავი დააწამეო.
მიწყივ ჰგონე მხურვალედ, თვალი შეინამეო,
მისად თუ ჰყო ესედა, აღწერილი სწამეო.

რა მიიცი სასჯელი, ლხინი ათამამყო.
მისგან რასმე რგებასა, თვარ ვის ეტყვი, მამეო.
და თუ მამუკას მელევესედ არ იტყვიან, ვა მეო!

ქ. მ ღ ე ნ ა რ ი

ჩემ საყვარელო ვინაო, მიწყვი მიდგებარ წინაო,
გონებით შეშკრა სურვილმა, აროდეს მოქელხინაო,
შერთა ასაკთა კვრეტამან ცეცხლი უმეტეს შეინაო,
ამისთვის ვიქმენ ულხენი, უფროვე მოძეწეინაო,
რომე არ დაეთმო, მამ რა ვქნა, თუ შენი კვრეტა მინაო!
მზე ხარ და დამწეა... ნათელმან მე შინმან ამაქმინაო,
და თქვის: „ლექსი სწეროს მანუკამ, ხელნა არაეინ ჰპირნაო“.

კ. წუოგილი მრავალ მუხლი

თუმცა შენია, შენ ია, ვარდს არ წარტყვიენა ჰშენია,
სხეთაგან ნათობს გაშლილი, გონებას მოუღხენია,
მისგან საესე ხარ ლხინითა, არსით შეგემთხვას სენია,
ტანსა გმოსიეს მშეენეარე, გიდგან ალვისა ხენია.
ლაშაზად იზდი ასაკთა, მკერეტელთ არ მოუწყენია,
მისსა რად გძართებს მიჯნურთა კუმტობა, მოუსეფ:ია?
შენ—სახე მზისა, სამუდმოდ ღმერთს შენთვის მოუსეენია,
გაქვს მისგან მიწყვი ამება, არ ეამდ გარდამვლენია,
დგას შენდა ლხინი კეთილი, რა მზრდელსა განუტენია,
და მამუკასათვის სიბნელე არ არის განუტენია!

ა. სწავლა მოსწავლეთა

- 1 ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დაეთის მცნებასა,
ჯერ მწარე ქამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა,
თავს სინანული სჯობია, ბოლოს ეამ დ-ნანებასა,—
და ქირს მყოფი, ლხინში შესული, შეებად მიითელი ვნებასა.
- 2 დედამ რა შეას ძე, პირველთა ქირთ აღარ მოიხსენება,
მის სიხარულიო დაჰკარგავს ილაოს მსგავსთა სენებასა,
მაშინ იხარებს მწიღნავე, ოდეს მოისთვლის მტევენებასა,
და ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულ ყოფს, განისვენებასა.
- 3 სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერაინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი,
და თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.
- 4 ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუჯე: ხელი არ შეეკარების,
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალეით მოიპარების,
და ჭეუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!
- 5 ჩემის უცებით შევატყვევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:
ავი და კარგი გარჩევით, ეხედავ რომ ახლოს მიწყვია.
მინდა, და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამოიყვია.
და ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!
- 6 ვით უსაკუროლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ყეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებაეს, მისთვის ლომობდეს,—
და ეგრეთ ჭკვიანი უწერთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.
- 7 ესძებნე და ვერა ვჰპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა,
ბრძენსა აქვს თავისუფლება, სოფელში ყოფნა ნებისა,
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა,
და ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არ ვის მოექნებისა!
- 8 ბრძენი სიტყვითა დაჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჰარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხენელი ოფლითა ცხელითა,
და გლახა კარის-კარ თხოვნითა,—შენა გწადს აწ რომელითა?

ბ. სწავლა თავის გაუთხილავისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა

1 სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია; ბალ-წალკოტისა მოქმედთა ვარდი დათესოს, რგონ ია, თუ სნეულეიას უუთხოდე, ქამე-სვი, შესარგონია, თავს გაუუთხილდი, არ უკო საქმენი ურიგონია, დალივე საბრძნო წამალი, დაღვარე საშმაგონია, ლეთად ნუ გწამს გამობერილი დასია, ბილ და გონია; ის გრ წამდეს, ვინც რომ დაგბადა, მოგცა ქუეუა და გონია, მას სთხოვე, ყველა მან მოგცეს, არს შენი რაც საგონია! შორს წამსვლელი ხარ, მზად გაქენდეს ნუზლი და საბარგონია, და დავითის მცნება ისმინე, გახავე გასაგონია!

2 ეს არ ჰორია, სწორია, რაც სიტყვა ვითხარ ორია, ქეაუ არად წინდათ მცონარი, თქმულა, კამბეჩის სკორია, უქმად ბეერისა მქამელი გაუმადლარი ღორია, ყურ-მძიმე, ლაფში დაკულული, ზანტი ულონო ჯორია, თუ ჩაწვა ძნელად ადგების, თავშიც რომ სცემო ტორია. ვერ მქნელი დიდთა, მტყყელი ვითა, ვით რიტორია, დაეზარების წასვლასა, რა გინდ არ იყოს შორია. ძალ-მოკლებულ არს მკონარი, ვითა მდინარე მდორია, მანემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია, და მხნე იყავნ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!

დ. ქართლის ჰირი

ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება

- 1 ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია, * თუმცა ძირთაგან შორს იყენენ, შტოდ ახლოს მონაგვარია, ერთი დავითის ძეთ თქმული, რომელმან ივნო ჯუარია, და მეორე ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია.
- 2 იყო ის ერთი უფალი გლახაკთ ნუგეშის-მცემელი, შეფსალმუნე და მეტყველი, ლუთის ქებით ბობლნთა მცემელი, შრტო ძირისაებრ თვისისა ნაყოფის გამომცემელი, და მწყემსი ცხოვართა დამხსნელი და მგელთა არ მიმცემელი.
- 3 მას მორჩილებდენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა, უნისოდ ქარად მიაჩნდათ ცხოვრება სიაშოვნისა, მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა, და ჩაცვიდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა.
- 4 გულ მანკიერათ შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი, დაცაივიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალეებანი, ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშპაკის მანქანებათი, და დავით მამისა მისასა დამუსრეს ფსალმუნთ ებანი.
- 5 გაუორგულდა სპა-ჯარი, ვრი მიმცემი ხარკისა, ბაგით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუპარი ზაკვისა,

ღა უარყვეს ზცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,
რაჲც თესეს, ბოლოს ზოიმკეს თავიანთ ნამუშაჲკისა.

6 ასწავლიდიან ჩჩყლნი თავიანთ ქიეყნის მეფისა,
წაუთიხიან ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა:
იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა,
ღა მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიფეთისა.

7 ლუთის ნშობელმან ჰრქეა: იწამეთ, ვინ ცით გვიწვიან მანანა,
ქეყნად უშაოლ ქალწულსა ძე მარწებინა, მან ახა,
აბად, ბებიათ ითნია იოკიმე და მანანა,
ღა შესანდობელად ყოველთა მით ცოდვა თქვენი მან ახა.

8 არ დაიჯერეს არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები,
დაყრღდენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასასტერები!
თუშც იყენენ ხუცეს ბერები, მათაჲც კარგი ქნეს ვერები.
ღა დამცირდენ მაღლით მოყვრები, ცოდვით განწრავლდენ მტერები..

9 დაჯაბნდენ გულად მამაცნი, მძლეოთა მეზრძოლოთა მძლეველნი,
ნებათ შეიქნენ უბრძოლლად თავისა მტერთა მძლეველნი,
ციხე განულეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი,
ღა მტერნი სამკვიდროთ მოწმულენი, ტრფიალთა წამართმეველნი.

10 განუცვდათ შმაგთა ხელობა, ტრფიალთა მიჯნურობაო,
ვერ სძლივეს ნძლეოთა მეზრძოლოთა, ვერა ქნეს გულ-მაგრობაო,
შეშინდენ, ტრფიალთ გაქცენენ, შეკადრეს უარობაო,
ღა წუთს მოყვარესა დამოყვრდენენ, მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო.

11 ვერ გაუმაგრდენენ, ოდესაჲც მტერთა დაუწყეს ბრძოლანი,
ნება ყვეს თვისთა მეჩოლოთა, არეინ ინება ჩჩოლანი!
გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხაჰასთან შექნეს რბოლანი
ღა ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმენ მამადის ქოლანი!

12 შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტაენობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
აფაზაკობა, ქურდობა, გზებზედ დასხდომა მზირისა,
ღა ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრითა, კობოლთა, მწირისა!

13 მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სცნა, ბრძანა აღება ხელისა..
რისხვით გაშეება მის თემთა, გარდახდა საფარველისა.
მიუგო: „რჯულთა გამრყენელნო ახალისა და ძველისა!
ღა თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა!“

14 მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა..
ცა რისხვის შუა განიპის, ქეყანა შეიძროდისა,
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მსგავსი ნახეთქი ლოდისა,
ღა მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა!

15 მოუგის დიდი სიყმილი, შემუსრის ძალი ჰურისა,
აღარეინ იყვის ღვინითა აღმაყსებელი ქურისა,
შემცირდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა,
ღა ყვინის სასწაული, არ იყვის კაცი ზიმდღები ყურისა!

16 ლეკრად მეხთა დაცემა, იყვის ელვა და ქუხილი,
ნამი არ გასტყერის, გოლვამან მოწვის ბალახი, თუ ხილი.

- ქმუნვიდენ, არად შესწევდათ ცოდვის უნაღლად წუხილი,
და ასე ჰხედვედენ ნიშებსა, ვით ნათელს თვალ დაწუხვილი.
- 17 გამოუვლინის ნადირნი, მკამელნი კაცთა ხორცისა,
მოთხარის მკედარნი საფლავით, ცოცხალიც ბევრი ხოცისა,
ხმალ-კაპარკით რიდი არ აქენდის, არცა ხელბეზას ტყორცისა,
და დედ-მამათ შვილი სალხინო წამზედ საქიროდ მოსცისა!
- 18 უცხო რამ აქენდის მას მხეცსა ხერხი და მეცნიერობა,
საცხოვარს არას აწუენდის, ვერ ვსცნი რა აქენდის ფერობა.
საცა რომ კაცსა შემოხვდის, მედგრად იხმარის მტერობა,
და ანახდად ეცის, დაფლითის, მოკლის და შექნის სერობა.
- 19 არც მით მოიქცენ! შეჰყარა უცხო, უწყალო სენები,
ხოცა კაცი და პირუ ზუენი, ცხეარნი, ძროხა და ცხენები,
კვლავ შეაყენა, მახვილთა სისხლით აღივსო ხეენები,
და სრულად აღსულდა მათზედა დავითის მონახსენები.
- 20 ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვილას ოც-და-ერთსა,
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოიხსენა ღმერთსა,
აღმოსავლით მტერი აღძრა. მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
და ღმერთმან მტერსა გამოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს ან კახეთსა!
- 21 ქართლის ქირსა ვერვინ მოსთვლის. თუ არ ბრძენი, ენა მკვერი!
იფქლი ღეარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი,
ერაზმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქოვის ბევრი,
და მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ლუთისგან შენაწვერი.
- 22 თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილიგი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ. ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
და მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუღდა ძმასა ყისტი,
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!
- 23 ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს. დაქოჩროს და დაეკიდოს,
და რა ორივე დაღალულნი ძალღმან ნახოს, პირი ჰკიდოს,
და ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!
- 24 ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამდ არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზედ მერცხვიენება...
და მტერს შავსმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება,
რასაც ახლა ეამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხედეს გინება.
- 25 ტყუილი ვსთქვა. ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?
მართალი ვსთქვა, მეშინიან. ვა თუ გაეხდეს დასაკარგი!
და კაცს მის მეტი არა აქვს. რა სიკვდილს უქან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა ავი, კირგსა კარგი.
- 26 აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო,
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?
და კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ საკარ-კაცე აქო?
ავს კაცს კარგი ვით უმებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!

- 27 პირს-ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო,
სჯობს ტყუილით ქვეყონისა, ზე სიმაართლით ავიბარგო,
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო-
და მასზედ სული არ წავსწყმიდო, რა გინდ ხორციით დავიქარგო,
- 28 მართალს ვიტყვი, შვეიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე თუ გინდა თავიც მომქრან, ტანი გახდეს გასაბერად,
და ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.
- 29 ამისთანას მკურნალს ვაქებ, მილეცევდეს ფაზარ-ხუთოს,
არ თუ მასა, უწამლობით პირში სული ამამხუთოს.
ამისთანას ბატონს ვაქებ, მან ერთი ყმა განახუთოს,
და არ თუ ხუთი აღარც ერთ-ქმნას, ასე საქმე თავს მოურთოს.
- 30 მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წაბღენგელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების,
და ძრახველს სჯობს საძრახველთა, ძრახვას კაცო მოუფთხების.
- 31 ამაღ სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კვლავ აღარ ჩაიღინოს,
სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არავინ ჩაიღინოს,
კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კრგათ მაიხდინოს,
და თორემ ბოლოს ვით იქნება, ავზედ ძრახვა დაიციღინოს?
- 32 ვინც რომ ძრახვას თავილობდეს, ნურასა იქს საძრახვესა:
თავისიცა განიზაგროს, ნუ აფოფნებს სხვის ნიფხავსა,
ქეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
და მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავეინ გაჰკიცხავსა!
- 33 ამას ცწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ,
ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილს თუ არ არცხვენ,
ვინ დაჰფარავს მათს ნათესას, თვით უმიწოდ ქეიშას ფარცხვენ,
და ქვე საწუთროს ქვითკირსა ზდგმენ, ზე სამკვიდროს ფიჩხით ფაცხვენ.
- 34 რაგინდ რომე კაცმა მალოს, პირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძღვებს რაც კაცს სენი გულსა უკოდს, ჩხველიტს და მსქველავს,
სხვის არ მკრძალავს რად ემღურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს,
და თვით ვერ ხედავს, სხვის საჰერეტლად, თუ არ უნდა, პირს რად ჰკალავს?
- 35 მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს!
მეტად მწარედ გული მტკივა, მაქრეოლგებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დაეგზო აღმა მხვენელსა, დაღმა მბარავს,
და ჩემი ცოდვამც მისცემია ჩენს ამამხარულს, ამამზარავს!
- 36 ერთი კაცი უკუღმართად ვნახე ერქვანთ ასხამს ფრთებსა,
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის კაძლოს აკეთებსა,
მხვენელსა ვ. ითხე, რად ეგრედ იქ? თქვა: „ძალა ხნავს აღმართებსა“.
და მფარცხველმა თქვა: „დაღმა ვფარცხავ, აღმა ხნულსა ეს მართებსა“.
- 37 ვინც რომ ისე უკუღმართად, მრუდად ხნას და თვისოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნულარ მაქმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს,
ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს,
და მისი სული სატანამა თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?

- 38 რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ, შენ ჩემო უღვაშ-ბილო!
ვინც არ გჯერა, ასე უთხარ: მიბჰანდი და ნახე თილო,
მე წილს ნულარას დამიდებ, რაც შენ მუნით წამოილო,
და თუ გაემტყუნდე ამაზედა, მე შენ შეიდუულათ გიზლო.
- 39 აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელო შემოკრებით,
ზოგი შინა აქ ბძანდებით, ზოგნი გარეთ შემოკრებით,
მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო, თავში ხელის შემოკრებით,
და ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენდა გარეშემო მტრებით.
- 40 კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს,
ძმამ ძმას სახრე გადუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
და ორნივე ერთად შეხრიკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!
- 41 უკულმ:როთად ხენა და ფარცხევამ ეს ნაყოფი გამოილო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოილო!
თარჯ-თომრიან ჯილოანნი გაგვიხადა, ქმნა უჯილო!
და მხამს გიტყებდე მეფის ბილით, ვარსამისა სავსე მჯილო.

ე. მზეთა მზის ვედრება

(ამის ხმას ეწოდება რუსულად: მასონ).

- 1 მზევ! სიშორითა შენითა
ესტირ გუზღე კენესით, ქშენითა,
ყინფა მკლავს და მარჩობს ბუქი:
განმათბე, მომფინე შუქი*)
- 2 მზეთა-მზეო, ამად ესტირი,
სადლაც დაგიფარავს პირი,
საქებრად ხარ სასალუქი,
განმათბე, მომფინე შუქი!
- 3 მზევ, ნუ გახდი კარგს დარს აედრად,
ნუ ჩამაგდებ ყინვით ლადრად,
დამფუფქავს ლადართა თუთქი,
განმათბე, მომფინე შუქი!
- 4 მზევ, შენ ხარ კარგი ნარუქი!
ბრძენთაგანა ხარ არ უქი,
ზეგარდმო ნიჭი ნაჩუქი,
განმათბე, მომფინე შუქი!
- 5 მზევ, მახარე შენსა მოსვლით,
ახლით მშოსე შესამოსლით,
არ მათბობს მე ძველი ქურქი, ო
განმათბე, მომფინე შუქი!
- 6 მზევ, მომხედე პირის ბრწყინვით,
ნუ დამაძრობ ცივის ყინვით,
სხივთ სითბოს გიქებს ბარუქი,
განმათბე, მომფინე შუქი.

*) ბოლო სტრიქონი ყველგან ოაზჯერ უნდა ითქვას.

ც. საწუთოს სოფლის სამღუბრავე

- 1 ნუ მიენდობი, საწუთო მტყუენი არს და უპირო
არ დაიპირეია ხელშია, რაგინდ რომ ბქალი უქირო,
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხეალ ვერ მოურჩე უქირო,
და ამად სჯობს ხორცი უარჰყო, სულსა ულოცო, უწირო.
- 2 ნათობს და ბინდობს საწუთო, ქცევადი მობრუნავია!
წ მს ყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია,
ყოველი ლინი მუხთლისა კულავ ისევე საქუნავია,
და ერთი დრო გრძლად არ შეერჩების, ჰქარგი სთქვა, გინდა ავია.
- 3 ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და შეგბასა,
მიყვარდა, კარგად მიძანდა, ვცდილობდი არ გაშეგბასა,
ახლა თქვენც ხედავთ აწ ჩემსა მის გამო პირკუშებასა,
და გული დაუწავეს სახვილით სულთქვენასა და უწებასა.
- 4 მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომებოძა თავითგან, ბოლო ვამ ისევე წამერთო!
მან დამიკვანდა მუხთალმა, მე რაცა მეხვეუა, მერთო,
და მის გამო სეველი მე გულა, ვით შემა, ცეცხლზე წამერთო.
- 5 წყეულმან, ცრუემან, მაცდურმან ფეხთ ქვეშ ილინქა მომიგო,
პირიელად მოყვარად მეჩვენა, ტყბილი რამ სიტყვა მომიგო,
გამეთაძაშა, მაცდინა, საცხოვრებელი მომიგო,
და რა წამახდინა, გამკიცხა:— „რად ჰქენო“?—ნიშნიც მომიგო!
- 6 ამად ვემდურა საწუთოს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მოვუი, კიდევ მიყუყვარ სადაო?
მამა, დედა, ძმა თვალთა ველარა მხედავს, ადაო,
და ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო.
- 7 მე საწუთომან მიმილო, რაც საბადისი მეზადა,
მისგან დარწყმული მახენი თავსა ზე გადმომებადა.
ორ-გზით კრულ შემქნა მტერთაგან, ხელთა საბელი მეზადა,
და მით ვსტირ, თვალთ ცრემლი მიბნელებს, დღენი მჩანს მე ღამეზადა!
- 8 მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო.
არ მომეკა ძე, არც ათული, არეინ მიძახის მამასო,
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო,
და დაეგქე და ლეკსვა დაეიწყე, ვსთქვი: თუ ვიშვილებ ამასო.
- 9 ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთოს ჩხუბია,
სად კაცს არ უნდა—წარიყვანს, ყელზე საბელი უბია,
მისთვის ვსტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა უბია,
და მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუბია.
- 10 სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა.
ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა,
და თესლ აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა.

ქ. ანდერძი

- 1 ჭალარ მსურს ქნარი, საქრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:
კრუმან საწუთრომ მარიდა პირი,
არ აღმისრულა მან დანაპირი.
- 2 მკითხა ცოდვისა, მიხსენა ძვირი,
ვით გალსა ხესა, განმინზო ძირი,
დამაგლახაკა, განხადა მწირი,
საყვარლისაგან მქნა განაწირი.
- 3 გული მიშავა ვითა ნახშირი,
გამაყრევიანა თავზე თმა ხშირი,
პირი დამიქნო, ვითარცა ჩირი,
დამაშეებინა დაღმა ჩიჩვირი.
- 4 შემყარა ძნელი ილაო-ქირი,
გულზედ მასვია მქველად დანაქირი,
მომიახლოვდა მწარე სიკედელი,
ცელ-გალესილი, ხრმალ-ამოწვდილი.
- 5 ვინ ხართ ღუთიან: და მადლიანი,
კოდ-სასწორ მართალ, სწორ-ადლიანი,
გუთხოვ შემიდბრალოთ, როს მკედარი მნახოთ,
შენდობა მითხრათ, როცა დამმარხოთ!
- 6 ვისაც რამ გცოდე, ვითხოვ შემინდოთ,
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ,
მე აღარ ძალმიც თქვენი რამ წყენა,
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.
- 7 თუ გინდათ კიდევ მაგინოთ თქვენა,
ვერ გაევიგონებ, დამიდგა სმენა,
აღარ მაქვს სუნაქვა, არც ამოქშენა,
მანვე დაშალა, ვინც აღმაშენა.
- 8 მცხედრად მდებარე, გულ-ხელკრფული
მივალ, არ მიმღევს თან ერთი ფული,
თუ რამე მაქენდა, ყველა მანდ დამრჩა:
ყმა, სახლ, ბაღ, ბოსტან თეთრი თუ ფარჩა.
- 9 ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:
თუ ღმერთი გწამდით, ამ სამს ფიცარსა
ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად,
გარს ნურას უზამთ დასაშენებლად.
- 10 ნუ გაირჯებით შესალებლად,
მსუბუქი ქენით წასალებლად,
ფასს ნუ დაჰკარგავთ დასახატავად,
თეთრს გაუფრთხილდით დასაფანტავად:
მალ მაეშლების მას სილამაზე,
მიწა ეყრების ქვა, სილა მაზე.

11. ვისაც გინდოდესთ თქვენ ჩემთვის კარგი,
თან გამატანეთ ასეთი ბარგი,
რომ ცუდ-უბრალოდ არ დამეკარგოს,
საწყალს ჩემს ცოდვილს სულს რამე არგოს.

ვ. მხიარული ზაფხული

რუსულად ამის ხმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა“

- ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“
ჩემთვის სახშილად ჩამოეკვსნა.

იმით ჩემი გული
იქმნა დადაგული,
მედების ალი!

ვიწვი, ვიდაგვი მწარედ საწყალი,
არავინა მყავს, დამასხას წყალი,
ღმერთო, გეაჯები,
წყლით საესე გეჯები
შენ მომა აველე!

ჟუცებით ბრმასა მიხილე თვალი,
შენი მაცნობე მე გზა და კვალი:
მომეც მე შეტყობა,
კარგ სიტყვით შეწყობა
შემადლებინე!

იჯდა ზამთარი ბროლის ტახტზედა,
ხელი ზედ ედვა ფარ-ხმალ-ლახტზედა.
მზად ყვანდა ლაშქარი,
თოვლ-ყინვა, მას ქარი,
მოსწონდა თავი!

ჯართ მყვანებელად ევროს ამირად,
ყვანდა კეკიას მოპირდაპირად,
შემდეგად მას ლიფსი,
ზეფიროს, ფეინიქსი,
ბორია, ნოტოს.

ზაფხულს ამირად ყვანდა კეკია,
სად ევროს იღვა ნაცარ-ქექია,
შემდეგად არგესტი,
აპილი, ერლასტი,
თრასკე, ლივონტოს.

არგესტიმ უთხრა: „დრო არის, ლიფსი,
აღე გამეცა, რა ქვეშა იფსი!“
ეს ლიფსმან იწყინა,
უფროსად გაყინა,
ლილო-ლელმანი.

ლიფსსა და არგესტს შეექნათ ჩხუბი,
არგესტ საჯდომთა ლიფსს შასცა შუბი,
დაიქრა რა ლიფსი,
იხმო მან ფვინიქსი
მიუთხრა მასა:

„არგესტს შეეები, ნაცხე დაიქერ,
შუკაცრაოდ ვარ, შარდს ველარ ვიქერ!
აწ ახლა შენ იცი,
ვით გაქენდეს შენ ფიცი,
შენ გაისარჯე!“

არგესტ დაუჭრდა, ქროლისგან დადგა,
ფვინიქსის ბრძოლად ერლასტი ადგა.
გარდაუდგა წინა,
ლაშქრად ახლდა წვიმა,
ფვინიქს ყვა თოვლნი.

ფვინიქს ერლასტის წამოუქროლა,
თოვლის ხორშაკით დაუწყო სროლა,
ერლასტიმ მას თოფნი,
წვიმა და ქარ-ქყოპნი,
მას შეაყარა.

გატყდა, ამოსწყდა ფვინიქსის ჯარი,
ვერ მოიხმარეს თვისი აბჯარი,
ჩაუსველდათ თოფნი,
თავს დაესხათ ქყოპნი,
დეღემა-ლოლფონი.

ერლასტს ეტყოდა ზეფიროს გმირი:
„კმარა დაჩუმდი, ნუ მალა ჰყვირი,
ნულარ ჰქერი თბილადა,
თვარ გაგხდი წბილადა!“
დალაშქრა თრთვილით.

რა ზეფიროსმა შექნა მუქარა,
აპილიოტმა ფეხს მოუჩქარა:
დაპბერა მან თბილი,
განუღნო მას თრთვილი,
მზეც მოეხმარა.

ვეროსთან იყენენ ბორია, ნოტოს,
და კეკიასთან თრასკე-ლივონტოს,
მუნ შუამაგლობდენ,
მშვიდობას ცდილობდენ
ერმანერთშია.

ამ ქარებს გარდა სხვანი ქარები
დაუნდობელნი, არა ზაქარები,
იყენენ შორს წასულნი,
ქვეყნად დაქსაქსულნი.
მუნ ვერსად ენახე.

რა ესმა ევროს ჯარის გატეხა,
ბორიას. ნოტოს შემოუქეხა:
თქვენ აქ რადა ხართო,
რატომ არ წახვალთო,
ჩვენს ჯარს უქირსო!

ამას წყინობდა ევროს ამირი,
ავად შებმულა ზეფიროს გმირი,
აპილიოტიო,
ქმნილა მეოტიო
ზეფიროზისა.

აღდგა ჩრდივით ბორია ქარი.
გულით ფიცხელი, ხელ-ფეხით ჩქარი,
მძაფრადა გაყინა,
სუყველას აწყინა,
ვისაც შემოხვდა.

სად ზაფხულისა ვლიდა თარეში,
სულ გაწყინა მალა ჰაერში,
ასეთი ციოდა, -
მკედარი ძირს ცვიოდა
მალლითგან დაბლა.

თრასკემ ბორიას კარგათ უმტერა,
წამოუგირგლა, სულ განუმტვერა,
ჰაერში ახვეტა,
დაუწყო მუნ ჟღეტა
ბორიას ლაშქარს.

ბორია დადგა, წამოდგა ნოტოს,
თრასკეც დაუჩიდა, აღდგა ლევონტოს.
ხვდა ლომსა ლომია,
შეიქნა ომია
მეტად ძლიერი.

ნოტოს დაჰყვირა ლევონტოსს მკახედ,
ლევონტოს დახვდა გულმაგრად, მკვახედ:
დგენ გაბოტებითა,
სცემდენ ტოტებითა
ერთმანერთს თავში.

ზამთრის დამარცხება და ზაფხულის გამარჯვება და წყემსთ პირობის დება

ზამთარს წაუხდა აწ კირნახული,
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული:
შემოკრბენ ყოველნი,
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.

გაკვდა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შემოეცარცვა ტანთა საფარი.
ზაფხული განახლდა,
საცმელი თან ახლდა
ფერად-ფერადი.

ზამთრით გაცრცვილნი, შიშველ-ტიტველნი,
ახლით დამოსა, გახადა ძველნი.
მისცა მან ბრძანება,
დასრთო სვლად მან ნება
პატიმრად მყოფთა.

ტანთა ჩანაცვა მწვანე კაბანი,
არ აქვთ სიცივით თრთოლა-ბაბანი.
თბილნი ქარნი ჰბერვენ,
ხმით მფრინველნი მღერენ,
განაქვთ კიკიკი.

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული,
შაში ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
ღრვინავს ქედანი.

სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა,
ქვემძრომთ ხმა ესმისთ, სახლს ხდიან ბანსა.
ჩაყრილნი ხაროდა,
ზე გასახაროდა
ამოძერენ ველად.

მზგავსად მზგავსადმან იპოვა ტოლი,
ყველამ დანერბა თავისი ცოლი.
გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი.

მხიარულს ზაფხულს მოყავს ყვავილი,
მოწყენილს ზამთარს თან გაჰყვა თრთვილი.
აწ მწყემსნი ხარობენ,
ვინ ვისა ჰყვარობენ,
პირობას სდებენ:

„ვინ ვის გვინდოდეს ერთად ვაძოოთ,
საერთო იყოს, ვინც რამე ვპოოთ.“
სამთ ქალთ სიხარულით,
ცხვარნი სიარულით
წანასხეს ქალად.

მირეკეს ჩიგვთან, საღ ვარდის ფერად
ყვავილი ნახეს, მუნ დასჯდეს მღერად.
იმღეროდენ ტკბილად,
კარგ ხმა გაწობილად
შაექცეოდენ.

ყვავილთ გაჰქონდა გაშლილს ბიბინი,
დაგლიჯეს, დაწნეს მისი გვირგვინი.
რაც ქალი იქ იყო,
ყველამ თვითო იწყო
თავისათვისა.

მარტოს ვერ სწნევდა თეთრს ვარდიანსა,
წავიდა ქალას, შორს, ბარდიანსა:
ყვავილთა საძებრად, ჯ
კარგისა სკრეჯლად
თავის კონისთვის.

მოესმა შორით ნესტვთა ხმობანი,
ეგონა ქალთა თამაშობანი.
სითაც ესმა სტეენა:
მიყვა იქითკენა
ყვავილთ კრეფასა.

აღმართი ავლო, რა გარდიხედა,
მუნ მწყემსი დახვდა და წყალი სჩქერდა,
შეშინდა, შაჰკვირა,
გაქცევა აპირა,
ველარ გაბედა.

მალ-მალ შაჰკვირა: ვამე, ვამეო!
რა დღე მექნების, ან რა ღამეო!
მას წყემს გაუკვირდა,
თქვა: „რა გაუკვირდა?“
სწრაფ გამოიქცა.

მივიდა, ჰკითხა: „ვინ ხარ რა მოხდა?
რამ შეგაყვირა, წინ რა შემოგხვდა?“
ხელი ხელს მოჰკიდა,
თვალთ ცრემლი მოსწმინდა,
სცა ნუგეშინი.

ქალმან რა ნახა იმ მწყემსის პირი,
სულ დაავიწყდა რაც სჭირდა კირი,
მწყემსი შეუყვარდა,
ფერხთ ქვეშ შეუყვარდა,
შესცინა პირსა.

ქალმან მიუთხრა მწყემსს: „საყვარელო,
დღეს ჩემო მცველო და დამფარელო!
მეც სიტყვის დასტური,
რაც ესთქვა, მიგდუ ყური,
მისმინე თქმული.

რადგან შენ გახდი ჩემი ძალ-ლონე,
რაც მოგახსენო, ეს გამიგონე:
დღეს შენგნით მეფონა,
ხსნა აღარ მეგონა
ჩემის თავისა.

ეს კონა წნული იყოს შენია,
მე ვარდი შეშქენ, იყავ შენ ია,
გაშინჯე, შენც ნახე
ჩემის პირის სახე,
თუ გონდეს, მითნიე!“

მწყემსმა ქალს უთხრა: „ნუ ასჩქარდები,
ჯერ შენვე გაქენდეს შენი ვარდები,
ცოტა მოიცადე,
საქმე გამოსცადი,
შეიტყვე მართლა.“

ჯერ დაივიწყე კენესა და ვიში,
თქმულა: სიყვარულს შეიქსო შიში,
ხარ გულით შემკრთალი,
არ ვიცი მართალი,
გიყვარვარ, თუ არა.

ცოტას ხანს საქმეს დაუგდოთ ყური:
ღვთიური არაის თუ ეშმაკური
დღეს შევიყარენით,—
რად შევიყვარენით,
ესცხათ ერთმანერთი.

თუმცა მთნავს, მსურის შენთან დაწოლა,
მაგრამ შიშითა გულში მაქვს ძრწოლა.
ვინც რომ დაგვინახავს,
დაგვეგმობს, დაგვიძრახავს
უწესურს საქმეს.“

ქალმან მიუთხრა: „რამ შეგაშინა?
ჩვენ ორთ ხშირს ტყეში ვციყურებ ვინა?“
მწყემსმა რა ისპინა,
გულით გაიციინა
ამ სიტყვაზედა.

ქალმან მწყემსს ჰკითხა გასაცინარი:
„ჩემგნით რა გესმა, მითხარ ვინ არი
აქ ჩვენი მნახავი,
რომ იღნას მძრახავი,
ვისგან გეშინის?“

მწყემსმა ქალს უთხრა: „თუ შენ მომისმენ,
სანამ ვიტყოდე ჩემს თქმულს მოითმენ,
ვისიცა მაქვს რიდი
ან მე შიში დიდი,
გეტყვი ყველასა.“

შენ ყური უგდე ჩემს ლაპარაკსა,
მე მართალს გეტყვი, არ თუ არაკსა:
ყოველს ხორციელსა
ვერ ნახავ ტიელსა,
არ ყვანდეს ტოლი.

ოდეს ქმნა ღმერთმან ადამ და ევა,
სჯულად უწესა ერთად შექცევა:
ერთადა დაწოლა,
შეყოფით წულთ ყოლა,
არს მიერთგან.

ვინც უნდა ნახოს ლოგინზედ მწოლი,
არ ვინ დასძრახავს, გვერდთ უწვეს ცოლი-
აქვთ უშიშრათ ძილი,
შეყოფა მათ ტკბილი
სჯულიერებით.

ქმარნი და ცოლნი შეყვარებულნი
გულით არიან გახარებულნი,
თავის სახლ კარადა
სხედან აშკარადა,
არ დამალულად.

შესაქცეველად დადიან ბალად,
უშიშრად, ურცხვად ხუმრობენ ლალად
ხელი-ხელთ კიდებით,
თამაშით, კიდებით,
ხეთ ქვეშ მწვანეზე.

უშჯულოებით შეყვარებულნი,
ტყეში დადიან შეპარებულნი,
ჯაგებში ძერებიან,
ავს საქმეს შვრებიან,
აქვთ დიდი შიში.

საქმის შიში მაქვს ოთხის-ხუთისა,
ჩიიკვ-შაშვ ეკლისა, კაცისა, ღეთისა.
ამათ შეაშინეს,
კიდევ შეარცხენეს
ღედ-მამა ჩემი.

რაც მათ უნდოდათ, ვერც ის ქნეს კარგა,
მრავალი ქრთამიც მათ დაეკარგა,
რაც მათ მამპარათ,
არც ის დაეფარათ,
გამოუმელავენდათ.

ქალმან მწყემსს უთხრა, წვრილად მითხარო,
ეგ როგორ ქნილა, ან შენ ვინ ხარო?
შენ შემატყობინე,
მე გამაცნობინე
შენი თავიო.

მწყემსისაგან თავისის მამისა და დედის ამბავის თქმა და თავისის
სახელის გამოცხადება

იყენენ ერთს დაბას მოსახლე ორნი,
გლეხნი, სიმღიდრით, საქონლით სწორნი.
ორნივე კეკიანნი,
მართალნი, ლეთიანნი,
კაცნი კეთილნი.

ორთავ სამძახლოდ ეკირათ თვალი,
მაგრამ არც ერთსა არ ყუანდათ ქალი.
სურდათ მათ მოყურობა,
არ ავად მოპყრობა
ერთმანერთისა.

ყუანდათ ორთავე საცოლოდ ძენი,
მომზადებულნი, კეკიანი, ბრძენი,
მამათა მორჩილნი,
დედათა—ვით ჩვილნი,
ლეთის მორწმუნენი.

ამათ მოუხდათ ერთს დღეს ქორწილნი,
ორთავ შიეცათ ერთს ღამეს შვილნი:
ერთს ვაჟი, ყრმა-წული,
მეორეს ასული
ღმერთმან უბოძათ.

მათ ქნეს პირობა, ვთხოვითო ღმერთსა,
თუ დაიზარდნენ, ვართოთ ერთმანერთსა.
უფალმან ინება
მათ ლოცვის სმინება,
დაზარდა დიდნი.

იყენენ ქალ-ყრმანი სახით შეენიერ,
მშვიდ, მდაბალ, კეთილ, გულით მეცნიერ,
ერთისა ხნისანი
თექვსმეტის წლისანი,
ერთად შეზარდილნი.

რა ბიქს დაუწყო გულისთქმამ ბრძოლა,
მაიწადინა გოგოსთან წოლა.
გოგომ თქვა უარი,
უთხრა თუ: ნუ არი
ჯერ შენსა გულსა.

ჯვარ დაუწერლად ეგე საქნელი
ნუ გჩან ადვილად, ცოდვა არს ძნელი.
ღმერთისა ეწყინება
საწოლთ შეგინება
უშჯულოებით.

აწ რომ დამიწვე და მუცლად ვილო,
ქვეყნად როგორღა ხმა ამოვილო?
თუმცა ვარ საცოლო.
შვილი რომ მაცოლო,
მერე რაღა ვქნა?!

ჩვენ დავგარქმევინ ბოზთ, მეძავს, მრუშებს,
და ჩვენს შვილებსა-ნაბიკვრებს, ბუშებს,
სახელი გატყდების,
ქვეყანა ასტყდების
ჩვენს საძრახავათ.

იტყვიან, რასთვის არ იქორწინეს
და წარიმძღვარეს მათ წინაწინ ეს,
საქმე ქნეს ურცხვადა,
გვირგვინთ უკუროთხადა
შვილი იყოლეს.

თუ ვისმე ვეტყვი მე სიტყვებს მკვახებს,
ის¹ ფიცხლავ ამას მე წამომძახებს:
მე ვით მკიცხავ, ურცხო,
თვით საქმე ჰქენ უცხო,
საუნამუსო!

გვარი მოსთხარე და ნათესავი,
სირცხვილით დასქერ სუყველას თავი,
საქმე ჰქენ კახპური,
შენთანა ქალთ პური
ალარ ეკმების!

მცირეს ხანს თავი ვერ შინახე,
სჯული და მცნება არ დაიმარხე,
თავ დაუქერლადა,
ჯვარ დაუწერლადა
ბუში განაგდე!

მე ეს მაქვს ზითვად და ასე მინდა,
შენ მოგიტანო მე თავი წმინდა;
მის ღროს ვინცა მნახოს,
არა რამე მძრახოს
ურიგო საქმე.

სჯობს ქალი მოკედეს და დაიმარხოს,—
ურიგო საქმე არ დაიძრახოს:
ქალთ სახელთ გატეხა
არს თავთ მეხთ დაქეხა
მშობელთა თვისთა.

ნამუსიანად მქცეველი ქალი²
არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი;
უნამუსო ქალი—
ქვა ფიქალი, მქრქალი,
ქრმის საფლავთ ლოდი,

ქალს გასათხოვარს საქრმოდ მოწეულს,
უჯობს სიწმინდე საცმელს ძოწეულს,
უწმინდურთა ქალთა
ოქრო-ქსოვილთ კალთა
დაპფარავს ვერა.

ქალთ დანაშეენებს პირთ კალვა-ხალვა,
და უმეტესად ფარვა და კრძალვა,
თავის მთლად შანახვა,
მცნებათა დამარხვა
სჯულთა და წესთა.

სჯობს მარგალიტსა, ოქროსა, ვერცხლსა,
კაცი არ ვარდეს სირცხვილის ცეცხლსა.
გთხოვ, არ შემარცხვინო
და შემანახვინო
თავი დრომდისა,

ქვეყანა დაგმობს ჩვენს დედ-მამათა,
რად დანებებს თავი ამათა?
უდაბურს, ქალასა,
ხშირ ბალახ-ჩალასა,
არ მოარიდეს?

რად არ იცოდენ, არ აქნდათ იჭვი:
თექვსშეტის წლისა გოგო და ბიჭი
რომ ერთად შეყარეს,
ეროშანერთს აყვარეს,
ამას იქმოდენ?!

მეხსენ, ნუ გავხდით ჩვენ უბედურად,
ჩვენს დედ-მამათა მას საყვედურად
ნუ დაეადებთ თავსა,
ნუ ვიქთ საქმეს ავსა,
ბტერთ ნიშთ საგებსა.

ოდეს დაესხდებით მეფე-დედოფლად,
პირზედ დაგვესხმის ჩვენ ქირის ოფლად,
თავთა შერცხვენითა,
არ ჩვენ მოლხენითა
გვექნების სხლომა.

დედ-მამა გვეტყვის: „რად შეგვარცხვინეთ,
ქვეყანას თავი დააძრახვინეთ?
რასთვის მაიპარეთ,
თქვენ არ დაიფარეთ
ქალწულეზანი.

მე შენს საცოლოს, შენს შესართავსა,
ნუ იქ სირცხვილით, ნუ მაძკრი თავსა!
სჯობს გამომჭრა ყელი
და არ მახლო ხელი
ჯერ საიმისოდ.

თუ შენ მე გამხდი სასაცილოდა,
მე მოგიკვდები უსაცილოდა,
შენ წაიშენ თავსა,
ტანთ ჩაიცვამ შავსა,
შეიქ ნანესა!“

ბიჭმა არ უგდო გოგოს თქმულს ყური,
სიტყვა შეწმასნა მან ეშმაკური:
„ჯვარის დაწერა
არცა და ჩანს ჯერა,
მოვიცდი ვერა.

ბებია მოკვდა, პაპაც მიკვდება,
მით ჩვენ ქორწილი გვიგვიანდება.
მოწყენით არიან,
არვის სცალიან
ჩვენს საქორწილოდ.

მართალ მოგიტხრობ, მე ვერ მოვიტმენ,
შენ მალე დატმობ, თუ არ მომისმენ!
შენ ქალი ხარ წმინდა,
მოლოზნობა გინდა,
• მე სხვას მოვნახაე!“

ბიჭი შემოსწყრა, წავიდა განგებ,
თქვა: „შეშინდესო ეს გოგო ავებ.“
სხვის გოგოს სტუმრობით,
თამაშით, ხუმრობით
აჩენა თავი.

გოგომ რა ნახა სხვასთან შისული,
ჯავრით ამოხდა მას თითქმის სული,
მეტადრე ეწყინა.
გული მას ეტკინა,
შეშინდა დიდად.

იფიქრა: ვაი თუ სხვაზე სცდესო,
მისგან ცოლ-ქრმობა ჩვენ წავგვიხდესო,
მან სხვა შეიყვაროს,
მე გულს გამიყაროს
სეედის ლახვარი!

ბიჭს უთხრა: „მწადდა გექნა ღვთის რიდი,
შჯულთ უწესურად ქალწულთა ხიდი
ჯერ არ დაგეშალა,
მცირედ დაგეცალა,
და არა ჰქენი.

სხვასთან ცოდვაში შენს ჩაგდებასა
ესევ სჯობია, ვიქ შენს ნებასა.
ჩამოეხსენ სხვასა,
მაგით ღვთის რისხვასა
ნუ მიიყენებ.

რადგან არ იშლი, შენ მატან ძალას,
ხეალ ერთად ცხვარი წაეასხად ქალას.
იქ ნება შენია,
რაც გინდა ქენია.*
დართო ნებანი.

ლოცვა გოგოსი და თხოვნისაებრ საქმის მოსვლა

შულამ ადგა, გოგომ ილოცა,
ჩოქით მიწაზე მუხლით იცოცა.
მან თქვა: „ღმერთო ჩვენო!
ცოლ-ქრობის გამჩენო,
შენ გეაგები!

რომელმან შექმენ ადამ და ევა,
აბრამს და სარრას მიეც კურთხევა,
ყავ ჩვენზედ წყალობა,
ჩენი ვაჟ-ქალობა
შენ დაიფარე!

ჩენ თუმცა მცნება ვერ დაეიმარხეთ,
ჯგულთ უწესურად ჩვენ განვიძრახეთ
ხეალ ერთად შაქცევა,
შებმა თუ გაქცევა,
ყავ ნება შენი.

უკეთუ ჯერ-არს ესე საქნელად,
ნურას გაგვიხდი საქმესა ძნელად,
შენის მიშვებითა
გვახარე შევებითა
ჩვენ ერთმანეროთან.

უკეთუ არა ჯერ-არს ესე,
შიში, სირცხვილი ჩენს გულში თესე,
მცნება არ მარხული,
ჩენი განზრახული
შენ მოგვიშალე“.

ბიჭი გულისთქმით გაცხარებული
ადრიან ადგა გახარებულნი,
ცხვარი გამორეკა,
გოგოს კარს დარეკა
დრო არს, ადექო!

ოდეს მირეკეს ცხვარი ქალაკად,
ბიჭმა გახადა გოგო მალაყად,
რა რომ დაალირა
და ქნა დააპირა,
ჩხიკმა შეყვირა!

ასე შეუკრთო მათ ჩხიკემან გული,
ნდობა შეაქნათ მათ დაკარგული.
თრთოლით, ცახცახითა,
მოშლილის სახითა
წამოხტენ ჩქარად.

ცოტა ხანს უკან ნდომას მოვიდნენ,
სხვას ხმელს ფოოლიანს ტყეში შევიდნენ.
იქ ესმათ ძრიალი,
ჩაჩუნდი, შრიალი,
ხმელის ფოთლის ხმა.

როგორც უნდოდათ, ვერც იქ შეაქცნენ,
კაცი ეგონათ, შაშვთა გაექცნენ.
ის გოგო და ბიჭი,
სადაც იყო ღიჭი,
წავიდნენ, შაძერენ.

არ დაიხედა მან ნდომით წინა,
საჩქაროდ გოგო წამოაწვინა;
სადაცა ეყარა
მრავლად ეკალა,
დასცა მახედა.

საბრალო გოგომ ტატველა ნაცი
ზედ დანახივა, სად იყო ქაცვი,
რა რომ ის ეტყინა,
გოგომ იმწვიტინა
გამწოებულმან.

ბიჭსა ჰკრა წიხლი, შორს გარდაგორა,
იქ იმ ბიჭს დახვდა ქვეშ ეკლის გორა.
ორთავე ტირილი,
დაიწყეს ყვირილი,
მეტის სიმწოვით.

მუნ თურმე კაცი შეშასა სკრიდა;
ყვირილი ესმა, თქვა: „რა გაპირდა?!“
მივიდა, მან ნახა,
მათ თავს დასძახა:
რა გაყვირებდითო?

მათ ვერა თქვეს რა, ჩავარდათ ენა,
შიშით, სირცხვილით გულს მიხვდათ წყენა...
მან კაცმან რა ნახა,
დაგმო და დასძრახა,
ორნივე დალანძლა.

კაცა უკანვე გაბრუნდა ჩქარა,
ორთავე დასთხოვა დიდი მუქარა:
რაც მოგიპარავთო,
ვერ დაგიფარავთო
ქურდობა თქვენნი.

თქვენს დედ-მამასთან გკიოხავ მაგასო,
ორთავ ეკალი მანდ რამ დაგასო?
თქვენ რადა სძერებოდით,
მანდ რასა შერებოდით,
იქ გათქმევინებთ.

მამისაგან რჩევა და ჩვენება, თუ როგორი ცოლი შეირთოს [შვილმან].

შეილო, მონახე ქალი ასეთი,
ქეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი.
მოიყიდე კაცი,
გინა დედაკაცი,
მას აძებნინე.

ერიდე კახას, ურცხვს, ლოთს და კაპას,
თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას,
მალ-მალ გიზამს ჩხუბსა,
გაიმახეავს შუბსა,
გამგერებს გულსა.

გაქვს, თუ არა გაქვს, არ გაგაკითხავს,
გერყვის: არ მაცმევ შაიდიშთ ნიფხავს!
მოგიდებს ყისტებსა,
წამოგკრავს ქიშტებსა,
ჩაგამტვრევს ცხვირ პირს.

ანჩხლი და ურცხვი თუ არის მრუში,
ზედ შემოგჯდების. თუ ხელით უშვი,
მოგიდებს მიზეზებს,
შემოგკრავს მით დეზებს,
დაგიჩხელეტს გვერდებს.

საითაც უნდა, იქითკენ წარებს,
გარდმოგიკირებს მათრახებს მწარებს.
აგიდებს აღვირებს,
გატირებს, გაყვირებს,
ისე გატარებს.

თუ ცოლს მიეცა ქმარზედ უფლება,
ქმარი ლიაში უკუეფლება,
გაისვრება ლაფით,
მის ქუქუს საპნის ქაფით
ველარვინ გარეცხს.

ისო ზირაქში ბრძენმან დასწერა
დედაკაცისა პურობა და ქერა;
კარგ გვარად ქადაგებს,
აქებს და აძაგებს
- ისუ დედაკაცო.

უმჯობეს არსო ლომთ-ვეშაპთანა,
ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა,
კაცისა ცხოვრებას,
ასე განშორებას
გვაუწყებს ისუ.

ნუ გსურს ლამაზი, პირ სირინოზი,
არას გაამებს, თუ არის ბოზი.
ბევრი ყავს მას მტერი,
მდევენელი, დამჭერი.
მახის დამრწყემელი.

ძნელია, მცველმან ის ასე დაცოს,
რომ მტაცებელმან არ წარიტაცოს,
მზირს უდგას მპარავი,
ვერ შესძლებს მფარავი
მის სიფრთხილესა.

რაგინდ რომ მცველი იკრთობდეს ძილსა,
მაინც ვერ შესძლებს ბევრსა ლვიძილსა,
რა. რომ თვალს დახუჭავს,
მას მტერი აბუჭავს
ძალით თუ ნებით.

თვით ქალსა მართებს, რომ თავი დაცოს,
ქმარს თავი თვისი არსად წარტაცოს.
არ განშორდეს მფარავს,
არ მიეცეს მპარავს
თავისის ნებით.

თუ ქალმან თავი თვითან არ დაცო,
რამდენიც უნდა შენ იმაშაცო,
ვერ შესძლებ დაცვასა,
თუ შეიქს ტაცვასა
თვით თავსა თვისსა.

ბოზი ლამაზი ბევრს კაცსა აცდენს,
როგორც რომ უნდა, ისრე მოახდენს:
მოსთხრის კაცს, წაახდენს,
მცნებას გარდაახდენს,
მოჰკლავს და წარსწყემენდს.

თუმცა შეადგა ლამაზი ბოზი,
ძნელად გარდურჩეს კათალიკოზი,
რომ არა აცდინოს,
და არ გარდახდინოს
სჯულსა და წესსა.

ნუ გინდა ბოზი, ანჩლი და ლოთი;
თუ არ გინდოდეს შენს სახლში შფოთი,
ამათა ზღვეს ჩხუბი,
ხელთ ხმალი და შუბი
უჭირავთ მზათა.

ნუ გსურს ქალთ ქრმობა შავ თვალ-წარბისა,
რომლისაც გული სხვასთან წარბისა,
შეგიყრის მარაქის,
წაგიროთმეფს ბარაქას,
სახლსა და კარსა.

თუ ქალსა თვისი ქმარი არ უყვარს,
ვარდივით ფშვიდეს, იტყვის: „ფუ სულ ყარს!“
იზიზღებს მიდგომას
და ახლოს მიჯდომას
თავის ქმრისასა.

ქრმის მოლაღატე თუნდა ქმართან წვეს,
რომელიც უყვარს, გული მასთან სწევს,
ქმარს ახსენებს არად,
კუროს კაის გვარად
მიაპყრობს პატივს.

ქმარს რომ უნდოდეს მასთან მიდება,
იტყვის: „დამეხსენ მე არა მინდება,
მალვითა, ფარვითა,
ქურდულად პარვითა
უცხოს კი მისცემს.

ქმართან პირზედა წყალს არ შეისხამს,
კუროს რომ ნახავს ხალებსაც ისხამს.
ქმართან პირს ატირებს,
მყვართან ლხინს გაპირებს.
ორგულობს ასრე.

ქმართანა შეიქს ტირილ-წუწუნსა,
და კუროსთანა სტვენა-წრუწუნსა,
ქმარს მიიჩნევს ჭირად,
კუროს მისაჭირად,
თავსა შაირცხვენს.

ქმარს თავზედ საბანს გადააფარებს,
ხელს კუროსაკენ გარდააპარებს,
ქმარსა ენით ტირინს,
კუროს ხელით ლიტინს
დაუწყებს მალვით.

რომელიც ქალი ქმარს სხვაზედ გასცვლის,
საუნჯისაგან თავის სახლს დასცვლის,
გახდების შიშველი,
წახდების მიმშველი,
ველარვინ შემოსს.

მასწავლელს, დამშლელს ველარ ითავსებს,
ვიც თვითან უნდა, სახლს იმით ავსებს,
სახლს მოსთხრის, დაავსებს,
და სტაქნებს დაავსებს
ღვინით სხვას ასმევს.

თავის ქმარს უზამს, ასეთ ხუმარსა,
არ გამოუწყვეტს სახლში სტუმარსა,
კუროს სიყვარულით,
მისის სიხარულით
მასპინძლობს მალ-მალ.

ცრუვსა და მეწინეს სუყველას დასხამს
არაყსა და ლეინოს წყალსავით ასხამს,
არას უგდებს ყურსა,
ლეინოსა და პურსა
სახლში გამოსწყვეტს.

კუროს უმზადებს კარგსა სადილსა
და აღუსრულებს გულის წადილსა,
ლეინოს ასმევს წყლურად,
ქმარს გაუხდის წყლულად
სულსა და გულსა.

კუროს მძიართმევს ქადა-ნაზუქებს,
გატენილს ყვერულს, კარგათ ნასუქებს,
როცა სადილს აკმევს,
ყავა-ჩაის ასმევს,
ხილსაც მძიართმევს.

მალ-მალ მძიართმევს არაყ-ლეინოსა,
უნდა რომ კურომ გაუღიძმოსა,
მაღვით უზამს თვალსა:
შენ მთხოვ რასაც ვალსა,
მოგართმევ მალე!

აყურებინებს ქმარსა საწყალსა,
სწყურის, არ ასმევს მას ცვარსა წყალსა,
შიან, შესთხოვს პურსა,
არას უგდებს ყურსა,
მყვართან აქვს გული.

ქმარს ეტყვის: ადექ, აიღე წაღდი,
და შეშინათვის ტყეშიგან წაღი,
გამოგიცხო მქაღი,
გიქმნა შექამაღი,
ქინქრის ფუშრუკი.

როდესაც რომე ქმარს გაიტყუებს,
ქვეშაგებს გაშლის. ბალიშებს, ყუეებს,
მყვარს მოკიდებს ხელსა,
მოეხვევის ყელსა,
ჩაკოცნის ტკბილად.

უკუ წვებიან რბილად შტაქუნსა,
და მოყვებიან ჩქარად.....
საბრალოს ქმარს ქვეშა
მიწა, ქვა და შეშა
ეგების ხმელად.

შეირთევ, შვილო, ცოლი ასეთი,
ეს საქმე სჭირდეს იმას არც ერთი,
ერიდღე ამასა,
მისმინე შამასა
ეს რჩევა, შვილო.

ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით,
თუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით.
ოლონც ფხიზლად ვლიდეს,
ქმარს არ სხეაზედ სცელიდეს
არ იყოს ანჩხლი.

ამ გვარი ცოლი არ გიორგულებს,
გაუფრთხილდების შენს ბაღში რგულებს,
დასცავს, დაიფარავს,
არას მაიპარავს
შენს საქონელსა.

სახლ-კარს მიუგდებს თვალსა და ყურსა,
ბარაქას დასდებს ღვინოს და პურსა.
თუ მიიჩნევ ტკბილად,
არც ის გაგხდის წბილად,
არ გაგცვლის სხვაზედ.

ერთმანერთისა გულ მინდობილად.
ძილი, ღვიძილი გექნების ტკბილად,
ქვეშ დაგიგებს რბილად,
ზედ დაგხურავს თბილად,
დაგაწვენს ძილად.

არეინ წაგართმევს შენ იმას ძალით,
არცა მოგპარავს მას ქურდი მალეით,
არ გექნების შიში,
მისთვის კენესა, ვიში,
არც არა ფიქრი.

ლამაზის ცოლის პატრონი კაცი
არს ფიქრისაგან შორს წარნატაცი,
მისთვის შიშნეულობს,
და მისთვის სნეულობს,
შინ არს თუ გარეთ.

ფიქრობს, ვაი თუ დედალი კრელი
ვიდოდეს სადმე ფრთა დაუქრელი,
ჩემთან კი ბუღებდეს,
სხვათა კვერცხს უღებდეს,
მე კი ვჰკეებევდე!!

იტყვის: ვაი თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა,
იმან ითვალტვინოს,
მე კი ამაღტრვინოს
მისის ნალვლითა!

იტყვის: ვაი თუ ეს მინა ჩემი
იყოს ვისიმე სხვის მინაჩემი,
შიგ ასხას მან წყალი,
ღამაგდოს საწყალი
მე უქურკლოდა.

იტყვის: ვაი თუ ეს ჩემი ცოლი,
ავის საქმისა იყოს გამყოლი,
მე არა უყვარდე,
საყნოსლად უყარდე,
სხეასა სუნევედეს!!

რა არს ღამაზი დედალი კრელი,
თუ კი არ უყვარს საკენკის მყრელი?
რა ხელი ეყრების,
მასამც შეყრების
ხრინწ-წიტ-წიწაკი.

შენ გეყოლები შავი დედალი,
შენს საქათმოში კვერცხის მღებელი,
ამას იტყვის ქურდი:
შავია და ცუდი,
რად მოვიპარო?

შენს კარ-მიდამო შეიქს კაკანსა,
მოგართმევს კვერცხით სავსეს ბაკანსა,
გიჩეკს წიწილებსა,
გიზრდის წვრილს შვილესა,
სხვა რაღა გინდა!

ა. ლიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისადმი

ბარათი ბ.

- 1 პრესნას გახლაჯარ, უთქვენოდ პირი ვერ ვნახე მზისანი, ვიკითხავ თქუენსა ლალასა, ცნობა არა მაქუს სხვისანი, მე ხომ აღარვინ მიკითხუენ მონები თქუენის სრისანი, ვიცი უთუოდ დაგვიწყდი, ამას არ უნდა მისანი.
- 2 ბედმან მიყო ყველაკაი, მოგახსენო ახლა მე რა, ველარ ვნახე ლხინად მჯდომი, ეტლი ასე დამემტერა, ვერც ვიხილე ქართა თქუენი, რომ გონება დამეუგერა, დავით გახლავსთ, ეგ შეგაქცევსთ, მესმის: იცის ჩანგთა მღერა.
- 3 ღმერთმან ჰქმნას, რომე ეწივნეთ თქვენის გონების წადილსა, მტერზედ ამაყად ყოფნასა, ამათზედ დიდად ქადილსა, ვიქმნები მაშინ მამაცად, მათ გაუარმებ სადილსა, როცა ვეწვი ამასა, მე მაშინ შევიქმ ხადილსა.
- 4 მესმის სიკეთე, სიუხუე და მორთვა თქვენის სრებისა, შორს მიიწივა ამბავი, სიქველე თქუენის ქებისა, მინდა გიახლო პატრონო, მეშინის თქუენკენ რებისა, არამც გამიწყურეთ, იწყინოთ, ძალი არა მაქვს თნებისა.
- 5 გავიგონე: კვანქახაძემ იპოვნაო მისი რაში, სრულ შეიძრა ოთხიე ყურე, ემზადება, მივა ჯარში, შიჰკაზმა და ზედა შეჰსჯდა, გაჰსწივაო ცოტად თავში, უშლის მამა გმირობასა, გამოაგდო მისთვის კარში.
- 6 თქუენი მოგვესმა, პატრონო, შეჰქმნილხართ ფარმაშონია, ზოგთა ჰსთქუეს: „არის მართალი“ და ზოგთა არა ჰგონია, ხრისტეს უარისმყოფლობა მე თქვენგან არა მკონია, თუ მართალია—მოიქეც, სხუა მეტი არა ღონია.

ბ. მ ა ს ვ ე

ბარათი დ, ე, ვ.

1

- 1 პრესნაში ყოფნა გებრძანათ, ნახვა დარბაზის, ხულისა, წირვის მოსმენა ხშირ-ხშირად, ცხოვნება ბოლოს სულისა, ჩემთვის სიჯაბნე გეზრახათ, მე ამან გამაგულისა, მანდ არვინ გახლავსთ მამაცი, არც ვინმე მცოდნე სჯულისა.
- 2 მე უგუნური არ გახლდი, მაგრამ აწე ვარ ხელია, დილეგში ხანგრძლივ ჯდომითა სრულ ცნობა გამომელია, დღეს გავემართე პრესნაში, მაგრამ დაწენი მაქვს სუელია, ვერვინ რას მარგებს დასტურად, ვერც მოსე, ვერცა ელია.

II

- 3 მიწყვი ბრუნავმან სოუელმან მიმუხთლის, რაც რომ ვინები, ეჰსთქვი: მარგარიტი მოვიმყო, ბოლოს ხელთ დამრჩეს მინები, მე აღარც არას მოველი, არცა მაქუს მოსალხინები, წარსულვარ, გამოგსალმივარ, ღმერთმან თქუენ მოგცეს ლხინები.

- 4 პრესნაში ყველა დაჯანდა, მანდ ხომ ლომთა გაქუსთ ყრილობა, როსტომის მსგავსად ომშია მრავალჯერ გამოცდილობა, ღმრთის მეტყუელების სკოლაში. ბაასი, ყოვლთვის ცილობა, თქუენ: ლხინი, შუება, შექცევა; ჩენ: ლაწუთა ცრემლთა მილობა.
- 5 ერთხელ მეც გახლდი მამაცი, ჩემთა მებრძოლთა მხარავი, შორით მომცემდნენ სალამსა, ქარი მოჭკროდა არ ავი, პატრონის სამსახურზედა მსწრაფული და დაუხარავი, ბოლოს მიმუხლთა სოფელმან, გამშხადა გაუხარავი.

III

- 6 ვეღარ გახლავარ პატრონო, ვეღარც ვჰსკამ თქვეთან სუბებსა, აღარვინ მიწდევს ტკბილს ლვინოს, არც მიდგმენ სირჩა რუნეებსა, კაპუსტასა ვჰკებ, შეშას ვსჭრი, ვიზახი უპი-უბებსა, სიბერით დასუსტებული ცრემლსა ვჰღერი ლაპა-ლუბებსა.
- 7 აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაცარა ბუქია, გაჰირებებაში სიმხნე ჰხამს, რუსთველსაც ასე უქია, ეს სწავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო ყმა-ჩაუქია, არ ჩემებრ მოხუცებულსა წარჰსლოდეს სიყმას უქია.
- 7 ფერხთაც არ შემრჩა, რალა ვჰქმნა, თქვენი წყალობა ნალები, დავჰხედავ, შოვნა არ ძალმიძს, ცრემლით მევესება თუალები, ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედება ალები, ჰხახეთ სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები.

ე. ჩემს მწყალობელს ბატონს, თავადს, მამუკა გურამოსს

ბარათი 1

- 1 პეტერბურღს ჰზიხარ დარვიშად, ტანს წამოგისხამს ჩულები, ჩვენ ხმას არა გეცემ, არ ვიცი ვის ეშმაკს ეჩუჩჩულები, ვინ გარდაგრივა წყუელმან, ვის მიეც შენი გულები, მაგ შენის აგრე ღუმილით აქ ვჰსხედვართ დანაწყულულები.
- 2 ეგ შენი ვგრეთ ღუმილი ვერ შეგვიტყვია რაზია, ვინ მოგველინა, ვინ არის, რა ფეზი ანგელოზია? როცა გესტუმროს — დაუხვდი, დაუკარ შენი საზია, შენს საქმეს განჰკვირვებთან ევროპია და აზია.
- 3 მანდ გახლავს წმიდათ კრებული, არ ხარქაშნელი მროველი, შემოკრებულან მამანი, წინათ მხედველი ყოველი, ღმრთის ხუეწნით, მღვიძარებითა, ცრემლით ლაწვნი აქუსთ სოველი. რაც სასწაული მათა ჰქმნან, წულილად მოწერას მოველი.

დ. * * *

ბარათი 1

- 1 ჩუენ დაუტევეთ მოსკოვი, მოვედით მცირეს ოლესა, პარუნ მელქუაც აქ გაჰხლავსთ, ფრანგული ხმალი მოლესა, შემოიხვივა მხილაენი, ვერავის ვნახავთ მწოლესა, ხაჩიურსა ჰკრა ზიანი, კარი სრულ ამოულესა.

- 2 დღივ და ღამ ჰსდგანან ფერხთ ზედა, გაიზახიან კოსესა, ზოგნი არიან ბეგთრითა, ზოგთ ჯაქვნი შეიმოსესა, უკერენ ჩანგსა და ჩალანას, ხმა ტკბილად გააქოსესა, მაგრამ დუბინის შიში აქუსთ, შემწედ ჰხადიან მოსესა.
3. მამუკა გურამისშვილი ძაგრა ჰსდგას, ვითა ლოდიი, მეც გვირდთ ვახლავარ მებრძოლად, ჯერ არეინ დაგვიკოდიი, დაღონებულვართ ორნივე, გულს დაგვეცემია ოჰ, დია, არცა გუაქეს სასმელ-საქმელი და არცა ოქროს ზოდიი.
- 4 ღმერთმან ჰქმნას იყუნეთ მშვიდობით „ვისე სვიატის“ მეოხებითა, პრესნაში კიდევ მეხილენეთ, თქვენს სასახლეში შუებითა, თუ თოვლმა წამოგვეყარა, ჩვენ აქ ვერ დაუდგებითა, მიწილამ ამოძრომილნი, ვერსად ვერ გამოვჰსდგებითა.

ე. ბარათი იც

- 1 რას ვაკეთებ პრესნაშია?—დავსახლდები, წარვალ მაქარს, მუნ დავიწყებ მუშაობას, სიბერის დროს დავლეე მაქარს, აღდაშენებ ქარეან-სრასა, შიგ დავატან დუქან-ბაზარს, აქ შე ასე გავლარიბდი, მწუხარებით ვივლეჯ თაჩარს.
- 2 ნეტამ მოხდეს ეს წადილი და აქედან გავებარგო, მუნ დავასხა სამოთხეი, ყოელი ხილი მსწრაფლად დაერგო, მტერს ლახვარი გულსა ვჰგმირო, მოყუარეს კი ბ:ერი ვარგო, მაშინ მივჰსცე ღმერთს მადლობა, რომ პრესნილამ გარდვიკარგო.
- 3 ჰნაზავთ მას დროს სააკაძეს, რომ იზახდეს უპი-უჰეს, იგონებდეს ხშირად პატრონს, ცრემლთა ჰღერიდეს ღაპა-ღუჰებს, აღარ ახლდეს „ვისე-სვიატისკას“, ველარც ჰჰამდეს მის წინ სუჰებს, რა ვჰქმნა მომკლავს ან სიცივე, ან სიგრილე დამაშუჰებს.

ვ. ბარათი კდ

- 1 დღივ და ღამ გაჰყურებულხარ, ფიქრში შესულხარ ფუჰშია, იერემიას გოდება შეგიკრებია კუჰშია, კოლს ხომ არ ირთავ, რა გინდა, ვერც სხვას მიჰხირე ტუჰშია, მასუჰან რალა გვექმნება, ფული არ დავერჩეს მუჰშია!
- 2 ამან წუხელის მიჰხირა, შენ თუ არ დავრჩა გარეთა, თქვენ ღმერთმან მოვცესთ შეძლება, მე თავს დავჰსტირი მწარეთა, დავჰბერდი, მშვილდი ქვე დავჰსდე, ახლა თქვენ გაიხარეთა, რაც სოფელს ჰფერობს ის ჰქმენით, მე მიწას მიმბარეთა.

გ. ბარათი ლა

მამუკავ რასთვის გავვიშვი, პრესნას გავვიჯეგ ბეგათა, რაზნოშიიკები ვახლავან, უხიხარ დიამბეგათა, დათვისავით სოროს შემძვარალხარ, ხან გაღმა ვახვალ ქედათა, ამისთვის ვებრალეზოდე, კოპი გამიხდა ღვედათა.

დ. ბარათი ლბ

- 1 ხშირად ეწყობი როდამთან დილაზე ნარდის მღერასა, რად არ აჰსწაველი ჰადრაქსა, ხელთ ლაზიერის ჰერასა? მე ხომ მოვჰსცილდი მაგისგან ჩემსა სუესა და წერასა, არას ვინალელი ვაჰქონდესთ ყუავსა, ყორანსა, ძერასა.

- 2 წყევულმც არის იგი კაცი, ვინც ასწავლა მაგას ნარდი, ენას ჰხმარობს კამათლად, მაგის ენით გარდაეგარდი, გავეყარე საყუარელთა, ჩამივარდა გულსა დარდი, და, ვა, ჰხარობს პრესნაშია, ხელთ უპყრიეს ხშირად ვარდი.

i. ბარათი ლგ

ჰნახავთ სოფლის სიმუხთლესა, ზუბოვს მიმცეს სამთრახეთ, ვისცა გესმასთ ეს ამბავი შემებრალეთ, მოდიოთ, მნახეთ, ზოგთ იცინეთ, შეექცით, ზოგთა კიდევ სულთქმით ახეთ, ნუ ვინ რას იქმთ ავ საქმესა, დაიღვეით სარკედ, სახედ.

j. ბარათი ლგ

მე ესე მიყო სოფელმან: გამხადა უნაწილოსა, სამკვიდროსაგან აღმომთხერა, მომაგდო აქა ჩრდილოსა, ვერსითა ვჰპოვნებ წამალსა, რომ სულსა მოუგრილოსა, ლოთსავითა ვჰსვამ სამთურალოს, ეგების მომაღბინოსა.

k. ბარათი მა

ლამე ვიკითხავ საღმრთოს წერილსა, დღისით ქალაღს ვჰშლი, მეტყვის
ვერასა,
თმა გამითეთრდა, კბილნი დამცვივდა, კიჭი დამიდგა იქმს ველარასა,
ქალეზს მოვჰსძულდი, უწინ კი ვსურდი, აძალ ვემდურვი ჩემსა წერასა,
სიკუდილს მოველი, წარვალთ ყოველი, უნდა მოვჰშორდე მზისა მზერასა.

l. ბარათი მბ

- 1 ციცისთან ვახლდი მამუკას, ცოტად რამ გავიხარეთა, წარმობრძანდა და ვიახელ, მოვედით პრესნას არეთა, წარიქცა, მე თავს დავადეგ, ცრემლს მოვადენდი მწარეთა, დავჰსწყევეთ, ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარეთა.
- 2 სუე და ბედმან მუხანათმან სამყოფთაგან აღმოგვჰოცა, სიყრმით ჩუენით თუალთა ჩუენთა ცრემლი აროს მოგვეხოცა, სამყოფთაგან იავარ გვეყო, სიხმარშიაც არ გვეოცა, ცოდვის ნაცვლად ღმერთსა ჩეენსა, ჩეენთვის მცტი რა მოეცა!
- 3 ჩეენ მოგვივლინა უფალმან პირველ მოსესგან თქმულები, სამკვიდროსაგან განგვასხნა, სხვაგან გვექმნა დაკარგულები, რუსეთს მოვედით, ყინვითა გულსა გვაჩნია წყლულები, აქაც შევჰსცდით და დავჰკარგეთ გული, ცნობა და სულეები.

[პეტიკოლოგი]

მე, ვახტანგ მარბელიანი, წელსა 1943, თვისა აგვისტოსა 3 მეფეთ-მეფობასა დიდისა რუსეთისა მპყრობელისა იმერატორისა ანნა იოანეს ასულისასა, უმეცრობათა ჩემთაგან მრავალ განსაცდელ შემთხვეული, ვიმყოფებოდი სამეფუფოსა ქალაქსა პეტრე-ბრუსს, რომელსა ჟამსა წარვიდა თვით დიდი იგი ხელმწიფე ადგილსა, სახაფხულოსა, სადა აღეგო სრანი დიდსა მეფეს პეტრეს, მეფეთ-მეფესა.

და მუნ წარვიდოდინ ქართულთა მეფისა ძენი და მათნი თავადნი და, რაი მუნით ავიდოდინ, მიამბობდინ უცხოობასა მის ადგილთა და შერობათასა და მაიძულებდენ ნახვას მას ადგილისასა. და მეცა ავბადდი ამხანაგებთა ჩემთა და მოვინებე წარსულა. ჭ დაეჯე ნავთ და შევედ მდინარედ ნეუად სახელ დებულსა და წარვემართე სადა იყო სახლი იგი.

და მის ნევა მდინარით შევედ კიდესა ზღვისა უკანისასა და მიემართეთ დასავლისა კერძო. და ვლეთ... დარი ჰამო, ჰაერ კეთილად, ქარ ნელიად უღელვობითა. და რაი ვლეთ ვერსი რაოდენიმე, გვითხრეს მენავეთა: „აჰა შენობანი, რომლისა გნებავსთ ხილვანიო“. და ვიხილეთ: შორით მოჩნდა სპეტაკოვანად რაოდენ შენებულბანი და მათვე გვითხრეს: „მას ტეერსა, რომელსა შინა მოჩანან დარად ცეცხლთა კომლისაო, იგინი წყალნი არიან ზე აღმომდინარენიო“. კვალადცა მესმოდა მეფეთ შვილებთა და მეცნიერთა კაცთაგან, თორე არ დავიჯერებდი ვერე ზე აღმავალობასა წყალთასა. და რა მივახლოვდით ხმელსა და ჩაპირსა მის ზღვისასა, მოსცემდა მთანი და ველნი, ქალაქნი და ნავთსაყუდელნი, გარე მოზღუდულნი; ზღვანი მყუდრონი და მქერონი და ქალაქნი მტევნართაგან დანაშეგნებნი.

და ვნახე ზღვის კიდე და ქალაქი იგი, დიდთ დამეკვირნეს და მომაგონდა ხილვა იგი იოანესი... და ქალაქი პეტროსი და ნახვანი საკვირველობისა მისისანი. და ვთხოვე შეწევა ენათა მეტყუელებისა ჩემისა და ვევედრე: მეცა მათქმე, რაცა ვიხილო აქა საკვირველობანი და უცხონი, მეთქი. და რა დავხედე ქალაქსა მას, სივრცე იქმებოდა ვიდრე ვერსისა მესამელი და მომალლოთ მოსცემდა მოგრძე ქედობა, რომელსა ზედა იყო ადგილ-ადგილ შენოვნება ხელოვნებათა, რომლისა თანა უკეთილეს არა უწყი და არცა მიხილავს.

და რა მცირედ წარვლეთ, მივეწიენით პირის-პირ სრასა სამეფოსასა, რომელი აღეგოთ ნავთსაყუდლად ლეღვა გვემულთათვის. მუნ დგრობენ უთვალავნი ნავნი და საომარნი კატარანი, დიდნი და წვლოლნი, სხვა და სხვა სამეზავროსასანიო ნავნი, რომელ ამათა [და] მათთა სიმრავლენი დიდნი ტევრნი გეგონებოდეს; მთაზე დანაკიდლთა აღამთა, მრავალ-ფეროვანს ყვაელოვანსა მთა-ბორცვსა დაამეზავებდნი. და იგოდენ იმიერ და ამიერ ზღუდენი ქუათლილთანი და კედელნი ქვეთკირთა სიმაგრეთანი. და მუნ ზედა მდგომრობენ სპანი არა მცირედნი და გამოპკითხედენ მეზავრთა ვინაობა, ანუ სადა მიმოვალობასა.

და ჩვენ აღვედით ზღუდეთა ზედა და ვერეთე შესდევდა წყალნი დამყუდროებულნი; და რა გავლეთ, დიდი ადგილი იყო წყალ მოზღუდვილნი და ფი-

ცართავან დანახშავნი, ერთი-ერთისა უმაღლესად ახარისხულნი. და მისი მითხრეს: ხომალდსაო ამ წყლისა კიბეთა ზედა აღიყუანენო, და ესე თუ არა მნახავთა და მეცნიერთა კაცთავან, თვარა არ დაიჯერებოდა!

და მუნ იდგა ტალავარ უცხო თლილთა ფიცართანი და მას სვეტნი ედგნენ დია მრავალნი. და რა ისაუბრა შეველე და ზე გავსპერიტე, ვიხილე... და არა უწყვი რა ვიხილე, პავლეს თქმული იგი გამახსენა: „აჰა, რომელი თვალსა კაცი-სასა არა უხილავს და გულსა არა მოუხდების“—მეთქი, და აღვირიე ცნობათავან, და შევეცი კეკა-გონებათავან. და ესე ველარა შევიგინ, რომელ ესე კერძოი ჩრდილოეთისა და არა აღმოსავალისააო და დავაქეშმარიტე: ედემი ესე არს-მეთქი, და აქა ვიხილავ ენუქს და ელიასა. და სადა მდგრობს ხე იგი ცხოვრებისა, ანუ სადა იმყოფებოდა პირველი კაცი იგი, მეთქი. და უწყვი ყივნება მამასა ადამს, რათა გამოვარდი ესეთისა საშეებელით და დაკარგე საამონი ცხოვრებანი გამოუთქმელნი?

და დავყავ ჟამი რაოდენიმე ესრედ ცნობათ მიხდლმა და მცირედრე მოვრევეჯობდი და მოვეგე გონებასა და ვარქვი თავსა: რასა შერები უბედო თავო ჩემო! აქა სადა არს ედემი, ანუ სადა იმყოფების ენუქ და ელია? მუნ მასმია მდინარენი ოთხობით სახელდეულები და აქა ვხედავ, რომელ უთვალავად აღმოჩქერენ წყარო-წყალთა სიმრავლენი.

მოვეგე გონებასა, მოვეგე ადგილსა მშვენიერსა, ალვისავან დანაჩრდილავსა, და ვსთქვი: ესე პეტრე მეფეთ-მეფისა საზაფხულოთ ანაგები სახლი არს, რომლისა სახილავად წარმოველ პეტრე-ბრუხილამ მეთქი...

ცოლთან მოწერილი ალექსი გაყრისათვის

ალეძრობ შუბლზე და კანსა და ჩინურისა ეტრატსა შევებხადებ, მოვიდგამ შენისა სიშორითა ბნელ ქმნულსა გულსა ჩემსა მელნიისა ქურქლად, აღვიღებ ლელ-წამსა შენისა ტანისა მოხარულსა, აღმოვაწებ ხალეულთა შინა ჩემთა და ორენას კაცსავით ვალაპარაკებ კალამსა. და ვჰსწერ შენსა და ჩემსა გაყრისა შექიჩვებასა:

შეჭირვებისა ტვირთები რავდენი მამევს ბეჭასა,
მდულრად მტირალსა ვინც მნახავს, დამამჰსვავსებენ მე ჰასა,
უგულოს გულით სიცილი მიგავს მკუდართ კბილთა კრეჭასა,
ხან იმედი ჩაქვს სოფლისა, ხან კი დავიწყებ ხმეჭასა.

ჩემო აია, მომხულა ვაია,
შენსა გაყრილსა მათრევს ნავია,
ლამეს ვინ ჰსჩივის, ღლეცა შავია,
რასათვის მტანჯავ, დაჰსცხერ, კაია.

რა თუალით ველარ დაგინახე, ვჰსთქვი: ნუ დაუ ბერკაცობით თუალი და-მაკლდა! ხმა გიყავ და სიტყუა აღარ მომიგე, შენებრ გაგუებას ვაბრალე. ხელით გელაციცე და ველარსად გიპოვნე. თურმე ხანი გამოსულიყო მე და შენს და-შორებაში. ამისთვის წიგნს მოგიწერ საყუარელო:

რა კალამს ხელსა შევახებ შენთანა წერად ამისა,
ჩემის თუალისა კაცივე შიგ ჰფერინავს, მისა ზომისა,
კალამსა მუხლსა ეხვევის. ღირსად მყავ წინწლად ჯდომისა,
ნუთუ მეც მივხუდე ნახვასა, მის შენგან მოსანდომისა.
მოყუარეთა მოყუარულთა არა მოვჰგვრი თვალთა ლულთა,
ჩემთა სულის წარმღებელთა ვაკოცებ და ვუძღენი სულთა.

და უნდა ფიქრი მიმრიდოს: ჩემს გარეგან—შინა მომაგონდების, ნავში ჯდო-მა... პრესნის სახლი ჩემი მგონია და რილის ღელვა წინა ტბის მჩქერვალობა. ვერც სახლშიგან დაგინახე და არცერთათ ვიჰსხედით. რა ჰქმნას შეე გულმან, რომ მაისის ღრუბელსაკით არ იწვიმოს? ეგების წვიმის სიხშირემან ნავი გააჰს-წარადოს, მაგრამ უშორედ ჰწარავალ.

აწ წარმავალსა უშორედ, შენკენვე მამზევს გულები,
გაყრის მახელით ნაკოდსა, ნაბრძვილს დამერთო წყლულები,
თუალ დაწუხენილი შენა გმზერ, აროდეს გეორგულები,
თუ კულავცა განახე, უთუოდ შენ შემოგწირო სულები.

შორს მყოფს ნუ მომიძულებ. რომელიც მე და შენ სიყუარულის სამოთხე დავენერგეთ, ნუ გაახშობ, რწყევ და ჰსწვართე. სოფელი ხან ლხინია და ხან ქი-რი, ქირს ლხინი არ დააკლდების და ლხინს ქირი, მაგრამ ნერგის ნაყოფის მოსხ-მა მუშაკს შენდობას არ დაუღევს.

ვარდ-ზამბახი მიყუაოდა, სუნნელებითა ვსებული,
ვიშრით მოსილსა მოზღოღვით, სად სარი ვარ უვლებული,
სარო კვიპაროხს უსულით არ იყო ყე დავსებული,
მას შიგან მეპყრა ნარინჯი, გამვარდა, დავრჩი ვებული.

შენი გაყრა მე რით გამეძლებს? შენ კი არ იცი, ურთი-ერთის უნახავი არ დავსდგიო? აწ უშენობა გამისამთუევდა, საგონებელი და სული მანდავ და-მიტყევიბია... მკუდარსა რალა ხელი მეყრება? ჩემი სიცოცხლე მეგონე, შენ ჩემი მკლველი ჰყოფილხარ. თუმცა გამომგზავნე, სული რად არ გამოძატანე?

ეს მითხარ, გუამი უსულოდ სად ჰნახე ქუეყნად მავალი?
გუამს მიწად დაფლვა წესად აქუს, სული არს ზე აღმავალი,
უსულოდ ხორცსა არ ჰშუენის პირ ოქრო-ფერად მავალი,
მიბომე სული, მავასხე შეყრამდის კიდევ მავალი.

რადგან შენთვის საგონებელი იყო ჩემი მოშორება, ჩემთვის რა გააად-ვილებდა? რომელსა მე -- უმწარესად მაქუს, აწინდელი დღებრ მოშორებითა ძლით, ვენახისა მსხმო კიდეთა სახლისა ჩემისათვის. და სახლ ნერგმან ზეთის ხილთა ვარემოს ჩაჰბალახა ჩემისათა, რომლისათვის თუალნი ველარ მომიკიდიან.

საგულის კალთა ორთავე როს მოგვხუდის შუა მწოლესა,
მალ განვიხადით, განვადით როსლა ჩავიცვით ყოლესა,
ვრცელი ზლუა გაგვაცალკივებს, ვაი ამისა მგონესა,
ჩემად სასმელად სოფელმან სეგდის შარბათი მოლესა.

და თუმცაღა წერილს მომწერ მწუხარებითა სავსესა, რომლითაცა უფრო-სად ჰსწყლავ გულსა სიგრილისა გამმეგებსა. არა იცია, თუ გული მწუხარებისა სენითა დანსეულდება, მისუე სენისა სალბუნისა შარბათებითა განაძლიერებენ? შესაკრთომელსა და საწყინარსა არა რას მიჰსცემენ? შენ, ჩემის სიშორისათვის ჩემთვის დამწუელს, ქალაღდს რა ვნახავ, შენ გამოვჰსახავ. მელანი შენთა თულ-თა წყალი მგონია. ონს წარბად ვუწოდ, ხანს წამწამად, მანი ყურად მეჩვენება და ტარი წინამოსავით დავგრებილა, ხოლო რაე შენს მიხრა-მოხრით სლუას მაჩუენებს.

სათისა ბროლში ჩასმულსა ზოგან ლალი აქეს დაკვრითა,
უსულით მდგომმან სარომან გული მატკინა დაკვრითა,
ბულბულად ჰყეფდნენ მუტრიბინ, რალა მალხინოს დაკვრითა,
უშენოდ ჩემი სინათლე არ იქნა ბაზმა და მკვრითა.

ეს არ გეგონოს ჩემო სიცოცხლევ, რომ შენი წერილი ჩემის სიცოცხლის მომძატებელი არ იყოს, გარნა ჩემთვის ნუ იკირვი. სოფელს მრავალნი მოყუარენი გაუყრია, ჩვენს შესაყრად კიდევ დმერთი მოწყალეა. ზლუა, როგორიც შორი გზა არის, აგრევე კეთილი ქარი დაამოკლებს.

მწერდი მთიებო: „უჩემოდ ლხინი თუ შენა სად ამე“,
მე ვგვდივარ წყალში ნავითა, ვით ქუბაში ბრინჯი სადამე,
ლხინ, მღერა მორინობისა აწა მემცა ლა სადა მე,
მეწყალვის თავი უშენოდ, მოვკჷლდე, დავეტლა სადა მე?

ახლა მე ქარის მაქებელი ვარ. ჩრდილოეთის ქარი შენისა ზილფისაგან სუნს მოიპარავს და მერმე მოგართუამს, ჩემს ამბავს შენ მოგაწუდენს. სხუა ქარი არც ერთი ჩუენი მაამებელი არ არის.

ჩემგან იგრევე საქებო, სადიდებლო ენითა,
მაქუნდა ცხოვრება უღირსი შენ მიერ ზოქთა ფენითა,
გფიცავ შენავე, უშენოდ ვარ მუდამ ცრემლთა ღენითა,
ენატრობ შორითგან მზერასა, ანუ ამბავსა სძენითა.

მწადის შევეზადო შესხმანი, თუ ღირსად მერჩდეს ენანი,
ვა თუ ვერა ვჰსთქუა საფერად, ვინცა ინებოს სმენანი,
ვის გამო მაქუნდა ლხინები, მისთვის მაქუს ცრემლთა ღენანი,
ნუთუმცა მცირედ ჟამეულ განმქარდეს ეს მოწყენანი.

შენ გეტყვი თავო: გერჩივა საკუდავ-სასმელი გელია,
მარჩენს მოშორდი, ქუე დარჩი, დღე კრული აღარ გელია,
მცონარედ მგდებსა, მტირალსა სასოებაი გელია,
მონა უფლისა შორს ქმნილი ყოელთაგან საძაგელია.

რადგან მოგშორდი გუამითა, გულს ნულარ მომაშორებო,
სხუათა მზერითა ბლებისტვის თავსა ნუ მოილორებო,
განალა ვიცი უმისოდ ფიქრ-სევდას გაიორობო,
აწალა ვჰსწერდი მისთვისუე, მაგრამ ვერ შეაჰსწორობო.

ვინ მომიძულეს, აწ დავჰსწერ, ეს არის მისი შესმენა,
რასთვის განუდგენენ, გაბჰევით, თუ ვისმე გაქუნდესთ შესმენა,
ეს მიკვირს: დიდებულები მის დალიქს ვისა შესმენა?
ეშმაკის ნაწდევეს სასმელსა განუოჩეველობით შესმენა.

ვაკითავია დათა ჩემთა მევნის ასულთა ანასტასია და მარიამისად

1

ჰოი რაბამ არს ამისთვის თქმანი ჩემნი,
ვითარმედ ხელი, შეხებული კალმისად,
აღმოწებანი ჩემნი უფროსად ნალულის,
ლექსთა შეწყობა, მნიშვნელთა მოგონება,
ყოვლად მქისე არს, მწარე, დაუთმენელი.

2

მოვედით მეცნო, სიყრმისა ჩემისანო,
ნახეთ წალკოტი მშობელთა ჩუენთა მეფეთ,
ყუავილნი ძირით დავეთისით ნაკენნი,
ვარდ შეწამულნი, ია, შროშან ნარეენი,
მკილნი მანგლითა ხრწნილებისათ მძვინუარედ.

3

ესენი ჰფუვიდეს, სუნელიბდეს ჩემდამო,
განჰხმეს, ლპეს, დაჰსქენეს, აღარ არიან, მე ვარ,
სადაფნი იგი, ბუდენი მარგარიტთა,
სხელი მათი მპყრობი, შუენიერ ასოთ,
იხრწნო მძვინუარედ, საბავთო სატირალად.

4

არ მპრცხუენის თქმანი თქუენთვის მე გლოვისანი,
ვინმცა ისმინონ, არ მკდემის არავისგან
ამად, ვითარმედ თქუენ შვილნი მეფეთანი,
ორ მეფობითა ძირთაგან ნაწარმონი,
ყრმანი ჰასაკით შუენიერ, მორფ ნაკუეთით.

5

ანასტასია, აღდგომის თან სახელო,
ეს ჰხამდა შენდა, რათა გრძელს ცხოვრებასა
მიჰსწუეთ სიმრთელით, მოგეზლო ჩემდა ცრემლნი,
შენ დაჰხედ აღგიდ დავიწყებისად მწარედ,
მე დამიტევე მეცნთაგან შესაწყალად.

6

შენდამი ჩემი იყოდი ტფრიალება,
არ მცირე იყო, განდიდნებოდა ფრიად,
ამად ვითარმედ მეფეთა შენთა მეშუთა,
შენ ჩემდა მოგცეს საკუთარ, უსაკუთარეს,
მწყუროდი, გტრფობდი, ვხარობდი, ვახარებდი..

შენ მიყუარდი კიპაროს-ვარდ ღამყნალი,
 შენ შროშან ფერით, სპეტაკ, ნარეფ ყარამფილ,
 შენ თბით ლადანა, იასპ ნაზავ, მარგარიტ,
 შენ ქრისტეს სჯულთა მეცნიერ მკაცრვით ღამცუელ,
 არლარა მივი, ვარ საწყალობელ ამით.

შენ ჩემდა სუნნელ, ჩემდა შუენიერება,
 ჩემდა დიდება, ჩემდა ნათელ სიხარულ,
 ჩემდა მზე მნათობ, ჩემდა დღე დაულამო,
 ჩემდა სიკეთე, ჩემდა ბედნიერობა,
 არლარა მივი, ვარ საწყალობელ ამით.

მარიამ კეთილ, ტრედო სოლომონითო,
 მადლის თან სეხნავ, მოკრძალულო სიმკაცრით,
 ჩემო წალკოტო, საცილებო არვისგან,
 მე შენსა შენდა ნასაკუთარეს ბუნებით,
 მახარე შენდა, იხარე ჩემდა მომართ.

შენ ასულობა დავითისი სამართლად
 მოგმადლა ღმერთმან, რამეთუ შუენიერად
 ხარ შენ ალგებულ, ლამაზ მიმადლებულად,
 გშუენის შროშანი ნაზავი, ფერით ვარდსა
 და მარგარიტნი იაკინთსთანა ხშირად.

ვაი არს ჩემდა, მიეხედო რა საფლავსა
 შენსა შემცუელსა, სად ნარნარ კიპაროსი
 გარდაქცეულებ რტო დაცვივნულ, დალპობილ,
 იანი შენნი აღარ ჰფუვიან სუნნელთა,
 და კბილთა ფერი ბავითურთ წარგხდომიეს.

შენ სადა წარხუელ, ჩემდა მმწუეთი მურისა?
 მე სად დამაგდე მარტოდ, მტერთაც შესაწყალ?
 შენთასა ვჰფიკავ, შუენიერ სხუა ვინმე
 ღაწუთა, წარბ წამთა, თუალთა ენახე ევრაჲინ,
 სად დაჰხედ მზეო, ანტონის გულს სალახუროდ?

თქუენ ორნი ეგე მართუენი ტრედისანი,
 სოლომონითმან შეგიწყნარა ბუდეჲან,
 აქა წიაღმან სადავითომან ღირსად.
 ზენა სიბრძნისა ლუთისა სასუფეველმან,
 ამად ვითარმედ ყრმანი წარხუედით აქათ.

კ ა ტ ი ს ო მ ი

პირველი ომი კატისა

- 1 ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუა წინ წამოდგა ნაზად კატა, მას მიუგავს თავი ლომსა, ბეწვი სინჯაფს გარდამატა, ორბის კლანჭი, ვეფხვის კული ტანსა ზედა დაინატა, თავგთა ბრძოლა, ქერში ქროლა, სიმხნით გაიანდამატა.
- 2 ასფოდელოს მოედანსა ფქვილის სახლი არი, არი, შიგ მკვიდრობდა თავგის ჯარი, ვითა ცისა ცვარი არი, ზედ მიეტრევის ციცა ბეგ, ლოშქრი გასდის მწარი, მწარი, ღიღინით გახლტა-გამოხლტა, უზმომ შთანთქა მწვარი, მწვარი.
- 3 ბუმბერაზს ტანსა გარდიცვა კატამ აბჯარი რკინისა, გარს უქროლებდა მარტორქა ქანგით გამხევი ტვინისა, კული გავაზედ გარდიდვა, ომისა მგონე ლხინისა, თავგთა საშუალ დაბრუნდა, ვითა შემსმელი ღვინისა.
- 4 კატამ მკლავ-მაჯა განმარტა, ზრნალი იხადა მისრისა, გაუქროლ-გამოუქროლა, სტყორცა სიმძაფრე ისრისა, თავგნი შეფქვა და შელეწა, ვით ლომმან მხეცნი მისრისა, ძეაღნი დაძუსრა, განბძარა, ძარღენი დაგლიჯა კისრისა.
- 5 კატამ თქვა: „მშიან, გოლიათ მქვიან, აწ მომეწყურა სისხლთა ღენანი, ომში ბრუნვანი, სისხლში ცურვანი, დღეს ბედნიერად შესაძენანი, დღეს ვიქმენ მეფედ, შუქ მოიფედ, გვალე მიუხე ხელჰყავ კბენანი, ამაყად, ზევაად, შეპკრიბე ზევაად თავგთა მძოვრები დასაფენანი“.
- 6 კატას მოეცა ხლტომა შველისა და შეტეგება ზვადის მგელისა, ომშიგან ბრუნვა ახილევისა, ფეხის სიმაღე აზაელისა, სამფსონის ძალი, ხევეა მელისა, მაჯის სიმაგრე ტარიელისა, აბჯართ ხმარება ფარსმან ქველისა, მარჯვედ სიფრთხილე ყვავის ძველისა.
- 7 შეფრინდა კატა, ღონემაც მატა, თვალნი შეექნეს ცეცხლის ალები, საღ დაჰკრის ფეხი, თავს დასცის მეხი, ტვინი გაუპის დაუთვალეობი, განკრიბა კოლტად, მძღემან მეოტად, ვერ გაასწვრიან ვერცა მალეობი, დამუსრნა ქველნი, აავსო ველნი, სწყულემდის, შესსმის მათ სამსალეობი.
- 8 კატა სწყულეღდის, სრევდის, ლევდის, აუყუნის ტკაცი-ტკოცა, ჰკრევდის, სრევდის, გლეჯდის, ფლეთდის, ქველნი ვირე მოიზოცა, ჰკრეხდის, სრეხდის, მეხდის. კეხდის, მათგან სისხლით დაითროცა, სწეხდის, ლეხდის, შეხდის, ხერხდის, დაიფიწყის მათ სიტკბოცა.

- 9 განმძვინდა ხელად, ქვეყნისა მძვრელად, ეზენის მგელად, თავთ მომწყვე-
დელად,
ლომი ვარ ძველად, აბჯართ მცემელად, ცეცხლებრ დამწველად, გარ გან-
მბნეველად,
მე თქვენდა მსერელად, სისხლისა მსმელად, შთაყარნე ხერელად, დავმუსრ-
ნე ნელად,
განვიდე ველად, თავშემწირველად, მაქისა მკველად, მადინის მცეველად.
- 10 რა ნახეს კატა მებრძოლად, რაზმად შეკრბა თავგი, თავგი,
ვითა ზღულდე შემოველნეს, ციციას გახდა, ბავგი, ბავგი,
კული ძირში მოაკენიტეს, გაუა დარჩა ბლაგვი, ბლაგვი,
კულის რიკი რალას გარგებს, სახლს ხომ ველარ დავგი, დავგი.
- 11 მედროშემ ცხენი დაჭუსლა, კატას ძნელი ელდა ეცა,
დროშა ცაში დაიბრუნა, ყურთან გახვდა შუბის ტკეცა,
მარჯვენეს თვაოს გარდაავლო, ულვაშები წააკეცა,
მას სომეხნი მოეშველნენ, იძახოდენ: „ბრნეცა, ბრნეცა.“
- 12 კატას კისერას შემოახლტა თავგი კობტა ბიკი, ბიკი,
გაუას დაკრა რკინის აფთი, გაადინა ჭიკი, ჭიკი,
ეექვე გეგონე ჯაბანნი ვართ, არ მოგვეკენიწო კიკი, კიკი,
სატევიარს ზელი გაივლო, ყიას დასდვა ღიკი, ღიკი.
- 13 თავგთა სპასპეტმან კატასა ბასრი ხმალი შეახვიდინა,
ჯიქურად მაჯა განმარტა, კულის რიკსა ჩააცდინა,
დაკრა თხემსა, ესმა თემსა, ყირა შეღმა შეადინა,
შენ მხვრინაო, თევზის ქურდო, ლომის ხელით სისხლმა გდინა.
- 14 მშვილდოსან თავგთა მომართეს, მრგვილ მოვლეს არეს-არესო,
კბილთა კაწკაწით სტყორციდეს: „ტო ვატუბ არეს-არესო“,
ნაზს ტანს ისარი მოასხეს, სისხლი ჰსდის გარეს-გარესო,
კატა ჩიოდა, ტიროდა, კენესოდა მწარეს-მწარესო.
- 15 ვირთაგუნამ ლახტი დაკრა, კატამ დიდი დაიჩხავლა:
„ნაყროვანო, დიაცი ხარ, გამიფრინდი, ვითა ბავლა“,
კატას კული მოაკენიტეს, აღარ ეძლო ავლა-ჩავლა,
მანდატურმან კობალი ჰკრა, დააფერფლა, დაცაავლა.
- 16 შენივთდა ომი, ბრძენთა სანდომი, გულისა ნათად კატა თავგისა,
შემოკრბა ხორო, მხედართ უსწორო, თავთ უხუცისა, ქველ გამაგისა,
აღმოსვლას მზისას, მნათ და ნაზისას, ასფოდელოს ქუხს მტერივეა ბავგისა,
თვალთა ნთებანი, ლახტთ ხეთქებანი, კატის თხმს სწვიმდა შემამაგისა.
- 17 თავგი მოქრის მურა-მურა, მოიძახის: „ურა, ურა“,
კატა ტანში წურა-წურა: „ვი რა მესმის ყურა, ყურა,
თავგნო დეგით დურა, დურა, შიში ნუ გაქვით ნურა, ნურა,
მოვეკლად ესე ტურა, ტურა, ძუ გოგუა ფურა, ფურა“.
- 18 შეღმა შეხლტა თავგი ნაზი, ვით მყეფარი ძალლი ბრაზი,
მოყვიროდა: „ოსმალ ლაზი ჰეკექ, ჰეკექ, ვაზი, ვაზი,
კილპე, კილპე ბაზი, ბაზი, თუროვ ხვეციეს ორი ხაზი,
ტო მარტეციქ ქოფაკ თაზი, კატას უთრთის ორივ გაზი.

- 19 თავგი მოხტის ქოსა კრუქი, მოსქუხს კბილთა კრაკი-კრუქი, მოუქირა კატას მუქი, ... სძვრა ხუთი ტყუქი, შენი ომი ფუქი, ფუქი, გაგიცალოთ თევზის კუქი, ცუდად შექქენ თვალის ხუქი, ძვალს მოგვხდებნა ჭაქი-ქუქი.

თავგთ მოეშველენ მდევრად

- 20 რა ბრძოლის ხმა გარგონეს, ერთად შეკრბა ყოვლი მციყვი, ისინიც თავგთ მოეშველენ, გარდმოეშვათ დიდი ყიყვი, „ციცავ, ის დრო აღარ არი ქამაში რომ ძალი გვიყვი, მუტელს მათრახით მოგიხელთ, ცხვირს მოგხვდებნა კეტი ბრიყვი“
- 21 თეთრი თრიითინა მოქშუის, ვით უებრო შევარდენი, ტანსა ეცვა ოქროს ჯაქვი, ხრმალი ერტყა ჯავარდენი, შესტყორხცა ციცას მაქარი, ცალი ყვერი გავარდენი, მას სურნელს ცვარს აპკურებდენ ხელმწიფე და შევარდენი.
- 22 თავგთ მოეშველა დედოფალაცა, მაჯაში ქონდა სპილოს ძალაცა, მიმობლტებოდა მაქუნქალაცა. უკან უქროდა ქარი მყრალაცა, „საომრად ვებლობ, დღეს და ხვალაცა, შე შემაქამეთ კატის თვალაცა, მოვკლათ ეს წუწუკი მაწანწალაცა, შეივხრაამუნოო მისი მალაცა“.
- 23 გულდამყრით მოეშველენ დასტა-დასტა თავგუნანი, ჩომახტურით დაუსისხლეს კატას გაავა-ტრაქუნანი, ზედ არგანი დაუსშირეს, ბეჭებს გააქეს ბრავგუნანი, „დერჟი-დერჟის“ იძახოდენ რუს ხელმწიფის დრავგუნანი.
- 24 თავგი მოქრის ერწოთ კახა, შლაპა ხურამს ლურჯი, ფრახი, დურუნ ციცი ბახი, ბახი, თეჩის კორე, ვახი, ვახი, მციყვმან შესეს ოტჯა-რახი, ყელს გარდაცვა კატას მახი, „თო დედა ქუნ, ფახი, ფახი, თვარემ სიკვდილს მოინახი“.
- 25 თავგთ დალისტნელთ სახე, სახე, ციცას უგეს მახე, მახე, წამოსქყივლეს: „ვახე, ვახე“, მაქარი ქლხს მქახე, მქახე, შეიპყარ, მანად ნახე, ნახე, კულს კარ ყოტე, ჩახე, ჩახე, მაგრა შეკარ, ფახე, ფახე, ჩერქეზებში წახე, წახე.
- 26 დედოფალა ხმობს ფიფინა: „კატას ტუჩსა ვცხოთ ქიქინა“, მას მოეშველა თრიითინა, სიცილით ჩაიკიკინა, მციყვმა და თავგმა ფლიგვინა კისკისით ჩაიქვიქინა, ოთხთა თქვეს: „მოვკლათ თრიითინა, სისხლი დავიდლოთ, ვით ინა“.
- 27 თავგი მოქრის ფრანციველი, ვით შირაქის ვაცი შეველი, ვირთავვა ჩინმაჩინელი, სხვა ჯარისაც მომაშველი; შემოყივლეს საშინელი, ძრწოლა შექმნა კატამ ძნელი, სამთავ ჰქარეს ხრმალი შიშველი, კატის პირის გამქიშველი.
- 28 ჯილფი თავგი, ცეკვანს ქაჯი, კატის კისერს გარდამლაჯვი, ახლა მოვლე ქაბა-ჭაჯი, ხელ ვაკმიე ჩემი... კატას დასდვა ცხელი საჯი, მოჰმედს გიგავს ბეწვის ბლაჯვი, ძელ ქოფაქ ითმან ვერ ბაჯი, პირში რაღას დაიბლარჯვი.

- 29 დედოფალას ჰყავს ცხენი მერანა, მოიქროლებდა ვითა ჯერანი, ამგერა ციცას შუბის წვერანი, კისერს შეახლტა შექმნა მზერანი, შეექმნა ციცას გულთა ბგერანი, აღარ ახსოვდა ჰყრობილს მღერანი, ბასრი სცა კულსა გადასერანი, ძოწი გამოხდა შემაჩქერანი.
- 30 ზერდაგს თავგეს ხურავს ფრანგული პლაში, კატის სისხლი სწვიმს, ქვეშ გას-
დის ტლაპი
ეტყვის: „არ გინდა მცირე თავეთ ლაპი, ენა გამოყავ, ერთი ქუნ ხლაპი, ყოველს მოძაგდა შენი წლაპ წლაპი, აწ კი უქმოზღე, რაც პირველ ყლაპი, ბეწე ქრელ-მწყაზარი, აწ იქვენ ღლაპი, როსცა გამეფდე—შენც გვეყავ ყლაპი.“
- 31 ხორასნით თავენი მოფრინენ შაენი ეშმაქნი ფროსანი, სამარყანდით და სტამბოლით, ჯარი ჰყავთ შავ-თეთროსანი, იმამრიზელი ყადები მურთუხალისა ზროსანი, კატის სისხლშია ნაბანნი, ჰაურეთნისა დროსანი.
- 32 დედოფალა, გიშერ თვალა, ჯანაბათით მოხლტის ინდი, „ციცავ, ველარ დალილინდი, დამილონდი, გამიფრინდი“, ლურჯი თავგი ბუხარელი. წინ მოუძღვის ქუფური ბინდი, შავი თავგი ბალდადელი, კატის სულს წამაწყმინდი.
- 33 კატის ძალი და სამალი, იქმნა ღტოლვა დასამალი, ტანად რეალი, ფერად მკრთალი, შემოეგზნა გულად ალი, თავში სცემდის, ქვას დასცემდის ერთი თავგი წუწკი, მკრალი, ცხენის ქროლით, მიმოსრბოლათ დაუბრიტის თვალთა ძალი.
- 34 დღის მეცხრე ჟამი, ვით ერთი წამი, მკერეტელთა კაცთა სწყუროდა მზერად, როს მიდრკა მზეცა, დაბნელდა ზეცა, კატისა ბეწენი აღვიდეს მტვერად, ჰკრეკდენ სიმარჯვით, ათრევდენ ტანჯვით, ქრელს თვალს უქტევდენ ნახ-
შირის ფერად,
ეყრება გულსა, წყლულ დადაგულსა, ტირს: „სით მოეშაველი ამათში მე რად“.
- 35 კატამ თქვა ნელად: „თვალ ვხედავ ბნელად, სიკვდილსა კარსა მოსრულსა
ძნელად,
თავგთავან ვკვდები, ვირცხნი და ვდნები მოყმე-ჰაბუკი, ქებული ძველად, კულს ვხედავ მიწვის, ტანი მელეწვის, არვინ მყავს საფლავს შთამაწვენ
ლად,
მყაროვ კლდევ, სალო, მარტორქის ძალო, აღსდეგ, განიფროხე, აღშფოთდი მგელად“.

კუალად ხელის გამოღება და ომი კატისაგან

- 36 კატამ თქვა გულსა, წყლულ დადაგულსა: „ნეტარ რად ვკვდები ამათგან ხელი, ასის შთამტქმელი, აწ ვარ ვით მელი, მოდი, ასე ექნა გაიძრა ხელი, ვეცე მათ ქარად, დასნი ვყენე კარად, არ ცუდად დავეო მჯა და ხელი, აწ მოვსრავ ამად, ერთ წუთი ჟამად, განითქვა კიდელ ჩემი სახელი“.
- 37 ზე აღდგა ციცი, გულად ნაფიცი, მიმოიხედა მწყარალის გულითა, „თვალ ქვეშ ვინც დამრჩეთ, ვეკ ვერა დამრჩეთ, ვერც იხსნათ თავი ოქრო-
ფლურითა,
უწყალოდ მტანჯეთ, ტანში დამხვანჯეთ, მეც გვეყენ თქვენ სიკვდილ მინა-
რულითა,
აწ ვიყრი ჯავრსა, არ ვიხმობ ჯარსა, გწვალავ სულითა, დაგკავთ ხელითა.“

- 38 კატავ ფრანგულო, ომის სწაველულო, თაგეთაგან წყლულო, გულ-დადა-
გულო.
- 39 კატამ ნახოცი შეკრიბა ხორად: „ამას მზეშიგან გაეახმობ ლორად,
თავს ვხედღვ მამაცს გილანის ლორად. ძველთა გმირთაცა მთქვეს ერთი-
ორად,
როსცა ვეჩვენნი გაეახად, ქორად, ბრჭალით დაესკრიდი მორად და მორად,
თუმცა შეესკვალო ქვეყანა მძოვრად, სისხლს ვერ ავიღებ კულისა სწორად“.
- 40 გარდასწყდა ომი სასტიკი, საზაროდ სისხლთა მდინანი,
ციცა მწვანეზე გაგორდა, ერხევა ტანი მინანი,
ძაშურალმა უელი გარდილო, მიწვა და მიიძინანი,
სიზმარში კული იხილა, შეპქონდა პატატინანი.

ქატიხსაგან სიზმარში კულის ნახვა და ტირილი

- 41 რა ჩვენება მოიხილა, მყის შეექმნა ძილი მრუდად,
ნახა ბეწვი წახდენოდა და შეპქნოდა ტყავი გულად,
ნადირთ მეფის სამკაული აჩნდა რიკად, აღარ კულად,
ნახეთ ქცევა ამ სოფლისა, შევბას როგორ შესცვლის ცულად.
- 42 ასფოდელოს ზემო კერძოს იყო უცხო ნერგთა ბალი,
მას მდინარე შესდიოდა, რუ ნილოსით გამონალი,
წყლისა პირსა კვენით დაჯდა, კატა ტურფა, კეკლუცი, ლალი,
გაგლეგილი კულს მოთქმიდა, აღარ იყო დამად ჩალი.
- 43 „ჰე, ჩემო კულო, ხმელეთის ზლუდო, ეშმის ხალენად გულქან და ქრელო;
თვალთათვის ტურფავ, ნაზო და სუფთავ, ზარიფთა გულთა სევდის გამ-
ყრელო,
ჩინთ შენაზო, მითრთის გაზო, მოპკევედ და მომკალ მიწის მომყრელო,
ცრემლთა ღვარითა, ხორცთ მომდინარითა გონებით გიქვერეტ სევდის
მზღვეველო.“
- 44 სამურ-კვერნა-მელიასა მრავლად მოპყვა ყარყუმთ დასი,
იგვრდივ კატას წაუჩოქეს, შექმნეს ტატა და ვასვასი,
-კატავ, კული რა გიქნია საფრანგეთის სწორე ფასი,
ნადირთ მამავ, ვითა განახოთ გავა მქასე, თვალად ნასი“.
- 45 კატამ აღალო ცრემლით ბაგები, სიტყვა თქვა გულის დასადაგები:
„მრავალი მოვსრენ თრითინ თაგები, ხმალი დავლეწე, უცხო შპაგები,
ჩემს კულს შესტრფოდენ ფარშამანგები, აწ ვარ ყოველთა მოსაძაგები,
ჩინს ლორს აგვილო ჩემი ბარგები, ფაი ქაბას წაველ, დავიკარგები“.
- 46 ქირისუფლად ჩაურვიდნენ: ყარყუმ, კვერნა კატუნასა,
თავს თხის ჩაჩი ჩამოეცვათ, კულს ვერ უმზერთ პატუნასა,
ვინ მოსძარცვა სამკაული ვეფხესა, აწ ჰვავს კაპუნასა,
ქაბას მივა, გვეკარგება, თან წაიყვანს პაპუნასა.
- 47 „ჰე, ძმანო, სამურ, კვერნანო, კულსა ვით ვსტირდე შინასა,
მას ნებიერად ნაზარდსა, შევენებით მნათობთ წინასა,
თვალნი მრუმობენ, გულნიცა, ცეცხლი ეღებრს შინასა,
რასათვის არა დამქოლავთ უმისოდ წუწყსა ფინასა“.

- 47 მოვალს კვერნა ხორო ხორო, ზღვის ქვიშისა სწორო, სწორო.
 „ვეითა გნახოთ მორო, მორო, კუდი შენგან განაშორო,
 აღსდევ გილანთ ღორო, ღორო, მიწა გასქერ, სორო, სორო,
 შიგ ჩაიდევ ღორო, ღორო, არ დაგიჰქნეს პლორო, პლორო“.
- 49 ციცა მდულრიად ქვითინს სცემდა, თმის იგლეჯდა ლომის გვარად,
 მალ-მალ გულს შემოეყარის, ღვიძლი ჰქონდა შენამწეარად,
 კუდი მოქრილს რიკად უხმობდენ, მეძებრისა კუდის დარად,
 ამ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს, სასიკვდილო სისხლის ღვარად.
- 50 ოთხნი მნათობნი ტიროდნენ: მზე, მთვარე, კრონოს, მარეხია,
 ოთხთავე სწორ-სწორად გლეჯითა საყულო გარდაეხია,
 ბულბულნი ზარსა მოჰყეფდეს, ხმა სირინოზებზე ეხვია,
 „კატისა ეს დღე ვიტუროთ, როს კუდი მოუხერხია.“
- 51 უებრო ომი კატისა დაიდვა არაკუაო,
 თრითინამ ჩამოიბინა, კუდი მალლა ბზაკაო,
 ციცამ კლანჭი გადულობა, დააკაწრა ტაკუაო,
 ათი მციყვი ზედ დააკლა, დაჯდა და . . .
- 52 ბერძენ ვლახნი, ბულდანი კახნი, ბრძენთაც უთქვამს სჯულის მცველად,
 არაბ ინდნი, აბაშ დიდნი, სპარს ბაღს ჩინით წამომსვლელად,
 ფრანგი, მისრნი, ჩრდილოთ რუსნი, ვლიდენ ასფოდელოს ველად,
 ქართლ-იმერნი, ლეკ-მეგრელინი შეკრბენ კატის ქების მთხველად.

ა. სევდის ბაღს

1

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმა შემრისხა თავ-მომწონები,
ისარი მტყორცა დასამონები,
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები;
მითხრა: „იფიქრე გულს-ნაქონები;
მისთვის იქნები დასაყოვნები!“
ვერ მიიხვდი მახვილ-გაწონები;
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები!

2

იასა ვჰკითხე.—მუნ იდგა ნაზი:
„ვარდსა რა ვუქმენ კართა სარაზი?“
„ამაყად მწყურალი ვნახე ლამაზი!“
მანცა გამაგდო: „გარეგან—გაზი,
„შენგან გვაჩნია გულეზსა ხაზი!
„სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი!
„შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი!
„შენის გონებით იქნები რაზი:
„ჩენ დაგვთმეო და სხვას ემონები!“

3

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მიემართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე;
ვეუბნებოდ: „შენ წარმიმართე
იწროს გზის პოვნად! გზები გაქვს ფართე!
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე:
ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე!
შავ-გულსა ლხინი შენ მოუსართე!
შემომითვალოს, რა უკულმართე?
რად მომიგონა მოუგონები?“

4

ნარგიზი ვნახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა;
მითხრა: „ყარიბო!“ მონაზებითა:
„ვარდი მით არის გულ-დაკლებითა,

„რომ შენი იყო თავ-დადებითა,—
„შენ რისთვის დაჰსთმე სხვისა ხლებითა?
„თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა;—
„რად გიკვირს, გასწყურეს ცეცხლ-მოღებითა?
„ნაცვალი მოგხვდა დანახსოვნები!“

5

დაებრუნდი ყოველგნით შეუბრალები;
ბალის კარს დაეჯექ შენაძალები,
კრემლით აღმეცხნეს მწირნი თვალები;
ვიყუა ბედისა დამაბრალები.
ვინცა მნახვილენ დამაშერალები
შეიქმნებოდენ ჭირ-ნაკრძალები.
მეც მომხვდა სოფლის მკელელი ბრქალები!
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!

b. ტანო ტატანო

1

ტანო ტატანო, გულ-წამტანო, უცხოდ წარებო!
ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო!
წარბ-წამწამ თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო!
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ-წამარებო!
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

2

თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშენის მწველად!
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად!
გესხნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად!
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად,
მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!

3

ალგაო, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხველნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნი-თლილნი მოსახვევლნი;
ზარიფსა წელსა დაეკვირუნეს ქვეყანად მელელნი;
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი ათასნი წელნი.
აწ დამლევნიან უოვლნი დღენი; უცხოდ ვარებო!

4

ბაგე მდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა ჰსურნიან ხილვა შენი, კეკელა-მარდო!
გულსა ჰსწყურნიან დამაშერალსა; რას შეგაფარდო?
თუმცა შენ დაგთმო, ვინ-ღა ვჰპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არ ვისი მსურს, შევიზარებო!

შენმა გონებამ მიმამსგავსა მიღეულს მთვარეს;
სიციოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს!
მოდით, მიჯნურხო, შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკედარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვაი, სიციოცხლო უკუღმართო, დანაცარებო!

ც. დედოფალს ანაზედ

1

ვარ უცხო ვინმე ყარიბი,
ამა სიტყვითა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა
მაგინებელი, მგმობელი:
მონა ვარ მისი მჟღამ ჟამ
და მისი შემამკობელი,—
იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადნობელი!

2

ფუტყავ, მე არვინ მიხილაეს,
რომ არს შეგნებით ანაო!
მთვარესა ეზრახებოდა:
„შენ ვერ ხაზ ჩემისთანაო!“
ვარსკვლავნი მუდამ სამონოდ
გარს უდგენ თანის-თანაო.
მხილველნო, დამემოწმენით:
კარგი ყოფილა განაო?

3

ცნობა მიმილო და გული,
სიველით შემზლულა ანაშან;
კვლავ მომკლა მისმან ციალმან
და წელთა მიმოტანამან;
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპკურა ცრემლი, ანაშა.
ჯობს, რომ არ ყუანდეს მიჯნური,
ან მოკლას ამისთანა შან!

4

იაგუნდი მოცინარობს:
„მარგალიტნო, მიახელთო!“
სათის ტბიდგან ისარს ისგრის:
ვინ გაუელის ახლოს ველთო?
დალაზვრავს და მძიმედ დაპკოდს,
ველს განაბნევს დია ხელთო!
ნეტართაო ქონდეს ეს გზად;
უვიცადი გიახელთო!

მიმილო ცნობა,—
 არ ძალმიძს მკობა,—
 ჩემმა ხელმკმნელმან, ლამაზმან ამაღნი
 შემოსა ხელი,
 ითხო სახელი
 მისმან მგვანემან პაწაწანამან;
 ალხინა გული,
 წყლულ-დადაგული,
 წყალობიანმან მისმან შანამან.
 თქმულია ძეგლად:
 „ვინც იყო ხელად,
 ატრფე და მოგკლას ამისთანამან!“

6

ხელმწიფევე, გული
 შენთან-ა ბმული,
 წყალობიანად მომცემო შეგების
 ნაზად ვინ ირთვი,
 პირი მიირთვი
 სიკვდილმდე მტკიცე შენთანა ხლების
 თუმცა [რა] გცოდე,
 ვიყო შემცოდე,
 შენგან წყალობით ნუ შელხინების!
 გიმუხბოლო, ესე
 ვიყოცა მკენესე,
 შენგანცა კიდევ ვიყო-ცა სხეების!

d. ცრემლთა ისარნი

1

ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არენით,
 იღმენით გულნი ქირ-ნახულნი, შეგვიწყნარენით!
 უცხონი თემით სოფლის ცემით გავიგარენით,
 ლტქნობნი ვარდნი ეს-გვარ დარდნი დავიბძარენით,—
 არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

2

როს გვაგონდებით, შეელონდებით, ლომო ყმა-ძმანო,
 თან-ზრდილნო სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
 ვა კიდევანთა, აზღენ თქმათა გლოვისა ხმანო,
 ატადის-კალოს, საეალალოს, სადა ხართ, თქმანო!
 დაგებერნა ქარმან დაუწყნარმან, ზღვიდ ვითარენით!

3

დაბერდა ყური, სევდის ქური რა ჰპოვა სოფლით,
 დაბინდნა თვალნი, შეუშკრთალნი, ცრემლით და ოფლით,
 დაღვესცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი, შორნი საყოფლით,
 ხელმწიფე გული, ცეცხლ-დადაგული, სულით გამყოფლით,
 ქირსამცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით!

დაუნატრი მზესა, სიამესა, დილა თქვენ გარებს,
 ლამე მთოვარე, ქველ მოარე, ხასიათ გვარებს,
 ცისკარ მთიები, სხვა ციები პირველ გახარებს
 და შერმე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაჰვარებს!
 ამ დღე-ღამითა და ჟამითა დაემწარენით!

სიზმარს ვემონვით ძილ-შეკონვით, ნუ თუმცა გნახეთ,
 სახე-უსახო, სახეახო ეს განვიზრახეთ,
 სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერლა დაესახეთ,
 ყარიბთა ბანი, გზის საბანი, ეკლით შეესჩმახეთ!
 მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!

გამტყორცა სოფელმა

გამტყორცა სოფელმა, მოეშორდი მზესა;
 დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად!
 რაყიფად შემექნა ბედივე ჩემი;
 სიცოცხლეს ღა ვჰპოვებ ძნელად და ძნელად!

ვინ ჰპოვა სოფლისგან ბედნიერება?
 ვინცა სცნობს წყეულსა, — დაეკრძალება!
 უნუგეშოს მართებს მართლად ვაება,
 სტიროდეს ღა რბოდეს, ველად და ველად!

მიჯნურთაგან რა გსურს, წუთი-სოფელი,
 ყოველთა მოღექსეთ დამდუმებელი?
 ჩემებრ ბედ-წარსულზედ გინდ ისახელი?
 დამსვი გულ-მდღულარედ, მწველად და მწველად!

ვაი ესე დრონი

ვაი ესე დრონი, საყვედრონი, მომცემს წყენასა!
 ვინ უძლოს ჭირთა ჩემთა თქმასა, ანუ სმენასა?
 ვსთქვამ მსმენელთაცა, სულ მიუღებს მათსა ღზენასა;
 თქმა აღარ ძალ-უცს უნუგეშოდ მაშერალს ენასა,
 უძღვენ სიცოცხლე საუკუნოდ შუქთ-მოფენასა!

ვგმე იგი ჟამნი დრკუ და ავნი, გასამწარენი,
 ვნახე რა სხივნი, გულთ სატკიენი, მიმო არენი;
 თალხნი ჩაეცვათ, სრულ მოეცვათ შუქთა არენი;
 ვით ბნელი დღეს-თან, ჩემს ხელ-მქნელ-თან ეს გვარ მენასა!

ელვათა კრთომას, მუდამ ხსოვნას, ვერ უძლო გულმან,
 სადა ბარანთ-თან მხლეთა ინდთა ქონამან სრულმან,
 ბადახშმან ლალთა, ბროლ-ფიქალთა შენართავ-თხზულმან,
 მთვარე-მან მცხრალმან, შუქით მკრთალმან, კართა დახშულმან,
 არ მიმცა მცირეს გასაკვირეს მოსაწყენასა!

გამოკრთა ელვა, ვითა ღელვა, მიმტაცა ცნობა!
 ტყვე-ქმნილმან გულმან, დადაგულმან, ვერა ჰყო თმობა!
 ხვეწნა-მუდარით, სასუდარით არ ითნო ყმობა!
 თუ არ მკვლევლობა, სისხლთ მსვლევლობა, ვერ ვნახე ლმობა!
 ეს გიჯობს, თაფო საესავო, ზიჰყვე თმენასა!

5

თქმულა: „მოყვარე საყვარელსა დაუძაბუნდეს,—
 მას იგონებდეს და ზონებდეს, სტრფოდეს და უნდეს,—
 მის ქირსა ნაცვლად თავი მისცეს, აღარ დაყმუნდეს.
 ჰყოს მისი ნება და ქენება, მიჰყვეს და უნდეს!..“
 თულა ვინმე მგმობ, ამასა ჰყოფ მოსახსენასა!

სევდის ლაშქარი

1

სევდის ლაშქარი შემომიხდება,
 სურვილის ცეცხლი მომეკიდება,
 სულთქმა და ტირილი გამიხშირდება,
 საყვარლის ქერეთა დამიძვირდება,
 სიცოცხლის ფრინველი გამიფრინდება!

2

სად მიდრკების მზე, სად უჩინარობს?
 სად სთოიეს ნათელსა, სად მონარნარობს?
 სად იშლების ვარდი, სად მოცინარობს?
 სად ნექტარებს წყარო, სად მომდინარობს?
 სად მნათობს მნათობი, სად გაბრწყინდება?

3

დაეკარგე სატრფო ჩემი ცხოვრება!
 დაეკარგე განცხრომა და გახარება!
 დაეკარგე სამოთხე და უკვდავება!
 დაეკარგე მთოვარე,—ვის ემთვარება?
 დაეკარგე მინერვა, სიბრძნის დიდება!

4

მომაკლდა უებრო კეთილობანი,
 მომაკლდა ალერსი და ზრდილობანი;
 მომაკლდა აშკითა მორთულობანი,
 მომაკლდა მუზიკა და გალობანი!
 მომაკლდა შექცევა,—გაცამშორდება!

5

გამოჩნდა კომეტა ქუფურ-ბინდობისა,
 გამოჩნდა სოფელი უბედობისა;
 გამოჩნდა შემთხვევა ძნიადობისა,
 გამოჩნდა ქალადი სულთ-მხდელობისა!
 განშმაგდა ქვეყანა, ველად განხდება!

ა. ზღვას ვით გააშრობს

- 1 ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი!
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?
ქარი რას დააკლებს ქვეთკირის კლდესა,
თუ გინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს!
- 2 თუ გინდ გაათეორო სპილენძის თასი,
სპილენძი ერთია, ვერცხლი—ათასი!
ქიქას არ ედება აღმასის ფასი,
თუ გინდ ოქროს ბეჭედშიაც გაიწყოს!
- 3 ზოგზოგი კაცია ეშმაკის მუშა;
ეშმაკის ნაშენი ღმერთმან დაფუშა...
გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდ მალლა თახჩაშიაც შაიწყოს!
- 4 თუ გინდ თევზი დაჰკლა—არ დაიყვირებს.
ფეხთ ჰინის დადება რათ უნდათ ვირებს?
ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს,
თუ გინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს!
- 5 ნურვინ იტყვიოთ—ეს ყმაწვილი ვინა ვარ!
ანა-ბანა ვიცი, სიტყვიოთ წინა ვარ.
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ.
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!

ბ. მტკვარო ამღვრეულო

1

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო!
მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო!
დიბისა ლობდანო ბაზაზიანო,
სირმა-აბრეშუმო ყაზაზიანო,
თვალეები, წარბები, ლამაზიანო,
მე რა მამადია, რა მაზიანო?!

2

ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვეწება,
ზოგი მეჯლისის ზმას ეხვეწება!
ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება,
გული მას სტირის, მას ეხვეწება,
დაეხსენ ჩემს ვარდაა კრაზანიანო!

შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა,
 შენს შემხედანს თავში რაღა ჭკვა უნდა!
 განა საყვარელი სხვადასხვა უნდა?
 სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა,
 გამოდი ღრუბლიდან, მხევ ნაზიანო!

მოდი, დამიჯერე, ბაღდადის წერო,
 ინდოეთის თუთისაებრ იმღერო!..
 რა იქნება ერთხელ მეც დამიჯერო,
 ფერაჰადის ბებერო, შირინის მტერო,
 შე ავო მიჯნურო, შე ბრაზიანო!

ვაი თუ ერთი რიგი ნარდი გასწიო,
 მარდი მოჰკლა და ნამარდი გასწიო,
 ბულბული ატირო, ვარდი გასწიო,
 ნეტა რომელ ერთის დარდი გასწიო
 ბეჩავ საიათნოვავ, თავაზიანო!

d. შე საწყალო ჩემო თავო

შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ,
 ქვეყანაში სასაცილო შეიქენ!
 საითაც გაიქეც, იქით წაიქეც!
 ბოლო დროსაც ბედოვლათი შეიქენ!

რომელს დაეაბრალო, რისაგან არის?
 ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული,
 ჭიქასავით ოქროს ყუთში დებული!
 ეს რა მომივიდა ახირებული!
 განა ჩემი თავი ქვისაგან არის?!

რომელს დაეაბრალო, რისაგან არის?
 ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

ბრინჯი ვიყავ — ქერობა რად მინდოდა?
 მტრედი ვიყავ — მწყერობა რად მინდოდა?
 ერთი მითხარ, ბერობა რად მინდოდა?
 ვემკობ ჩემის უბედურ დღისაგან არის!

რომელს დაეაბრალო, რისაგან არის?
 ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არის!

აგერ მიღმა ურმებიცა ამართეს,
 საფრანგეთის ტურთა საზი გამართეს!
 ალთმიშული სატარულოდ წამართვეს
 იმიტომ, რომ ერთსა ქობში სდგებარო!
 რომელს დაეაბრალო, რისაგან არის?
 ეს საქმენი ჩემის ქვეისაგან არის!

5

საიათნოვა შეინახე შენთანა...
 საჯინიბოს დააყენე ცხენთანა!
 ველარ წავა ხონთქართან, ყვენთანა,
 ნაქებია სუფრაშია ჩვენთანა...
 ჩემი ჭიანჭური ხისაგან არის...
 რომელს დაეაბრალო, რისაგან არის,
 ეს საქმენი ჩემის ქვეისაგან არის!

e. ღამეხსენი

1

დამეხსენი, აეკაცობა არ მინდა,
 ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა,
 ავი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა,
 ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
 მე გლეხი ვარ, თავადლობა არ მინდა!

2

მოდი, სისხლსა ნუ დამიღვრი თასითა,
 ნასყიდი ვარ შენის ძვირის ფასითა!
 გეახლები ერანელთა წესითა!
 შეშინახე ატლასითა, ხასითა,
 შავი კაბა, შავი ქობა არ მინდა!

3

ჩემი სიტყვა შენი დასაჯერ იყოს,
 შენი კალთა ჩემი დასაქერ იყოს!
 ჩემი თავი შენი მიწა-მტვერ იყოს,
 შენი ბალი ჩემი ბალის გვერდთ იყოს,
 შუაშია ვადლოობა არ მინდა!

4

გადავიდა შენი დრო, საიათნოვა!
 რალად გინდა „ოხო-ხო“ საიათნოვა?
 ყველა მეუბნება: ჰო საიათნოვა!
 საით მიხვალ, ჩემკენ მო, საიათნოვა,
 შენი პურ-მარილის ძმობა არ მინდა!

ქეობაში თქმული

1

აღმკულ სრასა, უცხოდ მზასა, მზეე შინ შემოდო, ვჰხედავ ლომსა, მზის ნაშობსა, მზეე...
ვეფზ ნაკუეთით, უსაზომსა, მზეე ..
მკვირცხლსა ყრმასა, თულად კმასა, მზეე...
ედემურს მტილს მონაყუანსა, მზეე...
ჰსტევენს ბულბული ამოდ ხმასა, მზეე...
უხმეთ ქნარსა, დასაწყნარსა, მზეე...
სადავითოდ მონატანსა, მზეე...

2

ვარდი შლილობს, ფერებს ცელილობს, მზეე შინ შემოდო, სუნნი ჰფევიან, ხმიან, ზდიან, მზეე...
ნაზნი—სვიან, ზიან, ზმიან, მზეე...
ერთად ჰკრთიან: მმიან, დიან, მზეე...
კენარ ციალ, იტაციან. მზეე...
ზრო ალვისა ტანი ჰსძრიან, მზეე...

3

აწ ვიზახთ პირუელ ნათქუზე, მზეე შინ შემოდო, ვინ მწოლარებს ფარლულ ტახტზე, მზეე...
სხივებს აკრთობს, ჰსტევიფრაჟს წამზე, მზეე...
მით მზიდუელობს ნათელსა მზე, მზეე...
ღარაზმულან მნათნი ცაზე, მზეე...
ციმციმებენ ძეობაზე, მზეე ..

4

გადიადდა სიხარული, მზეე შინ შემოდო, ვის მოუვა ღამით რული, მზეე...
წალკოტი ჰფევის განკარგული, მზეე...
ვაჟი იშუა სახელ სრული, მზეე...
მხნე ჰაბუკი, არა მხდლური, მზეე...
მზეცის მსვრელი, კლდე-სალ გული, მზეე...

5

ქეობას ვიყავ მზისასა, მზეე შინ შემოდო
ვაჟის მამა შინ დაესწრა, მზეე შინ შემოდო,
ჰკვირობს დიდად: „ეს რა მესწრა, მზეე...“

ჰამდა ირემნი მომესრა, მზევ...
ყრმა მეშუი უტხო ჰა ეს რა, მზევ...

6

ახლა შობილი ყრმა მოახსენებს მამასა

მამავ, აწ მე ვინადირებ, მზევ შინ შემოდო,
კისკის მოველი კლდის მთის ძირებს, მზევ ..
ალგისრულებ დანაპირებს, მზევ...
მხეცს დაუგებ შუბის პირებს, მზევ...
ირმებთ დედათ დასატირებს, მზევ ..
დავაიწყებ პირულ ძვირებს, მზევ...
საამოვნეს დაგინშირებს, მზევ...
რაც არ გალხენს, არ გაწყინებს, მზევ...
ბევრს მოგართმევ ნანადირებს, მზევ...
პირმშოს მმისა გასაკვირებს, მზევ...
შენის კურთხვის მოსაბირებს, მზევ..

ანახანუმ დედოფლის დის, გარბარის, მიწერილი ჭაბუასთან

სიკრუთა დიდებულობ, მზაკეარობით მოგწონს თავი,
მცბიერობ და მანკიერობ, ვერაგობით ხშირად ჰყავი,
ლექის სხვა გაქვს და აზრი სხვა, ამითი ხარ შენაზავი,
ცხოვლად ხედავ სატანასა, არას გარგებს შენ იგავი,
სნეულეზად ეს გკირ ავი: ურცხვი იყავ და პირ-შავი.

პასუხი მზე-ჭაბუკისგან

1

ყარაჯაობ ზანგი ინდი, რა გიქო შეგნიერება,
ეკალმუხისა ნაკვეთი, სისუფთე ტანიერება,
გამზავსე განგოზილს ჯადეგს, გიხდება ხანიერება,
განმაცვიფრებს და მაკვირვებს ეგ შენი სახიერება,
ვის ძალუეს შენი ჰერეტანი, ან ვინ იქნება მნახავი!

2

შიდარად აღსარებული, იქცეოდი კანდიერად,
ტარტარას სული უმსხვიერპლე და შეიქმენ ბიწიერად,
განგეძარცვა კეთილობა, ვინლა გპოვებს გონიერად,
დაგეკარგა უქვდავება, მსწრაფლ იქცევი მიწიერად,
ვერ მიხედები შენს წადილსა, დაგექცევის სიბრძნის ნავი!

3

სინანული არას გარგებს, ვიც არ არის ნივთიერი,
უსხეულოთ შენანება სად თქმულა, ნათელ მზიერი,
წარიკვეთე სასოება, აწ და მარად ყოვლიერი,
ვის შესწყალდე შენებრივსა, შენებრივ არს გულხმიერი,
განიხადე სამაქაკლო შესამოსი, მოსართავი!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ა ნ ი

ელისაბედლიანი, ლექსი ალერსიანი,
მამისაგან ნათქვამი, აღარ დასაგვიანო.

I

- 1 ღმერთმან ინება აღორძინება,
ამით მოგვეცა კაცთა ღზინება,
- 2 მომცა ასული, სოფლით გასული
არა მყო, მოსპო ყვედრება სრული.
- 3 მაქვან ძეობა, დღეო სიგრძეობა,
უფალსა ვსთხოვე მისი ბრძეობა.
- 4 კვლავ ვსთქვი: მზე შინა, მენუგეშინა,
აღვახვიენ ბაგე, არ შემეშინა.
- 5 ჰე ცათა ღმერთო, სამო და ერთო,
შენგან მომეცა ღზინი, მომერთო.
- 6 ასულად მედო ელისაბედო,
მაღალმა მომცა დაუფასედო.
- 7 აწ აღმოხედო მშობელთა მზედო,
მამის ეტლადო, ბედად და სვედო.
- 8 ჩემსა არედო ნათობ მთვარედო,
ციხკრის ვარსკვლავად, მოკამკამედო.
- 9 ედემის ხედო, ჩემს სამოთხედო,
შენ გიქვერეტ, სახლვარს მით გარდავხედო.
- 10 ტრფიალთ სახედო მიმოსახედო,
შენ მოგცე გული სამუდმოდ ტყვედო.
- 11 ჩემ ნოგს ტრედო, ვაშად მოხვედო,
შეგების ბაიის მოსატანედო.
- 12 ხარ საიმედო, საფუფუნედო,
შენ მეყოლები მოლულუნედო.
- 13 ორბებრივ ფრთედო, აღმიხვიენ ზედო,
გამაქაბუკე, შევიქმენ მხნედო.
- 14 რაც თანამედო ჩემსა სიყმედო,
მხცოვანსა მომხვდა მე სიბერედო.
- 15 მამისა ბედო, დედისაც მწვედო,
უკვდავება ხარ ჩემთვის სწორედო.

- 16 შენ უტკბოსედო სირინოზედო,
ჩვილ ბრგენილის ხმითა ჩემო ჩამბნედო.
- 17 ტუჩთა ბაგედო, გულთა მარგედო,
შენი კოცნა მაქვს დასაქადედო.
- 18 ჩუმად ღონედო, ჰირთა მფონედო,
ხელის-ხელ მყეყხარ საგოგმანედო.
- 19 ვარდო კოწლედო, შენებრ მოწლედო,
არგინ დამშთების სულის მოწლედო.
- 20 სოფელს მოკლედო ვარ მოსახლედო,
შენც მივი გრძელად მოსაგონედო.
- 21 ღმერთი მყავს მწედო, შენს ღლის სიგრძედო,
მამა გიზივარ მოშაირედო.

II

ნ ა ნ ა

- 1 ვეტყვი ახოს ნანასა, მისსა შესაგვანასა,
ტუბილად რასმე ძილისა აღრე მოსაყვანასა.
- 2 ჩემსა ლიზლუ ტანასა, ჩვილსა, პაწაწანასა,
მოუჯღღები აკვანსა, ურწებ ხანის-ხანასა.
- 3 მშობელთ სათუთანასა, პირმზე, ლელწამ ტანასა,
ქვეყნად ვითა ჰაერთა, ვარსკვლავს მოტატანასა.
- 4 ახალს ბანონასა, არ უგვაროვანასა,
თვალ-წარბ გარდახატულსა, სასურ, სატრფოანასა..
- 5 ნახსა, ლამაზმანასა, სუფთა ფაქიზანასა,
ლაწვნი მობალახშვიან, აწ ყე კეკლუცანასა.
- 6 ქალსა კოკროქანასა, კაბა ნოქანასა,
ჩემის სევდის მუფარახს, გულთა საოხქანასა.
- 7 სულთა მისაძღვანასა, მე, გლახ, შენისთანასა
ვერა ვპოვებ, შენმა მზემ, სრულად ამ ქვეყანასა.

III

- 1 ჩემო მთვარეო, შენტვის ვარეო,
სრულად მოვლახე თემთა არეო.
- 2 ივერით ტფილოდ, მოსრულსა ჩრდილოდ,
მომხვდი განგებით, ხვედრ გაუცილოდ.
- 3 გიპოვე ჩემო, გულთანა ჩემო,
რა გიძღვნა სულო, რით გაგაჩემო.
- 4 რაც ჰირი ვნახე, არ ვივალახე,
როს განვიცადე მე შენი სახე.
- 5 მეჩვენა მნათად, მზის მოკამათად,
თვალი მელანად და წარბი სათად.

- 6 ღაწვნი ვარდებად, ბაგი ლალებად,
კბილნი მანგებად, ღაუთვალეზად.
- 7 ყელ-ყუნი ბროლად, საფრფენ-სათრთოლად,
მშობელთ სატრფოლად, სულისა ბრძოლად.

IV

რუსული ხმა

- 1 ვაქო პირად ბადრია, განა თუცა აღრია,
მაგრა ველარ მოვითმენ, შვეიქმნები მკადრია.
- 2 უცხო თავ თხემიანი, ქალი გიშრის თმინი,
ვეცხლებრ ჩარხულს ყურებსა უშვენებენ იანი.
- 3 შუბლსა აღგას შუქები, მკერეტელთ სასალუქები,
თუ შვეიძელ აღმოცობა, ვექვ არ დამრჩეს უქები.
- 4 წარბი მშვალდად ზეული, კილო წამოწეული,
მკერეტელთა სწყლავს წამწამნი ისრად გამოსეული.
- 5 ნარგიზ ფერი თვალები, ეშყით დამამთვრალები,
მოიტაცებს ანაზდად, ტრფილთ შეუწყალები.
- 6 ბროლ-ბალახში ღაწვები, მას ზედ ხალნი პაწები,
მეტის სიტკბოებითა შაქრად არის საწები.
- 7 ცხვირი მოფუნჩვილია, მაგრამ ჯერეთ ჩვილია,
ნუ გაპკიცხავთ, აცადეთ, არ ექმნება დღენილია.
- 8 მისი ღალის ბაგები, ფერად უცხო, კარგები,
სულისა საამოი, კოცნით გულთა მარგები.
- 9 კბილნი გამოკვირობენ, უფასობენ, ძვირობენ,
მიჯარულნი მიწყობით, მნახველთ გააკვირობენ.
- 10 სიცილი თუ ღიმილი, ნაზად ტანის კიმილი,
ჩემთვის არის ზეგარდმო, უკვდავების წვიმილი.
- 11 ვიშ რა ღაბაბ ყელია, გულ ქირთ უქუმყრელია,
ვით არ მმართვეს გავიქრა, შენთვის ვიყო ხელია.
- 12 გულო, ბროლის ფიქალო, სპეკალთ გამაქიქალო,
თვამს თავი იღიღო, იქართველო, იქალო.
- 13 ძუძუთ პაწაწობითა, შვეამოკლებ მკობითა,
თვარე მისა მკერეტელსა, გამომიყვანს ცნობითა.
- 14 მკლავნი აღვის შტოობენ, ოდეს განმარტოობენ,
მშობელთ წელთა შეიხვევს, ამით არ მარტოობენ.
- 15 ხელნი ღბილნი, ფუნთუშნი, ვის უყვარან კუნტრუშნი,
თითნი-ფრჩხილნი ზარაფნი, მონაკთობენ, ვით ნუშნი.
- 16 მისსა ტანადობასა, ნაზად ღამაზობასა,
ოდეს ღმერთი მომასწრებს, მაშინ ვიწყებ მზობასა.
- 17 ქალი მოსკოვს შობილი, მამისავან მკობილი,
თავით, ტანით ტერფამდე, ესრეთ იყოს ცნობილი.

- 18 ოდეს აღძრავს ენასა, გულსა მისცემს ლხენასა, თუ გაუძელ, არ მოუპყვდი, სირინოზებ სტვენასა.
- 19 ხმისა სიტკბოებითა, ვინცა არა ბნდებითა, მოისმინეთ მუსიკნო, გეტყვი დაქადებითა.
- 20 მრავალ გვარად ხმობითა, მერცხლებრ ჭიკჭიკობითა, კაცი უნდა გამაგრდეს, არ განაძოს ცნობითა.
- 21 ვით ბულბული სტვენითა, ყეფა მოუწყენითა, საამოვნობს სასმენელად, არ დასცხრებნის ენითა.
- 22 მკლავს სიშორე წამისა, პირზე ტან-ლეღწამისა, მე სურვილით ხელობა, ვისთვის დამეწამისა.
- 23 ვინ ვისია ტრფიალი, უსვამს ეწყის ფიალი, მით ზარხომობს, ვერ არჩევს, მზე არის თუ ციალი.

V

- 1 სულის ყვავილო, გულისა ვარდო, შეების წალკარო, მოსანავარდო.
- 2 შენგან მომეცა თვალთა ჩენანი, გავამუსიკე მისთვის ენანი.
- 3 ამად მეტრფობი, მებულბულები, ვარდი ხარ, ბუტკეთა დამალულები.
- 4 ოდეს რა გნახავ აკოკრებულსა, ბაგით გაგფუჩვნი ფერად ქებულსა.
- 5 სულსა ვიყნოსებ სუნნელებულსა, არომატისა აღმატებულსა.

VI

შ ა ი რ ი.

- 1 მრავალნი დასხდენ საქებლად, ამქვერამეთქვეს ენები, ვინ ვისი იყო სამკობლად, შესხმითა გამომჩვენები, ზოგთა მოგვითხრეს საზეო, ზოგთა ამბავი ქვენები, და მე წილად მომხედა ასული აღერსით მოსახსენები.
- 2 აწ ეს აღმობდა ცისკრისა ვარსკვლავად, მანათობელად, მთვარისა შუქთა მკლებელად, ციერთა დასამზობელად, ორიონს კარი დაუხშა, მზის სხივთა დასაკროთმელად, და მათ სძლივა, თვითონ შეიქმნა შვიდთა ცთომილთა მფლობელად.
- 3 მან მიულო მზესა სხივი, მთოვარესა შუქებია, ერშაა ჯობნას ეცილება, დია დარჩა უქებია, ასპიროზი ველარ ნათობს, კრონოსს უმსუმუქებია, და მარინს ხმალი ჩამოართო, სისხლთ სმა მიუჩუქებია.
- 4 შეუშეკობ თავსა თხემითურთ მას ქალსა პირად მზიანსა, უშეგნის შუბლი სპეტაკი, შავ თვალ-წარბ ნარჯიზიანსა, დაწვნი ყირმიზნი მუჟოებელთ განაკრობს, მისცემს ზიანსა, და ცხვირ სოთი, ბაგე ბადახში, კბილთა ჩენს ლაშაზიანსა.

- 5 მშვილდად ზეულს აჯაფ წარბსა კილო ჟეხოდ შენასკოდა,
თვალ ყორანთა წამწამები ისრად ფრთითვე დაემკოდა,
ფარვით ტყორცით მსწრაფლად მხობელს, მკერეტელთ გული დაეკოდა,
და ველარ უძლეს გაებედათ, ლახერის პირი მოექკოდა.
- 6 შავისა ზღვისა მორჩესა შიგ გიშრის ნაენი ნაობენ,
გარს მოღარაჯედ ინდონი უსხენან, ამად ზაობენ,
მისთა ტრფიალთა უწყალოდ მოსწყვლენ და არა ხმაობენ,
და საწყლად იწვიან ბედკრულნი, ტირიან, ვაი-ვაობენ.
- 7 მიკვირს ზილფ-კავთა მიფუტკენით მიგრეხილ—მოგრეხილობა,
ბროლ-ბალახშ ლაწვთა სუქბულის ბანდებთა მოხდენილობა,
ყელ-ყურთა შეცე-შებედვა, გიშრისა ტილოს მსხეილობა,
და ფშვავ არომატებ სუნელიად, მყნოსელთა გაუფრთხილობა.
- 8 მამაგებს მისი ღიმილით პატარა ბაგე ლალები,
ნუშად პობილთა კიდურთა უკვდავებისა წყალები,
მარგალიტისა ბუდები მოჩანან დამალულები,
და ველარ მიქია საფერად, მომაკლო სიტყვის ძალები.
- 9 გული ბროლისა ფიქალი, სასურვი სახედველადა,
უებრო მკერდი ტურფისა ჩანს ასფოდელოს ველადა,
მას ზედან ორნი მთიებნი შეენიან საკვირველადა,
და მკერეტელთა დასაკრთომელად შუქი აქვს გარე მცველადა.
- 10 იგია მთენთა მნათობი, მას ვერვინ შეედარების,
კეკლუტთა ჯართა ჯილობა უცილოდ შეეფერების,
არა ჰყავს სწორი ქვეყანად, ვფიცავ, თუ დამეკერების,
და ცით ჩამოჭრილა ტატანი, რონინებს, ენარნარების.
- 11 მისთა ტრფიალთა ახელებს ნარგიზთა თვალთა ფერობა,
წამწამთა ისრად დაკახმა, გულმისისლობა, მტერობა,
ვერ გაუძლიათ ყურება, სულსა ჰხდის მშვენიერობა,
და ცულ ჰქმნილა მათთვის სიცოცხლე, საღილობა და სერობა.
- 12 ვინცა ნახავს ეკვირვების მისი ეგრე შეენებანი,
შექმნებათ შეცილება, ნიშნება და ჩვენებანი:
„ესეიაო—მან დაიწყო—მთიებრ აღმოცენებანი,
და არ მოგვაკლოს ყურებასა, ამად გემართებს ქენებანი“.
- 13 უკერეტენ, მაგრამ ვერ შინჯვენ, არა აქვს თავი ხელადო,
სანდომით მოტაცებულან, ხელნი მირბიან ველადო,
ზოგნი დამთვრალან ეშყითა, გამოფხიზლდებთ ძნელადო,
და მეც დავზარხოშდი სურვილით, შევიქენ ვასაქრელადო.
- 14 მელნის ტბათა მოხვევია ზანგთ მარზიკნი გარე ჯარად,
მიჯნურთათვის შეუწყალად ატეხილნი საომარად,
ისწრაფიან დასახოცლად, ფიცხლად გულსა ვასაჯარად,
და არვის ურჩევ მისაწვევლად, საალერსოდ, საუბარად.
- 15 ლაწვს ასხენან ინდნი ხალად, ემოყვისან მას მზახალად,
უშვენებენ ბაგეს ლალად, მარგალიტთა დასაკრძალად,
ღაბა-ყელნი კრთიან კვალად, შუქისაგან დაუმცხრალად,
და მოიტაცებს მკერეტთა ძალად, ეშყისაგან შეიქს მთვრალად.

- 16 აქვან ტუჩნი განაფუნჩნი, ფერად ლალნი გაუთალნი,
სიტყვა ტუბილნი, განწყობილნი, ხდიან მზრახველთ დასამთერალნი,
და მისთვის ხელნი, დაძნახველნი ვართ შვენიებით დაცამკრათალნი.
- 17 ქალო ნაზო და ლამაზო, კეკლუტო, სანდომიანო,
პირად ბროლ-ბადრო მთიებო, დაწვე ვარდო ციმციმიანო,
ტანად ზარიფად ნაზარდო, ზე ჩაშლით გიშრის თმიანო,
და შენმა მზემ, შენსა მქებელსა ენა არ დამებმიანო.
- 18 აჰა ქალო, ბროლ-ფიქალო, ტურფაო და გვარიანო,
ვით შეგამყო, რას გადარო, ქებად მიუმხვდარიანო,
შენთვის ტრფივალთ, გლახ, სამართლად ლზინი გაიმწარიანო,
და ვინცა გმორავს მზეო, მათთვის ვეჰე პატიჟად კმარიანო.
- 19 ქალო კეკლუტო, გიხდება ამაყად მოარულობა,
წელთა წერწეტთა ნაოკით კეკელად ცოკაზმულობა,
მნათობთა პირთა გავსება, მთვარულად მობადრულობა,
და აოცებ შენთა მქერეტელთა, შენი შვენიებით სრულობა.
- 20 ბროლის ველზედ წარბი სათა, თვალი შავი მელანია,
გარს გიშერი წამწმად უსხდეს, მოდარაჯე მცველანია,
დარაზმულან სამეისხლოდ, ისარს ისერის ყველანია,
და გულსა მათგან დაკოდილსა აღარა აქვს შევლანია.
- 21 სხვა ვინ აღიძვრის უშმაგო შენს სატრფოდ ელისაბედო,
ლამის გამაქრო სურვილით მინდორს ხელთათვის საბედო,
ვარდის მოახლემ ბულბულმა სიშორე ვითლა- გაებედო,
და რადგან ტალკეესობ საწვაგად, ხამს თავი გავიბედო.
- 22 არ მინახავს სხვა ეგრეთი ტანი ტურფა მრხვეელისა,
ხელი, მკლავი, ძუძუ, მკერდი ჯერეთ შეუხვეველისა,
ბაგე ლალი, დაწვი ვარდი, ჩემი ჰკუა მრთმეველისა,
და თვალი, წარბი, შუბლი მშვენი, ქება მოულებელისა.

VII თათრული ხმა

1

ჩემს ქალს მივმართავ გულ სევდიანი,
მას აქვს საშვებლად კარი ღიანი,
შევალ, დამხედების ვარდი, იანი,
ფერად ტურფანი, სულნელიანი,
ბულბულს ჰკლავს ვარდთა ნახვა გვიანი.

2

მისგან ვეწვევი გულის ნებასა,
მყისვე განმიძებს მოწყინებასა,
თამამად შევიქ წალკოტს რებასა,
უქებ ყვავილთა ფეროვნებასა,
ბულბულს ჰკლავს ვარდი, უშლის შეებასა.

მუნ აქვსთ ყვავილთა ერთად ყრილობა,
 ამაყად, ლალად გაფუჩნილობა,
 ზოგთა კოკებება, ზოგთა შლილობა,
 ერთმანერთისა ჯობნის ცილობა,
 ბულბულს ჰკლავს ვარდთა მოთაკილობა.

ნარდიონს უქო თმად ფშვიერობა,
 ნარგიზს უხდება თვალთა ფერობა,
 არღევანს შვენის ლაწვთ ელვარობა.
 ზამბახს გაეს ცხვირის სოთიერობა,
 ბულბულს ჰკლავს ვარდთა ნებიერობა.

მიხაკს უღარო ტუჩნი, ბაგენი,
 გუნდსა ყელ-ყურნი, უცხოდ კარგები,
 სუმბულს ზილ-კაენი, მყნოსელთ მარგები,
 წინობს სითეთრე გულთ მაშმაგები,
 ბულბულს ჰკლავს ვარდი წილად ნარგები.

სოსანი ტანსა ეჯუფთებოდა,
 ნეგოს ხელ-მკლავთ სხმა ესურვებოდა,
 იას ზრო წელი შეშურვებოდა,
 ქურუმას ელდით ფერი ჰკრთებოდა,
 ბულბულს ჰკლავს ვარდი, არ ეხსნებოდა.

ტუხტსა უხდება ტანს ჩაცმა კრელად,
 შაშპრას ზოსტერი შეურტყამს წელად,
 ყაყაჩო შურით გაქრილა ველად,
 ადრაგუნა უდგს სხვათ კართა მცველად,
 ბულბულს ჰკლავს ვარდი უშველებელად.

ოენას შვენის გაფეროზება,
 ესანთელა, მით კრეცხლად ეგზება,
 კოჩი-ვარდს პირი ელამაზება,
 იასამანი მას ეკაზმება,
 ბულბულს ჰკლავს ვარდი, არ ენაზება.

ფერისულა დგას ჯარად და ჯარად,
 იაკოსტა სჯობს სხვად მემოზარად,
 შხისუქვრიტაი თავს ხურავს ფარად,
 ნასრანს ოროლი ხელთა აქვს მარად,
 ბულბულს ჰკლავს ვარდი ბალს გაუზარად.

* * *

- 1 იქმენ მშვიდ, წმინდა კულითა, სიყუარულითა სრულითა, რაც შენ გავნებდეს—ნუ ავნებ, სრულ იყავ მოყუასთ სჯულითა, აღზარდე შენში სიტკბონი, თვითუე დაგატკბოს სულითა, სხუათ ავნებ, თვითცა ივნები მართლ საუკუნოდ წყლულითა.
- 2 თვით თავისათვის სიყუარულს მოაქვს მშვიდობა, შუებანი, დაინდე, დანდობილ იქმნე; განაგდე მზაკუარებანი, დაიცევ სხუანი ქებითა, თვით განიმრავლო ქებანი, სიძულელს შორით განეცლეთ, დაშრიტე ალთა ხუებანი.
- 3 ეს ვუწყვი: ესე სოფელი ველსა ჰგავს ყუაგილოვანსა, დროს მოუხიდავს, მოსულა მდაბალთა ანუ კლდოვანსა, ღამი ორთავე დააქნობს, მოშორდეს დღესა მზოვანსა, რადა ჰსთქუას ერ.მან: „მალლა ვზი, შენ ცუდსა დაბალოვანსა“.

მზეთა-მზე

(ნაწყვეტი)

- 1 ეო, მეო, დავითს მივბაძეო, გამიგონე რას მოგითხრობ, ყური მამიგდეო, ყუელას მოგწონდესთ შუენებით ჩემი მზეთა-მზეო, არავინ არის სახითა მისგან უკეთეო, დიდად არის საყუარელი, ჩემგან იცოდეო.
- 2 ასეთი შუენიერია კილით-კიდემდეო, ანათებს უფსკრულამდინა მიუწთომლადმდეო. შენ ესე მზე ნუ გგონია, ამას ვამბობდეო. რომელიც აქა ანათებს, ქუეყანათამდეო! მაგისი შუქის მიმცემი არის მალლა ზეო.
- 3 არავინ არის მისთანა, აზად ამკობდეო, ცასა და ქეყანაშია ყუელას უდიდეო, გამოგიცხადო ამბავი, აქეთ მამხედეო, ვინც არის ჩემი მზეთა-მზე, მოდი გეტყოდეო: ღმერთია ყოელის მპყრობელი უკუნისამდეო.

მიჯნურთ ბაღე

[შესავალი]

- 1 ახლა გამოვჰსჩნდი, დამერქო სახელად მიჯნურთ ბაღეა, გულდაკოდილთა აშიყთა სალხენად დაეიბადია, ვინც რომ მესტუმროს დაეათრო, ვასვა ეშყისა ბაღეა, თუ ავად დაეხვდე, ნუ დამგმობთ, არა მშურს რაც მბაღეა.
- 2 მოლით და ჩემგან ისწავეთ გაქრა, ხელობა ველადო, აღვილად ნუ გჩანსთ უგვანთა, საცოდნელია ძნელადო, თუ მიჯნურნი ხართ გამოჰსჩნდით ბარამის საქმის ქმნელადო, თუ არა, ნუ ვინ ახსენებთ თქვენს თავს მიჯნურში ხელადო.
- 3 მართებს მიჯნურსა ზნეობა, სიბრძნის ზრდილობა სრულითა, ჰშუენება, თვალ ტანადობა, სიმშვიდე მდაბლის გულითა, მორქმა, სიმდიდრე, სიუხვე, კარგად გაწყობა ყულითა, ძალ-გულოვნება, მხნეობა, მასთან სიწმიდე სულითა.
- 4 მიჯნურნო, ახლა გამოჰსჩნდით, რომელნიცა ხართ ქველადა, მოედანს ვადით თამაშად, ჩოგანი ცუდად ძე რადა? შენზედ შევჰკრიბნე მნათობნი ქურეცად, თამაშად, მზერადა, შენის სურვილით შეჰქნოდესთ ლაწვი ზათრანის ფერადა.
- 5 ჯირითის სროლა გშეენოდეს, კარგად გაქნევა მკლავისა, ცხენილამ მიღმარ გარდავდო, გამომეტებით ჰკრა ვისა, ამხანაგთ ჯობნა გშეენოდეს, ზედან დათხოვნა დავისა, ამაყად რბევა ცხენისა და მოწონება თავისა.
- 6 წერწეტს წელს კარგად უხდება გაწყობით მშვილდი, ისარი, შენზედ ცილობდენ ყველანი, ამბობდენ: „ავერ, ის არი“, სადაც წახვიდი, შვენებით სულ განანათლი ის არი, შენსა ტრფიალსა დაეხვას გულსა სიშორის ისარი.
- 7 შენს მშვილდოსნობას ჰკვირობენ, ქებასა ვაიძახიან, რასაც მესტყორცნი, დაცვის, ცოცხალნი ვერვინ ნახიან, შენის ტანისა სურათი მიჯნურთ გულს დაისახიან, შენთვის ვაქრა და ხელობა არვისგან დაიძახიან.
- 8 შენ გტრფიალობენ მნათობნი, უსულოდ დაედებიან, გულსა გიდღუნიდენ სამუდმოდ, სუმბულს ქოჩორსა ებიან, ლამაზნი, ტურფა კეკლუცნი შენის სურვილით დნებიან, ბევრი ამ სოფლით გასულა, ბაზიყას გვერდთა ჰხლებიან.

9 თუ რომ ეს სრულად არა გკირს, ნუ იტყვი მიჯნურობასა, ნუ მისცემ გულსა საკუდავად შავსა ლახუართა სობასა, შენთვის იყავ და დაეხსენ მიჯნურობისა თმობასა, არ დამიჯერებ დაჰსწყველი შენს გაჩენას და შობასა.

აქა ჰამბავი ქაჯთა მეფისა

- 10 ქაჯთა მეფე ზის მორკმული, მალალი, ერთობ სვიანი, ლომისა მსგავსი კაბუკი, ტან სარო, პირად მზიანი, გამცემი, უხვი, მდაბალი, ზნე სრული, ერთობ ჭკვიანი, მტერზედა ალაღებული, არვისგან შესკირს ზიანი.
- 11 ჯერ ახალ ნორჩი ყუაილი, ედემში განაზარდია, უცხო შეენებით, მდიდარი, კეკლუცი, პირად ვარდია, მოლხინე, ნადიმს მჯდომელი, გულსა არა აქუს დარდია, მისმან მზემ, მის წინ საკუდავად მომზადებული ვარდია.
- 12 მოსამართლე და მოწყალე, ობოლთა შემწყნარებელი, ტყვეთა დამხსნელი, გამშუები, გლახაკთა აღჰავსებელი, მოგზაურთა და უცხოთა შემწყნარე, გამაძლებელი, უჩრთა რისხვისა მიმცემი, ამკლები, დამავსებელი.
- 13 ომისა ჟამსა სიუიციხით ვეფხვი ვერ დაედარება, ლომსა იმისის შიშითა ქანგნი დაჰსცივია არება, ასეთი ხმალი შემოჰკრის, გვეგონა თავი არ ება, რომელიც გარდაეხეწის, გულში შეეჰმნის ხარება.
- 14 გვერთ ახლავს ქაჯთა ლაშქარი საომრად დეკაზმულია, მამაცნი ტურფად დაჰრთულან, ტინისა უძეთ გულია, ხელთ აქვსთ შუბები მტერთათვის საკუდავად დამახულია, მათის შიშითა უკრავად ბევრმა დალია სულია.
- 15 ვერვინ დაუდგნა მებრძოლმან, ვინც ჰყუნდა ქვეყანაზედა, ყოვლს ქალაქს ხარჯი გაჰსწერეს, ბაჟს იღებდით კარზედა, ხარაჯა დაჰსდვა, აილო არარატისა მთაზედა, ლაშქარზედ გასცა ურიცხვი თავის ერგულსა ყმაზედა.
- 16 ქაჯეთს მობრუნდა მორკმული, მტერზედან ალაღებული, მოჰყუნდა აქლემის ჯოგი, ლართა აკიდებული, სხუა საგანძური ურიცხვი, სალაროშიგან დებული, მივიდა მისსა ქალაქად ლხინით, დიდებით, შვებული.
- 17 აწ რა გითხრა ამ დღის ქება, ქებამ იმ დღეს დაამატა, მჭურეტელთ რაზმი დაჰრილიყო, ერთმანერთში ჰქონდა ჟლეტა, ბანოჯანთა სიტურფემან თუალი სრულად გაარეტა, მაშინ მამხვდა სასიკუდილოდ, გულს ლახუარი დააკეტა.

აქა ჰამბავი პირუელი ფრანგისტან კაბუკისა

- 18 მათში ერია უცხო რამ, რა ვნახე ცეცხლი ჩამიგზნო, ცხენილამ ძირს ჩამოვარდი, გულსა ლახვარი გამიგზნო, რა შემოხვდა, მაშინვე ანაზდელულად მანც იგზნო, ჩემისა სიბრალულითა მანცა სახმელი აიგზნო.

- 19 ქებას მკითხავ, რას ეამჰსგავსო, რა მინახავს მისი დარი, ტანად საროს მოარულსა, პირად მზესა შეუდარი, უსასყიდლოს მარგალიტსა დააბნელებს მისი დარი. მისთვის ვჰკულები უხვად შნოდ, მამიმზადეთ მე სუდარი.
- 20 მთა მოსუგამს ანდამატისა, სუმბული ამოსულია, მუშავა ხს თმასა ხუქუქსა ჰსდის მუშვი ამბრის სულია, ფურჩენილსა კავს და ზილფებსა ზედ გამოვები გულია, იმისი მონა შევიქენ, მისმა მზემ, მისი ყულია.
- 21 ზედ ნარგიზი შეხვეოდა, აშვენებდა სრულად ევლსა, მნახველს ცეცხლსა მოუღებდა, ახელებდა მისთვის ხელსა, ამბობდე თუ: «ვინ ელირსოს ამას, საწოლს მონახელსა», მისთვის მოვჰკუდე, არა მგამა, რატომა მჰგმობთ მის მნახველსა?
- 22 მეღნის ტბა იღვა გავსილი, ბროლი ეხვია ზღუდეთო, ვარდისა მსგავსსა ნამს აფრქვევს, ტრფილანო, ნახვად გსურდეთო, შარავანდს ხედვა მისტაცა, ცოტასაა ჰხედავს ბრუნდეთო, მის მიჯნურს მისთვის სიკუდილი, მისმა მზემ, სწრაფად უნდეთო.
- 23 წამწმად ჰქონდა გიშრის ტეერი, კათ მეისხლე გულ უტეერი, ზანგთა რაზმი მონაკაზმი, ჩემს საკულდავად მონატეერი, ის როს მესერის, სისხლით შემსერის, გამეყრება გულს უტეერი, იგი წავა, საწოლს შევა, მე დავრჩები დანატეერი.
- 24 ვარდის ბაღი გაშლილიყო, გამოჰსჰვირდა ვითა ლალი, ერთმანერთში არეოდა ბროლსა მინა გაუჰქრკალი, უსასყიდლოს თეთრს ალმასსა ზედამ აჯდა შავი ხალი, მისმან ეშყმან ამათროლოა და მომედვა გულსა ალი.
- 25 ბავის სიმცრომ და შეენებამ გული ჩემი იავარ ჰყო, შიგ წყობილმან მარგალიტმან ცისკრისაგან შუქი გაჰყო, ენამ ტკბილად მოუბარმან უსამართლო ჩემზედა ჰყო, არ ვეწყალვი სასიკუდილოდ, მე ცოცხალმან როგორ დავეჰყო?
- 26 მთუარე ვნახე გავსებული, გარს მოეელო ვერცხლის ჩარხი, ზედან სხივი კამკამებდა, ბნელს უკუნში დასანახი, სიკუდილზედა მივეწური, თუ ის პირმზე ვერა ვნახი, აწ გამყარა საწუთომან, სიციცხლეა ჩემთვის ჩმახი.
- 27 ორო პაწაწაე ნარინჯო, ბროლზედან ამოსულო და, ალმასის ბურთონ ძვირფასნო, კლდიდამე გამოსულო და, ალვაო, ნახად მრხეველო, ნატიფო, კარგ უსულო და, ამდენს ჰირს როგორ გაგიძლებ, არ ვიყო თუ უსულოდა?

აქა შევიგნათ, თუ ფრანგისტან ჰაბუქი ვინ იყო და ანუ ვისი გაზრდილი იყო, ანუ ვისის გვარისა

- 28 გული, გონება მიმილო უფრჩენელმა ვარდმა, იამა, მაშინ დამესვა ლახარი, გულსა სახმილმა იამა, უმისოდ სევდას ვერ დამჰხსნას საკრავმა, სამაიამა, მისთვის გაქრა და ხელობა მისმა მიჯნურმა იამა.

- 29 მუნ იყო ვინმე კაბუკი, გაზრდილი ქველთა მეფეთა, მათგან შვილურად ნაწვართი, ხანზმული მისთა სეფეთა, შვილი დიდ გუარის თავადის, განთქმულის საიაფეთა, მისისა დანახვისათვის ბეკრი კეკლუცი ეფეთა.
- 30 თვრამეტის წლისა შეიქნა, ვით გავსებული მთვარია, ამბობდენ მისნი მნახველნი: „როსტომის შესადარია“, ვინც შემოხედის მებრძოლმან, თავზედ დაეცის ზარია, მისისა სიყუარულითა ბევრმა კეჟუ-ცნობა არია.
- 31 მისთ უფროსთა ტკბილად უჩნდა, არ იყუნიან მაზედ ძვირად, მისნი სწორნი მასთან იყუნენ, ლხინს ნახვიდენ ერთობ ხშირად, მულამ მინდორს დადიოდნენ, აქეზდიან მონადირად, მისკან სროლას ჰსწავლობდიან, უყურებდენ ზოგნი მზირად.

აქა ფრანგისტან კაბუკისაგან ჯერნის სიკუდილი, მისის თუალეზის ნახუა, საყუარლის მოგონება, მოთქმა და ტირილი

- 32 ერთი მორბოდა ჯერანი ლიკლიკა, მალა მხტომელი, ფიცხი ისარი შევსტყორცე, ანაზლად მოსაკდომელი, გარდავხედ, ვიყავ საწყლისა თავის მოკვეთის მდომელი, დავხედე, ფიცხლად მომედუა სახმილი დაუშრეტელი.
- 33 ენახე უცხო შავი თუალი, სასიკუდილოდ მოხუქილი, ზანგთ ლაშქარი არეული, ოთხიე რაზმი მოფუშვილი, ნარგიზს ფერი აღარ ჰქონდა, ჰსდგა საწვიმრად მოქუშვილი, მაშინ შეეჭენ თავში ცემა, ცეცხლმა დამჭუა, ვითა ცვილი.
- 34 მოვსთქვემდი: „ნეტარ რად მოგკალ ლამაზო, უცხოვ სულა და, უცხოვ, შევნებით მდიდარო, ამაყად მოარულო და, ნაზო, ნატიფო, ზარიფო, მარინად დასახულო და, შენის მიჯნურის მომკულელო, სამუდმოდ დაკარგულო და.“
- 35 ვა საყუარელო დაგკარგე, მე, გლახ, რა ვჰქმნა უშენოდა, გული დავჰსდვა ისრის საგნად, ზედ ლახვარი უშენო და, თავი კლდესა გარდვიქციო, სასაჟულაო უშენო და, აღარ მინდეს ეს საწყუთო, არც ვიცოცხლო უშენოდა.
- 36 ვამე დაგკარგე ძვირფასო, ანდამატისა ქვანო და, ვი სუნს აღარ მაყნოსებ ხუქუქო, გიშრის თმანო და, ვი ველარ გიქურეტ ტან-საროვ, ელემში შესაყუნარო და, ვამე დამაგდე ულხენი, მომცემო პატიჟთ-თმანო და.
- 37 ვა ბროლის ველო გაშლილო, ალჰასის შუქთა სადარო, ვა შავო შვილლო მობრილო, მსროლად ფრიდონის სადარო, ვა ეკალ-მუხის ისარო, ჩემს გულსა შიგან სად არო, ვი ნარგიზო შეყრილო, მიჯნური ველოდ სად არო.
- 38 მელნისა ტბაო, მხედველო შავარდნის უკეთესადო, ზანგთა ლაშქარო შეყრილო, გწადს ჩემი სისხლი შესო და, ინდთა ნასროლო ისარო, როდემდის გინა ესო და, შავ გულო, მისგან დაქრილო, გრძლად უნდა დაიკვნესო და.

- 39 გიშრის მშვილდო მოზიდულო, ჩემს საკუდავად მონახარო, კიპაროზო, ნახად მრხეო, ედემშია მონახარო, ზღვის ლერწამო, შვენიერო, სიმდაბლითა მონახარო, გულო, მისთვის დადაგულო, მუდამ მისი მონა ხარო.
- 40 ვა მოგეშორე ნათელი, შარავანდედო მზასაო. თავს იცემს, მოჰსთქუამს საბრალოდ, პირდაღრეჯილი ზისაო. რა მეგობართა შეესმათ, ხმა მისის ტირილისაო, ფიცხლად მომართეს საშველად, ვინ წინ, ვინ უკან რბისაო.
- 41 პოეიდენენ, ნახეს მტირალი, თავს ცემით გაგლეჯილია, ნარგიზი, იასამანი, სუმბული დაგლეჯილია, უთხრეს: „რა მოხდა, გვიამბე, ნუ ხარ ეგ გარდამჯნილია“, მან უთხრა: „ძმანო, რა გითხრა, ვარ სოფლისაგან რჯილია“.

**აქა გულდასტანის მისლუა ფრანგისტან კაბუკთან ამბის საცნობე-
ლად**

- 42 მოიხმო ერთი მხევალი, ერთგული, მისი მზრდელია, უთხრა თუ: რესე საწყალი რასათვის არის ხელია? რად არის მუდამ ჩემს კარზედ, არაგინა ჰყავს მთქმელია, შენ გეხვეწები, ამ ამბის შეტყობას შენგან ველია.
- 43 ჰკითხე, ესრეთ რად გასრულა საწუთოსა შევებისაგან, ტირილისგან არ დაცხრება, მუდამ ცრემლთა დენისაგან, რა ჰსწყენია საბრალოსა თავისისა ბედისაგან, რაცა გითხრას, მადლი არის რგება შენის ხელისაგან.
- 44 მისსა წინაშე მივიდა ამბისა რასმე მცნეველი, მზესთან გავსილი მთოვარე, ტანად ლერწმულად მრხეველი, უცხოდ გაზდილი, ზნე სრული, ლამაზის სიტყვის მფრქვეველი; ჰკადრა: „გვიცნობე, რათა ხარ მუდამ აქ ლამის მთეველი?“
- 45 ლომო, გვითხარ სამიზეზო, სევდას რატომ შეჰპყრიხარ? სამყოფთაგან რად მოშლილხარ, აქ ლარიბად რათა ზიხარ? მთვარის მსგავსად დამქლობილი, საკვირველად დამქლობილხარ, ლალის ფერად გამჰვირვავი ზაფრანისფრად გარდაცულილხარ.
- 46 რა გიპირს, ნეტარ რა გიმძიმს, ან რა გაქვს მრსაწყენია?, ვჰხედავ, ვარდისა ფურცელზედ ცრემლისა ღვარი გდენია, ქვეშ, ვარდის ფურცლის სანაცულოდ, ნაცარი დაგიფენია, თუ რომ მიბრძანებ სამსახურს, მზა ვარ, მე მონა შენია“.
- 47 — „დაო, გხედავ შენ ჩემთვისა საკურნებლად მოარულსა, სხუა რა გიძლუნა, ფეინდაზად ფერხთ ქვეშ გიფიენ ჩემსა გულსა, იგება რომ შემათვისო, მას ჩემგან მზედ დასახულსა, მისთვის ხელსა ნუ ამომგერის მე საბრალოს ამ, გლახ, სულსა.“
- 48 შეენებამან განმაცვიფრა, მისგან ვიქმენ ასრე დელი, ველარ გავსძელ, გულსა მესვა მე ლახვარი შარანდელი, ღმერთმან ჰქმნა და შენ გიპოვე, იქმნა ჩემი საწადელი, თუ მიშველო, შევითვისო, ვით დედა და ვით გამსდელი.

- 49 იგი მზე არის მიზეზი ჩემი სულთ ამოხდომისა, ვის მორჩილებენ მნათობნი შვიდთავე ცისა ხომისა, ბასრი ლახუარი მესროლა, სწრაფად მომკულელი ლომისა, შენ ხარ წამალი ჩემისა თვალთ ცრემლთა შემამშრომისა.
- 50 შენ გენუკვი, ნულარ მამკლავს, შემავედრე სასურველსა, ეშვისაგან აბეზარსა, მისთვის ხელად გასაკრელსა, სასიცოცხლო სიტყუა მითხრას, სიყვარულით განახელსა, თუ შევიტყე არ მითვისა, მე გავიყრი დანას ყელსა“.
- 51 თქუა: „ზეპირად ვერ შევმართაე მე მაგ სიტყვის მოხსენებას, თუ წიგნს დაჰსწერ, მე მივართმევ, მოვახსენებ დიდსა ქებას, ვეცდები, რომ ღვთით ჩამოგხსნა მაგა ძნელსა გაპირებებას, სწრაფად ამბავს მოვახსენებ, თუ მიბრძანებს თქვენსა ხლებას“.
- 52 ხელი შევიქენ, აწ ხელი საწერელს ხელი ვახელი, ვისთვისცა გული ვახელი, ვერ ვიქმენ მისი მნახველი, მიყუარდა მისი სახელი, ვინ მზედ არს დასასახელი, ის ჩემი მოსანახელი, ნეტარმცა სუბათ ვახელი.

წიგნი პირუელი ფრანგისტან კაბუკისა გულბჰარსა თანა მინაწერო

- 53 მზეო, ღმერთმან ვინ დაგბადა აკრე უცხოს ანაგებად, ლალსა ვაჰედადე გამჰვირვალსა, ქუეშე ბროლსა დანაგებად, გიშრის მშვილდზედ მონაბამსა, ნარგიზ-ქოხსა ანაგებად, მისგან მომხვდა მე ლახვარი, ზედ გული მაქეს ანაგებად.
- 54 მთუარე ვერ ნათობს შენთანა, სინათლე მოაკლდებიან, დაჰსაგრე შვიდნი მნათობნი, შიშით ვერ გამოჰსრნდებიან, შენ შეიხლდე მწუელობა, მზეს სხივი აღარ ჰყვებიან, შენგან შემლილნი მიჯნურნი, ბეგრნი სახმილში დნებიან.
- 55 რა რომ გამოჰსრნდი, ჩემთვისა ედემის კარი გაელო, მარგალიტს ელევა ჰკრთებოდა, სადაფსა პირი გაელო, ჰსწადდა ასპიროზს შენგანა ცოტა შეენება გაელო, შენს მიჯნურს, შენის ნახვისთვის, უნდოდა სული გაელო.
- 56 შენ დაებადე მნათობად, მზე როგორ იტყვის მხობასა, გავისილს მთვარესა შენთანა ვინ უხმობს ლამაზობასა? ასპიროზ, ზოალ, მარიხი ნატრობენ შენსა ყმობასა, მე გამაგიჟა სურვილმან, მიმცა ლახუართა სობასა.
- 57 რაც ცეცხლი მწვაავს განგიცხალო გულსა ჩემსა დაფარული, მზეო, შენი მიჯნური ვარ, ხელი, მინდორს მორაული, მხეტა თანა ვიმყოფები, არ მომივა თვალთა რული, მუღამ ვჰსტირი, ცრემლისაგან ლაწევები მაქეს დაღარული.
- 58 ძლივ გავებდე მოხსენება, პირად მზევ და ტანად ნაძო, შენმა ეშყმა ამაჩქარა, სახლით ჩემით გამამაძო, შენ კარზედა ვიმყოფები, დავერიშს მინდა მიეგბაძო, გეხვეწები არ გამიწყრე, ამ ადგილით არ გამაძო.

- 59 სიკუდილამდის შენ გამსახურო, მონა ვიყო გაუყრელი, თუ გიტყუებო, ყოველ კეთილში მე ვიქნები ხელ უყრელი, გეაჯები, ქარტა მომცე, გულსა სევდის უკუმყრელი, ღმერთს გაფიცებ, არ დამაგდო ზოლოს შენი შეუყრელი.
- 60 სურვილი და სიყუარული. მიჯნურობა მე მკლავს შენი, პირი მთვარეს გაბადრულსა მივამჰსგავსო, მზეო, შენი, უსასყიდლოს მარგალიტსა კუბოდ ლალი აუშენი, გეაჯები, შემობრალო, ქარტა ვნახო მე, გლახ, შენი.
- 61 უცხო ხარ შევნიერებით, ტანსა ლერწმულად არხევდი, ზანგთა ნასროლის ისრითა ჩემს გულს უწყალოდ დახევდი, ნარგზის ტევრსა ლამაზსა ჩემად მესისხლედ სახევდი, მიჯობდა არ ვპშობილვეყავ, თუ რომ ამ ქირსა ვნახევდი.
- 62 უშენობას ველარ გაჰსძლებს, შენთვის მკუღარი გული ჩემი, ნულარა მჰკლავ შენთვის ხელსა, სიბრალული გქონდეს ჩემი, გული მომეც სულისათვის, გამომართვი შენცა ჩემი, სამუდამოდ შეიწირე სიყუარული აჰა ჩემი.
- 63 აწ იგი მიყავ, რაცალა ჰშუენის შენსა სინაზესა, შვილსავ მნათობს დაგაფიცებ, ზოალს, მარბის, მთვარეს, მზესა, უპასუხოს ნუ გამიშვებ მე, გლახ, შენსა მოარზესა, თეარემ პასუხს ველარ მიჰსცემ, ჩემსა მხსნელსა ზესთა-ზესა.
- 64 წადი, უსტარო, მიერთვი, ვინც არის ხმელთა მნათია, პირად ვინა ჰსჯობს მთვარესა, ბროლ-ბალახ-შ-მინა-სათია, ჩემ მაგვირად ხელზედა აკოცე რვა ცხრა-ათია, ნუ მოეშვები, არ მოგცეს უსტარი ჩემთან მათია.
- 65 ბედზედ დაგნატრი ბარათო, მას ჰნახავ შზისა დარათო, ვის უდგა ზანგნი ჯარათო, ჩემს გულში გასაყარათო, კრძალვით მიერთვი წყნარათო, ქუეყნისა დასაფარათო, თუ ჩემი ნდობა შეიტყო, შენთვის კმარს გასახარათო.
- 66 წიგნის წერა გაათავა, თუალთა ცრემლი მოსდიოდა, მიჯნურობის ცეცხლი ჰსწვევდა, ალი მალლა ასდიოდა, გული ხელთა აღარ ჰქონდა, მხეცთა თანა წასდიოდა, მისგან იმედს მოელოდა, სული გვამსავ ჩასდიოდა.
- 67 წიგნი მისცა დაბეჭდილი, ენა დაჰსძრა სავედრებლად, უთხრა: „დაო, შენ გამოჰსჩნდი ჩემის ცეცხლის დამავებლად, გეხვეწები მიხვანიშნო, მე მამყოფო შენს მაქებლად, თავი ჩემი გამსახურო, განძი მოგცე დასადებლად.“
- 68 ქალი აღგა, გაეყარა, მას დაუწყო ცეცხლმან დება, თქუა: „საწუთროვ, რას მადრუნებ, ჩემის დაწვით რა გერგება? მე მომკლავ და მოვიცეენებ, შენ ცოდვა თავს დაგედება, თუ აქ გამყრი საყვარელსა, იქ მომხუდება მისი ხლება.“
- 69 გულდასტან მიდგა მზეს წინა, ამბავი ჰჰადრა სრულია, თქუა თუ: „მინახავს ლომ-გული, ამ სოფლით გარდასრულია, მიჯნურობითა დამწვარი, გული უცს მოისრულა, შენი აშიყი შექმნილა, სიყუარული აქუს სრულია.“

70 წიგნი ნახა, წაიკითხა, გული შეექმნა ორია,
ჰსთქუა თუ: „რა ვარგო ხელქმნილსა, გზა გვიძეს შორი-შორია,
მას მოვჰკლავ, ჩემს თავს დავადნობ, ვიქმნები დასაყორია,
უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ყველამ იცოდეთ, კორია.“

წიგნი პირუელი გულ ბაჰრისაგან ფრანგისტან ჰაბუკთან

- 71 „აწ შევიგენ მიჯნურობა ჩემი, შენს გულს დანერგული,
ვით გაბედე, ვით მომწერე, ვისი შექმენ მე ორგული,
ჩემგან ჰრგებას ნუ მოელი, დააჯერე სწორედ გული,
არ დაჰსდგები, შეიქნები, ვიცი, სრულად დაკარგული.
- 72 ვით გაბედე მოხსენება, ვით არა გწვავს მზისა სხივი?
უცხოობის ხისა ძირი, მიკვირს, როგორ მოარხივი,
გიჯობდა, რომ არ შემეტყო, გული ლახვარს რად ახივი,
თუ ცეცხლი გწვავს, მოითმინე, ქარტა ესე მსწრაფლ დახივი.“
- 73 რა მივიდა, წიგნი ნახა, მუნ აყუაედა, ვითა ვარდი,
სიხარული მოემატა, გულში შექმნა მან ნაყარდი,
პირსა ზედა დაიფარა, გარდაუშვა ყოვლი ღარდი,
ჰსთქუა: „ვინ ჰპოოს, სხვამ ჩემს მეტმან, ქვეყანაზედ მისი ფარდი?“
- 74 წიგნი გაახსნა, წაიკითხა, გულს ლახვარი დაესო და,
სევედა სევედას მოემატა, თვალი ცრემლით ავესო და,
საძარყანი მოითხოვა, ზედ კალამი მოუსო და,
ჰსთქუა თუ: „მზეო, რა გენალულა, მე სახმილი დამევესო და.“

წიგნი მეორე ფრანგისტან ჰაბუკისა გულ-ბაჰრისა წინაშე

- 75 აწ ვიხილე მე უსტარი, გამწყურალიყავ, მზეო, ჩემზე,
კუშტობ, ნაზობ, ანუ ჰსწყრები, ვერსად წაუალ სხვაგან ხმელზე,
სად მისტუმრებ, ვინ ვიპოვო შენი მსგავსი ნეტარ თუ მზე?
არა ჰვერობს შენს სინაზეს, მუდამ წყრომა შენთვის ხელზე.
- 76 მზეო, მხედავ გასრული ვარ საწუთოსა ლხინისაგან,
ვარდას ფერი აღარა აქვს ზამთრის ყინვა-თრთვილისაგან,
ლალი ჰარვად შემიქნია, მთვარევე, შენის პირისაგან,
რატომ ჰსწინობ, წამალს ვითხოვ შეპყრობილი ჰირისაგან.
- 77 მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, შემბდომიხარ რადგან წილად,
პირსა ვჰხედავ უშენიერსა, ზედ ყორნის ფრთას გარდაშლილად,
კავ-ზილფებსა დაფუზენილსა, მიგრეხილსა-მოგრეხილად,
მუდამ მჰსურის თვალთ კერეტა, მისთვისა ვარ ჰკეაზე შლილად “
- 78 წადი უსტარო, მიერთვი მნათობსა. სრულად ხმელთასა;
სალამი ჩემმაგიერი შემართე მზესა-მზეთასა,
მისგან ნაწერი უსტარი მიბოდოს მისთვის ხელთასა,
ჰკადრე, ნუ მწირავს მიჯნურსა, ნუ მამლევს საჰმლად მხეტთასა“.
- 79 ესე წიგნი გაასრულა, დაბეჭდა და დობილს მისცა,
უთხრა:— „დაო, შენს დობასა თავი ჩემი არა ღირსცა,
სხვას უშენოს ქვეყანაზედ შევეხვეწო ნეტარ ვისცა?
რგება შენვე შეგიძლიან, რაზომც ძნელი ჰირი მჰჰირსცა.“

წიგნი მეორე გულ-ბაჰარისა ფრანგისტან ქაბუკთან მიწერილი

- 80 აწ მზემან ლოჰსა სალამი შორიდან შუთეალოსა, გაბრწყინდეს პირი მთვარისა. და ლაწვი გაილალოსა, მასის საყუარლას სურვილი დაჰფაროს, დაცამალოსა, ეინც რომ ერთმანერთს უმტყუენოს, კევისაგან შეიცვალოსა.
- 81 მე, შენთვის ხელმან ტრფიალმან, მოგიძლუნ ქარტა ესია, სიყუარული და ერთობა შენი ჩემს გულსა ჰსთესია, შორს ყოფნა მკლევდა, სიახლას ცეცხლი მწვეავს შურკელესია, თუ რომ ფიცს მომცემ, ვერ ჰპოვო სხუა ჩემგან უკეოესია.
- 82 ვერ გაეცხადე აქამდას მე შენი სიყუარულია, ვეკობ მიწყრები, მეძღურვი, გაკლია ჩემხედ გულია, უწყის ზენარმან, შევიქენ მე შენთვის დადაგულია, მაგრამ მეშინის, არ ვიქმნა ორს სოფელს დაკარგულია.
- 83 ჰმართებს მამაცთან დიაცსა თავი ჰქონდეს დაკრძალულად, არ დააჩნდეს მიჯნურობა, გულსა აქუნდეს დაფარულად, ერთმანერთსა იგონებდენ, ორნივე იყუნენ მოყვარულად, თუ განცხადდა სიყუარული, შეიქნება გაბასრულად.
- 84 აწ ესე, ჩემგან სირცხვილად, ჩემს გულსა ზედან კმარისა, მაგრამ მასშია, გდენია ნაკადი ცრემლთა ღვარისა, ნულარ ჰსტირ, კმუნვა დააგდე, სალხენად ესეც კმარისა, ღმერთი ვჰგმო, თუცა შენს მეტის მწადდეს მე შერთვა კმარისა.
- 85 გული მოგცე გაუყრელად, არ გაგყარო ერთი წამი, ვარდად გიძლუნა ლაწუნი ჩემნი, გიშრის ტევრად მუნ წამწამი, ლალად ბაგე შეენიერი, ტანი ნაკუთი, ვით ლერწამი, შენც მენუქვი სიკუდილ:მდის, სიყუარული დაიწამი.
- 86 ესე კმარს ჩემგან პირობა, სხუა რალ მოგეწერების, უშენოდ თავი არ მინდა, ღმერთს ვჰფიცავ, დამეჯერების, ჰსჯობს, რომე მსგავსი მსგავსს მიხუდეს, მზე მთვარეს შეეფერების, ეინც ნებით ვარდი გარდაგდოს, ღმერთიმც მას დაემტკრების.
- 87 გასრულდა შენი თათბირი, გექმნა წადილი ნებისა, მოგფინა შუქი მთვარემან, მის ნათლად ნავანებისა, გაშალე ვარდთა წალკოტი, სიცხით ნულარა დნებისა, ლხინი მოვიდა, მოგეცა დრო ქირთა განკურნებისა.“
- 88 ბრძანა: „პასუხს ამის მეტსა ვერას მივჰსწერ, შენცა იცი, შენ მიდი და ჩემ მაგიერ სიყუარული დაუმტკიცე, თუ უტყუევო, სასიკუდილოდ მე ლახუარი გულსა ვიცი, მასცა პირი გამოართვი, შეჰფიცე და დააფიცე.“
- 89 ენახე დობილი მოვიდა, წიგნი მომცა ვით ჩაუქმა, თქუა: „შეიქენ მხიარულად, აღარ დაგწვა მზისა შუქმან, ღმერთს უნდინხართ შესაყრელად, სხივი მისი შენთვის უქმად, მუშე-ამბრისა სუნნელემა მუნ გაყნოსოს ზილფთა ბუქმან.“

- 90 წიგნი ვნახე საიმედო, მე დამიწყო ცეცხლმა შრეტად,
ვით ვიამბო სიხარული, აღარ ვიყავ ხელი რეტად,
თვალთა ზედა დავიფარე, სადღა მცალდა მზისა ქვრეტად,
პირი ვარდალ შექმნილიყო, ქარვის ფერი ლაწვნი--სპეტად.
- 91 ამა ამბისა სმენითა მე მომემატა ლხინები,
ვქსთქვი თუ: „მელნის ტბის წყაროო, დაშრი, ნულარა ჰსდინდები,
აწ გამოიხსენ ტყვეობით, გიშრის ქამანდით ვინები,
მსწრაფლ განმაშორობ კაეშანს, ლხინად თუ მოეფინები.
- 92 აწ ვნახე თქვენი უსტარი მანათობელო მზეო, და,
არ მამსწრებოდა, უთუოდ სული გვამს გაერჩეოდა,
მიგჰსწურვილ ვიყავ სიკუდილისა და გულიც დამეტყვეოდა;
მაგრამ რით გაჰსძლოს მიჯნურმან, თუ ხელი არ მოგხვეოდა?
- 93 ამ დაკოდლის გულითა, მზეე, ამოიღე ისარი,
ლაწვთა ელვამ და ციმციმმან სრულ განანათლის ის არი,
მელნისა ტბისა გარშემო წამწმად გიშერი ისარი,
მისი ყურება გამკურნებს, ჩემი აქიმე ის არი.
- 94 წიგნი მისცა და ეუბნა სიტყუასა რასმე ტკბილებსა:
„სულს მოგცემ ქრთამად, თუ ვნახავ მისის წამწამის ჩრდილებსა,
არღაენის ფერსა ლაწვებსა, ვარდის ფურკლისებრ შლილებსა,
მაშინ მომეცეს სიცოცხლე მისთვის ხელს, ჰკვაზედ შლილებსა.“
- 95 უთხრა: „რადგან არ შესდრკები მზისა სხივთა დასაწველად,
არ გეწყალვის თავი შენი, ვიყო შეყრის არა მშლელად,
ვეცდები, რომ მსწრაფლ შეგყარო, მასთან ვიყო სიტყვის მთქმელად,
შეგიტკბოს და შეგითვისოს, აღარ ჰრბოდე ხელი ველად.“
- 96 ესე ჰსთქუა და წამოვიდა, მასთან მივა მხიარულად,
წალკოტს შიგან სეირნობდა, მთვარე ნახა მოარულად,
წიგნი მისცა დაბეჭდილი, წაიკითხა მზემან სრულად,
მომემატა სიყვარული, გულს დაასვა დანა სრულად.

პირზედ გაქვს ხალი

1

პირზედ გაქვს ხალი და შავი თვალი, ნახვა მსურს შენი,
განათლდა არე, მზე ხარ თუ მთვარე, ტურფად ნაშენი,
სინაზით ხელო, ტრფიალთა მკვლელო. ჰა დანა შენი,
სირინოზისებრ გამაგონე უცხო ხმა შენი,
კოკობო ვარდო, არ დამაგდო მე მონა შენი.

2

მე შენის ეშყით გარდავარდე, სად დაეიკარგო?
შენიე მასწავლე, ვის ძივმართო, ჩემს თავს რა ვარგო?
მოწყალის თვალით შემომხედე უცხოე და კარგო,
ჩემს წყლულსა გულსა ემაღამე, სამოთხის ნარგო,
ვინემ ცოცხალ ვარ, გემსახურო, ვიყო ყმა შენი.

3

მე შენის ეშყის ისარი გულს განმეწონა,
უწყალოდ ჩემი სიკვდილი ვინ მოგიწონა?
შენგან ფიცი და პირობა მტკიცე მეგონა,
ნეტამც მე შენი სახელი არ გამეგონა,
არც მენახა შენი სახე, არც მამა შენი.

4

რად გასჩნდი ჩემს საკლავათა. ჰოი შე უწყალო!
მამკალ და ესეც არ მითხარ: „ვამ შე საბრალო,“
მიჯნური ხელი ვის მოუკლავს ესრე უბრალო!
ნუ სწყრები ჩემო, საყვარელო. ბროლო და ლალო,
ჩემს წყლულსა გულსა განეწონა ვამ, მანანა შენი.

5 .

შენს ტრფიალს შენი შეგნება აკრთობს, ახელებს,
ბრწყინვალეს პირის ციმციმი ზღვას ააღლეებს,
თავსა მაჯნუნსა არაოდეს არ ასახელებს,
სხივით გარდასწავს ქვეყანასა, მთასა და ველებს,
ამად მოუკლავს გული ასჯერ, ეს განა შენი.

მანანასგან ცივბის გაასი

ცივებამ უთხრა

- 1 გაგზორებდით მანანაე, როგორც რომ გაღმა დიცია, რაც შენ მლანძლე და მაგინე, სულ თავში ლოდი მიცია, შენს ხლოს აღარ გავიელი, ალთქმა დავჰსლე და ფიცია, შენ ხომ არ მიმიპატიეებ, შენი ამბავი ვიცია.

მანანამ უთხრა

- 2 ცეცხლი მოგედვა ცივებაე, რა მე შენ შემეყარეო, შეიდი თვე მაციე-მაცხელე, ჩემი დლე დამამწარეო, პატარა სული მოვიდგი, რა შენ მე გამეყარეო, ვინც რომ შენ მიგიპატიეოს, ვაგლახი დავაყარეო.

ცივებამ უთხრა

- 3 საწყალო, რის იმედი გაქეს, ვინა გყავს მოტირალია, ვინ გიზის ქირისუფალი, რომ ყაროს ცხარი ცრემლია, შეგიკრავ ხელსა და ფერხსა, როგორც დამრჩვალი მგელია, საულავად მიგათრევინებ, ვით ჰყარლე მკედარი გველია.

მანანამ უთხრა

- 4 რა დავემართა ცივებაე, რა ჩემზედ მოიცალია, ამიტომ ვეჭობ მიბრიყეე, რომ აღარა ვარ ქალია, გავაგლებ ჩემის გვამიდან, შემწედ მაქეს ღვთისა ძალია, ასე მიჩნს შენი ლაყაფი, ვით ჰყეფდეს ძალი ხალია.

ცივებამ უთხრა

- 5 ამისგან უფრო, მანანაე, მოდი ნუ გამამწარებო, დავწვაე, დავდაგავ სიცხითა, სიცოცხლეს დავამწარებო, საკულდავად გარდაგასეინებ, მლუღლებს შენზე გავახარებო, აღარ გამყოფებ სულდგმულსა, შავს მიწას მიგაბარებო.

მანანამ უთხრა

- 6 ცივებ-ცხელებე, ჩემზედა რაზე აილე შურია, ნეტი შემატყობინა თათარი ხარ თუ შურია, მე ასე შემეყარებიხარ, როგორც რომ ძალი მურია, თუ მომკლავ, არას ვინაღელი, რა დამრჩეს სანანურია?

ცივებამ უთხრა

- 7 სამიღლეშიოდ დაჰკარგე, მანანავ, ჩემი თავია, ღირსად სამართლად მოგაგე, რაც დღე გიჩვენე შავია, რით უნდა გაქო მე შენა, სიტყვა გამოგდის ავია, თვალ-ტანად არას ვარგახარ, ხარ ცული სანახავია.

მანანამ უთხრა

- 8 თვალით ნუ დამენახეები შენ ქვეყანის სასაცილო, დამცლელი ღონისაგანა, საძაგო იულის შვილო, შენსა წამყვანსა სიკუდილსა თავს დაუდე შავი ტილო, მე შენ როგორ მეხუმრები, შენ მყარლო და გაღლეთილო.

კვალად მანანამ უთხრა

- 9 თქვენი მტერი და ორგული ცივებამ დაღონაო, მე ამას ვერ გარდურჩები, თუ კიდევ მომიგონაო, დამადნო სანთელივითა, გამხადა დრამის წონაო, ამ წყეულს რასა შევწყყარდი, ჩემში რა მოიწონაო.

ცივებამ უთხრა

- 10 თუ მოგიბრუნდი მანანავ, ჩაგაკმენდინებ ხმასაო, სულ დაგავიწყებ ყველასა, მაგ შაირების თქმასაო, ასე გაგხზდი საქმესა, სიკუდილს აძლევედ თავსაო, სულ ოხრად დაგანარჩუნებ შენს ჯარასა და ტარსაო.

მანანამ უთხრა

- 11 რაღას მაწყალებ შიშითა, თვალებიც გამოგხეთქია, ამის უარესს რას მიზამ, კბილი კბილს დამიხეთქია, კურნება ჩემი ვის ძალუძს, თვალები დამიფეთთია, მე შენ ველარას დამაკლებ, თუ ჩემი შემწე ღმერთია.

ცივებამ უთხრა

- 12 რა დაგემართა მანანავ, მე მოგეკიდე მშვიდათა, ხანდახან გაგაცივებდი, ხან გამყოფებდი თბილათა, პირს ძლიერ გაგიმწარებდი, წყალს არ გასმევიდი ტუბილათა, კიდევაც არ დაგივიწყებ, ხანდახან გნახავ ხილათა.

მანანამ უთხრა

- 13 მე რათ მანდა შენი ნახვა, ყველანი შენგან ჩივიან, ვისაც რომ ტანში შეუხვალ, კანკალებენ და კივიან, აკანკალებენ კბილებსა, წელი უწყალოდ სტკივიან, რაკი სიციხეში ჩაავდებ, მღულარე ცრემლი ჰსცვივიან.

ცივებამ უთხრა

- 14 მანანავ, გულის საკლავი სიტყვა გაქვს მეტად მწარეა, ახლა რომ მე შენ წაგჰყურტო, ჩემიმც ნულარა ბრალია, ცოტა გაქვს თუ რამ ქონება, ველარც სულ მოიხმარია, სულარი თავით დაიღევ, შენ ხარ ოხერი მკედარია.

a. მოველით მოყმენო.

- 1 მოველით მოყმენო, შეკრბით ჯომარდნო, მწუხარეს მომხედეთ, შემიწყალენით, მოყვარეთა მწენო, მტერთ გულის დარდნო, მისმინეთ ნალველნი, მით მიბრალენით.
- 2 მოვშორდი მშობელთა და ნათესავთა, სწორთა, მეგობართა, მოყმეთა, თავთა, მით საწუთრომან მიმცა ნალველთა შავთა, ამ დარდით მიხსენით, დამავალენით.
- 3 ესდენ ხანს ვეძაე, ვერ ვპოვე მშველი, ამისათვის ნიადაგ თვალნი მაქვს სუველი, აწ შემოქმედისგან შეწვენას ველი, თქუენ განახო მშვიდობით, ქება გძღვნათ ენით.
- 4 აწ ყარიბი მარტო დავიარები, სიყრმის მეგობრებთან ვერ ვეხარები, ამისთვის ვარ ყოველთ შესაბრალები, მაცოცხლეთ თქუენც, ან მოცამკალენით.
- 5 ესდენ უცხოობით მწუხარ არს გული, თქუენის სიშორითა იურვის სული, მანი რაესთან სმით შეიწრებულთ, სიკვდილს მივწურვილვარ ამ დარდის სენით.

b. ხელქმნილ ვარ

- 1 ხელქმნილ ვარ მე მას დღეს აქეთ დარდითა, ოღეს გიხილე შენ, ლამაზ ქალოა, შემკულო შენ ყვავილ-მიხაკთ ვარდითა, ვით ცისკარი ათენ, ლამაზ ქალოა, ყოვლის სოფლის თვალოა.
- 2 მიჯობდა მე არ მოსვლა შენს არესა, რადგან მით მე ნალველსა ვსწვევ მწარესა, ვინამ დარებ მნათობთ, მზეს და მთვარესა, ნუ მწყლავ სხივის მომფენ ლამაზ ქალოა, გვედრი შესიწყალოა.

- 3 შენ გამკობენ შავნი გიშრის თვალები,
 ეგრეთვე პირზედა ჰინდის ხალები,
 რომელთ მე მომიდევს ცეცხლის ალები,
 გვედრი ნუ მწვავ ესდენ, ლამაზ ქალოა,
 ტრფიალთ შემაბრალოა.
- 4 ტანით საროვ. ალვა, ლამაზ სახეო,
 ვინ, ვით მფრინავს, ჩემს გულს უდგი მახეო,
 ოდეს როკვით მზეებრ სხივით ლახეო,
 შენ სალბუნთ აღმომცენ ლამაზ ქალოა,
 მეც მე სამკურნალოა.
- 5 როს გიხილე მყის შეეიქენ ხელია,
 შენის ისრის მწყველელის გულით მცველია,
 ყარიბების რადგანა ხარ მკულელია,
 რადლა მტანჯაე ესდენ, ლამაზ ქალოა,
 -მომკალ შეუწყალოა.

ოდეს გნახე

- 1 ოდეს გნახე გამოსული
 სარკმელსა, ვით მთვარე სრული,
 დამიტყვევე სრულად გული, ლამაზო,
 ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!
- 2 ქუეყნად გასულა შენი ხმა,
 ბრძინთა ვერ ძალუტ ქების თქმა,
 გიხდება ღია შაეი თმა, ლამაზო,
 ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!
- 3 გშუენიან ინდის ხალები,
 მჭურეტელთა შემაშალები,
 შავნი წარბ-წამწამ ოუალები, ლამაზო,
 ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!
- 4 ბაგე ვარდი ახლად შლილი,
 კბილნი მარგალიტ წყობილნი,
 ხარ მუსაიბ ენა ტკბილი, ლამაზო,
 ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!
- 5 ხარ ტან-წელილი, ლამაზ-წელი,
 ვით ალვა ნარნარ მრხეველი,
 მით ხარ ყარიბისა მკვლელი, ლამაზო,
 ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო შენ ნაზო!

ა. ჰომი დამწარდეს დროთა ტკბილობა

1

ჰომი დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა კმნა ცილობა,
აღფხურა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დასთრგუნვა ჩემი დღე-კეთილობა,
ბნელ ჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
მესისხლე მარიხს აქუს ხმალ წვედილობა.

2

მზის მსგავსნი სხივნი ღრუბლით დაფარნეს,
მიკმნეს სიციოცხლე ნალულის უმწარეს,
ჩემსა მომლხენსა ვერა ვსკურეტ მთვარეს,
ამად ვზი და ვსტირ, ელური ცრემლს მღუღარეს,
ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?
მრისხანეთ ჯალათთ აქეს ხმალ წვედილობა.

3

ედემის ბალსა ზრდილნი ყვავილნი,
ვარდნი კოკობნი, ნაზად გაშლილნი
გულ დამატკობლად ახლად ფურჩენილნი,
ვა მე, უწყალოდ მყუეს აღმოფხრულნი,
შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი,
ნუ მგმობთ, თუ მათთვის მაქუს ცრემლ-ნილობა.

4

ჩრდილოს კერძომან საბავთო ქარმან,
მძვინვარედ მქროლმან და დაუწყნარმან,
ჩემნი მთიებნი ჰყო გარის-გარმან,
მიმოაბნიენა შავბედის ლუარმან,
ვინ ვპოვო შემწე მე მათთვის მკუღარმან,
სახმილი მშრიტოს, მცეს გულს გრილობა?

5

დას-დასად მწყობრნი დაუნდობელნი,
მუხთლად მქცევ მრავლად ღზინთ მცხოვრებელნი,
სხუა და სხუად მქცეგნი, ურთერთს მსწრობელნი,
კეთილ სურნელთა ყვავილთ მზრობელნი,
ჩემად საკუდავად აქუსთ შეყრილობა.

ჩემი წალკოტი აღყუავებული,
ყვავილთ სიმრავლით განშეენებული
იქმნა, ამად ვსტირ ცეცხლ მოდებული,
ოთხ კიდე სახელ განდიდებული,
ვაიმე მათგან მოხრებული,
ვის შეხუდა მათი მოადგილობა!

7

ეჭა მალრიბის მანათობელნო,
ჩემის გულისა მაცოცხლებელნო,
ვინ მიგიმძლავრა ტკბილ სამფლობელნო!
მარისხ შეესტირე მომლორებლებელნო,
გაკადრებ ქვეყანის შემამკობელნო,
ყარიბს დაშრიტე გულს სახმილება.

B. აჰა დამეცნეს რისხვით ცანია

1

აჰა დამეცნეს რისხვით ცანია, ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია,
ნეტარ რად მოველე ესდენ ხანია, რად არ სიკუდილად ვიქმენ მხანია?
რაბამ მწარე არს ესე თქმანია, ვისნი მომაკლდენ თვალთ შედგმანია,
ვა, დაჰხდეს მზენი მალალ გვარანია, ვა ჰსდიან თუალთა ცრემლთა ზღუანია,
მეცა მტიროდეთ მოყუას-მმანია, მარად მწუენ ცეცხლი სხუა და სხუანია.
აჰა დამეცნეს...

2

ვგოდებ სიმწარით ძნელ სატირებსა, მსმენელთა გულთა გასაგმირებსა,
მიმცა სოფელმან მრავლად ჰირებსა, ოხერა-სულთქმასა ესდენ ზირებსა,
ვა ბედთაგანცა განაწირებსა, მიმილო შევება, არ მცა ლხინებსა,
რადგან მაშორვა ნნათობ გმირებსა, ვარ სიცოცხლისა განაპირებსა,
ჰხამს გებრალოდეთ ყოვლსა მზირებსა, აწ სავალალოდ ესე კმანია.
აჰა დამეცნეს...

3

ჰე რად შევესწარ ამა დარგესა, ძნელ სახილველსა, შესაზარესა,
სადავითოს მტილს მოფხრულს არგესა, მხედულელ სისხლისა ცრემლ საღვარესა,
ვა, ვერ ვჰსჭურეტ დიდთა მნათობთ გვარესა, ამად მივეცი დღესა მწარესა,
რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა, აწ დამქოლვიდეთ არ სახმარესა,
სევდით გრაგნილსა ძნელ სამყარესა, აწ, გულო, გქონან ესდენ წვანია.
აჰა დამეცნეს...

4

განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო, მეცა დამფარეთ ღრუბელ-ნისლთაო,
აჰა დანთქმული ჩრდილოთ ზღვითაო, მარად ვაფრქვევდე ღრუბელ-ნისლთაო,
ვა, განგვაშორნეს მზენი სითაო, ჰყუეს განდევნილი შორის გზითაო,
არ გაქუს ნუგეში არ თუ ღლუთითაო, მას ვევედრები მწარის ხმითაო,
მათი მგონები, გულთა მღონები, მარად მტირალნი მხეველ დანია.
აჰა დამეცნეს...

c. მოვკსთქუამ სულთქმითა

1

მოვკსთქუამ სულთქმითა საბრალოდ, ძნიად სათქმელსა კირებსა, მსმენელთა შესაწყალებლად, კმუნვათა გასახშირებსა, ვარდთა დასხმულთა ედემით, მქურეტელთა განსაკვირებსა, ვაი კიდევანთა მამულთა, სამყოფთა განამწირებსა, მიგლოვდით მეცა მოყუასნო, სოფლისა განაწირებსა, აწუე შთასრულსა საფლავად, მეცნთავან დასატირებსა.

2

იგრგვინვა ცაძან ჩვენზედა რისხევითა საშინელითა, დაჰფარანა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა, წარჰხდეს წალკოტნი მალალნი, ჰოი, საცთურითა ძნელითა, ვა დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელითა, აწ განწირული უწყალოდ, ვიწვი ცეცხლით არ ნელითა, სად ხარ სიკუდილო, რას ჰყოვნი, არ მიმცემ დღესა მცირებსა? მიგლოვდით მეცა...

3

დაბრუნდა ეტლი უქულმა, წარხდა დღე კეთილ მზიანი, დაემხო ტახტი მალალი, რა ბედნიერი, სვიანი, განჰკირენა ვარდნი სატრფონი, არლარა ჰყუავის იანი, განმწარდა ყოვლნი შვებანი, ტუბილნი, საამო ხმინი, აწ საწუთოსა მდურავი, ვჰსტირ უბედური დლიანი, ვაი დაბნელდით თვალნო მტირალნო, ჰხედავთ რას განსაცვიფრებსა! მიგლოვდით მეცა...

4

დახდა მზე იგი აზიით, აწ ჩრდილოთ მოეფინება, მიგვიხენეს მსწრაფლად მთიებნი, ვით უძლოს გულმან თმინებ არ დაჰსცხრა ჩვენზედ მარადის სოფლის საცთურთა შინება, ამად მაქვს თვალთა მარადის სისხლისა ცრემლთა დინება, ვამე, მას აქათ ცოცხალსა არლარა მამელხინება, ნუვინ ეტროფობით სოფელსა, ნიადაგ მუხთლად მზირებსა. მიგლოვდით მეცა...

5

რა ითნო დიდმა მთიებმა მალალ-გუარ მტილთა შლილობა, დაბინდდა ხმელთა არენი, არლარ აქუსთ ვარდთა შლილობა, აწ იწყო ჩვენდა მარადის ქუფრმა ღრუბელმა ჩრდილობა, ჰსცანიო ყოველთა, ესე არს სოფლის ქცევა და ზრდილობა. მიგლოვდით მეცა...

6

აჰა დამეცნეს რისხევით ცანია, ისმინეთ საწყალად გლოვის ხმანია, ნეტარ რად მოვოლნე ესდენ ხანია, რად არ სიკუდილად ვიქმენ მზანია? რაბამ მწარეა ესე თქმანია, ვისნი მომაკლდეს თვალთ შედგმანია, იგ დაჰხდეს მზენი მალალ გვარნია, ვა ჰსდიან თვალთა ცრემლთა ზღუანია.

ჰოი ვითარ ვსთქუა

1

ჰოი ვითარ ვსთქუა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამტრომელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი,
მშვენიერთ წალკოტთ არ მფუჟრჩენებელი.
ჰოი ვითარ ვსთქუა...

2

აღმოჰფხურნა ვარდნი, უცხოლ ნაზარდნი,
თვისთა მამულთა ჰყო განაფარდნი,
ალარ ჰყუაფიან ზამბახნი, ვარდნი,
განჰკრიფნა ყოვლგნით, მკლავს მათნი დარდნი,
მათი მგონები აწ, გულო, დადნი,
არ გაქუს წამალი მამთელელებელი.
ჰოი ვითარ ვსთქუა...

3

ზოგნი დაჰფარნა თვისით ნისლითა,
ზოგნი დილეგთა არვინ უძლითა,
მეცა მეწია ბედით ჩემითა,
მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა,
მათთვის ცეცხლითა არ მწუავს ნელითა,
ვინცა არს ჩემი მაცოცხლებელი.
ჰოი ვითარ ვსთქუა. .

4

გუშავნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხუა და სხუა ჰაზრით გუელებრ ჰკრელობენ,
არ მცემენ ნუგეშს, მსწრაფლად მწყრალობენ,
მათნი მახვილნი გულსა მჰკრელობენ,
კულავ სხუანი მოვლენ, სადგურს მცულელობენ,
მკმუნუარეს გულის დამწყულელებლნი.
ჰოი ვითარ ვსთქუა...

არ დამაჯერა აქ პატიმრობას,
 ესდენ უწყალოდ განაწირობას,
 უთმინოს სევდით გულის შეპყრობას;
 მსწრაფლად მპირდება ჩრდილოდ მგზავრობას,
 უცხოს, მწირს ადგილს გრძლად სადგურობას,
 მყისვე სიკუდილის ვარ მახლობელი.
 ჰოი ვითარ ვსთქუა...

6

აწ მე მიგლოვეთ სატრფონო ძმანო,
 ყოვლნო მოყუასნო და ზრდილნო ყმანო,
 ვაი მათთანა შევების აღთქმანო!
 აწ ლა სადა ხართ გლოვისა ხმანო?
 სადავეითოსა მტრის შინა თქმანო,
 უნუგეშოდ არ დასათმობელი.
 ჰოი ვითარ ვსთქუა...

7

რად არ დაგვიწყდი ჰოი სოფელო,
 არ ხანიერო, ცუდ საყოფელო,
 მცირის ჟამისავე არ დამყოფელო,
 ჩემებრ უბედოთ ცუდ საყოფელო,
 მაგრამ ბედნიერთ პირ დამყოფელო,
 ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი.
 ჰოი ვითარ ვსთქუა...

პასუხად ქეთევან ბატონიშვილს

1

რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მციირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?
სტირ შესაწყალად წალკოტთა რგულთა,
მშეენიერთ ვარდთა, ედემსა სხმულთა,
ზამბახთა თხზულთა, უზადოთ მკულთა,
თვისთა მამულთა, აწ განკარგულთა,
არ სცემ ლხენასა მციირეს ჟამს გულთა.
რად გკვირს...

2

იგლოვ მაღალს ტახტს, ვაი წახდომილს!
დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამზობილს,
შეგების სიხარულს, ტრფობით შეტკობილს,
ეტლს დაბრუნებულს, მოყუასთგან გმობილს,
გსურს მყის სიკუდილი, გულ ლახუარ ცემულს,
არღარა ვენებაეს სიტყვის გებანი.
რად გკვირს...

3

ჰე, გულო, რად გაქუს ესდენ წყინება,
მარად სისხლისა ცრემლთა დინება,
გუშაგთ სიმრავლით თუალთა შინება,
მათგან უწყალოდ ჰირთა სმინება,
რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება,
კრძალვით ითმინე სახმელთ გზებანი.
რად გკვირს...

4

ჰგოდებ სიმწარით მრავლად ჰირებსა,
მსმენთაგან ძნიად გასკვირებსა,
უთმინოდ სულთქმას განახშირებსა,
სიცოცხლისაგან განაწირებსა,
ყოვლთა მტერთაგან დასატირებსა,
ნუ სწუხ, დაშრტება ცეცქლთა დებანი.
რად გკვირს...

5

თუმცა იხილეთ მნათობთ ვენებანი,
იერიქოს ვარდთ უცხოდ რებანი,
ნაზთა იათა ცრემლით ვსებანი,
უთმინოთ ოხრვით სულთქმა-ვებანი.

იგონეთ ყოველთა ღრონი წინარე

1

იგონეთ ყოველთა ღრონი წინარე,
გინა თვისნი ხართ, ანუ ვინარე,
ოდეს სუფუედით ყოვლნი შინარე,
ჟამ ყოვლ განცხრომით მოსალხინარე,
დღენი არ გესხნესთ მოსაწყინარე,
იშეებდით თავთა გამომჩინარე,
აწუა გიხმსთ გლოვა მოუთმინარე,
ისმინეთ ჭირნი მოუთმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

2

შემოკრბით ერთად სმენად ხმისანი,
მგლოვარეთ ლექსთა აღმოთქმისანი,
იხილეთ მსგავსნი ედემისანი,
გარმოცვით ღრუბელთ სიბნელისანი,
ოდეს ჰკრთებოდა ელვა მზისანი,
შარაჯანდები ნათლად დღისანი,
ქვეყნად მომფენნი სხვა და სხვისანი,
თვალთ შეუდგამი, სხივ მომფინარე,
ისმინეთ ჭირნი მოუთმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

3

ესე ყოველი წახდა ცუალებით,
მოუცავს ნისლსა მისა თვალებით,
შვიდნი ცთომილნი მსრბოლნი მალეებით,
განჰხმა წალკოტი ვარდის კვალებით,
თვალთა მნახველთა შესაბრალებით,
მიგველო ყოვლი სწორი ძალებით,
შეგვექმნა ბედი, ვითა მძინარე,
ისმინეთ ჭირნი მოუთმინარე,
გადმოუტევეთ თვალთა მდინარე.

4

სოფლის სიმუხთლემ ჟამთა ქცევითა,
მიგვეცა ჭირებსა დღე დაღევითა,
ბედკრულობითა, თავთა წყევითა,
უწყალოდ ლახვართ გულთა ხევითა,

მიუნდობელად პირად თნევითა,
არ არს ნუგეში, არცა შწე ვითა,
ნაცულ მომგები უკუნ ზღვევითა,
მისთვის ვიქმნენით მტერთ საცინარე,
ისმინეთ ჭირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

5

ფიქრთა მომიცვეს ყოვლნი გრძობანი,
ალარა ძალუძს ენას თხრობანი,
მისთვის შექმერა თვალთა ცნობანი,
ამად იცუალა სხეულთ მკობანი,
ვაი, ვით გვექმნა ლახვარ სობანი,
ზარი განჰხდების ქვეყნად თხრობანი,
საუკუნომდე საბაეთობანი,
აჰა სიცოცხლე გავაწყინარე,
ისმინეთ ჭირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევეთ თვალთა მდინარე.

ა. რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი

1

რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან თუ არის ორატორი,
ქრისტეფორე ტფილისის დირექტორი,
თავადი გიორგი რელისტრატორი,
პეტრე, მისი მამა, პაპისა სწორი.
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან...

2

ეს ქუეყანა ჰგავს, რომ გამოიცუალა,
ქცევა-ყოფა სრულიად შეიცუალა,
შემთხვევანი სხუარიგ, სხუაფერ იცუალა,
ჰგავს ტრიალებს, არ არის ესე ქორი.
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან...

3

კნიაზ ჩიქოვანი მოდის ჩამცმელი,
ქორორზედა პომადისა წამსმელი,
მეჯლისში ზევით მჯდომი, თავის მსმელი,
უგია მასნათი, გვერთ უძეს დორი,
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან...

4

დასეირნობს სერთუკით და ჟაბოთი,
ბაკენბარდი ყბას მოუკრავს წებოთი,
დარჩია შესცქერის მელიქ აბოთი,
ანბობს: „ანიწაწე ქუ მერ ჰორი“.
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან...

5

ყუყუ არზით მიჰსდევს თავადთა თავი,
აცვია ხუფთანი, პერანგი მავი,
წითელი შალვარი და წვერი შავი,
კარს უბია ბედაური და ჯორი.
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან...

6

ალარ არის მელიქი და ნაცუალი,
რადგან მათ არა ჰქმნეს კარგი საცუალი,
ვილასა აქუს მათი ყულულის ვალი,
აწ წაიღნენ კაკაბს უტიონ ქორი.
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან...

ნაცულად მათსა ამ სამთ მოჰსდის ფეშქაში,
 თათრიდამ ნალეზი, ხელთუზნის ქაში,
 შეითან-ბაზრიდამ პარისა, ხაში,
 ჯიმიითილამ კახაჯისათვის ლორი.
 რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატრი,
 სტუპკა ბეჟან...

მათს კარზედ დგას ქართველი და სომეხი,
 თავადები, დიდ-ვაჟარნი და გლეხი,
 ვინ შეგიშვებს, თუ გასერილი გაქვს ფეხი,
 ნეტადრე როდესაც გეჰანოს ნიორი.
 რა ექნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
 სტუპკა ბეჟან...

ეგნატი ქეშიში, ალა ხუტრისა,
 მინისტრია და ვეზირი ნუტრისა,
 ყამი არა აქვს ინისა და პუტრისა,
 პაზრაილს რას უზამს ცაეი და ჩორი.
 რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
 სტუპკა ბეჟან...

კმარა, ყველამ მოუქიროთ აწ პირსა,
 მეთადრე იმათ, ვინც ინანდა, ტირსა,
 კალამი აღარ შევახოთ სატირსა,
 დავივიწყოთ სურამი და გორი.
 რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
 სტუპკა ბეჟან...

b. გამიფრინდა სიხარულის ფრინველი

1. გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
 შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
 დავითომილვარ ასე აწ უნუგემოდ,
 უბადობის გამო სხვისა და სხვისა.
2. რად შესკრიან მზესა წვრილ-წვრილნი ხმალნი?
 შეუმოსავს მასვე ლამაზად აღნი,
 ვგუშავგობ არ ეცეს მკვერეტელთა ფვალნი,
 რაყიფთა გამო სხვისა და სხვისა.
3. აღარ არის გავისილ, როს ვნახე, მთიარე,
 მე, გლახ, მკვერეტს შემქმნია აწ დღენი მწარე,
 რად შექმუნვით არის, არ მოციინარე?
 ვგონებ ურვის გამო სხვისა და სხვისა.
4. შენის ეშყისა მომხვდა ისარი გულსა,
 ვინლა დამიპლასტრავს ამ ჩემსა წყლულსა?
 ყარიბი აწ უძღვნი ძღვნად ჩემსა სულსა,
 მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა.

მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ღირსისა

ღღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა ცხებული სისხლითა ცესარიისა დიდისა ეკატერინასითა, ღღესვე იცხებს კუალად უფასოსა სისხლსა, სახსარსა ივერიელთა გეარისასა.

ღღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყანისა საკვირველსა. ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავართ სარდლობა და თვითმპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა.

დიდნო მფლობელნო, დიდნო იმპერატორნო! სტიროდეთ ახლად ქვეყანისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უავღუსტესსა თქვენსა, შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდება.

ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკულა ღერკულეს, უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე, და იხილეთ, და ყოველი ამაო.

და თქვენ მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინოზთაგან უძლეველნო მხედარნო!

გიძლოდათ მეფე მოსებრ ისრაელთა, გესმოდათ ხმა პატრონისა თქვენისა. მახარობელად თქვენდა იყო ბიბლია: არ მოაკლდესო მთავარი იუდასაგან.

იუდას ლომი სახლსა სადავითოსა ზარის სახელად მტერთა თქვენთა მყვირალი, ღღედმდე ლაშქრვიდა სამთა იმპერიათა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიისა ერთთა.

ღღეს გაილაშქრა ციურთ ურიცხუთა ზედა ერთმან მარტომან, უძლეველმან რაინდმან.

ძველი ღერკულეს ძველის ახილესითურთ იყუნენ ძლიერნი ქვეყანისანი. მოკულა ესე უკუდავი მეფე, პატრონი თქვენი. ციურთა ძალთა უკუდავითა ძალითა სძლევედა და განვლო სამყარონი ცათანი. თუქცა დააკლდით საზოგადოსა მამასა, და სახსოვარსა მეფესა და პატრონსა, გარნა კმა იყო ესე დიდებად თქვენდა, ვიდრემდის იყო იგი და საიგაო აქა აღიდა სახელი, აღიდა გუარი თვისი, აღიდა სიმხნე თქვენ ქართველთა ცათამდე. და აწ აღვიდა ანდელთა ღვთისა თანა, გარნა აქაცა და მუნ ცხოველ არს იგი. რად სტირით ძენო, ობოლნო მამისაგან?

და შენ შესაკრებლო სახლო ივერიელთ ნათესავთაო, ტაძარო ათორმეტისა სკიპტრისაო! რად სტირი სადავითოვ სახლო?

დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამალღებულო სახლო, წმინდის ქეთევან დედოფლის სისხლით ცხებულო სახლო სადაც კმა იყო სიხარულისა და ცხოვრებისა. და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზედ იხარებდენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლის სადღესასწაულო შობა იდიდებოდა; და სადა სახსრად ქართველთა ნათესავთა მეფე ერეკ-

ლე, ლომი იუდასი, დავეითის სახლში იზრდებოდა, რომელშიც ჩვეულება იყო ტაძრობისა, სადაც ხმა ისმოდა დავეითის ქნარისა. აქამდის შენს მეჯლიში მეფის ერეკლეს სახსოვარი ყმაწვილკაცობდა, ქვეყანასა აკვირებდა; რომლისაც სიკაბუჯე ქვეყნის ძლიერთ სჩაგრაედა. აქამდის შენს მეჯლიში მეფის ერეკლეს ტახტზე ჯდომა იხილებოდა, იმისი ხელმწიფური, დარბაისელთ ხუმრობა შიშითქმოდდა, მეფე ერეკლეს მრავალ სავალბებელი საუღეგრძელო ისძოდა.

რად სტირი სადავეითოვ სახლო?

თუ ოსმანთ დანიყრეს საყდარი მეფობისა შენისა, საყურთხეველი წმინდა ლეთისა—მეფე ირაკლი—სიმართლით ბრძანდებოდეს, რომელმანც ხერთვისის დამპყრობელისა და ასპინძას მტრის სისხლში გამოწრთობილის ხლმით ხვანთქარს სპარსეთის ხელმწიფეს ქარიმ-ხანთან საჩივარი მიაწერინა: „მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო“. ქარიმ-ხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლოა“, — მაშინვე უძღვევლობის ნიშნად სახელმწიფო ხრმალი მორათუა!

რად სტირი სადავეითოვ სახლო?

თუ სპარსთ დანიყრეს შენი უმაღლესი ტახტი, შენგან წინაპართ შობილთ მეფეთ შარვანდელ — მეფე ერეკლე — ცოცხლებდინ საუკუნოდ! რომელმანც საქართველო ნადირ ავშარისაგან გამოიხსნა და ფათალიხან, ავშარის მეფე აზთახან ათასი ერთით წარიქცევა. რომლისაც დიდება მეორემ აღექსანდრემ, პრუსიის მეფემ ფრიდერიკოს, თეთრზე დაწერა: „ეგროპაში მე ვარო ლერკულეს უძღველი, საქართველოს — გიორგიანთ მეფეო“.

რად სტირი სადავეითოვ სახლო?

ვინემდის ახალი მოსე ისრაელთა — ერეკლე — საქართველოს მხედრობას წინა უძღვის და საქართველოს (რად ვამბობ ამ სახელოვანს სახლს?) დიდის როსიილამ გამოჰყავს ლაშქარი, ციბირილამ მოჰყავს სამხედრო გუნდი, — ვის შეუძლია შენი დამდაბლება?

როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაოსტენელი ლაშქრად მორბიან, ოვსნი და ზერკეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ.

რად სტირი სადავეითოვ სახლო?

როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერ ტახტზე ჯდომა გელირსა, ყველას წინა საუკუნეზე უფრო იდიდე, უფრო ამალდი, უფრო გაბედნიერდი; ცანი ქუბილით გრგვინვიდენ ძალსა შენსა, სფერა ქვეყნისა გერწოდა ფერხია ქვეშე.

მაგრამ ვაი თუ დიდება ესე შენი ლერკულეს მეფეს საფლავად მიეცულოს!

ვაი თუ საქართველოს საფარველად გარდახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგხანდა! ვაი თუ ის უმაღლესი თავი, რომელიც იაკობის კიბედ ზეცას მისდგომოდა და მხესა ქვეშე ქვეყანაზე არ ეტეოდა, საფლავის სიღრმეში დაეფაროს!

ეს ძლიერი თვალები, რომლისაც ზევით ახედვა ცებს აპყეცდა და ლუთაების საყდარს მიედგმოდა; რომელიც სამსხვერპლოსა ზედა აბრაამისსა განკვირებით მდგომარე, მუხასა ქვეშე სამებასა ისტუმრებდა და, რომლისაც დახედუა, ქვეყანას გახსნიდა და უფსკრულში ლუთის საკვირველებას უყურებდა; სფერა ქვეყანისა ერთს გუგაში გარეშეცუა და ცასა და ქვეყანას ორს ფურცლად კითხულობდა — ვაი თუ საუღედავად დაერულოს!

ვაი თუ ის მაღალი და ზეცას ანგელოზთაგან სამწიგნობრო სახელი — მეფე ერეკლე — რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყნის მპყრობელთა ხელმწიფეთა ფხიზლად აძინებდა და მძინარეთ საშიშრად ესიზრმებოდა, ამ სადღესასწაულოს სახელის მოხსენებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!

ვაი თუ უძღვევი ხელები, რომლისაც ხლმის ვადაზე დადება სიკუდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულზე დაკრევილ იყოს!

მაგრამ ცა და ქვეყანა მეფის ერეკლეს მსხოვარი არიან, მზე და მთოვარე იმის ბედნიერს ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან. დღისით მზე იყო მეწინავე სარდალი და ღამით მთოვარე, მეფის ერეკლეს გამარჯვებულს დროშას წინა უძღოდა. სისხლის მტერთათა შეღებილი მთა და მინდორი მეფეს ერეკლეს მოუთხოზბენ. ვის შეუძლიან დაეწყება? ვის მოსულია კეისართაგან ტახტი, გვირგვინი, პორფირი და ბავრავი? მაგრამ, ხელმწიფევე, რად გვიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულება, თუ კი სამკუდროსა ზეთს იცხებდი?

რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი, თუ კი დასამიწებელს სუდარს გარს მოიხვედი?

რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუ კი სკიპტრის მპყრობელს ხელებს გულზე დაიკრეფდი?

რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა, თუ კი მტერზედ გარდახურვილს შენის შიშის ფარდას ახდელი?

რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუ კი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?

იგლოვდი ქვეყანავ, რომელიცა უძვირფასესითა სპეკლითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძობადთა და საცნაურთა—მეფე ერეკლე—შენს სიღრმეში დაჰფარე; განკრთი, განკვირდი!

სტიროდე ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკულაფთაცა აბრაამისებრ განკვირვებით მხედველი, მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა.

დაბნელი მზეო, რომელსაც გაქუს მოსწავებელი დაბნელებით ქირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა, მეფე ერეკლე, შენს ბრწყინულებას ველარა ხედავს.

ზეციერო ძალნო! აქამდის თქვენს დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენ სამღრთო სტუმარი—მეფე ერეკლე—გესტუმრათ. თუმცა სამეფოს დიდებით ველარ ნახავთ, საფლავის ტუსალი გვედრებთ, მაგრამ თქვენ, როგორც თავისის ქეთევან დედოფლის სისხლი, ისე შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ. როგორც დიდს კონსტანტინეს, ისე მოეგებენით.

მალაო და ძლიერო ღმერთო!

დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა; ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ესტირით. და მეფე ერეკლე—თავი, განმგებელი ერისა; ხელი, მზრდელი ობოლთა; მკლავი, მომგვრებელი მტერთა და გუამი, შრომისა მოყვარე მისი,—საფლავში ირღვევა. შენ გვედრებით, იესოს სისხლით ცხებულს მეფის ერეკლეს კაცთმოყვარეს სულს ნუ შეიწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე.

სად დაძხვდ მზეო საძეფოთა სირათა და პანკრატით გვართაო, რომლისა დიკოსა ნათელს იღებდენ განიერნი? სად არის, ხელმწიფევე, შენი ხელმწიფური განგება? რად შემოიხსენ ხრმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც პაერში მომკურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და, სამეისხლოდ განქიმულის ზორტებით, ცის კალთებს ეჩხებებოდა?—სადა ღერკულეს მეფის უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა.

რად აღიდე სახლი, თუ კი საუკუნოდ დასკლიდი? რად მიეც სიამაყე დედოფლობისა შენს უმაღლესს ფერცხალს, თუ ასე დასჩავრავდი? რა გაწყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშობლომ? რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახს? რად აღიდე შენს უმაღლესს ტახტზე? თუ აღიდე, რადლა დაამიწე? რად უღალატე ხელმწიფეს ქმრითა და შეილებით ბედნიერს? რად ატირებ? რად დააქვრივე?—უწყალოვ! რად მოუკალ ხელმწიფე ქმარი? უწყალოვ! სად ამიწებ კეისართაგან გვირგვინოსანს შენს უმაღლესს თავს? სად გიწყვია უქმად ემ

ძლიერი ხელები, რომლითაც თავეთს შემადლებულს კამარაში მფრინველთ სი-
ცოცხლეს მისტაცებდი? რად ასწავლე საყუარელს ქალებს საქალო კრძალულება,
თუ კი თავ მოხდილი ატირებდი? რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა,
თუ კი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი? რად გვასწავლე ზრდილობა მხედრო-
ბისა ვაჟკაცობითურთ, თუ კი შენს წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი?

ჩემს უღირსად, შენგან მოწყალებით გაზრდილი, შენის კარგის ბატონ-
ყმობის ტრფიალი სოლომონ, აქამდის რად მაიცოცხლე, აუ ასე ოხრად დამაგ-
ლებდი?

ხელმწიფევე, სად დაგიკარგავს ხელმწიფეთაგან საშურველი ზრდილობა?

ამ დუმილით პატივსაცემელს სასახლეში რა ამბავია? უჩვეველი ხმის შე-
მალლება ..

რას ნიშნავს ამისთანა უბედური სალამი? გარდმოხედე ხელმწიფურად შენს
მეჯლიშში მყინახეთ დარბაზივით, სახელოვანს სარდლებს.

ხელმწიფევი ვიცი, რომ საქართველოს ხალხი მეფის ერეკლეს ტახტზე აღ-
სულით გულ ამაყნი არიან.

ქვეყანას უკვირდა: „სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო და
არ დაიხაზრაო ჩემი სიამაყე“. პირველად სიძარითლე იყო და მეორედ მეფის ერეკ-
ლეს სიმრთელე; მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი, მტერი და განსაცდელი
სათამაშოდ მიმაჩნდა.

ახლა იმისის მტრის გული დაიჩაზროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკვი-
ლით სოლომონის გული დაიჩაზრა. იმისი ტკბილი ბატონ-ყმობა ვიტყვო, თუ
თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხე-
ლით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა.

ხელმწიფევე დედოფალო და მეფის ძენო! გაფიცებთ მეფის ერეკლეს დღე-
გრძელობასა, სიმრთელეს, გამარჯვებას; ორში ერთი მიყავით, მოწყალება მოი-
ღვეით: ან მომაკულევივინეთ [თავი] და მეფის ერეკლეს უმაღლესის ცხედრის
ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის
ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს; ჩემთვის ის დღე იქნება, რომ
დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარს მეფეს ნიადაგ მარტოკა
ქაზლდი ხოლმე, იქ ბატონ-ყმობა სადღა იყო, იქ ბატონ-ყმობის სიკეთე როგორ-
ღა დარჩებოდა? უღრმესად იფიქრეთ უმაღლესნო და ისე შემიბრალებთ. ან ამ
ქვეყნიდამ დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ერეკლეს სამხედროს რაინდობაზე თვა-
ლი დამრჩომია, სადაც იმისის გამარჯვებულის დროშისათვის მიმსახურნია, თუ
სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ერეკლეს ბედნიერი სალამი
შემყუარებია და იმის სახსოვარს მეჯლიშში, ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის
აღერსით, ჩემგან ხუმრობა ჰყუარებია და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით,
მიმსახურნია, ის ადგილები აღარა ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვია.

ხელმწიფევე მფლობელო, საზოგადოე მამავ, მეფე ერეკლე!

ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველისა ტანისა უზომო
ტრფიალება?

ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყუარო? ვისთვის მოვჰკვდე? ვისთვის
ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან!

ა. ეჰა ვითარსა ღროსა მწარესა

1

ეჰა ვითარსა ღროსა მწარესა,
შევესწარ ცრემლით სამგლოვარესა,
ცას ვხედავ რისხვით და მქუხარესა,
სრულს ჩრდილოს კერძოს მაძრწუნარესა,
დიდს ტახტოსანსა საქებარესა,
ვგრძნობ აღტყინებით ცეცხლ მდებარესა,
ვინ არ იგლოვდეს სამწუხარესა,
ვაი მოსკოვსა წვათ მთებარესა,
შვიდასს წელს ტრფობით ნაგებარესა.

2

აწ მზის მოქცევი რაბამ დამწარდეს,
დიდ შენი ტახტი წამს ვით განქარდეს,
დედა-ქალაქი მტერთ ხელს შევარდეს,
შვილნიცა მისნი მისგან განვარდეს,
შეწევნად მისსა სრულად დაზარდეს,
მშობელთა შვილნი კვლავ რადლა ზარდეს,
რადგან მზრდელი ჰსცეს სიმძულვარესა,
ვაი...

3

ტყემა განმრავლდა ოთხსა კიდესა,
ჩრდილოეთს ყოვლნი ცრემლსა ღვრიდესა,
მდიდარნი რომელ ლხინით სმიდესა,
აწ გლოვით თმათა განითუხვრიდესა,
ფრხივ განლტოლოვილნი ნიეთთ განჰყრიდესა,
ამით სხეას თავნი განარიდესა,
ჰხედვიდენ თვის ზედ მზეს მბუნდარესა,
ვაი...

4

მარიხი რისხვის ლახვრით სისხლ მღურელობს,
ბრძოლისა ჟამსა მრისხანედ მკულელობს,
თუმცა მრავალნი მხნედ ლომ-გულქველობს,
გარნა მისივე მახვილი მჭრელობს,
იხილე ბრუნუა ეტლის, ვით ჰრელობს,
ჟამად ყინვა ზრავს, ოდესმე მწველობს,
ვარდსა ხედეს ჰნობა ნაფუნჩავარესა,
ვაი...

რადგან სოფლისა წეს არს ცელილება,
 განგებით ხეცდრსა არ ხედეს ჴლილება,
 დღეს მოსკოვს შეხედა წვით დახვლილება,
 ხელ თვისი საქმე სხვას ემხილება,
 ბედ კეთილობის ხის დაჩრდილება,
 ქედ მალლობამ ჰყოს დაფურცვლილება,
 სასინანულოდ არს საქმარ ესა,
 ვაი მოსკოვსა წვად მთებარესა,
 შვიდას წელს ტრფობით ნაგებარესა.

ბ. მზე ვნახე მჭამუნვარედ

- 1 მზე ვნახე მჭამუნვარედ, ჟამი მხედა მწარე,
 ვიქმენ დამწყვეელი სვისა და სვისა,
 ამად გლოვა ჩემი ვერლა დავფარე,
 ესტირ მოძღურაჲი სვისა და სვისა.
- 2 დავემხევე მკადრები შიშით მძრწოლარე,
 ვჰკადრე: მზეო, ღრუბლით რად დაიფარე?
 გაუსილო მთოვარევე, რად იბუნდარე?
 ჰბრძანა: „უპირობა სვისა და სვისა“.
- 3 ვიგრძენ მრისხანებდა ამაყად ვარდი,
 კულავლა მოხსენებდალ შიშით შეეზარდი,
 ვსთქვარე სისხლის ცრემლი, შემექმნა დარდი,
 დავგმე მალი ბრუნვა სვისა და სვისა.
- 4 გულსა გამეხებით ინდელთ ისარნი,
 დამესხნეს საკუდავად, მდის სისხლის ღვარნი,
 ნარინჯთა მიდამო ტკბილად საყვარნი,
 ჰკრძალა, დახე ქცევა სვისა და სვისა.
- 5 ქმუნვა მთიებისა შემექმნა მკულევლად,
 უწყის, მზედან მისმან, ვარ მისთვის ხელად,
 სახმილი მეგზნების გულსა შემწეველად,
 მასვე ძალუმს შეცვლა სვისა და სვისა.

ა. ჰე მოკვარეო

1

ჰე მოკვარეო, ზილფ ნარეო, ნარდიონ გველო,
გულ ბროლ-სადაფო, ნატიფ-სწრაფო, ლერწაპო წელო,
გველ ინდო სათო, ლაწეო მნათო, ეთერთა ველო,
ზარიფო ნაზო, წარბ სარაზო, ლომისა მწველო,
მღრიბის მზეო, სეედის მწეო; წყნარო და ნელო.

2

ხალებ ყრილ ინდო, მშვილდ რაინდო, ქამანდ შეხრილო,
ბადრო ზარიფო, რან ნატიფო, კიპარო წვრილო,
ლალ-იაგუნდო, არ საბუნდო, ბროლ-მინა ყრილო,
ვარდო რეულო, ნორჩ წეულო, ჩრდილ მოსაგრილო,
მე შენთა წალკოტო დამადგინე და მიხმე: მცველო.

3

მარაგის მთვარეე, შემიბრალე ეშუში ცურვილი,
შენთვის გაქრილსა, სეედა მქმნიეს ტრფობა სურვილი,
აფროდიტს გიგაეს ციაგება, მით ხარ კურვილი,
უბის ცისკარნი სწორ კეკელად ჰსქვირან ბურვილი,
სურვის ისარნი განმწონვიან ზამბახ-ვარდ ყელო.

4

მკულელო მარიხო, მაგე ლახეარს, არ მკურნე შეებით,
ხელად ტარება, გლოვა სულთქმით შენთვის მაქვს ვებით,
ინდოთა სათსა დანაქრელად გული ვეც გებით,
თვალთა მიდგს სახე მომთვარული მიდამო ვსებით,
მოგჰსთქვამ მიჯნური: ვა სიშორე თვალ ნამით სველო.

5

ვარდო ამაყო, დამეძვირენ, ჰირნი ქენებიან,
კრემლით შესვრილსა სალმობითა მე, გლახ, მენებთან,
გული წარიღე და დაჰკოდენ, აჰა ლებთან,
მიკვირს სიცოცხლე უშენოსა რადა მჰხლებთან,
რად დამწვი ალვით და დამდაგენ, მზეო მდაგველო.

ბ. ბრზვინვით ციურნი

1

გრვენივით ციურნი, მოით მზიურნი, რა არს სმინება, ლურჯმან ღრუბელმან, ულტობელ მან, მო მცა წყინება, სოფლის მტერობამ, ორფერობამ დამცვეს შანება, მოყურისა განხდამ, სულის წარხდამ, ველს მცა რბინება, მიგლოვეთ ზარით, ცრემლთა ცვარით თოვეთ დინება.

2

მყუნდა მოყუარე, ბადრი მთვარე, სოფლისა სწორად, სეედამ შეგრაგნა, ღომან დავნა, ვიხილენ ორად, დავჭარგენ გული, ჩემდ აღთქმული, მივარვით შორად, შეძექმნა მარად დანაცარად, სეედარსა ზორად, მე არლა დარი, იგ სადარი, მომეფინება.

3

ვაი მას ვიგლოვ, ჩრდალოს ნასრანს, გულ მტირალია, დაბუნდა ჩემთვის მიღევითა, აჰა მცხრალია, ქვე დაზრა ზრონი და ელატ არს, შესაწყალია, ორთა ცეცხლითა სადაგველად მოგვცა ალია, დაბზუნა ამარტა, უღიმებლად ლალთა ცინება.

4

მკვირან სოფლისა მუხთლობანი, წამთა ქრელობა, ვეტირდოდი მზესა და მეგონნეს სურვით გრძელობა, სოფელმან ტყორცვით საყალნოთი მომცა მკულელობა, შეშურდეს ჩემნი მასთან შეება, მისი მკველობა, იგავთ არ დასცხრა და დაბატნა გამოჩინება.

5

მას ვაქებ, ვინ არს წოდებული მაპბუბ სახელად, ჰკრთებოდეს შექნი მოელღარე, ვიქენ ინახველად, ვქსთქვი: მზე არს ცისა ორონთა ციავთ მსახველად, გესმისთ, ვის მოვქსთქუამ მალლის ხმითა შემომძახველად? შექრნა ირისე, შექკამარნა მან რა მინება.

ბულბული მწუხარებს

1

ბულბული მწუხარებს, ვარდი შემომწყვარლია,
ნარკიზს ჰგზავნის წამლისთვის, თუმცაღა მკურნალია,
ჰკადრე ჩემ მაგიერად სიტყუა შესაბრალია:
რა მოგშორდი, მუნიოვან—ვარ თქო—ეშყით მთვრალია.
თუმც კუშტობას დაიწყებ, მიჯნური მამ ბრალია?
თვითონ იას დაჰსძახის, მიხიღილ, ფერ-ნამკრთალია.
ბულბული მწუხარებს...

2

როს შენ მოგშორდებოდი, არ მენახა მაისი,
გაფურჩენილი სუმბული, გარდაშლილი თმა ისი,
კიპაროზს ტანზედ დიბა, შუენიერად ცმა ისი,
ტუქსევით მითხრა: „წა ჩემგან“, არ მესმინა ხმა ისი,
მისგან კიდევან ქმნილი შუება მოუალია.
ბულბული მწუხარებს...

3

ორნი ვარდნი ბმულობენ, მკურეტელთ საყნოსელია,
ჯერეთ თავდაუხრელი, მიჯნურათავის მწუელია,
უკუდავების წყარო ჰსდის, მოდით ვინც ხართ მსმელია,
ქუყუნათ მნათი მზე არის, მარად ჩაუსვლეელია,
თუმც მზედ ვიტყვი, ვარ მთვარე მიღვეული, მცხრალია.
ბულბული მწუხარებს...

4

ფანჯრიდამ დამენახუე, ფარდას ნუ მოიფარებ,
ვპგონებ შვიდნი მნათობნი მოვლენ, თუ დაიბარებ,
ნათელს ცხებულ პირზედა რიდეს ნუ დაიფარებ,
ეშყით მდებარესთანა მისლვას ნუ დაიზარებ,
ვჰფიცავ, გნახოს—მორჩება შენგან შესაბრალია.
ბულბული მწუხარებს...

5

სიყუარულის ღმერთა ხარ, ზაალისთვის დიანა,
ვჰფიცავ, სოფელს განვჰშორდე, თუმცა გნახო გვიანა,
თავმოდრეკით გთხოვ ნაზო: ერთხელ გნახო მზიანა,
სუნნელებით სავეე ხარ: თავით, ტანით, თმიანა,
სავსეს პირზედ გიხილება შავი ინდის ხალია.
ბულბული მწუხარებს...

ნუ მწვავ მიჯნურო

1

ნუ მწვავ მიჯნურო, არ გებრალები?
რად მომიკადე ცეცხლის ალები,
შენ დამინელე გულის ბქვალეები,
მარად საესე მაქეს ცრემლით თვალეები,
ტურფად შეგშეენის პირზედ ხალეები,
რად მომიმატე ეშყის ძალეები?
ნუ მწვავ...

2

ნარგიზს ვებეწე, არ შემიბრალა,
წამწამთ ისარნი გულს გაიყარა,
შეენებით ნაზარდს ვერ ჰსძლია, არა,
ბროლის ისრითა გულს შემინარა,
მის სიყუარულმან გულს განმიჰყარა,
ეშყი მკლავს, მე მას არ ვებრალები.
ნუ მწვავ...

3

ია კი მიწვევს: „მო, ახლოს არე“,
ნარგიზი მტუქსავს: „გარს გაიარე“,
მიველ და ვარდსა შევემუდარე,
მითხრა: „ყარიბო, ჩემს არეს არე“,
დავჰსჯექ და მუდამ გულით ვიხარე,
მრავლად ლექსი ვჰსთქვი შესაბრალები.
ნუ მწვავ...

4

მოდო ნარგიზო, ნუ მომწყუეტ გულსა,
წამალი მიეც შენს დადაგულსა,
ნუ შეიძულე კაცისთვის გულსა,
ნუ დაჰსწუავ ყარიბს, ნუ იწყემენდ სულსა,
შენ შირჩეენიხარ სულსა და გულსა;
მე სიტყუა მითხრა გასახარები.
ნუ მწვავ...

5

მო, შემიბრალე, გაიხელ არეს,
ნუ მომაშორებ მზესა და მთვარეს,
თუ რომე მომკლავ, მომცემ სამარეს,
ბარამს რად აძლევ ჰირს ზეტად მწარეს?
ეს ჰირი ჩემზედ არლა მაკმარეს;
ოდესმე ერთხელ შეკებრალები...
ნუ მწვავ...

ბულბულს მხედა გულსა ლხენანი:

- 1 ბულბულს მხედა გულსა ლხენანი,
ვჰსცან წალკოტს კარნი ღიანი,
მერცხლად ჰყვეს მალა ფრენანი,
არე არს ნათელ დღიანი.
- 2 დას-დასად მწყობრად მდგომარნი,
ყუავილნი მქვერტეტლ მწყრომარნი,
აშიყთა გულთ მეომარნი,
ქეკლუცად, ნახად იანი.
- 3 მეწალკოტე გულთ ხასით
ჰხმობს: „აწ აღვიესები ფასით,
ყვავილთ მეფა შოგა დასით,
ტურფა სუნ-ფეროენიანი“.
- 4 მპრქვეს, ვარდის გაშლა მახარეს,
გლახ, ყვავილთ თავი დახარეს,
ჩაგრულთ გულთ შეიმკმახარეს,
შეიქმნეს უაებიანი.
- 5 მითხრეს: „დაშვენდა არენი,
ფერით ლალთ მოწუნარენი,
ვარდი არნ მომლიმაჯენი“.
ამად მხედა ჟამნი სვიანი.
- 6 შევქმენ ხმა ტკბილად სალამი,
ვჰკადრე: ხარ წყლულთა მალამი,
კოკობმან წითლად ალამი
განშალე, დრო არს მზიანი.
- 7 შენის მოსელითა სენები,
მეკურნეს მოუთმენები,
მიბრძანე, დამრთე მე ნები,
შეგიტკობ სუნნელ იანი.
- 8 ვარდი გაწყრა, ეუცხოვა,
მპრქვა: „შენებრმან მე ვით მპოვა“?
ლაწყთა ზედან ცვარმან მთოგა,
შევიქმენ თვალ ცრემლიანი.
- 9 ვარდმან უწყალოდ ბულბულსა,
შემრისხა გულ დადალულსა,
სულთქმა მაქეს შორს განძებულსა,
მოვკსთქვამ საბრალოდ ხმიანი.

* *

ნარნარად მრხეო ზანანავ, სიტკბოებითა მანანავ,
შეენებითა ზარიფუნავ, შეიმპრობელად ვარდის მანავ,
გული მოქკალ სევდიანავ, ღრუბელსა მჯდომს შესაგებანავ,
ულმობელო მაგისტანავ, შეიწყალე გულის დანავ.

ა. რად მოგშორდი

1

რად მოგშორდი ქცევით ამაყიანო!
უებრო საურვო, კეთილ დღიანო,
მნათობო ვარსკელავო ციმციმიანო,
პირ მწყაზარო, ფერად ნათელ მზიანო,
თვალ ჯერანო, ტურთუად შვენებიანო.
რად მოგშორდი....

2

როს წალკოტსა ნარნარობდი, არობდი,
მთიებობდი, კამკამობდი, დარობდი,
შენთა სწორთა თავაზობდი, ჰყუარობდი,
შენ გნატრიდი, შეგეტრფოდი, ეხარობდი,
რად მიტევე ტანად ალვის ხიანო?
რად მოგშორდი....

3

გულს მისქირდა და დაწყულულდა უშენოთ,
მწიადს ედემი იავარ ეჰყო უშენოთ,
მიჯობს, რომელ გაველურდე უშენოთ,
დღენი ჩემნი გავატარო უშენოთ,
შენ იცოცხლო, ბედნიერო, სვიანო!
რად მოგშორდი...

4

აწ მომსურდა ყუაგილებთან რებანი,
ამოკურეტა, ხლება და ლხინებანი,
დატბობა, განცხრომა, განსუენებანი,
დღე კეთილობითა გატარებანი,
ნამს აცვრევენ უცხოდ რადმე ფშვიანი.
რად მოგშორდი...

5

ვარდი მეტყვის: „მებრალეზი ხელობით,
შენი ჰირი მეც მომიდევ მწუელობით,
ნულარას ეტყვი ცრემლსა ცხელობით,
ქუეყანასა შეგითვისებ მკუელობით,
მას მიუწერ მკუელლო მარიხიანო.“
რად მოგშორდი...

ბ. ბაიათი

1

ვარდი მეც მხედეს ეგების,
ლაწეზედ ბაგე ეგების,
ლხინი, შუება განქარდეს, სიყუარული ეგების.

2

სურვილი აქუს მას რისა?
შაქარ-ყანდის, მასრისა,
მისის ბაგის შარბათი, ნეტამც ტუჩსა მასრისა!

3

ტანი წვრილი ახევდეს,
გულსა სხივით ახევდეს,
ვინც ვერ შეხვდეს თანასწორს, სულთქმით ბევრჯელ ახევდეს-

4

მთვარე სადაგ ველისა,
ჩემის სადაგველისა,
მის უებროს ყელისა, ზილფი სადა გველისა.

5

სევდა გექმნათ ვისობით?
ვინ კიკლუცობს ვისობით!
თქუენ გზისაგან შემცდარხართ, ჩვენ ეშყითა ვისობით.

6

სიტყუას ვჰსთხზავ შინებით,
ნუ იქმნებით შინებით,
თუ პასუხი ვერ უძლოთ, ნუ გამოხეალოთ, შინ ებით.

a. მსურს ღიანავ

1

მსურს ღიანავ გიამბო ჩემი ცეცხლთა დებანი,
ღმერთავ სიყვარულისავ, მოძეც მოთმინებანი,
მარის განრისხებულა, არ აქვს შებრალებანი.
ფორტუნა მღვენის, მტანჯავს და სხუებთა აქუს კრებანი,
რა ვპყო აწ მე ბედკრულმან, რომ არა მცენ შებანი,
შემცოდე არასი ვარ, მოწმად ჰმყავს არსებანი.
მსურს ღიანავ...

2

მისს მელნის ტბას მოცეო ხშირად გიშრის სარები,
ძოწს-ბალახში შევსთხზოდა ვარდებრ ნათუნჩქნარები,
ჩემს საამოდ მიბრძანის სიტყუა შაქრებრ მტკბარები,
მით ჩავრულს გულს ალხენდა მისნი ნარნარებანი.
მსურს ღიანავ...

3

ვინც იხიოის, მზედ სახის, ჩემი სულთა მხდელია,
ზოგთ მიულის სიცოცხლე, ზოგნი იქმნი ხელია,
ზოგთ ცისკარი ეგონა, განთიადის მცუელია,
ორიზონტს მზემ მჯდომელმა არ მცა გახარებანი.
მსურ ღიანავ...

4

ფიქრს გონება მოცეო ერთს ჟამს ანატომისა,
მას ვჰფიქრობდი: სად არის, იგი ღირსი ხსომისა,
ნას ჟამსა ქარტა მებოძა ჩემს საკუდავად წყრომისა,
წამს სულმა ხდა დამიწყო, რას მალხენდა ებანი.
მსურს ღიანავ...

5

ვჰსთხოვე მე იუპიტერსა პორფირით დამიფაროს,
სკიპრით მტერნი განჰსდვენოს, ცამ ჩემთვის მოიღაროს,
ნუგეში მჰცეს სალხენად, ვენერას მიმბაროს,
ვეგო მონა მისდამე, დავიმარხო მცნებანი.
მსურს ღიანავ...

6

ჟამნი, დრონი, ტაროსნი ერთხელ მეცა მხლებიან,
ჩემებრ ეწყით ტყუე ქმნილი მრავალთ შებრალებიან,
არქუთ შევნებით კახბულსა: ხორცინი ძვალს მადნებიან,
მეახვლოს სიყუარული, კვიპაროზ წელთ რებანი.
მსურს ღიანავ...

7

შვიდ ცთომილთ უღარესმან ნუგეში მცა ნებისა,
ორუბელნო, განმეშორეთ, გული მისთვის ღნებისა,
ნარნარის ხმით ებრძანა, სიტყუა თვისთან ხლებისა,
აწ დღე და ღამ ვიხარო, არ მსურს გათენებანი.
მსურს ღიანავ...

ბ. ჰბრწყინნამს მნათი

1

ჰბრწყინაე მნათი, მზეებრ ჰნათობ,
კეკლუცობით მოკამათობ,
მხილუელს აკრთობ, ყელ-ბროლ სათობ,
შეუპყრივარ შენსა ალებს.

გიქებ თვალებს,
ეწყით მთვრალ-ბს,
ზილფ-დალალებს,
სუნბულ ცალებს,
ვიშ-ვიშ ხალებს!

2

მსურს შიგიმკო ლაწვი, ბაგე,
თუმცა ეშყით არ დამდაგე,
ასპიროზო მოვედ, მარგე,
გარდინხდიდე შენსა ვალებს,

გიქებ თვალებს, .
ეშყით...

3

გული კინესის უშენობით,
კუბიდონობ ლახვარ სობით,
მომალხენდე თაქაშობით,
ნუ ინმარებ ჩემზე ძალებს,

გიქებ თვალებს,
ეშყით...

4.

წალკოტს ვარდი გაიშლები,
ძე ბუღბული შევიშლები,
გნახაე, ტანში დავიშლები,
რ-ის მოირტყამ წელზე შალებს;

გიქებ თვალებს,
ეშყით...

5

ვარ შენს გზაზედ მოარული,
მით არა მაქუს თუალთა რული,
სიტყუა კადრე დაფარული,
თუ არ შენ, ვინ შემობრალებს?

გიქებ თვალებს,
ეშყით მთვრალებს,
ზილფ-დალალებს,
სუნბულ ცალებს,
ვიშ-ვიშ ხალებს!

თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მე- ორისა

- 1 აღსდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია, გრძლად ძილის ჩუეულ როდის ხარ, მიგვიხმე უნჯნი ყმანია, არ გნახოს მტერმან ძაბუნად, ვჰსდევნოთ, ვაკუეცხეთ თმანია, ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი, ზოგთაგან ოთხნი ძმანია.
- 2 გაშალე დროშა მძლეველი, წუერ მახვი, მტეროა ზარია, მოჰმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქდეს მთა და ბარია, ქუხდეს მაჟარი, შაშხანა, ვით ზეცით მეხის გვარია, განვჰფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასუათ სასმელი მწარია.
- 3 განიფროთხე ძილი, ზე აღსდეგ, შთაიკუ წვრილთვალა რკინისა, აღილე ხელთა მაჟარი, მტერთა განმბნევი ტვინისა, წინ შავალთ შენნი მექუეუნი, ვითა მეგონნი ლხინისა, შევჰსუამთ სისხლსაცა მტერთასა, უტკბეს კახეთის ღვინისა.
- 4 მტერს წინ წარვიქცევთ დიაცებრ, ჟუან იხედდენ ველარა, ყოვლთვას ყოფილა ეს ესრეთ, ვინ შენზედ დაიკვება რა? წარუღებთ სრულად საუნჯეთ, მთად ვჰგზავნი, დიაცთ ეხარა, არ განიღვიძებ ბატონო, მოყმეთა რამცა გვეხარა!
- 5 აღვილოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩაქქანთ ჩხერანი, დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა, უყვარდის ჩვენნი მღერანი, ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა, კაზმული ტურფად მერანი, არ განიღვიძებ, მოსრულ არს ბედისა ჩვენის წარანი.
- 6 მეფე ერეკლე ჰსცოცხლებდინ აწცა და უკუნისამდე, მტერთა თავ მტეხი მეხისა, მოყმეთა მცუელი აქამდე, აწ სძინავს ბრძოლით მაშურალსა და განიღვიძებ დილამდე, თუ სადმე წარვალს, წარგვიყუანს, არღა გაგვიშუებს შინამდე.
- 7 გათენდა დილა ბატონო, დრო არის მტერთა დასხმისა, აღკაზმა ცხენთა და ჯორთა და მათი აღვირ ასხმისა, კუეთა თავ-მკლავთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა, უბრძანე ბუკთა ტერციალი, ბანაკით ჯართა განსხმისა.
- 8 მზეცა აღმობნდა ქვეყანად, მაგრა ჩვენთვის კი ბნელია, თუ შენ არ გნახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წარსლვა ძნელია, არ ჩვენ ვჰსტრემლეობთ მარტონი, ჰსტირს შენთვის მთა და ველია, დავლენწინეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი რადღა გვეყრებინ ხელია.

- 9 ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით, მიპრულებია ნეტარსა, წარსრულ არს ლუთისა წოდებით, შეებოაელოთ ცრემლთა ფრქუევეითა, თუმცა ისმინოს გოდებით, აწ წარხდა ჩენი ცხოვრება, გულითაც დავიკადებით.
- 10 რალადმე გუკიდავენ ფარხმალნი, უმისოდ ცული ბარგია, დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწათ შეჰსჰამნეს კარგია, იგი არა გუყავს საქურეტლად, სხუა ვილა ვსძებნეთ ვარგია? ჰოი წარხლი ჩენო ნუგეშო, დიდებავ დავეკარგია.
- 11 წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი, ვაგლოენეთ მთანი და კლდენი, დავობლდით ჩალმა წოვანი, ჩვენთანა ფშავნი-ხევსურნი, ყრმანი, ჭაბუკნი, მხცოვანნი, ნუ შეგუშრინ ცრემლნი თვალთავან და გულთა მისი ხსოვანი..
- 12 დაშთნენ მას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა, გმირნი მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძმობასა, მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანხმობასა, აწლა გამოვჰსცნათ მოძმენო, ვინმცა იქმს ერეკლობასა.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი

მე-XVI ს. დასაწყისის მოღვაწეა. მისივე სიტყვით იგი ყოფილა „გრემელთ-თავი, ხევის ბერი, ხელმწიფეთა თანაზრდილი“. სახელდობრ ის მოღვაწეობს ბ ა გ რ ა ტ პ ი რ ვ ე ლ ი ს მუხრან-ბატონის დროს. ბაგრატიმა მუხრან-ბატონობა 1512 წ. მოიპოვა, ხოლო 1539 წ. ბერად აღიკვეცა. საბაშვილის გალექსილი ანბავი სახელგანთქმული სპარსელი მწერლის ფ ი რ დ ო უ ს ი ს „შაჰ-ნამეს“ თარგმანს წარმოადგენს.

ვეფხის-ტყაოსნის გაგრძელება

ავტორი დანამდვილებით ცნობილი არაა. პოემის გაგრძელებაზე სხვა-და-სხვა მწერლებს უმუშავიათ. ყველაზე მეტი ამ მხრივ ნ ა ნ უ ჩ ა ს, ან მ ა ნ უ ჩ ა რ მ წ ე რ ა ლ ს უსდა ეკუთვნოდეს. შესაძლებელია დაბეჭდილი ეპიზოდები მისი გალექსილი იყოს.

ვეფხის-ტყაოსნის გაგრძელებაზე საბაშვილის გალექსილი „შაჰ-ნამეს“ მოუხდენია გავლენა, ამიტომაც მისი წარმოშობა არ შეიძლება მე-XV ს. დასაწყისის უწინარეს დროს მიეწეროს.

იოსებ-ზილიხანიანი

ნათარგმნია სპარსული ენიდან. შინაარსით ქართული ვერსია დიდად უახლოვდება ჯ ა მ ი ს (XV ს.) ნაწარმოებს (რომლის შინაარსი ვრცლად დაბეჭდილი აქვს ჰ ა მ მ ე რ ს თავის Geschichte der schönen Rodekünste persiens, Wien 1818. გვ. 325—327). საფიქრებელი ხდება, რომ ქართული ვერსია ჯ ა მ ი დ ა ნ იყოს ნათარგმნი. მთარგმნელი ცნობილი არაა.

ომინიანი

ვეფხის-ტყაოსნის გაგრძელებად არის დაწერილი. პოემა გმირულ რომანტიკული ხასიათისაა. ავტორი უნდა იყოს თ ე ი მ შ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი ს თანამედროვე და თანამოღვაწე ქ ა ი ხ ო ს რ ო ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ - ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი.

თეიმურაზ პირველი

დაიბარა 1589 წ. გამეფდა თექვსმეტა წლის, 1605 წ. რამდენიმეჯერ იქნა ტახტზე აყვანილი და ჩამოგდებული გარემო თუ შინაური მტრების მეოხებით. სხვა-და-სხვა დროს შეეხიზნა იმერეთს, ოსმალეთს, რუსეთს, სპარსეთს. ღრმად მოხუცი გარდაიცვალა ასტრახადში 1663 წ.

თეიმურაზი უპირველეს ყოვლისა სპარსული პოეზიის გადამომწერად უნდა ჩაითვალოს. მისი მთარგმნელობითი მუშაობის ერთი საუკეთესო ნიმუში ლეილ-მაჯუნჰანიანია.

უკანასკნელი სპარსულად მრავალი პოეტის შემოქმედების საგანი ყოფილა. ჩვენში საერთოდ მიღებული აზრით ქართული ვერსია ნ ი ზ ა მ ი გ ა ნ ჯ ე ლ ი ს (მე-XII ს.) პოემის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს აზრი მცდარია, რადგანაც შინაარსით მას სრულიად არ უდგება.

არა ნაკლებ ნაყოფიერია თ ე ი მ შ უ რ ა ზ ი როგორც ორიგინალური მწერალი. ამ მხრით დამახასიათებელია მისი „ქეთევანის წამება“ და „მაჯანა“. პირველში უკვე ნაციონალური ტენდენციაც არის ჩაქსოვილი. მეორე ტრფიალების დამთავრების გაიდელალების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

გარსევან ჩოლოყაშვილი

მისი ცხოვრების დრო დანამდვილებით ცნობილი არაა. ყოველ-შემთხვევაში ის ა რ ჩ ი ლ ი ს წინამორბედი მწერალია. ა რ ჩ ი ლ ს გარსევანისთვის ადგილი დაუთმია თავის მიმოხილვაში, „ძველთა და ახალთა მწერალთათვის“.

ნოდარ ციციშვილი

მე-XV ს. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. მონაწილეობს როსტომ ფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში 1641 წ.

„ბარამ-გურიანი“ ნოდარს სპარსულიდან უთარგმნია.

ბარძიმ ვაჩნაძე

არჩილის თქმით მოღვაწეობს ოდიშში. ჩვენის აზრით, ალბად, ლევან დადიანის (გარდ. 1657) კარზე, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის გასულს (1646—76 წ.) სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობს დადიანის ტყვე მამუკა მდივანი თავაქალაშვილი.

ბარძიმი და მამუკა ორივე „შაჰ-ნამეს“ პროზაული ვერსიის გალექსვაზე მუშაობენ. მამუკას ზაქის ამბავი გაულექსავს. ბარძიმს კი ამის მოძღვენო საამის ეპიზოდი. საფიქრებელია, რომ ბარძიმ ვაჩნაძე დადიანის ერთი ტყვეთაგანი ყოფილიყოს.

მეფეთა სალარო

სპარსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი მეჩვიდმეტე საუკუნეში. მთარგმნელი უცნობია. ეს ძველი ცნობილი გახდა პროფ. კ. კეკელიძის მიმოხილვით. თხზულების პირობითი სახელწოდებაც მას ეკუთვნის (შდრ. ქართ. ლიტ. ისტ. II, 292—297).

რუსუდანიანი

ერცელი კომპილატორი-ზღაპრული თხზულებაა. უცნობ ავტორს (ან უკედ რედაქტორს) ნაწილობრივ ორიგინალურ ქართული, ნაწილობრივ უკხო აიუყე-ტები გამოყენებია. თხზულება დაწერილია მე-XV ს-ში, საფიქრებელია ამ საუკუნის მეორე ნახევარში. არჩილი მას არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში რა ასახელებს. ასეთ საყურადღებო თხზულების შესახებ დუმილი მხოლოდ იპით უნდა აიხსნას, რომ არჩილი მას არ იცნობს. შესაძლებელია „რუსუდანიანი“ მას შემდეგ დაიწერა, რაც არჩილი რუსეთში გადასახლდა (1681 წ.) ან ამის უახლოეს დროში.

არჩილ მეფე

დაიბადა 1647 წ. 14 წლისა (1661 წ.) იმერეთში გამეფდა. მისი სამეფო კარიერა უნუგეშო გამოდგა, ხან აიყვანდნენ ხოლპე ტახტზე, ხან ჩამოაგდებდნენ. 1681 წ. გადასახლდა რუსეთში, სადაც იპავე წელს დაწერა „თემურაზის და რუსთაელის გაბაასება“. 1684 კი — „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. არჩილი გარდაიცვალა რუსეთში 1712 წ.

იაკობ შემოქმედელი

არჩილის თანამედროვე იყო. თავის დროზე ცნობილ მწერლად ითვლებოდა, ოღონდ უმთავრესად საეკლესიო მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობდა.

იოსებ ტფილელი

ზოგიერთი მკვლევრების აზრით ის გიორგი სააკაძის შვილას-შვილი უნდა ყოფილიყო. ყოველ-შემთხვევაში დიდი მოურავის „ნათესავ-მოდგმა-გვარ-ტოპია“ მისივე სიტყვებით. პოემა დიდი მოურავის გარშემო შექმნილი მითქმა-მოთქმის გასაბათილებლად არის დაწერილი 1681—1686 წ. იოსებ ტფილელი (სააკაძე) მოკლეს 1688 წ.

სულხან-საბა ორბელიანი

დაიბადა 1658 წ. 1698 წ. ბერად აღკვეცილა საბას სახელწოდებით, მაგრამ საერო-სახელმწიფოებრივ საქმეებისთვის ხელი არ შეუშვია. საბა იყო ვახტანგ მე-VI-ის ერთი უახლოესი თანამშრომელთაგანი 1712 წ. ეახლა მას ისპანს. უკან დაბრუნებულა 1713 წ. დიპლომატიური მისიით ევროპაში გაემგზავრა. საქართველოში სამი წლის შემდეგ (1716) დაბრუნებულა. ამ მგზავრობის შედეგ-

გად დაწერა თავისი ცნობილი „მოგზაურობა“. ამაზე უწინარესს, ჯერ კიდევ ერისკაცობაში, — წიგნი „სიბრძნე სიცოცხლისა“ შეუთხზავს, საბას ცხოვრებაში ფრიად დაძახასათებელი არის მისი კათოლიკედ გახდომა. 1724 წ. ვახტანგთან ერთად რუსეთში გადასახლდა, სადაც 1725 წ. გარდაიცვალა.

ვახტანგ მე-VI

დაიბადა 1675 წ. 1703—1712 წ. ქართლის ტახტს განაგებდა. ამ ხნის განმავლობაში სახელოვნად მოღვაწეობდა პოლიტიკურსა და კულტურულ ფრონტზე. მსწავლულ კაცთა კომისიამ მისი მეთაურობით დაამუშავა „ქართლის ცხოვრება“, გამოიყენა „ვახტანგის კანონები“, სტამბის წესით გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგის კომენტარებით და სხვა.

1712 წ. სპარსეთში წავიდა, სადაც შვიდ წელს დარჩა. იქ ყოფნაში გადამოქართულა „ქილილა და დამანა“. 1719 წ. საქართველოში დაბრუნდა. 1724 წ. რუსეთში გადავიდა და 1737 წ. გარდაიცვალა ასტრახანში.

პეტრე ჩხატარაისძე

სალიტერატურო ასპარეზზე ჩანს მე-XVIII ს. პირველ მეოთხედში. მოღვაწეობს დასავლეთ საქართველოში (გურიასა და იმერეთში). ყოფილა მდივან-მწიგნობარ-მგალობელი და მასწავლებელიც. ჯერ გაულექსავს და შემდეგ პროზად გადაუკეთებია არჩილ მეფის ნათარგმნი „ალექსანდრიანი“.

თეიმურაზ მე-II

დაბადებულია 1700 წ. იყო ვახტანგ მე-VI-ის სიძე. დრო-გამოშვებით განაგებდა კახეთის სამეფოს. 1737 წ. ნადირ-შაჰთან შეპყრობილი წარიგზავნა. მეორე წელსვე შეწყალებული უკან გამობრუნდა. 1744 წ. მეტად ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა, როგორც თეიმურაზის ოჯახის, ისე მთელი ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში: ეს იყო ქართლ-კახეთის საბოლოო გაერთიანება. შაჰ-ნადირმა ქართლის ტახტი მემკვიდრეობით თეიმურაზს დაუმტკიცა, ხოლო კახეთი მის შვილს, ირაკლი მე-II-ის, უბოძა. 1760 წ. თეიმურაზმა რუსეთის ტახტს მიაშურა. უკან დაბრუნებული 1761 წ. გარდაიცვალა ასტრახანში.

მამუკა (მათე) ბარათაშვილი

დაბადებულია მე-XVIII ს. გასულში. 1724 წ. ვახტანგს რუსეთში გადაჰყავს. ყოფილა მეფის დაახლოვებული პირი. მისივე სიტყვით „მშალთა ქერანი“ ყოფილა მისი პატივი. ცხოველი ღონაწილეობა მიუღია პოლიტიკურ სარბიელზე. 1734 წელს „ბაქარის ქება“, დაუწერია, 1731 წ. ვახტანგის ბრძანებით „ქაშნიკი“ შეუთხზავს. მამუკა ბარათაშვილი ნოვატორია ქართულ რაფსოდიაში. მან დარღვია ძველი, ტრადიციული ნორმები და ახლები შეითვისა, თვით ხალხური ფორმებიც კი გამოიყენა. ამ მხრით ის დავით გურამიშვილის წინამორბედი.

დავით გურამიშვილი

დაბადებულია 1705 წ. 1725 წ., მკის დროს, ლეკებმა დაატყვევეს. დიდი ტანჯვა-ვაებით ტყვეობიდან გაპარულა და რუსეთს გადასულა. 1730 წ. ვახტანგის ამაღლას შეუერთდა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ სამხედრო სამსახურში შესულა. მონაწილეობა მიუღია სხვა-და-სხვა სამხედრო ოპერაციებში. 1758 წ. პრუსიელებმა დაატყვევეს. ზოხუცებულობაში ცხოვრობდა უკრაინაში და მეურნეობას ეწეოდა. ქარის წისქვილის და სარწყავის მოწყობა განუზრახავს. ამისთვის შესაფერი გეგმაც შეუდგენია და ბატონიშვილ მირიანისთვის მიუმართავს დახმარებისთვის. ეს ამბავი 1787 წ. მოხდა, ამის ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო კიდევც.

დიმიტრი სააკაძე

ვახტანგ მე-VI-ის ერთი თანმხლებელთაგანია რუსეთში. უნდა დაბადებულიყო მე-XVIII ს. გასულს. მე-XVIII ს. სამოციან წლებში ის ღრმა მოხუცი ჩანს.

ახლო ურთიერთობა აქვს ვახტანგის და ბაქარის ირველივ ჩამოყალიბებულ წრესთან. დიმიტრი სააკაძის შემოქმედებაში ყველაზედ მკაფიოდ მოჩანს ქართველი ემიგრაციის მაშინდელი ყოფა.

ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები

ვახტანგ ორბელიანი—ვახტანგ მე-VI-ის მხლებელთაგანი უნდა იყოს, როგორც შესავლიდან ჩანს „პეტერსჰოფი“ 1737 წ. დაუწერია, ცხადია, რუსეთში. დიმიტრი—ვახტანგის თანამედროვეა. როგორც ჩანს, ისიც რუსეთში მუშაობს. მისი „აღერისი“ მხატვრულს არაფერია არ შეიცავს, მაგრამ საყურადღებოა, როგორც თავისებური ენარის ნიმუში.

ანტონ კათალიკოსი

ანტონი იყო ვახტანგ მე-VI ძმის იესეს შვილი. დაიბადა 1719 წ. 1739 წ. ბერად აღიკვეცა. ოცი წელი რომ შეუსრულდა (1740 წ.) ქუთათელ მიტროპოლიტად დანიშნა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ (1744) კათალიკოსად აკურთხეს. კათოლიკედ ვახდომის გამო 1755 წ. მოწვეულმა საკლესიო კრებამ კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის ინიციატივით ის გადააყენა. 1756 წ. (მეორე კრებაზე) ანტონიმ თავისი დანაშაული აღიარა და მოსკოვში გაემგზავრა. 1757 წელს ვლადიმირის ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოსად დანიშნა. 1762 წ. ირაკლიმ საქართველოში გამოიწვია და კათოლიკოსობა დაუბრუნა. 1772 წ. დიპლომატიური მისიით რუსეთში იგზავნება (ამ მისიამ მოამზადა 1783 წ. ტრაქტატის ნიადაგი). ანტონი გარდაიცვალა 1788 წ.

ზაქარია გაბაშვილი

თეიმურაზ მე-II-ის კარის მოძღვარი ყოფილა. მტკიცედ იცავდა ძველ ქრისტიანულ ტრადიციებს. ამ ნიადაგზე ბრძოლა მოუხდა ანტონ კათალიკოსთან. უკანასკნელის რეაბილიტაციის შემდეგ ზაქარია იმერეთში გაუქმდებიათ.

„კატის ომი“ უნდა წარმოადგენდეს ანტონის წინააღმდეგ მიმართულ სატირას.

ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი)

დაბადებულია 1751 წ. ბავში მეფის ოჯახში აღუზრდიათ. სამოცდაათიან წლების გასულს ის მამასთან (ზაქარიასთან) ერთად იმერეთში სოლომონ მეფის კარზე ცხოვრობს.

1779 წ. სპარსეთში იგზავნება დიპლომატიური მისიით. 1780 წ. რუხის ბრძოლას ესწრება. 1788—89 წ. ქ. კრემენჩუგში ჩანს. 1790 წ. პეტერბურგში იგზავნება, აქედან იასაში წამოსულა გენერალ პოტომკინთან, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1791 წ.

საიათნოვა

აშუღური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელია. ტომით სომეხი ყოფილა. დაბადებულია მე-XVIII ს. პირველ მეოთხედში. 1770 წ. ბერად აღკვეცილა ანჰატის მონასტერში. ალა-მამად-ხანის შემოსევის დროს სპარსელებს მხეცურად მოუკლავთ სურფგეურქის კარის ბჭეში.

საიათნოვა ერეკლე მე-II-ის დაახლოვებული პირი ყოფილა.

მზექაბუჯ (ჭაბუა) ორბელიანი

თეიმურაზის და ერეკლეს სამეფო კარის დაახლოვებული მწიგნობარი და მდივანბეგი ყოფილა. თავის დროისთვის ჩინებული განათლება მიუღია. გარეგნობით ყოფილა მახინჯი, კუზიანი, თანამედროვეები (თეიმურაზის ქვრივი ანახანუმი, ბესიკი, დავით რექტორი და სხ) მას ცუდად იხსენებენ და მწვავე სატირებს უძღვნიან. ჭაბუა გარდაცვლილა 1794 წ.

დიმიტრი ბაგრატიონი

იყო მეფის შთამომავალი (შვილის-შვილი იესე მეფისა). დაბადებულია დაახლოვებით მე-XVIII ს. ორმოციან წლებში. რალაც ორგულობისათვის რუსეთში

გაუძღვებიათ. ახლო ურთიერთობა ჰქონდა იქ მყოფ ქართულ ემიგრანტულ წრეებთან და საერთოდ მთელ იმ დროინდელ მოწინავე პირებთან. დიმიტრის ღრმა მოხუცებულობამდის ძიულწვეია. 1822 წ. მისი მონაწილეობით დაიბეჭდა მისივე „ქეთევან დედოფლის წამება“.

მამუკა გურამიშვილი

დიმიტრი ბაგრატიონის თახამოსაკე იყო. ჰქონია მასთან მიმოწერა. მამუკას შესახებ ხშირად ლაპარაკობს დიმიტრი სააკაძე; აქა-იქ დასცინის კიდევ, თუმცა „წწკალობელ ბატონ“-საც უწოდებს.

ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი

ერეკლე მე-II-ის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწეა, მდივანბეგი და ქ. განჯას გამგე. სამეფო კარის ახლო ნათესავიც ყოფილა, სახელდობრ მისი ქალი ცოლად ჰყოლია ლეონ ბატონიშვალს.

დავით სარდალი ორბელიანი

დაბადებულია 1716 წ. ცოლად ჰყავდა ირაკლის ასული თამარი, იყო სახელგანთქმული მეომარი-ხმელანთმთავარი. ძლიერ შეგობრობდა ბესიკს. გარდაიცვალა 1790.

დავით სარდალის მთავარი ნაწარმოებია „ყარამანიანი“, რომელიც სპარსულიდან უნდა ეთარგმნოს.

მანანა

მე-XYIII ს. მეორე ნახევრის მწერალი ქალია, თანამედროვეა ირაკლი მეორის. მისი „გაბაასება ციებასთან“ ფრიად საყურადღებოა თემის ორიგინალობით. ამას გარდა უწერია პორნოგრაფიული ხასიათის წერილი ლექსები და საკმაოდ მოხრილი „შიარნი“.

ბატონიშვილები

მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ სამწერლობო ასპარეზზე. ვაგებს ამ მხრით არც ქალები ჩამორჩენიან. ჩვენს კრებულში, სამწუხაროდ, ყველას ვერ დაეთმო ადგილი, ძაგრამ მთავარი და დამახასიათებელი მაინც წარმოდგენილია. დავითის გარდა ყველა ერეკლეს შვილებია.

მირიანმა და ფარნაოზმა (განსაკუთრებით უკანასკნელმა, ერეკლეს უმრწემესმა შვილმა) სახელი გაითქვეს თავისი უფროსი ძმის, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგის წინააღმდეგ ინტრიგებით და ორგულობით. არც რუსთა წინააღმდეგ ურჩობამ გამოიღო ნაყოფი, საბოლოოდ ორივეს ხედრი ჩრდილოეთში გადასახლება დარჩა. ფარნაოზი გარდ. 1852 წ.

სახელმწიფოს კატასტროფა განსაკუთრებით მწვავედ (რამდენათაც ეს მათ პოეზიაში ჩანს) — უფროსად ქალებს მარიამს, ქეთევანს და თეკლეს განუცდიათ.

— მირიანმა ცოლად ჰყოლია ქალაქის მოურავის დავით ციციშვილს, ქეთევანი — მუხრანის ბატონს იოანეს, ხოლო თეკლე — ვახტანგ ყაფლანიშვილის (ორბელიანს). თეკლე 1846 წ. გარდაცვლილა. დავითს ევროპიული განათლება მიუღია (რუსეთის კარზე), ყოფილა ვოლტერიანელი. დავითი მეფის ოფიციალურ მეგვიდარდ ითვლებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ რევენტად გამოცხადდა. 1803 წ. გადასახლდა რუსეთში, სადაც მიიცვალა კიდევ 1819 წ.

სოლომონ ლეონიძე

ერეკლე მეფის ვიცე კანცლერი იყო, მე-XYIII ს. ერთი უშესანიშნავესი პიროვნება, ღრმა და შორს მჭერეტელი პოლიტიკოსი; უნაგარო, თავდადებული პატრიოტი; მეფის და სახელმწიფოს უერთგულესი მსახური და უკეთურების პირუთენელი მამხილებელი; თავის დროისთვის ჩინებული ორატორი. გარდაიცვალა 1810 ახლო წლებში.

პეტრე ლარაძე (ყარბიბი)

მწერლობაში უფრო ცნობილია ყარბიბის სახელწოდებით. ყოფილა ერეკლეს მწიგნობარი და, გადმოცემით, დავთარხანის გამგე. ბატონიშვილებს რუსეთში გადაჰყვა. განსაკუთრებით თეიმურაზთან ყოფილა დაახლოებული. სამშობლოში დაბრუნებული გარდაიცვალა 1837 წ. პეტრე ერთი უნაყოფიერესი მწერალი და კარგი კალიგრაფი იყო. სხვა მრავალ ნაწერებს გარდა მას მოუკონია და შეუთხზავს დიდ ტანიანი „დილარიანი“.

დავ-თ რექტორი (ალექსიშვილი)

უწარჩინებულესი და უნაყოფიერესი კალიგრაფია მე-XXVIII საუკუნეში. ჩვენს სიძველეთ საცავებში დავითის მშვენიერი ხელით და ბიბლიოგრაფიული ცნობებით შექმნილი ათეული ხელნაწერებია დატული. სახელი გაითქვა პედაგოგიური მოღვაწეობითაც (რამდენიმე წელს თელავის სემინარიას განაგებდა). თავისი წვლილი მწერლობაშიც შეუტანია. გარდაიცვალა 1825 წ.

ზაალ და ბარამ ბარათაშვილები

ზაალ ბარათაშვილი (გოშტა შაბის შვილი), ზედწოდებით მორდალი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. მას ხელი უწყოია იმ მოწოდებაზე, რომელიც მეფის ძე იოანეს მეთაურობით წარჩინებულ პირთა ერთ ჯგუფს გამოუცია გიორგის ანდრეძის შესასრულებლად და საქართველოში რუსეთის მმართველობის განსამტკიცებლად. მასვე ხელი უწყოია იმპერატორ ალექსანდრე პირველის ცნობილი ძანიფესტის ერთგულობის ფიცზე. მთავარ-მმართველ კრორინგის მიერ დაარსებული საქართველოს დროებითი მმართველობის წევრი ყოფილა. გარდაიცვალა ზაალი 1810 წ.

ბარამ ბარათაშვილი (გერმანოზიშვილი) ზაალის და პეტრე ყარბიბის თანმედროვე პოეტია.

გიორგი და დიმიტრი თუმანიშვილები

გიორგი „სტატსკი სოვეტნიკი და კავალერი“ მე-XXIII ს. მეორე ნახევარში და მე-XXIV ს. დასაწყისის სახელგანთქმული მეცენატია. დავით რექტორი და პეტრე ყარბიბის მთავარი გადამწერლობითი მუშაობა მისი ინიციატივით და განკარგულებით არის შესრულებული. მთელი მოწინავე წრეების ფრიად დაახლოებული პირი იყო. მონაწილეობა მიუღია მწერლობის ასპარეზზე. გიორგი თუმანიშვილი გარდაიცვალა 1837 წ.

დიმიტრი—გიორგი მეფის მდივანი ყოფილა და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. ზაალ ბარათაშვილთან და დავით რექტორთან ერთად ხელი უწყოია წარჩინებულთა ჯგუფის მოწოდებაზე. გარდაიცვალა 1821 წ.

ოთარ ქობულაშვილი

ქობულაანთ გვარის კახეთის მდივნების შტოს წარმომადგენელი იყო. ყოფილა დავით რექტორის მოწაფე. მოღვაწეობდა პოლიტიკურ ასპარეზზე. სხვებთან ერთად წარგზავნილი იყო რუსეთში ალექსანდრე პირველის მანიფესტის მისაღებად.

გოდერძი ფირალიშვილი

ყოფილა „ნადეორნი სოვეტნიკი და კავალერი“. მოღვაწეობდა რუსეთში. 1821 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა მისი „სახოგადო მდივნობაი“—მდივან-მწიგნობრობის ერთგვარი სახელმძღვანელო.

მესამე ტომში მოთავსებული იქნებიან შემდეგი ავტორები:

მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის წიგადი მიმოხილვა

- | | |
|---------------------|--------------------------|
| 1. ალ. ჭავჭავაძე. | 6. ვ. ორბელიანი. |
| 2. გრ. ორბელიანი. | 7. ბარბარე ჯორჯაძე. |
| 3. ნ. ბარათაშვილი. | 8. ალ. ორბელიანი. |
| 4. დ. კონკაძე. | 9. გ. ერისთავი. |
| 5. გრ. რჩეულიშვილი. | 10. ლ. არდაზიანი და სხვ. |

მეოთხე ტომში მოთავსებული იქნებიან შემდეგი ავტორები:

- | | |
|----------------------|-----------------------------|
| 1. ილია ჭავჭავაძე. | 9. ნ. მელანი. |
| 2. აკაკი წერეთელი. | 10. ალ. ყაზბეგი. |
| 3. ან. ფურცელაძე. | 11. მამია გურიელი. |
| 4. რ. ერისთავი. | 12. ვაჟა-ფშაველა. |
| 5. ს. მგალობლიშვილი. | 13. თედო რაჭიკაშვილი. |
| 6. ნ. ლომაური. | 14. გ. ქალაღიდელო. |
| 7. ი. დავითაშვილი. | 15. პ. ცახელი. |
| 8. დ. მანხანელი. | 16. გრ. უმწიფარიძე (ეოლსკი) |
| | 17. გრ. აბაშიძე და სხვ. |

ვინაიდან მე-2 ტომის ბეჭდვის დროს გამოილია თეთრი ქალაღი, ამიტომ იძულებული გაეხდით დაგვებეჭდა ნაწილი თეთრზე და ნაწილიც მოთეთრო ქალაღზე, რამაც აგრეთვე გამოიწვია წიგნის გამოსვლის დაგვიანებაც.

ახლო მომავალში გამოვა „ანთოლოგიის“ I ტომის მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული.

ფასი 3 ლ. 5. 60 კაპ.

ხელისმომწერთათვის 2 მ. 40 კ.

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის

ანთოლოგია გამოდის 8 ტომით დაახლოებით 1500 გვერდამდე დიდის ფორმატისა. ანთოლოგიაში დაიბეჭდება ყველა ქართველი ცნობილი მწერლის საუკეთესო ნაწარმოები.

- I ტომში—V—XII საუკ. ძველი მწერლობა (გაყიდულია)
- II XVI—XVIII საუკ.
- III XIX საუკ. პირველი ნახევარი.
- IV XIX საუკ. მეორე ნახევარი.
- V XX საუკუნე.

თვითეულ ტომში მოთავსებული იქნება მწერალთა სურათები და მოკლე ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები.

თითო ტომი ხელის მომწერთათვის ეღირება 2 მან.—40 კაპ. ბაზარზე კი სხვა და სხვა ფასი ექნება. საქართველოს გარედ ფასი 50% მეტი.

ხელის მომწერლები [უფრო სწორი იქნება რომ ვსთქვათ წიგნის შედენის მსურველები] თითეულ ტომის ფასს იხდიან წიგნების მიღების დროს და ამასთანავე შემდეგი ტომის ანგარიშში შემოაქვს ბეთ ერთი მანეთი, რომელიც მათ გამოეჭევიანება მორიგი ტომის მიღების დროს.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „სინათლე“, ლენინის ქ. № 32 „ანთოლოგიისათვის“.

...ისი მორიგი ტომი დაიბეჭ-